

ԽԱՆԻՍ


12

1983



გეორგიული
წიგნიერების
კავშირები

სესია



318

გამომცემის ოცდაშვიდწევრიანი წელი

12

დეკემბერი

1983

თბილისი

საქ. კვ. ც.-ის გამომცემლობა

ლიბრატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუქნალი

საპარტოპოლოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მფარალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

კოეზია და კროზა

3. კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ნატვრის თვალნი. რომანი. ნაწილი მეოთხე.
62. კოლაუ ნადირაძე — ჩემგან განვლილ წელთა საჩუქარი. ლექსი
64. ირაკლი ბაზაძე — ლექსები
66. იმედი ჯახუა — ლექსები
69. თენგიზ ჩალაუერი — მოთხრობები
73. შალვა ფორჩხიძე — ლექსები
75. ჯურაბ კახიანიძე — ლექსები
78. ბებლარ კობახიძე — მი და შენ. მოთხრობა
81. ბივი ზიზინაძე — ლექსები
84. სომეხსებ მოემი — ფრანი. ინგლისურიდან თარგმნა ლუნაზი სვანაძე

ბამოსათხრობარი

96. სულის მოგვიგინე ლამპარი

ახალი თარგმანები

97. ფრანკისკო კეტარაკა — ლექსები. იტალიურიდან თარგმნა თამაზ ბაძალაშვილი.

წერილები

100. ჯარჯი ფხოველი — მთლად მი მიტოვების ქვეყანა
105. დავით მთაწარი — „სამსუბროს ალფონსო...“
109. ემე ნავითაძე — ჩვენც თქვენთანა ვართ...
114. რენე კალანდია — „ბათუმის წინააღმდეგ...“ თუ კოეზია?
123. ვაჟა ხორენაული — გათი გზა არასოდეს იქნება აღვილი
126. ლევან ბრეგვაძე — წერილი რამდენიმე
128. ბივი ალხაიციანი — მოკლე განმარტება
130. თეიმურაზ დონიაშვილი — კოვანა თავისი თავისა
150. ვახტანგ ხარჩილაძე — „კოვანა თავისი თავისა“ ანუ ახალი წერილი კველი შეტყობებით
158. შარნალ „ცისკარის“ 1988 წლის ნომრების შინაარსი

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ლვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

ბივი ალხაიციანი
თედო ბაქიანი
(მთავარი რედაქტორის
მოადგილე)
გურამ ბაგვაძე
ბივი ბაგვაძე
ბიორგი გუბლია
თეიმურაზ დონიაშვილი
მერაბ ელიოვიანი
მედიკა კახიანი
ჯემალ მარგველიანი
სოსო ნიშნიაშვილი
გურამ ფანჯიანი
მორის ფოცხვიანი
ნუგზარ შატაია
ვეთა დიდიანი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
ბივი ნავითაძე
ტარიელ შანტურია
ბადრი ქოჩიაშვილი
მამა ჯოხაძე

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ნ ა ტ მ რ ი ს თ მ ა ლ ი

რ ო მ ა ნ ი

ნაწილი მეოთხე

Еще мы женам снимся молодыми
и мальчиками снимся матерям...

თავი პირველი

I

ომი გუშინწინ დაიწყო, — ამ დილას კი, წითელი დათას მამალს ჯერ კიდევ ყვილი არ მოეთავებინა, რომ სოფლის ფოსტალიონმა ეზოში გამოსულ ლევანს დაუძახა და თვალწინ სამხედრო უწყება აუფრიალა.

ლევანს გაეცინა.

— ასე უცბად საიდან მომავნეს, კაცო?!

— გაჭირვებას მისამართი არ ეშლებოდა, ჩემო ლევან! — ცოტა ჩამქრალი ხმით მიუგო სოსანამ.

— რა გაჭირვება, მეზობელო! — ლევანს თვალეზი ისე ეშმაკურად აუციმციმდა, თითქოს მან ერთმა იცოდა ამ ქვეყნის ასავალ-დასავალი: — ჭაში ნახათქუნები ვედრო არ გინახავს? ორ დღეში ასე გაუფხდით გვერდებს იმ უდღეურ ფაშისტებს!

სოსანამ ხმა არ გაცა, მხოლოდ ერთი შეხედა მოცინარე თვალეზში და გუშინდელი საღამო გაიხსენა. რამდენი ეზო-კარი მოიარა სოსანამ და ყველგან

ასეთი სიცილ-ღიმილი შეაგებეს სოფლის ბიჭებმა, თითქოს ომში კი არა, სიღნაღში ეძახდნენ სამაისო აღლუმზე.

წითელი დათას ბიჭს ვალიკოს თურმე ისიც კი უთქვამს, ჩვენ ალბათ გზიდან დაგვაბრუნებენო.

— სანამ ჩვენ იქ ჩავალწვევთ, რუსები დაიფრენენ მაგ ბაიყუშებს!

სოსანამ კი იცოდა, რა იყო ომი და ომის ბედისკვერი. მთელი ის კვირა დაღონებული დადიოდა, დანა პირს არ უხსნიდა, და მხოლოდ ხანდახან გულში გაუფლევებდა:

„თუმცა ამ ბიჭების ბედნიერებაც ეგ არის, რომ ომი არ იციან! შიში ადვილად ვერ მოერევა მათ გულს!

მაშინ კი დატრიალდა წითელი დათა; უწყება მიიღეს თუ არა, მერაბ ზარიძეს დაუძახა და ჰკითხა:

— ჩვენი სამხედრო კომისარი შენი ახლო ნათესავი უნდა იყოს!

— გარე ბიძაშვილად მომხვდებო.

— აბა შენ ყოფილხარ ჩემი ღმერთი!



— უკვე დაუძახეს შენს ბიჭს?

წითელმა დათამ თავი დაუქნია, მერე პატარა მარანში შეირბინა, სამალავიდან ცისფერი ქილა გამოიტანა, სამოცი ცალი ოქროს თუმნიანი ამოიღო და ტყავის ქისაში ჩაყარა.

— ცოტაა? — ჰკითხა ზარიძეს.

მერაბმა ქისა გამოართვა და ხელში შეათამაშა.

— ცოტაა კი არა, მანთაშევს დაუბრმავებს თვალებს!

— მოელაპარაკე, თუ კაცი ხარ! ვალიკო შინ დამიტოვოს და ამ ქისას არ დავაჭრებ. უთხარი, თუ როგორ გამოწირა ღმერთმა! მისი უფროსი ვაჟი თემური არც მკვდრებში სწერია, არც ცოცხლებში-თქო...

— გყავდა თბილისში?

— ახლაც იქ არის.

— რაო ექიმმა?

— სანუგეშო ვერაფერი მითხრა, ორივე ფეხი სასწრაფოდ უნდა მოგვევითოთ, თორემ მერე ვედარაფერი უშველისო! ახლან ეს ბიჭიც რომ წამართვან, ხვალ რა იმედით შევხედო ცას!

ცული ამბავი დაემართა დათას უფროს ვაჟიშვილს. წინა ორთაყვირი შუაზე გადაუტყდა, ვეება ტივი კლდეს შეაჯახა გადარეულმა ალაზანმა. დაშლილმა მორებმა მუხლები ისე დაუჩეჩქვეს თემურს, რომ ახალგაზრდა კაცს სიკვდილი სანატრელი გაუხდა.

...მერაბ ზარიძემ იმ დღესვე მოიარა წიფლისწყარო, მაგრამ გასახარელი ამბავი ვერ მოუტანა „გლეხის იმედის“ თავმჯდომარეს.

— წახდა ხალხი, ჩემო დათა! აღარც ნათესაობა იციან და აღარც ძმაცობა! — შესჩივლა მეგობარს და ტყავის ქისა მაგიდაზე დაუდო! — იცი, რა მითხრა ჩემმა ბიძაშვილმა?! კიდევ შენი ხატრი, ჩემო მერაბ, თორემ იმ შენს თავმჯდომარეს პირდაპირ ჩოხელთან მივათრევდი და საქვეყნოდ თავს მოვჭრიდი. ეს რა გამიბედა, საბჭოთა ქვეყანას მტერი შემოესია, მაგ ვაჟბატონს კი ჩვენი ჯარის დასუსტება უნდაო...

დიდი ხანია შირაქში ასეთი მითითება არ ყოფილა. მიწას კანი დაუსკდა, აღმურში გახვეულ სერებზე გაჰქრა ბალახის სახსენებელი. მთელი თიბათვე ისე გავიდა, ღრუბლის ჩრდილიც კი სანატრელი გახდა.

ყანა გაფიცბდა, მკა გაჭირდა. ერთბაშად შემოსული პური ორ-სამ დღეში უნდა გაეჭრა სოფელს, თორემ ცარიელზე დარჩებოდნენ. მარცვალი ჩაიფშვინებოდა. ამიტომ ლევანი ბრიგადას არ დაეთხოვა, თუმცა იმ კვირას ქუთაისში მიმავალ ეშელონს უნდა გაჰყოლოდა. სოფელს მუწუხი რომ დაადგა, ჯარში წასვლამდე დარჩენილი დღეები ისევ მინდორში დაჰყო და კოლია დუბოვს მკაში მოეხმარა.

ძაღლის ალიონზე ტრაქტორის საჭეს რომ მიუჯდებოდა, სანამ სიცხე ტვინს არ აუღულვებდა, მანქანას არ გააჩერებდა. მერე ხელდახელ დანაყრდებოდა, პანტის ჩრდილში სულს მოიბრუნებდა და ისევ ტრაქტორზე ავარდებოდა. ამჯერად დაღამებამდე ჩაჰყვებოდა საქმეს.


ასე იმუშავა ის ერთი კვირა. მერე კი სთქვა, წასვლის წინ გული მიინც კიძლეო!

ტრაქტორი ამხანაგს გადააბარა, ბრიგადის წევრებს დაემშვიდობა და შინ წავიდა.

„ნეტავი წვიმა იყოს... ღვართქაფი! ან ქარი ამოვარდეს. ან თრიალეთიდან გიორგი ჩამოვიდეს. აკი შემოთვალა, თუ სარქალმა გამომიშვა, უსიკვდილოდ ჩამოვალა. ან სხვა რაღაც მოხდეს!“

— ფიქრობს ლევანი და გული ეწამლებოდა, რომ შინაც და გარეთაც ყველაფერი უძრავად გაყინულა... მგონი კედლის საათიც კი აღარ წიკწიკებს.

ლევის მთას ბაღრი მთვარე დაჰქათათებდა. ნათელ ცაზე ვარსკვლავები არა სჩანან. მხოლოდ ერთგან თეთრი პატარა ღრუბელი გამალებული მიჰქრის გომბორისაკენ. იგი ხან გაიწეწება, გა-



იცრიცება და ლეჩაქივით შეეფინება კაბადონს, ხან ისევ შეიკვრება, სწრაფად ჩამუქდება... ეტყობა, მაღლა ცაში ძლიერი ქარი ჰჭრის.

მიწაზე კი საოცარი სიწყინარება. მუდამ მოუსვენარი ალვის ხეები ყურებჩამოყრილი დგანან გზის პირას. ღობის ძირში მიყრილი ნეშოც კი აღარ ჩურჩულებს.

„ამ ბებრებს ღვინო მაინც მოეკიდოს. იქნებ ენა ამოიღგან და სახლიცოტა გამოაცოცხლონ!“

მაშინ ლევანს დედასთან დამშვიდობება აგრე უსაშველოდ არ გაუჭირდება. ასეთი რამ უფრო ადვილია. როცა ოთახებში დადიან, ლაპარაკობენ, ხმაურობენ...

ამ გაუგონარ სიჩუმეში კი, აბა თუ ბიჭი ხარ, ადექი და სკამზე გაქვავებულ დედას უკანასკნელი „ნახვამდის“ უთხარი.

ლევანს სწორედ ის წუთი ეჯავრება, როცა დედა შუაქარში სამჯერ წაღმა შემოგაბრუნებს და მერე უსიტყვოდ, უცრემლოდ თვალებში შეგხედავს.

იმ ერთ შეხედვაში იმდენი ნაღველია, მერე მთელი დღე უგუნებოდ ხარ. სწუხარ, არ გიხარია, დედას ასე უსაზღვროდ რომ უწყვარხარ.

ტყვიამ ხომ გარჩევა არ იცის.

ამ დილას ზაქარიამ უმცროსი ვაჟის სახელობის ქვევრი მოხადა. ივრიდან საკლავი ამოიყვანა. საღამოხანს ახლონათესავებს დაუძახებს და ფრონტზე მიმავალ შვილს გზას დაულოცავენ.

ანუჟა ჭერ დაეთანხმა. თონე გაახურა, ყაურმის ქვაბი ცეცხლზე შედგა, მერე რალაცამ წამოუარა და ზაქარიას შეეხვეწა: თუ კაცი ხარ, ნურავის დაპატივებ, დღეს იმ ბიჭთან მარტო მამყოფეო.

ზაქარიამ უარი ვეღარ უთხრა, სადილად მხოლოდ მანუჩარ უგრეხელიძეს დაუძახა. უგრეხელიძე პირველ მსოფლიო ომში ნამყოფი კაცი იყო და ზაქარიას რატომღაც გულმა მისკენ გაუწია, მასთან საუბარი მოუნდა.

ახლა ამ ბერიკაცებს შუშაბანდში

პატარა სუფრა გაუშლიათ, ზუმად წრუპავენ კოდის წყალში ჩაიცვენ და წინასწარ ნოს.

ანუჟა ოთახში ფუსფუსებს. ლევანს პატარა აბგაში საგზალი ჩაულაგა, აბგას თავი მოუკრა და შუშაბანდში რქაზე ჩამოჰკიდა. მალე ისევ ჩამოიღო და შიგ პატარა შეკვრა ისე სწრაფად ჩატენა, მამა-შვილმა თვალი ვერ შეასწრო. ამასობაში კიდევ დაღამდა. ამდენმა წუხილმა და მღელვარებამ, შვილის გამგზავრების თადარიგმა, მეზობლებში სირბილმა ხან ერთი აგება შავი ძაფის საშოვნელად, ხან კიდევ იმის გასაგებად, წითელი დათას ბიჭს თბილები თუ რამე მიაქვსო, — ანუჟას ილაჯი წაართვა. მოხუცი ქალი ერთბაშად მოსწყდა. სულის მოსაბრუნებლად წელი რომ დაიღო, მერე ვეღარ წამოდგა. ელდანაცემი ქალი ისევ ისე ზის შუშაბანდში. პირი მაგრად მოუკუმავს, რომ სადღაც შიგნიდან დაძრულ ქვითინს შეღავათი არ მისცეს.

ბერიკაცები კი ანუჟას გასაგონად ყბედობდნენ.

— ვერანები, ჩუმად კი შემოგვეპარენ, მარა ჩვენი ჭარიც მაგრად დახვედრია! ჭერეთაც ვერ დაგვითვლია, იმდენი ტყვე წამოვიყვანეთო! — ამბობს ზაქარია.

— ჩვენებმა თუ ასე იმარჯვენს, ამ ჩხუბს დიდი დღე არ უწერია! — სიტყვა არ გაუცოვა მანუჩარმა.

— მეც ეგრე ვფიქრობ, ჩემო მანუჩარ. ეს ჩვენი ბიჭები შეიძლება გზიდან დააბრუნონ, აღარ გვჭირდებათო!

— ღმერთო, შენ გაიგონე კარგი ყურით!

კოტახანს იყუჩეს, თუთუნნი შეახვიეს, მერე ისევ ზაქარიამ წამოიწყო:

— ომში ნამყოფი კაცი ხარ, მანუჩარ, შენ გეცოდინება, ეს გიტლერი უფრო მეტია თუ ნაპოლეონი?

— მაგას კითხვა უნდა?!

— ნაპოლეონი, ხომ?

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატარის თვალნი

— იმე!

— აბა შე კაცო, რისა გვეშინია! რუსებმა ნაპოლეონს მოუგრიხეს კისერი, ამას რა ხეირს დააყრიან!

კარების ჭახუნმა სიტყვა შეაწყვეტირა. ანუჟა კიბეზე ჩადიოდა.

— რა იყო, ქალო! რა მარგალიტის სახელო ჩამოგახიე! — მიამახა ზაქარიამ.

— მასხრად ამიგდეთ, არა?! ვითომ მე არ ვიცი, რა ხდება ქვეყანაზე? — ანუჟას უეცრად ტირილი წასკდა.

— დედა! — დაუძახა ლევანმა.

— მაგას სულელი ვგონივარ! — სთქვა ანუჟამ.

— კარგი, დედა, შენი ტირიმე, მაგვიანდება! დაღამდა უკვე...

— კი, შვილო, კი! მეც წამოვალ, ცოტაზე გავაცილებ! — ანუჟამ თავშალი მოიხურა და ლევანს გვერდში ამოუდგა.

მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს და მაშინვე წამოდგნენ.

ორღობე სწრაფად გალიეს. მიმინოს ხევის რომ მოუახლოვდნენ, სადაც კალთუბნელ ბიჭებს საბარგო მანქანა ელოდა, ზაქარიამ შვილი შეაჩერა და ჩუმად უთხრა:

— შესმენილი კაცი ხარ, ლევან! ერთ რამეს შეგეკითხები და მიპასუხე.

— მკითხე, მამავ. — მიუგო ლევანმა.

— ადამიანი ხვადაგისაგან რითი განსხვავდება!

„ვერ გამოვივა, რას მიარაკებს!“ — გაიფიქრა ლევანმა და წყნარად ჩაიცინა.

— ნუ გეცინება, ბიჭო! მართლა გეკითხები. — სთქვა ზაქარიამ.

— ეგ მეოთხე კლასში ვეცდები, მამავ. არ გახსოვს, ილია ჭავჭავაძის გუთნისდედა?! „შენ პირუტყვი ხარ და მე მერტყველი, ეგ ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება!“

— კარგი ნათქვამია, მე და ჩემმა ღმერთმა! ილია ბრძენი კაცი იყო, მის სიტყვას დაჯერება მართებს...

ზაქარია გაჩუმდა. ეტყობა, ჭავჭავაძის ხსენებამ სათქმელი პირზე შეატეხა.

— სთქვი, მამავ! — უთხრა ლევანმა.

— ამ საგანზე მე ჩემი აზრი მაქვს, შვილო, თუ ცოდად არ ჩამითვლი...

— გაუბედავად უთხრა ზაქარიამ — და ლევანს მკლავზე ხელი მოჰკიდა: — ხვადაგმა სირცხვილ-ნამუსი არ იცის, ბიჭო! — ადამიანი კი... ადამიანი მხოლოდ სირცხვილ-ნამუსია! თუ ეს დაჰკარგე, მაშინ ყველაფერი დაკარგული გაქვს! შენ ძნელ საქმეზე მიდიხარ, ლევან, გახსოვდეს ჩემი სიტყვა...

— ნუ გეშინია, მამავ! შენ აქ ყოჩაღად იყავი! თუ გიორგიც წაიყვანეს, იცრდე, დედას ძალიან გაუჭირდება! ახლა დაბრუნდით, არ მინდა მეტი გაცილება.

ანუჟამ თავი მოიკლა, ლევანს წიფლის წყაროში უნდა ჩავყვეო. ძლივს გადაათქმევინა ზაქარიამ. მამას გული ეუბნებოდა, რომ იქ, წიფლის წყაროში, ლევანი იმ ქალს უნდა შეხვედროდა. ამიტომ შვილს წამოეშველა და ანუჟა თითქმის ძალის-ძალიად უკან დააბრუნა.

თავი მეორე

ბაღში სურათი გადაიღეს. სანამ სველი ქალაღი გაშრებოდა, ლევანმა მაღაზიაში შეირბინა და სამართებელი იყიდა. მერე ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და თავიკვე დაეშვენენ.

დაღონებული, სიტყვაგამოლეული ლევანი მხოლოდ ერთსა და იმავეს უმეორებდა თვალცრემლიან ქალს:

— დამივიწყებ, გოგოლა?

— არა გრცხვენია! — ჩურჩულებდა გოგოლა და ლევანს გაუბედავად მხარზე ეკვროდა.

როგორ შევნოდა გოგოლას ცრემლნარევი ღიმილი და როგორ უჭირდა ლევანს იმის დაჯერება, რომ დღეს ისინი ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ...



— მომიციდი, გოგოლაჲ?

— უშენოდ სიკვილის მოვუცადო!

— ვინ იცის, ომი როდის დამთავრდება! შეიძლება ერთი წელიწადი გაგრძელდეს. შეიძლება ორი... უფრო მეტიც! — განგებ ეუბნება ლევანი, რომ საყვარელ ქალს ერთხელ კიდევ ათქმევინოს ფიცის სიტყვა.

— ნუ მაწამებ, ლევან! ორი კი არა, ოცი წელიწადიც რომ გაგრძელდეს, შენ როგორ დაგივიწყებ, შენი ჭირიმე! გახსოვს ჩვენი ფიცი მთაწმინდაზე?

ლევანმა თავი გაიქნია.

— აქა ვარ და დედაშენი ახლო არ მიკარებს! ჩემი სახელის გაგონებაც არ უნდა! იქ რომ ვიქნები, მერე შენ ჩემს ლოდინში ვინ დაგაბერებს!

— ყველა კარგი ბიჭი ომში მიდის და ვილაზე უნდა გამათხოვონ! — გულის გაუკეთა გოგოლამ.

ლევანს მწარედ გაელიმა.

— ეჰ, ჩემო გოგოლა! როცა დედას ქალის გათხოვება უნდა, ბიჭიც გამოჩნდება და ბიჭმანდურიც.

ისევ ცრემლი, ისევ მხურვალე ფიცი და აღთქმა, რომ მოუცდის, მოუცდის, ნამდვილად მოუცდის... ალაზანში გადავარდება, გათხოვება რომ დაუპირონ! მაგრამ ლევანს არა სჯერა, ან რატომ დაიჯერებს, რომ მაგდანი თავის ქალს ლევან ნადიბაიძეს შეუწახავს, და საწყალმა გოგოლამ აღარ იცის, როგორ დაამშვიდოს საყვარელი ადამიანი. ასე გულმოკლული როგორ გაუშვას!

უცებ გოგოლამ ლევანის მუჭში მომწვედელი ხელი გაინთავისუფლა და გვერდზე გაიწია. ლევანს ეგონა, ნაცნობს თვალი მოჰკრა და ამიტომ დაფეთდა.

გზაზე არავინ სჩანდა.

— რა იყო, გოგოლა? — ჰკითხა მან.

— არაფერი. — მიუგო ქალმა.

ლევანმა არ დაუჯერა. გოგოლას ამკარად შეეტყო, რომ ის ახლა აქაურობას მოსწდა, გულისყური დაეკარგა...:

— არ მეტყვი, რა მოხდა?

— იცი რა? — გოგოლას ხმაც შეეცვალა: — შენ იქ მომიცადე, ბაღში!

— სად მიხვალ!

— მანქანა გამიჩერე, სოფელში წავალ, პასპორტს წამოვიღებ.

— პასპორტს?!

— ხელი მოვაწეროს! შენი ცოლი რომ გავხდები...

— გაგიყდი, გოგო!

— მეც დაწყნარებული ვიქნები... თუმცა რა დამაწყნარებს! ქმარი ფრონტზე მეყოლება! — ღიმილით, ცრემლითა და რაღაც ისეთი ნაზი მღელვარებით წარმოსთქვა ეს სიტყვები გოგოლამ, რომ ლევანმა ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, წინ ცრემლმა გაუხსწრო და ეს ითაკილა ნადიბაიძეთა ჭიშმა და ჭილაგმა.

გულს რომ მოერია, მერე უთხრა:

— რას ამბობ, გოგოლა! დედაშენი შენც მოგკლავს და იმასაც გადააშენებს, ვინც ჩვენ ჯვარს დაგვწერს!

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება! შენ არ იცი, დედაჩემს როგორ ვუყვარვარ! აყვირდება, ავარდდავარდება, შეიძლება ერთი კიდევ მიმტყუბოს... მერე დაწყნარდება, აბა რას იზამს! არაფერს დავეძებ, ოღონდ შენ დამშვიდებული და გახარებული წადი, სადაც მიდიხარ!

თუ თურმე რა ქალი ყოფილა გოგოლა უგრეხელიძე. რამდენი ბორკილი დაამსხვრია ამ ერთ წუთში... რამდენი ეწამა, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდა! აღიდებულ ალაზანს არ ეპუება!

— ჩემო ვაჟაკო გოგო!

ძლიერმა გულისცემამ ლევანს სუნთქვა შეუკრა, ხმა ჩაუწყვიტა. ათრთოლებულ ქალს ხელი მოჰხვია და ისე სათუთად მიიკრა გულზე, რომ გოგოლას ახლა არც კი შეშინებია, ვინმე დაგვინახავსო. ჩუმად მიენდო ჰაბუკის მკერდს და ერთი ხანი ორივენი ასე იდგნენ ქუჩაში, ენადამულნი, გაბრუებულნი ამ უცარი გადწყვეტილების გამო.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნახჭრის თვალი

მოზღვავებულმა გრძობამ ლევანს თვალები აუპრიალა.

— წუხელ ძილი არ მომკარებია, რა არ ვიფიქრე!

— გამიშვი, მალე დაგბრუნდები.

— მოიცა, გოგოლა, ცოტა დამაფიქრე!

— დედაჩემმა რაც უნდა, ისა ჰქნას! სახლიდან თუ გამაგდებს, თქვენებთან მივალ! არ მიმიღებენ? არ დავიკარგები! ირინესთან წავალ წიფლის წყაროში!

ლევანზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ იქნებოდა, რომ ახლა, ამ შუა ქუჩაში უცბად ვინმეს დაეძახნა: „ბიჭებო, შინ წადით, ომი დამთავრებულიაო!“ მაგრამ არა, აგერ ბალის თავში დადგმული რუპორი პირქუშად აცხადებდა: ...ოცდაცხრა ივნისის განმავლობაში ჩვენი ჯარები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს სმოლენსკის ჩრდილო-დასავლეთით...

— გაიგე, რომ სამუდამოდ შენი ვარ, შენი ცოლი ვარ!

...სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს...

— წერილი მომწერე! ჩემი დის შისამართი ხომ გახსოვს! ამაღლების ქუჩა, ნომერი თოთხმეტი...

...ქალაქები — ელნია, დემიდოვო, იარცევო...

— ნინოსაც წამოვიყვან... წამოვიყვანო? მანქანის ფული მომეცი, სახლიდან ისე წამოვიყვან, ჩანთაც არ წამომიღია...

უსმენდა ლევანი ქალის ჩურჩულს და გული ორად ეყოფოდა.

არა, გოგოლა, ლევანი ომში მიდის, განა ლხინში! ვინ იცის, იქ რა ფათერაკი წაეკიდება. მაშ რატომ დაუკავშიროს ჯარისკაცის მუხთალი ბედი გოგოლას ბედს! ქვრივის თალხები რად გაუმზადოს, ყმაწვილქალობა სამუდამოდ რად გაუმწაროს... მხოლოდ იმიტომ, რომ თავის აფორიაქებულ გულს წამალი მოუნახოს! ეგ რა ვაჟკაცის საქმეა, ეგ არ შეშვენის ნადიბაიძეთა ჩამომავალს!

ეს გაიფიქრა ლევანმა, გოგოლას კი

არაფერი უთხრა, რომ მისი გული არ შეეშფოთებინა.

რომელიღაც ეზოდან საბარგო მანქანა გამოვიდა. გოგოლა ქუჩის კიდეს მიაწყდა.

— კარგად დაფიქრდი, გოგოლა! — მიაძახა ლევანმა.

ქალი იმ წამსვე მოტრიალდა.

— შენ რალაც ძალიან ინაზები, ყმაწვილო! იქნებ არ გინდა... არ გიყვარვარ! მე კი გეძალები, სულელი ქალი!

— ახლა კი ხარ მართლა სულელი! — უთხრა ლევანმა.

კიდევ უნდოდა რალაც ეთქვა, — გოგოლამ არ მოუცადა, შუა ქუჩაში გავარდა და მანქანას წინ გადაუდგა.

მაგდანი შინ არ იყო. გოგოლამ კაბა გამოიცვალა, სირბილში გაწეწილი თმა გადაივარცხნა, წერილიც კი დაუტოვა დედას, არ შეგეშინდეს, ამაღამ შეიძლება ირინესთან დავრჩეო.

მერე პასპორტი ჩანთაში ჩაიღო და სახლიდან გასვლა რომ დააპირა, უცბად ცრემლი წასკდა. თვალები მოიწმინდა და ჩუმად გაეცინა, თუმცა ამ სიცილმა ცრემლი მაინც ვერ შეაჩერა. ასე ცრემლნარევი ღიმილით მიაღვა ნინოს.


ქალმა ფეხი გაიდგა, ჯერ მითხარი, სად მიგყვარო. გოგოლამ სული არ მოათქმევინა, ხელი დაავლო და კიბეზე კისრისტეხით ჩაარჩინა.

...ლევანი ბაღში არ დახვდა. გოგოებმა მთელი ქუჩა მოირბინეს, ჯერ სასადილოში შეიხედეს, მერე ქორწინების სახლის წინ აიარ-ჩაიარეს, იქნებ აქ შევიდა, რომ გამგეს წინასწარ მოელაპარაკოსო... ლევანი არსად იყო.

ისევ ბაღში დაბრუნდნენ და იმ სკამზე ჩამოსხდნენ, სადაც წელან ლევანმა და გოგოლამ სურათი გადაიღეს. ეტყობა, გოგოლა ძალიან დაბნეულად გამოიყურებოდა, თორემ მოხუცი ფოტოგრაფის ყურადღებას არ მიიქცევდა.

— თქვენ კვალერს ხომ არ ეძებთ, ქალიშვილო? — ჰკითხა მან ახალგაზრდა ქალს.

გოგოლამ თავი დაუქნია, თუმცა სი-



ტყვა „კავალერი“ უსიამოდ მოხვდა გულზე.

— ის ბიჭი რახანია წავიდა! წნორის მანქანას გაჰყვა! — უთხრა მოხუცმა, მერე რატომღაც თავი გადააქნია და ხის ტოტზე ჩამოკიდებულ ნარმის ნაპერზე ხელები შეიმშრალა.

ლევანი წავიდაო!

ნინომ შიშისაგან ხმა ვერ ამოიღო. არ ეგონა, თუ ახლა უგრეხელიძის ქალს ღვარღვარა ცრემლი არ წასკდებოდა. გოგოლას კი ხმა არ გაუღია... მხოლოდ ერთი კი წამოდგა ფეხზე; თავდაც არ იცოდა, რატომ წამოდგა, მერე ისევ სკამზე დაეშვა, თავი ხელეზში ჩამალა და სული გაკმინდა.

ერთი-ორი წუთი ასე იჯდა გაუნძრევლად. მერე თავი ასწია და... (არა, არა, ეს არ მოეჩვენა ნინოს, თუ გინდა, ყველა ხატზე დაიფიცებს). გოგოლას თვალები უცინოდა... ამდენი შფოთისა და მღელვარებისაგან დაღლილი, გაწამებული პირისახე ახლა თითქოს დაამებოდა...

სწორედ ამან გააცეცხლა ღუნდრუხა გოგო.

— აბა შენ რა მითხარი, ხელი უნდა მოვაწეროთო! თქვენი ვერაფერი გამიგია!

— გაჩუმდი, ნინო! შენ არ იცი, ის რატომ წავიდა! მე არ მეგონა, თუ ასე ვუყვარდი ლევანს! — წაიჩურჩულა გოგოლამ.

რამდენი ბედნიერი მოგონება დაგვიტოვა, ჩვენ, მეგობარო, სიკბაბუკის ოქროს ღლებმა. ზოგი უკვე ჩააქრო ულმობელმა წუთისოფელმა, ზოგი ჭერ კიდევ ბეუტავს განვლილი ღლების ნაკვალევზე და, ვინ იცის, სად გადაეფარება დავიწყების ბურუსი.

მაგრამ არის მოგონება — სამარის კარამდე უტყნობად რომ მიჰყვება ადამიანს, თითქოს ის ყველაფერი გუშინ მომხდარიყოს. ვერავითარი გაკირვება, ან ახალი ბედნიერება იმ მოგონებას ეღვარებას ვერ დაუყარავს.

სწორედ ასე ჩაეკირა ლევანის გულს ის ერთი საღამო ქალაქის ბაზრის სულგრძელობამ დიდ სიყვარულს დიდ სიღამაზე მისცა.

ლევან ნადიბაიძის წმირილები
ფრონტიდან

1

ჩემო დაუფიწყარო გოგოლა!

ნუ გამიჩავრდები და ნურც გაგიკვირდება, რომ ბალში არ მოვიცადე. შენ რაც იმ საღამოს მითხარი, ის სიტყვები ათასჯერ მეტი იყო, ვიდრე ხელის მოწერა. ახლა თუ გინდა, ცხრა ომს გამოვივლი, დარდი არაფრისა მექნება. ერთი სიკვდილი უკვე გამოვიარე, როცა გაპარვა გადავწყვიტე. მაგრამ მერე ვიფიქრე, ჩემი ჭკვიანი გოგო ყველაფერს გამიგებს-მეთქი. ახლა მაინც დარწმუნდები, ჩემო ოქრო, თუ რა უსაზღვროდ მიყვარხარ. შენ ნურაფრისა გეშინია, ეშინოდეს იმას, ვინც ასეთი შეყვარებულები ერთმანეთს დააშორა და მე კაცთა სასაკლაოზე გამისტუმრა...

ამ წერილს ნავთლულის სადგურიდან გიგზავნი. დათო რაინაულის მამა მოგიტანს. როგორ მეცოდება ეგ საწყალი კაცი! ოთხი ბიჭი ჰყავს, ოთხივე ერთ დღეს გამოიძახეს ჯარში. გუშინ რამდენი ეხვეწა კომისარს დათოს მამა, უმცროსი ვაჟის სანაცვლოდ მე წამიყვანეთო, იგი ჭერ კიდევ ჭყინტი ბიჭია, მე კი მწყემსის საქალამნე ტყავი რომ გინახავს, ისე ვარ გამოქნილიო... იმაზე უკეთესი სროლაც ვიცი, სირბილიც, სიარულიც... უძილობაც მეტი შემიძლია და უქმელობაცო! ყველა აგვატირა მისმა საცოდაობამ. მაგრამ კომისარი რას გააწყობდა! კაცის შეცვლის უფლება მე არა მაქვს, თორემ იცოცხლე, იქ შენისთანა ძველი ხალხი უფრო გამოდგებაო... გწამდეს, ჩემო გოგოლა, რომ ამისთანა მამებს ქართველი ბიჭები არასდროს სირცხვილს არ აკმევენ...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატარის თვალი

გებზევი და გოცნი, მუდამ ჩემო
სანატრელო...

მარად შენი ერთგული ლევანი.

2

გოგოლა, ჩემო სანატრელო გოგო!
უპირველეს ყოვლისა, გისურვებ ამ
წყეული ომის მალე დამთავრებას, ფა-
შისტების განადგურებას, რომ ჩვენმა
დიდმა ქვეყანამ ისევ მშვიდად იცხოვ-
როს და იშრომოს კომუნისტური იდე-
ალების განსახორციელებლად. გუშინ
ჩვენი ნაწილი ოსების პატარა სოფელ-
ში დაბანაკდა. შინელის გახდა ვერ მო-
ვასწარი, რომ გერმანული თვითმფრი-
ნავები თავს დაგვესხნენ. საბედნიეროდ,
ჩვენი მეზენიტები უკვე გაფრთხილე-
ბული ყოფილან და ისეთი ალისქარი
შეუწთეს მტერს, რომ ისინი მაშინვე
უკანვე გაბრუნდნენ. მხოლოდ ორი
ბომბის ჩამოგდება მოასწრეს, რამდე-
ნიმე კაცი დაგვეკრეს და სოფელს
ცეცხლი გაუჩინეს. ჭერ ჩვენ თოფი არ
გვისვრია და უკვე დაჭრილები გვეყავს!

ჩემო გოგოლა, შენ რომ იცოდე, ამ
წერილს რა პირობებში გწერ, — ნამ-
დვილად გაგეცინება, ნახევრად დანგ-
რეულ ქოხში მარტოკა ვზივარ და აქეთ-
იქეთ ვიხედები, აქ არავინ მომისწროს-
მეთქი! ერთი იმერელი ბიჭი გადამეკი-
და და იმას ვემალები. ცოტა აწყვე-
ტილ-ავარდნილი კაცი უნდა იყოს...
ჩვენი ათეულის მეზობლია, გვარად
ფხაკაძე. პირდაპირ ხელი აგვადებინა
წერილების წერაზე! შემოგვიჩინდა,
ფრონტზე მოსულმა კაცმა თავისი სო-
ფელი და სახლ-კარი უნდა დაივიწყოს,
თორემ მისგან არავითარი მეზობლი არ
გამოვა, სულ უკან-უკან თუ იკვირე,
მალე კისერი მოგექცევა და წინ ვეღარ
წახვალო... ასე ხშირად წერილებს მხო-
ლოდ ლაჩრები და ქალაჩუნები სწერე-
ნო. ყველამ იცის, რომ ეს იმერელი
სისულელეს ლაპარაკობს, მაგრამ ჩვენ
კი დაგვიფეთა ანგელოზები. თუ იგი
სადმე ახლო-მახლო გვეგულდება, ვერა-
კაცი ფანქარს და ქალაღს ვერ გამოა-

ჩენს. დათო რაინაულმა მიიხბრა, მაგ
იმერელმა ენა გააჩეროს. თორემ მიტე
რაც მოუვა, თავის თავს დააბრალოსო...

როგორც ამბობენ, ხვალ-ზეგ წინა
ხაზზე დაგვყენებენ და შეიძლება
ჩემმა წერილმა დაიგვიანოს. შენ არ
იღარდო, ჩემო საყვარელო, გწამდეს,
რომ ყველაფერი კარგად იქნება.

გებზევი და გოცნი უთვალავს.
შენი ლევანი.

3

ჩემო ოქრო გოგო, ჩემო დაუვიწყა-
რო გოგოლა!

შენი ბოლო წერილი სწორედ იმ
დროს მივიღე, როდესაც მეთაურმა მე
და დათო რაინაული შტაბში გამოგვი-
ძახა, ერთი საქმე დაგვავალა და ბოლოს
გვითხრა, დანარჩენი ორი კაცი თქვენ
თვითონ შეარჩიეთ და ღმერთმა ხელი
მოგიმართოდო!

— ჩვენ ორიც მოვევლით ამ საქმეს!
— მოვახსენე მეთაურს.

— ორნი ცოდონი იქნებით, ბიჭო!
იმოდენა ნაგს ოთხი წყვილი ნიჩაბი
მაინც უნდა! — შეგვახსენა ლეიტე-
ნანტმა.

— არა, ამხანაგო ლეიტენანტო, —
შეაპრა სიტყვა მეთაურს დათო რაინა-
ულმა: — ამ ლევანას ახლა ჭიბეში
ისეთი წეპილი უდევს, ნაგს კი არა,
თუ გინდა შავი ზღვის გემი ჩააბარე,
არაფერს გაუჭირვებსო...

აბა წერილი მაჩვენეო, მითხრა ლეი-
ტენანტმა. წერილიც ვაჩვენე და შენი
სურათიც.

ჭერ წერილი წაიკითხა, მერე სურათს
დახედა და მითხრა, სოფელში ამის-
თანა ლამაზი გოგო რომ მელოდეს,
აქამდე ცხრაჯერ დავამარცხებდი ფა-
შისტებს და აქედან მოგუსვამდიო...
მარა ბოლოს მაინც დაუმატა: — ახლა
უფრო მეცოდები, ბიჭო, მარტო არ
წახვიდეთო!

ერთი წუთითაც არ იფიქრო, ჩემო



გოგოლა, რომ დათო რაინაულმა იხუმ-
რა. ყოველი შენი წერილი მართლა მა-
კაუებს და ძალ-ღონეს მიასყეცებს. იმ
დღეს ასე მგონია ვერავითარი ტყვია
ვერ მომერვება! ასე რომ, თუ გინდა
ნაღე დავამარცხოთ ცოფიანი ფაშის-
ტები, ხშირად გამახარე შენი წერი-
ლით და კიდევ იცი, რით? აბა თუ მიხ-
ვდები და მომწერ!

გოცნი იმდენს, რამდენი ტყვიაც მე
ვესროლე ფაშისტებს ამ წელიწადნა-
ხევარში.

შენი ლევანი

4

ამ ბარათის პასუხად გოგოლამ მოი-
წერა:

სულელი ხარ, ბიჭო! სხვას შეგხედავ
კი არა, ლამე დავწვები და ძილში შენ
გიყურებ, დილას ავღდები და შენი სუ-
რათი ხელში მიჭირავს! ცოტა მომეშ-
ვი, ლევან, თორემ სხვა საქმე ვერა-
ფერი გამიკეთებია...

5

ჩემო საყვარელო დედა!

ვიცი, ბევრს ფიქრობ ჩემზე, მაგრამ
გებვეწები, ნურაფერს იჯავრებ და იდ-
არდებ. მე კარგად ვარ და ისე ვანად-
გურებ გერმანელ ფაშისტებს, როგორც
ყველა საბჭოთა დედას გაეხარდება.
ჩემო დედიკო, შენ რო მომწერე, ძა-
ლიან მიხდა შენ და გიორგი ერთად
იყოთო, ერთ ნაწილში, — ჭერ თავი
შევიკავე და კაპიტან შელეგიას არ გა-
დავეცი შენი სურვილი. მაგრამ მერე,
კარგად რომ დავფიქრდი, შენი რჩევა მეც
ჭკუაში დამიჭდა. შენ მართალი ხარ,
მშები ერთად რომ ვიქნებით, ერთმა-
ნეთს უფრო მიგხედავთ და ყველა გა-
ჭირვებას უფრო ადვილად გადავიტანთ.
კაპიტანმა შელეგიამ მითხრა, ეს არ
არის ძნელი საქმე და, როგორც კი
გენერალ ყურაშვილს შეგხვდებით, კი
ბიჭების დედის თხოვნას დაწვრილებით
მოვახსენებო...

გადაეცი ჩემი საბრძოლო სალამი და
მხურვალე კონცა ყველა ჩვენთან, ვისაც

ვახსოვარ. კიდევ და კიდევ გებვეწე-
ჩემო ძვირფასო და საყვარელო დედა,
შენ იცოდე და შენმა ქალობამ, რო-
გორ ჩანსალად დახვდები შენს გამარჯ-
ვებულ შვილს. ეს დროც შორს არ
არის...

შენი შვილი ლევანი

6

სალამი, ჩემო კარგო მამა!

გისურვებ მხნეობას და ჩანბრთელო-
ბას. მივიღე შენი წერილი, დიდად
გმადლობ, რომ შენი გულში ჩამწვდო-
მი სიტყვა აქაც არ მაკლია, ამ მხე-
ცებთან ბრძოლაში. პირობას გაძღვე,
რომ არასოდეს არ შევარცხვენ ქართ-
ველი კაცის სახელს, თუნდაც ეს პი-
რობა სიცოცხლის ფასად დამიჭდეს.
წინა წერილში შენ მიჩქევდი, პარტია-
ში ჩაეწერეო და, თუ გინდა, რეკომენ-
დაციას აქედან მე გამოგიგზავნიო. შე-
ნი ნდობა-დაფასება ყველაზე დიდი პა-
ტივი იქნება ჩემთვის, მამაჩემო, მაგ-
რამ ახლა ეს არ დამპირდება. ჩემი თა-
ნამებრძოლი ამხანაგები საკმაოდ კარ-
გად მიცნობენ და მენდობიან, დავწე-
რე თუ არა პარტიაში მიღების განცხა-
დება, — მეთაური გინდა, ქარისკაცი
გინდა, — ყველა თავზე დამადგა და
იმისთანა რეკომენდაცია დამიწერეს,
— ქვას გახეთქავდა.

ამიერიდან შეგიძლია იამაყო, რომ
შენი უმცროსი ვაჟი გერმანელ ფაშის-
ტებს შეებრძოლება, როგორც კომუ-
ნისტი, როგორც ლენინ-სტალინის დი-
ადრ პარტიის ერთგული შვილი.

გებვეწი და ვკოცნი ყველას, ვისაც
ვახსოვარ. დედას მიხედე, ჩემზე ნუ იდ-
არდებ. მე ისეთი უჩინმაჩინის ქული
მახურავს, რომ მტრის ტყვია ასე ადვი-
ლად ვერ მომაგნებს.

შემატყობინე გიორგის ამბავი, რო-
გორ არის, წერილებს თუ იწერება.

შენი ლევანი.

აონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალი



გიორგი ნადიბაიძე და წითელი და-
თას ბიჭი ვალიკო ყანჩაშვილი სწორედ
იმ დღეებში მოხვდნენ დასავლეთის
ფრონტზე, როდესაც გერმანელებმა
მეორე სასტიკი იერიში მიიტანეს მოს-
კოვზე. ნოემბრის ქარბუქში გენერალ
გუდერიალის ტანკები გააფთრებული
მოიწვედნენ ჩვენი ქვეყნის გულისაკენ.
თოვლი სწრაფად დნებოდა გახურე-
ბულ ჭავჭავაძეზე.

ერთ დილას მტრის მეწინავე ტან-
კებმა სოფელ დუბოვკასთან გადაამტ-
ვრიეს საგზაო სვეტი, — მოსკოვამდე
ოცდათორმეტი კილომეტრია...

„კარგი ბინოკლით უკვე შეიძლება
მოსკოვის შუაგული დაინახო!“ — გაპ-
კიოდნენ ფაშისტები და წამის-წამ
ელოდნენ დედაქალაქის დაცემას, მაგრამ
სწორედ იმავე დღეებში, როდესაც
მოსკოვის სანახებში სისხლი ღვარივით
სდიოდა, დედაქალაქის დასახმარებლად
სწრაფად დაიძრნენ მაშველი ჯარები.

ფართულად შემოეწყვენენ ისინი მოს-
კოვს, მტერმა გული ვერ იხმო და ჯა-
რის გადაჯგუფება ვერ მოასწრო.

უჭირდა დედაქალაქს, მისი მამაცი
დამცველები ძლივს იგერიებდნენ კარ-

თან მომდგარ მტერს; მაშველი დღეებში
ებს კი სარღობა ჯერ კიდევ უჩინო
ლოდ ინახავდა, ვიდრე გადამწყვეტი
წუთი არ დადგებოდა.

დეკემბრის დამლევს ჩვენმა ჯარმა
უეცარი კონტრშეტევა დაიწყო ექვსას-
კილომეტრიანი ფრონტის ყველა უბან-
ზე. ამ უდიდეს ბრძოლაში მონაწილე-
ობდნენ ნალმტყორცნელები გიორგი ნა-
დიბაიძე და ვალიკო ყანჩაშვილი.

ლამეული იერიშის დროს, როდესაც
ჩვენები გაყინულ მდინარეზე გადადი-
ოდნენ, შირაქელი მეცხვარე და კალოთ-
უბნელი მევენახე უგზო-უკვლოდ დაი-
კარგნენ, ვერც ცოცხალი და ვერც
მკვდარი ისინი ვერსად იპოვენს ამხა-
ნაგებმა.

და მხოლოდ რვა თვის მერე, როდ-
ესაც აგვისტოს პაპანებაში მდინარეს
ფსკერი გამოუჩნდა, რუსი მესანგრეები
ვიღაც ჯარისკაცის გვამს წააწყდნენ.

პატარა საკუთრივ ჯიბეში შავი მე-
დალიონი უპოვნეს... გახსნეს.

ფარატინა ქაღალდზე გიორგი ნადი-
ბაიძის გვარ-სახელი და მისამართი ეწე-
რა.

რა ბედი ეწია ვალიკო ყანჩაშვილს,
კვლავ აუხსნელი დარჩა.

თავი მესამე

1

სოფლის ორღობეში ქვიან გზაზე
ცარიელი ორთვალა მირახრანებს. კო-
ფოზე თავსაფრიანი დედაკაცი ზის.
ეტყობა, იგი ძალიან დალილია, ან
გულზე რაღაც დარდი შემოსწოლია;
მზრები ჩამოუყრია, ხელები კალთაზე
უმწეოდ დაუკრეფია... სადავეც ისე
დაუგრძელებია, თითქმის მიწაზე ეთ-
რევა.

იგი ყურადღებას არ აქცევს, რომ ნე-
ბაზე მიშვებული ცხენი გზადაგზა ჩერ-
დება და ღობის ძირებში ამოყრილ
ბალახს შეექცევა. ქალს თითქოს არსად
არ მიეჩქარება.

ასე გალია მან გრძელი ორღობე და
ნაციხართან გაუხვია. უეცრად ქალს
ხელი წაავლო, წამოიწია...

ვერხვის წყაროსთან სოსანა გამოჩნ-
და. კაცი წელსქვემოთ მტვერში იყო
გახვეული. მალე ოცი წელიწადი გახ-
დება, რაც იგი კალოთუბანში ფოსტა-
ლიონად მუშაობს. ამ ხნის განმავლო-
ბაში ნელა სიარულს თანდათან გადაეჩ-
ვია და ახლა ისე თავქუდმოგლეჯილი
დარბის შირაქის მტერიან გზებ-
ზე, თითქოს მოსაკლავად დასდევნო.
მაგდანი ამბობდა, სახლში რომ შემო-



ვა. გული მიკანკალებს: არ ვიცი, რას წამოედება და წააქცევსო.

ფოსტალიონის დანახვაზე თავსაფრიან ქალს პირისახეზე ალმურმა გადატრბინა და მხოლოდ ახლა შეეტყო, რომ იგი არც ისე ხნიერი იყო, როგორც წელან სჩანდა.

ცხენს წყებლა გადაჰკრა და ფოსტალიონს გამოუდგა.

2

მანუჩარ უგრეხელიძის ცოლმა ის-კი იყო თონიდან შეებრაწული შოთები ამოყარა, რომ კიშკარს ფოსტალიონი მოადგა. მაგდანმა კინკოტი იქვე მიაგდო და მისკენ გაექანა. ქოშებმა სირბილი დაუშალეს. შუაგზაზე დაჰყარა და ფოსტალიონს ფეხშიშველი მიეგება.

— არ გაიკვდე, ძალუა მაგდან! — გაუღიმა სოსანამ და წერილი გაუწოდა.

— შენ რომ ჩემს ეზოს მოადგები, სოსან, იმ დღეს მეკვდარი რომ ვიყო, მაინც გავცოცხლდები.

მერე მარნიდან ხელადა გამოიტანა.

— დალიე, მუხლში ძალა მოგეცემა. რაც ეს ომი დაიწყო, შენისთანა მადლიანი კაცი მეორე არ დადის ჩვენს სოფელში!

— იცოცხლე, ძალუა მაგდან!

ზემოდან ცხენის თქარათქური მოისმა. სოსანამ მოიხედა, ორთვალა რომ დაინახა, ხელადა იქვე დადგა და ღობეს მოეფარა.

— რა მოგელანდა, კაცო! — მიიძახა მაგდანმა ღობე-ღობე მიმავალ ფოსტალიონს; მერე კიშკართან მიიბრინა და გზას გაჰხედა. ის ქალი იცნო და წერილი სწრაფად უბეში დამალა. თავსაფრიანმა ქალმა ცხენი შეაყენა, იგი მიხვდა, რატომ დაემალა ფოსტალიონი და პირისახე ისევ ჩაეფერფლა... ჩუმიად ამოიოხრა და ცხენი უკანვე მიაბრუნა. კალოთუბანში ვინ არ იცოდა, რომ ანუკა ნადიბაიძეს გიორგის წერილი დაუგვიანდა.

— რა უღებლო კაცი ვარ! ერთი ვერ გავახარე შვილის წერილით! — სწუხ-

და სოსანა და ანუკას ემალებოდა და წელი შეეპლო მისთვის თვალეზო...

მეზობლებიც თანაუგრძნობდნენ ნადიბაიძეებს და, როდესაც ფრონტიდან წერილს მიიღებდნენ, იმ წერილს ანუკას დასანახავად არ წაიკითხავდნენ.

ვაჟა-ფშაველას ჯერ კიდევ პირველი მეკომურები არ ჩამოყევანა მთიდან. როდესაც ზაქარიას მამამ კალოთუბანში მიწური ამოთხარა და ცხოვრება დაიწყო.

პირველი ხეც შირაქში ნადიბაიძეებმა დარგეს. ბოდბიდან ჩამოტანილი ბაცილო ახლა უკვე ტოტებგაბარდნილი კაკლის-ხე იყო.

საბჭოთა ხელისუფლებამდე თითქმის მთელი სოფელი გომურში ცხოვრობდა და მხოლოდ მიწიდან ამოსული კვამლი თუ მიანიშნებდა გზად მიმავალ ადამიანს, რომ აქ კაცის მოდგმა ბინადრობდა.

ზაქარია ნადიბაიძე ახლა უკვე შეძლებული ოჯახიშვილი იყო. „პატარძლის მეტი აღარაფერი გვინდაო!“ — იტყოდნენ ხოლმე ხანმოყოლილი მშობლები და უფროს ვაჟს ეხვეწებოდნენ, შვილისშვილს მოგვასწარიო... მაგრამ დაიწყო ომი და... ზაქარიას ოჯახი დაცარიელდა.

უკუღმართად დაიწყო ომის მეორე წელიწადი. მარაგ-ნაწილების უქონლობის გამო ტრაქტორები უფრო ხშირად მინდორში უქმად იდგნენ და წვიმაში ჩანგებოდნენ. საღ იყო იმდენი ხარკამეჩი, შირაქის მინდვრებს მორეოდა. ამიტომ გუთნეულებში ძროხებსაც აშუშავებდნენ. წინა უღელში ჰკვიან, გამოცდილ ხარებს შეაბამდნენ, რომ საქცევზე მობრუნების დროს გუთნეული არ არეულ-დარეულიყო. იმ გაზაფხულზე გუთანს ქალებიც მოეკიდნენ. პირველი ნავსი ანუკამ გატეხა. ზაქარიას

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ნატვრის თვალნი

გულმა არ დაანება, ავადმყოფი ქალი მინდორში სამუშაოდ როგორ გავუშვაო, მაგრამ ორი ჯარისკაცის დედამ იუყადრისა დიაცურად შინ ჯდომა და გუთნეული შეაბმევენა.

თვითონ ზაქარიამ კი შვილის ტრაქტორზე დაიწყო მუშაობა. მარჯვენა ფრთაზე ლამაზად გამოკრილი ფიცარი ჩამოჰკიდა და ზედ წააწერა: —

ლევან ნადიბაიძის ტრაქტორი.

ამ მანქანას მთელი შირაქი იცნობდა.

მზემ კარგად შემოიმაღლა, როდესაც ანუკამ მინდორში საწვავი ჩაიტანა, ცხენი გამოხსნა და მიმინოს ხეგს მიამურა, სადაც ზაქარია ნაწვერალს ხნავდა.

მხრებჩამოყრილი მოჰყვებოდა ხნულის პირს ანუკა ნადიბაიძე: ისევ ის სურათი აფორიაქებდა მის სულს... წვიმიანი ღამე იყო, ძილაგატეხილ ანუკას აივნის სვეტზე შუბლი მიეყრდნო და ორლობეში მიმავალ ახალგაზრდებს გასცქეროდა. ესმოდა მათი მხნე სიმღერა და იმ ხმებში ერთ საყვარელ ხმას ეძებდა დედის გული. მისი სიყრმის შვილი ომში მიდიოდა.

— დედავ, თუ გიყვარვარ, არ გამაცილო! — შეეხვეწა იმ საღამოს გიორგი, მერე ჩუმად გადაეხვია და წავიდა. და აჰა, აგერ წელიწადი თავდება, მისი აღარაფერი ისმის.

ანუკამ ხევთან გაუხვია და ორთქლიან ხნულში მათი პატარა ტრაქტორიც გამოჩნდა.

ქალი ძალისძალად წელში გაიმართა და ნაბიჯს მოუჩქარა — არ უნდოდა ზაქარიას მისი უგუნებობა შეემჩნია.

დაბრუნება და შინ მოსვლა,

ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო!

ალერსიანად მიუძღვრა მოხუცმა ხნულში შემოსულ ანუკას და ტრაქტორიდან ყოჩაღად გადმოხტა.

— რა ვახტუნებს, ბერიკაცო! აქაო და შვილის ტრაქტორზე ვზივარო, დასანიშნი ბიჭი ხომ არა გგონია შენი თავი?

— როგორიც ხარ ქარხანაო, ისეთი

გყავს თარხანაო! — გაეხუმრა ზაქარიამ.

— მაგასაც ახლავე ვნახავთ! ანუკამ ტრაქტორიდან დაკდეულ ქოხი გადმოიღო და რამდენიმე ადგილას ხნულის სიღრმე გაზომა.

— აჰ მობრძანდი, ვაჟბატონო! ასე ხნავდა ჩვენი ლევანი? ამიტომ ჩამოჰკიდე ტრაქტორზე მისი სახელი, რომ სოფელში თავი მოსკრა?!

— რა იყო, ქალო, რა ცეცხლი მოგეკიდა!

— ოთხი თითის დადება აკლია, მტერსაც დაჰკლებია ოთხი დღის სიცოცხლე.

— ანუკას და ზაქარიას გაუმარჯოს! რა გაჩხუბებთ, ბებრებო! — კარავთან ბიძინა ხუციშვილი იღგა.

ბიძინას დანახვაზე ზაქარიას გული მიეცა.

— რა ვიცი, კაცო, ხელში არსენას არშინი დაუქერია და ჩამციებია, ნანავი არ გივარგაო! მოდი, თუ ძმა ხარ, შენ გაგვასამართლე.

ბიძინამ ჩაიცინა, ანუკას ჯოხი გამოართვა და ხნული გაზომა.

— ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო. მეტი რაღა გინდა, ჩემო ანუკა, ნახევარი წელიწადი არც კია, რაც ზაქარიამ ტრაქტორი ისწავლა და ქვესკენელს ხომ ვერ გადააბრუნებს!

ზაქარიამ უღვაშებზე ხელი გადაისვა და ანუკას თავმომწონედ გადახედა. მერე კარავიდან პატარა ტაბლა და კალათი გამოიტანა.

— დაჭეკი, კაცო, გავნაწილდეთ.

— მეჩქარება ზაქრო!

— მაშ ბიჭები დამილოცე, მადლიანი კაცი ხარ! — უთხრა ზაქარიამ და კალათიდან ხელადა ამოიღო.

ბიძინამ ხელადა ჩამოართვა და სთქვა:

— ლევანს და გიორგის გაუმარჯოს! ცეცხლში იყვნენ, ცეცხლი ჩაჰქრობოდეთ, წყალში იყვნენ, წყალი დაშრობოდეთ, გზაში იყვნენ, ორივეს გზა დალეოდეს და შინ მშვიდობით დაბრუნებულები იყვნენ.

ხელადა მოიყუდა.



უპირდა ანუკას გუთანზე მუშაობა. ხანდახან მინდვრიდან ისე დაღლილი ბრუნდებოდა, რომ ცეცხლის დანთება ეზარებოდა. მოხუცები ხშირად ხმელა პურზე და ნიორწყალზე გადადიოდნენ. სახლ-კარიც მოუვლელი ჰქონდა. საღამოხანს, როდესაც მენახირე საქონელს მორეკავდა, ანუკას ძროხას ჰიშვარის გამღებიც არავინ ჰყავდა.

ასე მიდიოდნენ დღეები, მაგრამ ერთხელ მინდვრიდან დაბრუნებულ ანუკას ძროხა მოწველილი დახვდა, ბუხარშიც ცეცხლი ენთო, კოკაშიც წყაროს წყალი იდგა...

მეორე-მესამე დღესაც ეს ამბავი დატრიალდა.

— ეს რა კეთილი სული შემოგვეჩვია, კაცო! ხედავ? — ანუკამ გაწყობილი სუფრა შეათვალიერა.

ვილაყის მზრუნველ ხელს მწვანელი მოეტანა, კიტრი და პამიდორი დაეთალა და ზედ წიწკაც მოებნია.

ზაქარია ამაყად წელში გაიმართა.

— კარგი შვილების დედ-მამას კეთილი მეზობელი არ დაეღევა, ჩემო ანუკა!

შვილების ხსენებაზე ანუკა ისევ ჩაფერვლა.

— ერთი მოიცალე, კაცო, და ზემოქედში გადადი. ლევანთ ალექსი ჩამოსულა, იქნებ გიორგის რამე ამბავი იცის!

— ხვალ უეჭველად წავალ.

— უთხარი, მალე წელიწადი იქნება, წერილი არ მოსულა-თქო!

— დაწყნარდი, ანუკა! რუსეთი დიდია! წერილი სადმე გზაში იქნება.

სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, გარედან ჰოტის კივილი მოისმა.

— რა დროს დაგვიკვილა, შეჩვენებულმა! — წაიჩურჩულა ანუკამ და ზაქარიას გადახედა.

ზაქარია მაშინვე წამოდგა, კედლიდან თოფი ჩამოიღო და ეზოში გავიდა. ბნელოდა. მოხუცმა კარგახანს უტრიალა კაკლის ხეს, მაგრამ იქიდან ჩქამი არ ისმოდა.

„უ, შე ტიალო!“ — წაიდუღუნა მოხუცმა და თოფი ანდეზე დასცალა.

მოისმა ფრთების ძლიერ ფრენა. ნი. ბნელ ცაზე შავი ვეება ილიანდა.

დარდასა და ლოდინში ღამდებოდა და თენდებოდა. გიორგისა ისევ არაფერი ისმოდა. მალე უმცროსი ვაჟის ხმაც მიწყდა. მთელი ზაფხული ისე გავიდა, ერთი წერილიც არ მოსულა მისგან. ანუკა მაინც ჭავრს არ უტყდებოდა.

კაცი ვერ შეატყობდა, რომ გული ერთ ძაფზე ეკიდა. მხოლოდ ათასში ერთხელ, როდესაც ჩუმი ცრემლი თვალებს დასწვავდა, შევიდოდა მარანში და მის ყრუ კედლებს გააგონებდა თავისი სულის კვნესას. მერე ისევ წელში გაიმართებოდა, ვითომ გამხნევდებოდა.

დარდი მაინც თავისას აკეთებდა. ერთხელ ზაქარიამ თვალი შეასწრო ასეთ სურათს: ანუკა ყაშების თავზე ფერდობს ხნავდა, ამ დროს ფოსტალიონმა ჩამოიარა, ქალმა გუთნეული შეაყენა და ისე მიაჩერდა ფოსტალიონს, რომ ზაქარიას ტანზე ბეწვი აეშალა.

კალოზა იყო. მთელი სოფელი მინდვრად იყო გასული და სოსანაც წერილებს პირდაპირ კალოებზე არიგებდა, რომ ხალხი გაეხარებინა. ზაქარია ხედავდა, როგორ ელეოდა გული ანუკას, იქნებ სოსანამ ჩემსკენ გადმოუხვიოსო... მაგრამ არა, ფოსტალიონმა უარის ნიშნად ხელი გააქნია და სწრაფად ჩაიარა.

ანუკამ ისევ განაგრძო მუშაობა, მაგრამ ახლა ეტყობოდა, გული და თვალი სხვაგან ჰქონდა.

— საით იყურები, დედაკაცო?! — დაუძახა ზაქარიამ და საქციეზე გასულ გუთნეულს წინ გადაუდგა.

ანუკამ მხოლოდ მაშინღა დაინახა, სახნისი ველზე გაქცეულიყო და კვალი განზე წაიღო. ქალმა თავი მოაბრუნა და გალიმება დააპირა, მაგრამ ნაძალა-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ნატვირის თვალი

დევი ღიმილი იმას როგორ დამალავდა, რასაც გული ვერ მალავდა.

მიხვდა ზაქარია, რა ძვირად უჯდებოდა ქალს დარდის მალვა და მიჩუქებდა. იმ დღიდან გუთნის კუღზე ხელი გააშვებინა, მაგრამ ანუკა შინ მაინც ველარ დადგა, ტრაქტორისტებს სადილ-ვახშამს უკეთებდა, ხან კიდევ ურემს დაუჯდებოდა და ალაზნიდან წყალს ამოიტანდა. აპრილში ორჯერ მოიარა წიფლის წყარო და სიღნაღი, რომ ტრაქტორის ნაწილები ეშოვნა. შირაქში ვინ არ იცოდა, რომ ზაქარია შვილის მანქანას ამუშავებდა. ამიტომ ყველანი ხელს უწყობდნენ. დღე არ გავიდოდა, მოძრავ სახელოსნოს კაცი არ გაეგზავნა ნადიბაიძეების მიწოდორზე, ზაქარიას ხომ არაფერი გაუჭირდაო.

ის კეთილი სული კი ისევ ტრიალებდა ანუკას გამოკეტილ ოჯახში და მოხუც ქალს შრომას უადვილებდა. ანუკამ კარგახანს ვერ გაიგო, ვინ იყო იგი. არც უძებნია მაინცადამაინც... რომელიმე მეზობელი იქნება, ფიქრობდა გულჩაშავებული ქალი, მაგრამ საიდუმლო მალე გამომქდავდა.

ერთ საღამოს ანუკამ საჩხუბში პატარა ბოლჩა იპოვნა. ვილაცას ტახტზე დაეტოვებინა. ბოლჩაში თბილი წინდები და ხელთათმანები აღმოჩნდა. ხელთათმანებზე ორად-ორი ასო იყო ამობეჭდილი, ლ. ნ.

ანუკამ ბოლჩა გასინჯა, იქნებ მისი მომტანის რაიმე ნიშანი ეპოვნა. ხელთათმანიდან პატარა ფოტოსურათი წამოცურდა. ანუკამ დახედა... გოგოლა! უგრეხელიძის ქალი. ო, როგორ მოსწონდა ანუკა ნადიბაიძეს ეს ჯეირანი გოგო. საღამოხანს, როდესაც ვერხვის წყაროსთან „გაზაფხულის“ ქალები ჩაივლიდნენ, ანუკას მსინჯველი თვალი დიდხანს მიაცილებდა ლამაზ გოგოლას.

„ნეტავი იმ ოჯახს, სადაც შენ რძალ შეხვალ!“ — ფიქრობდა ანუკა და გიორგის გასაგონად (უმცროსი ვაჟი მაშინ ჯარში ჰყავდა) ხშირად იტყოდა:

— პაი დედასა! კაცად მე უნდა გა-

ვეჩინე დალოცვილ ღმერთსა ცხება კარს გავტეხდი და იმ მშინ მონათლ გოგოს მაინც მოვიტაცებდი!

გიორგის რაღა წაქეზება უნდოდა! მზის მონათლს აქამდე მოიტაცებდა, მაგრამ გოგოლამ თავიდანვე ძმად მიიჩნია ნადიბაიძის უფროსი ვაჟი და, როგორც სჩანდა, ამ გრძნობას ველარაფერს მიუმატებდა. მერე იყო და სოფელში ხმა გავარდა, უგრეხელიძის ქალი ვილაც ზოტექნიკოსს მიჰყვებო. დღესაც არ დავიწყებია ანუკას, როგორ დასწყვიტა გული ამ ამბავმა.

შემდეგ რაც მოხდა, მკითხველმა იცის.

...ანუკა ერთხანს ჩაფიქრებული დასცქეროდა გოგოლას სურათს. მერე თავშალი მოიხურა და ეზოდან გადავიდა.

წვიმიანმა შემოდგომამ შინ ჩაექცა მაგდანა უგრეხელიძე. მიწოდორში მუხლამდე ლაფი იდგა. მეურმეებმა ნამკაც ვერ გამოიტანეს მიმინოს ხევიდან. აწვიმდა ლაფში ჩარჩენილ ურმებს, აწვიმდა ყანისპირზე დახვავებულ სასუქს.

სწუხდა მაგდანი, სასუქის გაშლა ვერ მოასწრო... გაუცრელად მაინც მოებნია მიწოდორზე, ეს მოშურებული წვიმა ადრე თუ გვიან კოლბოხებს მაინც დაშლიდა და სასუქი მიწას შეერგებოდა...

დაღონებული გასცქეროდა მაგდანი კართან მომდგარ ქოჩებს... იმ ქოჩებზე ისეთი ხშირი ნისლი ფუთფუთებდა, მაგდანს აღარ ეგონა, თუ ოდესმე გამოდარებდა. მუდამ ხელციმიან დედაკაცს უქმად ჯდომა არ შეეძლო და ახლა მისი ბუზბუზი შინაურებს გულს უწვრილებდა. გლეხის ოჯახში საქმეს რა გამოლევს, მაგრამ იმ დღიდან, რაც ნადიბაიძეების დედა გუთანს მოეკიდა, მაგდანასაც ოჯახში გული აღარ დაუდგა. ანუკას ტოლი არ დაუდო, ჯერ იყო და სასუქს ეზიდებოდა წნორიდან, მერე სადღაც ყურთი მოჰკრა. „ლენინის ანდერძის“ ქალები ომში წასულ შინაკაცებს თბილ წინდებსა და ხელთათმანებს უქსოვენო.



მაგდანმა იმ დღესვე ორთვალაში ცხენი შეაბა, სოფელი კარდაკარ ჩამოიარა და სალამომდე ორი ფუთი მატყლი შეაგროვა. მეორე დილას მეზობელ ქალებს მოეთათბირა... იმ დღიდან მოკიდებული, უგრეხელიძის სახლიდან ყოველდღე ისმოდა მინელებული სიმღერა და საჩეჩლები წკრიალი.

ქალები მატყლს სჩეჩენ. თეთრი ქულები შეუწყვეტლივ გადადიან მარჯვნივ და მარცხნივ. მარჯვნივ და მარცხნივ.

ოთახში მაგდანა შემოვიდა.
— მივდივარ, შვილო, მატანთ რასმე?

— ახლავე, დედავ!
გოგოლამ კედლიდან ხურჯინი ჩამოიღო, ქალები წამოიშალნენ, კალთები დაიბერტყეს და ნაქსოვის ჩალაგება დაიწყეს.

თედო ხელაშვილის დამ, პატარა, შავგვრემანმა თეომ ხურჯინში მთელი დასტა კრელი წინდები ჩაჰყარა.

— როგორ გეტყობა, თეო, რომ გუშინწინ ქმრისაგან წერილი მიიღე! — უთხრა მაგდანმა.

— ოღონდ ისინი იქ კარგად იყვნენ და წინდებს კი-არა, რკინის პერანგებს დავექსოვთ! — ხალისიანად მიუგო ახალგაზრდა ქალმა.

მაგდანმა ხურჯინს თავი მოუკრა...

— წავედი, შვილო!
— მატყლი მოგვაშველე, დეიდა, ამ სალამოს გვეყოფა და მორჩა... მიიძახა თეომ. მერე ისევ საჩეჩელს მიუჭდა და ღიღინი დაიწყო. ქალებიც მაშინვე აპყვნენ და ისევ აწკრიალდნენ რკინის სავარცხლები.

არ მღეროდა მხოლოდ გოგოლა. თავი დაეხარა და მატყლის ქულებს სწრაფად აწყობდა მარჯვნივ და მარცხნივ.

— შენ რა პირისახე ჩამოგტირის, გოგო! ქმარი იქ არა გყავს და შვილი!
— წაჰკრა მუჭლუგუნე თეომ.

გოგოლამ ხმა არ გასცა, მხოლოდ ჩემად ამოიოხრა და საჩეჩელს მიუბრუნდა.

ეზოში ძაღლმა დაიყეფა.
ლოყებზე ალმა გაჰკრა როდესაც ღობესთან ლევანის ინახა. შუა ეზოში დაეყუდა და ორი ხმა ერთად ვერ ამოიღო.

— მოდი, შვილო, რისი გრცხვენია!
— დაუძახა ანუკამ.

— მობრძანდით...
— ცოტახანს ქუჩაში გადმოდი. სიტყვა მაქვს...

გოგოლას არ ეგონა, თუ ამ პირქუშ, ამპარტავან ქალს ასეთი ალერსიანი ხმა ექნებოდა. ჭიშკარი გაალო და უსიტყვოდ გაჰყვა.

ვერხვის წყაროსთან მწყემსი ბიჭები ახლად დარეკილ კაკლის ხეს უტრიალებდნენ და ჭოლოკს ესროდნენ. ანუკამ ბალებს დაუტატანა და ქვაზე ჩამოჯდა.

— დაჭექი, შვილო!

ახალგაზრდა ქალი ისევ გააოცა ანუკას ხმაში ჩადუღებულმა ალერსმა. „ნეტა რას მეტყვის!“ — ფიქრობდა იგი და ლევანის დედას თვალს ვერ უმართავდა. — მტრობამ ვის რა სუფრა გაუშალა, შვილო, რომ ჩვენ გავვიშალოს! დედაშენს უთხარი, რაც იყო, ყველაფერი წყალს წაულია-თქო! ნუ დაგიშლის ჩვენთან სიარულს...

ცოტახანს იყუჩა, მერე უეცრად გოგოლას ნიკაპი აუწია და თვალებში ჩახედა.

— მითხარი, შვილო, გიყვარს ჩემი ლევანი?

— მიყვარს. — წასჩურჩულა გოგოლამ.

— წერილებს გწერს?

ქალმა თავი დაუქნია. თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

— ოქტომბრის შემდეგ აღარაფერი მოუწერია...

— ღმერთმა არ უღბინოს იმათ თავს, ვინც ეს ომი მოიგონა, ნუ სტირი, გენაცვალე! — ანუკამ ყმაწვილ ქალს ხელი მოჰხვია და, სხვა რომ ვერაფერი მოა-

კონსტანტინე ლოკთაიფანიძე
ნაბჭრის თვალი

ხერხა, ზაქარიას სიტყვებითვე ანუ გე-
შა: — რუსეთი დიდია, შვილო! წერი-
ლი სადმე გზაში იქნება...

კაცმა ჭირი მალაო, ჭირმა თავი არ
დამალაო! მალე დაეტყო ანუჟას უძი-
ლო ღამეების კვალი. აქამდე გუთანს
მინც აყოლებდა გულს, ახლა საამისო-
დაც აღარ ვარგოდა. მხოლოდ ხანდახან
გოგოლას თუ დაუძახებდა, გვერდზე
მოისვამდა და დიდხანს ეჩურჩულებო-
და, ლევანის ბავშვობას იგონებდა. პა-
ტარა ლევანი მეტისმეტად ცელქი იყო
თურმე. აგერ ახლა ქუჩაში რომ გავი-
დოდა დაბანილ-დავარცხნილი და სუფ-
თად ჩაცმული, მეორე წუთში კაცი ვერ
იცნობდა, შინ ისე გაწეწილი შემოიპა-
რებოდა. საოცარი იყო, ასე ერთბაშად
ყველაფერს როგორ მოასწრებდა: კი-
დეც იჩხუბებდა, კიდეც იბანავებდა,
ალუბლის ხიდანაც ჩამოვარდებოდა,
მინდროში აგრონომის ცხენს დუშაყს
მოხსნიდა და მლაშე ტბისკენ გააჭენ-
გამოაჭენებდა.

ჭიშკარს გასცდებოდა თუ არა —
შუბლზე უკვე კვერცხისოდენა კობი
ჭქონდა და ხალათზე ნახევარი სახელო
აკლდა. იყო მერე ეზოში ლევანის სირ-
ბილი და ვაი-დედას ძახილი. ანუკა

ჯერ კარგა მიტყუებავდა, მერე ხელბირს
დაბანდა და ხალათს გაუტყუავდა.

ასე მიდიოდნენ წლები და თითქოს
არაფერი იცვლებოდა დედა-შვილის
ცხოვრებაში.

მხოლოდ ერთხელ (ლევანი მაშინ თო-
რმეტი წლისა იქნებოდა), როდესაც დე-
დამ ნაცელქარ შვილს ხელის შემოკვრა
დაუპირა, ლევანი არ გაიქცა, წარბიც არ
შეჭხარა. მხოლოდ გაწითლდა და დედას
მაჯა დაუჭირა, ხელი არ შემოაკვრევი-
ნა... ანუკა პირველად გაჯავრდა, მაგ-
რამ ბიჭს ანთებულ თვალეებში რომ
ჩახედა, მაშინვე გატრიალდა და მეო-
რე ოთახში გავიდა.

„იმ დღეს პირველად დავინახეო“, —
უამბობდა ანუკა სმენადქცეულ გოგო-
ლას, „რომ ჩემი ლევანი უკვე პატარა
აღარ იყო“.

წავიდოდა გოგოლა... მალე სოფელიც
დაიძინებდა, ძილგატეხილი დედა კი
ისევ აივანზე იჯდა და ბნელ ღამეს გას-
ცქეროდა!

„იმ ბიჭს შეიძლება იქ არაფერი უჭ-
ირს, ეს კი აქ ლამის ვათავდესო!“ —
ფიქრობდა ზაქარია და გული უკვლე-
ბოდა, ზეზეურად ჩამომდნარ ანუკას
რომ ხედავდა.

თავი მეთხუთხედი

სახელდახელოდ შეკრულ ტივზე
ზარბაზნები შეაგორეს, ჭოკები და ორ-
თაყვირები მოიმარჯვეს. ვილაცამ ბნელ-
ში ნელა დაუსტინა. იმავე წამს ბაგი-
რებს დანა დაუსვეს და ვეება ტივი თე-
რგის უჩინარმა ტალღებმა ბუმბული-
ვით მოიტაცა. პირველ ტივს მეორე
მიჰყვა...

უმთვარო ღამეა. ჯარისკაცებს თამბა-
ქოს მოწვევა აუკრძალეს. პრიალ-კრი-
ლა საჭურველს ბრეზენტი გადააფარეს:
კაპიტან შელეგიას მაშხალები აშინებ-
და. ცაში დასაკიდ მაშხალებს გერმანე-
ლი გუშაგები თავშესაქცევად ისვრი-
ან ხერხის პირივით გაბმულ ყორღანებ-

ზე. აბა ისე რა გაათენებს ამ ჩუმ ღა-
მეს...

დღევანდელი ბრძოლის ბედი კი უე-
ცარმა იერიშმა უნდა გადაწყვიტოს.

მძიმედ დატვირთულ ტივს ტალღა
აგვერდავებს. ზარბაზნის ჯვლები ხუნ-
დებს ამსხვრევენ და მოლიბულ მორე-
ბზე მისრიალებენ. გასაწურავად მოქ-
ცეული ჯარისკაცები ძლივს ამაგრებენ
ლინგისაკენ დაცურებულ საჭურველს.

სანამ დესანტი გაღმა გავიდოდა, კა-
პიტანმა არსენა შელეგიამ მესანგრე
მზვერავი ლევან ნადიბაიძე გამოიძა-
ხა.

მიწურში გამხდარი, პირხმელი, უძი-



ლობისაგან თვალმდაწითლებული ჯარისკაცი შემოვიდა.

შეღეგია შეიკუმხნა.

— გამოიძინე, ბიჭო?

— გამოვიძინე, ამხანაგო კაპიტანო.

— რაღაც არ გეტყობა. დაჯექი.

იმ დღეებში ძილი ვიღას არ გვაკლდა, მტერი თერგთან იყო მომდგარი, მაგრამ ბატალიონში ყველაზე მეტი მაინც ლევანის კისერზე გადადიოდა. ჩრდილო-კავკასიაში გერმანელები გამოზამთრებას აპირებდნენ: ამიტომ გამოიღარა თუ არა, თერგის მარცხენა ნაპირის გამაგრებას შეუდგნენ. ასეთ დროს მესანგრე-მზვერავს საქმეს რა გამოუღეგს, და ლევანიც ბოლო დროს ისე მოღანტული გამოიყურება, კაცი რომ ძალიან დაიღლება და ადგომა-დაჯდომა ეზარება. მაგრამ დაუძახებს შეღეგია და — მაშინვე თვლებში გამოიხედავს, წამში მოათავებს სამგზავრო თადარიგს და მგლური ძუნძულით ყორღანებში მიიმალება.

კაპიტანი სავსებით ენდობა ლევან ნადიბაიძეს და, როდესაც ბრძოლის წინ ჰკვიანი და ერთგული კაცი დასჭირდება — გამხდარი, პირხმელი და მუდამ გამოუძინებელი ქიზიყელი გლეხი პირველი მოაგონდება.

მათი ყოველი შეხვედრა ასე იწყება:

— გამოიძინე, ბიჭო?

— გამოვიძინე, ამხანაგო კაპიტანო.

— რაღაც არ გეტყობა. დაჯექი.

კაპიტანმა მიწურის კარი მოხურა და ჭრაქს მოუკიდა.

— ჯავშნიანი ხუფი გინახავს?

— არ მინახავს, მაგრამ გამოიგია კი, რაც არის, — ნადიბაიძე მიხვდა, რისთვისაც ეძახდნენ.

— შტაბიდან დარეკეს, მესამე ყორღანის მახლობლად გერმანელებს ჯავშნიანი ხუფი დაუდგამთ, თუ არ ვიპოვნეთ, საქმე გაფუჭდება.

— დრო რამდენი მაქვს?

შეღეგიათ საათს დახედა.

— რვის ნახევარია. დილის შვიდზე აქ უნდა იყო, სანამ იერიში დაიწყება! მარტო წახვალ თუ...

— რაინაულს წავიყვან. ამას წინათ გაღმა იყო და კაობში გზა გეტყობოდა სთქვა ნადიბაიძემ.

— რაინაული ზედგამოჭრილია იმ ლელიანში. შენ თუ არ მოიკუმხე, ნაბიჯს ვერ გადადგამ; ის ბიჭი კი თავსაც არ დალუნავს, ისე მოივლის იქაურობას. — მიუგო კაპიტანმა.

ალვანელი თუში დათო რაინაული ბატალიონში ყველაზე ტანდაბალი კაცი იყო. ხანდახან ნაღვლიანად იტყოდა: ჩემისთანა ჯუჯა კაცი ქვეყანაზე რა გასაჩენი იყოო...

— გზაში ყველაზე ბოლოს მე მივჩანჩალებ და მთელი ბატალიონის ფეხის მტვერს ვყლაბავ. ჩექმებს მომცემენ და, — შიგ კისრამდე უნდა ჩავძვრე. მზარეულთან მივალ, — კარდალას არ გამივსებს: შენ ნახევარი კაცი ხარ, ნახევარი კერძიც გეყოფაო. ეგ არის სამართალი!

— სამაგიეროდ, ტყვია ადვილად ვერ გიპოვნის, ბიჭო! — გული გაუქეთა ერთხელ ნადიბაიძემ.

— შე კაი-კაცო, ტყვია ერთხელ მოგხვდება და გაგათავებს. ეს ოხერი კუჭი კი დღეში სამჯერ თუ არ ამოვყორე, ამ ჯოჯოხეთში გაძლება აღარ გინდა?! — სთქვა რაინაულმა.

...არ გასულა დიდი ხანი, მეგობრებმა ნავს ხელი ჰკრეს და წყალში შეაყურეს.

თენდება, ნისლიდან ბუნდად გამოცურდნენ ქოჩორა ბორცვები. კაპიტანი შეღეგია მიწურში თვლემს. ნაბადში თბილად გახვეულა, ვითომ ყველა საზრუნავი უკვე მოილია. მხოლოდ ერთი რამ ამხელს, რომ ეს სიმშვიდე ტყუილი სიმშვიდეა. იგი მაღიმაღ დაწყურებს მაჯის საათს და თითქოს მისი არაფერი სწამსო, ტელეფონთან განაბულ მორიგეს ეკითხება, გეთაყვა, შენსაზე რომელიაო...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ნაბჰრის თვალი

დაიგვიანა ნადიბაიძემ. სადაც არის, იერიში დაიწყება...

კართან ვილაყამ ჩაახველა.

— რაინაულა მოიყვანეს, ამხანაგო კაპიტანო.

შელეგია სწრაფად წამოდგა.

— ვინ მოიყვანა?

— ხევში უპოენია მეთვალყურე არტილერისტს.

სისხლიან ფარაჯაზე დასვენებულ რაინაულს ფერშალი თავს დასტრიალებდა.

— ლაპარაკი შეუძლია.

— ვერ მოვასულიერე, ამხანაგო კაპიტანო.

— ის არტილერისტი სად არის?

— აქა ვარ.

— სთქვა რამე?

— კარგად ვერ გაგარჩიე, შგონი; რალაც ჭიხური ასენა...

შელეგია ტელეფონს მივარდა.

— მე არწივი ვარ! — მოისმა მიწურიდან მისი გახარებული ხმა: — ნიშანი 12—3, მისრის ჭიხური, 12—3, ჭიხური...

მესამე ყორანის ძირში მართლაც იდგა მისრის ჭიხური, ეს იცოდა შელეგიამ. ჭავჭავიანი ხუფი უეჭველად იმ შენობის ნაქცევში იპოვნეს ბიჭებმა, თორემ ისე საიდან სადაო, — სიკვდილის უამს რაინაულს იმ ჭიხურს რა ეშმაკი გაახსენებდა!

— ნიშანი 12—3... 12—3! ცეცხლი! — ერთხელ კიდევ ჩასძახა მიღში და მორიგეს მიუბრუნდა: — მიწა გათხარონ და ნადიბაიძე იპოვნონ. ან ცოცხალი, ან მკვდარი!

სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, მთელი გაღმა მხარე ზარბაზნების გრი-ალმა გამოალვიძა, იერიში დაიწყო.

შუალამე გადასული იყო, მშრალზე რომ გავიდნენ. მეტე მთელი სამი საათი მოლოზულ ფერდობებზე აღმა-დაღმა დახოხედნენ, სანამ ჭავჭავიანი ხუფს არ წააწყდნენ.

შეისვენეს. თავშენახულმა ლევანმა მათარა მოიხსნა, დაღლილ-დაწყვეტილ-

მა ჯარისკაცებში ცოტა არაყო გადაწყ-რეს და თავქვე დაეშვნენ.

გათენებამდე ჯერ კიდევ მთელი იყო. ამიტომ ნადიბაიძემ კაობის შემო-სავლელ გზას დაუწყო ძებნა. იგი წინ მიდიოდა. უეცრად მის ფეხთან რალაცამ გაიტყაყუნა. რა მოხდა! სანამ გონება ამას გამოიცნობდა, მესანგრეს ტანმა უგრძნო, რომ ეს ნაღმი იყო. გაუფრთხილებელმა ლევანმა ნაღმის უღვაშს დაადგა ფეხი.

ახლა წამიც აღარ უნდა, რომ მიწი-დან კაცის სიმაღლეზე მბტუნავი ნაღმი ამოვარდეს და ჰაერში აფეოქდეს... ლევანი არ დაიბნა, „დაწეკი!“ — დაუყვირა უკან მომავალ რაინაულს და თვითონაც იმწამსვე მიწაზე დაეარდა.

იგრილა. ნაღმის ბუდესთან ახლო დაცემულ ნადიბაიძეს ერთი ნამსხვრე-ვიც არ მოხვედრია, მხოლოდ ცოტა გაბრუება და ერთი-ორი წუთი მიწაზე უძრავად ეგდო. გონს რომ მოვიდა, რაინაულია გულჯავრიანი ხმა გაიგონა.

— ცოცხალი, ხარ, ბიჭო? — ეკითხებოდა რაინაული.

— ბეწვზე გადავრჩი. შენ როგორა ხარ?


— მკლავი მეწვის!

— ახლავე შეგობევეც.

— კიდევ კარგი, დროზე გამაფრთხი-ლე, თორემ გამათავებდა ეს ოხერი. არაფერი ისე არ მეზარება, როგორც ეს მბტუნავი ნაღმები! თუ მოგხვდა, ათი ნამსხვრევი ერთად მოგხვდებო! მოუყვდა მომგონი, როგორ დაბტის ბა-ყაყვიით! — გაიხუმრა რაინაულმა, მა-გრამ, სანამ ლევანი მკლავს შეუხვევ-და, ორჯერ კინაღამ გული წაუვიდა. / ძვალი ჰქონდა გატეხილი, ლევანს გაუყვირდა, რომ ეს ნაღვეა ბიჭი ყოვ-ლად აუტანელ ტკივილს ჩუმად უძ-ლებდა.

— ცოტახანს აქ იწეკი, დათო! გზას დაგხვდავ და ახლავე დავბრუნდები. — სთქვა ლევანმა, ნაღმსაძებნი სასწ-რაფოდ გამართა და გზის პირას გავი-და.

სერიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხო-



ლოდ ხანდახან გერმანელი ყარაულე-
ბი უსაქმობისაგან თოფს თუ დასცილი-
დნენ და ერთმანეთს შესძახებდნენ.

ნაღმსაძებნი ხმას არ იღებდა და ლე-
ვანსაც გული გაუკეთდა, ის ნაღმი
უთუოდ ძველი ჩარჩენილი იყო და ჩვენ
რალაც ფარსაგად წავაწყდითო, მაგრამ
მესამე ყორანს რომ გაუპირდაპირ-
და, ყურსაცვამში ნაცნობი წივილი მო-
ისმა. მარჯვნივ, მარცხნივ. წინ, კიდეც
წინ. საითაც გინდა, რამდენიც გინდა.

ნადიბაძეს გულს შემოეყარა. მთელი
გზა მბტუნავი ნაღმებით იყო გატენი-
ლი. ნუთუ შელეგიას ანგარიში შეე-
შალა და ეს უბანი მხედველობიდან გა-
მორჩა? ან იქნებ გერმანელებმა ხე-
ლახლა დანადგეს აქაურობა... ასე იყო
თუ ისე, ამ გზას ახლავე გაწმენდა უნ-
დოდა.

...თუში ნელი ხმით კენესოდა, ნედლ
ბალახს ლეჰავდა.

— წყალი გინდა? — ჰკითხა ლევან-
მა.

— ვიხრჩვები, ისე მინდა, მაგრამ
ამბობენ, დაჭრილს წყალი არ დაეღე-
ვინებო!

— ნუ გეშინია, ბიჭო! შენ ხომ მუ-
ცელში არა ხარ დაჭრილი!

წყალი დააღვივინა, მკლავი ხელახლა
შეუხვია.

— ცუდად არის საქმე, დათო! —
სთქვა ლევანმა.

— ბევრია?

— რამდენიც გინდა.

— ის წყეული ბაყაყი მარტო არა-
სოდეს არ დადის.

— რა ვქნათ? — ჰკითხა ლევანმა.

— შენ წადი და ხალხი მოიყვანე. მე
როგორმე ნელ-ნელა წამოვალ...

ლევანმა საათს დახედა. არა, ვერ მო-
ასწრებს, სანამ ნაწილში დაბრუნდება
და მესანგრეებს გამოიძახებს, კიდეც
ინათებს და იერიში დაიწყება...

— მკლავი ძალიან გაწუხებებს?

— ტკივილი არაფერია, სისხლი რომ
არ მდიოდეს.

— იცი რა, დათო? მე კი არა, შენ
უნდა წაზვიდე! სული კბილით დაიჭი-

რე და გასწი, კაპიტანს უთხარო, შეიქ-
რის ჯიხური ახლავე მოსკოვში წაწე-
ვებს კი მე მოვუვლო.

— მარტო ცოდვა ხარ, ბიჭო!

— სხვა გზა არ არის. — უთხრა ლე-
ვანმა, ქამრიდან მათარა მოიხსნა და
რაინაულს გაუწოდა. — წაიღე, თუ ძა-
ლიან გაგიჭირდა, მეორე სულს ჩაგიდ-
გამს, ბიჭო!

მათარები გაცვალეს და წავიდ-
ვიდნენ, რომ შემდეგ ერთმანეთს ალა-
რასოდეს აღარ შეხვედროდნენ.

ყურსაცვამი განუწყვეტლივ წიოდა.
პირველი ნაღმი მალე იპოვნა. ლე-
ვანი პირქვე დაწვა, ნაღმის უღვაშებს
მიწა ფრთხილად შემოაცალა და ამფე-
თქებელი ფისტონი ამოაძრო.

კოტა ფხა და თადარიგი როდი უნ-
დოდა ღამის წყვდიადში ამ ფისტონე-
ნების ძებნას. მაგრამ ლევანს ხელი უჭ-
ერებდა და უქან აღარ დაიხია.

პირველი კვალი ისე გაიტანა, ერთი
არაფერი შეშლია, მალე არტომოზადე-
ბაც დაიწყო. ბნელში განაბული სერი
ცეცხლის ალში გაეხვია.

„ყოჩად, დათო!“ — გაიფიქრა ლევა-
ნმა და უფრო მხნედ განაგრძო მუშაო-
ბა.

სროლა ხან მინელდება, ხან ისევე
გაზირდება და ლევანი გრძობს, რო-
გორ საცოდავად აერყოლებს გულამო-
ბრუნებულ მიწას... ცხენმა იცის ასე:
ერთბაშად ყრეოლა დაუვლის და მხე-
დარს ბუმბულივით შეათამაშებს.

გათენებისას სროლა გაძლიერდა.
მთელი გაღმა მხარე თითქმის აღარა
სჩანდა კვამლისა და მიწის კორიანტე-
ლში. სადაც არის, იერიში დაიწყება.
აგერ ხევიდან პირდაპირი დამიზნების
ქვეშეხი ამოაგორეს, ლევანი აჩქარდა,
ათიოდ ნაღმი კიდეც ეგულებოდა გზის
გასაყართან.

ყუმბარის ნამსხვრევებმა ზედ ყურ-
თან გაიზუზუნა. ლევანმა უნებურად

აონსახანინე ლორთქიფანიმა
ნახვრის თვალი

თავზე ხელი წაიფარა და ადგილზე გა-
წეშდა. სიზმარ-ცხადივით ჩაესნა ყურ-
ში შორიდან წამოსული ნამსხვრევების
ნელი შხუილი. მერე ისიც დაინახა, ბა-
ლახმა ერთგან შავი ბოლი ააგდო; ეტ-
ყობა, იმ ადგილას დიდი ნატეხი და-
ვარდა.

მესანგრე ლევან ნადიბაიძე სახიფა-
თო რკალში იმყოფებოდა.

— ვი ჩემი ბრალი! — ამოიხრა
მან: — ჩემიანებმა უნდა მომკლან?!

ლევანი მობრუნდა, იჭაურობას თვა-
ლი მოავლო, იქნებ სადმე თავშესაფა-
რი ეპოვნა. რკინიგზის გადაღმა, ალა-
ღებულ ვალტაშში, ლიანდაგიდან გადა-
ვარდნილი ვაგონი მოსჩანდა. ვაგონი
ნამსხვრევებისგან მიინც დაიფარავს...

მეტი რაღა დარჩენია! ღმერთია მო-
წამე, ერთ კაცს რაც შეეძლო, ყველა-
ფერი გააკეთა... ახლა კი აჭაურობას
უნდა გაეცალოს, თორემ სიგიჟე არ
იქნება, რომ ლევანი ურალში ჩამოსხ-
მული ყუმბარის მსხვერპლი გახდეს?!

უნდა გაეცალოს. ლევანის ადგილზე
ასევე მოიქცეოდა რაინაული, ასე მო-
იქცეოდნენ სხვებიც. შელეგიაე ამასვე
ეტყუოდა...

„ამ ცოდვის კალოზე ფოფხვა და
სიკვდილთან თამაში განა რა მოსაწო-
ნია“, — აჭერებდა თავის თავს ლევანი
და სროლაში მოხვედრილ არეს თან-
დათან შორდებოდა.

გადაბრუნებულ ვაგონს რომ მიუახ-
ლოვდა, ერთი უეცარი ფიქრი გულზე
ლურსმნად დაადგა. საშველი აღარ მის-
ცა.

„შენ თუ მართალი ხარ, ბიჭო, მაშ
რატომ ედავები შენს გულს ასე გამ-
წარებული? ნახევარ საათში შენი ამ-
ხანაგები აქ გაჩნდებიან. ვინ იცის; რამ-
დენი კაცი ტყუილუბრალოდ შეეწირე-
ბა გზის გასაყართან ჩატოვებულ ნაღ-
მებს!“

ამ ფიქრმა ყველა წელანდელი საბუ-
თი და სათვალავი აურია ლევანს, თით-
ქოს მთელი ქვეყანა ხედავდა, რომ იგი
ბრძოლის ველიდან პირშერცხვენილი
ბრუნდებოდა.

ერთხელ ყუბანში ასეთი რამ მოეწი-
თხვა: გზად მიმავალ მესანგრევებს სოფ-
ლის ქალებმა მაწონი დასწავლეს. სი-
მინდი გამოუტანეს. მანკლებს მანკე-
დან ცივი წყალი მოარბენინეს. სტუ-
მარ-მასპინძლები გზის პირას ჩამოსდ-
ნენ. ლაპარაკი გააბეს, სწორედ ამ
დროს ოთხი „ჭინკელი“ სოფელს თავს
დააცხრა.

ხალხი წამოიშალა, დიდმა და პატა-
რამ თავშესაფარისაკენ მოჰყურცხლა.
ლევანიც გაიქცა და საღდაც ბნელ მი-
წურში შევარდა. კარის ამყოლზე შუბ-
ლი კინაღამ გაიხეთქა.

მიიხედ-მოიხედა. ორმაგი ძელჭერით
გადახურულ თავსაფარში კაცის ბაიბუ-
რი არ ისმოდა. ქალები, ბალები, მე-
სანგრეები ჭერ კიდევ ქუჩაში მობრო-
დნენ გულგახეთქილი. ლევანი კი უკ-
ვე სამშვიდობოს გასულიყო, გრილ კე-
დელს სულმოთქმული მიყრდნობოდა
და უყვირდა, აღარ ახსოვდა, ეს როგორ
მოხდა, რომ ყველას გამოვასწარი და
მიწურში პირველი გავჩნდიო...

შერცხვა. „ე-ე. ყმაწვილო, შენ ძალი-
ან მარდი სირბილი გცოდნია!“ — ჩა-
ცლაპარაკა, სირბილში აჩაჩული ხალათი
გაისწორა და მიწურიდან სწრაფად გა-
ვიდა.

თვითმფრინავები დაბლა დაეშვნენ
და უმწეო სოფელს დიდი ყალიბის
ტყვიამფრქვევები დაუშინეს. ლევანმა
ადგილიდან ფეხი არ მოიცივალა, სანამ
ყველანი თავშესაფარში არ შევიდნენ.
ყველანი, ვინც წელან მასთან ერთად
ქუჩაში მობროდა. მერე ჩუმად ჩაიცინა
და თვითონაც მიწურში შეიშალა.

ხალხის თვალწინ სიკვდილიც არ
გეძნელებოა, ამბობს ანდაზა. ვინ იცის,
შეიძლება იმ დღეს ლევანი სირცხვილ-
ში იმიტომ არ ჩავარდა, რომ ბევრი
თვალი უყურებდა...?

ახლა კი ვინ უტყერის ლევან ნადი-
ბაიძეს! იგი სრულიად მარტოა ამ უმ-
თვარო ღამეში. დაკარგული, მიუსაფა-
რი სამი გუთნის გაშლა მიწდორზე.

კაცი ვერ გაიგებს, როგორ მოიქცა
იგი ამ ცოდვის კალოზე. ვინ ეტყვის



სამღურავს, რომ გული შეუკრთა და ხელი ბოლომდე არ გამოიღო; ვინ წამოგაკრავს, რისი გაკეთებაც შეგეძლო, ის არ გააკეთო... ღამეს ენა არა აქვს და თვალი. სხვა მოწმე კი ლევანს არა-ვინ ჰყავს. არავინ!

მაშ რაღას უცდის. დაჰკეცოს ხელსაწყო, შეძვრეს ვაგონში და იერიშის დამთავრებას მოუტყუდოს...

ვერც ამ ფიქრმა დაამშვიდა ნადიბაძე: მართალია, სხვა ვერ დაგინახავს, სხვა ვერავინ გაიგებს, მაგრამ შენი სინდისი რას გეტყვის, შენი სირცხვილ-ნამუსი! ამ მოუშორებელ მოწმეს სადღა გაექცევი!

— მახსოვს, მამავ! — ხმამალა სთქვა ლევანმა, თითქოს ისევ იმ ორ-ლობეში იდგა და მამას ესაუბრებოდა...

მობრუნდა, იდაყვები მაგრად მოუსვა და გზის გასაყართან მალე მიხობდა. სანამ კარგად ინათებდა, ზუთიოდენ ნაღმს კიდევ ამოაცალა შხამიანი ნესტარი. გარშემო კი შეუღებლად წიოდნენ, შხუოდნენ ჩვენი ყუმბარების მამსხვრევები. ლევანი მაინც თავაუღებლად მუშაობდა.

ყუმბარის პირველი ნატეხი მუზარაღზე მოხვდა. ეტყობა, ნატეხს ძალა დაკარგული ჰქონდა, მხოლოდ მუზარადი შეუტყლიტა და თავზე კობი ამოუყვანა. ლევანმა ნატეხზე ხელი მოისვა და ადგილი მოინაცვლა.

მეორე ნამსხვრევი თეძოში მოხვდა. „მგონი, ახლაც გადავრჩი!“ — გაიფიქრა მან. დიდი ტყვიელი არ უგრძენია და არც გულზე შემონთებია ის მცეცხლავი ნაღველი, სასიკვდილო ჭრილობამ რომ იცის.

მუშაობა განაგრძო. მალე გულისრევა დაეწყო და თავი უღონოდ ჩაჰკიდა. ხელს მაინც უფათურებდა ნაღმის უღვაშებს. არ ახსოვდა, ამოაძრო თუ არა ამფეთქებელი ფისტონი.

არც იერიშის დაწყება, არც მისი დამთავრება გულწასულ ლევანს არ გაუგია. ცოტა სული რომ მოიდგა, თა-

ვი წამოსწია და სმენად გადაიქცა. მერამ მხოლოდ და მხოლოდ თავის ყურების წივილი გაიგონა. ნაოძარ აოქმარეს ახლა ისეთი სიჩუმე დაჰვენოდა, თითქოს ჯერ ღმერთს ქვეყანა არ გაუჩენია, შენ კი აქ რა ხმას და კილოს ეძებო...

...ასე გავიდა ერთი-ორი წუთი. მერე კი ლევანის ყურთასმენას ქალის ძახილი მისწვდა... დაჭრილმა მაშინვე სული იკრა, იერიში დამთავრებულა და სანიტარი ქალები დაჭრილ-დახოცილებს ეძებნო.

ქალტამში ჩამხოზილმა ბიჭმა ძალ-ლონე მოიკრიბა და კვენესა დაიწყო, იქნებ ჩემი ხმა გაიგონონო. მალე საამისო ძალაც გამოელა. მაშინ გულის ჭიბიდან პატარა შავი მედალიონი ამოიღო და ბალახებში გადაისროლა. ასეთ მედალიონში ჯარისკაცის გვარი და მისამართი სწერია. მედალიონი ცეცხლში არ იწვის, ადვილად არ ტყდება.

ღონემიხილი ლევანი მხოლოდ ნაშუადღევს იპოვნა სანიტარმა ქალმა. იგი ჯერ კიდევ გრძნობაზე იყო. ქალმა ჭრილობა შეუხვია, მერე გულის ჭიბეზე ხელი მოუხსვა.

დაჭრილი მოცოცხლდა, ჩამქრალი თვალები ქალს მიაპყრო... მიხვდა, ქალი მედალიონს ეძებდა.

— დამეკარგა! — წაიჩურჩულა ლევანმა.

ქალმა წყალი შეასვა და ფრთხილად ჰკითხა:

— რა გვარი ხარ, ძმაო? სადაური... ლევანმა თავი გააქნია.

— არ მინდა დედაჩემმა ჩემი სიკვდილი გაიგოს! — სთქვა მან.

სთქვა თუ გარფიქრა?

სანიტარ ქალს არც მისი სიტყვები გაუგონია და არც ის დაუნახავს, დაჭრილმა თავი გააქნია თუ არა.

ლევანმა კი ისევ გააგრძელა:

— სანამ იცოცხლებს, ამის იმედო

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალნი

მანც ჰქონდეს, შვილი ოდესმე დამიბრუნდებაო...

სანიტარ ქალს არც ეს გაუგონია. ფიქრის გაგონება არ შეეძლება.

თავი მესამე.

ქვეითი მეზღვაურების საველე ლაზარეთი ტყის მჭრელი მუშების ფარდულეებში იყო მოთავსებული. სანამ გერმანელები კავკასიონის უღელტეხილების იერიშს დაიწყებდნენ, ამ ფარდულეებში ყირიმის მთიანეთის ლტოლვილები ათევდნენ დამეს. მერე სადგომები შეაკეთეს, თუჯის ლუმელები დადგეს და ოთხმოცი კაცის საწოლი გამოართეს. ლაზარეთს სამი მხრიდან ნაძვნარი ეკრა, მყუდრო ადგილი იყო, თუმცა ბომბების აფეთქების ხმა აქაც აღვიძებდა ხოლმე ავადმყოფებს, მეტადრე მაშინ, როდესაც მტერი მარუხის უღელტეხილს დაასევდა თვითმფრინავებს.

ერთხელ, ნაშუადღევს, ლაზარეთის ჰიშკარს სამხედრო მანქანა მოადგა. მანქანიდან გენერალი ლესელიძე და მისი მხლებელი ოფიცრები გადმოვიდნენ. მეთვრამეტე არმიის სარდალს წუხელ ჰელენჯიკის გამაგრებული უბანი დაეთვალაიერებინა და ახლა ლაზარეთში გზად შემოევლო. უძილობისაგან თვლების გარშემო შავი რგოლები გასჩენოდა, ნაბიჯიც არა ჰქონდა ისეთი მტკიცე და მოშურებული, როგორც მუდამ სჩვეოდა. სველ მიწაზე ერთიორჯერ ფეხი მოუტუტოდა, ვიღაცამ ხელი მიაშველა.

გენერალს გაეღიმა.

— ასეა ჩემი საქმე?!

ვიწრო დერეფანში ბნელოდა. სანამ სინათლეს მოიტანდნენ, ლესელიძემ კედელს ხელი მოუფათურა, კარი იპოვნა და ოთახში შევიდა, ორი ჯარისკაცი დომინოს თამაშობდა. საწოლებს შუა რძისფერად შედებილი სკამი ჩაედგათ და ხელისგულზე დაწყობილ კოჭებს ჩაფიქრებული დასცქეროდნენ. გენერალი იცვინეს. ერთი მაშინვე წამოდგა, ხალათი შეისწორა და ფეხები სკამს მოა-

ფარა. მოკლე ნაცრისფერ ხალათში ქვედა საცვლის ტოტები მოუჩანდა.

მეორე ჯარისკაცი მხართეძოზე წამოწოლილიყო. მარჯვენა ფეხი შეხვეული ჰქონდა. მარცხენაზე ჰრელყელიანი წინდა ეცვა. ლესელიძის დანახვაზე ისიც წამოიწია და ყვარჯენს წაებოტინა, მაგრამ სტუმარმა დაასწრო, — მივიდა, მხარზე ხელი მოჰხვია და ისევ საწოლზე დაუშვა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო!

— გაგიმარჯოს, ამხანაგო სარდალო!

— რუსულად ხმამაღლა მიუგო პირველმა ჯარისკაცმა.

მეორემ კი ხმის ამოდება ვერ მოახერხა, გაბეცებული მიაჩერდა ლესელიძეს, თითქოს მანც არ სჩვეოდა, რომ მის წინ მათი სალოცავი სარდალი იდგა.

— წინდაზე გეტყობა, ბიჭო, კახელი უნდა იყო! — უთხრა ლესელიძემ.


— ჭიზიყელი ვარ, ბატონო, უფროსი სერჟანტი ნადიბაიძე!

— ნადიბაიძე?! — ჩაჰკითხა ლესელიძემ.

ეტყობა, გვარი ეცნაურა, მაგრამ საიდან? ისევ ახედ-დახედა, ნადიბაიძეს მერე თავი დახარა და წამიერად აქაურობას მოშორდა...

გასაოცარი მეხსიერების კაცი იყო გენერალი ლესელიძე. ერთხელ გაგონალი გვარ-სახელი თუ საბრძოლო თავგადასახადი სამუდამოდ ჩარჩებოდა გულში და ჯარისკაცებთან შეხვედრის დროს სიტყვა არასდროს საძებარი არა ჰქონდა.

...მოაგონდა. კუშტი პირისახე ღიმილმა გაუთბო. ჯერ კიდევ ზამთარი იდგა... ლესელიძეს ამბავი მოუტანეს. ერთი მძიმედ დაჭრილი ქართველი არი-



სკაცი მეზღვაურების ლაზარეთში მოხვდა თურმე... აქ მისი მცნობელი კაცი არ გამოჩნდა. მთელი ორი თვე იმ ჭარისკაცის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ვიდრე კარგად არ მოკეთდა, ვიდრე სიკვდილს არ გამოექცა, თავისი ვინაობა არავის გაუმხილა, „არ მინდა დედაჩემმა ჩემი სიკვდილი გაიგოს“.

— შენა ხარ, ბიჭო ის ნადიბაიძე? ძალიან გყვარებია დედაშენი, — უთხრა ლესელიძემ.

ლევანი მიხვდა, რომ ლესელიძემ მისი ამბავი იცოდა, გულწრფელად გამოუტყდა.

— რა ვქნა, ამხანაგო სარდალო, ნათქვამია, დედის გამომცხვარი კვერი ციმბირშიაც თბილი ჩამყვავა...

— ეგეც მართალია, — დაუდასტურა ლესელიძემ: — ვისაც დედა ჰყვარებია, დედა-ალაგიც იმას შეუწახავს!

მორიგე ექიმს მიუბრუნდა.

— როგორ არის საქმე?

— კარგად, ამხანაგო სარდალო, აქედან მალე გაეწერება.

— ნაწილში?

— არა, ამხანაგო სარდალო. სანამ ჩვენთან მოიყვანდნენ, ბევრი სისხლი დაუკარგავს. ზურგში უნდა გაიგზავნოს, დაისვენოს და ცოტა ძალ-ღონე მოიკრიბოს.

— მაშ თავის სოფელში გაგზავნეთ, დედის ხელს რა წამალი აჯობებს. გამარჯვებით იყავით! — ლესელიძე დაჭრილებს დაემშვიდობა და მეორე პალატაში გავიდა.

მზე მიწურულს იყო, როდესაც სოსანამ წერილების დარიგება მოათავა, კოდის წყალთან ტანსაცმელი დაიბერტყა, ხელბირი დაიბანა და, როგორც წესად ჰქონდა, ყელის გასასველებლად ღუქნისაკენ გაუხვია.

მიმინოს ხევთან საბარგო მანქანა გაჩერდა. კაბინიდან გამხდარი წვერგაუპარსავი ჭარისკაცი გადმოვიდა. შოფერს მადლობა გადაუხადა, მერე საყელო შეიხსნა, ქამარი მხარიღლივ გა-

დაიკიდა და გზისპირს გამოჰყვა. ოდნავ კოჭლობდა, თუმცა ეტყობოდა, რომ არცთუ ისე ძალიან აწუხებდა.

— ნეტა ვისი ბიჭია? — გაიფიქრა სოსანამ.

ხევედღმა კალოთუბნელები ახოსა სტებდნენ. რამდენიმე ადგილას ვეება კოცონი ბრიალებდა, მაგრამ სადღა იყო ბალებების ჭრიამული, ქალების კისკისა, ბერიკაცების გამწვევი გუთნისდღღურ!

ვინ არ იცის, რა ელდა ეცა საქართველოს სოფლებს, როდესაც იმ გაზაფხულს ქერჩის უბედურების ამბავი მოვიდა. კალოთუბანში ოჯახი არ იყო, ყირიმის ფრონტზე ერთი ან ორი შინაკაცი არა ჰყოლოდა. უამბობისა და ლოდინისაგან დაღონებული ხალხი დღე-ღამეს შრომაში ასწორებდა, სიმღერას კი ვერსად გაიგონებდი.

ჭარისკაცს გულზე ეკალივით მოხვდა, რომ ხალხი ასე პირაკშული მუშაობდა. ისმოდა მხოლოდ შოლტის ტყლაშუნი და როგორ გლეჯდა გუთანი მიწაში ჩარჩენილ ფესვებს.

— ვაიმე, ეს ვინ არის! — შესძახა უეცრად სოსანამ, ჩანთა ზურგზე მოიგდო და ვერბვის წყაროსაკენ მოკურცხლა.

დიღმა სიხარულმა დიდი ელდა იცის. ანუკას შეიძლება გული გაუსკდეს, რომ ახლა ერთბაშად დაახლონ, აგერ ორლობეში შენი ლევანი მოდისო... მაგრამ არა, სიხარულს ვინ მოუკლავს! და ფოსტალიონიც გზის შესამოკლებლად ჭერ ნარუალს გაჰყვა, მერე სადღაც მაყვლის ღობეს გადაეველო და ანუკას სახლთან გაჩნდა.

— ანუკავ!

— რომელი ხარ?

მოსიმა ქოშების პაკაბუკი და კიბის თავზე ნადიბაიძეების დედა გადმოდგა. უიშკართან სტუმარი რომ დაინახა, ტუჩების კუთხეებში თავსაფრის ყური გადაისვა და კიბეზე დაეშვა.

— ვერ მიცანი, ანუკავ!

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატარის თვალნი

— სოსანა?!

მოხუცი ქალი შესდგა... და უეცრად ყურებმა წივილი დაუწყო. ეზოში მართლა ფოსტალიონი მობრბოდა, თავიკისერზე ხვითქი გადადიოდა.

— აჰა, ანუკავ, კიდევ დამემდურები? სამახარობლო მერგება, ლევანი ჩამოგივიდა!

— ლევანი?! — შეჰკივლა ანუკამ და ისე მოსწყდა კიბეს, თითქოს ხელი უბიძგესო.

ხვევნი-კოცნით გული რომ მოიჭერა, ანუკამ შვილს ხელი გაუშვა, განზე გადაგა და ერთხელ კიდევ შეათვალიერა იგი.

— მოგიკვდა, შვილო, ჩემი თავი, როგორ გამხდარხარ!

— შენი მოხვეული ხინკალი მომაბრუნებს, დედი! — ჩაიციხა ლევანმა. უეცრად ანუკას ქმარი გაახსენდა. სად გადაიფეხვა ის ბებერი! წელან აქ იყო და ჰიგოს სხევადა.

— ზაქრო, სადა ხარ, კაცო!

ზაქარიას ესმოდა ცოლის ძახილი, შვილიც დაინახა ეზოში შემოსული, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა. უხმო ჭკითინმა სული შეუღუბა, ყბებმა ცახცახი დაუწყო. ბელის კედელს მოეფარა, არავინ დამინახოსო. სანამ დედა-შვილი ერთმანეთს ეხვეოდნენ, იგი ბელელთან ატუზულიყო და სტიროდა თუ იცინოდა, კაცი ვერ გაიგებდა. როგორც იქნა გულს მოერია. ხმის ჩასაწმენდად ერთი-ორჯერ ჩაახველა და კედელს მოსწყდა. ეზოში მეზობლები ირეოდნენ. „ჩემი მიხა ხომ არსად შეგხვედრია, გენაცვალე?“ ეკითხებოდა ვილაც და მხარზე ხელს უთათუნებდა. ისევ ისე ქაქანებდა ფოსტალიონი: „— ჰა, კიდევ დამემდურები, ანუკავ!“ მან უკვე სამჯერ შეიწმინდა ულვაშები და სამჯერ გადაჰკოცნა ლევანი. იქვე ტრიალებდა რაიონული გაზეთის ფოტოგრაფი სოლიკო ნადიბაიძე — ლევანის გარე ბიძაშვილი, თათრულ გოგრასავით თავწაგრძელებული ლუჩუნა ბიჭი.

შირაქის ცოფიან მზეს ლორივით გამოეყვანა მისი პირისახე. ლევანის ჩამოსვლა „გამარჯვების“ სადგურში გაეგებოდა და მაშინვე გამოქცეულიყო.

— ე, კაცო, გაზეთი მიცდის! ერთი დამანახვეთ ეს კაცი და მერე ჰკოცნეთ, რამდენიც გინდათ! — იხვეწებოდა იგი და სადგამზე გამართულ ვეება ფოტოაპარატს ლევანს ზარბაზნისვით უმიზნებდა.

— ჩამოხველ, შვილო! — მოისმა ამ ქრიამულში ზაქარიას ხმა.

— ჩამოველ, მამავ...

ერთმანეთს ბეჭებზე ხელი დაადეს და ჩუმად გადაეხვივნენ.

ანუკას მხოლოდ ახლა მოერია ცრემლი.

— რა გატირებს, დედაკაცო! — დაუტატანა ზაქარიამ. დაავიწყდა, წელან თვითონ რა დღეში იყო: — თუმცა რას იზამ, ცრემლი თქვენი მოგონილია, თქვე გასაწყვეტნო!

მერე მეზობლებს მიუბრუნდა, შინ შემობრძანდით, შვილის დაბრუნება დამილოცეთო. დატრიალდნენ მეზობლები, ვინ საკლავი წამოაქცია, ვინ ქვევრის მოხდა დაიწყო, ვინ კიდევ შინ გაიქცა, ხილი და ჩურჩხელა გადმოიტანა. სადამოხანს წვიმა წამოვიდა, სეტყვაც გამოურია, მაგრამ შეაკურუხა ღრუბელმა მალე გადაიარა და ზეცა ისევ მოიწმინდა.

თეო ცოცხალ აგუნდავებს. დიდი ძველებური ბუხარი მხიარულად გუგუნებს, ვარცლზე თავდახრილ ქალს ლოყები წითლად უპრიალებს.

მალლიდან ფეხების ფრატუნი და სკამების ხმაური ჩამოდის. „ნეტა სად დაეტევა ამდენი ხალხი?“ ფიქრობს თეო და ფანჯარაში იცქირება. ჭრაქი ისევ კიაფობს ჰიშკართან და მის შუქზე ეზოში აჩრდილები ჩამოდიან.

ანუკა მაქოსავით დარბის აქეთ-იქით. ხან დისწულებს გასძახის, სკამები გადმომიტანეთო, ხან კიდევ განჯინაში სანელებელს ეძებს. მერე უცბად ტრიალი წასკდება და სულის მოსათქმელად საჩხეში ჩამოჯდება.



გვიანი მთვარე კავკასიონის თოვლი-
ან მწვერვლებს შემოადგა. ბრწყინა-
ვენ, კრიალებენ მწვერვლები და ისე
ახლოს სჩანან, თითქოს ეს მთები ალ-
აზანს გაღმა გამოსულანო. თბილ ნი-
ავს მინდვრიდან ურო-ბალახის მათრო-
ბელა სუნი მოაქვს. როგორ იცის წვი-
მის შემდეგ გადარევა იმ დალოცვილ-
მა. მიწას ვერ აშორებია და ამოდენა
ჭვეყანას კი საკმეველივით შეჭვნია.
სადაც ბალის სიხშირეში იადონის
ნელი ძილისპირული ისმის, სძინავს
სოფელს. მხოლოდ ქვემოთ, მიმინოს
ხევთან, მწყემსი ბიჭები კამეჩებს აძო-
ვებენ. მშვიერი საქონელი ისეთი ბლლა-
ძა-ბლლუქით ჰგლეჯს ბალახს, გეგონე-
ბა, მინდორს ხნავენო.

ოთახიდან შუქი გამოიჭრა. კარგად
გამობრუქულმა ზაქარიამ კარებში ბე-
ჭები ძლივს გამოატია და კიბეზე ჩა-
ბარბაცდა. ახალუხის გულისპირი გაუ-
ხსნია. ხელები შარვლის სათავეში ჩა-
უკრეფნია და რაღაცას ბურღუნუნებს.
ერ რა წესია, შუაქეიფში სუფრის მი-
ტოვება. შვილისა თუ აღარ მოერიდა,
სტუმრების ხათრი მაინც დაიდოს! მაგ-
რამ სიხარული ერთ ადგილზე არ აყე-
ნებს ზაქარიას. აგერ ორთვალას წაე-
ჯახა და კონკილა გამოაცალა... მყუდ-
როში დაბმულ უშობელს გადაებოტა.
მერე უეცრად ცერებზე შედგა, ულ-
ვაშის ბოლო თითზე დაიხვია და ისე-
თი დასჭყვილა — ჰაიტი! — ლედვებ-
ზე დაბუდებული ქათმები ერთობლივ
აკრიახდნენ. თვითონაც არ იცის, რა
უნდა, რას დაბორილობს ეზოში ამ
შულამისას. საჩეხს რომ ჩაუარა,
ხვრინვა მოესმა. მიიხედა, სკამლოგინ-
ზე სოლიკოს ეძინა. მთელი დღის ნარ-
ბენ-ნაშიმშილე ფოტოგრაფს ღვინო
მალე მოეკიდა და თვალის მოსატყუ-
ებლად საჩეხში წამოწვა.

ზაქარია ერთბაშად მიტრიალდა და
ქორივით თავს დააცხრა მძინარეს.

— სო-ლიკოჯან... ადექი! რამე უნდა
გი-თხრა!..

ფეხზე ხელი დაავლო და სკამიდან
გადმოათრია.

— მოიცა, კაცო! ვინა ხარ, ვინა გი-
და! — იყვირა სოლიკომ.

— სუ-რათი მინდა, ბიჭო!.. სუ-რათი
გადამიდე! — ენის ბორძიკით აუწყა
ზაქარიამ.

— სურათი?! — ღვინისა და ძილი-
საგან გაბრუებული ფოტოგრაფი აზ-
რზე ვერ მოვიდა, რა უნდოდა მისგან
მასპინძელს. დამფრთხალი კრუტავდა
თვალებს და სკამლოგინს ებლაუჭებო-
და.

— სურათი მაშ! ახხ-ლა ვარ, ბიჭო,
ბედ-ნიერი... გახარებული! ახლა უნდა
გადამილო! გაიგე, რას გეუბნები!..

— ამ შულამეში რა გამოვა, ძია
ზაქრო?

— გამოვა! რატომ არ გამოვა... რო-
ცა გულს უხარია, ყველაფერი გამოვა!
— თუხთუხებდა ატაცებული მოხუცი
და ფოტოგრაფს ეჯაჯგურებოდა.

ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა
მათი ამბავი, რომ საჩეხში ანუკა არ
შემოსულიყო და უცნაურად აზირებუ-
ლი ქმარი შინ არ შეეყვანა.

ზედა სართულზე ფანჯრები მიხურეს
და მალე იქიდან მოგუდული ძველი
სუფრული მოისმა.

ხმადაბლა მღეროდნენ, რომ დამწუხ-
რებულ სოფელს მოლხენილი ხმა არ
გაეგონა.

გოგოლა არსად სჩანდა. ლევანი მი-
ხვდა, იგი სოფელში არ იყო, თორემ
აქამდე შინ რა გააჩერებდა...

დედას წასჩურჩულა:

— იცი თუ არა, დედაჩემო, რომ
შენს გარდა ერთი ქალი კიდევ მიყ-
ვარს ამ ქვეყანაზე.

— ვიცი, გენაცვალოს დედა!

— მერე?

— არავის არ დაგვიჯერა, შვილო.
აიყოლია ნინო და მთელი კომკავშირი
შეაწირიალეს, ფრონტზე წასვლა გვინ-
დაო... ამ გაზაფხულზე თბილისში სა-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალში



ნიტარული კურსები დაამთავრეს. ახლა სადღაც აფხაზეთში არიან. ამას წინათ წერილი მოიწერა, ჩვენი ნაწილი მალე ფრონტზე გაემგზავრებოდა... მთლად დაცარიელდა სოფელი. გაზაფხული და ზაფხული ისე გავიდა. ერთი ჯვარისწერა არ ყოფილა!

ლევანს გული ჩაწყდა. ყველაფერს იფიქრებდა კაცი, მაგრამ თუ გოგოლა ასე მიუშვებდა საბელს, ნამდვილად არ ეგონა. სანიტარ ქალს ბრძოლის ველზე რამდენი ჭირი და ხიფათი ელოდება, რა მიუსაფარი ცხოვრება და ბედშავობა!

გაუძლებს გოგოლა ამ განსაცდელს?! არ გასულა ორი წუთი, ამ შიშს უფრო მწარე და აუტანელი გრძნობა დაემატა, — ლამაზ გოგოს არშიყი და მიჯნური სად არ გამოუჩნდება! დაუწყებენ თვალების ქუქუნს, დააყრიან მაცდურ ქათინაურებს...

ლევანის გონების თვალი უკვე ხედავს არა მიწაზე გაკრულ გოგოლას, ტყვიების ზუზუნში რომ მიიჩქარის დაჭრილი ჯარისკაცის საშველად... მის ეჭვიან გულს მხოლოდ ერთი სურათი ელანდება: როგორ ეკურკურება ლევანის საცოლეს ვიღაც თავქარიანი ლეიტენანტი...

მაგრამ წარსული, კარგი წარსული დროზე მიეშველა ლევანს.

რა არ გაახსენა გულამღვრეულ ჯარისკაცს!

მაშინდამდე დადებული ფიცი, წიფლისწყაროს ბაღში დამშვიდობების წუთები და გოგოლას უეცარი გადაწყვეტილება, ხელი მოვაწეროთო...

ფიქრი უკვე წაღმა ბრუნავდა.

„ჩემი ვაჟკაცი გოგო!“ — ამოფეთქა ლევანმა, სავსე ჭიქას ხელი დაავლო და სულმოუთქმელად გამოკალა.

— ეწყინება, შვილო, ბიძინას! ერთი სიტყვით მაინც დაგელოცა! — წასჩურჩულა დედამ.

— ახლავე გამოვასწორებ, დედაჩემო, ჩემს შეცდომას! — ლევანმა ღვინო დაისხა და თამადას გასძახა, ხალხი გამიჩუმეო...

ავგისტოს დამლევს ეჭვი — ლევანს...
ლი ჯარისკაცი კიდევ მოველინა კალოთუბანს. მხოლოდ ცოტა უცნაური ის იყო, სანამ კარგად არ დაღამდა, ამ ჯარისკაცმა უზანის მუხნარიდან ცხვირი ვერ გამოჰყო. ტყისპირა ჩირგვებში იმალებოდა და თუ სადმე ახლომახლო ადამიანს დალანდავდა, მისი ლითონის სასტვენს ისეთი რაკრაკი გაჰქონდა, ბულბულის გალობისაგან ვერ გამოარჩევდი. ეტყობა, იგი ტყეში მარტო არ იყო, რალაც ნიშანს აძლევდა უჩინარ ამხანაგებს.

...და როცა უმთვარო ღამეს წინაველის დაუღლევი ჭრიჭინები დაეპატრონენ, ჯარისკაცი მაშინდა გამოვიდა საფარიდან, ფრთხილად გაჰყვა ბნელში მიკარგულ ბილიკს. ყველაფერზე ეტყობოდა, იგი ამ ღარტაფებში ხამა მგზავრი არ იყო. იცოდა ყოველი მისახვევ-მოსახვევი, დაქანება თუ შეღმართი. ერთი კენჭი არ გაქცევია მისი ჩექმის წვერს, თუმცა მთელი უზანის ხევი სავსე იყო ნარიყალი თუ ნატეხარი ქვა-ღორღითა.

ჯარისკაცი თავიდან ფეხამღი იარაღში იჯდა.

თოფი.
წელზე — სამი ხელყუმბარა.

საველე ჩანთაში — პირამდე გატენილი გრძელი სავაზნე მჭიდები.
დურბინი.

საგზალი.

მხარ-ილივ — მაგრად დახვეული ფარაჯა, და მაინც ისე მიაბიჯებდა, თითქოს ფეხზე თივა-ჩაფენილი ქალამნები ეცვა.

ასეთი ჩუმი სიარული (და განა მარტო სიარული) ამ ჯარისკაცს საგანგებოდ შეასწავლეს, ვიდრე იგი უზანის ხევიში მოხვდებოდა.

ბნელი და მყუდრო ღამე იყო. არსად სინათლე, არსაიდან სულიერის ხმა, მაგრამ სიბნელე და სიჩუმე სიფხიზლეს არ უქარგავდა ხევიში მიმავალ ჯარისკაცს.



ერთი მოშვებული, მოდუნებული მოძრაობა არ წასცდენია მის დაძაბურულ ტან-ფეხს; მხოლოდ დიდი ძალა, ან დიდი შიში თუ შეპყრავდა ასე ერთხორცად ადამიანის სახსარ-იოგებს.

ეგრე ფრთხილად ჩაათავა მან ხევის პირზე დაკიდებული ბილიკი და შარავნაზე გავიდა. აქაც ყველაფერი სდუმდა, თუმცა ჯარისკაცმა მაინც არავითარი შეღავათი არ მისცა თავის თავს.

მთელი ნახსამი კვლავინდებურად დაძაბული ჰქონდა, თითქოს ბეწვის ხიდზე გადიოდა. მერე უეცრად ერთიორჯერ წაიკოჭლა; ჩემი კენესაც ამოხდა...

შეჩერდა... ჩემქმის წვერი მიწაზე გაუსვ-გამოუსვა, — როგორც ჩანს, მარჯვენა ჩემქმაში ფეხსახვევი ცუდად ჩაეკეცა. ნაოჭები დაყარა და თითები დაუჭიკჭიკა.

ჯარისკაცმა ამ პირსაც გაუძლო და, სანამ კალოთუბნის წყაროს არ მიატანა, ერთი მუხლი არსად ჩახარა, მაგრამ, როგორც კი სოფლის ორღობეში შეაბიჯა, — თხრილის პირას ჩაჭდა, ჩემქმა გაიძრო, ფეხსახვევი გაისწორა და ისევ გზას დაეშურა.

წითელი დათა კაკუნმა გამოაღვიძა, ბალატის ფანჯარას ვილაც მისდგომოდა და გაუბეღავად აკაკუნებდა.

„გარეშე კაცი არ უნდა იყოს, თორემ ძალლი ქვეყანას დააქცევდა!“ — გაიფიქრა დათამ და ფანჯარა გამოაღო.

— რომელი ხარ?!
— მამავ! — წასჩურჩულა სიბნელემ.
— ვალიკო?!

წითელმა დათამ სული ვერ მოითქვა; გულმა ისეთი ბაგაბუგი დაუწყო, ერთი ხანი ხმა ვერ ამოიღო.

— მე ვარ, მამავ, ნუ გეშინია! — მიეშველა ვალიკო.

— შეილო...
— კარი გამიღე; სახლში სტუმარი ხომ არავინ გყავს? ლამბა არ ანთო!
...არ გასულა ორი წუთი, ისინი უკვე

ოთახში ისხდნენ და პირველი სიხარულის ელდას ინელებდნენ.

— ცაში მართლა ყოფილა... რომ ბედმა არ გამწირა და შენი თავი ცოცხალი დამიბრუნა! — ბუტბუტებდა ვულაჩუყებული დათა: — საწყალი ღედაშენი კუთაზე შეიშლება. რაც შენი წერილები აღარ მოგვდის, მისი თავსაფრის ყური მშრალი არ მიწახახავს...

— იცოდე, მამავ, ჩემი გამოჩენა კაცმა არ უნდა გაიგოს! ღედას რაგორ დავემალე, თორემ მასაც კი არ ვეჩვენებოდი! გააფრთხილე, მეზობელს გაცივებული ტუჩ-პირი არ დაანახავს...

სიხარულისაგან თავდაკარგული მამა ახლა კი ჩაუფიქრდა ვალიკოს უცნაურ ლაპარაკს.

— რა მოხდა, შეილო, დასამალავი რა გვაქვს! საიდან მოდიხარ! — კეთხა დათამ. შეშფოთება მაინც არ დაეტყო მის ხმას, მამის მოლხენილმა გულმა აგრე ადვილად კალაპოტი არ გამოიკვალა!

— ტყვედ ვიყავ, მამაჩემო! ახლა მეტს ვერაფერს გეტყვი. ძალიან დავილაღე. ორი ღამის უძილო ვარ. ცოტა დამასვენე და მერე ვილაპარაკოთ...

ტახტზე გაეგდო და შუაღღემდე ისე ეძინა, გვერდი არ შეუცვლია. მერე ზეზეურად წაიხემსა და მამასთან ერთად პატარა მარანში ჩაიკეტა...

...გუმინწინ, ნაშულამეგეს, პარაშუტისტების ჯგუფი, ორი ქართველი და ერთი გერმანელი ჯარისკაცი, — უზანის ხევში გადმოსხა ფაშისტების თვითმფრინავმა.

დივერსანტების ჯგუფს ვალიკო ყანჩაშვილი მეთაურობდა.

იმ დღის მერე, რაც გერმანელებმა საქართველოს სამხედრო გზა გადაკეტეს, ივრის ხიდს (ფოილოს ხიდთან ერთად) დიდი ფასი დაედო. მაშველი ჯარი, თოფ-იარაღი და სურსათ-სანოვაგე საქართველოში ბაქოს მხრიდან შემოდიო-

აონსტანბინე ლოკმთიზანიჰ ნატვრის თვალნი

და. ვალიკოს ჯგუფს ივრის ხიდი უნდა აეფეთქებინა.

წითელი დათა ყურებს არ უჯერებდა, თავზარდაცემული შესცქეროდა ვალიკოს და ფიქრობდა:

„მე კი მეგონა, ჩემზე ბედნიერი კაცი მეორე არ იყო ამ ქვეყანაზე! დაკარგული შვილი დამიბრუნდა, ჩემი ძირი და ფუძე მაინც არ მოიშალა-მეთქი! ამას კი თურმე თავისი დასაკლავი დანა თვითონვე აუღესია!“

წუხელ ცოტა კი გაუკვირდა დათას, რომ შვილის ხმას, ნაქცეურობას მაინც და მაინც დიდი სიხარული არ ემჩნეოდა. ფთებდა მეტი იყო, ვიდრე შინ დაბრუნების შვება-სიამე.

— ახლა შენ უნდა მიშველო, მამავ, — ეუბნებოდა ვალიკო ერთმანად ჩამქრალ დათას: — დაღამდება თუ არა, შეკახზე ცხენი და, მუხიანის პატარა კორომი ხომ გახსოვს! ისინი იმ კორომში იმალებიან. აგერ სასტვენი. ამის ხმას რომ გაიგონებენ, საფარიდან გამოვლენ. ქართველ ბიჭს შახიას ეძახიან. უთხარი, რომ ნაშუალამევს წამოვიდნენ...

— სად უნდა წამოვიდნენ! — შეცბა წითელი დათა.

— შენი მარანი გეკვირდება, მამაჩემო! აქედან იორიკ ახლოა, ერთ ღამეში მოვასწრებთ მისვლა-მოსვლას.

— რას ამბობ, ბიჭო! ივრის ხიდი რომ ააფეთქოთ, მიწას გახეთქავენ და მაინც გიპოვნიან!

წითელ დათას ერთბაშად მუხლებში მოუსავდა, ტახტზე უღონოდ დაეშვა.

— წითელი დათას მარანზე ექვს ვერავინ მიიტანს მამაჩემო! დიდხანს არ შეგაწუხებთ! ორ-სამ კვირაში გერმანელებიც შემოვლენ და... ვალიკო ყანჩა-შვილის მამას სამეფო ტახტზე დააბრძანებენ! გაიგე ჩემი სიტყვა!

გაუგებბარი რა იყო, მაგრამ უფროსმა ყანჩაშვილმა ცეცხლი მოასვენა, — ცოტა ხანი იყუჩა, რომ ძალ-ღონე მოეკრიბა, იგი უკვე გრძნობდა, თუ ვალიკოს ვერაფერს შეასმენდა, ყველა ჯოხი მისი ოჯახის თავზე გატყდებოდა. გულწრფელად უთხრა:

— არა, შვილო, კომუნისტებს ჩემზე კარგად ვინ იცნობს! ისინი კომუნისტებს საქართველოში არ შემოუშვებენ! დარიას მოადგენო, — მაგის იმედი ნურავის ექნება! როცა მაგენი უკან იხევენ, საშიში სწორედ მაშინ არიან! ეშმაკმა არ იცის, რა მახეს დაგიგებენ! ტყუილად კი არ ყვირიან, გამარჯვება ჩვენ დავგრჩებო...

ამ სიტყვებს იმდენი რწმენა და გულდაჭერება ჩაახვია წითელმა დათამ, რომ ვალიკოს მწარედ გაელიმა.

— შენ რა სხვანაირად ამღერებულხარ, მამაჩემო?

— სიმართლეს ვერ გაეცევი!

— რა სიმართლე, მამაჩემო! შენ, გეტყობა, არ იცი, რომ გერმანელები უკვე შეიჭრნენ აფხაზეთში?

— აფხაზეთი შორს არის, შვილო. სანამ ისინი ჩვენამდე მოაღწევენ, კარის მეზობლები მამაშენს გახურებულ შამფურზე წამოაგებენ. მთელი ქვეყანა ფეხის წვერზე დგას, არაფერი დაიმალება!

ჩაფიქრდა. ერთბაშად ვერ გადასწყვიტა, ეთქვა თუ არა დიდიხნის ნაფიქრალი. ბოლოს ისევ გულახდილობა ამჯობინა.

— ეგეც არ იყოს, ბიჭო, მაგ ღვთის გარეგან ფაშისტებს მაინც ჩვენი მთავრობა მირჩევნია. ისინი, კაცმა არ იცის, ტახტზე დამაბრძანებენ თუ არა! ამათ ხელში კი რა მაკლია, სახელი თუ ქონება?! კაცი მქვია და სოფელი ჭკუას მეკითხება! გამიგონე, ვალიკო, შენი დაბრუნება მეღირსა, ცოცხალს გიყურებ, ბიჭო! ასჯერ გამოგიტირე ჩემად ამ მარანში, რომ დედაშენს ჩემი ზღუქუნი არ გაეგონა. რად მინდა სიცოცხლე, ან ეგ სავსე სახლ-კარი, თუ შენ ჭკუას არ მოიხმარ და ეშმაკის გზას დაადგები! კომუნისტებს ერთ სიკეთეს მაინც ვერ წაართმევ; დასჯაც იციან და შენდობა-პატიებაც!

— შენი სიბრძნე შენთვის შეინახე, მამაჩემო! წადი თუ მიდიხარ! არადა, მე გამიშვი! მათი დაღალატება არ შეი-



ძლებს! — გულჯავრიანად უთხრა ვალიკომ.

— წავალ, შვილო, რა თქმა უნდა, წავალ! მე ისეთი გზები ვიცი...

წითელი დათა რატომღაც აფორიაქდა. ერთმა უცაბედმა აზრმა ცხრა ნაბაღზე გადააფრინა უკვე გათავებული კაცი.

— შენ სად წახვალ, შვილო! ფეხები რას გიგავს, ახლავე თხის ქონს მოგიტან. მარნიდან სწრაფად გავიდა. თითქოს ეშინოდა, ნაფიქრალი პირისახეზე არ დამეწეროსო.

კვანძის ერთი წვერი უკვე მოიგდო ხელში წითელმა დათამ. ახლა წინ ვერაფერი დაუდგება. მან უკვე მოიფიქრა, როგორ უშველოს ვალიკოს...

ჭერი კიდევ დღეს სული ედგა, ცხენი შეკაზმა და უზანის ხევს მიაშურა.

უზანის ხევს?

გათენებას ბევრი აღარაფერი აკლდა, როდესაც მამა და შვილი მარანში ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

— რა ჰქენი, მამავ! — ჰკითხა ვალიკომ.

— გადაგარჩინე, შვილო, სამუდამოდ გადაგარჩინე! — წითელი დათა ცდილობდა, რაც შეიძლება მშვიდი ძაფები ჩაეფინა ხმაში, მაგრამ ვალიკო ხედავდა, გადარჩენის მახარობელს ტუჩ-პირი უთრთოდა და თვალები სადღაც განზე მიჰქონდა.

— რა მოხდა, ბიჭები სად არიან!

— საღაც უნდა იყვნენ!.. ჯანდაბაში, მოუსავლეთში! — ცოტა არეულად მიუთვო მამამ.

წითელ დათას უყვარდა გადაკრული ლაპარაკი, თუმცა ახლა რა საამისო დრო იყო! ვალიკო მაინც ბოლომდე ვერ ჩაუღრმავდა მამის უხიაგ პასუხს. რამდენი ათასი წელიწადი იქნება, დედამიწა ბრუნავს და ჭერი ღერძი არ გამოვარდნია. მაშ რაღა წუხელ გაუწყებოდა ღმერთი, რომ მოუხდენელი მომხდარიყო...

მაგრამ წყენა მაინც დაეტყო ვალიკოს.

— შენ რა არაკებს მეუბნები, თუ არა ჩემი ხალხი!

— მე იქ არ ვყოფილვარ, შვილო!

— მაშ სად იყავი აქამდე?!

— ჩოხელი ვნახე და ყველაფერი ვუთხარი.

— რა ყველაფერი?!

— თქვენი ამბავი... არაფერი არ დამიმაღავს! მაშინვე შეჰყარეს გამანადგურებელი ბატალიონის კაცები და მუხიანის კორომს ალყა შემოარტყეს.

— რას ბოდავ, შე უღმერთო!

ვალიკომ მეტი სიტყვა ვერაფერი იპოვნა და მხოლოდ თვალები, შეშლილი თვალები მიაცივა მამას.

— სიკვდილი აგაშორე, ბიჭო! ისინი უკვე ჩახოცეს ჩოხელის რაზმელებმა. ბევრი უძახეს, იარაღი დაჰყარეთო, დაგვნებდითო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. პირველად მათი მხრიდან გავარდა თოფი, სროლა ეგრე არ უნდაო და... ამგენმაც დაუშინეს, ორი კაცი, აბა, ორმოც კაცს სანამდე გაუმკლავდებოდა!

— რატომ დამლუპე, მამავ! — ამოიგმინა ვალიკომ, ორივე ხელი თავში დაიკა და კედელს მიაწყდა!

— დაგლუპე კი არა, სიცოცხლე გაჩუქე, შე სულელო! ჩოხელმა ხატზე შემომფიცა, რახან შენი ბიჭი იმ დივერსანტებს გადაუდგა და მათი სამალავი მიგვასწავლა, უკვე შეწყალება დაიმსახურა და ხელს არავეინ ახლებსო...

— უღმერთო... ურჯულო!

— ისინი მაინც შორს ვერ წავიდოდნენ... მათი ბოლო ეს უნდა ყოფილიყო! ვალიკო მოტრიალდა... წითელ დათას ფერი ეცვალა, იმდენი წამება და უიმედობა ჩამდგარიყო შვილის გამოხედვაში.

— ჩემი ბოლო უარესი იქნება, შე უტვინო კაცი!.. უარესი! შენ როგორ ფიქრობ, ფაშისტები ასე ალა-ალად მენდობოდნენ და საქართველოში გამომიშვებდნენ?! ჩემს ცარიელ სიტყვას და-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ნაბჯრის თვალნი

უჭერებდნენ?! შენი ფუტურო ფიცი და პირობა ვილას მოატყუებს!

ვალიკო სკამზე დაყრილ ტანსაცმელს მივარდა, ხალათს კინადამ სახელო მოაგლიჯა, ისე გიჟურად გაუყარა მკლავი.

წითელმა დათამ არ იცოდა, რა დაუჯდა ვალიკო ყანჩაშვილს მათი გულის მოგება და ნდობის მოპოვება. რაღა არ იკისრა, რომ ტყვეთა ბანაკში როგორმე თავი გაეტანა და უზომო შრომისა და შიმშილისაგან სული არ ამოხდომოდა.

ნისმა მამუკარა ენამ მთელი ბანაკი მოსწვა. ერთხელ ყური მოჰკრა, ტყვეებმა პირი შეჰკრეს და გაქცევის აპირებენო, — მაშინვე ბანაკის ზედამხედველთან გაიქცა...

ღონემიხდილ ამხანაგს ზელს არ მიაშველებდა, რომ გერმანელები საბოლოოდ დარწმუნებულიყვნენ ვალიკო ყანჩაშვილის ერთგულებაში. ვინ დათვლის, იმ წელიწადს რამდენი კაცის ცოდვა მოიკიდა წითელი დათას საფიცარმა ბიჭმა.

შარშან გაზაფხულზე ბანაკში ორი წითელი კომისარი დახვრიტეს.

გერმანელი ჯარისკაცების მხარდამხარ, მწკრივში, ვალიკო ყანჩაშვილიც იდგა, ხელში გერმანული ავტომატი ეჭირა და კომისრებს უმიზნებდა. იქვე ტრიალებდა ფოტოგრაფი და ამ სისხლიან ღრეობას სურათებს უღებდა.

სანამ საქართველოში გამოფრინდებოდნენ, ვალიკო ყანჩაშვილს საიდუმლო პოლიციაში დაუძახეს; მისი „კაიკაცობის“ ერთი-ორი სურათი აჩვენეს და უთხრეს, — თუ ჩვენი დავალება არ შეასრულე, ან ღალატი იფიქრე, — ამ სურათებს საბჭოთა დაზვერვას გაუგზავნიანო...

ეს ყველაფერი არ იცოდა წითელმა დათამ და, გული ვერ იხმო, ასე რატომ ბორგავდა შვილი და პირიდან ცოფსა ჰყრიდა.

— ჩემი ამხანაგები ბრძოლაში მაინც დაიხოცნენ! მე კი, კომუნისტებმა ხელში თუ ჩამიდგეს, სადღაც ჭურღმულში

დამხვრეტენ! აი, რა მიყავ, მამაჩემო! — ღრიალებდა იგი.

საველე ჩანთას პირი მოუჭრა და მხარზე მოიგდო.

უკვე გათენდა, მაგრამ წვიმის ღრუბელი მარანში სინათლეს მაინც არ უშვებდა.

კიშკართან ძალმა დაჰყვდა.

ვალიკო კედელში დატანებულ პატარა სარკმელს მივარდა. დილის ბურუსში თვალი მოატანა ეზოსთან მომდგარ ცხენოსან კაცებს.

— ნუ გეშინია, შვილო! ერთს დაგკითხავენ და თავის გზას ეწევიან! — დაამშვიდა დათამ.

ვალიკოს მისი სიტყვები არც გაუგონია. თოფს ხელი დაავლო და კარი გამოაღო.

მისდა-საუბედუროდ, ქართულ მარანს ძველთაგანვე მუდამ ერთი კარი ჰქონდა.

გაიქრა თუ არა, — ეზოში შემოსულ ჩოხელს შეეფეთა. არ ესროლა, თოფის ხმაზე მთელი სოფელი შეიყრება და ყველა გზა-ბილიკს შემიკრავნო...

— გაჩერდი, ბიჭო, სად გარბიხარ! — შესძახა ჩოხელმა. იგი ისე დანდობილი შემოვიდა ეზოში, ერთი რაზმელიც კი არ შემოჰყოლია.

ვალიკომ ხმა არ გასცა, სახლის კიბეს ჩაუბრინა და უკანა ეზოს მიაშურა.


ჩოხელი წამში მიხვდა, წითელი დათას ბიჭი დანებებას არ აპირებდა.

— არ გაუშვათ! — გასძახა რაზმელებს და თვითონაც უკან გამოუდგა.

ვალიკო ყანჩაშვილის დევნა-სირბილი დიდხანს არ გაგრძელებულა. ყორზე შეხტომა კი მოასწრო უბედურ დღეზე გაჩენილმა ბიჭმა, რომ რაზმელის ტყვიამ უკანვე გადმოაგდო.

სოფელი არ დაესწრო ვალიკო ყანჩაშვილის დასაფლავებას. კუბოს წამლები კაცი არ გამოჩნდა. მერაბ ზარიძეც კი არ გაეკარა მგლოვიარე ოჯახს. მხოლოდ ეგ იყო, წიფლისწყარო მოიარა და სოფლისაგან გარიყულ მამას მესაფლავეები დაუჭირავა.

დასაფლავების მეორე დილას კი წი-



თელი დათა მკვდარი იპოვნეს პატარა მარანში, სანადირო თოფის ლულა პირში ჩაედო და სადათვე ჟაკანს ნახევარი თავის ქალა ჭერში აეტანა.

შუაგულ მარანში კაცის განავალში ახელილი ოქროს თუმნიანები ეყარა. მეფის დროინდელი ოქროს თუმნიანები.

სანამ დათა ამ ქვეყნიდან წავიდოდა, სამალავიდან ცისფერი ქილა გამოიტანა, სოხანეზე დააპირქვა და ზედ ტანიდან დაიკალა.

ოცდაექვს აგვისტოს შავ-ბნელი დილა გაუთენდა საქართველოს. გერმა-

ნლებმა გადმოლახეს მარუხის ზეკარი და სოფელ ფსუხში შეიჭრნენ. ჯერ კიდევ დაღამებული არ იყო, ფსუხში შეჭყარეს სამი დარჩეული სამთო პოლკი და უკვე ქალაქ სოხუმს დაადგეს თვალი.

მაშინ კი მართლა დაცარიელდა კალოთუბანი. სოფელში აღარ დარჩა ერთი ხანდაკრული მამაკაცი, ვისაც კი თოფის ტარება შეეძლო და მკლავი ერჩოდა.

ლევანსაც გულმა შინ აღარ გაუძლო. პირველ სექტემბერს ერთხელ კიდევ დაემშვიდობა დედ-მამას და გზას გაუდგა.

თავი მეთხუთსი

სამხედრო კორესპონდენტის ჩანაწერი

კაცმა რომ მკითხოს, დამისახელე ერთი ქართველი ჯარისკაცი, ვინც ომის წლებში ყველაზე მეტად დაგამახსოვრდაო, ბევრი ფიქრი და ძიება არ დამჭირდება, — მაშინვე თვალწინ დამიდგება მშვერავი ლევან ნადიბაიძე.

მართალია, მკობთა მკობნი არ დაილევა, მაგრამ ეს ქიზიყელი ბიჭი ყველაში იმიტომ გამოვარჩიე, რომ იგი ცოტა სხვანაირი ზნისა და თვისების კაცი იყო.

სხვანაირი.

გამბედაობა იყო თუ გამჭრიახობა, ლევან ნადიბაიძე არავის არაფერში ტოლს არ დაუდებდა, მაგრამ მან ჩემი ყურადღება უპირველეს ყოვლისა იმითაც მიიპყრო, რამ იგი უკან, შინისაკენ არ იხედებოდა და სხვებივით წარამარა არ ოხრავდა, ეს დასაქცევი ომი როდის დამთავრდებაო.

„როცა დამთავრდება, მაშინ დამთავრდება!“ — იტყოდა იგი და მეორედ ამ საგანს აღარ მიუბრუნებოდა.

ნადიბაიძე სხვებზე მალე შეეგუა ომის ჭირ-ვარამს. იგი ადვილად მოერგო ბულიდან ამოვარდნილ ცხოვრებას

და ამ მიწურიდან, ამ ტალახიან სანგარიდან სხვაგან არსად არ მიეჩქარებოდა. ამიტომ იგი ბრძოლაში საშიშარი კაცი იყო. მშვერავების უსტაბაშმა არსენა შელევიამ მითხრა, ვისაც ნადიბაიძე ამოიჩემებს და თვალს დაადგამს, მერე იმას ველარაფერი უშველისო.

ეს არ იყო ლიტონი სიტყვა, რაშიდაც მალე დავრწმუნდი; მხოლოდ ჭერ მინდა გავისხენო ჩვენი პირველი შეხვედრა ჩერქეზეთში, ფსეკუფსის ტყეში, სადაც თავი მოიყარა ჩვენმა ჯარმა, რათა „ცისფერი ხაზის“ სუსტი ადგილები მოეხინჯა.

წვიმდა. დიდი წიფლის ძირში შელევიას ვესაუბრებოდი. ამ დროს ჩვენთან ერთმა ახალგაზრდა ლეიტენანტმა მოიხრინა და არსენას უთხრა:

— არ ვიცი, რა ვუყო ამ ნადიბაიძეს! ღამის ძიებაში მიპყვება ბიჭებს. ჭირი მოვკამე, ნუ წახვალ-მეთქი... ჩემი სიტყვა ყურში არ შეუშვა. გუშინწინ ჰოსპიტლიდან გამოეწერა, ცოტა მოკეთ-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალი

დეს და მოსულვირდეს... იქნებ შენ მოელაპარაკო, არსენ. ხომ იცი, ახლა მაგის გაშვება არ იქნება! გამწარებულ გულზე შეიძლება იქ რამე ვერ მოზომოს და თავი წააგოს!

— მე კი დამიჯერებს?!
— შენი დიდი ხათრი აქვს.

— კარგი, ახლავე წამოვალ, — უთხრა შელეგიამ, მაგრამ სანამ წავიდოდა მე გულმა არ მომიტმინა და ვკითხე, ვინ არის ეგ ნადიბაიძე, ორი მეთაური რომ ვერ აკავებს-მეთქი.

— ჩვენი მზვერავია. ძალიან კარგი ბიჭია. წამოდი, ვაგაცნობ, ამას წინათ დიდი უბედურება დაატყდა თავს! შენ თვითონ გამოელაპარაკე...

— დაღამდება, მანქანა არ მომიცდის.

— არ წააგებ. მზვერავად დაბადებულაო, რომ იტყვიან, სწორედ ეგ არის!

— ეს კაცი პოეტად დაბადებულაო, ასე კი გამოიგონია, ჩემო არსენ. თუ მზვერავსაც ღვთის მაღლი სჭირდებოდა...

— სჭირდება, სჭირდება! — შემაწყვეტინა შელეგიამ: — თუ ეს ეგრე არ არის, მაშინ მისცა ამ ჯეღ ბიჭს ამდენი მიხვედრა და გულისყური! ცხრაჯერ ჩანასკვლ ამბავსაც რომ გადააწყდეს, გუმანი არ უღალატებს! სანამ მზვერავთა ათეულში ჩარიცხავდნენ, ბატალიონის შტაბში ტელეფონისტად მუშაობდა, კაცი ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ერთხელ...

ერთხელ იერიშზე გადასულ ბატალიონს ტელეფონის ხაზი გაუწყდა. ნადიბაიძემ და მოისმა თანაშემწემ დაზიანების ადგილი მალე იპოვნეს, მავთულის თავები ერთმანეთს გადააბეს და უკან გამობრუნდნენ.

გზაზე ნადიბაიძის ყურადღება იელის ბუჩქებმა მიიპყრო. ეს იყო ხევის პირას. იელის ფოთოლსა და ყვითელ ყვავილებს ალაგ-ალაგ ჰქნობა შეპარვოდა...

რატომ მაინცა და მაინც ხევის პირას მოიწყინა იელმა და არ მოიწყინა,

ვთქვათ, აგერ იმ ფერდობზე, ან იქ, გზის გასაყართან, ან კიდევ რაღაც რას...

საითაც არ უნდა მიატრიალო ეს დუბინდი, იელი ყველგან თამამად ბრიალებს და მხოლოდ ერთგან, ხევის პირას გასწყრომია ღმერთი და ყურები ჩამოუყრია!

რა არის ეს, ბუნების ახირება თუ კაცის ნამრუდალი?

— რაიმე მზაკვრობა რომ იყოს, უეჭველად გვესროდნენ, — სთქვა ნადიბაიძის ამხანაგმა: — ჩვენ იმ ხევს ძალიან ახლოს ჩავუარეთ!

ნადიბაიძე არ დაეთანხმა.

— ორნი ვიყავით და იმიტომ არ გვესროლეს. ერთი წვეთი წვიმა ჰქეპა-ქუხილად არა ღირსო! აბა ოცი და ორმოცი კაცი ყოფილიყო!

ამხანაგს გაეცინა:

— ე, ბიჭო, ბუზი სპილოდ ნუ გადააქციე! ეს ამბავი არსად წამოგდდეს, თორემ მასხრად აგვიგდებენ, ნამეტანი შეშინებიათ!

ნადიბაიძემ უკან არ დაიხია, დაცინვას კაცი არ მოუკლავსო, სთქვა და ნაწილში რომ დაბრუნდა, თავისი დაკვირვება მზვერავთა ასეულის მეთაურს გაუხიარა. არსენას ეს ამბავი ჰკუთნი დაუჯდა, მაშინვე შეკრიბა ათი-თორმეტი კაცი, წაიღო ხელის ტყვიამფრქვევი და იმ ხევის დაყოლებაზე ტყუილი იერიში მიიტანა. არსენას ბიჭებმა ჯერ სროლა გაახურეს, მერე ღრიანცელი ატეხეს და სანგრიდან ჯოხებზე ჩამოცმული მუზარადები ამოსწიეს... შემშკნარი იელის ბუჩქებმა მაშინვე ხმა ამოიღეს. მოისმა მძიმე ტყვიამფრქვევის დაგადუგი, წამოვიდა ნაღმების სეტყვა...

ამ პატარა ეშმაკობამ ძალიან საშიშარი ძელმიწური გამოამყვანა. შელეგიასა და ნადიბაიძეს მაღლობა გამოუცხადეს. იმავე საღამოს შელეგიამ ბატალიონის მეთაურს პატაკი მისცა და ლევან ნადიბაიძე მზვერავთა ათეულში გადაწერეს.

— ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა, — განაგრძო არსენამ: — სანამ ის ამ ბა-



ვი მოხდებოდა, ლევანზე უფრო თავშეკავებული და აუღელვებელი კაცი ასეულში მეორე არ მყავდა, ყველაფერში ვენდობოდი. შარშანდელი ზამთარი ჩვენ შედარებით წყნარად გავატარეთ სემიგორის მიდამოებში. წინ არც ჩვენ მივდიოდით და არც ისინი იკლავდნენ თავს. დროდადრო ავტომატების ბათქა-ბუთქით თუ შევეხმიანებოდით ერთმანეთს. ცოტას გავისეირნებო, მეტყოდა ხანდახან ნადიბაიძე, მეც არ ვუშლიდი ხოლმე. იგი შეეჩვია ერთ სოფელს, სადაც რუმინელები იზამთრებდნენ, და ამ „სეირნობის“ დროს საჭირო ცნობებს აგროვებდა. ერთი წითელი დროშის ორდენი სწორედ იმ წყნარ ზამთარში მიიღო ლევან ნადიბაიძემ.

ერთხელ ისეთი ოინი გაუყეთა რუმინელებს, ვაკვირვებას გადაჩვეულმა ბიჭებმაც კი პირი დააღეს.

...იმ ღამეს ლევანი დაზვერვიდან ბრუნდებოდა. ნახევარი გზა უკვე მოილა, ფათერაკს პირი არ უჩანდა, ნელა მოაბიჯებდა ჭერ ისევ გაუწმენდელ ნაჯახში, რომ უეცრად პატარა ფერდობის ძირში ორი რუმინელი სალდათი დალანდა. რაღაც ბარაკს ყარაულობდნენ.

შარშან მთაში ყინვამ ჭერ კიდევ ნოემბერში დაჰკრა. რუმინელებმა მთელი ფიჭვნარი საშეშედ წააქციეს და ის არემარე ისე გამოატიტვლეს, მიწის ზემოთ თითქოს აღარაფერი დატოვეს. თვალსაც მეტი სარბიელი მისცეს. პარტიზანი კი არა, ამიერიდან მიწისპირზე თავი ვერ გადაირბენდა შეუმჩნევლად.

ღობეებიც აპყარეს, გზისპირებზე ჩაშვებულ ეკალბარდებს ბენზინი გადაასხეს და გადასწვეს, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი ვეღარსად დამალულიყო.

ახლა ამ ტრამალ მინდორზე ერთი კაცი, შეიძლება, ალიაქოთს კი ასტეხდა, მაგრამ მერე აქედან თავცოცხალი გააღწევდა თუ არა, ეს კიდევ საფიქრებელი იყო.

ყოველ შემთხვევაში ამოცანას ორად ორი სწორი პასუხი ჰქონდა:

პირველი: ნადიბაიძე ჩუმად უნდა გასცლოდა აქაურობას.

მეორე: მოეკლა ორივე და გაქცეულიყო.

გაიქცეოდა კი?

თოფი გავარდება თუ არა, ხეობაში მეორედ მოსვლა დაიწყება. განგაშის ხმა წინა ხაზის ყველა საგუშაგოს ფეხზე დააყენებს და ნადიბაიძეს გზას შეუკრავენ... ამიტომ ასეთ დროს, მზვერავის სახარების ენით რომ ვილაპარაკოთ, „თავის გამქლავება მიზანშეწონილად არ ჩაითვლება“, თუ, რასაკვირველია, ამ სიფრთხილეს სხვა რაიმე მოსაზრება არ გადასწონის.

ნადიბაიძემ კი ორივე გზას გვერდი აუარა და მესამე გამოძებნა, ერთი შეხედვით ყველაზე ძნელი და სახიფათო, მაგრამ ყველაზე სრულად და მკაფიოდ სწორედ მაშინ გამოჩნდა, თუ რა გამჭირიახი და წინდახედული ჯარისკაცი იყო ლევან ნადიბაიძე.

ნოემბრის დამლევს საავიაციო დაზვერვამ გვაცნობა, მტერმა ქერჩის სრუტეზე მაშველი ჯარი გადმოიყვანაო. ჩვენი დივიზიის სარდლობამ ორჯერ მოაწყო ღამის ძიება, მოენე გვინდოდა, მაგრამ ბიჭები გაწბილებული დაბრუნდნენ. ფეთიან რუმინელებს ვერსაიდან ვერ მიუღვინე.

ნადიბაიძემ იცოდა, რომ ერთი ტყვე-ჯარისკაცი პირდაპირ მონათლავდა ჩვენი შტაბის ოფიცრებს. ამიტომ იმ ბარაკთან ბევრი ჯანჯალი არ დაუწყია. გაჰკრა-გამოჰკრა ხელი საანგარიშო კოჭებს და იქვე გადასწყვიტა, აქედან ხელცარიელი არ წასულიყო.

მაინც როგორ, რანაირად?!

ბარაკის სიგრძე ოცი-ოცდახუთი მეტრი იქნებოდა. ბარაკის თავსა და ბოლოში მდგომარე გუშაგები ერთმანეთს კარგად ზედავდნენ. მხოლოდ ხანდახან, პირველი გუშაგი სიარულს რომ დაიწყებდა, მცირე ხნით ბნელში აღანდულ კომბაინს მოეფარებოდა. ეტყობოდა,

აონსტანდინე ლორთქიფანიძე
ნახვრის თვალი

ომამდე ამ ჭალაში სამანქანო სადგური იყო დაბინავებული. ეზოში ბლომად ეყარა ვეება თვლები, ძველი საბურავები და რკინის ხარახურა.

ბატალიონში ლევან ნადიბაიძეს ზოხვის მომგონს ეძახდნენ. და მართლაც, ვისაც არ უნახავს, თუ როგორ მიცურავს მიწაზე ეს შირაქელი ბიჭი, იგი ძნელად დაიჯერებს იმ ღამის ამბავს. შარშან საველე მეცადინეობაზე ნადიბაიძემ პირდაპირ გააგებია კაპიტანი გელოვანი. სანაძლეო დასდეს, — კაპიტანს თვალები აუხვიეს, შუა მინდორში დასვეს და უთხრეს, აბა თუ გამოიცნობ, ნადიბაიძე რომელი მხრიდან მოგეპარებაო... ბევრი იტრიალა კაპიტანმა ნაპურალში, ყურებსაც ბევრჯერ წამოათარა ხელისგულები, მაგრამ, სანამ ნადიბაიძემ ჩექმაზე ხელი არ შეავლო, მან გეშიც კი ვერაფერზე მიიტანა.

აქაც ასე მოხდა.

კაშკაშა ღამე იყო. ასეთმა ღამემ შუქიც ბევრი იცის და ჩრდილიც. ნადიბაიძე ეზოში ადვილად შეიპარა, ცოტა სული მოითქვა და, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, მათი ზნე-ჩვეულების შესწავლა დაიწყო.

ნადიბაიძეს ვერავითარი დაბრკოლება ვერ ათქმევინებდა, ბევრი ვეცადე, ამ კარებს კი გასაღები ვერ ვუპოვნეო. შენ ოღონდ ძებნა დაიწყე და საპოვნელი წინ დაგხვდება!..

საფარში განაბული ლევანი თვალს არ აშორებდა რუმინელებს.

საღდაც ეზოს გადაღმა ზანტად წამოიყვება ნამძინარევა ძაღლმა. პირველი გუშაგი ამ დროს კომბაინის ჩრდილში იდგა. ძაღლის ყეფამ დააფეთა თუ რა მოეჩვენა, — იგი მაშინვე შეეხმინა მეორე გუშავს. გასძახ-გამოსძახეს ერთმანეთს და ეტყობა, დაწყნარდნენ. არ გასულა დიდი ხანი, ახლა მეორე გუშავს დაეტყო მოუსვენრობა. წამოდგა, კისერი წაიგრძელა და გაქვავდა.

— ამას რაღა მოელანდა? — გაიფიქრა ლევანმა.

ეზოში ბალახიც კი არ გაფაჩუნებულა, ყურში მხოლოდ სიჩუმე წიოდა,

გუშაგი ისევ დაეშვა მორზე და ლევანიც დაწყნარდა, გუშაგებმა შიში და ფეხობა უკვე მოათავესო... მაგრამ კარს მორზე ჩამომჯდარი რუმინელი ისევ წამოდგა, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ხუთი-ექვსი ნაბიჯი გადადგა, თითქოს რაღაცას ეპარებოდა. ბარაკის კუთხის კედელთან მივიდა, ისევ წაიგრძელა კისერი და მთვარის შუქში გახვეულ ღამეს ყური მიუგდო. ეტყობა, ასეთი მუნჯი ღამე მანაც აფორიაქებდა ჯარისკაცის გულს.

ლევანი თითქოს მიხვდა და ვერც მიხვდა მათი ფორიაქის საიდუმლოებას.

— ან პირველად არიან ღამის საგუშავოზე, ან კიდევ აქაურობას კარგად არ იცნობენ და ასი ყური გამოიბეს! — გაიფიქრა ნადიბაიძემ.

ასე მოუსვენრად ხამი გუშაგები არიან ზოგჯერ. სანამ გარემოს არ შეეჩვევიან, გული საგულეში არ ჩაუღებებათ.

ასე იყო თუ ისე, ნადიბაიძეს ერთიცა და მეორეც ხელს აძლევდა. ადრე თუ გვიან ისინი ამ გადაჭარბებულ სიფრთხილეს თავს მიანებებდნენ.

რა არის საშიში? არაფერი... და სწორედ ეს არაფერი გაუხსნის ხელ-ფეხს ამ გუშაგებს: ელდა გაცივლის, ცოტა უფრო გათამამდებიან და მერე მათი ამ ღამის ცხოვრება ისე აეწყობა, როგორც ლევან ნადიბაიძე ვარაუდობს. მანამდე კი ისინი ასე მოუსვენრად იქნებიან...

გავიდა ერთი საათი. გავიდა ორი საათი... აგერ თითქმის მიიღია ზამთრის გრძელი ღამე, ბარაკთან კი ჭერ არაფერი შეცვლილა. პირველი გუშაგი ისევ იმ კომბაინს უტრიალებს, მეორე რუმინელი კი ნაკლებად მოძრაობს. მუხლის გასამართავად ცოტას გაივლის, ან იქვე ბარაკის კედელს მიეყრდნობა. მერე ისევ მორზე დაეშვება და გაყუჩდება. ხანდახან თითო-ორჯერ სიტყვას თუ გადაუგდებდნენ ერთმანეთს, თორემ სხვა მხრივ ყველაფერი უცვლელად იყო.

ნადიბაიძე უკვე დაეკვდა, ვაი-თუ



ანგარიში შემეშალა და ამ თხრილში ტყუილ-უბრალოდ გავითოშეო.

ერთი გაუთავებელი ნახევარი საათი კიდევ გავიდა... მერე კი ლევანმა თვალი მოათანა, მეორე გუშაგმა კედელზე ჩამოკიდებული ჩანთა ჩამოიღო და კომბაინს მიაშურა... არ გასულა დიდი ხანი, ორივენი გვერდი-გვერდ ისხდნენ ვეება საბურავებზე, გემრიელად ილუქმებოდნენ და თან ჩუმად რაღაცაზე ხეიხინებდნენ.

აი, სწორედ ამ წუთს ელოდა ლევან ნადიბაიძე: როცა ისინი დაწყნარდებოდნენ და მყუდროში ერთად მოქუჩდებოდნენ... რუმინელებმა ვერაფრის სუნი ვერ დაიკრეს, სანამ ბარაკის კედელთან მათზე დაღირებული თოფი არ დაინახეს.

იმწამსვე წამოხტნენ და ხელები მაღლა შეჰყარეს.

„არამცთუ ბარაკთან, რუმინელი სალდათები მერეც ჰკვიანურად მოიქცნენო“, — მიამბობდა ნადიბაიძე; მგონი ჩემზე უფრო ისინი ჩქარობდნენ, აქურობას რაც შეიძლება მალე გაცვალოთო... ისე გამორბოდნენ, ნაღველა კინაღამ ჩამექცა...

წვიმამ ლაბარაკი არ დაგვაცალა. ისეთი თქეში წამოვიდა, სიგარეტი სახელოში ვერ დავმალე. ერთი წვეთი მაინც დაეცა და თამბაქო ხელში ამიზილა.

მოსასხამში გავეხვიეთ და ნაბიჯს ავუჩქარეთ.

დაღამდა.

ბევრი ვიწვალეთ, სანამ ვიწრო ბონდზე გავიდოდით. ბნელში ტალღები არა სჩანდნენ, მხოლოდ უხეფები გვცემდა პირისახეზე..

არსენამ თქვა:

— დღეში ორჯერ გავდივარ ამ ბეწვის ხილზე, მაინც ვერ დავიმასხოვრე, რა და რა ადგილას არის ჩელტი ჩამტვრეული! აბა, ერთი ნადიბაიძეს ჰკითხე, ზეპირად გეტყვის ყველაფერს! „ეტყობა მართლა ვარგა ის ბიჭი!“

— გავიფიქრე მე.

გაღმა რომ გავედით, წინ საღდაც შენიღბული სინათლის მკრთალ რჩი ზოლი შეირხა, სველ შემოიბრინა და გაუჩინარდა.

— მოვედით, — სთქვა არსენამ და გზიდან გადაუხვია. ახლომასლო კაცის ბაიბური არ ისმოდა, მხოლოდ ის ლურჯი ზოლი ისევ დაფათურობდა და ისევ წვიმდა გადაუღებლად.

დროდადრო მდინარის მხრიდან ქარი წამოუქროლებდა და სველ ფოთოლს თავ-პირში მომაბნევდა.

— ცოტა ხანს აქ მომიცადე, ცუდი ჩასასვლელია, — სთქვა არსენამ და წვიმაში საღდაც გაჰქრა. მერე კარმა გაიჭრიალა, არსენამ ნავთის ფარანი მომაშუქა, სრიალა ფერდობზე ჩამიძღვა და მიწურში შემიყვანა.

მოსასხამი მოვიხადე. არსენამ სკამი მომაწოდა, დაბრძანდითო, მერე საველე ტელეფონის აპარატს მიუჯდა. სანამ გააგონებდნენ, სახელურს კარგახანს ატრიალებდა. ნადიბაიძე მოვიდესო, უთხრა ვიღაცას.

მივიხედ-მოვიხედე. აქ დაბრძანება და დასვენება მართლაც რომ შეიძლებოდა. მიწურის პირობაზე არსენას სადგომს დასაწუნი არაფერი ჰქონდა. ორი სკამლოგინი, სუფთა ქვეშაგები, მაგიდა, სკამები, კედლის თაროზე პატარა სარკე, სამართებელი, საპონი, ფუნჯი, — დაჭეჭი და მთელი კვირის ჯაგარი ხელდახელ მოიშორე.

საღდაც კუთხეში მგონი თუნუქის ღუმელსაც მოვატანე თვალი. მაღლა რომ ავიხედე, ისეთი კოჭები დავინახე, ერთმანეთზე ორმაგად დაწყობილი, უკეთესი ნუ გინდა. ეს მიწური „ჩოხის ქილებს“ კი არა, ქვეყნის დაქვეყას გაუძლებდა.

გერმანელები დღე და ღამე თავზე გვყრიდნენ ერთი ციციქნა გრანატებს. ისინი ბატიბუტივით ფეთქდებოდნენ ხან აქ, ხან იქ, ოლონდ მტრისას, ვინც იმას გადააწყდებოდა: ჩოხის ქილისოდენა იყო, ძალა კი მხეცისა ჰქონდა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ნატვრის თვალი



არსენამ შემატყო, რომ მისმა ბინამ თვალი მომტაცა და ჩუმად ჩაიცინა:

— ამ ერთში მაინც გამომადგნენ ეს ძალიწვილები! რაც აქედან მოუსვენს, ცოტა კაცურად მძინავს. ხან აი ასეთ მორთულ ბინას დამახვედრებენ, ხან კედევ იმისთანა წითელ ბორღოს დამიტოვებენ, დასალეგად არ მემეტება! ერთხელ პატეფონიც კი არ დაიშურეს, აქაოდა, ჩემო არსენავ, მაგ ღვინოს კარგი სიმღერაც მოუხდებო. ერთი სიტყვით, ხომ ატყობ, ამ სოფელში გამოზამთრებას აპირებდნენ, მაგრამ...

კარებთან ვიღაცამ ჩაახველა.

— შემოდი! — გასძახა არსენამ.

შემოვიდა მაღალი ტანის ბიჭი. შემოსვლისთანავე არსენას გამოეკვიმა და ოდნავ ხრინწიანი ხმით მოახსენა, სერჟანტი ლევან ნადიბაიძე გეახლათო.

— გამარჯობა, — უთხრა არსენამ: — წავიდნენ, თუ წვიმის გადაღებას უტდიან?

— მე მიცდიან, — მიუგო ნადიბაიძემ.

თვალი ძლივს მოვატანე, ისე ჩუმად ჩაიცინა არსენამ.

— შენ დარჩი, ლევან. აგერ გაზეთიდან კაცი მოვიდა, შენთან ლაპარაკი უნდა.

— როგორც თქვენ ბრძანებთ, ამხანაგო კაპიტანო! — მიუგო ნადიბაიძემ.

— რომ არ გიბრძანო და მხოლოდ მეგობრულად გთხოვო? — ჰკითხა არსენამ.

— მაშინ მეც მეგობრულად ვეტყვოდი ამ ამხანავს, ლაპარაკის ხასიათზე არა ვარ-მეთქი! — წარბშეუხრელად მიუგო ნადიბაიძემ.

— კარგი, — ამოიოხრა არსენამ: — ბრძანებდა ჩათვალე, რაც გითხარი. — მერე ჩემსკენ მოტრიალდა: — წავალ, ბიჭებს გავისტუმრებ და მალე დავბრუნდები. მანამდე კი მასპინძელი შენ იყავ, ლევან. ცხელი ჩაი თუ გინდათ, ყველაფერი მანდ არის!

წავიდა.

ნადიბაიძესთან მარტო დავარჩი, ცოტა ნირი წამიხდა და კორეხის ხმა ვერ ამოვიღე.

ჯარისკაცებთან გამოლაპარაკება და საერთო ენის გამოახება არასოდეს არ მიჭირდა. საუბრის სათავეს ხელად მივაგნებდი და, რავინდ ენადაჭერილი კაცი არ შემხვედროდა, ბოლოს მაინც ავალაპარაკებდი.

ახლა კი, ამ ორი კაცის საუბარს რომ დავესწარი, ეს ნადიბაიძე ცოტა სხვანაირ ბიჭად მომეჩვენა და პირველი სიტყვა საძებარი გამიხდა.

არადა, ასე ერთი შეხედვით, ნადიბაიძე ძალიან მომეწონა. უპირველეს ყოვლისა, თვალში მეცა მისი მხედრული აღნაგობა. ბეჭები რომ შეარხია და მეთაურს გამოეკვიმა, ერთ კაცად მარტო ეს ღირდა.

მწვეარივით ბიჭი იყო, ტანხმელი და ძარღვიანი. ჩვენში სწორედ ამისთანა ბიჭზე იტყოდნენ, ერთი ფეხი რომ დაჰკრას, პავლია ჩიხლაძის ლობეს გადააბტებო. პავლია ჩიხლაძის ლობე-ყორე ყველაზე მაღალი იყო სოფელში. გზაზე ცხენიანი კაცი რომ ჩაივლიდა, პავლიას ეზოდან მარტო მისი ჩაბალახი გამოჩნდებოდა.

ლევან ნადიბაიძე კი უფრო იმიტომ მომეწონა, რომ მისი ქცევა და სიტყვა-პასუხი მოკლებული იყო იმ შემბორკავ სალტეებს, რაც მუდამ თან ახლავს ჯარში დაწესებულ უფროს-უმცროსობას.

ნადიბაიძეს თავისუფლად ეკირათავი, ამავე დროს მისი ეს თავისუფლება სავსე იყო კაცური ღირსებით, უფროსის პატივისცემით და არა იმ საძაგელი შინაურულობითა და ძმაბიჭობით, უფროსთან შეთამამებულ ხელქვეითს რომ ახასიათებს.

— იქნებ მართლა ჩაი გნებავთ? — მკითხა ნადიბაიძემ, თუმცა, ეტყობოდა, მაინცდამაინც არც მასპინძლობის გუნებაზე იყო.

— კი დავლევდი ერთ ქიქას. — ვთქვი მე.



ნადიბაიძემ თოფი კუთხეში მიაყუ-
და, სველი ქუდი მუხლისთავზე დაი-
ბერტყა და ღუმელთან აფუსფუსდა.

— მაშ თქვენ მწერალი ხართ? —
მკითხა მან.

— ჰო, გაზეთში ვმუშაობ!

— უცნაური ხალხი ყოფილხართ ეს
მწერლები! — სთქვა მან და ისე ამ-
ხედ-დამხედა, თითქოს ახალა დამი-
ნახაო: — ან არ იცით, რა არის ომი, ან
კიდევ გინდათ, რომ წამკითხველს თვა-
ლები აუჭრელოთ!

— მაინც რას გვიწუნებ, ჩემო ლე-
ვან? — ეს ჩემო ცოტა გამიჭირდა,
მაგრამ კაცის გულთან მოკლე ბილიკს
ვეძებდი და უკან აღარ მოვიხედე.

— წაიკითხე ღღევანდელი გაზეთი?

— მთელი ღღე გზაში ვარ, ვერ მო-
ვასწარი! — ვუთხარი მე, თუმცა მო-
სასწრები რა მქონდა, ნახევარი გაზე-
თი ჩემი დაწერილი იყო.

ნადიბაიძემ უბეზე ხელი გაიკრა და
ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო.

— აბა უყურე, რასა სწერს! „ჩვენი
ბიჭები ვეფხვებივით ჩაუხტნენ სანგ-
რებში გერმანელებს და ხელჩართულ
ბრძოლაში მრავალი ათეული ფაშის-
ტი გაჟლიტეს. მარტო ერთმა მებრძო-
ლმა ანდრო ჩიქვინიძემ ჩვიდმეტი გე-
რმანელი გამოასალმა წუთისოფელს“.

...ჩვიდმეტი გერმანელი! ვიწრო სანგა-
რში, ერთმა კაცმა, ისიც ხელჩართულ-
ში! ეს რომ ასე იყო, პატივცემულო
უფროსო, მაშინ ამ არამზადებს აქ რა
მოიყვანდა, ჩვენი სახლის ყურის ძირ-
ში?!

— მაშ თქვენი აზრით...

— არა, მოიცათ! — შემაწყვეტიან
მან: — თქვენ სხვანაირად არ გამი-
გოთ! ჩვიდმეტი კი არა, მე ვიცი ერ-
თი მეტყვიამფრქვევე, ორჯერ და სამ-
ჯერ ჩვიდმეტიც რომ დაუწვენია! მაგ-
რამ ეგრე კი არა, აქ რომ სწერია! კა-
ცო, იმ ვიწრო სანგარში მოტრიალება
არ გინდა, ან ავტომატის ხმარება, ან
გრანატის მოქნევა! ეს ჩვიდმეტი კაცი
ხელ-ფეხშეკრული ხომ არ ეყარა მი-
წაზე!

— ზოგჯერ ჩვენც გვეშლება ხოლ-
მე!

— ეს არ უნდა შეგეშალოს, ვინმეს
გინმეს ჰგონია, ამით ჯარისკაცს ვებ-
მარებო, აქაოდა, გერმანელის მოკე-
ლა ძალიან ადვილიაო! სად და როგორ
— ეს თუ ვერ გაარჩიე, წამკითხველი
არ დაგიჩერებს! განა მე არ ვიცი, რომ
გამოუცდელ მებრძოლს გამხნეება და
წაქეზება სჭირდება. მაგრამ ასე კი
არა, ცარიელი სიტყვების რახარუხითა...

მინდოდა სათქმელი ბოლომდე ეთ-
ქვა, ამიტომ აღარ შევედავე, ვაითუ
დაფრთხეს და მთლად გაჩუმდეს-მეთ-
ქი.

— იცით, ერთხელ არსენამ რა გაა-
კეთა! მაშინ ეს ჩვენი ბიჭები ახალი
ჩამოსულები იყვნენ. ჯერ თოფის ხმაც
არ გაეგონათ. იმ ღღეებში მტერმა პი-
რი იბრუნა და გაიქცა. ერთი ჰაიპუთით
დავედევნეთ, ხან სად შევიმწყვდიეთ
და შავი ღღე დავაყენეთ, ხან სად... მა-
გრამ ბიჭები გაკვირვებულნი იყვნენ,
ეს ამდენი ტყვია სად მიდისო, დახო-
ცილებს რატომ ვერ ვხედავთო. არსე-
ნამ კი იცოდა, რაშიც იყო საქმე! გაქ-
ცეულები წილებზე ფეხს იდგამდნენ,
რომ ჩვენ მკვდარი გერმანელი არ და-
გვენახა — აქაოდა, გერმანელს თქვენი
ტყვია არა ჰკლავსო! მოკლულები მა-
შინვე თან მიჰქონდათ მესაფლავეთა
ოცეულებს და ჩუმად მარხავდნენ. მა-
შინ არსენამ რაზმი გამოჰყო და იმ მე-
საფლავეებს გზა მოუჭრა. მკვდარმა კი
არა, ცოცხლებმა ვერ გაგვასწრო! ვნა-
ხეთ, რა ვნახეთ! მთელი მინდორი გვა-
მებით იყო მოფენილი. „აბა, თუ არა
ჰკლავსო!“ — სთქვა მაშინ არსენამ.

გაოცებული შევეყურებდი ამ ახალ-
გაზრდა ბიჭს. გამახსენდა არსენას სი-
ტყვები: — ლევან ნადიბაიძის ხელში
ჩემი მტერი ჩავარდაო, — თუმცა ჩა-
ვარდნილა და ეგ არის...

კარდალაში წყალი აჩუხჩუხდა.

— მობრძანდით, — მითხრა ნადი-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატარის თვალი

ბაიძემ და მაგიდაზე თუნუქის ვეება ტოლჩები შემოდგა. მალე იმ ტოლჩებს მხარი დაუმშვენა კონსერვის ქილებმა.

ლევანმა პური დაჭრა, მერე საიდანაც ხახვის თავები გამოაძვრინა.

— მდიდარი ხალხი ყოფილხართ, — ვთქვი მე.

— სასმელის მეტი არაფერი გვაკლია. სასმელსაც იშოვიდა კაცი, მაგრამ ამ ბოლო დროს ხელი მოგვიჭირა ჩვენმა მეთაურმა.

არსენამ დაიგვიანა, ნადიბაიძემ მართო ვერ დამტოვა, მოხბათრა და ძალაუნებურად კაი გრძელი საუბარი გამოგვივიდა.

ბოლოს გავბედე და ვკითხე:

— თუ კაცი ხარ, მითხარი, წელან იმ ბიჭებს რატომ არ გაგაყოლეს?

შევატყვე, ჩემი კითხვა არ ესიამოვნა. მაგრამ რატომღაც არ გამიჩუმდა.

— ომმა სიკვდილის მეტი რა იცის, მაგრამ სიკვდილიც არის და სიკვდილიც! რაც მე ამას წინათ ამბავი დამემართა... ისეთი შეცდომა ჩავიღინე, ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია...

თავი ჩალუნა და თოფის კორას ჩხიკინი დაუწყო. კაცი ახლა მკვლარით იყო და მეც აღარ მივეძალე, ასეთი რა მოხდა-მეთქი. მანაც კარგა-

ხანს იყუჩა და მხოლოდ წასვლისას მითხრა, ხვალ გათენებინა, მივლივარ, ერთად წავიდეთ.

„სადაც გინდა, იქ წამოგყვები, ოღონდ ეგრე ნუ გამიჩუმდები, ჩემო ლევან!“ — გავიფიქრე მე.

არ გამიჩუმდა. ეტყობა, ამ ბიჭს რალაც დიდი სათქმელი აწუხებდა და ახლა იგი თვითონ ეძებდა კაი გამგონე კაცს.

ნაშუადღევს იმ სოფელში ვიყავით. ნადიბაიძემ დანგრეული ეკლესიის ეზოში შემიყვანა, ერთი ზის ძირას გამაჩერა და მითხრა, მე რომ ჭკუა მქონოდა, აქ ეს საფლავი არ გაითხრებოდაო.

გული ჩამწყდა, ამ მგელივით ბიჭმა იმდენი ნაღველი ამოაყოლა სიტყვას.

წვიმას უკვე ჩაეზნე და მიწისპირთან გაესწორებინა საფლავის ბორცვი;

ხმა აუქანკალდა. უცბად შემომხედა და გამიღიმა. თვალებში კი ცრემლი ედგა. იმ უადგილო ღიმილმა უდროო ცრემლის შეწყწარება მთხოვა.

ასე გავიცანი ყოფილი შირაქელი ტრაქტორისტი ლევან ნადიბაიძე. არ მეგონა, თუ იმ საშინელი ომის დღეებში გაავებულ ჯარისკაცს ამდენი სიწმინდე და სულიერი სიფაქიზე შერჩებოდა. აი, რა მიამბო იმ საღამოს ლევან ნადიბაიძემ.

თავი მეშვიდე

ზაფხულის ბრძოლები რომ დამთავრდა, ლევან ნადიბაიძის შებერტყილი ბატალიონი ზურგში გაიყვანეს, დაასვენეს, თანაც შეესებას დაჰპირდნენ. ტუფსეს მახლობლად იყო ერთი პატარა სოფელი — ხაბეზი. იგი ჯერ კიდევ გაზაფხულზე დატოვეს გერმანელებმა. გადახვეწილი სოფლელები მაშინვე დაუბრუნდნენ ნაცარტუტად ქცეულ კარ-მიდამოებს. ტყეც აგერ იყო ერთი ხელის გაწვდენაზე და სოფელში დილიდან საღამომდე ნაჯახის ჩაზაჩუხი და ბირდაბირის ღრენა ის-

მოდა. ნაომარი, დაღლილი მზვერავეები სადილის მერე სამხედრო მეცადინეობისაგან თავისუფალი იყვნენ: სანამ საღამოს საარს დაჰკრავდნენ, ზღვის პირას ეყარნენ ლადარით მხურვალე სილაზე, ან კიდევ სოფლელებს ეხმარებოდნენ, — წაბლის მორებს ხერხავდნენ.

ზღვაზე ქალებიც ჩადიოდნენ საბანაოდ. ისინი პატარა გორის გადაღმა იხდიდნენ ტანსაცმელს და იქვე ჭყუმპალაობდნენ.

„იმ დღეს ძალიან ცხელოდა. შირაქ-



ში გაზრდილი ბიჭი ვარ, სიცხის მეტი რა მინახავს ქვეყანაზე, მაგრამ, მართალი გითხრა, იმ საღამოს მეც კი გამიჭირდა სიცოცხლე. ამ ზეგატმა სულ გადარია აქაური ვეება კოლო. თვალე-ბი აღარ გვიჩანდა, ისე დაგვისივა თავ-პირი. სოფელში მხოლოდ ჩვენი ხელების ტყაპატყუბი ისმოდა, — მიაშობო-და ლევან ნადიბაიძე: — მხოლოდ ეს ზღვა გვაძლევდა ცოტა შეღავათს. აქ მუდამ ნიავე უბერავს და კოლო ხალ-ვათად ვერ არის.

ჩვენი კარვები სოფლის ბოლოში იდგნენ. სანამ რიყეზე ჩავიბრუნდით, ერთი გადახრუკული მინდორი უნდა გამეფლო. ეტყობა, აქ ომამდე კოლომე-ურნობის სათივე იყო, ალაგ-ალაგ ჭერ კიდევ მოსჩანდა მრგვალი თაიების ნარჩენი.

მერე ერთი პატარა დაღმართი და უკვე სამოთხეში იყავ...
სათივეს გარს ეკრა რამდენიმე საბ-ძელი. ჯარისკაცებმა შექედ-შემოკედეს ისინი ძველი ფიცრებითა და თუნუქის ნაჭრებით და ისეთი საცხოვრებელი სადგომები გამართეს, პირჯვარს გა-დაიწერდნენ. ბევრი თუ არაფერი, ნაშუ-ალამევეს ყურში წვიმის წყალი მაინც არ ჩავიდგებოდა. ზაფხულ-შემოდგო-მაზე ამ ზღვისპირას ისეთი წარღვნა იცის, — შენი დაგლეჯილი ფარატინა კარავი სისაცილოდ არ ჰყოფნის...

...იმ საღამოს ზღვაზე მივიჩქაროდი. უეტრად ერთი საბძლიდან ჩვენი ბა-ტალიონის ფერშალი სოფიკო მარგია-ნი გამოვარდა. დამინახა თუ არა, ჩემ-თან მოიბრინა, ორივე მავა მომიშვირა და მითხრა: „შეხედე, იმ წამხდარმა ბიჭმა ხელები როგორ დამილურჯაო...“
გაწითლებული, თმაგაწეწილი ქა-ლი მღელვარებისაგან სულს ვერ ით-ქვამდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა ცრემლში ამოვლებულ სიტყვებს.

— საბძელში რა გინდოდა, გოგო?!
— შემიტყუა! თივაზე სიცხიანი ამ-ხანაგი მიწევს, შემოდი, ნახე, ფარსაგი არაფერი მოუვიდესო... შევეყვი და... ხედავ, რა გამიბედა?! ვერც ვიყვირე,

თავი მომეჭრება-მეთქი: არადა, ვერ მოვიშორე, ძლივს გამოვექცე.

— იცნობ, ვინ არის?
— გიზო გაბუნია... სხვა ვინ იქნება მასეთი გიჟი და არაწმინდა!

უმცროსი სერჟანტი გიზო გაბუნია ჩვენი ბატალიონის მებრძოლი იყო.

ომის წლებმა ბევრჯერ დამანახვა: ბრძოლებში მამაცი და გაბედული ჯა-რისკაცები ყოველდღიურ ცხოვრება-შიც ყოველად წესიერი და ზნეკეთილი ადამიანები იყვნენ. რამდენადაც მეტი ჰქონდა ჯარისკაცს სირცხვილის გრძნო-ბა, იმდენად მეტი იყო მისი თავდადება ცეცხლის ხაზზე.

გიზო გაბუნიას კაცი ვერ დაუწუ-ნებდა ვაჟაკობას. პირველსავე ბრძო-ლაში გულადი მეომრის სახელი დაი-გდო, მაგრამ პირად ცხოვრებაში ცო-ტა ვირი ბიჭი იყო, ტლანქი, გაუთლე-ლი.

საოცარი თვისება ჰქონდა: როდე-საც ბატალიონი წინა ხაზზე იმყოფებ-ოდა, მისთანა წესიერი და გამგონი ჯა-რისკაცი მეორე არ მოიძებნებოდა არ-სენა შელევას ბატალიონში. მაგრამ როგორც კი ბრძოლა შეწყდებოდა და ჯარისკაცები სადმე სოფელში მყუდრო ბინას დაიდებდნენ, მერე გაბუნიას ვე-ლარ იცნობდნენ; სულ შარზე იყო, სულ აყალ-მაყალს ეძებდა. დღევდა ორ-სამ ჭიქა არაყს და უკვე მკლავებს იკ-აპიწებდა, „გამიშვიტო“, იძახდა.

ქალს დაინახავდა — ღლაბუცს და-უწყებდა.

ამ თითქოს უწყინარ გაღლაბუცებას და მიწევე-მოწევეს ზოგჯერ დიდი ორ-ომტრიალი მოსდევდა...

და მერე დარბოდა კარდაკარ ჩვენი არსენა და უფროსებს ეხვეწებოდა, ამ ერთხელ კიდევ შეუხდეთო გიზო გა-ბუნიას.

— რალაც საუბედუროდ, ჩვენი მთა-ვარი ექიმის ღლეობაზე გავიცანი ეგ ბიჭი, ერთი-ორჯერ ვეცეკვე, ფანტიც ვეთამაშე... მერე შინ გამაცილა. იმ

კონსტანტინე ლოკთაძისთან
ნახვარის თვალში

დღიდან გადამეკიდა და საშველი აღარ მომცა, გინდა თუ არა, შემიყვარე, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო... — სლუჟუნებდა სოფიკო და ჭერ კიდევ მზისუნახავ მაჯას ნელა-ნელა ისრესდა: — რომ იცოდე, რანაირი თვალუბით მიყურებს! ტყვიისა არ მეშინია ისე, როგორც მაგ ბიჭისა! ორჯერ მივუზღავენ ქალები, თავი დამანებე-მეთქი... იცი, რა შემომითვალა?! კაცთან გავლილი არ დაგინახო, თორემ არ ვიცი, რას ვიზამო! სხვა ნაწილში გადავიდოდი, სხვა უბანზე, მაგრამ აქაურ ხალხს უკვე შევეჩვიე და შევეთვისე. მებრძოლებსაც ისე ვუყვარვარ, სულ დამავიწყეს ომის შიში და ზარი. როგორ დავტოვო აქაურობა! არადა, რა ვქნა, არ ვიცი! ეგ ბიჭიც არ მინდა გავწირო! თუ ერთი ვიყვირე, მაშინვე საჯარიმო ბატალიონში უკრავენ თავს! ცოდვებით სავსეა მაგ უბედური!

შემძრა მისმა სიტყვებმა. რა კეთილი გულისა ყოფილა ეს პატარა გოგო, როგორ ზოგავს თავის შეურაცხყოფელს!

— ნუ გეშინია, სოფიკო, მე ჩამოგაშორებ მაგ ბიჭს! — ვუთხარი მე.

— შენ?! — ცრემლიან თვალეში მუტი ამოხსვა და უნდობლად შემომხედა.

— არა გჯერა?!

სიტყვა ედიდა, მხოლოდ თავი დამიქნია გაუბედავად, მჯერაო...

— გაბუნია რომ შეგხვდება, ასე უთხარი, მე ლევან ნადიბაიძე მიყვარს და იმასაც ძალიან ვუყვარვარ-თქო! მიხვდი?

თვალეზე შევატყვე, ვერ მიხვდა, ტუჩ-პირზე ისევ ის უნდობელი ღიმილი ეწერა.

— გამიგონე, გოგო, ჩემს შეყვარებულს ვერა კაცი ახლო ვერ მიეკარება ამ არემარეზე, ასეა ჩემი საქმე! ოღონდ ხანდახან ჩვენ ერთად უნდა დაგვინახოს იმ ბიჭმა, რომ ჩვენი ტყუილი დაიჯეროს. გიზო კი არა, ცოფიანი მგელი რომ შეგაფეთოს, ისიც კი უკან დაიხეცს! გაიგონე?

ეს რომ ვუთხარი, გოგო, შევატყვე ცოტა დაიბნა და მგონივრად მიმინდა: ვაითუ-ამ ჩემი რაინდის რჩევას რაიმე აბრუნდი და მზაკვრობა მოსდევსო. გულმა მაშინვე მაცნობა, რომ სოფიკოს ახლა სხვა ეჭვი გაუჩნდა, სხვა საფიქრალი: ამ კაცს უნდა გაბუნია ჩამომაშოროს, რომ მერე თვითონ მომეწებოს და ახალი ლათაიები დამიწყოსო. იგი ისე გაყურებული იდგა და ისე უმწეოდ იყურებოდა, რომ უნებურად გამეცინა.

— ნუ გეშინია, სოფიკო! მე იმისთანა საცოლედ დავტოვე სოფელში, ციდან ჩამოფრენილ ანგელოზში არ გავცვლი! ა, შეხედე!

ჯიბეზე ხელი გავიკარი და გოგოლას სურათი ამოვიღე.

სოფიკო სურათს დააცქერდა, მერე თავაუღებლად მკითხა:

— მართლა ასეთი ლამაზია, თუ სურათზე გამოდის კარგად?

ლამაზმა ქალმა მაინც უკბინა ლამაზ ქალს.


— ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი ხართ ორივე! ვაი ჩვენი ბრალი თქვენს ხელში! აბა ნახვამდის. ურიგო არ იქნება, თუ შენი მეგობარი ქალებიც დაიწყებენ ჩვენზე ჩურჩულს, შეყვარებულები არიანო... სხვაც ვერავინ გაგიბედავს თვალეების პრაწვას! — ვუთხარი და ხელი გავუწოდე.

— კაი კაცი ხარ, ლევან, გმადლობთ! თუ გვეღირსა საქართველოში დაბრუნება, უეჭველად გაგაცნობ ჩემს საქმროს.

— არ ვიცოდი, თუ საქმრო გყავდა!

— თბილისში მუშაობს, კიროვის ქარხანაში. მქონდა მისი სურათი, მარა სადღაც დამეკარგა! მივწერე, მალე მომივა და გაჩვენებ. — მითხრა და პატარა თეთრი ხელი უსულო ფიცრის ნაჭკერივით ჩამიდო ხელში.

თვე-ნახევარი დაჰყო ჩვენმა ნაწილმა ამ სოფელში. ახალი შევსება საქართველოდან უკვე წამოსული იყო,



მაგრამ სადაც არდონის ხეობაში მტრის თვითმფრინავს გზა ისე დაენგრია და ჩაეხერგა, არამცთუ მანქანა და მძიმე საჭურველი, კაცი ფეხდაფეხ ვერ გამოაღწევდა იმ ხორახორაში.

და ქართველი ჯარისკაცებიც იქვე დამდგარიყვნენ ბანაკად. ბრძანება ყოფილა, სანამ გზას არ შეაკეთებენ, მაშველი ძალები ადგილიდან არ დასძრათო, ეს გასაგებიც იყო. ჯერჯანდალ უომარი, კარგად გამოძინებული, დასვენებული, გამძლარი და ნაპატივები ბიჭები უფრო მალე მოერეოდნენ ყირაზე დამდგარ ზეობას, ვიდრე ჩვენი დაღლილი, ბრძოლიდან ახლახან გამოსული მესანგრეები. ასე რომ, ამ მყუდრო სოფელში, სადაც მხოლოდ დაჭრილი ჯარისკაცები მოჰყავდათ სამკურნალოდ, და ხანდახან წყნარი ზუზუნით მწვერავე „რამა“ თუ გადაგვიფრენდა თავზე, — ჩვენ უკვე გაგვიტყბა ცხოვრება და ადამიანის ფერი დაგვედო.

ეს ხანმოკლე მყუდროება ატყუებდა გიზო გაბუნისას. სანგრისა და ამოვიდოდა თუ არა, მთელი მისი გული და გონება ისე მოიმართებოდა, თითქოს ომი უკვე დამთავრდა და მოდი, ილხინე, როგორც გულს გაუხარდებო. პირდაპირ მივიკირდა, რა უტბად ივიწყებდა ეს კაცი, რომ აგერ, იმ აბოლებული სერის გადაღმა, ისევ ცეცხლიდებდა და ხოცვა-ჟლეტა იყო.

ასეთი გულმაგიწყობა ერთი-ორჯერ ძვირად დაუჯდა გიზო გაბუნისას; მისი მფარველი არსენა შელეგია თუ არა, იგი აქამდე საჯარიმო ბატალიონს ვერ გადაურჩებოდა.

აი, ასეთი ავარდნილი კაცი უნდა მოეთოკა ლევან ნადიბაიძეს.

ჯერ კიდევ შარშან, სანამ ქართველები ცეცხლის ხაზზე დადგებოდნენ, ჯარისკაცებმა თავიანთი უტყუარი ალლოთი იგრძნეს, რომ შირაქელი ტრაქტორისტი კარგი სამეგობრო ბიჭი იყო, ჭირში გამტანი და ცოდვა-მადლის გაკითხვაში — სამართლიანი. ამიტომ ლევანის სიტყვას დიდი გავლენა

ნა ჰქონდა ყველაზე, ვინც კი მასთან უღელში შეებმებოდა.

ახლა საკითხავი მხოლოდ — იკმარებდა თუ არა ლევანის ჩანაფიქრი, რომ ეს წრეგადასული კაცი ჭკუაზე მოსულიყო. ლევანსაც ძალიან ეცოდებოდა იგი და მისი უზნეობის გახშიანება არ უნდოდა.

ღერძმა კარგახანს იჭრიჭინა. გიზო გაბუნამ ასე ერთბაშად ვერ დაიჭერა მათი სიყვარულის ამბავი. ჩუმად მოისმინა სოფიკოს ცრუ-აღსარება და, როდესაც ქალმა სათქმელი დაამთავრა, გაბუნამ ასევე ჩუმად ჩაიცივნა და მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა: — მაშინებ?!

ადგა და წავიდა. წარბაწეული გაცქეროდა იგი კომკავშირის კრებიდან, ხან კიდევ საველე ჰოსპიტალიდან ერთად მომავალ ლევანსა და სოფიკოს. ერთხელ კი სულმა წასძლია და თვალყური მიადევნა ქალ-ვაჟის შეხვედრას, სოფიკო იმ დღეს საოპერაციო კარავში მორიგებოდა. საღამოხანს შეიცვალა და ლევანს სთხოვა, საცეკვაო მოედანზე წავიდეთო. მალე გაბუნაც იქვე გაჩნდა. მიეყუდა ხეს და თვალი არ მოაშორა ლევანს და სოფიკოს. გარეგნულად იგი ისევ მშვიდად იყო: უბრალო სიტყვითაც კი არ ამხელდა თავის გულისსაღებს, მაგრამ ლევანი მაინც არ ენდობოდა ამ უღრუბლო ცას.

„თოფის სროლა მასწავლო“, — მთხოვა ერთხელ სოფიკომ.

— სამხედრო მეცადინეობაზე არ დადიხარ?

— კი დავდივარ, მაგრამ იქ მთელი ოცეული ერთად ვარჯიშობს, ჩემთვის საგანგებოდ არავის სცალია! მე კი კარგი სროლა მინდა ვისწავლო! გეზარება? მაშ არ მინდა!

ძალიან მეზარებოდა და არც მეცა-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნაბჭრის თვალი

ლა. ამ სოფელში ჩამოდის ერთი პატარა მდინარე, ხაბეზინკას ეძახიან. ორი კვირის წინ მდინარის პირას ათეულს ვამეცადინებდი, — სწორედ მაშინ წავაწყდი ისეთ რამეს, რაზედაც ქიზიყში ოცნებაც კი არ შემეძლო. თეთრად გაქათქათებულ რიყეზე ნაცრისფერი, ტოტებდამტვრეული ვერხვი ეგდო.
ნარიყი ვერხვი!

პირჯვარი გადავიწერე, ეს რა კარგი დღე გამითენდა-მეთქი, ნარიყალ ვერხვზე უკეთესი საფანდურე მასალა დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება. ჩვენებურები ამბობენ, ამგვარი ხისაგან გამოთლილმა ფანდურმა ისეთი „დაძახება“ იცის, მკვდარსაც კი გულს უპოვნისო...

ერთი სული მქონდა, სანამ მეცადინეობას დავამთავრებდი; მერე მოვიტანე ნაჯახი, ვერხვის გული ამოვიღე, ქერქი შემოვაცალე და მხისპირზე გავდე. ორი კვირა ვაცალე, მეტი ხანი იყო საჭირო, რომ ის მორი კარგად გამოშრალიყო და დამში მოსულიყო, მაგრამ ვჩქარობდი. სანამ ჩვენი შეგსება თავზე დავადგებოდა, ჩემი საკრავი მანამდე უნდა დამემთავრებინა. მერე საფანდურედ ვინდა მოიცილიდა, სანგრებში რომ დავგაბრუნებდნენ...

ბატალიონში გექონდა ერთი ჩონგური და ერთიც ქიზიყური ფანდური, მაგრამ სადღაც ქოხში მინდვრის თავგებმა დაგვიხრეს. იმ წელიწადს თავი და ვირთხა ისე მომრავლდა ფრონტისპირა სოფლებში, რომ გასანთლულ ხეს კი არა, გახდილ ჩექმას გამოუყვინდნენ წირვას, თუ ცოტა ფხიზლად; არ იყავ... ერთხელ შინელის ჩაცმა რომ დავაპირე, მარცხენა ჯიბიდან ორი წრუწუნა ამოხტა. პურის ნაფშვენს ეძებდნენ. არადა, უფანდუროდ ცოდონი იყვნენ ჩვენი ბიჭები; იმ დალოცვილმა საკრავმა ტირილიც კარგად იცის და სიხარულიც.

ის-კი იყო, მორის დამუშავება დავიწყე, რომ სოფიკოს ამბავს გადაეყვი...

არ მეცალა, მაგრამ ეს პატარა გულთავის ყველა სათხოვარს ისეთი საჭურვარელი კილოთი ამბობდა, რომ უარის სათქმელად ენას ვერ მოაბრუნებდი. თანაც ამ ბოლო დროს ისე მომენდო და გამიშინაურდა, რომ ძალაუნებურად თვალი და ყური მისკენ მეჭირა.

ქალების საცხოვრებელ ქოხში წვიმა ჩამოდიოდა. რამდენიმე ცალი ყავარი ვიშოვე და სახურავი შეგვუკეთე; სოფიკოს წიგნების კითხვა უყვარდა, წიგნებიც მიეუტანე, თამბაქოც არ მოვაველი. თუმცა ძალიან არ მომწონდა, რომ იგი თამბაქოს ეწეოდა.

სასროლ მოედანზე გიზო გაბუნიაც ავარჯიშებდა ხელგამოუვალ ჯარისკაცებს. ერთხელ თვალი მოვატანე, რა აღმაეცრად იყურებოდა ჩემსკენ ეს გადარეული ბიჭი.

რა უფრო მეტი იყო იმ გამოხედვაში, ბოღმა თუ დაცინვა?

ტყიდან მოვდიოდი, მთელი კალათა ქამა სოკო მომქონდა. კაცის სიმაღლეზე აყრილ ლიხში გიზო გაბუნია დამეწია. მკლავში ხელი წამავლო და გამაჩერა:

— მოიცა, რამე უნდა გითხრა!

პირიდან მყრალი რახის სუნი ამოსდიოდა.

— წამოდი, გზაში ვილაპარაკოთ.

— არა, — მიზეზიანად გააქნია თავი და წინ გადამიდგა: — აქ მელაპარაკე, თუ ბიჭი ხარ!

— რა გინდა, გიზო, დავდო მიწაზე ეს კალათი?!

— არა, მე ჩხუბი არ მინდა, მე მხოლოდ სა-ა-უბარი მინდა შენთან!

— ამ ჩახუთულ ქალტამში რა სალაპარაკო ადგილი ნახე? წამოდი, სოკოზე დავბატიყებ, თან ვისაუბროთ, რამდენიც გინდა!

— კაი ეშმაკი ხარ, ლევან ნადიბაძე! სოფელში დამინახავს არსენა, რომ გატრეტილი მთვრალი ვარ და მთელი ერთი კვირით სამზარეულოში



მიკრავს თავს კარტოფილის სათლელად! ეს გინდა, არა?

— მე რაც მინდა, უკვე გითხარი. ახლა ხელი გამიშვი. ტყუილად ნუ მეჭაჩგურები!

ხელი კი გამიშვა და გზა მომცა, მაგრამ ერთი ისეთი შემომხედა, — დღემდე მიკვირს. თავი როგორ შეიკავა და ყელში არა მწვდა.

შიშმა შეაჩერა. ვერჯობნის შიშმა.

ეს სასწაული გრძნობა თუ არა, ადამიანები ალბათ ცოცხლად შეკამდნენ ერთმანეთს.

მეორედაც გამაჩერა გზაზე გიზო გაბუნიაძე.

მაშინაც ნასვამი იყო და თვალეზზე ეტყობოდა, შარს ეძებდა. გამაჩერა და მითხრა:

— კარგი ვაჟკაცი ხარ, ლევან, მარა... როგორ გითხრა... ბნელი ღამისა არ გეშინია?

— ბნელი ღამე შენთვისაც ბნელი იქნება, გიზო! კარგად დაიხსოვე ეს! — მივუბე და აღარ გავუჩერდი, ჩემი გზა განვაგრძე.

— მითხარი გოგო, შენი საქმრო კარგი ბიჭი თუ არის მაინც? — ვკითხე ერთხელ სოფიკოს.

— რატომ მეკითხები!

— მინდა ვიცოდე, ვისთვის ვაკლავ თავს ამ გიზო გაბუნიას!

— ისეთი ბიჭია, ნამდვილად მოგეწონება, ლევან! სხვათა შორის, თქვენ რალაც-რალაცებებში ჰგავხართ ერთმანეთს!

— მაინც რაში, ქალბატონო?

— რაში და...

თვალეები ეშმაკურად გაუბრწყინდა, სულმოუთქვლად ჩამოთვალა:

— მეგობრობაში, პატიოსნებაში...

ისიც შენსავით ნამეტანი ზრდილობიანია, მეტადრე ქალებში!

ბოლო სიტყვები ისეთი კილოთა წარმოსთქვა, — ნამდვილად ვერ გავიგე, იწონებდა თუ სძრახავდა „ნამე-

ტან ზრდილობიანობას“; — მე თორმეტი ხმა არ ამოვიღე. არ ეწყინოს მკვირითაა

მხოლოდ ეს ვუთხარი: — ქორწილში მაინც დამპატიყე, სოფიკო!

— დაგპატიყებ კი არა, ჩემი ხელი-სმომკიდე უნდა იყო!

იმდენი გვსდია და გვითვალთვალა გიზო გაბუნიაძე, სანამ არ დარწმუნდა, რომ ჩემი და სოფიკოს ურთიერთობა მართლა არა ჰგავდა ქალ-ვაჟის უბრალო მეგობრობას.

უბრალო მეგობრობას რად უნდოდა ამდენი მთვარიანი ღამე და ზღვისპირას სეირნობა: ამდენი შეხვედრა, ჩურჩული, გაცილება! ამდენი მალული ღიმილი და გადაკრული სიტყვა...

გიზო გაბუნიაძე კი არა, იმ დღეებში მგონი, მეც კინაღამ დავიჯერე, რომ ნამდვილად სოფიკოს საქმრო ვიყავ, ისე ერთთავად მომენდო და მომეყედლა ეს პატარა გოგო.

ვხედავდი, რარივ უხაროდა ჩემთან ყოფნა და საუბარი და მეც უკვე აღარ შემეძლო მისი გაწბილება. მთელი ჩემი თავისუფალი დრო სოფიკოს სურვილებს მიჰქონდა. სადესანტო ჯარის ფერშალმა არა მართო სროლა, კარგი ცურვაც უნდა იცოდესო, დაიჩემა და საშველი აღარ მომცა, — ყოველ ნაშუადღევს ზღვაზე მიმართევედა, გინდა თუ არა, ცურვა მასწავლეო...

და მეც ვასწავლიდი, თუმცა ცოტა კი მეჩოთირა, რომ ეს გედივით თეთრი გოგო, წყალში იყო თუ ხმელეთზე, გვერდიდან არ მიშორებდა.

დღე იყო თუ ღამე, ტყე იყო თუ უდაბური ზღვისპირი, ყველგან და ყოველთვის იგი ისე თამამად, უშფოთველად ჩამომეკიდებოდა მკლავზე და საუბარს გამიბამდა, რომ პირდაპირ აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა...

რამდენი კარგი სიტყვაც არ უნდა

აონსახანიშა ლორთქიფანიში
ნახვის თვალნი



ითქვას წმინდა მეგობრობის სასარგებლოდ, ლევანი მაინც უცხო კაცი იყო სოფიკოსათვის (ასე მიაჩნდა თვითონ ლევანს). არც იმდენად ახლობელი, არც იმდენად ნაცნობი, რომ ქალს ყოველგვარი ქალური სიფრთხილე და ეკარგა და ზოგჯერ გვიან ლამემდე დაჩენილიყო მასთან თითქმის უკვე დაცარიელებულ ზღვისპირზე.

კი, ამ სეირნობას თავისი გარკვეული მიზანი ჰქონდა, — გაბუნიას მოტყუება! მაგრამ, სადღაც გულის სიღრმეში ლევანს მაინც სწყინდა, რომ სოფიკომ ასე უტბად ჩათელა სამეზობლო ღობე; იგი უკვე საჭიროდ აღარ სთვლიდა, რომ ლევანთანაც ისეთივე თავდაპირველი ყოფილიყო, როგორც ჩვეულებრივ სხვა მამაკაცებთან იყო.

რატომ?
„მამაკაცების სათვალავს გამომაკლო, თუ რა ღმერთი გაუწყრა ამ გოგოს“, გულში გაეცინა ლევანს. ოღონდ სოფიკოს წამითაც არაფერი აგრძნობინა. რა საჭირო იყო!

„ჩვენი თამაშიც მალე დამთავრდება და ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდება!“ — დაასკვნა მან და პირში წყალი ჩაიგუბა.

ეს დღეც მალე მოვიდა. გიზო გაბუნია იმ ერთხელ კიდეც გამაჩერა გზაზე, მხარზე ხელი დამკრა და მეგობრულად მითხრა:

— კარგი ნაჭერია, ბიჭო, ღმერთმა შეგარგოს! შეგრიგდეთ...

მეც თანხმობის ნიშნად თვალი ჩავუკარი.

— გოგოების გულისათვის ჩვენ თუ ერთმანეთი დავხოცეთ, გერმანიას ვინდა მოუტარებს კისერს?!

— მართალი ხარ, ლევან, მარა არ ვიცოდი, თუ ის შენი გოგო იყო!

იმ დღიდან მოკიდებული მისი ლანდი არ დამინახავს სოფიკოს ახლო-მახლო:

თავისუფლად ამოვისუნთქე.
„გიზო გაბუნია ჩამოგაშორე,

ცოტა სროლაც გასწავლეთ ცოტა ცურვაც!

ამერიიდან უჩემოდაც იოლად წახვალ, ჩემო სოფიკო“. — ვთქვი გულში და ჩემი მიტოვებული ვერბავის მორი მოვნახე, ხელეჩოს პირი ავუწყე და მუშაობას შევეუდექი.

ორი თუ სამი დღე გავიდა, სოფიკო არ გამოჩენილა. სოფელში მძიმედ დაჭრილები მოიყვანეს და საველე ლაზარეთიდან ფეხი ვერ გამოდგა, როგორც კი მოიცალა, მაშინვე ჩემთან გამოიქცა და სული არ მომამტკმევინა, მეზობელ სოფელში ახალი კინოსურათი მოიტანეს, ჩვენმა მანქანამ გამასწრო, მარტო ვერ წავალ, შენ უნდა წამომყვეო...

უარი ვერ ვუთხარი, რამდენჯერ დავიფიცე, ცოტა დინჯად მოვქექულიყავ და ამ მატაცერა გოგოს წალმა-უტულმა სირბილში არ აველოდი. მაგრამ ვერა და ვერ მოვახერხე. „ხვალ-ზეგ ისევ იმ ცეცხლის კალოში უნდა ჩადგეს. აბა შეიძლება, ახლა ეს პატარა სიხარული მოვაკლო?“ — ვინ იცის, იმ ფიქრმა რამდენჯერ გამაგდებინა ხელიდან ჩემი საქმე და საგონებელი.

იმ საღამოს სოფიკო პირველად გამომეცხადა ასე მორთულ-მოკაზმული. სამხედრო ტანსაცმელი გაეძრო და შინიდან წამოდებული ჩალისფერი აბრეშუმის კაბა და მალაქტუსლებიანი მაშიები ჩაეცვა, თმაც ბულულად აეშალა, რომ უფრო მაღალი გამოჩენილიყო.

კისერზე — ქარვის ყელსაბამი, ხელზე — ვერცხლის ბეჭედი... თვალეში კი ისეთი ცელქი, დაუდევარი სხივი, რომ მეზობელ სოფელში კი არა, კაცი რატომ ცხრა მთას გადაღმა არ წაპყვებოდა ამ ნანატრ ქალს.

...სურათი ყველას მოგვეწონა. ბევრი გვაცინა და გვაშხიარულა ჩარლი ჩაპლინის თავგადასავალმა. მერე იქვე ეზოში ცეკვა-თამაში გაახურეს. სოფიკო აქაც ვერ გავაწბილე, გავშალე მკლავი და ცირკის დათვივით ავძუნძულდი.



„რა კარგი ცეკვა გცოდნია, ბიჭო!“
— წამჩურჩულა სოფიკომ და ცოტა ხნის მერე ისევ ჩამიკრა თვალი. ერთი კიდევ ვიცეკვოთო.

მკლავზე ხელი მოვიკიდე, გვერდზე მივახედე და ვუთხარი:

— თავი გამანებე, სოფიკო, თორემ ხედავ იმ თოფიან მეზღვაურს? წავართმევ თოფს და აქვე მოვიკლავ თავს!

გზის გასაყართან მანქანიდან ჩამოვიდნენ და სოფლის ვიწრო ორღობეს გაჰყენენ. ბნელი, ჩახუთული ღამე იყო. ბაყაყების პირმოხეული ყიყინი ქვეყანას აყრუებდა.

მარტო დარჩნენ თუ არა, სოფიკო ერთბაშად ჩაჩუმდა, თითქოს კიდევ მოიწყინა. ნახევარი საათის წინ კი მისი სიცილ-კისკისი იქაურობას იკლებდა. ჭერ იყო და კლუბის ეზოში კაცი არ მოასვენა, ხუთი-ექვსი ბიჭი მინც გაიყვანა საცეკვაოდ. მერე გზაზე, მანქანაში, ენა არ გაუჩერებია, ჩაბლინის მეუღლეს აჯავრებდა, — ასე დადისო, ასე მღერისო... სიცილისაგან ფერდები დააწყვიტა ჯარისკაცებს.

მაშ ახლა რა დაემართა!
— დაილაღე? — ჰკითხა ლევანმა.
— არა... რამ დამალა!
— აბა რა მოგივიდა?!
— არ მინდა ლაპარაკი! ჩუმად ვიაროთ...

— არის, ჩუმად ვიაროთ, ამხანაგო უფროსო!.. — მხედრულად ხელი აუღო ლევანმა და ფეხი ფეხს შემოჰკრა.

— დამცინი? — ახლა რატომღაც ითაკილა სოფიკომ მისი უბრალო შემხმრება.

— არც მიფიქრია!
ცოტაც გაიარეს და ნაცნობ ქიშკარს მიადგნენ:

— აბა, ნახვამდის, სოფიკო, ჩქარა უნდა მოვუსვა აქედან, თორემ მგონი წვიმას აპირებს. გესმის, ბაყაყები რა ამბავში არიან! — უთხრა ლევანმა და ხელი გაუწოდა.

— მოიცა! თუ არ გამიჯავრდები, რაღაცას გეტყვი... — მოულოდნელად აჩურჩულა სოფიკო.

— ასეთი რა დააშავე, გოგო?!
— დავაშავე, დავაშავე! იმ დღეს ყველაფერი ტყუილი გითხარი! მე არც საქმრო მყავს, არც არავინ მელოდება თბილისში და არც არავის სურათი დამიკარგავს! გაიგე? ახლა კი წადი, წვიმამ არ მოგისწროს!

რა არ იყო ამ სიტყვებში! საყვედური, სინანული, უმანკო გულის ფორიაქი და ბოლოს — დაცინვაც, წვიმამ არ მოგისწროსო...

სწრაფად მიტრიალდა, ჰიშკარს ხელი ჰკრა და ეზოში გაუჩინარდა.

„მეც კი ბრმა ვყოფილვარ!“ — გაიფიქრა ელდანაცემმა ლევანმა.

კიდევ კარგი, იგი მეორე დღესვე ბატალიონის შტაბში გამოიძახეს და არდონში გაგზავნეს, რომ ხეობიდან გამოსულ ქართველ ჯარისკაცებს შეხვედროდა. ასეთ გაქცევას გაქცევა უკვე აღარ ერქვა.

მერე კი ისევ ცეცხლის ხაზზე დადგებიან და, თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც განელდებაო...

ნამდვილად არ მეგონა, თუ იმ საშინელი ომის დღეებში გაავებულ ჯარისკაცს ამდენი სიწმინდე და სულიერი სიფაქიზე კიდევ შერჩებოდა.

თავი მერვე

ეს მოხდა ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნებთან.

მეზღვაურებს პირდაპირ სული ამოართვა ერთმა ძელმიწურმა. იგი სა-

დაც ქარხნის ნანგრევებში იყო დამალული. შელეგიას ოცეულს გზა დაუ-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნაბჭრის თვალი



კეტა, სანგრიდან ამოსვლის საშუალება არ მისცა. დანარჩენი ოცეულები კარგახანია წინ წავიდნენ და იერიშის თადარიგს შეუდგნენ, ესენი კი აქ ჩარჩნენ და ერთ ადგილს ტყეპნიდნენ.

ლამე კი იყო, — მითხრა ნადიბაიძემ, — მაგრამ, ეტყობა, მტერმა ჭერ კიდევ დღიურ დაგვკრა თვალი და ჩვენი თავშეყრის ადგილი მიზანში ამოიღო. მიწაზე გაგვშალა და თავი არ აგვაწვინა.

არსენამ დამიძახა და მითხრა: რაც გინდა მთხოვე, ოღონდ წადი და იმ ძელმიწურს რაიმე ნიშანი უბოვნე. თუ არტილერია არ დავიხმარეთ, ჩვენ აქედან ფეხს ვერ მოვიცვლითო. კარგი-მეთქი ვუთხარი. მერე სასინჯად მუზარადი მოვიხადე და სანგრის პირზე შემოვდე. მაშინვე უკან გადმოვარდა. მაინც წავედი. აქ კაცი ტყუილა ნუ იტყვის, არ მეშინიაო, სიკვდილისა ყველას ეშინია, ოღონდ ზოგი მალავს ამ შიშს, ზოგი კი ვერ მალავს. მეც ალბათ გარედან არაფერი მეტყობოდა. ამიტომ გაჭირვების დროს არსენა მე დამიძახებდა ხოლმე. შენ ყველაზე გულადი კაცი ხარო, მეტყოდა, და მეც ხმას როგორ ამოვიღებდი, არა ვარ-მეთქი. ჩუმად ვიყავი, რომ არსენას თვალში არ დავბატარავებულყავ.

ასე იყო თუ ისე, ეშმაკს მივაფუტოხე და წავედი, არსენას დავუბარე, თუ დამაგვიანდეს, სოფიკოს მიხედე, არაფერი ისულელოს და საქებრად არ წამოვიდეს-მეთქი.

ასე დაიწყო ერთი ღამის საუკუნე ლევან ნადიბაიძის ცხოვრებაში.

ხშირი სროლის მიუხედავად ნადიბაიძემ დრო კარგად შეარჩია და სანგრიდან ადვილად ამოვიდა. მხოლოდ ეს იყო, — ძალიან ბნელოდა. ლევანის თავზე განუწყვეტლად გადადიოდა ფერადი ტყვიების ნაკადი. მისი მკრთალი გამონაშუქი მიწამდე ვერ აღწევდა

და მზვერავმა კარგახანს გეზი დაუკარგო და იქაურობას.

გუშინსაქეთ ძალიან შეიცვალა ქარხნების თვალგადაუწვდენელი ეზო-გარემო. აქ ახლა არაფერი არაფერს აღარ ჰგავდა. ღამე კი არა, დღეც რომ ყოფილიყო, მაშინაც კი ამ ჭანდაბაში კაცი გზას ვერ გაიკვლევდა. ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნები რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ჭერ ჩვენმა არტილერიამ, მერე გერმანელთა „იუნკერსებმა“ პირდაპირ დაფშენეს იქაურობა.

ჩვენებური კოკა შუაზე რომ გადაიყრება, ისე გადაიყარა აქეთ-იქით რკინა-ბეტონის ვეება კორპუსები.

ასეთ ორომტრიალში ვინ იცის, სად ვის გადააწყდები, მაგრამ ნადიბაიძეს სხვა გზა არ ეგულებოდა. ჭერხანად მხოლოდ ბედს უნდა დაენდოს, სანამ ამ ნანგრევებში კარგად არ მოშინაურდებოდა.


„ერთი-ორჯერ არმატურის რკინებში გავეჩხირე და მაზარის კალთა იქ დავეტოვე, მერე სადღაც ავურისა და ღორის გორას მივადექი და სანამ იმას შემოვუვლიდი, არაქათი გამომელია.

ამ დროს ჩემს უკან ისეთი ბატყბუთქი ატყდა, ჭერ ვიფიქრე, იერიში ხომ არ დაიწყო-მეთქი. მერე კი მივხვდი, ეს არსენას ოინი იყო. ჩვენი ბიჭები ისროდნენ, მე მამხნევებდნენ, გულს მიკეთებდნენ — ნუ გეშინია, მარტო არა ხარო...

ვინ-ვინ და, არსენამ კი იცოდა, როდის რა იყო საჭირო.

ერთ ადგილას მიწაზე დაღვრილი მასუთი იწვოდა. ძალიან უგემურად ბოლავდა, სული არ მომატქმევინა. ამიტომ სროლა მიწყდა თუ არა, გეზი ვიცვალე, თუმცა ახლა გზიდან გადახვევა და ახალი ბილიკის ძებნა ხელს არ მაძლევდა, ჭერ ერთი, იმატომ, რომ აქეთობას გზა არ ამრეოდა, მეორეც — მეშინოდა, წალმა-უკულმა ტრიალში ბევრი დრო არ დამეკარგა.

უეცრად ღორის ხრამხარუში გავიგონე. ერთი თვალი კი მოვატანე, რომ



წელში მოხრილი შავ-შავი ლანდები ფაცხაფუცხით ორმოში ჩაცვივდნენ და გაისუნნენ. ეს ორმო კი აგერ იყო, ორი აგება ძაფის მანძილზე.

ყურები გამოვიბერტყე და გავქვავე-დი.

არ გასულა ერთი წამი, ღორღი ისევ გაფაჩუნდა.

ისევ ხრაშუნი... თითქოს ვიღაცა ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მოხონავდა ნაშალ ღორღზე, ახლაც ვერავინ დავლანდე, მაგრამ მე უკვე ჩემი დამემართა.

„ეტყობა, დაგინახეს, ჩემო ლევან! იციან, სად წევხარ და ჩუმად გეპარებინან, რომ ასევე ჩუმად ვაგაქრონი!“

რატომ ჩუმად? ამ მეხისტებაში საჩუმათო რა უნდა ყოფილიყო! არ ვიცი, ამაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია, მხოლოდ გეტყვით, რომ ეს ჩემი სიჩუმე მერე აღარ მომშორებია... სიჩუმის გარდა, ახლა სხვა აღარაფერი შედიოდა ჩემს ყურებში“.

საღლაც წინ, ეტყობა, წყალსადენის მილი იყო გახეთქილი. სანამ ეს დაიწყებოდა, ნადიბაიძეს ესმოდა წყლის თქიშინი. ახლა კი ესეც აღარ იყო.

მხოლოდ ერთი ხმის გაგონება შეეძლო, ერთ ხმას ეძებდა, მხოლოდ ერთ ხმას უღარაჯებდა მისი ყურთასმენა — ის წამი არ გამოჰპარვოდა, როდესაც უჩინარი მტერი ცოტაზე კიდევ წინ წამოიწვოდა.

იქიდან კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. „ნუთუ ასე ჩუმად მოხობავენ!“ ამ ფიქრმა სისხლი გაუშრო ლევან ნადიბაიძეს.

„პატარაობისას სოფელში ბიძასთან ვცხოვრობდი. ჭალაში იყო ერთი ადგილი (თათრის კალოს ეძახდნენ), სადაც დაღამებულში მარტო ვერ გავივლიდი, მილიონი რომ მოგეცა. ბიჭები ისეთ რამეებს ამბობდნენ, ტანში

ჭრუანტელი მივლიდა: თათრის კალოზე რომ დაგალამდეს. უაქველსად მოგელანდებო.

ერთხელ ჭალაში ინდაურები დამეკარგა. იმ უტვინო ფრინველმა საბალახოდ შორს იცის წასვლა. თუ ერთი თვალი მოაცილე, დასაკარგავში ამოყოფს თავს. ფეხები დამაწყდა. იმდენი ვეარე აღმა-დაღმა ნასიმიწდარში. ძებნამ შემიტყუა. ვერც დაღამება გავიგე და ვერც ის დაგინახე, თათრის კალოს გომურებს როგორ მივადექი. აქ ისეთი სიჩუმე იყო, თითქოს ქვეყნის კიდზე ვიყავი. მაშინვე მოეტრიალდა და გაქცევა დავაპირე... არ გაუშვავო, დაიძახა ვილაცამ...

მერე აღარაფერი მახსოვს. ვიგრძენი მხოლოდ, ჩემმა თმამ მალლა-მალლა რომ ასწია ჩემი თუშური ქუდი.

შინ თურმე ცოცხალ-მკვდარი მიმიყვანეს.

ცოტა ხანი რომ გავიდა, ბიძაჩემმა დაიძახა და მკითხა:

— ყვირილი თუ იცი, ბიჭო? გამეცინა: ყვირილი ვინ არ იცის-მეთქი.

აბა იყვირო, მითხრა.

რა ვიყვირო-მეთქი, ვკითხე.

რაც გინდა ის იყვირე, ოღონდ ხმას ნუ დაზოგავო...

დავალე პირი და ვიყვირე.

არაო, მითხრა ბიძაჩემმა, ბორანზე მეურმეები რომ ყვირიან, ისე იყვირეო.

სული ჩავითქვი და ისეთი დავჟყივლე, ბიძაჩემმა ძლივს გამაჩერა: მოიცა ბოშო, კისრის ძარღვები დაგაწყდებო.

„აი, ასე უნდა“, — მითხრა მან. — „დღეიდან გახსოვდეს, თათრის კალოზე თუ კიდევ დაგალამდა, დადექი და იყვირე, შეუძახ-შემოუძახე! ლამე შეშინდება და ვერაფერს დაგაკლებსო.“

მიშველა ბიძაჩემის წამალმა. თათრის კალოსთან რომ ჩავივლიდი, ჩემი ჭყვივლ-კვივილი სოფელშიაც კი ის-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნაბჯრის თვალი



მოდ. ერთხელ ბიძაჩემს გული გადა-
უტრიალდა: არიქა. ეს ბიჭი ნამდვი-
ლად ძალღმა დაკბინა, თორემ ასე რამ
გადარჩაო...

რალა თათრის კალო და რალა ეს ცე-
მენტის ქარხნები!

კაცი იმ ზომამდე მივედი. კინალამ
ყვირილი მოვრთე. ეს თუ ასე გაგრძე-
ლდა, ნამდვილად გავგიყდები-მეთქი...

და ასეც მოხდებოდა: ნადიბაიძეს
მეტი გაძლება აღარ ჰქონდა, ყელთან
შომდგარი ხრიალი უკანასკნელ ჯე-
ბირს ანგრევდა.

წამოვარდება, დადგება იმ ღამის პი-
რისპირ და იყვირებს, იყვირებს, რო-
გორც ბაღობისას თათრის კალოზე
ყვიროდა.

ნადიბაიძემ იცოდა მისი სახელი.
რაც ახლა ჯარისკაცის გაწამებულ სუ-
ლში ყვირილს ბადებდა. მაგრამ მან
ისიც იცოდა, რომ ეს მალე გაივლიდა.
ეს მაშინ გაივლიდა, თუ იგი კბილს
კბილზე დააქერდა და ჩუმად იქნებო-
და.

ამ შიშს მხოლოდ სიჩუმე მოჰკ-
ლავდა.

ვინ იცის, გაუძლებდა თუ არა ნადი-
ბაიძე ამ კირსახდელს, მაგრამ აქ მო-
ხდა ერთი ამბავი, რამაც სულგამწარე-
ბული კაცი გონზე მოიყვანა.

ჩამონგრეულ კედელთან ერთი ლან-
დი კიდევ წამოვარდა. ჯერ ნადიბაიძე-
საკენ გამოექანა, მერე უცბად მიბრუ-
ნდა და ისიც იმ ორმოს მიეტანა. სა-
დაც წელან ისინი ჩაცვივდნენ.

სანამ ორმოში ჩაეშვებოდა, რალაც
ბედად კვამლში გახვეულ გუბებს სუ-
ფთა აღი ავარდა. ეტყობა. მაშუთი გა-
ხურდა. ცეცხლმა იმძლავრა და, ნადი-
ბაიძემ აშკარად დაინახა, რომ იმ
ლანდს წითელარმიელის მაზა-
რა ეცვა. წელზე დაკერებულ საჭირე-
ბელს ცალი ღილი აწყვეტოდა, ჩახტო-
მის დროს მალლა აუფრიალდა.

ნუთუ ოდესმე კაცს ვაყის დაწახვა
ისე გაუხარდება, როგორც ნადიბაი-
ძეს იმ ჩანჩურა ბიჭის დაწახვა გაუხა-
რდა...

ყველაფერი წალმა შემობრუნდა.
ახლა ნადიბაიძემ თოფის ხმაც გაი-
გონა, წყლის თქიშინიც, აღმოდებულ
მაშუთის ტკიცინიც...

— Кто там? — გასძახა ნადიბაიძემ.
ხმა არავინ გასცა.

„იქნებ ქართველები აოიან!“

— არ მესროლოთ, ბიჭებო. თქვენი
ვარ! — დაიყვირა ნადიბაიძემ.

ზედ მიწისპირიდან წამოვიდა ხონ-
წიანი ხმა.

— აქეთ, კაცო, აქეთ! აქ ტყვია ვერ
უწევს!

ბნელოდა. მხოლოდ ხანდახან ცერ-
ზე შემდგარი აღი ორმოს კიდევებს
შეაწითლებდა.

ორმოში სამნი იყვნენ, ერთი გორო-
ხებში ჩამჯდარიყო, ცალი ჩექმა გაეძ-
რო და ბერტყავდა. მეორეც იქვე მო-
კუნტულიყო და თამბაქოს ახვევდა.
მესამე ჯარისკაცს ჯერ კიდევ სული
უქაქანებდა, ეტყობა, იგი ყველაზე ბო-
ლოს ჩამოვარდა თავშესაფარში.

— აქ რას უცდიოთ, ბიჭებო?! — ჰკი-
თხა ნადიბაიძემ ჯარისკაცებს.

განა იგი ვერ მიხვდა, ისინი ამ ორ-
მოში რას უცდიდნენ, მაგრამ მაინც
შორიდან მოუარა; ახლა ასე სჯობდა.

— მაგარი სროლა იყო... ცოტა შეგ-
ვაგვიანდა, — მიუგო ერთმა.

— წახლით ვაყვაცები?! — მეგობრ-
ულად დატუქსა ნადიბაიძემ.

— არა, ყველაფერს გეფიცები, ამ-
ნანაგო სერჟანტო! ახლავე დავეწვიოთ
ჩვენებს! არა, ქრისტო? — სწრაფად
წაილაპარაკა მეორე ჯარისკაცმა.

— დავეწვიოთ, მა რას ვიზამთ! —
სთქვა ქრისტომ.

— თავი არ მოკრათ თქვენს ამხანა-
გებს!

— რავა გეკადრება, ბატონო!

— შენ ასათიანი არა ხარ, მეორე
ასეულისიდან?

— ასათიანი ვარ.



— შენ გაბარებ ამ ბიჭებს, აბა, შენ იცი!

— წავალთ, შე კაცო, აბა არ წავალთ?! ავერ ჩექმიდან ხვინჭკას გადმოვყრი და...

მთელი ამ საუბრის დროს მესამე ჯარისკაცს ხმა არ გაუღია. ხანძრის ალის გამონაშუქი წითურ პირისახეს კიდევ უფრო უწითლებდა. ჩუმად მიყრდნობოდა ორმოს დაქანებულ კედელს და რალაც უცნაურად აბრიალებდა თვალებს.

ძელმიწურმა ისევ ამოიღგა ენა. დაწყვილებული ტყვიამფრქვევის ხმა იყო. ასეთი ტყვიამფრქვევი მიწისპირზე ბალახის ღერს არ გააჩერებს, ისე მოცელავს იქაურობას. სამაგიეროდ, ღამიანში მისი პოვნა უფრო ადვილია. სროლის დროს სათოფურიდან ისეთი ცეცხლი გამოვარდება ხოლმე, მისი დაფარვა ან შენიღბვა ცოტა ძნელი საქმეა.

— ეს კედელი ეფარება იმ წყეულს! — სთქვა ჭრისტომ, — ისეთი ალი გამოდის, გეგონება, თონეს ახურებენო! — აქედან ვერ მიუღდგები, თორემ... შენ რა, იმას ეძებ? — ჰკითხა პირველმა.

ნადიბაიძემ ხმა არ გასცა. თოფი ზურგზე მოიგდო და ორმოდან ამოვიდა. მიწაზე რკინა-ბეტონის ნალექ-ნამუსრევი ეყარა, ხოხვა უჭირდა, მეტისმეტად გაწურთხული მიიწევედა წინ, რომ უეცრად მის ყურთან ტყვიამ გაიზუზუნა. ერთმა, მეორემ, მესამემ...

ბევრი ფიჭრი და ყოყმანი აღარ იყო საჭირო, — ლევანი იმწამსვე მიხვდა. — ზურგიდან ესროდნენ, — ორმოდან ესროდნენ ის არამზადები.

მიწას დააკვდა, თავი მოატრიალა და ყური მიუგდო. სროლა შეწყდა. მხოლოდ ცეცხლის ბუბუნი ისმოდა დღესავეთ განათებულ არე-სარბიელზე. ლევანი შემობრუნდა... სანამ ორმოს მიალწევედა, უკვე გაიგონა ყვირილი, გინება, რალაც გაუგებარი ხმაური.

აჩქარდა. თოფი მოიმარჯვა. ...ორმოში ერთი ზედახოცვა იყო.

ასათიანს ფეხებში მოეგდო წითური ბიჭი და გაშმაგებული სცემდა მარჯვენა რში. ის კიდევ იგინებოდა, ფეხზე კბენდა... ჭრისტო კი თითქოს აშველებდა მოჩხუბრებს, მაგრამ ეტყობა, ვერაფერი გააწყო და პირიდან ცოფსა ჰყრიდა.

— გაჩერდი, ბიჭო, გაჩერდი! — ყვიროდა იგი და ორად გაკეილ ქამარს ხან ერთს, ხან მეორეს ზურგზე უშხივლებდა.

ჭრისტომ პირველმა მოატანა თვალი ორმოს დაქანებაზე ჩამოცურებულ ნადიბაიძეს.

— ცოცხალი ხარ, ცოცხალი?! — გახარებული მივარდა ლევანს და ისე მზრუნველად მიაშველა ორივე ხელი, თითქოს იგი პატარა ბაღლი იყო და ფერდობზე ჩამოფორთხება გაუჭირდებოდა.

მერე ისევ ასათიანს მიუბრუნდა; ყურში ჩასძახა:

— ცოცხალია ჩვენი სერჟანტი, ცოცხალი, და საღსალამათი! გაუშვი ხელი, ნუ მოკლავ ამ გადარეულს!

ასათიანიც მაშინვე მოსწყდა წითურ ბიჭს. დაკაწრულ თავ-პირზე მკლავი ჩამოსივა და ლევანს მიეგება.

— მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს! ამ გიჟმა გესროლა, ამხანაგო სერჟანტო, ვერ მოვასწარი თოფის წართმევა! რას ვიფიქრებდი, თუ ასე აურევდა ეს ღმერთგამწყურალი! გაგვემსო, სამივეს მიგვახვრეტენო, დაიწყო ბღავილი და...

სიტყვის დასრულება ვერ მოასწო, ორმოში წარმოუდგენელი ამბავი მოხდა. ის წითური ბიჭი ერთბაშად ცახცახმა აიტანა, კაცი იფიქრებდა, ძველმა ციებ-ცხელებამ გაუხსენაო; მთელი ნასხმანი უკანკალებდა. კბილს კბილზე აცემინებდა. მერე რალაცამ წამოუთარა და მუნჯებმა რომ იციან, ისეთი ზმუილი დაიწყო.

სანამ ნადიბაიძე რაიმეს მოისაზრებდა, იგი ერთბაშად მიტრიალდა, ურა-ო.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ნატვრის თვალი

დაიღრიალა და ფერდობზე აირბინა. აქ კი ისეთი ყვირინა დასცა. თითქოს მთელი ბატალიონი მიჰყავდა იერიშზე.

— ურაა, ურაა!

— დაწეკი. ბიჭო მოგკლავენ! დაწეკი! — მხოლოდ ესლა მოახერხა მოულოდნელობისაგან დაბნეულმა ნადიბაიძემ.

ის კი ოდნავაც წელში არ წახრილა, არც განზე გაუხვევია. თითქოს ფრთები გამოესხაო, მხარგაშლილი მიჰქროდა თავისი არყოფნის წამის შესახვედრად.

— ურაა, ურაა!

ამ ერთი სიტყვის გარდა, იმ ბიჭს უკვე არაფერი, სხვა არაფერი აღარ აკავშირებდა ცხოვრებასთან...

გერმანელთა ძელმიწუთი ერთი-ორი წამი კიდევ სდუმდა. მერე კი დაანთო ცეცხლი...

ეტყობა, მთელი ერთი ჯერი — ხუთთმეტი-ოცი ტყვია ერთბაშად მოხვდა წითურ ჯარისკაცს; დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ჯარისკაცი კი არ წაიქცა. არამედ უკან-უკან წამოვიდა. ნასროლი ტყვიების სისწრაფემ უკან წამოიღო მისი უსულო ტან-ხორცი... ხუთი-ექვსი ნაბიჯი და, იგი მიწაზე დავარდა.

ძელმიწუთი ისევ მიყუჩდა, მახუთზე მოდებული ცეცხლიც მიწელდა, იმ წითური ჯარისკაცის ამაზრუნეი ღრიალი კი კვლავ გაისმოდა ორმოს თავზე და არც შეწყდებოდა არასოდეს, სანამ ადამიანს ეს ცოდვამორეული წუთი-სოფელი ეყვარებოდა. ასე ფიქრობდნენ ორმოში მყოფი ჯარისკაცები და გაოგნებული მისჩერებოდნენ ერთმანეთს!

ღმერთო, ამაშორე,

გზანი უგზოობისა...

მოაგონდა უეცრად ლევანს ძველად, წმინდა გიორგის ხატობაზე გაგონილი ლოცვა. პაპა იორამი სწორად იმეორებდა ამ სიტყვებს, როდესაც არაყისაგან დამთხვეული მოშულარები ერთმანეთს დაერეოდნენ და კაცის

სისხლს ისე ადვილად დაღვრიდნენ თითქოს ლოქში ჩარჩენილი ნაღამური წყალი ყოფილიყოს.

მერე ჯარისკაცებს მიუბრუნდა.

— იცით რა, ბიჭებო? ნურავის ნუ ეტყვიოთ, როგორ მოკვდა ეს უბედური! ახლა კი გასწით აქედან. თქვენ საქმეს მიხედეთ.

— ჩვენთან არ წამოხვალ? — ჰკითხა ასათიანმა.

— მე ჩემი გზა მაქვს.

ნადიბაიძემ მოიცილა, სანამ ისინი ქვა-ლორღში მიიმალებოდნენ, მერე ჩუმად ამოიოხრა და ორმოდან ამოცოცდა. ბეტონის კედელს შემოუარა. ჩანთიდან მაშხალის სასროლი დამბაჩა ამოიღო და შავად აღანდულ ნანგრევებს გახედა.

ბევრი ლოდინი არ დაჰირეგებია. ძელმიწუთი ისევ ამოქმედდა. დაუზოგავად დააყარა მანათობელი ტყვიები გზისპირა ფერდობებს. ცხადი იყო, ძელმიწუთი ჩვენი მებრძოლების თავშეყრის ადგილ-მისადევარს ეძებდა, როგორც კი სროლა დაიწყო, ნადიბაიძე მუხლისთავებზე წამოდგა და სამი მაშხალა გაისროლა. სამივე ზედ იმ ჩამონგრეული შენობის თავზე დაჰკიდა, საიდანაც ცეცხლის ენები გამოვარდნენ.

სოფიკო, არსენა და მეთვალყურე არტილერისტები წუთი-წუთზე ელოდნენ ამ ნიშანს, წითელი მაშხალები რომ დაინახეს, ყველანი არსენას შემოეხვივნენ, მიულოცეს, ლევანს საქმე გაუკეთებია და უკან ბრუნდებო. სოფიკოს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა.

მერე რა მოხდა, კაცმა არ იცის. წითელმა მაშხალებმა მიიქციეს მტრის ყურადღება თუ უბრალო შემთხვევის ბრალი იყო, — ძელმიწუთმა უეცრად ნიშანი გამოცვალა. ნადიბაიძე მიწას გაეკრა, მაგრამ გვიანდა იყო: ტყვია მხარში მოხვდა. რალაც ისე უბედურად დაიჭრა, რომ ტკივილმა საძრაობა აღარ მისცა. ვერც მაზარა გაიხადა, რომ ჭრილობა შეეხვია, და ვერც ორმოსთან



მიხიხდა, სადაც წედან ის გულშემკრ-
თალი ბიჭები იმალებოდნენ.

სანამ გრძნობას დაჰკარგავდა, ერ-
თილა მოახერხა — გაქვავებულ სახს-
რებს ძალა დაატანა და ადგილი მოინა-
ცვლა. მაზუთის გუბიდან წამოსულ
ცეცხლს თავი მოარიდა.

ცნობა რომ დაუბრუნდა, ისევ ღამე
იყო. მალეიდან ისეთი კაშკაშა მთვარე
დაკუთრებდა და გარშემო ისეთი სიწ-
ყნარე იყო, ლევან! ეგონა, სოფელში
ყანის პირას ჩამძინებია, ახლავე ავდ-
გები და წავალო...

არაღა. ცხენს მოახტება, გოგოლას
ეზოსთან ჩაიქროლებს... ისინი ჯერ კი-
დევ ფეხზე იქნებიან. გუშინწინ რა-
დიომიმლები შეიძინეს და მთელი ღა-
მე აჩხავლებენ.

თუ მინდა, არსადაც არ წავალ. ვეგ-
დები ამ თხრილში და ვუყურებ ამ
კაშკაშა მთვარეს. ამას რა სჯობია! ეს
წყვეტილი ომი ზომ დამთავრდა და ახლა
საითაც მინდა, იქით წავალ! არაფრისა
აღარ მეშინია. წარმოგიდგენია იმ კა-
ცის ბედნიერება, ვისაც არაფრისა
აღარ ეშინია და საითაც უნდა, იქით
მიბარუნებს თავის მუნთან ცხვირს?!

მაგრამ ეს ყველაფერი წამის ერთი
ნამეცი იყო.

„წამოდგომა რომ დავაპირე, ცალი
ფეხი ვეღარ დავძარი. ზედ რალაც დამ-
წოლოდა. მიწა არ იყო, არც კოჭ-ფი-
ცარსა ჰგავდა, სახლიდან რომ ჩამოინ-
გრევა ჩოლომე...“ გადავწვდი და ხელი
მოვეფათურე.

თხრილში, ნახევარზე, ადამიანის

სხეული ჩამომხობილიყო, ადარსუნული
თქავდა...“

ნადიბაიძე გაჩუმდა.

— სოფიკო იყო?

ნადიბაიძემ თავი დამიქნია.

— ძალიან რომ შემავგიანდა, ამდგა-
რა და ჩემს საძებნელად წამოსულა.
კაცმა ვერ დააკავა თურმე! სად მიბოვ-
ნა, ჭრილობა როდის შემიხვია, ან თვი-
თონ ისე როგორ დალია სული, რომ
მე ვერაფერი გავიგე?!

გაბრუებული, ხმაჩაწყვეტილი ვი-
ჯექი იმ თხრილში და მარტო ერთი სუ-
რათი მიტრიალებდა თვალწინ... სოფე-
ლი ხაბეზი. ბნელი ორლობე. შავი
ზღვის პირას სოფიკომ ჭიშკარი შეაღო
და... სწრაფად წამჩურჩულა:

„იმ დღეს ყველაფერი ტყუილი გით-
ხარი, ლევან! მე არც საქმრო მყავს,
არც არავინ მელოდება თბილისში და
არც არავის სურათი დამიკარგავს! გაი-
გე?“

რა დიდი გასახსენებელი ამბავი ეს
იყო, მაგრამ ერთხელ რომ ამედევნა,
მერე ვეღარ მოვიშორე... არსენას კი
ჰგონია, ნადიბაიძე ახლა გამწარებუ-
ლია და შეიძლება თავი წაავოსო! მი-
ფრთხილდება... ერთი მეცა მკითხოს,
მე რა მაქვს გულში. აქამდე ჩემი თავი
მართლა მეცოდებოდა. ახლა კი მე
ვიცი! ასე ტყვია რომ მესროლონ,
ერთს არ მოვიხვედრებ, სანამ მათი
სისხლით არ გავძლები! ნუთუ ამ ურ-
ჯულოებმა, სამი ათასი კილომეტრი
გზა იმიტომ გამოიარეს, რომ ეს საწ-
ყალი გოგო მოეკლათ!

თავი მეცხრე

ნამდვილად შემოჩენილია ეს ოხე-
რი სათვალე. სწორედ მაშინ გიღალა-
ტებს, როდესაც ხელში შეიძლება ყვე-
ლაზე სანატრელი წერილი გიპი-
რავს... სოსანამ ცხვირის წვერზე ჩა-
მოკუთრებული სათვალე გაისწორა, გა-

ტეხილ წვირზე გამობმული ზონარი
ყურზე დაიხვია და იმ სამკუთხა ბა-
რათს ერთხელ კიდევ დახედა. არც
ახლა დაუჭერებ თვალებს, სოსანა ყა-
აონსახანინე ლოკთიფანინი
ნატვრის თვალი

ბანაშვილო?! პირველივე ბარათი ზაქარია ნადიბაიძის სახელზე იყო. ლევანი იწერებოდა.

სველი თითების ბრალი იყო თუ წვიმის წვეთისა, ქიმიური ფანქრის ლაქას ნაწერი ალაგ-ალაგ დაეთხუზნა. მისამართის ზედა სტრიქონი ლანდად სჩანდა, გვარიც თითქმის წაეშალა, მაგრამ ბარათის მომწერის სახელი მაშინვე თვალში მოხვდა სოსანას. ისედაც ჯანდაკი კაცი ამ უეცარ სიხარულს ვერ მოერია. თითქოს უკვე გაიგონა ანუკას ვადარეული შეიკვლევა, ქიშკართან პირგაბადრულ ფოსტალიონს რომ დაინახავდა. სამი თვე მიიწურა, ლევანის არც ბარათი, არც რაიმე ბაიბური არ მოსულა სოფელში.

სოსანამ დანარჩენი წერილები არც კი გადაათვალიერა, მკლავი წამოიხსვა და ჩანთაში ჩაყარა. დავთარზე ხელის მოწერაც კი დააფიქცდა, ისე სწრაფად გაეცალა სარკმელს.

ახლა იორღა ცხენი ვერ დაეწევა სოსანა ყაბანაშვილს. რაღაც ისეთი ზევიანი სიარული იცის, — აგერ ამ წუთში წერილს რომ ჩავაბარებ, უცბად გაიხედავ და, — მისი გამოხუნებული თუშური ქუდი უკვე ორღობის ბოლოში მისცურავს...

შირაქის ველზე ზოგჯერ ქარი გადაივლის — მტრისას! ცასა და ქვეყანას ჰკლევს. უკვე წვერნაკრავ ჯეჯილს პირწმინდად მოხვეტავს მთელი მინდვრის სიგრძე-სიგანეზე, იმოდენა მიწას ნეშოსავით წაიღებს და სადმე ხევში ჩაჩუნქრავს. ყანის სახსენებელს გააქრობს იმ არემარეზე.

ასეთ ქარში კამეჩიც კი თავის გომურს ეძებს. თუ კაცს დიდი გაჭირვება არ დაადგა, გარე საქმეს არ მოეჭიდება.

სოსანას კი შინ ვერაფერი გააჩერებს. აბა გაიხსენეთ, კარის მეზობლებო, კალოთუბანში დღე თუ ისე დაღამებულა, სოსანას დაბა-ქალაქიდან ფოსტა არ მოეტანოს.

რას არ უშვრება შირაქის ზენა ქარი ამ გალულ ფოსტალიონს?

ხან უცბად ქეჩოში ხელს დაავლებს და ძალად გააბრუნებს. მგერ იმ სილოსის კოშკამდე, ხან კიდევ გვერდიდან დაეჯახება და გზისპირა ძეგვზე გადაამხობს. ერთხელ კი მთლად აბუჩად აიგდო საწყალი კაცი: ჯერ წინ გააქროლა ცამდე ავარდნილ მტვერბუჩქში, მერე შემოაბრუნა და უკანვე გამოაქცია...

„ეს რა გამოვიდა, — გაეცინა სოსანას: — არავითარი სარგებელი არ მომცა, თავნზე დამტოვა!“

არადა, ამ ტრიალ მინდორში პატარა მყუდროს ვერ იპოვნია, რომ თავი შეაფარო... ეს იცის ქარმა და კალოთუბნის ფოსტალიონს ისე დაათრევს წაღმა-უკულმა, თითქოს ეს ჩვენი სოსანა კაცი კი არა, ცარიელი ხალათ-შარვალი იყოს, — არც ძვალი ჰქონდეს, არც რბილი.

საყელოში თოვლ-ჰყაბი ჩადის, თუ გაგანია სიცხე თვალებს უწვავს, ის მაინც ყოველდღე მიძუნძულებს დაბა-ქალაქში. მოკვდება და სამკუთხა ბარათს ოჯახს არ დაუგვიანებს.

პირველ ხანებში ჩვენებური გლეხი ჯერ კიდევ შეუწყობდა ნაბიჯს გზად მიმავალ სოსანას; არ იყო საჭირო დიდი ალის აღება, რომ იმას გვერდზე გაჰყოლოდა. მაშინდელ შირაქში აბა რა იმდენი საშური საქმე ექნებოდა ფოსტალიონს! სულ ტაათით რომ ეველო, თავის მკლე ჩანთას სამხრობამდე მაინც დასცლიდა.

სოსანა ყაბანაშვილი ცეცხლის კალოში მერე ჩადგა, როდესაც მარტო ერთი კალოთუბნიდან ხუთასზე მეტი კაცი წაიყვანეს ჯარში.

ქიზიყელ კაცს წერილის წერა მაინცადამაინც დიდად არ უყვარდა, მაგრამ ომი რომ დაიწყო და აღარ დამთავრდა, მერე უცეცხლო თაფლს უფრო ადვილად იშოვნინდი შირაქში, ვიდრე რვეულის უბრალო ფურცელს.

სანამ დღეს სული არ დაეღვეა, წერილის დასაწერად ვინ მოიცლის. რაც



და ისევ შხუის ქალის ყურებში
დანაცემი სისხლი.

ეს ქალები ხარ-გუთანს მოეკიდნენ,
მათი გაუბედავი „ზედა“ და „მოიში“
მზის გადახრამდე ეფინა მინდორს.
მხოლოდ დაღამებისას, ბავშვებს რომ
დააძინებენ და ჯამ-ჭურჭელს მიალა-
გებენ, — თუმცა მისალაგებელიც ბე-
ვრი არაფერია, — ახლანდელ ვახშამს
რა დიდი სუფრის გაწყობა უნდა, —
ლაშქებს ჩაუწევენ და ცოტა ხნით თა-
ვადაც ტახტზე მიწვებიან, გაყუჩდე-
ბიან, თითქმის აღარა სუნთქავენ, რომ
ძვალმა და ხორცმა ერთმანეთი იპო-
ვონ...

გუთანზე მუშაობამ ერთიანად მოიღ-
ნო ქალები.

კედელზე საათი წიკწიკებს.
სანამ ის კაცი თავის ეზო-ყურეში
ტრიალებდა, რა მშვიდად და უდარდე-
ლად წიკწიკებდა იგი... პატარა ბავშ-
ვივით იყო, თავისთვის რომ კენჭაობს
და არავის აწუხებს.

ახლა კი მუთაქაზე თავის დადებას
ვერ მოასწრებ, ამ ნანატრ სიჩუმეს
ნაკუწ-ნაკუწად აქცევს...

რა წიკწიკი! ყურებში ისეთი დაგა-
დუვი გაუდის, თითქოს ოთახი კი არა,
ლეკების სამჭედლო იყოს. გინდა წა-
მოვარდე, რომ გააჩერო ის გადარეუ-
ლი საათი — იქნებ ჟამთა დინებაც
შეჩერდეს და ველარ მოასწრონ იმათი
მოკვლა, ვინც ჯერ კიდევ არ მოუკ-
ლავთ... ვინც ჯერ კიდევ არ მოუკ-
ლავთ, ვინც ჯერ კიდევ არ მოუკ-
ლავთ!..

ღმერთო ჩემო, რა გაუგებარია ეს
წუთისოფელი! ერთი ბეწო სიხარულს
ისე არ მოგიტლის, ათასი ფუთი ტანჯ-
ვა ზედ არ დააწონოს. ეგ არის შენი
სამართალი, ქვეყნის გამჩინო?! როგორ
შეიცვალა ყველაფერი! სადმე ღობის
ძირში მიყრილი ნეშო რომ გაფაჩუნ-
დებ, ანდა კიბესთან დაგდებული ძა-
ლი ძილში წამოიყვებს, შენ უკვე შე-
ნი გემართება. რა არ მოეჩვენება და-
ზაფრულ გულს: ვითომ ეზოში ვილაც
კაცი შემოვიდა... არა, არ მოაქვს კარ-
გი ამბავი, თორემ ასე გაუბედავად არ
შემოალებდა ჭიშკარს.

მერე უეცრად ზმა ამოიღო სადღაც
ბუხარში მიმალულმა კრიკინამ. ისე-
თი კრუალი გააბა, თითქოს ზარს ეუბ-
ნება ამ ნაღვლიან ღამეს, შეანაბლიან
კაცივით რომ სდგას კარლიაში; ოთახ-
ში ვერ შემოდის, რადგან ქალმა უკვე
აუწია ღამპას.

თაროდან ქალადი და საწერ-კალა-
მი ჩამოიღო, მაგიდას მიუჯდა... და
უკვე გადაიკარგა იმ საშინელ, გაუგე-
ზარ ქვეყანაში, სადაც კაცის მოკვლა
ცოდვად არ ითვლება.

ამ ბოლო დროს სოსანას თვალს და-
აკლდა, ჯანმაც უმტყუნა, სირბილი კი
მინც ვერაფერმა მოაშლეგინა, „ახლა
მაგას მევალე თათარიც კი ვერ დაეწე-
ვაო!“ — ამბობდნენ სოფლელები.

მინდორში ჯერ ისევ ნალამური თხე-
ლი ნისლი თუ ბინდი სდგას, ოზაანის
სერებს კი უკვე დაეცა ალიონის უძა-
ლო სინათლე. თუ ამ დროს სოსანას
თვალი მოატანე, ნამდვილად მოჩვენე-
ბა გეგონება — რაღაც იმგვარად მი-
ფარფატებს ბნელისა და ნათელის სა-
ზღვარზე ეს მაღალი, თხელ-თხელი,
ბეჭებში ოდნავ წახრილი კაცი. სანამ
ღამის მეხრეები წამოიშლებიან და
ხარ-კამეჩს გუთანზე მირეკავენ, სოსა-
ნა უკვე ქვემო კალოებზე მიჩაქჩა-
ქებს.

სოფლიდან დაბა-ქალაქში, იქიდან
ისევ სოფელში... ჩამოარიგებს წერი-
ლებსა და გაზეთებს, და მიწას უკვე
ბინდიც წამოეპარება. სოსანა კოდის
წყალზე ხალათ-შარვალს გაიბერტ-
ყავს, ხელ-პირს დაიბანს და მეწადე
გოლას დაუძახებს.

მიუსხდებიან ძმაკაცები ნოეს კი-
დობნისოდენა რადიომიმღებს და თი-
თო ხელადას გვერდზე მოიდგამენ.
ხან სიმღერას მიუგდებენ ყურს, ზან

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალნი

ახალ ამბებს. ზოგჯერ სოსანას ღვინო მოეკიდება, თვალებს მოწყურავს, იმ ნოეს კიდობანს მიაჩერდება და სტუმარს ეტყვის.

— ეჰ, ჩემო გოლა, რა არ გამოიგონა ადამიანმა, რომ კაცი მოატყუოს და აფიქრებინოს, ვითომ ეს წუთისოფელი რამედ ღირს!

გოლა გაუჩუმდება მეგობრის ამონათქვამს, ოღონდ ერთს კი ამოიოხრებს ვითომ შემბრალე ხმით; მთლად წაყრუება არ ივარგებს. სოსანას შეიძლება ეწყინოს, ჩემი საწუხარი არაფრად ჩააგდო... ისე კი მეწადეს გულში ეცინება, რომ ეს ჰკვიანი კაცი ისევ იმ სულელ გოგოს მისტირის. ზოგჯერ ისეთ რამეებს წამოროშავს, გაგონება აღარ გინდა. სოფლის ორლობეში მიმავალი სოსანა გვერდზე უკვე აღარ იხედება, თითქოს რაც მათიკო სოფლიდან წავიდა, მთელი საქალეთი თან გაიყოლა. მარტობას გული მაინც არ დააჩაგვრინა. სულ მანეთ-მანეთ შეაგროვა ოცდაორი თუმანი და ეს გეება რადიომიმღები იყიდა. ახლა შინ ხმის გამცემი მაინც ჰყავს. გადააბრუნებს ამ პატარა სახელურს და ინებე, რაც მოგესურვება: სიმღერა, ზღაპარი, ლექსი, ცისა და ქვეყნის ამბავი... მხოლოდ არ იფიქრო, მკითხველო, სოსანა ფოსტალიონი ერთი უენო ყურისმგდებელი იყოს იმ ჯადოკიდობნისა. თუ სიმღერა გულზე მოეკიდა, ყურზე ხელს მიიდებს და ხმას ააყოლებს. მაგრამ ასეც მოხდება ხოლმე: რომელიმე მომღერლის კილო-ყაიდა არ მოეწონება. მაშინ კი აყვირდება სოსანა.

— გაჩუმდი, შე ღმერთგამწყურალო, ხმა ჩაიწყვიტე! არა გრცხვენია, რა სიმღერას აფუჭებ! ჰაი დედასა, სადა ხარ, ყარალაშვილო!

შარშან ერთი მსახიობი ქალი ამოჩემა, ნამეტანი აწყვეტილი სიცილი იცის, გოგოებს გადაგვირევსო. ერთხელ ადგა და რადიომიმღები ისე გამოართო, თითქოს კარი გააღო და ის მსახიობი ქალი სახლიდან გააგდო.

ასე ებრძვის და სჯაბნის მარტობას ეს გულშეკვდარი კაცი! ხან სულელად გამოელაპარაკება იმ უცნობ სულელს, ხან ადამიანებს, ხანაც სიტყვას ჩაუჭრის და ებუზღუნება... კაცმა გარედან რომ მიაყუროს, ნამდვილად ეგონება, — ამ პატარა გზისპირა გომურში გაუყრელი დედამამიშვილები ცხოვრობენ, აბა იქ ჩხუბსა და ჯაჭდანს რა გამოლევსო.

დაცარიელდა სოსანას ქოხი, თითქოს მთელი მისი ნათესაობა, ნოეს კიდობანში რომ ცხოვრობდა, ფრონტზე გაგზავნესო. კვირაში ერთხელ თუ მიუსხდებოდნენ მეგობრები პატარა ტაბლას და, სანამ ხელადებს ძირი გამოუჩნდებოდა, ერთი ათჯერ მაინც დაილოცებოდნენ: ღმერთო, ახადე ჩვენს ქვეყანას მტრის ხელი, ის ჩვენი ბიჭები გამარჯვებული დაგვიბრუნეო...


რა ფეხსაცმელი გაუძლებს ალიონიდან შებინდებამდე ბაწარალბულ ფოსტალიონს, მაგრამ გოლა ეხმარება. მეწადის კუთხე-კუნჭულში ჯღანმანს რა გამოლევს. ერთისა საძირე გამოდგება, მეორისა — საპირე; აქედან კი საქუსარს ამოიღებს... მერე ალბათ შეულოცავს, რაღაც ჯადოს გაუკეთებს, თორემ სხვანაირად იმ ნაკყაპურტიდან რა ხელმა უნდა შეჰკეროს ასეთი ლამაზი წაღები.

და ჰა, ჩემო სოსან, ესეც შენი ფემქაში იყოს, ჩაიცვი და სულ კარგი წერილები ჩამოიტანე სოფელში.

შარშან ნაცნობ შოფერს ერთი ძველი გაცვეთილი საბურავი გამოართვა და თოვლ-ჰყავაში სასიარულოდ რეზინის ნაგები შეუყერა ძმაკაცს. მერე ამ საბურავებს მთელი ქვეყანა დაედო, ეგრე ალაღად უკვე აღარ იშოვება.

ე მაშინ კი უთხრა გოლამ თავის მეგობარს:

— სამუშაო ძალიან მოგვმატა, კაცო! შენ კი ისე არხეინად ხარ, ვითომ



მამაშენს ადელხანოვის ფაბრიკა ჰქონდეს! შეახსენე ზაქროს, შრომადღებები მეტი დაგიწეროს, იქნებ საზამთროდ ერთი ბრაზუნა ჩექმები იყიდო.

სოსანამ თავი გაიქნია.

— სამუშაო კი არა, სიკვდილმა იმატა, ჩემო გოლა! კვირა არ გაივლის, სოფელში ერთი-ორი შავი ქაღალდი არ მოვიდეს! სიკვდილის ფეხის ქირავი ფულს ვერ ავიღებ, ფეხშიშველი ვივლი და მაგას ვერ ვიზამ!

გზაზე არავინ სჩანდა. მხოლოდ ერთხელ ჩაუქროლა ვიღაც ცხენოსანმა. სოსანამ ის კაცი ვერ იცნო, მაგრამ ეტყობოდა, სატში მიდიოდა. ხურჯინის თვალიდან საკლავს თავი ამოეყო და ბლაოდა.

მინდორს ჩიტებივით დასეოდნენ პატარა გოგო-ბიჭები. ნამკალში ჩარჩენილ თავთავს ჰკრეფდნენ, მარცვალ-მარცვალ აგროვებდნენ მიწაში ჩაფანტულ ხორბალს.

„შირაქს რომ ეგრე გაუჭირდება, სხვაგან რა იქნება!“ — გაიფიქრა სოსანამ.

— სოსანა პაპავ! — მინდვრის პირთან ერთი ციდა გოგომ მოიბრინა და მუჰისოდენა პარკი მალლა ასწია: — აი, მე რამდენი მოვავაროვე!

— აუჰ, — გაიკვირვა სოსანამ და ხელები გაშალა: — მაგას ერთი წისქვილი ვერ აუთავადება, შე ქალო!

გოგო მოიღუშა და ჩუმად მიტრიალდა... წისქვილი არ უნდა ეხსენებინა პაპა სოსანას.

შირაქში მოსავალმა დაიკლო. ქალები და ეს დროული კაცები ყელის-ქრა სამუშაოს ველარ აუდიოდნენ. ქვეყნისოდენა ჯარს კი ცოტა საგზალ-სამხარი როდი უნდოდა. შარშან კალო-თუბნელებმა სახელმწიფოს მისი წილხვედრი ხორბალი რომ ჩააბარეს, სოფელს თითქმის აღარაფერი დარჩა. თავი მაინც გაიტანეს, — თუ კაცი კარგად მიიხედ-მოიხედავს ამ კურთხე-

ულ ტყე-ველზე, არ შეიძლება ხელში რამე არ მოჰყვეს. პანტაზე და მზირას კოპტონზე გადაივლის, ოღონდ ფრონტიდან ის შავი ქაღალდი ნუ მოუვა.

შავი ქაღალდი...

სოსანას უტბად გაახსენდა, დღევანდელ სამკუთხა ბარათებში ერთი თხელი, ნაცრისფერი კონვერტიც ერია. რამდენიმე ადგილას იისფერი ბეჭედი ეკრა და მისამართიც საწერი მანქანისა იყო.

სიკვდილის ამბავი სწორედ ასეთ კონვერტებს მოჰქონდა.

გახარებულ სოსანას წელან გულიდან გადაუვარდა ეს დაბეჭდილი წერილი, ან იქნებ განგებ არ მიაქცია ყურადღება: ჯერ ანუკას გავახარებ, ამ ჯანდაბა ქაღალდს კი მერე მივხედავო... ჭირისუფლების შეცხადება, ზარდამცემი წივილ-კივილი ხანდახან ისე მოშლიდა ფოსტალიონს, რომ მერე ეზო-ეზო სიარული აღარ შეეძლო. ამიტომ ჯერ სამკუთხა ბარათებს ჩამოარიგებდა ხოლმე.

სოსანა შეჩერდა, ჩანთას პირი გადაუწია, რომ ის ნაცრისფერი კონვერტი ეპოვნა და ჩანთის გარეთა უბეშა გადაედო. სოსანამ მუდამ ასე იცოდა: დაბეჭდილ კონვერტებს და სამკუთხა ბარათებს ერთმანეთში არ აურევდა, — მკვდრებს და ცოცხლებს ერთად ყოფნას არ დაუბედებდა.

იპოვნა და მისამართს დახედა.

სოსანას ტანში აბურძგნა: ეს დაბეჭდილი კონვერტიც ზაქარია ნადიბაიძის სახელზე იყო გამოგზავნილი.

„ნუთუ გიორგი!“

ელდანაცემმა სოსანამ ფიქრი აღარ დაამთავრა, გზისპირას წამოშვერილ ბრეჯზე მოწყვეტილი დაეშვა და ისევ მისამართს დააჩერდა.

კოხტად ჩაწიწიკებულ ასოებს ერთი კბილიც კი არ ჰქონდა ჩატეხილი. ყველაფერი კარგად იკითხებოდა: სა-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნატვრის თვალი

ქართველო, წიფლისწყაროს რაიონი, სოფელი კალთუბანი, ზაქარიანადიბაიძეს.

კონკრეტი ჩანთაზე დასდო, ზედ ხელები დააწყო და თავი ჩალუნა.

სოსანას დღესაც ახსოვს გიორგის პირველი ბარათი. თეთრი, ტკიცინა ქაღალდი ისე ჩახლართულად იყო დაკეცილი, რომ ანუკამ თავი და ბოლო ვერ გაუგო და, სანამ სოსანა არ მიეშველა, წერილი ვერ გახსნა, — ეშინოდა, არ გამეხესო.

ასეთი რაღაც იშვიათი, მართლა გადასარევი ქაღალდი ჯერ თვალითაც არ ენახა კალთუბნელ ფოსტალიონს. იმ დღიდან სოსანა თვალდახუტული იცნობდა გიორგის ბარათს. ხელს მოჰკიდებდი — ტკიცინებდა, გაშლიდი — ტკიცინებდა. უბეში ჩაიდებდი — იქიდანაც კი რაღაცას ამოგძახებდა. აბა იმ მომენტარულ, ჟამისფერ ქაღალდზე დაწერილ ბარათებს კი არა ჰგავდა, ლევანი და სხვა ჩვენი სოფლელი ბიჭები ფრონტიდან რომ აგზავნიდნენ.

მალე გიორგიმ თვითონ მოიწერა ამ ლამაზი ქაღალდის ამბავი:

„თამბაქოში გამიცვალა ერთმა ტყვემ... „წაიდგო“, მუნჯურად მითხრა და მთელი დასტა დამიდო წინ, „ოღონდ ცოტა თამბაქო მომეცი, ერთი ნაფაზი სიცოცხლედ მიღირსო“. „არ მინდა შენი ბარიშების ქაღალდი, თამბაქოს ისედაც არ დაგამადლი-მეთქი“, მეც მუნჯურად ვუთხარი და ქისა ამოვიღე. არაო, მითხრა, ხომ ზედავ წერილების გასაგზავნად ალარა მაქვს საქმე, ჩანთაში ტყუილად გამიფუტდებოო. შემეცოდა ის უბატრონო და მთელი ქისა მივეცი. ასე რომ, დედაჩემო, თუ ბიჭებმა ძილში არ გამძარცვეს, აბრეშუმის წერილებს არ მოგაკლებ, ოღონდ თქვენ კარგად იყავით და ჩემი დარდი ნუ გექნებათო“...

რამდენი იცინა ანუკამ, ეს წერილი რომ წაიკითხა. „ჩემი კეთილი ბიჭი, ჩემი გადარებული ბიჭი“, — ჩურჩულებდა და წერილს გულში იხუტებდა. ახლა კი...

რატომ ის დღე არ დაიქცა, როდესაც სოსანამ ფოსტალიონზე დააწყო რარიგ უყვარდა თავისი საქმე, როგორ შეძლდა ამ ბოლო დროს ეს დასაწვავი ჩანთაც და ფოსტის სახელის გაგონებაც. რა შიშის კანკალი აიტანს ხოლმე, იმ განაპირა სარკმელს რომ მიადგება, საიდანაც კაცმა არ იცის, რა მეხი და ზარი დაატყდება თავზე.

ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ახლა ეს წერილი ანუკას მიუტანოს. არა, ჯერ კალოებზე გაივლის, ზაქარიას იპოვნის და ორივე წერილს იმას ჩააბარებს. ასე აჯობებს. საწყალი მამები! ვითომ იმათ კი აღარ სჭირდებოდათ დაზოგვა და შებრალება! რახან კაცები არიან, ყველაფერს უნდა გაუძლონო... ეს რომ გაიფიქრა, სადღაც გულის კუნჭულში თავისი თავიც შეიბრალა სოსანა ყაბანაშვილმა.

სოფელში არ შევიდა. კოდის წყალთან შეუხვია და ჩანთა გოლას დაუტოვა. „ერთი კაცი უნდა ვნახო და მალე მოვბრუნდები“, — მეწადეს მეტი არაფერი უთხრა და ნაურის აღმართს შეუდგა. ამოდენა გზა სულჩაუთქმელად გამოიარა, — მაინც არ შეეპუა აღმა-დაღმა სიარულს, რომ ქვემო კალოზე მალე ჩასულიყო.

ნაურის საბძელთან ქალები სათივესა სდგამენ. ზვინის თავზე მაგდანი ფუსფუსებს. ხელში პატარა ფოცხი უჭირავს, თივას ასწორებს და ტკეპნის. თეო და მისი რძალი ქვემოდან ბულულებს აწვდიან. ორივენი ძალიან ცდილობენ, მაგრამ ვერ იქნა და საქმის ბარაქა ვერ მოჰკიდეს. რა ჭირი ყოფილა ეს ფიწალი! ჯერ კი ხვავრიელად აიყოლიებს ბულულს, მერე ერთბაშად ჩამოიშლება და ერთი ბლუჯა თივა თუ შერჩა, ღმერთს მადლობა უთხარი.

ზაქარიამ ცხენს უნაგირი მოჰხადა, აღვირ-ლაგამი წამოჰყარა, მერე ვასასა ვავაზე ხელი დაჰკრა და საძოვრად გაუშვა. ქორისამ ერთი-ორი ნაბიჯი კი წადგა ნათიბზე, მერე მობრუნდა და სათივეს მიეტანა.



— არჩევანი არ შეგეშლება, შე მგელო, შენა! ქალებისა მაინც შეგრცხვეს, იმათ ნაჯაფს რომ დაეტაკე! — დატუქსა ზაქარიამ და ქორისას ხელი აუქნია.

ნათიბზე მომავალი სოსანა ჯერ ქალებმა დაინახეს, მერე ზაქარიამაც მოატანა თვალი. გაუკვირდა, ამ შუადლისას მინდორში რამ ჩამოაგდო. ქალებმა კაბაზე მოდებული თივის ნაფშვენი ჩამოიბერტყეს და ფოსტალიონს მიაშურეს. სოსანამ მაშინვე ხელები მალლა შეჰყარა და მიტრიალ-მოტრიალდა, აქოდა, დაინახეთ, უჩანთოდ ვარ, ტყუილად ნუ მორბიხართო.

უჩანთო სოსანა ვის რა შავ ქვედ უნდოდა. ქალებმა რალაც წიაბუზლუნეს და სათივეს დაუბრუნდნენ.

სოსანამ საბძელთან მოუცადა ზაქარია ნადიბაიძეს.

— ორი წერილი მოვიდა, ზაქრო! — ერთი ლევანისა უნდა იყოს. — სამკუთხა ბარათი მისცა და სუნგალი გაიწყვიტა.

რა ძალა აქვს სიხარულს!
განა მარტო თვალები და უპებთან მისეული ნაოჭები, — ქალარა წვერულვაშიც კი გაუბრწყინდა ზაქარიას.

— შენ ავაშენა ღმერთმა! — სოსანას ტანში გასცრა, რალაც ისეთი ჩუმი და უსაზღვრო შვევა ამოატანა ამ დალოცვას ზაქარიამ: — ძლივს არ ეშველა იმ დედაკაცს!

ის-კი იყო წერილი უნდა გაეხსნა, რომ უცებ თავი ასწია და სოსანას ჰკითხა:

— მეორე?

— მეორეს არ ვიცი, ვინ იწერება.
— მომეცი! — იმ დიდი სიხარულის ნარჩენი ჯერ კიდევ ტუჩ-პირზე უქართლა ზაქარიას.

ჩვენი მაცოცხლებელი და ჩვენი დამლუპველი იმედი თავის მადლიან ჩარხს ატრიალებდა.

სანამ კონვერტიდან ქალალდს ამოიღებდა, ზაქარია შებრუნდა და საბძელს მოეფარა. სოსანა მიჰყვა, ახლა

ისინი არა სჩანდნენ იმ ადგილიდან, სადაც ქალები მუშაობდნენ. ზაქარიამ წერილი გაშალა ეტყობა, ბოლო სტრიქონებს დაჰკრა თვალი.

და სოსანამ დაინახა: ეს ჰარმაგი კაცი ერთი კი შებარბაცდა, თითქოს ტანში უხმო მებმა დაუარაო.

მერე არაფერი... ერთი ძარღვიც არ შერხეგია თავ-კისერზე. მხოლოდ ეს უთხრა სოსანას:

— წამიკითხე! — და წერილი გაუწოდა.

სოსანამ გამოართვა და ზაქარიას თვალებში შეხედა. იმწამსვე მიხვდა, ეს კაცი ახლა ვერაფერს ხედავდა, ვერც ფოსტალიონს, ვერც ამ გადაყვითლებულ ნათიბებს და ვერც ოზაანის სერებზე ჩამოშავებულ ღრუბლებს.

„თვალები დაუბნელდა, იყვიროს, იბღავლოს, თავში ხელი შემოირტყას, ცოტა შეღავათი მაინც მიეცემა!“ — გაიფიქრა ფოსტალიონმა.

ის კი ისევ გაქვავებული იდგა და ვითომ სოსანას უყურებდა, მაგრამ სოსანა ვერა გრძნობდა მისი თვალების ნაშუქარს.

— თავიდან წავიკითხო?
— თავიდან.

ისინი პირისპირ იდგნენ — ერთი ხელის გაწვდენაზე, ზაქარიას ხმა კი თითქოს საიდანაც შორიდან მოვიდა.

სოსანამ სათვალე შეისწორა და წაიკითხა:

პატივცემულო ზაქარია!

თქვენი შვილი, უმცროსი სერჟანტი გიორგი ზაქარიას ძე ნადიბაიძე, სამხედრო ფიცის ერთგული, გმირულად დაიღუპა ფაშისტებთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში. გიორგი ნადიბაიძემ იერიშის დროს შესცვალა მოკლული ათმეთაური და გაბედულად წინ გაუძღვა ამხანაგებს. პირადად მან

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნაბერის თვალი

ამ ბრძოლაში გაანადგურა გერმანელთა ძელმიწურის გარნიზონი. ეს მოხდა 1941 წ. 27 დეკემბერს. იგი დაკრძალეს ტყისპირას, საძმო საფლავში.

ბარათს ზელს აწერდნენ კაპიტანი რუსაკოვი და უფროსი პოლიტბელი ირემიძე.

მთელი ის ხანი ზაქარია ჩუმად იყო, ერთი კენესა არ დასცდენია.

— უნდა გაუძლო, ზაქრო, მთელი ქვეყანა ამ დღეშია! — სთქვა სოსანამ. არ უნდა ეთქვა.

აბა ეგ რა ნუგეში იყო! მართალია მთელი ქვეყანა იტანჯება, მაგრამ ისიც ხომ მართალია, ქვეყანაზე რამდენი კაციც დადის, წამების ჭვარიც იმდენი დადგა მამაზეციერმა.

ერთი კაცის ტკივილი მეორე კაცის ტკივილს ვერ გააყუჩებს. ყველამ თავისი ჭოჭობებით უნდა გაიაროს, — ეს განა არ იცოდა სოსანამ, მაგრამ ცხოვრებაში მუდამ ასე ხდებდა: სწორედ მაშინ ვერ იპოვნი საჭირო სიტყვას, როდესაც სიტყვის გარდა სხვა მაშველი არსაიდან ჩანს.

— ერთი ძმობა უნდა გამიწიო, სოსან! — ხმა ამოიღო ზაქარიამ. ეტყობა, თვალეზში სინათლე დაუბრუნდა: ბარათი გამოართვა და კონვერტში ჩადო: — ეს წერილი შენ ჩემთვის არ მოგიცია! არც გინახავს, არც წავგიკითხავს! არ მოსულა! მორჩა და გათავდა. გაიგე?

გაიგო, როგორ არ გაიგო... ამ წერილს ანუჟა ზედ დააკვდება! სული კიდევაც რომ შერჩეს, მისი ცოდვა ქვეყანას ააღულებს.

— ლევანის წერილი წაიღე და ახლავე მიუტანე!

— რა ვქნა, ზაქრო, თავი როგორ დაგანებო!

— წადი, სოსანა, ახლა აღარავინ აღარ მპირდება! — ისევ იმ შორიდან მოსული ხმით უთხრა ზაქარიამ, თავი დაღუნა და გზის პირას გაბმულ ეკალბარდებს გაჰყვა. ცოტა რომ გაიარა, უკანიდან ფეხის ხმა მოესმა.

სოსანა ეგონა.

მოიხედა.

ცხენი მოჰყვებოდა კვადრატულ ეტყობა, იუცხოვა, ასე უბრად გაეცალა და წავიდა: ჩუმად დაიფრუტუნა და, როგორც იცოდა, პატარა ლამაზი დრუნჩი მკერდზე მიაბჯინა ზაქარიას.

— ახლა შენც გამანებე თავი, ჩემო ქორისა, გამიშვი მარტო! — უთხრა კაცმა.


დიდი დარდის ენა ყველა სულიერმა იცის. ცხენი იქვე დარჩა, სადაც იდგა. ზაქარიამ კი გზიდან გადაუხვია, ძეძვიანის დაღმართზე დაეშვა და მიწაზე დაემხო. აქედან, ამ დაკარგული ხრამიდან, მგლის ყმუილიც კი ვერ აღწევდა სოფლამდე...

გონზე მოვიდა თუ არა, ყველაზე მეტად ის გაუკვირდა, რომ იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. გულში მწარედ გაეცინა: რა ზვადავია ადამიანი! შეიძლება ასეთი უბედურების გადატანა? რა შვილი დაჰკარგე, შე ბედშავო, შენ კი ისევ ცოცხლობ და სადილობის დრო რომ მოაწევს, სული მაინც გეტკბილება და გაწყობილ სუფრას მიუტყდები. არა, არა, ტყუილად ხელს ნუ აქნევ! დღეს თუ არა, ზვალ-ზეგ მაინც მიუჭდები... ამ ლამაზ ცასა და ველმინდორს კი ფერიც არ ეცვლება, ხეებს ერთი ფოთოლიც არ მოსწყდება. ყველაფერი ისე დარჩება, როგორც მანამდე იყო. მანამდე. გიორგის დაღუპვამდე.

ულმობელმა მეხსიერებამ არც ახლა დაზოგა ზაქარია. დააცხრა თავს და ისეთი რალაც გაახსენა, — საიდან სადაო! კენესა ამოხდა მიწაზე დამხობილ მოხუცს.

...ალავერდში ხატობაზე იყვნენ. წამის-წამზე ჯირითი უნდა დაწყებულყო, რომ ანაზღად ქორისას უკანა ფეხზე ნალი ავარდა.

ჩლიქი დაუშავდებო, დაფეთდა ზა-



ქარია და თავისი უფროსი ვაჟი მაშინ-ვე ცხენიდან გადმოსვა. ბევრი უმტკიცეა გიორგიმ და მისმა ამაღამ, სუფთა, ნათიბ მინდორზე ქორისას არაფერი უჭირსო, მაგრამ ახირებულ კაცს სიტყვა ვერ გადაათქმევინეს. შვილს ცხენი არ ათხოვა. თავმომწონე ყმაწვილი ტოლებში გამოსწყვითა, გული სასტიკად დაუჩაგრა. მისი გულდაწყვეტილი თვალები დღემდე არ დავიწყებია ზაქარიას.

ფიქრი ფიქრს წაება, მოგონება — მოგონებას, მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ ერთი ნათელი და გახარებული დღე არ დაუდგა თვალწინ სულისა და ზორცის გაყრამდე მისულ მამას. მხოლოდ და მხოლოდ ის უკუღმართი დღეები ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს, როდესაც გიორგის უსამართლოდ მოეპყრო და გული ატკინა.

ან კიდევ, რაღაცაზე გააწბილა, სურვილი არ შეუსრულა. ან კიდევ, იძუწა და ჯიბეზე ხელი არ გაიკრა. ან შეიძლება ისეთი რამ დაუშალა, რაც დაკვირვებულმა კაცმა შვილს არ უნდა დაუშალოს...

დაბოლოს ისიც კი მოაგონდა, — ერთხელ ქალაქში მიმავალ ზაქარიას პატარა გიორგი ჭიშკართან, უზანგზე რომ ჩამოეკიდა და შეეხვეწა, ლურჯი ფანქარი მიყიდევო. გიორგი მაშინ შვიდი წლისა იყო.

— ლურჯი ფანქარი რად გინდა, ბიჭო! — ჰკითხა მამამ.

— ზღვა უნდა დავხატო. — გიორგიმ.

ზაქარიას გაეცინა. — ჯერ ზღვა არ გინახავს, შე სულელი! აბა როგორ დახატავ!

— რაც არ გინახავს, ის უნდა დახატო, თორემ მზესა და სახლებს ყველა დახატავს! — მიუგო ბიჭმა.

რაღაც ფარსაგად, ზაქარიას გულიდან გადაუვარდა შვილის დანაბარები, ვერ უყიდა ლურჯი ფანქარი. გიორგის კი იმ საღამოს თვალბზე ჩუმი ცრემლი არ მოშორებია. ჰკუთა მაინც ვერ ისწავლა ზაქარიამ. წაუყრებდა ხოლმე შვილების სიტყვა-სახვეწარს.

ერთი ნათელი მოგონება არ გაიმეტა ხსოვნის უძირო ჯურღმულმა, თითქოს ნადიბიძეების მამა-შვილობას მეტი არაფერი ჰქონდა მოსაგონარი. და უეცრად სინანულმა, მოუწლებელმა სინანულმა სასო წარკვეთა ზაქარია ნადიბიძეს. ნანობდა, ცეცხლი ეკიდებოდა, რომ ოდესღაც შვილს გული ატკინა და წადილი არ შეუსრულა.

„არ ვიყავ კარგი მამა!“ — გამოუტანა განაჩენი თავის თავს...

ამ შეუბრალებელმა ზეცამ კი, ყველაფრის მომსწრე და მნახველმა ზეცამ ერთი ხმა არ გაიღო, ეგ ეგრე არ არისო...

მეოთხე ნაწილის დასასრული



ჩემგან განვლილ წელთა საჩუქარი

განვლილმა წლებმა
 მე საჩუქრად
 მიბოძეს აღქმა,
 აღქმა იმისა,
 რაც ამალლებს
 ჩვენსაჲ არსებას,
 რაც სულს
 ამალლებს,
 ასხივოსნებს
 და გვიადვილებს
 სიცოცხლის თასის
 ტრფილით და
 სიბრძნით ავსებას!
 აღქმა იმისა,
 რომ სიცოცხლე
 ყველგან ერთია,
 ვით სიყვარული
 ღვთაებრივი,
 დაუძლეველი!
 რომ მთელ სამყაროს
 სული უდგას,
 რომ იგი სუნთქავს,
 რომ სულ მცირედშიც
 გვევლინება
 ჩვენ
 სასწაული!!
 რომ თვით სიკვდილშიც
 საწყისია
 ახალ გაჩენის!!
 განვლილმა წლებმა
 მე, საჩუქრად
 მიბოძეს აღქმა,
 შეგრძნება იმის,

რასაც თვალი
 ჯერ ვერ ხედავდა,
 თუ როგორ ჩნდება
 ციურ სხივთა
 ჯადოქარობა
 პოეტის თქმაში,
 ანდა ფრინველთა
 მგალობელთა
 გალობის ხმაში!
 მე უკვე შემწევს
 კაცის აღქმა,
 ღირსეულის
 ამ წოდებისა,
 არამზადობის,
 ნაძირალთა,
 სინდისგარეცხილთ შორის!
 წუთშივე ვარჩევ
 სამშობლოს მტერს და
 ოსტატურად
 შენიღბულ მლიქვნელს
 აქ აღქმა მათი
 მე საოცრად,
 მეადვილება!
 მაგრამ, მასთანვე,
 საოცარ ზიზღით
 და სიბრაზით,
 გული ინთება,
 ახლა აქ მინდა
 დავსვა წერტილი,
 კარგს და
 ცუდს შორის
 დავდო მანძილი!
 დავტოვო გაღმა



ქართველი
წიგნისწერების
კავშირთა
კავშირი

სიბინძურე,
შური და მტრობა,
ოღონდ,
ამ მიწაზე,
მხოლოდ სიკეთე
შეგვრჩეს ნამდვილი,
მე კი ოცნება
სანუკვარი
მიტაცებს ერთი:
რომ წარსულ დროთა
არ მოსავდეს
გონებას თაღზი!
თვისი ზნეობით,
და გონებით,
რომ ისევ აღსდგეს,

რომ კვლავ
ამაღლდეს
მშობელი ხალხი!!
განვლილმა წლებმა
მე, საჩუქრად,
მიბოძა აღქმა.
აღქმა იმისა,
რაც ამართლებს
ჩვენს აქ არსებას,
რაც გვიადვილებს
მარადიულ
სიცოცხლის თასის
მხოლოდ და მხოლოდ
სიყვარულით,
სიბრძნით ავსებას!

1983 წ.



პარილი

ჯერ ზღვაა ფერთა და სიმკვებთრეა,
მზე არი ყველგან და სინედლეა,
ჯერ ცისკარია, ჭერაც აღრეა,
აღრეა ჭერაც გზის დასასრული.

ჭერაც მთებია, დიდი მთებია,
თვალში უფრორე რო მალღლებიან,
გაზაფხულობით რო ახლღებიან,
თოვლით წაშლილი, ფერგადასული.

ისევ ღუიან თვალში ყანები...
ულამაზესის და საყვარელის
უცნაურობა კრთის აკვარელის,
უცნაური და თვალთსასიერიო.

სიმშვიდე, — ჩემი დედაც, გადიაც,
ბებერ კოლხეთის მინღვრებს გადიარს,
ეს მერამღენე წელიწადია
ცოდვილის გრძელი გზით მისეირნობს

დაღლილი მზერა, და ღღე ნაზღება,
თრთის ტირიფონი ჭალით ნაზ ღებაღ
და, ისე ზანტად წალასლასღება
აპრილის წვიმით სავსე ღრუბელი,

მომენატრება და მომინღება
მეუფევე, შენი ტვირთი-ღიღება,
ფრთხელ დაკარგვა და გამითება...
— მაგრამ თქვენ ცივი ხართ მეუფენი!..

თუმც ზრახვა ჩემი არი მაღალი...
მზერა ნატიფი და დამნახავი —

დაუსრულღებელ სივრცეს გასღავის,
გაპღავის სივრცეს ტანღატოტილი.

როგორც ნაყოფი დედის საშოში, —
ღაღძრა თავში რაღაც საშიში
და ატორტმანღა მთვრალი ჰაშიშით
ღრო ყოვლის წარღვნის ცივ
მოლოღინით.

და უმღიმესი ჭაჭვი — საბელი
მაბამს მიწაზე, — ცისკენ გაფრენის
ჟინით მთვრალს!.. როგორც სისხლი
აბელის
ცა წითელია და მიმზიღველი.

მიმზიღველია შენსკენ სახეღიც,
როცა უთბიღეს ნისღში მახვეღი,
ვმღეროღი, როცა ფრთას შემახებღი —
მეც ერთი შენი ჭვარისმტვირთველი.

ვმღეროღი, როცა აცისკარებღა
მწუხრს ჰელიოსი ათასკარეტა
და მერე მაღალ ტევრს მიჰკვალავღა,
ტევრს მიჰკვალავღა, ტევრს
ყვავიღიანს...

ეს ღღეც ჭალიღით იგრძენს ხეღებმა,
ჰპოვეს თვალღებმა... და გახეღებაც. —
ელვათა მძაფრი გაღახვეღება
მიეცა წარსულს და გაიღია.

მონღლოზი სარკის წინ

საით მიგყავარ, საით, დაღლილი,
წინ გაღღებული გზებზე ძალიღვით,
მზე დააცურღა ზენიღს დაზრიღი...
საით მიგყავარ, საით, ნეტავი?

ვინ დასციღღება ნაცნობ არეღებს,
ნაცნობ ხეღებს და შემოგარეღებს,
ფიქრში ვის სეღდას შემოგარეღვენ,
სეღდას საავღრო ყომრალ ღრუბღისას.



შენ კვალში გიდგას ბედი — მწვევარი,
 შენ გქვია მუდამ უფლის მძევალი,
 მაცოცხლებლის და მომაქცევარის,
 მხოლოდ მძევალი გქვია უფლისა.

რადგან მაღალი მხოლოდ ღმერთია,
 რადგან მარტოა, რადგან ერთია,
 რადგან ყოველთა ზე დამხედია,
 ღმერთია რადგან შენი მფარველი;

რადგან ბინდია, ბოლოს ბინდია...
 თვალშიც ზამთრების ყრუ ამინდია, —
 როცა უეცრად შენგან მიდიან
 შენი სალხინო დღის მომპარველნი.

ჩნდება უდაბნოს ცხელი ქვიშრობი,
 ჩნდება მშობელი მთები შიშვლები,
 და უმშვიდესი სახე ღვთისმშობლის
 აირეკლება კედლით ღვთიური.

მერე შენც ისე მალე ნებდები
 ფერს მარადიულ ცის ხავერდების,

ხმა გაქვს მოწყალის და მავნებლის
 მიწიერი და ამქვეყნიური.

შენს ირგვლივ ახლა სხვა გნისია,
 მეტი მტვერია, მეტი ფარსია
 და, ისიც შენთვის რაც ძვირფასია,
 მისდევს მასკარადს პირნიღბიანი...

რადგანაც მზერა ცას შეეჩვია,
 რადგანაც შენი სული ფერშია —
 წინ სრბოლა არი და თარეშია,
 წინ კიდევ ბრძოლის ერთი დღე არი...

უმწყნარებელი და იშვიათი
 გამოკრთის უფლის სხივი ჭიატით, —
 უფრო სათნო და უფრო დიადი
 არ გინატრია სხვა სანატრელი;

ფიქრში ღამეა, მთვარის კრთომაა,
 ცხადში მკრთომარე სიზმრის კვდომაა...
 წინ უცნაური შემოდგომაა
 და მოსაწყენი თოვლის ნათელი.

შავ ზღვასთან

მოვედი შენთან, ზღვასთან... ნაპირთან
 ალბატროსივით ფიქრი დაფრინდა,
 მომეცი რამე მაგ სიმძაფრიდან,
 მომეცი რამე, რამე მომეცი.

ამოვარდნილი ჩქარი პულსიდან —
 შენი ღელვიდან მორბის მუსიკა,
 შენი ღელვიდან ვის განუზიდავს
 ვნება მკაცრიც და უსათნოესიც.

პონტოს ტალღებო! ისე შორია
 ცხოვრება თქვენი და ისტორია,
 ქარიშხლის ყუფით დაგიტორიათ,
 დაგირბევიათ ლურჯი კბოდენი.

და გექაჩებათ თითქო აღვირზე
 (თითქო საშიში რისხვით აღავსეთ)
 პოსეიდონი და... გააღვიძეთ
 ჩემშიც სიმშვიდე ცრემლისოდენი.

დადექი ღელვავ! გზად მივაცილებ,
 გზად მივაცილებ ჩემს სიყმაწვილეს,

ღრო თეთრ აღმებად რო მინაწილებს,
 რომ ინაწილებს სივრცე, სივრცენი...

მცირედი შემრჩა, მცირე მრავლისგან,
 წარსულს ვინ გასწმენდს მტკრისგან,
 ნავლისგან,
 ვინ დამიფარავს ნეტა ავისგან?
 ვისი ვიქნები ხვალ მასპინძელი?!

ვინ შემასხდება მხრებზე ტორებით,
 ვინ მომეკვრება მკერდს გაზმორებით,
 ან ვინ დამტოვებს და... განშორების
 რისი ჩამომრეცხს ცრემლი უბებებს?

ირგვლივ სიზმრებად რო მიმოდიან —
 სიცხადე ჩემი — ნათლის ლოდია,
 დღემდე თითებით რო მიპოტნია
 და შუქს წყვდიადის უღრანს უკმევენ.

ვინ ახსნას ახლა ეს აღტაცება...
 დემონიური ჩემი არსება
 შეგუებია ბრბოს და დაცემას —
 შეგუებული გვემას მარადისს.

და უჩვეულო ფერში ნაფერი,
გარბიან წლები და სიმძაფრენი,
გარბიან წლები — არგოს აფრები, —
ცოდვა, ტკივილი, დრო და ლალატი.

რას ვიმარხავდი გულში აქამდი,
მეც უფსკრულეთის გზით გადავქანდი,

მეც უამთან ბრძოლა მაქვს დანაკადი,
მეც სიყვარულის მადვეს ხუნდები

მეც გულზე ზათქით დამეჭახება
ლურჯი ტალღები ბასრ ნაჯახებად
და მარადიულ შენს აჯანყებას
ვმორდები ზღვაო და... ვუბრუნდები!

იმედი ჯახუა

დავიწყებისთვის განწირული ყოველი წამი,
ყველა მბუხტავი ნაპერწკალი ჩანაცრულ დღეთა,
ვით ჩაწოლილი ქარით ლერწამი,
ხსოვნაში ჯერაც უმწეოდ ფეთქავს...

და გულიც ფეთქავს...
აგერ დღემდე უღონოდ ტოკავს,
და მაინც ფეთქავს
შეჩვეული ტკივილებს გული,
რომელსაც უკვე —
ვით ნაოკებმოჯარულ ლოყას
იმ ოდინდელი მზრუნველობით არავინ უვლის...

ძნელია უკვე — აარიდო საფიქრალს თავი,
თუნდ დათმო სმენაც და ჩინიც თვალთა...
ვით შუა ზღვაში დარჩენილი უნიჩბო ნავით
არ გაჰყვეს ქროლვას ბოგანო ქართა...

ძნელია თვალთა გაშტერებაც ერთთავად გზისკენ,
არათუ უგზოდ ხეტება მხოლოდ,
მაგრამ — ვით ყოველ კომმარულ სიზმარს,
არ შეიძლება
ამ ყოფასაც არ ექნეს ბოლო...

უდასასრულო არ იქნება არაფრით ტანჯვაც,
(არ ჰგავდეს თუნდაც მისი ბოლო
ზღაპრების ფინალს)...
და ის, რაც დარჩა,
და ის, რაც დარჩა,
იტევდეს იქნებ
მთელ სიცოცხლედ ღირებულ დილას!..

აღრე თუ გვიან
არ იქნება არ გაწყდეს ძაფი,
ჟამი კვლავ ფრთხილად და ჯიუტად
რომ იხვევს თითზე...
და ნავიც ვიდრე მიაღწევს ნაპირს,
ვინ იცის,
ფარდა აეხადოს ყველაფრის მიზეზს...

ამის გამოა,
იმედების დაღლილ ათინათს —
მოლოდინს — გული ოდნავ მაინც ვიდრემდის უცემს,
რომ ვერ ელევინ ხავსსაც აღვილად,
და წინ დარჩენილ ორ პარასკევს
რომ ვერ თმობ უცებ...
და განწირული ყოველი წამი,
ყველა მბუხუტავი ნაპერწკალი ჩანაცრულ დღეთა.
ვით ჩაწოლილი ქარით ლერწამი,
ხსოვნაში ჯერაც უღონოდ ფეთქავს...
და ჯერაც ფეთქავს შეჩვეული ტკივილებს გულიც...

●

„ორი ცრემლიდან საქართველოს
გაპყურებს საბა“
(მუხრან მაჭავარიანი)

მთელი ცხოვრება წარსულს ვწყევლი
და
ოდენ მომავლის ვცოცხლობ იმედით
და გული მტკივა —
წყვილი ცრემლიდან
მამულს გაპყურებს როცა მცირედი...

თუ კანტი-კუნტად შევხვდები სადმე,
ბავშვივით ვხარობ ამ შეხვედრებით
და ძმაზე მეტად ძმადა ვთვლი
ქართველს,
ორი ცრემლიდან რომ იხედება...

●

კვლავ მომეძალა შენზე ფიქრი...
კვლავ თავდახრილი
მივყვები დაღმართს,
მიმაქვს ხსოვნა — ძვალი გახრული...
თავის გზით მიჰქრის ძველებურად
ჟამის მარხილი...
ბეწვის ხიდებით
გვიანდება ბედი მარხულის...
ვერ ვათქმევინე სიმღერები
გულს გასახარი...
ვერ ავუქშიე
გაწბილების ლანდი საპყარი...

ჩემს სიზმრებს ისევ
დაძინებელი ღამე ახურავთ...
ისევ მწირი და უსიტკბოა
ჩემი სამხარი...
სიცოცხლეს ჩემსას,
მავალს გზებით უთავბოლოთი,
მუდამ მოლოდინს რომ ვაძალე,
მუდამ მოლოდინს,
დღესაც წყალივით ენატრება
ის გაზაფხული,
რომ მოვიდოდა —
შენ დედოფლად რომ მოპყოლოდი...



გადაიხარა მზე დასავლით,
 არის რა ხანი...
 ვერ ვათქმევინე სიმღერები
 გულს გასახარი...

მიმაქვს თავქვევზე
 იმედების ძვალი გახრულდა...
 ყრანტალა სტუმრებს
 ელოდებათ მწირი სამხარი...

შეხვედრა გავფრთხილებ

რა უჩვეულო ფერი გამოჰყავთ
 ამ გაზაფხულზე ცხენისწყლის ჰალებს,
 — ზემოთ თუ ქვემოთ, გაღმა, გამოღმა,
 მირიად ტონში მღეროდა მწვანე!..

რა იყო მაინც, ენა ვერ იტყვის...
 ამ საოცრებას ან რა ბადებდა...
 მოაპრილე ცის
 ადგათ ნათელი ცხენისწყლის
 ჰალებს შარავანდედად.

ვით ამოსული მზეზე ორმოდან,
 ამ ნათელხილვას თვალებს ვაჩვენედი,
 თვალი რომ ვჭკიდე
 (როგორ მორბოდა!..)
 ხარისთვალეებით

ტერფედაჩხვლეტილს...

— არა, არ იყო ეს მოლანდება!
 დე, ამგვარ წამებს ღმერთი ჰფარავდეს!..
 ათასში ერთი ამონათლდება
 წუთი ასეთი კუბოს კარამდე...

გაოფლილ ბეჭებს მზე უმშრალედა
 თავდავიწყების საღერღელაშლილს
 და მისი მზერა
 მზის მხურვალეებით
 ენთო აპრილის დიდ სიმღერაში...

ცას დაკაწრული ტანი უთრთოდა
 რკინის ფრინველის გაკრული ბჭყალით

და უდარდელი სტეენით ირთობდა
 თავს
 გრილი ქარი ცხენისწყლის ჰალის...

რას გაიგებდა ქარი ბოგანო
 რა ნაღვერდალი ჩემში გაღვივდა...
 ან გული ასე რად მიბორგავდა,
 ან ტანზე ნემსებს რატომ მაყრიდა...

ფეხშიშველი და თავაწყვეტილი
 ქარს მოაპობდა ტანგარუჯული,
 დაპლულუნებდა თავს ღვთის მტრედით
 ტანდასერილი ზეცის ჩურჩული...

— მუხლმოუღლელს და
 ნათლისფრთებიანს
 უმღერდა თურმე ეს მზიანეთი!..
 თურმე რა ძლიერ მოგვნატრებია
 ჩემო ბიჭუნავ, ჩვენ ერთმანეთი!..

ამ ველ-მინდვრების პირმშოვ ალალო,
 ცრემლო ამ ჰალის დაღლილ ძეწნების,
 რად მივსდევთ ერთთურთს,
 თუ სავალალოდ
 მაინც ვერასდროს ვერ დავეწვიეთ?..

შენს მზის უღელში გაყოფილ კისერს
 ეფინოს უფლის მზერა კეთილი,
 რომ ამ ჰალებში დარბიხარ ისევ
 ხარისთვალეებით
 ტერფდაჩხვლეტილი!..

მოიმწყვდევს სივრცე მჯიღში უკუნეთს
 და ცისკრის ზარებს დააგუგუნებს...

უშველის, ნეტავ
 ეს განთიადი
 სენს უსაშველოს,
 სენს განუკურნელს?..

კვლავ აიწვიენ მთები ცერებზე!..
 კვლავ გაიღვიძებს კვირტი მთვლემარე!..

თვალისჩინსა და ფერს დაუბრუნებს
 და გაანედლებს მზე არემარეს...

მაგრამ როდემდის —
 ამ ყოფით მწირით
 აკვნით კუბომდის თავის გატანა?!
 როდის მიეზლოს თავ-თავის წილი
 კაცს და არაკაცს,
 ღმერთს და სატანას?!.

თენგიზ ჩალაური

უხის ჩასვლის წიგნი

რაც უფრო მაღლა მიიწევდნენ, აღმართი მით უფრო დამრეცი და ძნელად დასაძლევი ხდებოდა, მცენარეებიც გაცილებით ერთფეროვანი და უსახურნი ჩანდნენ, მხოლოდ დღის სინათლე ჰარბობდა აქ.

მთამსვლელებივით აუჩქარებლად და გამოზომილად მიაბიჯებდნენ, ფეხქვეშ სითეთრეშებარული ფოთლები უშრიალებდათ, ქვევით, ბოტანიკური ბაღის სიღრმეში რიბირაბო იდგა.

ორივეს, კაცსაც და ბიჭსაც, ძნელად გასამხელი სატკივარი აწუხებდა, მაგრამ არ იცოდნენ, რითი დაეწყოთ, რას ჩასკიდებოდნენ, საიდან მოევლოთ, ამიტომაც მოლოდინობდნენ ასე უბრაოდ განაწყენებული შეყვარებულებივით.

თვე სრულდებოდა, ერთიმეორე არ ენახათ, მონატრება ახლაც სტკიოდათ და განცილების გახსენება უნებურად ეამაყებოდათ.

ნახევრად გამხმარ თხმელის ხესთან კაცმა გაუბედავად, უცხოსავით გადაადო მხარზე ხელი, რაც შეეძლო მსუბუქად, თითები ოდნავ შესამჩნევად უთრთოდა და უცახცახებდა.

— როგორ სწავლობ? — ნაძალადევი სიმშვიდით ჰკითხა.

ბიჭს ბეჭი დაუმძიმდა, თვალმოჭუტვით გამომცდელად ახედა მამას.

— ისე, რა... — უგერგილოდ უპასუ-

ხა, გვერდზე გაიხედა და შეუმჩნევლად მოიკნინა ტუჩი, შემდეგ, უეცრად, კაცი სრულებით რომ არ ელოდა, ფეხგასხლტომილივით ორივე ხელით ჩაეჭიდა მამის მაჯას და ლოყით მიეხუტა.

კაცმა შვებანარევი სიამოვნება იგრძნო, თითქოს მტკივანი კბილი ამოგლიჯესო, ნაბიჯი შეანელა, ახალა აღიქვა პირველყოფილი სიმყუდროვე რომ ჩამომდგარიყო. დაბლა, ხევში მარტოხელა შაშვი გალობდა, რამდენიმე მუხლს რომ ჩაარაკრავებდა, დადუმდებოდა, საპასუხოდ გამოძახილს აყურადებდა, მაგრამ ამოდ... იქნებ, სულაც ჩამავალ მზეს ეთხოვებოდა.

— დედა როგორ არის? — გაუბედავი მობოდიშებასავით იკითხა კაცმა. ბიჭი ბილიკს ჩააცქერდა, ერთხანს იყუჩა, რა ვუთხრაო, ფიქრობდა.

— ტირის... — სიმართლე გაუმზილა. — გამუდმებით, — დაუმბატა შემდგომ. „ასე იქნება“, — უთქმელად დაადასტურა კაცმა. ახლა, ამწუთში განსაკუთრებული სიმძაფრით გრძნობდა დიდად დამნაშავე რომ იყო ბიჭთან, ისე როგორც არასოდეს არავისთან.

ფეხშეუწყობლად მიდიოდნენ, ერთმანეთის შეხებას დამუხტულებივით განიცდიდნენ, წინ გადაქანებულები მიფრუტუნებდნენ.

ბიჭს შარვალი დამოკლებოდა, ფეხსაცმლის კვინტებიც გაქუცვოდა, ცა-



ლი თვალით ამჩნევდა კაცი ამას, მხოლოდ ერთს ველარ გრძნობდა, მუხლებიც რომ გადატყაული ჰქონდა, ადრე, როდესაც ზიარ საწოლში იწვნენ, დაძინებულს ყოველთვის ამოწმებდა და ფრთხილად, სათუთად უსვამდა ნაიარევებზე მალამოს.

აღმართის დასასრულს ბიჭს მაინც უღალატა მოთმინებამ.

— ის ქალი... — ამოილულულა და საკუთარი გამბედაობის გააზრებამ დააღუმა.

კაცმა დაუოკებელი სურვილი იგრძნო ხელისგულები აეფარებინა მისთვის ტუჩებზე, მაგრამ ამის სანაცვლოდ მთლად მოეშვა და მოიმჩვარა.

— რა? განაჩენის მემკვიდრე ვიყავი იკითხა და შედგა, ხედვას ველარ უბედავდა შვილს.

— ის ქალი... დედაზე ლამაზი თუა? — ძალდატანებით დაასრულა ბიჭმა.

კაცი მთელი სხეულით გაქვავებულიყო, ბიჭის აქოჩრილი თავი ფერდზე მიეხუტებინა და ვერც გრძნობდა ტივილს რომ აყენებდა.

მთის წვერზე გარინდებით მდგომ მამა-შვილს ჩამუქებული ნაპრალებით ბოლმიანად ამოსცქეროდნენ გარშემოჯარული ხეებში.

ბინდი კი დინჯად ღვთისაგან კურთხეულ კაცზე დამუქებული სიკვდილივით აუჩქარებლად მოიწვედა მალლა.

გ ო ლ ო მ ქ მ ა

შუადღის მზისგან მისავათებული, თეთრხილაბანდიანი კაცი ყანის შუაგულში მდგომ კაკლის ამობურცულ ფესვზე იჯდა და შეუფარავი ყურადღებით ჩასცქეროდა ბალახში, თითას სიგანე დამრეც ბილიკზე, გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით ამომავალ ყავისფერ ჭიანჭველას.

მომწვანო, ნელი მარცვალი, რომელსაც ეს პატარა მწერი მოათრევდა, რომელიდაც სარეველას თესლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანდა, იმდენად ძძიმე იყო მისთვის, რომ მალიმალ სძლევდა, ითრევდა, აქანებდა და უკვე ამოვლილ გზას ხელმეორედ დასაძლევს უხდიდა.

კაცი გაოცებული გახლდათ ამ ციციქნა არსების გულმოდგინებით, შრომისმოყვარეობით, შეუპოვრობით და როდესაც სარჩოს ჩაბლაუჭებული ჭიანჭველა მეოთხედ შეუდგა აღმართს, აღტაცების ნიშნად წამოუსტვინა და ხელიც შემოიტყაპუნა ბარძაყზე.


სრულიად მოულოდნელად, ბილიკის

თავში დიდი მურა ჭიანჭველა გამოჩნდა, დაბარებულებით დაჭიმითებულმა ჩამოირბინა დღმართი, გზად შემხვედრს გვერდი აუქცია და როდესაც მტკაველის მანძილზე გაშორდა, თითქოს რალაც იაზრაო, შედგა, შემობრუნდა, აღმართში ხვანხვალთ მიმავალს წამოეწია და წინ გადაუდგა.

კაცი პირველხანად ვერაფერს მიხვდა, რადგან ჭიანჭველები ისე უხანხუნებდნენ ერთიმეორეს საცეცებს თითქოს დიდი ხნის დანატრული მოკეთებები შეჭყრიანო ერთმანეთს, მაგრამ როდესაც დიდი პატარის ნაჯაფარს ჩაეჭიდა და დასაკუთრება მოუნდომა, მაშინდა იაზრა, წართმევას რომ უპირებდა.

მურა ჭიანჭველა თავის დაგვალულ თანამომქმეზე რამდენჯერმე დიდი ჩანდა და, ეჭვგარეშეა, ძალ-ღონეც შესაბამისად მეტი უნდა ჰქონოდა.

თუმცა ტანმოჩილი საოცრად დაღლილი და არაქათვამოცლილი იყო, მაინც გაჭირის სიჯიუტით გაუძალიანდა, არც შეუშინდა, არც წილხვედრი



დაუთმო და როდესაც მოძალადემ მარცვლიანად აითრია, უკანა ფეხებით ბალბის ღერს ჩაეჭიდა, ბაგირივით გაიჭიმა, დაიძაბა და შეაჩერა.

გოლიათი გააოცა ასეთმა მოულოდნელმა წინააღმდეგობამ, ცოტა ხნით გაოგნებული შედგა, თითქოს ჰკვირობდა, ეს ვინ ყოფილაო... შემდეგ მარცვალს თავი მიანება, შემოუბრინა და გაჯიუტებულს გაგულისებული ეძგერა.

ხის ფესვზე წამომჯდარი გლეხკაც უწინ გადაიხარა, რათა უკეთ დაენახა, რა ხდებოდა მისგან ორიოდ ნაბიჯის მოშორებით და როდესაც შეტოქებულნი ერთუბრთს გაშორდნენ, შენიშნა, რომ პატარა ხერხემალში იყო გადატეხილი და უკანა კიდურები ციებინით უცახცახებდა.

გამარჯვებული ნალაფარს დინჯად მიუბრუნდა, ჩაეჭიდა და საკმაოდ თავისუფლად წაათრია აღმართში, მიუხედავად იმისა, რომ დასახიჩრებული კუთვნილს მინც ზედ ეკიდა და არაფრისდიდებით არ თმობდა.

ყოველივე ამის მაცქერალმა ადამიანმა გაავება იგრძნო: «ასეა ყოველ-

თვის და ყველგან...» — გაიფიქრა, ყოფას გიტირებო, მოძალადეს დაემუქრა და მიწიდან გამხმარი წკირი ხსნო. უმნიშვნელო საგანი სრულიად საკმარისი გახლდათ ავაზაკის დასასჯელად, მაგრამ კაკლის გრილი ფესვიდან წამოდგომა და წელის ათრევა დაეზარა, წკირი შორს მოისროლა და კვლავინდებურად გულგრილი მაცურებლის როლში დარჩენა ამჯობინა.

დამარცხებულმა აღმართის ბოლომდე არ დათმო მარცვალი, სიცოცხლე-სავით ეკიდებოდა სარჩოს, იქ კი, უკვე სიყვითლეშეპარული ბალახის ძირში, საბოლოოდ განრისხებულმა მურა ჭიანჭველამ ერთხელაც მოიცალა მისთვის, სხეულის დამბლადაცემული მხრიდან მიადგა და მძალვრი ყბებით აუჩქარებლად აქნა და ნაჭერ-ნაჭერ დააქუცმაცა.

ვიდრე სულს განუტევებდა, პატარა ჭიანჭველამ წყენანარევი მზერით ახედა ზეცას და არსებობის მანძილზე პირველად გაიაზრა სამღურავი: — «ყოველისშემძლევ, ეს არის შენი ნაქები სამართალი?!»

გაზიარებული შიში

ის იყო, აღმოჩენილით გახარებული პატარა, მოკლეკბიანი გოგონა მოსაწყვეტად უნდა წასწვდომოდა მუხლმალალ გვირილას, რომ რაღაც მსუსხავმა ძალამ წელკავშეყრილივით გააშეშა ადგილზე.

მის წინგაშვერილ ხელისგულთან, ათრთოლებული ყვავილის ძირიდან, ჩუმი და გაავებული სისინით იმართებოდა ჭრელი, ზურგგაფორაჯებული უხსენებელი, რომელიც აღმასებოვით მოელვარე თვალებით, ცივი სისასტიკით მისჩერებოდა პანიკური შიშისაგან აცახცახებულ და ცვილის სანთელივით გათეთრებულ ხელის თითებს.

— რა მოხდა? — შეშფოთებით იკითხა ქალმა და როგორც კი ბავშვმა ყვირილი დააპირა, იმავ წამს მუდარით აღვსილი ხმით უკარნახა:

— არ გაინძრე, შვილო, არ გაინძრე! თუმცა გაქცევისა და თავის დაღწევის საოცარი სურვილი ჰქონდა, გოგონამ ვატოკებაც ვერ შეძლო, იმდენად ჰყავდა მონუსხული ამ საოცრად საზიზღარ და თავზარდამცემ არსებას, რომელიც რიტუალური ცეკვის შემს-

თენგიზ ჩალაუერი
მოთხრობები

რულებელივით ზღაზვნით იმართებოდა და ორკაპი ენის სავსავით, მუქარით იქნევდა თავს აქეთ-იქით.

ქალმა ფრთხილად დაადო ხელი შვილის სუსტ მხარს, ნების ცახცახით ჩაჰყვა მის კიდურს, გაყინულ, გახევებულ მაჯას გადასცდა და სისხლმოწოლილი თითები თითქმის ცხვირთან მიუტანა გაავებულ ასპიტს.

წყეულმა მსწრაფლ გადაიტანა მზერა უახლოეს საგანზე, ნელ-ნელა შეაჩერა სასიკვდილო როკვა, თითქოს გააოცა ამდაგვარმა თავგანწირვამ, ხელს მზერა ააყოლა და მუდარითა და

სასოწარკვეთით მაცქერალ ქალს კითხვით ახედა.

იმავე წამს ორმა წყვილმა თვალმა ერთუბრთის შიში გაიზიარა.

ცოტა ხნის შემდეგ აკანკალებული და ერთიმეორეს ჩახვეული დედაშვილი იმავე ადგილზე იდგა და შვებით იცრემლებოდა.

მათგან მოშორებით კი, ყვავილებით მოჩითულ ველზე, რგოლიდან რგოლზე გადასვლით ამაყად მისრიალებდა შხამგაცივებული ასპიტი, რომელსაც კუდთან, საპატოო ესკორტივით, ორი პატარა გველისწიწილი მიჰყვებოდა.



რა ვჰნა, სიმღერა გულს არ ეთმოზა

მე მსურდა ჩემი მუშის მეფობა
 და მუხლის მოყრა ჩემი ხალხის წინ,
 ო, ღმერთო ჩემო, როგორ მეყოფა
 ეს ჟრუანტელი, წვა და ხალისი!

მინდა დავიწყო ისევ თავიდან
 ცხოვრება ცხელი გულის ფრიალით,
 აღარც კი მახსოვს, რა დრო გავიდა
 ამ წუთისოფლის ორომტრიალში...

მე მსურდა ჩემი სულის მზეობა,
 უთვალავ ფერთა ხილვა, მოკრება,
 რა ვქნა, სიმღერა გულს არ ეთმოზა,
 ჟამი კი მიდის, მიდის, მოკლდება...

ო, ღმერთო ჩემო, რა ჰალაკებიც
 ვთელე წვიმაში, ვზილე ტალახი,

რა სიყვარულიც გულს დავაკელი,
 მინდა შევიტებო ფერით ახალით.

მინდა შევიგრძნო ტკივილი ასჯერ,
 რომ სიტკბო ვპოვო სიმწუხარეშიც,
 ჩამოვარიგო სულ ნაჭერ-ნაჭერ
 ეს ჩემი გული მშობელ მხარეში!..

რომ არ წიოდეს ჩიტიც მშვიერი,
 სულს უბრუნებდეს მაღლი მამულისი,
 მე კი... მე ჩემი ლექსიც მიშველის,
 არ დააჩნდება გულს სინანული.

ო, ღმერთო ჩემო, მომეც მზნეობა,
 ძალა უთვალავ ფერთა მოკრებად,
 რა ვქნა, სიმღერა გულს არ ეთმოზა,
 ჟამი კი მიდის... მიდის... მოკლდება...

მე მივლიზარ...

მე მივდივარ სინანულით,
 არ ღირს, მეტად ნუ მიტირებ...
 მიმაქვს ცეცხლი მინავლული,
 გულს სიმღერით ვიქვიტკირებ.

შენ სხვა ხატზე ნუ ილოცებ,
 რაც არ მწამდა, ნუ იწამებ,
 ნუ დაადენ ცრემლს მიმოზებს,
 სიცოცხლეს ნუ ჩაიმწარებ.

ნუ ინატრებ სხვა ცის მთვარეს,
 ნუ გაივლებ გულში ნაღველს,
 საქართველოს მოუარე,
 გაუფრთხილდი მის დიდ სახელს!

მოეფერე მის ლურჯ სერებს,
 მზეში დამწვარ გვიმრის ფოთოლს,
 სიყმაწვილე შეიფერე,
 ვიდრე სულში ცივად მოთოვს.

ულერსე ჰევავის ყანებს,
 ვაზს პირჯვარი გარდასახე,
 მამულის ცას ეთაყვანე,
 თვალს რომ მუღამ ლურჯად ახელს.

შენ გიტოვებ, ჩაიბარე,
 ეს ხასხასა მდელოები,
 შენი ხელით მაზიარე,
 სხვა სასწაულს ველოდები!

მე მივდივარ, სინანულის
 გიცი დამწვავს ლურჯი ალი,
 ვედარ მოვალ მხიარული,
 ქართლის მთებზე მრჩება თვალი.

ნუ მიტირებ, დაიხსომე,
 შენ გიტოვებ ამ ლურჯ ფერებს,
 სხვა სამოთხეს ნუ ინდომებ,
 საქართველოს მოეფერე!..



სიცივა

ხეები როდილა მწვანდებიან,
პატარა ჩიტი წვივის იფნებთან,
პატარა გულში სევდა ჩაფრენია,
ლურჯი ცა სათოვრად ფითრდება.

იგრძნო,
უთუოდ იქცევა ნახშირად
სიცივის მსხვერპლია პირველი...

გახშირდნენ წვიმები
და მწუხრიც გახშირდა,
ტყეში დაღონდა
წიფორის წიფელი...

ეზოში ყვითელი ფოთლები დაცვივდა,
ამალამ ბუხართან მომიწევს დათრობა,
მაგარმ თუ სულშიაც აცივდა,
როდისღა მელირსება გათბობა?!

საქართველოს ვენახები

მე იმდენი მადლი მისვამს
საქართველოს ვენახების,
არასოდეს დაჩოქილი
ჩემს მტერს არ დავენახებები!

ავ თვალს არ დანახებება
ისეთ ვარსკვლავებს ვწყვეტ ცაში!

იგვარ იის სურნელს ვსუნთქავ,
იმგვარ ქალის თვლებს ვეტრფი,
იმგვარ მიწის გუნდას ვზილავ
ვაზის ჩრდილში შიშველ
ტერფით, —

მე ისეთი ვინმე მიყვარს,
იმგვარ ხატის ხილვას ველი,
იმგვარ სიტყვის გუნდას ვზილავ,
იმდენ ქარ-ცეცხლს ვავუძელი, —

მირჩენია უკვდავებას,
ქრუანტელი მივლის ტანში...

არასოდეს დაჩოქილი
ჩემს მტერს არ დავენახებები,
მე იმდენი მადლი მისვამს
საქართველოს ვენახების!..

...მე ხვალ უფრო კარგ ამინდს ველი...

ქვეები დამსკდარან მონღოლური ცხენის ფლოქვეებით,
წმინდა მამების გარეჯაში აღარ ჩანს კვალიც...
მოლზე დამქანარი სისხლისფერი ყრია ფოთლები,
ყვითელ ფრესკებზე დაღეჭილა საქმევლის კვამლი.

ჯორ-აქლემებით გაუზიდავთ ოქრო და ლალი,
დაუწვავთ წიგნი... შეუბღალავთ სიწმინდე ერის...
კუთხეში დგას და ეცრემლება ანგელოზს თვალი,
საქართველოსთვის მაშვრალს, ვაგლახ, შეცვლია ფერი...

ამბიონის წინ უწმინდესი არ იწვიან ზეთი,
მალალ თაღებში, როგორც გიფი, ხარხარებს ქარი,
დამშვიდდი, დაცხრი, ყოველივე ამო არი.

ყაყაჩოს ტანზე უნაზესი სდის სისხლის წვეთი,
ხმელ ბალახებში სადღაც ნავსი სისინებს გველი,
ფუფი, მის სახელს... მე ხვალ უფრო კარგ ამინდს ველი...





წიგნიდან: „გაუგზავნელი ბარათები“

წლების მანძილზე ბევრი ბარათი მომსვლია...

გარემოებათა გამო ბევრი მათგანი დამრჩა უპასუხოდ. ისე, ყველას სათუთად ვინახავდი.

ერთხელ ამ ბარათების გადაკითხვა დავიწყე და ისე დამათენდა, არც გამიგია... დაგვიანებული პასუხების წერას შევეუდექი... ალბათ ბევრმა მისამართი შეიცვალა, ამიტომ პასუხების გაგზავნა ლექსად ვამჯობინე. ლექსი კი საფოსტო მტრედსა ჰგავს, ცხრა მთას იქით მიაგნებს ადრესატს.

კი, გვილიან, გვეფერებიან, მაგრამ მშობლების ალერსი სხვათა, გაგვიფონია...

უღელმართ ბავშვების წერილიდან.

ბასრ დანასავით ყელთან მოღერილ თქვენმა ბარათმა გული დასერა; თქვე ღვთის ჩიტებო, ჩემი ოხერი თავი, ნეტავი, რამ გაგახსენათ.

შიგ ჩაგიღვრიათ გულის ღაღადი, არ გიწოვიათ სიტყვა ნეკიდან. მიკვირს, როდესაც ჩადეთ ბარათი, კონვერტს ცეცხლი რომ არ წაეკიდა.

ვაი, როგორ ვთქვა, ან რა ენითა, სტრიქონებს რა რიგ დავაყალიბებ... „დედა“ ვერ გითქვამთ, „მამა“ ვერ გითქვამთ, რა მოგუხერხო თქვენს სიღარიბეს.

ავსებული გაქვთ სიზმრის საყულო, ტბაზე დამხობილ მკვდარი გედებით — უხმო, უსახო და უსახელო უღვთო მამებით, გულქვა დედებით.

სიზმრებში გული ბევრჯერ დამდნარა, სიზმრებში თავზე იდგამთ გვირგვინებს... იმათაც ჰკარგავთ, როს თქვენს ბატარა საერთო სახლზე ქარი შლივინებს.

მე რომ შემეძლოს — ნაკურთხ ზედაშეს შუბლზე წაგცხებდით ლამაზ

სვრელეზად,

მე რომ შემეძლოს-საწყალ დედაჩემს გამოვუშვებდი მოსაფერებლად,

მაგრამ რა გიყოთ, დასანანია, ღმერთქალი ღიმილს ველარ ანაზებს... ვერ გავადვიებ... დიდი ხანია ძინავს გასუღრულ ძელქვიანაზე.

უალერსობა, ვიცი, გაწვალებთ, — ალბათ ძნელია ბატარობისას... მაგრამ ხო იცით, თქვენ გენაცვალეთ, როგორ გამოცხვა კვერი ობლისა.

დადგება ყამი ბედნიერების, აყვილდებიან თქვენი მამლები; თავად გახდებით ნაზი დედები, თავად იქნებით კარგი მამები.

გეწვევით გრძნობა უმხურვალესი, ღრო-ყამს გაატანთ დღეის ქარ-წვიმებს... და რაც დაგაკლდათ მშობლის ალერსი, შვილებს ათმაგად გაუნაწილებთ.



...მკვლარი გედის ცურვას უქველად გასწავლი.
გურამ ასათიანის წერილიდან.

შენ აღარ იყავ, შენი ბარათი,
როცა გადმომცეს ხელის კანკალით.
თითქოს უკადრის, უღირს ღალატით
გულისფიცარზე დანა დამკარი.

ჩამოწვა რაღაც ზანტი და ავი,
ის დღე ერთ წერტილს ათარიღებდა.
მისი მომტანი, ვით ტუზი ყვავის,
ჩემს წინ იდგა და ხმას არ იღებდა.

აცხცახებულ ცხარე ცრემლივით
ქარში გაისმა ბოლო აკორდად, —
შენ აღარ იყავ, შენი წერილი
შენ მაგიერად ლაპარაკობდა.

იყავ გონების გადამბრუნები,
მკაცრო, ამაცო, გულით კეთილო...
არისტოკრატო ხმით და ბუნებით,
პოეზიით კი — თავაწყვეტილო.

ძალა სად შემწევს იმხელა გზნების
შენს დაგუდულ ფიქრს შუქი მოვფინო.
გაყოფილ გულით დახლართულ გზებით
კმაყოფილო და უკმაყოფილოვ.

ზოგჯერ შიშველი, ხან შეფუთვნილი,
ხან სამზეო და ხანაც ფარული,
შენი კუთვნილი თუ არკუთვნილი —
ალალი იყოს ის სიყვარული.

მართლაც ცოტანი დარჩით ძველები,
ბევრი წასულა წესით ბუნების...
მათი მედლებით და ორდენებით
დაყურსულთა მუზეუმები.

ეპ, თვალწინ მიდგას, ვით ბედის კრულვა
მოწამეთასთან მუქი ტატნობი —
წყალწითელაზე მკვლარ გედის ცურვას,
რომ გვიჩვენებდი, რა ოსტატობით.

მე არც მისანი და არც მოგვი ვარ,
უკვდავი ცეცხლით სიტყვა გავათბო,
შენ ეს ბარათი ველარ მოგვივა,
საღდაც წასულხარ უმისამართოდ.

მაშინ მთრთოლვარე შენი ბარათი,
წლების რიგი რომ გადამატარა,
ხელში მეჭირა, ვით კაკანათით
გამოჰყერილი ჩიტი პატარა.

თავს ველარ ვგრძნობდი მშვიდად და
ამოდ,
ვით დაკოდილი ტყვიით ირემი.
შენი უღმერთო ღალატის გამო,
ვერ შემისრულე დანაპირები.

თუმცა რას ვამბობ, შენს სიცოცხლეში
სად გაგონილა შენი ღალატი...
შენ აღარა ხარ, გულის ჭიბეში
ისევე ჩაჩუნობს შენი ბარათი.

დამცხრალა მისი ბუდის ჭიდილი,
ცხელი ვნებები და გამძაფრება...
ისევე ჩაჩუნობს დამფრთხალ ჩიტივით
და აღარ უნდა სხვაგან გაფრენა.

...რაც დრო გადის, ცოტანი ვრჩებით.

სამამულო ომის ვეტერანის წერილიდან.

თუმც მარჯვედ გიდევთ ხელი აღვირზე,
უფრო მკაცრდება სახის ნაკვეთები,
საცხრამაისო გადაძახილზე
თითო-ოროლა რიგებს აკლდებით.



ქარ-ცეცხლში გავლილთ რა
 გაგაკვირვებთ,
 ცხოვრება თქვენთვის ისევ ლელოა.
 „სამარადისო დიდება გმირებს!..“ —
 თქვენი პირველი სადღეგრძელოა.

ზოგჯერ თუ ჩაგთვლემთ, მცირე ხმაურზე
 გაიმართებით უცებ ლარებად,
 თითქოს ვისლაზე ან ბრესლაუზე
 ჩაგესმათ მარშლის მკაცრი ბრძანება.

ერთ დროს იყავით ქვეყნად უთვლელი,
 დღეს კი მოკლდება დღეთა ზონარი,
 არ დაიტოვოთ რამე უთქმელი,
 მოსაყოლი და მოსაგონარი.

რა ვუყოთ მერე თუკი ბერდებით
 და თმაში ომის ნაცრის ფერფლია,



წახველ... ბევრჯერ პუკარები
 კიდეც გადავშალო,
 ვდარდობ და მენანები,
 შალვა ჩემო... შალომ.

თუმცა, რაღა ძვირფასო,
 რაღა შალვა ჩემო...
 იქნებ აღარც კი გახსოვს
 ჭყინტი ტაროს გემო.

მოუსვენარ ქუთათურ
 ებრაელთ. თვალო,
 წასვლა გულით გასურდა თუ
 სხვებს აჰყევი, შალომ.

ყველაზე დიდი ორდენ-მედლები
 მკერდს მიხატული ჭრილობებზე

თქვენი დიდება ვერვინ შეგელოს,
 რა გპირთ სადარდო, რა გპირთ
 საცრემლო,
 თქვე, ხელის გულზე სატარებელო,
 სულით ამაყო ბერეკაცებო.

კარგად იყავით, ვერვინ შელახოს
 ფრთადაკეცილი თქვენი ალმები...
 ოღონდაც აწი არვის ენახოს
 ახალი ომის ვეტერანები.

დიდხანს იყავით თქვენი ხილვებით,
 ცოცხალ ძეგლებად, უთქმელ გმირებად,
 რომ სადღეგრძელო თქვენი — პირველი
 გაიმეორონ შვილიშვილებმა.

ჩემი ბიჭები?! დიდები არიან უკვე, მარა
 მაჭაურობა არ ავიწყდებათ.
 ისრაელიდან გამოგზავნილი წერილიდან.

ჩვენი ლამაზ ბავშვობის
 გაღეწილა კალო...
 დღეს რასა იქმ, „რა შობი“,
 შალიკონა, შალომ.

როგორც ზღვაზე გემები,
 მიცურავენ წლები...
 დავაჟკაცდნენ ჩემებიც,
 დაუბოხდათ ხმები.

ვაი, ომის ზვირთები
 ცად რომ აიშალოს?
 ჩემმა — შენი ბიჭები
 რომ ვერ იცნოს, შალომ?!.



მ ე დ ა შ ე ნ

...ძილში ვტიროდი, ჩემო მტკვარო, შენ მესიზმრებოდი და ვტიროდი. არა მგონია ვინმეს უყვარდეს ისე, როგორც მე მიყვარხარ. რამდენი სიხარული განმიცდია შენს ტალღებში მოცურავეს. ბავშვობაში რომ მივეცემოდით შენს ზვირთებს დიდუბიდან უბნელი ბიჭები, ვინ მივიდოდა პირველი მუხრანის ხილამდე, ერთმანეთს ვეჭიბრებოდით. გამარჯვებული მუდამ მე გამოვდიოდი. ან მუხრანის ხილიდან ჩემზე ლამაზად ვინ გადმოხტებოდა. უფროსები მეხუმრებოდნენ ხოლმე, წყალში ხომ არ დაბადებულხარო.

— ნეტა მართლა შენი შვილი ხომ არა ვარ, რომ ასე სათუთად მიყვარხარ და მენატრები. ხანდახან ძილშიც კი მესმის შენი დუღუნე, თითქოს მეუბნები, ადე, ბიჭო ბერდიავ, კვლავ მოდი ჩემთან შენი ნავით, და ბადე ძველებურად გაშალეო. სულ დამივიწყე და მიმატოვე? ნუთუ ეს იყო ჩვენი სიყვარული? ყველა მეთევზეზე უფრო შენ მიყვარდი, ბერდიავ ჩემო, ნალდი ვაჟკაცი იყავი და იმიტომ მიყვარდი... არასოდეს შენთვის ზიანი არ მომიყენებია. ის მაისის თვე მახსოვს, რომ ავდიდდი, გავგიჟდი და მთელ ქვეყანას წალეკვით ვემუქრებოდი, შენ მაინც მოხვედი სათევზაოდ, მეგობრებიც გახლდნენ თემურ ქოჩიაშვილი და ლევან ბასილაშვილი, მდინარე ტაუზჩაი ისე იყო გაგიჟებული, იმის შემხედვარე ვინ გაბედავდა ჩემთან ახლოს მოსვლას. შენ, ვითომც არაფერი, გამართე ნავი, ლევან ბასილაშვილი მოისვი გვერდით და... თემური და კახანვარა გემუდარებოდნენ, ნუ წახვალ ბერდა, დაიხრჩობიო. შენ მათი არ გესმოდა.

ჯიუტი და თავნება იყავი ბავშვობიდან. შენ დაუბარე დილას რომ მოსულიყვნენ ძეგამთან, მეცხვარე იოსებას ბინაში დაგხვედროდნენ. შეცურდი ტაუზჩაიში და ელვის სისწრაფით წამოხვედი ჩემსკენ. მე სიხარულის ღრიალი აღმომხდა, რომ დაგინახე. შენ წინ იჯექი კიჩოზე, ლევანი მოკუნტულიყო უკან და შიშით კანკალებდა. შენ ლევანს უყვიროდი — თვალეები დახუჭე. არ გაინძრე. მე ვატარებ ნავსო. შენ კარგად გესმოდა, რომ გამძვინვარებულნი ვიყავი, რამხელა ხეებს მოვაგორებდნი, თითქოს მინდოდა დამენახებინა ადამიანისათვის, თუ რა ძალა და ენერგია მქონდა, არ დავინდობდი არაფერს და არავის, რაც წინ დამხვდებოდა. შენ, ვითომც არაფერი, მოცურავდი, არავის და არაფრის გეშინოდა. ილებდი პეშვით ჩემს მღვრიე წყალს და სვამდი, თან გაფაციცებით უსმენდი ჩემს ხმაურს და ყველა დაბრკოლებას გვერდს უვლიდი. აგერ, მთელი ერთი თვის განმავლობაში მეთევზე კი არა, ნადირიც არ მოდიოდა წყლის დასალევად. ეძებდი სათევზაო ადგილებს, ხან მარჯვენა ნაპირს მიადგებოდი, ხან მარცხენას. ერთ ტყიან კუნძულთან გადმოდი, ლევანს დაუძახე. იმან ხმა არ გაგცა, ეძინა მთვრალს. შენ გააღვიძე, „ლამპაფარა“ მიეცი ხელში და უთხარი, გამოგყოლოდა. ნავი ბებერ ტირიფს გამოაბი. 70 ნაბიჯი თუ გექნებოდათ გავლილი, მთელი გარეული ღორების კოლტი რომ დააფრთხე. ლევანიმ ფანარი აანთო, დაინახა თუ არა ამდენი ღორი ერთად, ვაიმეო დაიძახა და გაიქცა. შენ იცინოდი. როცა დარწმუნდი ამ კუნძულზე სათევზაო ადგილი არ



იყო, მიხვედი ნავთან. ლევანმა პაპირო-
სი გთხოვა, შენ მიაწოდე და უთხარი,
ვალერიანის წვეთები ხომ არ გინდაო.
მთელი ღამე ცურავდი და ეძებდი, მაგ-
რამ სათევზაო ადგილი არსად არ იყო.

გამთენიის ქამს იპოვე ერთი პატა-
რა ადგილი, 7-ჯერ ისროლე ბადე, ოარი
კალათა თევზი დაიჭირე, მერე სტვე-
ნით, შემოუარე კუნძულს, ლევანს და-
უძახე; ისიც მოვიდა. შენ სიცილით
შეეკითხე: გინდა, ლევან, გარეული
კურდღლები ხელით დაგაჭერინო? —
ლევანი თვალებს იფშვნეტდა და ამბობ-
და: „ბიჭო, შენ მე ჯადო ხომ არ გამი-
კეთე? როგორ ჩავჭექე ნავში ასე
მთვრალი, ან რამ დამაძინა... ჰა, ეხლა
კიდევ მწვევრობა გინდა დამაწყებინო?“.

— აი, ნახე, რამდენი კურდღელია
და კუნძულზე მივუთითე. მერე გადმო-
ათრია ნავიდან თოკი და ბადე და 19
კურდღელი დავიჭირეთ. ფეხები შეგუ-
კარით საწყლებს, სულ სველები იყვ-
ნენ. ერთი საათიც რომ დავგვეგვიანა
აღბათ დაიხრჩობოდნენ. კუნძულს
წყალი ემატებოდა და ემატებოდა. სა-
ცლდავებს წინააღმდეგობის გაწევის
თავიც კი არ ჰქონდათ. საათნახევრის
ცურვის შემდეგ გამოჩნდა ჩვენი მან-
ქანაც. ნაპირზე რომ გამოვედით, კაზ-
ნავარა მოვარდა და გადამეხვია. 2
კალათა თევზი თემურიმ გამოართვა
მე უკან მივბრუნდი, ამოვიყვანე კურ-
დღლები, ფეხებს ვუხსნიდი და ვუშ-
ვებდი. ლევანმა ჩხუბი დამიწყო: რას
შეები ბიჭო, სამიოდე მაინც დატოვე,
ჩემს ბიჭს წავუყვანო. მე ვიციონოდი და
ვუსტვენდი. კურდღლები გარბოდნენ.
კაზნავარა ხარხარებდა და იფიცებოდა
აზერბაიჯანულად, კაცი ვებრდები და
ასეთი ამბავი ვინმეს რომ მოეყოლა,
არ დავიჯერებდიო... მე ახლა ვინ და-
მიჯერებს ამას. მეც ვიციონოდი მთელი
ღამის უძილო, გაწვალებული, თავიდან
ფეხამდე ვალუმბული, ტალახიანი, და
მაინც საოცრად ბედნიერი.

— გახსოვს, იმავე წელს, ჩემო ტკბი-
ლო მტკვარო, ყინვა რომ მოგერია?
მაშინ თევზი მჭირდებოდა — ჩემი ნა-

თიას დაბადების დღე იყო. ავლაბარში
არც ერთ გადამყიდველს არ ჰქონდა
ხრამული. ხიზილალა, დოში, სათალი
ვიშოვე, თავის ფასში მომცეს. ზედმე-
ტი არავინ გამომართვა. რომ ვკითხე,
თქვე სახეძალღებო, რატომ ზედმეტს
არ იღებთ-მეთქი, ხუჭუჭა რუბენამ მი-
პასუხა: ეგ კი არა, ბერდია, 4 ბოთლი
კონიაკი და 2 კგ სუჯუხი ჩემგან ფეშ-
ქაშად მომიციაო.

სხვა რა გზა იყო, უნდა წავსული-
ყავი სათევზაოდ.

5 საათზე ადგილზე ვართ. ჩვენს მო-
პირდაპირე მხარეს დიდი ყურეა, მაგ-
რამ არაფერი არ ჩანს, ყინვისგან მტკვა-
რში თითქოს რძე ჩაუსხამთო, ისეა
ბურუსში გახვეული. ვბერავთ ნავს,
ვღებთ დანდანზე მოსასმელ ბადეს,
ნიჩბებს, ძალაყინს და მივცურავთ. პავ-
ლეს ვეუბნებით: 4 კმ-ით დაბლა დაგ-
ველოდოს. გადავდივართ მეორე ნა-
პირას. ყურე გაყინულია. მხოლოდ
ყელთან რალაც მანძილია ღია, მდინა-
რე რომ ხვდება, ჩანს ჯერ ვერ მოასწ-
რო გაყინვა. მე ვამაგრებ ბადის ერთ
ბოლოს, ვიღებ ჯალაყინს; გრიშა მი-
ცურავს და ყელს კეტავს. ყურე გადა-
კეტილია, ვიწყებთ ყინულის ტეხვას,
მთელი ღამე ვამტკრიეთ... ღამის 4 სა-
ათზე დავამთავრეთ ყინულის მსხვრევა
და ყურეს გასუფთავება. ოფლისაგან
ტანსაცმელი სველი გვაქვს. გრიშა
ფეხზე ველარ დგება. ვისვენებთ. ბადეს
წრიულად ვკრავთ. თევზი სავსეა, სუყ-
ველა კაპარჭინა, არც ერთი ხრამული.
გავმწარდი... გრიშა იცინის. მივცურავთ
დაბლა მანქანისკენ. გზაში აუარებელი
იხვი გვხვდება. ვნანობ, რატომ თოფი
არ წამოვიღე. ნაპირთან პავლე დგას.
ციცხლი დაუნთია და გველოდება.

მძლოლი და პავლე ცლიან ნავს. მე
ვეუბნები — აქედან 60 მეტრზე ამავე
ნაპირას ყურეა. ერთ ლეიბს წავიღებ,
1 ბიდონ ბენზინს და მე და გრიშა მა-
ლე დავბრუნდებით-მეთქი. ვიღებ ყვე-

გაგლარ კოხახიძე
80 და უმე

ლაფერს, ვალაგებ ნავში და ისევ მივ-
ცურავთ. ყურესთან ნავს ვაჩერებ, გა-
დმოვდივარ ნაპირზე, ვიღებ ლეიბს,
ვჭრი რ ნაწილად, ვვლინთავ ბენზინით.
გრიშა კეტავს ყურეს. მე ყურეს ყელ-
თან ვალაგებ ბენზინში გაჟღენთილ
ლეიბის ნაჭრებს, მერე მთელ სიგრძე-
ზე ვასხამ ბენზინს და ვუქიდებ... ძა-
ლაყინს ვურტყამ ყურეს მთელი ძა-
ლით. გრიშა იცინის და ყვირის:
ეს რა ჯამბაზობა გამოიგონეო. მთე-
ლი მტკვარი ისე ანთია, მეშინია, ბაჭო-
დან დაგვინახონ და არ დაგვიჭირონო.
მე ხმას არ ვცემ გრიშას, ძალაყინის
ხმაურით ვუახლოვდები, ვაძლევ ნი-
შანს. გრიშა ბადით წრეს კრავს, თან
ყვირის: თევზია, ბერდა, მოდი ჩქარა
მომეხმარეო. ერთ საათში მოვრჩით
თევზაობას. ხრამული და მურწაა. გა-
ხარებულებს ვეძახით მძღოლსა და პე-
ლეს. ისინი გვეხმარებიან და მანქანი-
საკენ მივდივართ. გამთენიისას თბილი-
სში ვართ.

ჩემო ტყბილო, მოდუღუნე მტკვარო,
განა მე შენი დავიწყება როდისმე შე-
მიძლია?

ეხ, ნეტავ შემეძლოს წამოდგომა.
მოვიდოდი შენთან, მოგეფერებოდი.
მოვიყვანდი ერთ დასტა მეზურნეებს
და ძველებურად გაგამხიარულებდი შენ
და შენს ნაპირებს.

მაგრამ მაპატიე, ამ ჩემი „ოთხთვალა
კალიასკით“ ხომ არ მოვალ. არ დაუ-
ჯერო, თუ ვინმემ გითხრა, რომ ბერ-
დიას დაავიწყდი. ეს ტყუილია. მე შენ
ისე მიყვარხარ და მეყვარები სიკვდი-
ლამდე, როგორც მიყვარდი ადრე და
უფრო მეტადაც.

თითქოს შენი ხმა მესმის!

— ცოდვით მეცოდები, ჩემო ბერ-
დია, მაგრამ მე შენზე საცოდავი ვარ.
ჩემს შვილებს ვტირივარ, რომლებსაც
დაწყებული „დებედიდან“ დამთავრე-

ბული „კატეხჩაიამდე“ დღეში რამდენ-
ჯერმე წამლავენ... ჩამოფრევიან ჩველ-
აგი მეთევზეები და ცოდვის კითხვა და-
ტრიალდება. დაასობენ რკინის სარებს
მთელ სიგანეზე, გაჭიმავენ ბადეს, და-
უყვებიან და ნაწილ-ნაწილ მწამლავენ.
არ ტოვებენ არაფერს, ქვას ქვაზე აღუ-
ლებენ ამ ოხერი ციანაბადით და ნიკო-
ტინსულფატიო. ალბათ ეგ მიმუშები
ფულისთვის თავიანთ შვილებსაც და-
ხოცავენ და მე რაღას დამინლობენ,
თანაც შემოდგომის პირიდან გაზაფხუ-
ლის დასაწყისამდე, როცა პატარა ვარ,
შვილებიც პატარები მყვანან, არა მაქვს
ძალა, რომ მოვერიო, მივასილო ისე,
რომ მამა ღმერთმაც ვერ გაიგოს მათი
ასავალ-დასავალი. ვაი, მე უბედურს
რა მეშველება, რა? არა მყავს პატრო-
ნი და გამკითხავი, რომ მომხედოს და
მომიაროს. ნეტავ რას აკეთებენ წყლის
ინსპექტორები — მხოლოდ ფულს?
მათაც ხომ შვილები ეზრდებათ, რა პა-
სუხს გასცემენ თავის შვილებს, როცა
ჩემში არ იქნება არც ერთი თევზი.
რით დაამშვენებს ქართველი კაცი ლხი-
ნისა თუ ჭირის სუფრას. ჰოდა უნდა
ადგე, ჩემო ბერდია, უნდა ადგე. უნდა
იყო ისევ ისეთი ძლიერი. ვიცი, არ
შეგეშინდება ასეთებთან ბრძოლა. იქნებ
შენ და შენნაირებმა გადამარჩინონ.
აბა ბადისთვის ჩემს წყალში თევზს რა
გამოლეგს. მე ეხლა კი აღარ ვდუღუ-
ნებ, არამედ ჩემთვის ჩუმად ვჭკითინებ
და იმ ბედნიერ დღეს ველოდები, რო-
ცა მურწა, ხრამული, ჭანარი, ლოქო,
მინგიჩურიდან ამოსული კაპაჭინა და
შამაია ლალად რომ ისრიალებენ... ეხლა
კი, ნახვამდის, ჩემო ბერდია, იმედი
მაქვს მოხვალ და ისევ ჩაგიხუტებ ჩემს
ზვირთებში, დაგავიწყებ ყოველგვარ
ტანჯვას და ტკივილს. ვიქნებით ისევ
ერთად მუდამ და მარადის!



ქალაღის ყვავილი

წყალი რად უნდა ქალაღის ყვავილს —
 ადრე გაფრენილ დღეთა მშვენიერას.
 ტბის ფსკერზე გდია მუყაოს ნავი,
 დასრულდა სიყრმის ტუბილი სიზმარი.

მაგრამ იმ ფუტკარს რა ეშველება,
 რომელიც დაღლილ ოცნებასავით
 კვლავ ფერად ტოტზე დასასვენებლად
 ამ ყვავილისკენ რომ მოიჩქარის!

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

როცა სოფელში ისევ შებინდდა
 და ირგვლივ დადგა სიმშვიდე სრული,
 ქარს ამოჰქონდა თონეებიდან
 ახლად ჩაქრული შოთების სუნი.

მთვარემ ორღობე უხმოდ დატოვა,
 დღე მიიღია ფოთლების ცვენით...
 შენ მომაგონდი მაშინ რატომღაც
 და თვალთა უპე ამევსო ცრემლით.

დღეს ვიგრძენ ძალა ბალახთა
 და მესმა შენი ტიტინი,
 სული ამადღდა, განახლდა
 ცას შეფრთხილებს ჩიტივით.
 მუხლზე კვლავ მიზის გიტარა
 და გულიც აღარ მიტირის.
 დღე-ღამის ცვლასავითაა
 თურმე სიცოცხლე — სიკვდილი.

სულს ბირკებივით
 შერჩენია მოგონებები —
 ხსოვნის სანთელზე ჩამომდნარი
 ცხელი ვნებები,
 რომლებიც ბებრულ
 სიზმრებში თვლემენ.
 აღარ უჩივი
 შემოდგომის უუქმიმქრალ თვეებს.
 საავადმყოფოს ღია ფანჯრიდან
 ჩანს გვირილებით დათოვლილი

დიდი მინდორი — შენი წარსული
 და ნაადრევად რაც მოინდომე,
 ახლა აღსრულდა:
 თეთრი სიმშვიდის სიტკბოება
 მოვიდა შენთან.
 მხრებზე გიბრწყინავს ჭალარა თმები,
 ღამეებს შემკრთალს
 ღიმილით გასცქერ...
 დავიწყებხარ შენს ქონდრისკაცებს.

რაო, რა მინდა რას ვითხოვ შენგან
იმ მოქარბებულ სიკეთის წილად.
რომელიც ბედად ორთავეს გვერგო
და დღეს შენს ქალღურ ცრემლშიდა
ბრწყინავს.
რა ჯადოქარი გვინგრევს სახურავს
და მყუდროების დარღვევის შიშით

რატომ გგონია, ეშმა მსახურად
ყოველ საღამოს მომიხმობს ძილში?!
კერიის ფიქრით დალილსა ვხედავ,
ნუ წაგრთმეგია იმედი ხვალის.
მე რაც მაწუხებს, ეს არის ელდა
უღელში ერთხელ წაჩოქილ ხარის.

ჯვალოს პერანგი,
ხმელა პური,
გუბელა წყალი.
სხვა რა ებადა
კაცს, რომელსაც
ვთვლიდით წმინდანად.
ჩვენ თუმც გვეგონა
უბედური,
მან ყოველგვარი
ტანჯვა-წამება

რაინდულად გადაიტანა.
რადგან აუწყავ ოქროსავით
რომ გადიწონის
და აღარ აძლევს ქონდრისკაცებს
წამით გასაქანს,
მას ჰქონდა სულის
უღნობელი ჯადოლითონი —
ძლიერი რწმენა,
უდიდესი განძი განძთაგან.

თუკი იმ ბნელში,
თქვენს სულთა წიად
ღაღანა სხივმა
ვერ შეაღწია,
სხივმა, რომელიც
გულს ასხლტა ჩემსას,
ვით სიმზე ბგერა —
სიამის კვნესა;
დღეის რწმენად
და ხვალის იმედად
ტოროლად ქცევას
რომ მიპირებდა,

ამას თქვენს ცოდვად
არ ვთვლი სრულებით
და აბა რატომ
დაგემდურებით,
როს ზოგჯერ თვით მზეც
ვერ ფანტავს მრუმეს...
მე გული სულ სხვა
მიზეზით მტკივა,
თქვენ ის სინათლე
ჩათვალეთ თურმე
სარკის ნატეხზე
არეკილ სხივად.

სულს ქართულ ლოცვად
ცისკენ ასვეტილს
დაჰფარფატებენ თეთრი მტრედები.
აი, ასეთი სიონ-ქაშვეთით
მემალღები და მეიმედები.

უკვდავების წყლად მკერდზე მედინე,
ბავშვურ სიხარულს გულში ვერ ვიტევ.
შენ ათიათას ჯალაღდინებს
გაუძელი და... გაუძლებ კიდევ.



შევჭიკჭიკდი და
გამეჭა თვალი
იქით, საითაც
შვენოდა არეს
ულამაზესი
პატარა ქალი,
პატარა, მაგრამ
ბრდღვიალა მთვარე.

მიმიხვდა, მსუბუქ
გრძობას რომ ავყევ
და სასმისს მიწვდა
კაცი კაცური.
მე კი კარგახანს
მეწვოდა სახე
მისი ღიმილით
სილაგაწული.

ხსოვნას შემორჩა
შრიალი ფარდის
და ფრთაგაშლილი
ჩიტი — ყვავილი.
ნაზი სალამო,
თუმც უცებ გადის,
სულში კიაფობს
წყაროსთვალევით.

არა, არ მინდა
ვიყო ჯიუტი
და უკდავ — მოკვდავს
უნდოდ ვუცქირო.
ჩემს არსებაში
ახლა იუდაც
ქრისტესთან ერთად
ცოცხლობს უცილოდ.



სომერსეტ მოემი

შ რ ა ნ 0

ეს ამბავი ჩემთვისაც კი იმდენად ბუნდოვანია, ვერაფრით თავი და ბოლო ვერ გავუგვი, არადა მოსვენება დამეკარგა და ახლა თითოეულ შავით რომ ვწერ, მხოლოდ ის მასულდგმულეებს, იქნებ თვით მკითხველი დამეხმაროს, იქნებ მკითხველი ჩემზე უკეთ ჩაწვდეს ადამის მოდგმის რთულსა და უცნაურ ბუნებას.

თავდაპირველად ისიც კი ვიფიქრე, ფროიდისთან ხომ არა მაქვს-მეთქი საქმე. რაღა დავიძალადო და, ფროიდისა და მისი მიმდევრების უამრავი თხზულება გადავჭექე და გადავიკითხე და როცა ამ მოთხრობისა თუ ამბის მკითხველისათვის ვანდობა გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი გამომცემლობა „მოდერნ ფაიბარისის“ მიერ დატანულ ფროიდის თხზულებებს.

მოსაწყენი საშინაო დავალების შესრულებას ჰგავდა ჩემი ცდა, — კარგად მოგეხსენებათ, ფროიდი ძნელად აღსაქმელი და სიტყვაუხვი მწერალია, ამას გარდა, საკმაოდ აგდებულად და უპატივცემულოდ ეპყრობა სხვა თეორიებსა და მათ შემქმნელებს, ცდილობს გვიჩვენოს იგივე საგანზე შექმნილი სხვისი შრომების უაზრობა. ყოველივე ეს მის სასიკეთოდ როდი შეტყვევლებს, მაგრამ მე მაინც მჭერა, ცუდი კაცი არ უნდა იყოს; საქმე სულ სხვაგვარადაა. ცნობილია, მწერალს, მის ნააზრევსა და ნაწარმოების გამორებს შორის, ხშირად დიდი განსხვავებაა. სულაც არ არის აუცილებელი, მწერალი თავის გამოჩენს გავდეს. ეს უკანასკნელი შეიძლება გულქვა, ღრძო და მხეცი კაცი იყოს, მაშინ როცა მისი ავტორი ჭიანჭველასაც კი არას ავნებს. თუმცა სიტყვა გამიგრძელდა. ჩვენ ხომ სულ სხვა რამე ვგანიტერებს, საქმე ისაა, ამ ამბავს თვით ფროიდის თეორიითაც კი ვერავითარი ახსნა ვერ ვუპოვე. ახლა გული მარტო იმაზე შემტკივა, რომ ყველაფერი ეს ჩემი თვალით არ მინახავს და არც იმ აღმაშინებს ვიცნობ, ვისაც ეს შეემოხვათ.

ეს ამბავი ნელ პრეტონმა მომიტნრო, მომიტნრო იმიტომ, რომ თვითონაც ვერ გარკვეუ-

ლიყო, ჩემი დახმარების იმედი კი ამაოდ პქონდა, ჩემს მკითხველს ალბათ გაუგონია ნელ პრეტონის შესახებ. მე მხოლოდ შეგახსენებთ, რომ ნელი იშვამდ „ვორმულ სკრაბუში“ მსახურობდა ზედამხედველად, თავის მოვალეობასაც დიდი გულისყურით ეკიდებოდა, თითოეული პატიმრის გასაპირი გულთან ახლოს მიჰქონდა. ერთ საღამოს მე და ნელ პრეტონი კაფე „როილში“ ვსადილობდით. გრძელ, დაბალქერაან ოთახში ვისხედით. კედლები უაზროდ, თემცა ღამაზად იყო მოხატული. ვისხედით და ნელ-ნელა ვწრუპავდით ყავას და ლიქიორს და, რადგან ნელ პრეტონი ექიმების რჩევას არად აგდებდა, გრძელ, კარგ ჰავანურ სიგარეტსაც ვაბოლდებდით.

— ახლანანს ერთ უცნაურ კაცთან მქონდა საქმე, სკრაბუში, — თქვა მან, ცოტა ხნის დუმილის მერე კი დაუმატა — მიწა გამისკდეს, თუ ვიცოდე რაშია საქმე.

— რისთვის ზის? — ვკითხე მე.

— ცოლი მიატოვა, მომრიგებელმა მოსამართლემ ყოველთვიურად ფულის გადახდა დააკისრა, მან კი ყოველგვარ გადასახადზე უარი განაცხადა და ციხეში ჩაქვდა არჩია. რა არ ვუთხარი, როგორ არ ვედავე, სიბრაზისაგან ფერიც კი დამეკარგა, ავუსხენი, ასეთი საქციელით შენს თავს უფრო მეტს ავნებ, ვიდრე შენს ცოლს-მეთქი, იმან კი ჩემი ღაპარაკი აინუნშობიაც არ ჩააგლო: ციხეში რომ დავუბე, იმ ქალს გახვრეტელ გროშსაც არ გადაუბნდო. ვკითხე: ცოლის შიმშილით სიკვდილი ხომ არ განვიზრახავს-მეთქი. რატომაც არაო, გულგრილად მიპასუხა. არადა, ძალიან კარგი ყმაწვილია, მშრომელი და თვინიერი. მორჩილად იხდის სასჯელს, შენ წარმოიდგინე, ბედნიერი კაცის შესახებდაობაც კი აქვს. ცოლის უსუსურობისა და უმწეობის გახსენებაზე სიცილით კვდება.

— ასე რამ შეაძულა იმ ღმერთგამწყურალს ცოლი?

— ქალმა ფრანი დაუხნია.

— რაო, რა ქნა?



— სწორედ ის, რაც გითხარი. ფრანი დაუხია და სიკვდილამდე არ აპატიებს ამ დანაშაულს.

— ნორმალურია?

— ნორმალურია. განათლებული, წრდილი ყმაწვილია. ჰერბერტი ჰქვია, გვარად სანბერი. დედამისი, ძველ ტრადიციებზე აღწრდილი ქალი, არავის აძლევდა უფლებას მისი შვილისათვის ჰერბი ან ბერტი დედაბათ. მხოლოდ და მხოლოდ ჰერბერტი. თავის ქმარსაც უყოველთვის სემუელს ეძახდა და არა სემს. მისის სანბერის სახელი ბეატრიჩე ვახლდათ, ნიშნობისას მისტერ სანბერმა მოფერებით ბეა დაუძახა — ქალი გაცოფდა და ქმარს მიახალა:

— სახელად ბეატრიჩე დამანათლეს. ყოველთვის ბეატრიჩე ვიყავი და ვიქნები შენთვისაც და ყველა ჩემი ახლომელი, ძვირფასი ადამიანისთვისაცო.

ტანმორჩილი ქალი იყო, მკვირცხლი, ენერგიული. ფერმკრთალი სახე, სწორი ნაკვები და პატარა მოციმციმე თვალები ჰქონდა. მისი ახაკისათვის საოცრად შავი, სწორი, ყოველთვის სუფთა თმა დედოფალ ვიქტორიას დროინდელ მოდაზე ჰქონდა დავარცხნილი. თავად რომ შესძლო თმის გაკეთება, ასე გაოცეთა და მერე აღარც უფიქრია ვარცხნილობის შეცვლაზე. არც თმის ფერისათვის მიუქცევია ყურადღება. ბუნებრივი ფერიც ალბათ ამიტომ შეინარჩუნა. საღებავი არასდროს უხმარია. უფრო მეტიც, ცხვირზეც კი არასოდეს წაუსვია პულდრის ბუმბულა, შავ, საღად შეკერილ კაბებს იცვამდა (მისი მკერავი იქვე ახლოს მოსახვევში ცხოვრობდა) ყოველგვარი გაწყობისა და სამკაულების გარეშე, ატარებდა მხოლოდ წვრილ, ოქროს ძეწვეს პატარა ჭკრით.

სემუელ სანბერიც ჩია კაცი იყო, ისეთივე წვრილი და ჩამომხმარი, როგორც მისი ცოლი; პლარა, თხელი თმას ცალ მხარეს იზრდიდა და გულდაგულ ივარცხნიდა ფართო, მოშველებილ კეფაზე. უხეირო აგებულება და მქრქალი, ცისფერი თვალები ჰქონდა. საკანონმდებლო დაწესებულებაში მუშაობდა. კარიერა მოხელის ჩინიდან დაიწყო და კარგ თანამდებობასაც მიაღწია. უფროსები მისტერ სანბერს ეძახდნენ და ზოგჯერ შეძლებულ კლიენტებსაც უგზავნიდნენ, აგერ უკვე ოცდაოთხი წლის განმავლობაში ყოველ დილით ერთი და იგივე მატარებლით მიდიოდა ქალაქში (გარდა კვირა დღისა და იმ ორკვირიანი დასვენებისა, რომელსაც ოჯახთან ერთად ყოველთვის ზღვაზე ატარებდა), საღამოს იმავე მატარებლით ბრუნდებოდა სახლში. კომპიად იცვამდა. სამსახურში მუქი ნაცრისფერი შარვლით და შავი სერთუყით დადიოდა, თავზე მრგვალი, ფარულეობიანი ქული ეხურა. შინ დაბრუნებული ფოსტაში ჩაუოფდა ფეხს და საშინაო, საქმეოვრ ძველ, გაქეპილ პიჯაკს ჩაიცვამდა ხოლმე. კვირაობით წირვაზე მიშავალი ცოლ-ქმარი საუც-

ხოოდ გამოეწყობოდა. მისტერ სანბერიც ახალ, საგარეო პიჯაკს იცვამდა და ახალ წიწვს იხურავდა. ამით დასვენების დღისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდა. ამავე დროს, პროტესტს უცხადებდა დუქნების გაღებაზე ქუჩებში ველოსიპედით მოსიერნე და უქმად მოვიადე ხალხს. საქმეოდ შეძლებულენი იყვნენ. მაგრამ კვირაობით საუშუალო ჩვეულებრივი ჰქონდათ — ხორბლის ფაფა და რძე, ასეთ საუშუალო ისინი მთელი კვირის განმავლობაში მიირთმევდნენ. სამაგიეროდ, ბეატრიჩე საუცხოო სადილს ამზადებდა. განთქმულ იორკ-შირულ ღვებულს და შემწვარ ხორცს. საერთოდ, სანბერები ალკოჰოლთან მწყურად იყვნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ ბეატრიჩე ქმრის კანმრთელობას უფრთხილდებოდა და სადილზე მხოლოდ ერთ კაბას ლუდს მიართმევდა ხოლმე. ლიჭიორს სახლში არ ატანებდა, ლუდს კი ყოველთვის ყიდულობდა დუქანში. სემუელს მარტო დაღვევა არ უყვარდა და ბეატრიჩეც უყვებდა თანამეინახეობას.

ღმერთა ერთადერთი შვილი არაფუნათ. მის დაბადებას მოუთმენლად ელოდნენ. ღამაში ბავშვი იყო. დედა კარგად წრდიდა. ასწავლა მაგიდასთან ჭლამა ისე, რომ იდუავეები კიდეზე არ ჩამოეწყო, დანა-ჩანგლის ხმარება, როგორც პატარა ჭენტილმენს შეშვების, ასწავლა ფინჩის აღებისას ნების ღამაზეად აწევა. პატარა ზნირად ეკითხებოდა:

- ასე რატომ უნდა გავაკეთო?
- რატომ? ამას რა მნიშვნელობა აქვს, რატომ. ასეა საჭირო და მორჩა. შენი მანერებით მიხვდებიან, რას წარმოადგენს, როგორ ოჯახში იზრდები, ვინა ხარ.

ჰერბერტი წამოიხარდა და სკოლაში წასაყვანი ვახდა. მისის სანბერი საოცრად დედავდა, მას ხომ ბავშვი ჭერ ქუჩაში სათამაშოდაც არ გაეშვა.

— სხვებთან ურთიერთობა მანერებისათვის მავნელია — იტყვოდა ხოლმე მისის სანბერი — მე ყველაფერში ჩემი საკუთარი აზრი გამაჩნია და ასე იქნება ყოველთვის.

ქორწინების მერე სანბერებს საცხოვრებელი ადგილი არ შეუტყვლიათ, მეზობლებისაგან კი თავი შორს ეჭიბათ.

— რა ვიცით, რა ხალხი ცხოვრობს აქ, ლონდონში — ზნირად ამბობდა მისის სანბერი — ამბავს ამბავს მომყვება, შემთხვევას შემთხვევად და სანამ გაერკვეოდე, ვისთან გაქვს საქმე, ისე გაითქვიფები მათ შორის, რომ ვეღარაფერი გაგწმენდს.

ქალს არც ის მოსწონდა, მის შვილს სხვა ბიჭებთან ერთად რომ უნდა ესწავლა „ქანთრი ქონსულ სქულში“ და ზნირად არიგებდა შვილს:

სომერსეტ მოემი
ფრანი

— არავის არ უყურო. გვიყურე მხოლოდ ჩვენ. შენი საკუთარი „მე“ არასოდეს დაკარგო. არავითარი საერთო სხვებთან, ზრდილობისათვის მხოლოდ ცოტაოდენი დახმარება შეგიძლია გაუწიო ამხანაგებს.

ჰერბერტი კარგად სწავლობდა. მისი ნაწრო-მები უკველთვის საუკეთესო შეფასებას იმსახურებდნენ. ნათელი გონების, ჭკვიანი, მონდომებული ბავშვი იყო.

— კოქებში ეტუობა, — ამბობდა მამამისი — მისგან კარგი ბულალტერი დადგება. კარგ ბულალტერს უკველთვის კარგი სამუშაოც აქვს. ასეც გადაწყდა. გახდა ის, რაც უნდა გამხდარიყო. სიმალღეშიც გაიზარდა.

— იცი, ჰერბერტ, — ეუბნებოდა დედა — მალე მამაშენის სიმალღე იქნები. სკოლის დამთავრებისას მამასაც გაუსწრო სიმალღეში. საბოლოოდ, ზრდა რომ დაასრულა, 5 ფუტი და 10 დიუმი იყო.

— სწორედ რომ კარგი სიმალღეა — ამბობდა დედამისი — არც უსაშველოდ აწოწილია და არც მეტისმეტად დაბალი.

ღამაში ბიჭი იყო. სახის ნაკეთებით და შავი თმით დედას ჰგავდა, მამისა მხოლოდ გამჭვირვალე ციფფერი თვალის გამოყვედა. ფერმკრთალი, სიფრფიანა სახის კანი ჰქონდა. მამამისმა თავისთან მოაწყო ბულალტრად. წელიწადში ორჯერ ფირმის ანგარიში უნდა გაეკეთებინა, ამ დროისათვის უკვე 21 წლისა მოიყარა და უკვე კვირას საქამო თანხა მიჰქონდა სახლში.

დედა საუზმისათვის სამანებვარ კროსს აძლევდა. ჭიბის ფულად 10 შილინგს. დანარჩენს ბანკში ინახავდა შავი დღისათვის.

ერთხელ, როცა მისტერ და მისის სანბერები დასაძინებლად გაემართნენ, სწორედ იმ ღამეს, ჰერბერტს რომ 21 წელი შეუსრულდა (აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ მისის სანბერი დასაძინებლად კი არ წავიდა, წაბრძანდა, მეუღლე კი უხმოდ გაშვა, რაკი ცოლმა უბრძანა; თან, როგორც უკველთვის, ჩაილაპარაკა მივლინვართ მოსასვენებლად), მისის სანბერმა სემუელს უთხრა:

— ზოგჯერ აღაშინა ან არც კი იცის, როდენ ბედნიერია. მადლობა ღმერთს, მე ამას კარგად ვგრძნობ. ჩვენისთანა კარგი ვფი არავისა მყავს. ერთ დღესაც არ უფადმყოფია, არც სხვა რაიმეთი შეუწუხებია. ასეა, გეთაუვა, კარგი აღზრდის საზღაურიც სწორედ ეს არის. რაღა დაგიმალა და, არც კი მჭერა, რომ ჩვენი შეილი უკვე 21 წლისაა.

— ჰო, ვერც კი გავიგებთ, ისე მალე დაქორწინდება და დაგვტოვებს — თქვა მისტერ სანბერმა.

— რას ამბობ? — აღელდა მისის სანბერი — მას აქაც კარგი ბინა აქვს. არა, თუ ასეთ სულელურ იდეებს ჩასჩრი თავში, სხვა ამბავია. სემუელ, ჭერ ეს სალაპარაკოდაც არ ღირს.

შენც კარგად მოგეხსენება, მისი დაქორწინებამდე ძალიან მინდა, მაგრამ ჰერბერტმა იცის როდის იქნება ამის დრო. უკველთვის იცის აულებს. ის ჭკვიანი, დიხ, ჰერბერტი და მისი რია და არც შეცდება.

მისტერ სანბერი დღემდა. მან დიდ ხანია შეიგნო, რომ ბუტარიჩესთან კამათს არავითარი აზრი არ ჰქონდა.

— ის კაცი რა დასაფასებელია, რომელიც მანამდე იქორწინებს, სანამ საკუთარი აზრგენება გაურჩებოდეს — გააგრძელა ქალმა — კაცს კი თავისით ტვინის განძრევა ოცდაათ-ოცდათხუთმეტ წლამდე არ შეუძლია.

— ჩვენს ბიჭს საჩუქრები მოეწონა — თქვა მისტერ სანბერმა, საუბრის თემა რომ შეეცვალა.

— ასეც ვიცოდი — განაცხადა მისმა მეუღლემ, თუმცა მისი გონება ისეც წელან დაწყებულ საუბარს უტრიალებდა.

საჩუქრები კი მართლაც კარგი იყო. მისტერ სანბერმა შვილს ვერცხლის მაჭის სათი აჩუქა — ფოსფორიანი ისრებით, მისის სანბერმა კი ფრანი. ეს საჩუქარი ჰერბერტისათვის უცხო არ იყო.

პირველად შვიდი წლისას აჩუქეს ფრანი. მათი სახლის ახლოს დიდი მინდორი იყო. ერთ კვირა დღეს მისის სანბერმა ქმარ-შვილი სასხირნოდ წაიყვანა. ქალმა განაცხადა: მთელი კვირის მომქანცველი სამუშაოს მერე სუფთა ჰერზე გასეირნება საჭიროაო. იმ მინდორზე უკველთვის ბევრი ხალხი იყრიდა თავს. მისის სანბერი მათგან თავს შორს იჭერდა, ერიდებოდა, გზას უშეკვდა. იმ დღესაც კარგა მანძილით გასცდნენ მისეირნებებს.

— შეხედე ფრანი, ფრანი, დედა — უეცრად წამოიძახა ჰერბერტმა. საამო, თბილი ნიაფი უბერავდა, დიდ-პატარა, ფერად-ფერადი ფარნები დასრიალებდნენ.

— იმთა შეხედე, — დაანახა სხვები მისის სანბერმა.

— გინდა, ჰერბერტ, ვნახოთ საიდან აფრინდნენ. — შესთავაზა მამამ.

— მინდა!

მინდვრის შუაგულში პატარა გორაკი იყო. როდესაც სანბერები იმ გორაკს მოუახლოვდნენ, დაინახეს, რომ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. გოგონები, ბიჭები, ქალები, კაცები, დიდები, პატარები თავიანთი ფრანებით გორაკიდან ჩამორბოდნენ და ქარს მისდევდნენ. მაგრამ უკველთვის, აბა, რას დაეწოდნენ ქარს და ზშირად ფრანები ძირს ენარცხებოდნენ. იღბლიანები კი კარგად აუოლებდნენ ფრანებს ნიავს და ფრანებიც კულები ქნევითა და ზღაზვნით მალა-მალა, ლურჯი ცის სივრცისაკენ მიიწევდნენ.

პატარა ჰერბერტი აღტაცებით შესცქეროდა მათ. მან ერთ ფრანს გააუოლებდა მწერას, ხან მეორეს.



— დედოკო, მეც მინდა ასეთი — წამოიყვირა მან. ბიჭმა კარგად იცოდა, რამის უიდეა თუ უნდოდა, დედისათვის უნდა მიემართა.

— რად ვინდა?
— მეც მინდა გავუშვა, დედა.

— თუ შეგიძლია, თავად გამოკერი — ურჩია დედამ. ცოლ-ქმარმა დიმილით გადახედეს ერთმანეთს. ერთ რამედ ღირდა ბავშვის აღტაცებული სახის უურება და იმის შეგრძნება, რომ ბიჭი საგრძნობლად გაზარდილიყო.

— თუ დაშვარი იქნები, კარგად მოიქცევი, ყოველ დღით კბილებს ჩემი შეხსენების გარეშე გაიხეზავ, თოვლის ბაბუა საშობაოდ აუცილებლად მოგიტანს ფრანს.

შობაც კარზე იყო მომდგარი და თოვლის ბაბუამ მართლაც მოუტანა ჰერბერტს პირველი ფრანი. ბიჭმა თავდაპირველად მისი გაშვებაც არ იცოდა და მისტერ სანბერი თვითონ ჩამორბოდა მთიდან ფრანის ასაშვებად. ფრანი პატარა იყო, მაგრამ დაინახავდა თუ არა ჰერბერტი მას ჰერში მფრინავს და იგრძნობდა, როგორ ქაჩავდა ხელს თოკი, მის სიხარულს საწვდარი არ ჰქონდა. ამის შემდეგ ყოველ შაბათს, ნაშუადღევს მამამისი ქალაქიდან რომ დაბრუნდებოდა, ყველანი მინდვრისკენ ეშურებოდნენ. ჰერბერტმა მალე ისწავლა ფრანის გაშვება. მისტერ და მისის სანბერები სიამაყით აღევნებდნენ თავალს შვილს, რომელიც მკვიციხლად ჩამობოლოდა გორაკიდან და შესცქეროდა, როგორ ჭიმავედა თოკს ქარს დადევნებული ფრანი.

ეს თამაში ერთგვარ ენად გადაეცა ბიჭს. ჰერბერტი ორდებოდა და დედა ახალ, უფრო მოზრდილ ფრანებს ყიდულობდა. ფრანის გაშვების ყველა საიდუმლო შეისწავლა. ისეთ ბერებებს და იღვთებს ხმარობდა, ძნელად თუ მოიფიქრებდა კაცი. ამ საქმით სხვებიც იყვნენ გატაცებულნი. მარტო ბავშვები კი არა, დედებიც. ჰოდა, აღამიანებს ისე არაფერი აკავშირებთ, როგორც ერთნაირი სწრაფვა. და ყველასაც ანე გამოარჩეული მისის სანბერი ზედბოდა, რომ ის, მისი სემუელი და მისი ვაჟი საერთო ტერმინებითა და მანერებით უნებლიედ სხვებს ემსგავსებოდნენ — ესაუბრებოდნენ, ადარებდნენ ფრანებს და თავ მოსწონდათ სახე რანის მიღწევებით. თქვენსებრიოდ წლის ჰერბერტს ჯერ კიდევ სიამოვნებდა შეჯიბრი. ოსტატურად გააყოლებდა ხოლმე ნიავს ფრანს, სხვისას დააჯახებდა და ძირს დაანარცხებდა. მანამდე, სანამ მისტერ სანბერი შვილის ასეთ გატაცებას შეინახავდა, თვითონაც ხშირად ეხვეწებოდა ჰერბერტს, ფრანი მთხოვეო. სასაცილო სანახავი იყო კუბოკრულ შარვალში, შავ სერთუქში და ცილინდრში გამოწყობილი მისტერ სანბერი, გორაკიდან რომ ეშვებოდა. მას შესაფერისი თავდაპირილობით მოსდევდა მისის სანბერი და როცა ფრანი თავისუფლად გასრიალდებოდა ჰერში, მეთუღლეს თოკს ჩამოართმევ-

და, ჩარბოდა და თან შეჭყურებდა ფრანს ლეკვლივით ზევით აწევას. შაბათის ნაშუადღევ მათთვის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა. დღეობით სამსახურში მიმავალი მისტერ სანბერი და მისი ვაჟი სახლიდან გამოსვლისას პირველად ცას ახედავდნენ იმის გასაგებად, ფრანის გასაშვებად როგორი ამინდი იდგა. ყველაზე მეტად ქარიანი დღეები უყვარდათ. ასეთი ამინდი ხელსაყრელი იყო ოსტატობის დასახვეწად. მთელი კვირის განმავლობაში მხოლოდ ფრანებზე ლაპარაკობდნენ. ახუჩად იგდებდნენ პატარა ფრანებს, შურდათ დიდების. კამათობდნენ სხვათა შესაძლებლობებზე, ზოგზე მხურვალე მოწონებით, ზოგზეც აგდებით, სწორედ ისე, როგორც მოკრივეები ან ფეხბურთელები კამათობენ თავიანთ მეტოქეებზე. დიდი ფრანის შექმნა სანუკვარ მიწნად ექცათ, ფრანის, როგორც ყველაზე მაღლა აფრინდებოდა. ძალიან გრძელი ბაწარი მოაშვადეს. სერე ჰერბერტი რომ 21 წლის გახდა, დიდი ფრანიც იუიღეს. ეს იყო შვილი ფუტის სიგრძის, კრელაურული ფრანი. მაგრამ ჰერბერტს არც ეს აკმაყოფილებდა. ერთხელ ყური მოკრია, მავან აღამიანს უდიდესი და ულამაზესი ფრანი აქვსო და ჰერბერტმა იმწუთას მოიწადინა, თვითონაც გაეკეთებინა მსგავსი: ბატავდა, მანავდა, ინიშნავდა. პატარა მოდელიც იშვა. გაეკეთებაც სცადა, მაგრამ ამაოდ — ვერაფერს გახდა. ნებისყოფიანი ბიჭი იყო და ხელი არ ჩაუჭენვია. თუ სადმე რამე შეცდომა დაუშვა, დარწმუნებული იყო, მის გამოსწორებასაც შეძლებდა.

მერე მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა. ნავაშმევს ჰერბერტს სახლიდან გასვლა დაჩემდა. მისის სანბერს ეს არ მოსწონდა, მაგრამ მისტერ სანბერიც ცოლს აშოშინებდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათი შვილი უკვე 22 წლისა მოიყარა და მისთვის მთელი დღე სახლში ჯდომა მართლაც აუტანელი იყო. თუ გახდირნების, მოძრაობის სურვილი დაეხადა, ეს ხომ დიდ შეცოდებად არ ჩათვლებოდა. ამ დროს კი, თურმე ნუ იტყვით, ჰერბერტს შეუვარებული ყოფილა. ერთ შაბათს, საღამოს მინდორში გატარებული მშვენიერი საათების მერე, ვახშობისას, ჰერბერტმა მოულოდნელად განაცხადა.

- დედა, ზვად ჩაიზე ერთი ახალგაზრდა ქალი დავპატარე, ხომ შეიძლება?
- ჩაო? რა გეინა? — იფეთქა მისის სანბერმა, რომელმაც ადელვებისაგან სწორად მეტყველების უნარიც კი დაკარგა.
- ხომ გაიგი, დედა.
- შეიძლება, ბატონო, შეგეკითხო, ვინ არის და სად გაიციანი?
- მისი სახელია ბევანი. ბეტი ბევანი. ერთ

სომეხსაქ მონემი
ფრანნი



წვიმიან შახთ დღეს შევხვდი კინოში. სრულიად შემთხვევით გავიცანი. ჩემს გვერდით იჭდა, ხელჩანთა დაუვარდა, ავიღე და მივაწოდე მან მადლობა გადამიხადა, მერე ბუნებრივია, საუბარიც გავაბით.

— ასეთი მოძველებული ხერხით როგორ წავაბა. ჩანთა გაუვარდა, მა?!

— არა, დედა, ცდები, კარგი გოგოა, მაროლაც კარგი. საკმაოდ განათლებულიც.

— დიდი ხანია გაიცანი?

— ასე, სამი თვე იქნება.

— სამი თვის წინ შეხვდი და ჩაიხე ხვალისათვის დაბატოვე?

— არა, მერე ვხვდებოდი, მაშინვე ვთხოვე, ოთხშაბათს ჩემთან ერთად კინოში წამოდიოქო. გადაჭრით პასუხი არ მოუცია. ან მოვალ, ან არაო. მაგრამ მოვიდა.

— ასეც ვიცოდი, უშენოდაც ვიცოდი, რომ მოვიდოდა.

— მას მერე კვირაში ორჯერ დავდიოდიოთ კინოში ერთად.

— აი, თურმე რატომ მოუხშირე სახლიდან გასვლას სადამოპობით.

— კარგი, დედა, თუ არ გინდა, არ მოვიყვან. რაიმეს მოვიმიწუებ. ვეტყვი, რომ თავი ბტკივა და სადმე სხვაგან წავიყვან.

— დედაშენს არაფერი უჭირს, სტუმარსაც კარგად შეხვდება. — თქვა მისივე სანბერმა — არა, ძვირფასო? — მიუბრუნდა ცოლს — მხოლოდ ეს არის, უცხოებს ვერ იტანს და არც არასოდეს უვარება სტუმრები.

— შე ხომ უკველთვის საკუთარი შე გაბაჩნდა — წაისისინა მისის სანბერმა და დაუშატა — რას აკეთებ?

— სიტოში მუშაობს მხებედავად. ისეთ სახლში ცხოვრობს, სახლობა რომ არ ეთქმის. დედა გარდაუცვალა. მამამისმა ხელმეორედ იკორწინა და სამი შვილი შეეძინა. ბერი დედინაცვალს ვერ ეგუება. კახასი ქალი ჩანს და სახლში სულ ჩხუბი. აყალბავალი აქვთ.

მისის სანბერი სტუმრის შესახვედრად საგულდაგულოდ მოემზადა. სასტუმრო ოთახში, პატარა მაგიდას მუშაობდა გადააძრო და სუფრა გადააფარა, ზედ ძვირფასი კურკული დააწყო. ვერცხლის ჩაიდანა გამოიღო, რომელსაც საერთოდ არ ხმარობდა, გამოაცხო კვერი, ნამცხვარი, თეფშზე ლამაზად დააწყო კარაქიანი პურის ნაჭრები.

— უნდა გავაგებინო, ვინცა ვართ — უთხრა მან სემუელს. ჰერბერტი მის ბევანის შესახვედრად წავიდა. სემუელი კარებში ელოდებოდა, რათა ჰერბერტს სტუმარი სასადილო ოთახში არ შეეყვანა, სადაც ისინი ჩვეულებრივ სადილობდნენ. ჰერბერტი მოვიდა. მან გაოცებით მოავლო თვალი სასტუმრო ოთახში გაწყობილ მაგიდას.

— ეს ბერია, დედა — წარუდგინა დედას ახალგაზრდა ქალი.

— ალბათ, მის ბევანი — ბერია — ბერმა.

— დიახ, მხოლოდ უბრალოდ ბერი დამიძახებო.

— საამისოდ ჯერ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ. — უპასუხა მისის სანბერმა ჩვეული დიმილით — დაბრძანდით, მისს ბევან.

საოცარია, ან კი ცაცმა რომ თქვას, რა არის საოცარი, რომ მის ბევანი ზუსტად ისეთივე იყო გარეგნულად, როგორც ალბათ მისის სანბერი იქნებოდა მის ასაკში. მისივე სახის ნაკვეთები, მისივე პატარა, მოცმცოშე თვალები, მხოლოდ ტურები და ლოყები შეეღება და მოკლე შავი თმაც დაეხვია. მისის სანბერმა ერთი შეხედვით შეათხა მისი კაპწია კაბა, მოღურა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და კეწინი პული, გოგონას ქვედა კაბა მოკლე ტყვა და ღია ფერის კარგ წინდებსაც შეავლო თვალი. მისის სანბერს არც მისი სამოსი მოეწონა და არც წახმულ-შელამაზებული სახე, მაგრამ, გაღაწევიტა, ბოლომდე ისე დაეცირა თავი, როგორც ქალბატონს შეეხვის — დინჯად, აუღიღებლად. მართლაც, თითქოსდა უკვლავი იყო კარგად წარბარათა. მისის სანბერმა ჩაიდასხა და მერბერტს სთხოვა, სტუმარს მიწაწოდო.

— სემუელ, ძვირფასო სთხოვე მისს ბევანს კარაქიანი პური ან ნამცხვარი მიირთვას.

— ორივე მიირთვიო — შესთავაზა სემუელმა და ორივე თეფში მიწაწოდა — მიყვარს, როცა ადამიანი კარგად ჰკამს.

ბეტომ უბერხულად გადაიღო კარაქიანი პური და ნამცხვარიც. მისის სანბერი ამინდზე საუბრობდა და თან აშკარად სიამოვნებდა, ბეტო რომ ნელ-ნელა ნიჩს კარგავდა. მისის სანბერმა ნამცხვარს დიდი ნაჭერი ჩამოაპარა და სტუმარს მიწაწოდა. ბეტომ მოციქნა და თქმე შეე რომ დებდა, ძირს დაუვარდა.

— უკაცრავად, — მოიბოდიშა გოგონამ, დაინარა და ნამცხვარი აიღო.

— არა უშავს, სხვას ჩამოგიჭრით — შესთავაზა მისის სანბერმა.


— ნუ წუხდებით, ზეილიანი არა ვარ, იატაკი სუთოა.

— რა თქმა უნდა, — ჩივირქილა მისის სანბერმა — მაგრამ ძირს დაგდებულს მაინც არ გაქმევთ, მომწოდეთ, მერბერტ, მის ბევანს სხვა ნაჭერს მოუჭრით.

— აღარ მინდა, მისის სანბერ, ნამდვილად აღარ მინდა.

— ვწუხვარ, ნამცხვარი რომ არ მოგეწონათ, შე ხომ საკეალურად თქვენთვის გამოვაცხვე — მერე პატარა ნაჭერს გემო გაუსინჯა და დაუშატა — გემოც მშვენიერი აქვს.

— რა თქმა უნდა, მისის სანბერ, კალიან კარ-



გი ნამცხვარია, უბრალოდ, არ მშია.

მან ჩაიწვი უარი სთქვა. მისის სანებრმა შე-
ამჩნია, როგორ გაშხარულდა გოგონა, როცა
ფინჯანი ჩამოართვეს. „კარგი იქნებოდა, სამწა-
რეულში სახლობდნენ“, თავისთვის გაიფიქ-
რა ბეტომ.

ბეტომბრტმა სიგარეტს მოუკიდა.

— ცოტა დამიტოვე, ბერბ — უთხრა ბეტომ
— ძალიან მინდა. მისის სანებრს მწვეელი ქა-
ლები ეგავრებოდა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს,
მხოლოდ წარბები აწკიპა.

— უმჯობესია ბეტომბრტ დაუძაბოთ, მის ბე-
ვან, — ურჩია მან ბეტის.

ბეტი ხედავდა, როგორ ცდილობდა მისის სან-
ებრი მის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებას.
ახლა კი სამაგიეროს გადაზღვის კარგი შესაძ-
ლებლობა მიეცა.

— მო, როცა პირველად მითხრა, ბეტომბრტ
მქვიაო, კინალამ სიცილით მოვკვდი. სასაცი-
ლოა, ნამდვილად სასაცილო.

— ვწუხვარ, მისი ნათლობის სახელი რომ
არ მოგწონს. მე კი ვფიქრობ, შეხანოშნავი
სახელია. მაგრამ, მდაბიოსა და ინტელიგენტის
გემოვნებაშიც ხომ უნდა იყოს რაღაც სხვაობა.
ბეტომბრტ ბეტის მიეშველა.

— სამსახურშიც ბეტისს მეძახიან დედა!

— სწორედ მაგას ვამბობ. იქ ხომ უამრავი
მდაბიო მუშაობს, — თქვა და დადუმდა, და-
დუმდა მრავლისმეტყველი დუმილით.

საუბარი მისებრ სანებრმა და ბეტომბრტმა
განაგრძეს.

ო, როგორ უხაროდა მისის სანებრს, ბეტი
რომ ასე იწურებოდა, ისიც შეამჩნია, გოგონას
წასვლა უნდოდა და ვერ მოეხერხებინა, მისის
სანებრს აწარადაც არ მოსვლია მისი დახმარება.

ისევ ბეტომბრტმა იხსნა.

— ბეტი, ჩვენი წასვლის დროა, მე გაგაცი-
ლებ.

— რატომ ჩქარობთ? — იკითხა მისის სან-
ებრმა და ფეხზე წამოდგა: — ვიმედოვნებ,
კარგ დროს გაატარებთ ჩვენთან. დარწმუნებუ-
ლიც ვარ.

— მართლაც რომ საუცხოო გოგონა — თქვა
მისებრ სანებრმა, როცა ახალგაზრდები წავიდ-
ნენ.

— ეგ საკენკი შენს წიწილებს დაუყარე. გა-
თხუპნილი გაპუდრული საღებავების გარეშე
აღბათ ზედაც არ შეეხედება — უბრალო, მდა-
ბიო გოგონა, ბინძური მდაბიო.

ერთი საათის შემდეგ ბეტომბრტი დაბრუნდა,
ძალიან ნაწყენი და გაბრაზებული ჩანდა.

— დედა, რაში დაგვირდა იმ საწყალი გო-
გოს ასე გაწამება, მრცხვენოდა პირდაპირ.

— ასე რე მელაპარაკები, ბეტომბრტ, — გა-
ცხარდა დედა — შენ არა გაქვს უფლება, ასე-
თი ქალი ჩემს სახლში შემოიყვანო. მდაბიოა,
ბინძური მდაბიო.

როცა მისის სანებრი ცხარობდა, არც გრმა-
ტკას დაგიდევდათ და არც თამბაქულის
ბეტომბრტი მის ტონს ურადლებდა.

— მან მითხრა, ასეთ დღეში ჩემს ცხოვრება-
ში არ ჩავვარდნილვარო, ძლივს დაეწყინარე.

— მისი ფეხი არ ვნახო ჩემს სახლში, ხომ
გესმის.

— ასე ხომ? მაშ კარგად გაიგე — ის ჩემი
საცილოა!

ამას კი მართლაც არ მოელოდა მისის სანებრი.

— ბეტომბრტ, ეს შენ ზარ? შენ მეუბნები ამას?
— დიახ, მე გახლავარო. მე ბეტონე დიდი
ხანია ვფიქრობ, დღეს კი, შენ რომ არ დაინდე,
ისე ძალიან შემეცოდა, გული შემეკუმშა. ხოდა,
ამან საბოლოოდ გადაამაწყვეტინა მისი შერთვა,
გასაგებია?

— სულელო, წაისისინა მისის სანებრმა, —
სულელო.

ბეტონე ერთი ალიაქოთი ატყდა. მისის სანებრი
და მისი ვაჟიშვილი ჩხუბობდნენ. სემუელი
მათ დაშოშინებდას შეიქცადა, მაგრამ ორივემ
შეუყვირა, თავად ჩაიგდე ხმაო. მოთმინებიდან
გამოსულმა ბეტომბრტმა კარი მიიჯახუნა და სახ-
ლიდან გავარდა. განრისხებული მისის სანებრი
აქვითინდა.

ბეტონე დღეს მნიშვნელოვანი არაფერი მომ-
ხდარა. მისის სანებრი ზომაზე მეტად თავაზიანი
იყო ბეტომბრტის მიმართ. ვაჟიშვილი კი პირქუ-
შად დუმდა. ნავაზშემკვს ისევ საღდაც წავიდა.
შაბათს დედამისს განუტახდა: ნაშუადღევს და-
კავებული ვარ და თქვენთან ერთად სასეირ-
ნოდ ვერ წამოვალო.

— უშენოდაც მოვანერხებთ გასეირნებას, —
ცივად უთახუნა დედამ, დასვენების დროც ახ-
ლოვდებოდა. ამ დროს სანებრები ზღვაზე მი-
დიოდნენ ხოლმე. ისინი ყოველთვის ბერნ-ბეისში
ისვენებდნენ, საღდაც, მისის სანებრის აწრით,
კარგი ხალხი იყრიდა თავს. წლების მანძილზე
ერთი და იგივე ბინას იღებდნენ. ერთ საღამოს
ბეტომბრტმა ძლივს ამოშაქრა.

— დედა, ჩემთვის ოთახს ნულარ აიღებ. მე
და ბეტონე დაქორწინებას ვაპირებთ და თაფლო-
ბის თვის საღმე საშხრეთში გავატარებთ.

წამით სამარისებური სიწუმე ჩამოვარდა.

— ცოტა ნაჩქარევი ხომ არ არის შენი საქ-
ციელი — გამოსცრა ბოლოს მისის სანებრმა.

— ბეტი შემციარებაში მოხვდა და ახლა უმუ-
შევარია. ამიტომ გადაწყვიტე ასე. ორი ოთა-
ხიც დავიქირავებ დანის ქუჩაზე. ჩემი გადაწა-
ხული ფულთი ავეციხ შემენას ვაპირებთ.

მისის სანებრს კრინტი არ დაუძრავს. გაფით-
რდა, მიცვალბულს დაემსგავსა. ცრემლები
დააბლუპით ჩამოუგორდა ლოყებზე.

— კარგი, დედა, ასე რატომ განიცდი, ადრე
თუ გვიან ხომ უნდა დავქორწინდე. აი, მამა

სრემარსაძე მოემბი
ფრანდი

შენზედ რომ არ დაქორწინებულყო. მეც ხომ არ ვიქნებოდი ამქვეყნად.

მისის სანბერმა სასწრაფოდ მოიწმინდა ცრემლები:

— მამაშენი არ დაქორწინებულა ჩემზე, ეს მე დაქორწინდი მასზე, ვიცოდი, მერისმეტად მორცხვი და მოკრძალებული იყო, ისიც ვიცოდი, მისგან კარგი ქმარი და მამა დადგებოდა, ხოლა, არც შევმცდარვარ. არც მე და არც მამაშენს ეს ჩვენი ნაბიჯი არასოდეს გვიანია. ხომ ასეა, სემუელ?

— ჭეშმარიტად, ბერტრიჩი! — სწრაფად დაუღასტურა ქმარმა.

— დედა, ბეტის კარგად რომ გაიცნობ, მოგეწონება, კარგი გოგოა, ბევრ საერთოსაც გამოანახავთ. მხოლოდ ამის საშუალება უნდა მისცე.

— სანამ მე ცოცხალი ვარ, ამ სახლში ფეხსაც ვერ დაადგამს.

— სისულელია, ყველაფერი ძველებურად იქნება. მაგრამ შენ პირველად ცოტა უნდა მოითმინო, თავი შეიკავო. შებათობით ისეც ძველებურად ვივლით ფრანის ასაშვებად. ახლა ძალიან დაკავებული ვარ და ვერ ვახერხებ. ბეტის ვერ იგებს ჩვენს გატაცებას. ქორწინების შემდეგ ყველაფერი მოგვარდება. მე თქვენთან ერთად ვივლი მინდორში. ბეტი ხელს არ შეგვიშლის.

— შენ თუ ასე ფიქრობ, ახლა ცოტა მეც მომისმინე და რასაც გეტყვი, კარგად დაიმახსოვრე, თუ იმ ქალს ითხოვ, იცოდე, ჩემს ფრანს ხელსაც ვერ ახლებ. ის ჩემი ფულითაა შეძენილი. ჩემია, გესმის, ჩემი!

— კარგი, მანე იყოს. საერთოდ, ამ ბავშვური თამაშის გაგრძელება სისულელი და ცოტა საზარცვინოცაა, ისიც ჩემს ასაკში. ბეტიც ასე ფიქრობს. — ჰერბერტი ადგა და გაბრაზებულმა კარი გაიჯახუნა. ორი კვირის მერე იქორწინებს. მისის სანბერი ქორწილში არ წასულა; არც სემუელი გაუშვა. ცოლ-ქმარი, ჩვეულებრივ, დასასვენებლად გაემგზავრნენ. იქიდან დაბრუნების მერე ყველაფერი ისევ ძველებურად აღეწყო. შებათობით კვლავ დადიოდნენ მინდვრად და თავიანთი ფრანით ერთობოდნენ. მისის სანბერი საერთოდ არ ახსენებდა ვაჟიშვილის სახელს. გადაწყვეტილი ჰქონდა შვილისათვის არ ეპატიებია. მისტერი სანბერი კი ხშირად ზვდებოდა ჰერბერტს დღის მატარებელში და თუკი ერთ ვაგონში მოხვდებოდნენ, კიდევ ემსახურებოდა ერთმანეთს. ერთხელ მისტერი სანბერმა ძველებურად ახედა ცას და შვილს უთხრა:

— დღეს ფრენისათვის კარგი ამინდია.

— შენ და დედა ძველებურად აგრძელებთ?

— ახა, რა გონია. თანაც ისიც ისევე და-

ოსტატდა, როგორც მე. უნდა გაჩვენა, რა სანახავია, როცა კაბის ფრიალი ქვეშევრდნის მხრებზეა. ყველაფერს ვფიცავ, ვინც ვინც ვინც სირბილი თუ ეხერხებოდა. ჩემზე უკეთ დარბის თურმე.

— მამა, გეხვეწები, ნუ მაყინებ! — მივირის, რატომ თავად არ უიდელობ ფრანს, შენც ხომ ძალიან იუვატი ფრანებით გატაცებული.

— გამოგიტყულები, ახლაც ისევე ვარ. მაგრამ ხომ იცი ქალების ამბავი. ბეტი ამბობს „შენს წლოვანებაში...“ და საერთოდ, ვინ იცის, რას არ ამბობს, თანაც საბავშვო ფრანი მართლაც არ მინდა. დიდი კი ძალიან ძვირი ღირს. ბნისი მოწყობა რომ დავიწყებ, ბეტომ გადაწყვიტა, საუკეთესო ავეჯი შეგვეძინა. უფრო ჰკვიანურაო. ყოველთვის ურად გადასახალს ვინდით, ზედმეტი ფული აღარ გვრჩება. ათასი საწარუნავი გვაქვს. არც ისე იოლი ყოფილა ორი კაცის შენახვა. რა ვიცი, ამის გამოცდილება არასოდეს მქონია.

— მეტი არ მუშაობს?
— არა. მან ძალიან ადრე დაიწყო მუშაობა. ამბობს: ასე მგონია მთელი საუკუნე სულმოუთქმელად ვირომიეო. ახლა, როცა გათხოვდა, ცოტა ამოისუნთქა. ეგემც არი იყოს, სახლსაც ხომ სჭირდება მოვლა-პატრონობა. დასუფთავება, სადილი.

ამ საუბრიდან ექვსი თვე გავიდა. ერთ შაბათს სანბერები მინდორში ძველებურად ერთობოდნენ ფრანით. უცებ მისის სანბერი სემუელს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ხელაჯ? — ხელაჯ. შენზე ადრე შევნიშნე, მაგრამ არ დაგანახე, მეგონა, შენზე იმოქმედებდა.

— არ დავილაპარაკოთ. ვითომ ვერც შევნიშნეთ. — ჰერბერტი მაუურბლებში იდგა. მშობლებთან მისვლას და გამოლაპარაკებას არც აპირებდა. მისის სანბერმა შორიდან შეამჩნია, როგორი გაფაციცებით ადევნებდა თვალს ჰერბერტი იმ დიდ ფრანს, რომელსაც ძველად თვითონაც ხშირად უშვებდა.

აგრძელდა. სანბერები სახლში წვაიდნენ. მისის სანბერის სახეს ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა.

— ნეტავ მომდევნო შაბათს თუ მოვა? — იკითხა სემუელმა.

— ხომ იცი, მე არ შევცდები. სანაძლეოს ვდებ, მოვა. დიდი ხანია ამას ველოდი.

— მართლა?

— ველოდი, ვიცოდი ამას გვერდს ვერ აუვლიდა.

მართლაც, ყოველ შაბათს, როცა ფრენისათვის კარგი ამინდი იდგა, ჰერბერტი იმ მინდორზე ტრიალებდა. ერთმანეთს არ დალაპარაკებია, ჰერბერტი მოდიოდა, ერთხანს უყურებდა ფრა-



ნებს და მერე უზმოდ ტოვებდა იჭაურობას. ასე გაგრძელდა რამდენიმე კვირას. ერთ შაბათს სანბერტმა ახალი ფრანი მოიტანეს. დიდი კი არა, პატარა, სწორედ ისეთი, ჰერბერტმა რომ მოდელი იშოვნა. ახალმა ფრანმა ირგვლივ ყველა დააინტერესა. სანბერტის გარშემო ხალხი შეგროვდა. მისი სანბერი ხალხით ესაუბრებოდა, პასუხობდა მათ. პირველმა ფრანით ხელში სემუელმა ჩამოიხიწა. ფრანი ვერ აფრინდა, მიწას დაენარცხა და წახოხიალდა. ჰერბერტმა სიბრაზისაგან მუშტები მოკუმა და კბილები ააქრაჭუნა — ვერ აიტანა მამის მარცხი. ცოტა ხნის მერე მისტერ სანბერი ისევ დაეშვა გორაკიდან. ფრანი ჰაერში აიჭრა. მაყურებლებს აღტაცების შეძახილები აღმოხდათ. სანამ მისი ტერ სანბერი ბოლომდე ჩაირბენდა და უკან დაბრუნდებოდა, მისი სანბერი შევლიან გაჩნდა.

— გინდა შენც სცადო, ჰერბერტ?
 ჰერბერტს სუნთქვა შეეკრა.
 — რა თქმა უნდა, დედა!
 — მართალია პატარა ფრანია, მაგრამ მისი აშვება ძალიან ძველია. ხელის გავარჯიშებაა საჭირო. ძველებურ ყაღაზეა გაკეთებული. გუშინწინ დიდი ფრანის შეკვეთაც მივეცი, ისეთი დიდის, რომ თუ ქარმა ხელი შეუწყუო, ორი მილის სიმაღლეზე აფრინდება.

ამ დროს მისტერ სანბერიც მოვიდა.
 — სემუელ, პერბერტსაც უნდა ფრანის გაშვება.

მისტერ სანბერტმა სიამოვნებით დაუთმო შვილს ფრანი. ვაჟმა დედის ქული მიაწოდა, დამიჭირეო. იგი მსუბუქად დაეშვა მთიდან. ფრანი ჰაერში აიჭრა და ჰერბერტს გული სიხარულით აეცხო. საოცრად სიამოვნებდა ამ პატარა, შავი საჯანის ყურება, იმის შეგრძნება, თუ რა მსუბუქად, ჰაეროვნად დასრიალებდა ჰაერში, მაგრამ თან იმ დიდ ფრანზე ფიქრობდა, მისი მოზობლები მალე რომ შეიძენდნენ. თავად ხომ ვერასოდეს იყიდდა ისეთს. ორი მილი მაღლა ჰაერში, ორი მილი... აუჰ, ბიჭოსა!

— ჰერბერტ, ჩვენთან წამოდი, ჩაი ერთად დავლოთ — შესთავაზა დედამ — იმ ფრანის ჩანახატბსაც გაჩვენებთ, იქნებ რაიმე რჩევაც მოგვეცე.

ჰერბერტი შეყოყმანდა, ბეტის დაუბარა, მუხლის გასაშლელად მივდიარო; ცოლმა არ იცოდა, საით წავიდა მისი ქმარი და ალბათ მოუთმენლად ელოდებოდა, მაგრამ ცდუნება ძალიან დიდი იყო.

— წამოვალ.
 ჩაი დალიეს. მერე ჩანახატი ნახეს, ფრანი მართლაც უზარმაზარი გამოვიდოდა, რაღაც მქანისებოვც ჰქონდა, ჰერბერტს რომ არასოდეს ენახა, ისეთი, ალბად გვარიანად ძვირიც ეღირებოდა.

— თქვენ ამ ფრანს ვერ გაუშვებთ — თქვა ჰერბერტმა.

— მაინც ცვდი, ღმერთი მოწყობს.
 — პირველ გაშვებაზე რომ მოგვხმაროთ.. ალბათ არც გინდათ, ა? — გაუბედვალ შეაპარა სათქმელი მოზობლებს.

— რატომაც არა, ცული აზრი არ არის — დეთანხმა მისი სანბერი.

იმ საღამოს ჰერბერტი სახლში გვიან დაბრუნდა. უფრო გვიან, ვიდრე თავად ეგონა. ბეტი გაბრაზებული დახვდა.

— სად იყავი, ჰერბ? მე ცოცხალი აღარც მგაონე. ვახშამიც გაცივდა.

— ბიჭები შემხვდნენ და ლაპარაკს შევეშვი, — ცოლმა გამოძედა შეხედა, მაგრამ ხმა არ გაუღია, ცუდ გუნებაზე კი დადგა. ნავახშამიც ქმარმა გახეირნება შესთავაზა, ქალმა უარი უთხრა.

— თუ გინდა, შენ გაისეირნე, მე არ წამოვალ.

მომდევნო შაბათსაც ფრანის ასაშვებად გაეშურა. დედამ სიხარულით ათხოვა ფრანი, თან დაუმბაძა, სამი კვირის მერე ახალიც მზად იქნებაო; უცვირე მისი სანბერი გახვედა, სიტყვა პირზე შეაშრა.

— ელოზანტიც აქ არის, — თქვა მან.
 — ბეტი?

— გითვალთვალე.
 ჰერბერტსაც არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— მოთვალთვალეს რა, რა მენადლებდა.
 ჰერბერტი განერვიულდა, მოზობლებს აღარ წაყვა. პირდაპირ შინისკენ გაუყვია გზას. ბეტი უკვე სახლში დახვდა.

— ეს არის შენი მუხლის გამართვა, ბიჭებთან საუბარო? ეჭვი კი მებარებოდა, მერე ყველაფერს მიხვდვი. ფრანით თამაში შენს ასაკში? საზოგადოება და მეტი არაფერი, — ერთხანად მიიყარა ბეტიმ.

— ფრანის შესახებ შენი აზრი საერთოდ არ მაინტერესებს. მე მიყვარს, გატაცებული ვარ ამ საქმით, უკვე დროა, შენც როგორმე შეეგუო ამას.

— შეეგუო? არა! ჩემს ოჯახში ფრანს არ გავაჭაპანებ და არც შენ მოგცემ თავის აგდების უფლებას.

— გაიგე! ბავშვობიდან მიყვარს ეს თამაში. შევიდი წლიდან მოყოლებული ყოველ შაბათს ვუშვებ ფრანებს. ხოდა, ასე განვაგრძობ მანამ, სანამ თვითონ არ მომხერხდება.

— ყველაფერი იმ ბებერი ძუქნის ბრალია. ვიცი, ის ცდილობს ჩვენს დაშორებას. შენ რომ კაცი იყო, ნახვდი კი არა, ხმასაც არ გასცემდი მას მერე, რაც მე ისე გამაწბლავ!

სომერსეტი მომადი
 ფრანდი



— დედაჩემს აუტად ნუ ახსენებ, ამის უფლებას არ მოგცემ. ის დედა ჩემი და როცა მომესურვება, მაშინ ვნახავ.

სათამაშო რამდენჯერმე ჩამოკრა. ისინი კი ჩხუბს არ ამთავრებდნენ. ბეტი წიოდა. ჰერბერტი ღრიალებდა. ორივენი ჭიუტები იყვნენ, ერთმანეთს არ უთმობდნენ. ადრეც წალაპარაკებულან, მაგრამ ასეთი სერიოზული აყალიბებული არასოდეს ჰქონიათ. განრვიულდნენ და გაიბუტნენ. რამდენიმე დღე ხმას არ სციმდნენ ერთმანეთს. შერე ნელ-ნელა სიმშვიდე ქამოვარდა, შეურაცხყოფილმა გრძობებმა ჩასთვლიმის, წყენამ მიიძინა მომდევნო ორ შაბათს წვიმდა. ბეტის უხაროდა, ჰერბერტი ბრაზობდა, ჩხუბის ამბავი თითქმის აღარც ახსოვდათ. ერთ ჰერბერტს უბოვრობდნენ, ერთ საწოლში ეძინათ და შერეგებას წინ რაღა დაუდგებოდა. ბეტი ძველებურად მომხიბლავი იყო, ფიქრობდა, ჰერბერტი ჩემი ენის სუსხმა კუთაზე მოიყვანაო. კარგი ქმარი იყო, ერთგული. არც ეკონომიურად უჭირდათ. ჰერბერტს კი პირიქით ეგონა.

ორი კვირის მერე ფაშოიდარა.
— ხვალ სწორედ ფრანის ღარი იქნება — უთხრა მისტერ სანბერმა ვაიფილის, როცა დილის მატარებელს ელოდებოდნენ — ახალი ფრანცი მზად არის.

— უკვირ?
— დედას და მე ძალიან გვინდა მოგვეხმარო, მაგრამ ცოლ-ქმარს შორის ვინ ჩადგება. თუ აყალიბების გეშინია, ნუ მოხვალ. ერთი ახალგაზრდა გავიცანით, ისიც მოყვარულია და ის მოგვეხმარება; თუკი ვინმეს შეუძლია ფრანის აშვება, ისიც პირველია.

ჰერბერტს ერთბაშად შურის გრძნობამ დაუარა მთელ სხეულში.

— უცნობს ხელი არ ახლებინათ ჩვენს ფრანს. შე მოვალ.

— შენ იცი, მაგრამ, ისე, თუ არ მოხვალ, არ გვეწყინება.

— მოვალ — უპასუხა ჰერბერტმა. მეორე დღეს სამსახურიდან დაბრუნდა თუ არა, საწოლთან შევიდა და ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგა. ბეტის შეშვევა.

— რას აკეთებ?

— ვიცვლი — მხიარულად უპასუხა, — ისეთი აღზნებული იყო, ისეთი გახარებული, საიდუმლოს შენახვაც ვერ შეძლო, — ახალი ფრანი მზად არის და მე უნდა გავშვო.

— მე არ მინდა, რომ იქ წახვიდე.

— ნუ სულელობ, ბეტი, შენც წამოდი, თუ არა და შენს საქმეს მიხედე.

— არა, არ გავიშვებ, მორჩა და გათავდა.

ბეტის კარი მიხურა და ზედ აეკრა. თვალეზი გაუფართოვდა, ყბები მაგრად მოეკუმა. პატარა, უღონო ქალი იყო, ჰერბერტი კი მოსულდი, ძლიერი მამაკაცი, ორივე მკლავში ხელი წაავლო და გზიდან ჩამოიცილა.

გაცივლებულმა ქალმა ფეხი ამოკრა წვივზე — ამ ფეხსაცმელს ყბებში გამოგიკანებ შეუყვარა ჰერბერტმა.

— თუ წახვდა, უკან ნულარ დაბრუნდებო შეპკივდა ბეტის.

ჰერბერტმა ხელი დაავლო. ქალი გააფთრებით ებრძოდა, წინლებს იკვრევინებოდა, ხელებს იქნევდა. ქმარმა საწოლზე მოისროლა და წავიდა.

ის დიდი აღტაცება, პატარა ფრანმა რომ გამოიწვია, არაფერი იყო იმასთან შედარებით. რაც დიდი ფრანის გამოჩენას მოჰყვა, მაგრამ მისი აფრენა არც ისე იოლი გამოდგა. ჰერბერტს სხვებზე ენმარებოდნენ, მაგრამ ფრანის აშვება ვერა და ვერ მოახერხეს.

— არა უშვას — თქვა ჰერბერტმა. — ყველა იღეთი ვიცი, მხოლოდ ქარი არ გვიწყობს ხელს. ესაა და ეს.

ჩაიზე მოხობლებს გაჰყვა. ისინი და ძველებურად მუსაიფობდნენ. ბიჭს სახლში წასვლა ეზარებოდა. კარგა ხანს ითრია ფეხი. იცოდა, ბეტი აუტანელ სცენებს გაუმართავდა, მაგრამ როცა მისი სანბერი ვახშმის თადარიგს შეუდგა, ჰერბერტი წამოღდა და წავიდა. ბეტი გაზეთს კითხულობდა. თავი არ აუწევია ისე უთხრა ქმარს:

— შენი ჩანთა ჩალაგებულაი!
— რა?

— რაც გაიგე, მე ხომ გითხარი, თუ წახვალ ნულარ დაბრუნდები-მეთქი. ყველაფერი ჩაგილადგე. ჩანთა საწოლ ოთახში დევს!

ჰერბერტი გაცივებული შესცქეროდა ცოლს. ბეტის, ვითომც არაფერიო, კითხვა განაგრძო. ჰერბერტს ბეტის წათქვების სურვილი მოეძალა.

— კარგი, მასე იყოს — უთხრა და საწოლ ოთახში შევიდა. ჩანთა მართლაც ჩალაგებულად დახვდა. იქვე იდო ყავისფერ ქალღელში გახვეული მეორე ფუთა. ერთ ზელში ჩანთა აიღო. მეორეში ფუთა ამოიღლია და ხმის ამოუღებლად წავიდა. დედისკენ მიეჩქარებოდა. სახლის კარბთან შეჩერდა და ზარი დარეკა. დედამ გა-
მობიდა.

— სახლში მოვედი, დედა, — თქვა მან.

— მოხვედი, შვილო? შენი ოთახი მზადაა და გელის. დადე ძირს ეგ ჩანთა, შემოდი, ჩვენ ეს-ესაა ვახშმად ვსხდებოდით. — სასადილო ოთახში შევიდნენ. — სემუელ, ჰერბერტი მოვი-
და, გაიქციე, ლუდი ამოიტანი.

ვახშობისა და მერე, მთელი საღამოს განმავლობაში ჰერბერტი ყვებოდა, რა სიძინელებს წააწყდა ბეტისთან ცხოვრებისას.

— კარგი, ახლა ხომ დაადწიე თავი, — უთხრა მისი სანბერმა, როცა ჰერბერტი თბრობა მორჩა — ხომ გეუბნებოდი, შენი ცოლობის ღირსი არ არის-მეთქი. მდაბიოა, ბინძური მდაბიო. შენ კი ყოველთვის კარგად გზრდიდი... — ჰერბერტს ეამა თავის საწოლში ძილი, სადაც



მთელი ხავშვობა გაატარა. მეორე დილით გაუპარსავი და პირდაპუნელი ჩავიდა სასაუშოოდ. ახალი ამბებიც გადაიკითხა.

— დღეს წირვეყ არ მივდივართ, — თქვა მისის სანბერმა. შენ გადაჩვეული იქნები. მოდი. დღეს კარგი დრო გვატაროთ, — მთელა კვირა ფრანზე საუბრობდნენ, მსჯელობდნენ, როგორ ჯობდა მისი მართვა. საუბარში ზოგჯერ ბეტისაც გამოურევდნენ, თავს იტებდნენ იმის გამოცნობით, შემდეგში როგორ მოიქცევაო.

— ეცდები, შეგირიგდეს — დაბეჭითა მისის სანბერმა.

— არაფერი გამოუვა — განაცხადა ჰერბერტმა.

— მატერიალურად უზრუნველყავი, — ურჩია მამამ შვილს.

— რატომ? — წამოიყვირა მისის სანბერმა, — თვითონ გამოიჭირა, იქორწინა და მერე საბლიდან გამოაგდო.

— რაც ეკუთვნის, იმას მიიღებს, ოღონდ თავი დამანებოს, — დღითიდღე თავს უფრო კარგად გრძნობდა თავის სახლში. მერე ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს არასოდეს წასულყო სახლიდან. ისე მოკალათდა, როგორც პატარა ლეკვი თავის საწოლში, დედის ყურადღებაც სიამოვნებდა, დედა უწმინდდა ტანსაცმელს, წინდებს ურეცხავდა, უკეთებდა იმ საკემლბს, რაც ყველაზე შეტად უყვარდა. ახლა მიხვდა, რომ ბები უხეირო დიასახლისი იყო. მისი სადილები უღიშლამო დღეებივით მგავდნენ ერთმანეთს. მხოლოდ პირველი სადილი იყო პიკნიკივით სახალისო, მის მოთხოვნებს ბეტის სადილები ვერ აკმაყოფილებდნენ. დედამისის იდეაზე იყო აღწერილი — კარგი ჭამის ფასი ამქვეყნად არაფერიაო. ახლა ბეტის მომზადებული საკემლბის გახსენებაზეც კი გული ერეოდა. ფართო ბინაში ხალვათად ცხოვრებაც ერჩივნა ორ პატარა ოთახში სულის შეხუფავს, თანაც აქედან ერთს სამწარეულოდაც იყენებდნენ.

— ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა სახლიდან წასვლა იყო, — უთხრა მან ერთხელ დედას.

— ვიცო, ჰერბერტ, ახლა ზომ ისევ შინა ხარ და ნულარ მიატოვებ შენს მყუდრო საბუღარს.

ხუთშაბათობით ქაშაგირის დღე იყო. საღამოს, გახშობისას მათ კარებს ვიღაც მოადგა და წარი დარტყა.

— ის არის, — ერთხმად წამოიყვირა სამივემ. ჰერბერტი გაფითრდა. დედამ გადახედა.

— მე მადროვით — თქვა და კარის გასაღებად გაემართა.

ზღურბლზე მართლაც ბები იდგა. მან სახლში შესვლა სცადა, მაგრამ მისის სანბერმა გზა გადაუღობა.

— ჰერბის ნახვა მინდა.
— სახლში არ გახლავთ.

— სახლშია, მე თვითონ დავინახე, როგორ დაბრუნდა მამა-შვილი სამსახურიდან. მერე არც ერთი აღარ გამოსულა გარეთ.

— მას არ სურს შენი ნახვა. თუ ხელახლა ატებავ, პოლიციას დავუძახებ.

— ფული მჭირდება.

— ვიცო, — უთხრა მისის სანბერმა, — შეტი არც არაფერი გაინტერესებდა — მერე საფული ამოიღო და ბეტის მან შილინგი გაუწოდა.

— მხოლოდ მან შილინგი მართო მამა-შვილს ბინის ქირას ვიხი კვირაში.

— ამის მეტს გროშსაც ვერ მიიღებ. ბინა ქირის გადახდა ჰერბერტს საღაროშიც შეუძლია.

— ავეჩის ფულიც გადასახდელი გვაქვს.

— როცა დრო მოვა, მაგასაც მოვაგვარებთ. მა, გინდა თუ არა ეს ფული?

შეუარაცხოფილი, უბედური, გამწარებული ბები გაუწირველად იდგა. მისის სანბერმა ფული ხელში ჩასჩარა, კარი ცხვირწინ მიუჭახუნა და სასადილო ოთახში შებრუნდა.

— მიიღო რაც ეკადრებოდა, — თქვა მან.

წარი კვლავ რეკდა და რეკდა, მაგრამ სახლიდან აღარავინ გამოპასუხებდა, ბოლოს გაჩერდა და სანბერები მიხვდნენ — ბები წავიდა.

მშვენიერი დილა გათენდა. ქარი უხერავდა ჰერბერტი ერთი-ორი დაშვების მერე კარგად გაიწაფა. ფრანი მალა მიიწვედა და თოქის უწარმაწარი გორგალი ნელ-ნელა იღეროდა.

— ჰო, თითქმის მთელი ერთი მილის სიმაღლეზე აფირიდა — უთხრა დედას აღწახებულმა ჰერბერტმა.

კიდევ რამდენიმე კვირა გავიდა. ჰერბერტის სახელით წერილი გაუგზავნეს ბეტის. ეს წერილი მშობლების შედგენილი იყო. წერილი იუწყებოდა: თუ სანბერების ოჯახის არც ერთ წევრს არ აწყენინებ, ყოველ შაბათ დილას მან შილინგს მიიღებო. ამის გარდა, ავეჩის ფულის გადახდაც სპირდებოდნენ, როცა დრო მოვიდოდა. მისის სანბერი ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მისტერ სანბერმა თავის სიცოცხლეში პირველად აიმაღლა ხმა და ჰერბერტმაც მას დაუტერა მხარი. ამასობაში ჰერბეტი ფრანის აშვების ახალ ბერბებს დაეუფლა და საოცარ რაღაცეებს აკეთებდა. ის უკვე სხვა მოყვარულებს აღარ გავდა, მათი წრიდან გამოვიდა, მეწინავე გახდა. მისი დიღების წუთები სწორედ შაბათ ნაშუადღევს დგებოდა. ტკბებოდა თავისი მიწვევა-ბით, იფურჩქნებოდა წარმატებებში. ის შურიც სიამოვნებდა, სხვა მოყვარულები რომ განიცდიდნენ მის მიმართ. ერთ საღამოს სადგურიდან სახლისაკენ მიმავალ მამა-შვილს წინ ბები დაუდგობათ.

— გამარჯობა, ჰერბ, — მიესალმა ქმარს.
— გამარჯობა!

სომეხისმეტ მოქმედი
ფრანდი

— ჩემს ქმართან საუბარი მსურს, მისტერ სანბერ.

— მამაჩემთან დასამალი არაფერი მაქვს, — ცივად მოუჭრა ჰერბერტმა.

ბეტი წამით შეუოცდა. მისტერ სანბერიც უკედ დღემო ჩავარდა — არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: წასულიყო თუ დარჩენილიყო.

— კარგი, — თქვა ბეტიმ ცოტა ხნის უკუშინის მერე — ჰერბ, გემუდარები, დაბრუნდი სახლში. იმ ღამეს, ჩანთა რომ ჩაგილაგე, მხოლოდ შეშინება მინდოდა შენი. ძალიან აღელვებული ვიყავი, შეეცდი და ბოლოს ვიხდი. ჰო, რა სულელი ვარ. ფრანის გულისხმავის ასე წაჩხუბება იქნება?

— არა, მე დაბრუნებას არ ვაპირებ. იმ დღეს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა, შენ რომ სწორი გზისაკენ მიხივდი.

ბეტის ცრემლები წამოსცივდა.

— მე ხომ მიყვარხარ, ჰერბ. ის შენი სულელი ფრანებიც აფრინე, რამდენიც გინდა. აღარაფერს ვიტყვი, ოღონდ დაბრუნდი.

— მაღლობელი ვარ, მაგრამ მგონი საქმოდ ბერძენი ილაპარაკე. ისე, რომ იცოდე, თავს უშენოდ ძალიან კარგად ვგრძნობ. შენთან ყოფნა არაფრად შეგაშინებდა. წავიდეთ, მამა — მიუბრუნდა ის მამას.

ისინი ჩქარი ნაბიჯით გაშორდნენ ბეტის. ბეტი არ გამოდევნებია. კვირას სანბერები წირვანე წვადნენ, ნასალიღვეს ჰერბერტი ფრანის სანახავად სარდაფში ჩავიდა, ფრანს დახედა და გახედა. კარგად დააკვირდა. მერე უეცრად უკან ამოვარდა, შეშლილი, გაფითრებული სახით. ხელში ნაჭახი ეჭირა.

— მან ფრანი დამოგლიჯა, აი ამით დაჩეხა — თავზარდაცემულმა სანბერებმა ერთი შეტყვირებს და სარდაფისაკენ გაიქცნენ. ვაი, რომ ჰერბერტის ნათქვამი მართალი იყო. ფრანი — ახალი, საუცხოო ფრანი აუწყული დახვდა. ის ქერ ნაჭახით იყო დაშლილი, ხის ნაწილები ნაფოტებად, ქსოვილი კი ნაკუწებად ქცეულიყო.

— ჩვენს წირვაზე უოფნისას ჩაიდინდა ამას. ალბათ გვიოვალთვალეხდა, როდის გავდიოდით სახლიდან.

— საბლში როგორღა შემოვიდა — იკითხა დაბნეულმა მისტერ სანბერმა.

— მე ხომ ორი გასაღები მქონდა, მამა; სახლში რომ დავბრუნდი, ერთი ვეღარსად ვნახე, მაგრამ არ მოვიძიე.

— რატომ გგონიათ, მინცდამინც იმან გააკეთა. იქნებ ბიჭებმა ჩაიდინეს. ზოგიერთები ისეთები არიან, მათგან მეტიც არის მოსალოდნელი — ეს მისტერ სანბერის აზრი იყო.

— კარგი, მაგასაც გამოვარკვევ — წამოიყვირა ჰერბერტმა — წავალ და ვკითხავ. თუ მართლაც მისი გაკეთებულია, ნამდვილად მივასიკვდილებ.

ისე იმუჭრებოდა, მისის სანბერსაც შეეშინდა.

— არა, ჰერბერტ, ბეტის გულმოდგინებით ვიცი, რომ ვერ ჩაგაგლებ. მამაშენი წავიდა, ის გაარკვევს. შენ ვერ გაგიშვებ. მერე ვიფიქროთ, რა ვიღონოთ, რა გავაკეთოთ.

— ჰო, ჰერბერტ, მე წავალ.

ჰერბერტი ძლივს დააშოშინინეს და დაითანხმეს. მისტერ სანბერი კი ბეტისთან წავიდა საქმის გასარკვევად. ნახევარ საათში დაბრუნდა.

— ყველაფერი მისი ჩადენილია, თვითონვე აღიარა, კიდევაც ამაუბს თავის საქციელით. მე ვერ გავიმეორებ, რაც მან მითხრა. მისმა თავხედობამ პირდაპირ შემპარწუნა. ჰირის დღისავით ეწიზლება ფრანები. ეწიზლება, რადგან ჰერბერტს მასზე მეტად ფრანები უყვარს და რაკი სიყვარულში მოცრმე დაიგულა, მისი განადგურება გადაწყვიტა; ასევე მოვიქცევი, თუკი ახალს შეიძინოთ, ესეც დაამბა — დაამბავარა ლაპარაკი მისტერ სანბერმა.

— კიდევ კარგი, იქ არ ვიყავი, თორემ ყელს გამოვჭრიდი, მერე თუგინდ სახრჩობელაზეც ჩამოვეკონწიალებინე, არად დაგიდევდით. დღეის ამას მქონა ჩემგან ერთ გროუსაც ვეღარ მიიღებს. მორჩა და გათავდა.

— გიჩივლებს, ჰერბერტი — უთხრა მამამ.

— მიჩივლოს.


— ავექის გადასახადიც მომავალ კვირას უნდა გადაგვება. შენს ადგილას არც ამას გადავუხდელი — შეაპარა მისის სანბერმა შვილს.

— რას ამბობ, ავექს წაიღებენ — თქვა შეშფოთებით სემუელმა — და ის ფულიც, რაც აქამდე იხადა, სულ წუალში გადავიტრება.

— მერე რა — გულგრილად უპასუხა ცოლმა — ამ ზარალს როგორმე გადავიტანთ. სამაგიეროდ თავს დააღწევს მისი კლანჭებიდან, ჩვეიც შვილს დავინარჩუნებთ.

— საქმე მარტო ფულში ხომ არ არის — თქვა წახალისებულმა ჰერბერტმა — ერთი იმისი სახე მანაბა, როცა ავექს გაიტანენ. ფორტეპიანო? პიანინოზე ხომ ჭკუას კარგავს.

მომდევნო ხუთშაბათს ბეტის ფული აღარ მიუღია. მერე წერილი გაუგზავნა ჰერბერტს. თუ ფულს არ გადაიხდი, ავექს წაიღებენო. პასუხი კატეგორიული იყო: „ფულის გადახდას არ ვაპირებ. ჩემთვის სულ ერთია, წაიღებენ თუ არა მაგ ავექს“. ბეტიმ მამა-შვილს აჩრდილივით დევნა დაუწყო. ჰერბერტი ხმას არ სცემდა აღდევნებულ ქალს. საღამოობით ბეტი მათ კარებს მიაღებოდა და გაუთავებლად რეკავდა ზარს. რეკავდა, სანამ მოთმინებიდან არ გამოიყვანდა და ყვირილით არ გააგდებდნენ. მშობლები ძლივს აკვებდნენ აღელვებულ ჰერბერტს, რომ ბეტის არ გახტომოდა და არ მიეთეთქვა. ერთხელ სასტუმრო ოთახის ფანჯარა ჩაუშსხვრია ქვით. ჰერბერტის სამსახურშიც საჩივრებსა და წერილებს გზავნიდა. მერე მომრიგებელ მოსამართლეს მიმართა: ქმარმა მიმარტოვა, ესეც არ მაკმარა, ფულსაც აღარ მაძლევსო.



ჰერბერტი გამოიძახეს. მოსამართლემ ორი-
ვე მხარეს მოუსმინა, გაუკვირდა და ეუცხოვა
ეს ამბავი. შერიგებაც სცადა. მაგრამ ჰერბერ-
ტმა ჭვა ააგლო და თავი შეუშვირა. მოსამართ-
ლემ კვირაში მან შილინგის გადახდა დააკისრა.
მან კი განუცხადა: გროშაპაიხსაც არ გადავუხ-
დო.

— ციხეში ჩაგსვამთ! — დაემუქრა მოსამა-
რთლე. ჰერბერტმა კარგად იცოდა, რასაც ამ-
ბობდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი,
სიტყვა არ გაეტება. ბეტიმ ერთხელ კიდევ მი-
იყვანა მოსამართლესთან.

გაკვირვებული მოსამართლე შეეკითხა.

— კი, მაგრამ, ამ დაკისრებულ ფულს რა-
ტომ არ იხდი?

— ვთქვი და გავთავე, არაფერსაც არ გადა-
ვიხდი. გინდ ციხეში, გინდაც ჯანდაბაში გამიშ-
ვით. იცით, მე მაგან რა მიყო? ფრანი დამი-
ხია.

მოსამართლე წამოენთო.

— შენ, ჩემო ძმაო, სულელი ყოფილხარ.
ერთ კვირასაც გიციდი და თუ დაკისრებული
ფული არ გადაგიხდია, ციხეში გიკრავ თავს,
მერე უყარე კაკალი.

ჰერბერტმა არც მომდევნო კვირას გადაიხა-
და. ასე გაიწყო იგი ჩემმა მეგობარმა ნედ
პრესტინმა, ასე გავიგე მეც ეს ამბავი.

— რას ფიქრობ, რატომ მოიქცა ასე? —
მკითხა ნედ პრესტინმა, როცა თბრობა დაასრუ-
ლა. — ბეტი ცული გოგო არაა. რამდენჭერმე

შევხვდი. მე ვიტყვოდი, მშვენიერი აღამიყნია.
ეს არის, ავადმყოფურად ეწილემ, რაღაცეა
არც ჰერბერტია ურიგო ბიჭი, თუ რა ჩვენი
ლით, რომ ცოტა ფიცხია. რას ფიქრობ, რა
არის ფრანის გატაცებაში ისეთი, რაც ასე აგი-
უბებს კაცს?

— აბა რა გითხრა, — ვუპასუხე, — უველა-
ფერი ეს ჩემთვისაც ბუნდოვანი და გაუგება-
რია. თუმცა... არა, განსჯაც მნელია, ხომ შეიძ-
ლება ჰერბერტი ისეთ ღვთიურ ძალასა და სი-
ამეს გრძნობდა ჰაერში მოსრიალე ფრანის ცქე-
რისას, იქნებ ფიქრით და ოცნებით მაშინ ღმე-
რთებსაც კი უტოლდებოდა, ან შეიძლება, ისე-
თი სილაღე ეუფლებოდა, რომელიც ამ ერთფე-
როვანი მოსაწყენი ცხოვრების ყოველდღიურ
მტვერს აშორებდა. იქნებ ამ დროს თავისუფ-
ლების, თავგადასავლების, ოცნებების გამჭვი-
რვალე ბურუსი თავისკენ ისრუტავდა და იწი-
დავდა, ვინ იცის?

საერთოდ კი, თუ კაცი ერთხელვე აიტაცა
ოცნებამ, მას ვეღარაფერი უშველის. ვერც რო-
ზგი და ვერც წამალი. მაგრამ ფრანი? ეს ხომ
საოცარი ახირება იყო და არა ოცნება. მე ვი-
ტყვოდი, უაზრობა, სისულელიც. ამიტომ მე
ერთხელ კიდევ ვიმოვრებ — ჯობს, ეს საკით-
ხი იმან გადაწყვიტოს, ვისაც ჩემზე უფრო და-
კვირვებით, ღრმად ჩაუხედავს ადამის მოდგმის
სულიერი საიდუმლოებებით სავსე, ამოუცნობ
სკივრში.

ინგლისურიდან თარგმნა ლუნაწი სპანმა





გ ა მ ო ს ა თ ხ ო შ ა რ ი

სულის მოგვიგონე ლამპარი

გარდაიცვალა პავლე ინგოროყვა, დასრულდა თავისი ქვეყნის, საქართველოს სიყვარულით აგიზგიზებული კიდევ ერთი სიცოცხლე!

კოცონსა ჰგავდა მთელი მისი ცხოვრება. ეს კოცონი მუდამ საქართველოს ბნელით მოკულ ისტორიულ ლაბირინთებს დასტრიალებდა თავს, დროჲამის ბურუსით გადაბინდულ მოვლენებსა და ფაქტებს ჰფენდა ნათელს, წინასწარმეტყველის ალლოთი და რალაც ამოუხსნელი ინტუიციის წყალობით მოიკვლევდა გზას იმ შორეულ მშობლიურ ლაბირინთებში, რათა თანამედროვეთათვის კვლავ აღედგინა და გაეცოცხლებინა საქართველოს მივიწყებული საუნჯენი, გაცრეცილ ფოლიანტებში მითვლემილი დიდი სულიერი კულტურა!

სულ ახლახანს 90 წელი მიულოცა ქართველმა ხალხმა თავის სასიქადულო შვილს. ეს ასაკი, ცხადია, მცირე არ გახლავთ, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმ ვეებერთელა მემკვიდრეობას, რაც პავლე ინგოროყვამ შთამომავლობას დაუტოვა, მაინც გვიკვირს, როგორ შეიძლო ამდენი, როგორა ზიდა ერთი კაცის მხრებმა ესოდენ მძიმე ტვირთი?

თუ გავიხსენებთ იმისაც, რომ ბატონი პავლე ახალგაზრდობიდანვე მძიმე სენით იყო ავად, ხომ ისიც საკვირველია, თუ როგორ იცოცხლა ამდენი ხანი? რა ძალამ შეაძლებინა უკუბრუნებელ სენზე გამარჯვება?

დღეს, პავლე ინგოროყვას რთულ და ძნელი ცხოვრების გზაზე მოფიქრალთ, ერთი პასუხი გვრჩება: როცა ადამიანს საქვეყნო საქმე აქვს გასაკეთებელი, როცა ასე ამაღლებულია სული, როცა იგი შთაგონებულია დიდი იდეით, სხეულსაც უბრძანებს რომ გაუძლოს გაუძლებელს, სიკვდილის აჩრდილი უკან იხევს, ხანგრძლივად გიზგიზებს სულის ლამპარი!

პავლე ინგოროყვამ თავისი აუწონელი ღვაწლით იმ რჩეულ მამულიშვილთა შორის დაიმკვიდრა ადგილი, რომელთა სახელებსაც საქართველო არასოდეს დაივიწყებს. ბატონი პავლეს ცხოვრება დარჩება არა მარტო როგორც წმინდა მეცნიერული მოღვაწეობის მაგალითი, არამედ როგორც ნიმუში უმწიკვლო ზნეობრივი ცხოვრებისა. თვითგაღებისა და თვითშეწირვის საოცარი აქტი იყო პავლე ინგოროყვას მთელი ცხოვრება. მან კარგად უწყოდა, რომ ყველაზე დიდი ჯილდო მწერლისა და მოღვაწისთვის თავისი ხალხის სიყვარულია. მან ეს დიდი ჯილდო დიდი ხანია დაიმსახურა. ამისი ნათელი დასტურია ისიც, რომ დღეს, უკვდავების გზაზე მიმავალ პავლე ინგოროყვას ცხედარს მგლოვიარე და თავდახრილი მიაცილებს მთელი საქართველო!

დიდი ადამიანის გარდაცვალება მწუხარებასთან ერთად კიდევ ერთხელ აკეთებს თავის უმთავრეს საქმეს — კიდევ ერთხელ ვგრძნობთ, რომ არა არისრა ამ წარმავალ წუთისოფელში უფრო ძვირფასი და დიადი, ვიდრე უმწიკვლო მსახურება თავისი ერისა, და ერის უკვდავებასაც სწორედ პავლე ინგოროყვასთანა უკვდავი შვილები განაპირობებენ.



თავგანჯი

ფრანჩესკო პეტრარკა

აღივსო სული მიღმეითზე დარდით და სევდით,
იქ წარიტაცეს ქალბატონი დედამიწიდან,
მესამე ცაზე, მაგრამ ღმერთმა მე დამიწინდა
ნათელი მისი, უგონოდ რომ მწამდა და ვსდევდი.

ვიხილე ბოლოს, აშრიალებს ღვთაებრივ მერდინს
და მიხმობს: რად არ დაუტევე ასე ბილწი და
ურგები მიწა, შემოიქეც ცისკენ ღვთის წილად
ამ სფეროს წილ დათქვეს შენი მარადი ზვედრი.

ძვირფასო, მარტოდ ვალალებ და კმუნავ ნიადაგ,
აწ არ ეგების წამება და სულთქმა ეგოდენ,
აღანთე სულში ნათლი, მე შენ გეკუთვნი მხოლოდ.

რალად გამიწყდა სიტყვა ხელი სად გაცრიატდა?
ო, ეს ბგერები უსასრულოდ რომ იღვრებოდეს
მე ზეციური სიხარული მომიღებს ბოლოს.

მან ერთადერთმა აურაცხელ ქალთა დასიდან
დაპკოდა გული, ჩაულვარა ძრწოლა ურგები,
გაილივლივა ზესკნელისკენ ციურ ღრუბლებით
და გადმოხედა ჩემს ვნებიერ სურვილს ყასიდად.

დასტოვა მიწა მოფუთფუთე, თვალად ნასი და
ბილწი, რამეთუ ეკუთვნოდა ზეცას უკლებლივ,
მე კი წყევლიადს და სიმარტოვეს ვესაუბრები,
გამხმარმა სულმა შორეთისკენ ფრთა ვერ აზიდა.

თუმცა ეამიყამ გამოკრთოდა იმ სინათლიდან,
რონ დამეძალა მიწიერი ტვირთის სიმძიმე,
ახლა ტკივილი დათარეშობს ტანში პირიქით.

ო, ეგ თვალეები სხივიერი, ცა რომ დაფლითა —
სიკვდილმა ჩემსკენ მოაბრუნა და მოციმციმე
მზერით გამოკრა ამ ნაწამებ გულში ბილიკი.

მიჯნურმა ჩემმა, ასე წმინდამ, ასე ლამაზმა
დაგვტოვა მარტო, ცრემლების და ტანჯვის პირისპირ,

მჯერა, რომ წყნარად გაიღიმა და სიკვდილის წინ
გაშალა ფრთა და გალივლივდა ცისკენ ანაზადად.

იქნებ ზეცაში ჰპოვა შვება, იქნებ განაზდა
სული გვემული და შეერთო ნათელს, ვინ იცის,
დროა, განიხენეს გულის კარი, რომ ღიმილიც კი
ჩაქრეს და არ რამ მოგაბრუნოს ამ ქვეყანასთან.

აწ აღარ გიმძიმს, რომ განუდგე მიწიერ ზრახვას,
თავისუფლებით და ნეტარი სიმშვიდით აღვსილს.
ვით მსხემი ვინმე, სივრცეებს რომ სერავს უფლისებრ.

გვკვრეტ, სიკვდილისკენ მიიქცევა ყოველი არსი
რაიც შექმნილა დასაბამით და სულიც ლაღად.
ილტვის იმ საშიშ და ცრემლებით დამზრალ ზღურბლისკენ.



სიყვარულია ეს თუ სხვა რამ მითრთოლებს ძარღვებს,
და მუხლმოყრილნი უნებურად შევტირით უფალს,
თუ სიაგვა, რატომ ასე ტკბილი და სუფთა
თუ სიკეთეა, რატომ ასე მწარე და მძალე.

თუ თავად ვიწვი, ვნება რაღად მებრძვის და მარღვევს,
და მოციმციმე ცრემლიც რაღად მოტბორდა გულთან,
მკვდარო სიცოცხლე, რად განწილე გუფთად და გუფთად
სხეული ჩემი, ტკბილო ტანჯავ, რად მასმევ ნაღველს?

და თუ არსებობს სიყვარული, მაშინ რაღატომ
გაქვავდა სული, მე ბნელ ზღვაში დაგხეტიალობ,
ბაიდას საკე მოერღვა და ტორტმანებს მიწყვი.

დამებნა გონი და ცდუნება მტანჯავს ტიალი.
სად განისვენოს სულმა, რომელ ცას შეჰღაღადოს,
ზაფხულში მცევა და ზამთარში სიცხისგან ვიწვი.



არ მაქვს მშვიდობა. არც მტრებს ვხედავ ძილში ცხადადგე,
ვკრები, ვენტები, ვშიშობ, მწამს და შხამით ანაზელ
მტვერში ვბორძიკობ და ზეცაში მკლავებს გადავდებ,
მძულს ყოველივე, მძულს და მიყვარს ამ ქვეყანაზე.

დატყვევებული არ ვაკარებ ფიქრებს სადარდელს
ვაწამებ სხეულს და ჩავძახი სულსაც ამასვე,
მხუთავს ამური ბორკილებში, ღმერთო, სანამდე!
არ ჩანს ნათელი, უტკბილესი მხნაკვით გამავსეს.

ბრმა ვარ და ვხედავ, მუნჯი ვარ და ვყვირი ზვიადად,
დაღუპვა მწყურის — გადარჩენას შევთხოვ განგებას,
კოცნი ჭრილობებს და მივიწევ ცისკენ თამაშით,

ტყვილით ვხარობ და სიცილით ვტირი ნიადაგ,
სიკვდილ-სიცოცხლეს მწუხარებით დაიბანგება
და შენ მიგიძღვის ქალბატონო, ბრალი ამაში.

მე სიყვარულით დავიღალე და ვმიაშიტობ
ცხადში თუ ძილში კვლავ ვბრუნდები იმ ადგილისკენ,
სად მოციმციმე თვალთა შუქში დავდნი ცვილისებრ,
სად ჩუმმა ცეცხლმა ნეტარებით გული დამილტო.

სიზმრად მივყვები იმ უჩინარ ბილიკს ამიტომ,
დღითა და ღამით და ფიქრებში თუ დავინისლე,
იმ ნეტარ ბგერებს მოკვდავთაგან ნეტავ ვინ ისმენს,
ვის მიუჩრდილა მზისქვეშეთში იმ სიამის რტომ.

ქიქმატი სიო მათრთოლებს და ნელა გამოკრთის,
და მოაქვს ჩქამი გაბრწყინებულ ირგვლივეთიდან,
მეც ვაყურადებ მოცრიატე შორეთს ისევე.

თითქო ჰაერში ისმის ჩუმი სუნთქვა სამოთხის,
თითქო სიწყნარე უსასრულო ეთერს ერთვის და
მტკივანი გულიც საგულეში ველარ ისვენებს.

ნეტავ შემეძლოს რომ სიყვარულს, სულო საზარო,
ვუმღერო ისე გახელებით და ისე მძაფრად,
ათრთოლდეს მხრები, დაიფხრიწოს ათასი აფრა
და ვნებამ ტვინი გაყინული შეაზანზაროს.

სახე მწყაზარი, მე რო ვუმზერ როგორც ავგაროზს,
სველი თვლები, მე რო მყისვე მგმირავს და მზაფრავს,
გალმობიერდნენ და მკმუნვარედ დახედონ საფლავს,
დასთხიონ ცრემლი სისხლოვანი და უანგარო.

და ღამაზ ვარდებს მიეთბუნოს ქარი უხეში,
აოვლის საფარქვეშ უმაღვე რო წითლად დამდნარა
და ამოსწოვოს წვენი მისი შემოდგომამდე.

მიჯობს, სიცოცხლე გავასრულო სიჭაბუქეში
და ბედნიერი განვეშორო მიწას, რადგანაც
სიბერე მხოლოდ დაუღეველ ტანჯვას მომაგებს.

იტალიურიდან თარგმნა თამაზ ბაბაღუაძე





დისკუსიის ექმ

ჯარჯი ფხოველი

„მოლად მე მეკუთვნის ქვეყანა“

ხანგრძლივი, ნაყოფიერი ძიება და ექსპერიმენტი გახლავთ ერთადერთი პირობა საკუთარი პოეტური ენის პოვნისა. ამ გზაზე ახალგაზრდული პოეზია ხშირად უკიდურესობამდე მიდის, ზოგჯერ თითქოს წყდება კლდე ჩვენი პოეზიის ისტორიულ ფესვებს, მაგრამ ეს მოვლენა სრულიადაც არ არის საშიში.

მივუბრუნდეთ წარსულს, — ბევრი სიახლე, რომელიც ქართველი სიმბოლისტებისა და ფუტურისტების მოღვაწეობას უკავშირდება, კულტივირებული იყო დასავლური და რუსული ლიტერატურებიდან. ის სიახლეებიც კი ვადახარშა და ორგანულ დინებებდა აქცია ჩვენმა მრავალსაუკუნოვანმა ლიტერატურამ.

მაშ, რა არის საგანგაშო, როცა რომელიმე ახალგაზრდა პოეტი ძიების „დაწვევილი“ გზას დაადგებ? ეს ხომ უფრო უპრობანია, ვიდრე ის ამბავი, როცა ვინმე ოცი წლის „უკუაღმაჭდარი პოეტი“ თავის ერთფეროვან ნახელავსა გვთავაზობს და არავითარ მოულოდნელობას არა გვპირდება.

პოეზია, რომელიც არ დულს, რომელმაც უკვე უტრგი აქცია ექსპერიმენტსა და ძიებას, ახალგაზრდულად არ ჩათვლება და არც რაიმე დიდ შედეგს არ უნდა მოველოდეთ მისგან.

ექსპერიმენტს ის გაურბის, ვინც სულსწრაფია, ვისაც შემოქმედებითი აღქიმივა კი არ ანიჭებს ტკობას, არამედ — დასტამბვა, მეტისა და მეტის გამოცემა, პრაგმატისტული შიზანი და ა. შ.

ხომ ცხადია, რომ უნიკალური და უკვლავი აღმოჩენების ტოლფარდია ყოველი შედეგრი მსოფლიო ლიტერატურისა...

პიუერობლის ნიშნებს ამაოდ დავუწყებთ ძეზნას ვუა-ფშავლას ამ სტრიქონებში, ახალგაზრდა მგონებს რომ ეძღვნება.

არც-რა ტანთ მცვია, არც ფესთა, დავდივარ დელი-შობილა, მეც იმათ ჯოგვიდამა ვარ, ეინც სიღარიბით ცნობილა, ამ წუთისოფლის თორნეში ბევრი სხვა გამოცხობილა, ჩემს გარდა, ასეთ ყოფაში მრავალი სხვაცა ყოფილა...

პოეტის ხმა, მისი ეკვეშეტუვლი სიტყვაა უცნაური და მოულოდნელი ჭეშმარიტების გამცხადებელი: „მოლად მე მეკუთვნის ქვეყანა...“

ლატაკ წუთისოფელზე ასე იმარჯვებს ჩვენი უკვლავი წინაპარი და ახალგაზრდა პოეტისათვის ამაზე უფრო თვალსაჩინო და საგულისხმო მაგალითი ძნელად თუ მოიძებნება.

ჩემი აზრით, ახალგაზრდა პოეტი მწერალითა კავშირის ტალანტში კი არ უნდა ტრიალებდეს, რათა იქიდან რაც შეიძლება დიდი „ლუკმა“ მიიღოს (თანამდებობის, ბინის და სხვა მისთანათა სახით), არამედ დღენიაღაგ ამაზე უნდა ფიქრობდეს, რომ წუთისოფელს ერთი იმისთანა სტრიქონი მაინც „გამოგლიჯოს“, რომელიც დღისი გახდება ჩვენი წამებული წინაპრების შედეგების სიახლოვისა, მათს გვერდით აუღერებისა. ვისაც პოეზიისათვის თვგანწირვა განუზრახავს, ცხოვრების მთავარ მიზნადაც ის უნდა აქციოს...

ის ექსპერიმენტები, რაც ვერლიბრის სახით მიმდინარეობდა, თუ გაგრძელდა და ნაყოფიერი გახდა, მხოლოდ იმის წყალობით, რომ მისი მსახურნი — ის პოეტები, ვინც ამ ფორმას ამკვიდრებდნენ (შ. ჩანტლაძე, ლ. სტურუა, ბ. ხარანაული, მ. წიკლაური, თ. ბექიშვილი, გ. პეტროსიანი, გ. აღმაშვილი...), სახელდახლო, მერყვე ნიადაგზე არ იღვწენ. მათი მცდელობა მიდრეკილებისა და ლიტერ-



ტურული პოეზიის თავისებურებას ემყარებოდა...

ლიტერატურული კრიტიკა პოეტური ექსპერიმენტის ავტორს, ახალგაზრდა იქნება ის, თუ ხანდაშული, უმალ ყელში არ უნდა წასწვდეს. ყოველ საქმეს, მით უმეტეს, შემოქმედებითი ძიების შედეგიან დასრულებას ზომ დრო უნდა, ამიტომ კრიტიკამაც და მკითხველმაც უნდა აცალღოს იმ პოეტებს, ვინც ძიებისაკენა მიმართული. ნუ ავტებთ ნაადრევ განგაშს, „ლიტერატურულ კულისებს ნუ დავარაზებთ“, გულს ნუ გაფუტებთ მძაიბელ ავტორს და მასაც ჩვეულებრივი, საშუალო პოეზიის ერთფეროვან კალაპოტში ნუ ჩაავტებთ. დაე, ჩვენს პოეზიას აჩნდეს დედლის კვალი!

ძიების ატმოსფეროს ცალკეული პოეტები ქმნიან. ბოლო წლებში მოსული პოეტებიდან ამ მხრივ გამორჩეულია გურამ ოდიშარია. ის მძაიბელი, ლექსის შიდაარსისეული გადახალისებისა და განახლების მოწადინე შემოქმედია.

გურამ ოდიშარია სოხუმის მკვიდრია. იქაურ ლიტერატურულ ატმოსფეროში გაიზარდა და, ჩემი აზრით, მის ჩამოყალიბებას, მის ექსპერიმენტებს გეზო მისცა და გზა გაუხსნეს სოხუმისავე მკვიდრმა, აღდეს უკვე ცნობილმა პოეტებმა გენო კალანდამ და რევე კალანდამ, რომლებმაც კია ხანაა, რაც ბრძოლა გამოუცხადეს პოეტურ შაბლონს.

როცა მარჯვენა ხელი ხესა ჰკრის, მარცხენა მუშტს კრავს რათა ხის კენესა გადაძალღოს და გახმოვანდეს გადაარჩინოს...

წერს გურამ ოდიშარია და მკითხველი შეიგრძნობს რომელიღაც შორეული, განცდილი ტიპიკლის ანარეკლს.

გადადე ეს წიგნი... და დიდხანს ფიქრად საყვარელ ბილიკზე, რომელსაც ნელ-ნელა ისრუტავს ბლახი... ჩვენ მხოლოდ ასე თუ ვირწმუნებთ ერთმანეთს...

პოეტი თანდათან უახლოვდება რომელიღაც ბუნებით ხმას, რომელიც, ჩემი აზრით, მისი ხმაა და ძიების კვალობაზე, აღბათ, საბოლოოდ აღმოაჩენს და გაითავისებს მას. ეს ხმა, აღბათ, არ იქნება ამღერებული ანდა ყოვლისმომცველი, მაგრამ ემოციური სიღრმის ნათელთან კი უღაოდ დაგვაახლოვებს; ამაზე მეტი, ცხადია, „ერთ პოეტს აღარ მოეთხოვება...“

მე მომეწონა დისკუსიის მონაწილე მწერლების გულწრფელი, უშეღავათო ტონი, თუმცა მათ, ჩემი აზრით, განხილული პოეტების შემოქმედებაში ბევრი რამ ღირსეული გამოჩნათ, ხოლო ზოგიერთ ნახვისარ ლექსს დაუმსახურებელი პატივი მიავცნ.

მაგრამ მე მათ ვეთანხმები თუ არა, ეს როდია მთავარი. მთავარი ის გახლავთ, რომ ქართულ ლიტერატურას შეემატა ნიჭიერი ახალგაზრდობა და მკითხველისათვის ფასეულია მათი

ის ნაწარმოებები, რომელთაც ნამდვილი შემოქმედებითი დუღილის ბეჭედი აზის. სერჯიო სერჯიოვი უოველი ახალი წიგნიდან თითქმისი თუ რჩება მკითხველის მებსიერებაში, ხოლო უამთასვლის უმკაცრეს საცერს ხშირად ერთი სტრიქონიც კი ვერ გააღწევს ხოლმე.

კრიტიკის ვალია სწორედ ამ თითო-ორილა ლექსის აღმოჩენა, საერთო ტენდენციის გარკვევა და ამის კვალობაზე მკითხველის ორიენტირება.

უქვევლია, რომ მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, მათ იმედიც მოიტანეს, იმედი იმისა, რომ ისინი ახალი ინტონაციებით გაუღწონ უკვე დაძველებულსა და ჩამოყალიბებულ პოეტურ ენას.

საგულისხმოა, რომ პოეტები, ვისი ლექსებიც ამ დისკუსიის დროს განიხილეს, არცთუ შიანც-დამაინც ახალგაზრდები არიან, არც თანატოლები არიან და, რაც მთავარია, არც რომელიმე ერთი ლიტერატურული ტენდენციის მიმდევრები არიან. ამ პოეტებზე ფიქრისას არ შეიძლება, რომ მიგვატოვოს ერთმა საქოქმანო კითხვამ — ჩვენს ლიტერატურაში თუ ჩანან მარტოაც ახალგაზრდა პოეტები — ოცისა და ოცდაორი წლისანი?

ერთი დებუტის მოწმენი უკვე გავხდით. ამას წინათ „ციხკარმა“ დაბეჭდა ახალგაზრდა იმედისმომცემი პოეტის ომარ თურმანაულის ლექსები. სხვები? ნუთუ არ ჩანან სალიტერატურო ასპარეზე მისი ტოლები? ისინი უღადე არიან. და უსამართლობა იქნება თუ ეს დისკუსია მათი სახელების გარეშე ჩაივლის...


იმ ახალგაზრდა პოეტს, ვინც ბუნებითი იმპულსების ზმას არ მისდევს მოუცვლელიობის, სიზარბაცის ან სხვა რამ ამბის გამო, ვინც ნიჭის გამოვლენას ყოველდღიურ ლიტერატურულ შრომაში არა ხედავს და მხოლოდ ზვადინდელი დღის იმედით ცხოვრობს, არ იქნება ურიტო, დავით გურამიშვილის სიტყვები რომ გავიხსენოთ.

რაც დამრჩა, ვერ ვთქვი, მეწადა, მეთქვა გრძალა, თავი მეცადა, ვერა ვთქვი, მოცლას უციდელი, ნეტამცა არა მეცადა...

ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველა, ვინც დავით გურამიშვილს „უფირვავსეს პაპად“ ისენიებდა, მთლიანად ემორჩილებოდა ბუნებითი იმპულსის ხმას. შემოქმედებითი წამის მოახლოებისას, ისენიებენ მისი თანამედროვენი, თუ ხნავდა, ხარ-გუთნის დააყენებდა, იქვე ხნულში ჩამოჯდებოდა და წერას შეუდგებოდა... ხშირად სამკალს მიატოვებდა და შინისკენ დაეშვებოდა... და ა. შ. და ა. შ.

გავიხსენოთ რუსთაველი: „ბედი ცდაა...“ ყოველი ცდა, თუკი 'ის შეუძლებლის გაცხა-

ზარჯი ფსოველი „მთლად მი მტკბოვნი ძმებანა“



დებანზე ფიჭობთა ნიშანდებული, უდაოდ შედეგაინ გამოდგება, ხოლო თუ ცდას „კარგად წერის“ ზომიერი მოთხოვნილებები სახლვრავენ, მაშინ საშუალო რეზულტატია მოსალოდნელი.

დღეს ძალიან ბევრი ვინმე წერს კარგად: „კარგად წერა“, როგორც ჩანს, ყველასთვის ხელმისაწვდომია: ის ვარჯიშით მიიღწევა. ხოლო კარგი პოეზიის საურდენი ინტუიცია, ხმის თავისთავადობა და აღმოჩენის უნარი ნაკლებად ჩანს... ეს თვისებები ხომ კარგ ლექსს განაპირობებენ. მაგრამ ბუნება მათ ძალზე ძუნწად, ძალზე იშვიათად იძლევა.

პოეტისათვის ყველაზე ფასეულია ინდივიდუალური გამოცდილება. ვერაკვიტარი სხვისეული მას ვერ შეცვლის. ამიტომაც სასურველია, რომ ახალგაზრდა შემოქმედი უშედავთოდ და ულმობლად მოეყილოს თავის ნახელავს, ერიდოს ლიტერატურულ მენარმეობას, რაიც თვით ყველაზე თვითმყოფად ტალანტსაც კი ერთფეროვნების კოაბში სძირავს ხოლმე, უყარავს შემოქმედების ყველაზე უძვირფასეს ელემენტს: თავისთავადობას...

დრმად ვარ დარწმუნებული, რომ უხეირო ლექსს ვერაკვიტარი დამატებითი რეცეპტი წელში ვერ გაასწორებს, ვერ წაადგება მას ხელახლა „კეთება“, „შეცდომების გასწორება“ და ა. შ. თუ ლექსს თან დაჰყვად ღვთიური მადლი ემოციის გადაცემისა, თუ პოეტმა გულისცემა არ დაიშურა, მაშინ, თუნდა ლექსში ლაფსუსიც იყოს, ის მაინც ცოცხალი ორგანიზმია, კარგი ლექსია.

საყოველთაოდ ცნობილ შედეგებშიც კი შეიძლება თითო-ოროლა ენობრივი ლაფსუსისა თუ სხვა რამ შეუსაბამობის მოძებნა, მაგრამ ამით იმ შედეგებს არაფერი აკლდება.

ლიტერატურამ ისეთი პოეტებიც იცის, ვინც პოეტურ ხერხებს ზედმიწევნითა ფლობდნენ, მაგრამ დროს რომ გააუქმებდა, ისეთი ლექსი ვერ დაწერდა, ცოცხალი ძარღვი ვერ მოძებნეს პოეტური ენის ქაოსში. ისინი დახვეწილი ლექსების კეთებას გადაყვევენ, რადგან აღმოჩენის უნარი არა აქონდათ და ძიებასაც, ექსპერიმენტსაც გაურბოდნენ.

კარგი ნაწარმოების ესა თუ ის ნაკლიც ხომ მწერლის იერისა და შემოქმედებითი ფსიქოლოგიის მეტყველო შტრიხია.

ფლობერი „მადამ ბოვარიზე“ მუშაობის დროს წერდა: „იმისდა მიხედვით, რაც წინ მივიწვევ, მიძლიერდება ეჭვი მთლიანი ნაწარმოების შესახებ, ვამჩნევ ნაკლოვანებებს, გამოუსწორებელ ნაკლოვანებებს, რომლებსაც არ ვასწორებ, რადგან უკეთესია შექვეი, ვიდრე ნაირევი“.

ეს სიტყვები შეეხება რომანს. ახლა წარმოვიდგინოთ სურათი ნასწორები, ნაირევი ლექსისა. ლექსი ერთხელ იწერება. ის ან კარგია ან ცუდი, მორჩა და გათავდა.

ფიჭობ, ლექსის მრავალჯერ გადაკეთება, გადმოკეთება არაფერ სახეირო შედეგს წარმოიტანს, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა პოეტს „ლექსის კეთებას“ მიეჩვევა. ის, რაც ლექსს თან არ დაჰყვად, იმას შემდგომი ოპერაციებით ვეღარ გადავუნერგავთ.

იმ პოეტების უმეტესობა, ვის შემოქმედებასაც ელ დისკუსია ეხება, ახალგაზრდულ პლედანს აღარ მიეუთენება, არც ასაკითა და არც შემოქმედების ხასიათით. ერთი ნიშანი, რაც მათ აერთიანებთ, ალბათ, ისაა, რომ უმეტესობას ჭრჭერობით პირველი წიგნი აქვს გამოცემული. პირველი წიგნი, რა ასაკშიც არ უნდა გამოსცეს პოეტმა, უდაოდ ახალგაზრდულ ემოციების ითავებას, ახალგაზრდობისდროინდელი დუღილის ნიშნებს ატარებს. ეს გარემოება, ფიჭობ, საკმაო არგუმენტია იმისა, რომ პირველი წიგნების ავტორთა შემოქმედება ახალგაზრდულ პოეზიას მივაკუთვნოთ, თუმცა ეს ტერმინი სრულიადაც არ გულისხმობს რაიმე შედეგათა თუ კომპრომისს...

ჭრჭერობით გაურკვეველია რა გზას დაადგებიან ისინი, სამომავლოდ როგორ სახეს მიიღებს მათი შემოქმედება.

ზოგის წიგნში კონვენციური ლექსის პრიორიტეტი ჩანს (შ. არაბული, ვ. ხარჩილავა, დ. მჭედლური, ბ. არაბული, მ. ჩიტიკილი და სხვები), ხოლო ზოგის ლექსებში ვერლიბრისადმი ერთგულება იგრძნობა (ნ. ნეკერიშვილი, კ. არაბული, ბ. დანელია, დ. ბედიანიძე, თ. ბაძაღუა, გ. გიორგობიანი, ი. ჭახუა, გ. სულაკაური, შ. ჭიქია, ო. თურმანაული და სხვები).

უნდა ითქვას, რომ ზოგი მთავანი (ვ. ხარჩილავა, დ. ბედიანიძე, დ. მჭედლური, მ. ქურდიანი, ვ. ხორნაული და სხვები) თანაბარი სიძლიერით ფლობს ვერიბრისაც და კონვენციურ ლექსსაც, ეს ამბავი უდავოდ ამრავალფეროვნებს მათს შემოქმედებას.

აქ უკვე იწყება ფორმათა თანაარსებობისა და ურთიერთგამიღერების ატმოსფერო.

ახალგაზრდა პოეტებზე ფიჭობისას, არ შეიძლება არ მოვიგონოთ ის საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება, რომ ფორმას სათქმელი განაპირობებს, ემოციისა თუ იმპულსის სიძლიერე და ნაირგვარობა განაპირობებს. მოვუსმინოთ ვჟა-ფშაველას:

„წინდაწინვე გამსაღვრა ფორმისა ნამდვილი პოეტისთვის ყოველად შეუძლებელია, ფორმა უნდა მოჰყვეს, თვით ნაგრძნობსა და ნაწარგვს. ნამდვილად ნაგრძნობს საგანსა და ნაწარმოებს თან მოჰყვება ფორმა. როცა კი მწერალი კალამს ხელს მოჰკიდებს და ფორმის წინასწარი ლაზის შედგენას, ძალდატანებას შეუდგება, ნაწარმოების სისუსტის მომასწავებელია“.

ფიჭობ, სადავო აღარაა ის ამბავი, რომ სხვადასხვა სათქმელის ერთი ფორმით გადმოცემა ერთფეროვნების საშიშროებას შექმნის.

ქართული ბოეზია დღეს მოიცავს უამრავ ფორმას, როგორც კონვენციური ლექსის, ისევე ვერლიბრისას.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ვერლიბრის შემადგენლობები ამოუწურავია.

კონვენციური ლექსის წიაღშიც ჭერ კიდევ შეიძლება ახალი ფორმებისა და სიტყვათა კავშირების ძიება. აქ ეთერ თათარაიძის ლექსები უნდა გავიხსენო. ამ ახალგაზრდა პოეტმა ქალმა კონვენციური ლექსის ფორმების სრულიად ახალი ვარიაციები შემოგვთავაზა.

ეთერ თათარაიძის ლექსს თუშური ფარდაგებულება და ჩითბებზე გამოსახული ორნამენტის ფერისა და სიტბოს ანიჭებს თუშური კილო, თუმცა-ღა ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი ენობრივი პოზიცია მკითხველს ხშირად აღიზიანებს ხოლმე.

ეს ტენდენცია ბოლო დროს ახალგაზრდულ პროზაშიც შემჩნევა (გ. ჩახელი და სხვები).

ჩვენს დიდ მწერლობას საშიშროებას ვერ შეუქმნის ერთი ან ორი მწერლის ამგვარი ენობრივი პოეზია. დღე, ეთერ თათარაიძემ თავისი მშვენიერი ლექსები თუშური კილოთი წეროს. ენის ეგზოტიკურ ზვეულებში ჩახედვის მოწადინე მკითხველი აქ ბევრ რამეს ხელჩასაჭიდა და მისთვის საინტერესოს იპოვის.

მაგრამ საფიქრალი სხვადა: ერთ მშვენიერ დღეს ამ ნიჭიერ მწერლებს ხომ შეიძლება რომ სხვემაც მიხამონ. აბა, წარმოვიდგინოთ, ყველა ახალგაზრდა მწერალმა თავისი კუთხის კილოზე რომ დაიწყო წერა — მაშინ ხომ ბაბილონის განწირულ გოდოლს დამსგავსება ქართული ლიტერატურა ამაზე უნდა დაფიქრდნენ. ჩვენი ახალგაზრდა კოლეგები...

ახალგაზრდა პოეტებს საშიშროებას უქმნის გაძრომა-გამოძრომით, კომპრომისებით, თბილი ადგილის ძებნით გატაცება, სიარული „იფი ტაშისციემის გზით, იფი ყვავილებით, იფი რეკლამით“ (გალაკტიონი).

გულწრფელ, უშედავათო შეფასებასაც უნდა მიეჩვიოს ახალგაზრდა პოეტი, რომ მომავალში პანეგირიკული კრიტიკის ნებეირად არ იქცეს და უოველი მართალი სიტყვა ან შეფასება ავადმყოფურად არ აღიქვას. ამ თვალსაზრისითაც დიდად ფასეულია ეს დისკუსია, მისი მართალი პათოსი.

ახალგაზრდა მწერლის ჩამოყალიბებაში დიდი წილი უდევს კრიტიკულ, ესთეტიკურ ლიტერატურას, სხვადასხვა ფასეულ ინფორმაციას.

რა სავალალოა, რომ ხშირად ახალგაზრდობის მისამართით იგზავნება მენტორული დაღაღითა და მანიაკალური წინასწარმეტყველებით სავსე წერილები. ცხადია, ისინი აღიზიანებენ და აბნევენ კიდევ ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას.

თანადგომა, სიტბო და გულშემატკივრობა აკლია ზოგიერთ წერილს არა მარტო უფროსი

კოლეგებისას, არამედ თვით ახალგაზრდა მწერლების ნახელავსაც.

საერთო ლიტერატურული ატმოსფეროში ახალგაზრდა მწერლებსაც თავის გველში შეტყვევებს, თავჯახს უზნევს, აგდებს ანეგირიზმისა და ტრაფარეტის ტყვეობაში.

მახსენდება აწ განსვენებული კრიტიკოსის გურამ ასათიანის წერილი, სადაც რამდენიმე წლის წინ გულისტკივილით წერდა — საგანგებო ზომები უნდა მივიღოთ, რომ ჩვენი ლიტერატურა შაქრის ავადმყოფობას გადაურჩესო.

ამ მოსაზრებას დღესაც არ დაუკარგავს ძალე.

მე მომიჩვენა, რომ თ. დოიაშვილი თავის საინტერესო და უშედავათო წერილში ზედმეტ სიმყაცრეს იჩენს ი. ჭახუას წიგნის შეფასებისას როცა მის „წიგნურობაზე“ წერს. აღბათ, „წიგნურობაში“ ხელოვნური, სხვისგან ნასესხები, მეორეული ემოცია იგულისხმება. ამ ბრალდებას, ჩემი აზრით, მარტო ი. ჭახუა კი არა, შეტნაკლებად თითქმის ყველა ის პოეტი ინაწილებს, ვის შემოქმედებასაც დისკუსია ეხება. მათ პირველ წიგნებში ჭერ კიდევ შეინიშნება სხვადასხვა გავლენების კვალი. ეს აშბავი ბუნებრივად მიმჩნია. ახალგაზრდულ პოეზიას დიდი პოეზიის გავლენა უნდა ეტყოდოდეს. ეს სრულიადიც არაა დასაძრავი რამ.

ჩვენმა საუკუნემ ინფორმაციების ტოტალური შემოტევის ხანაში, მთარგმნელობითი ბუმის დრომ ბევრი უცხოელი პოეტი დაამკვიდრა ქართულ ლიტერატურაში ჩვენი უკვდავი კლასიკოსების გვერდით. მათთან მახლოება უკვალოდ არ ჩაივლის.

ცხადია, მათ შემოქმედებას, მსოფლიო პოეზიის გამოკვლეებას კარგად უნდა იცნობდეს ახალგაზრდა პოეტი, უნდა გაიზინანგოს ის დიდი პოეტური სამყარო. მხოლოდ ამ გზით დაადწევს თავს „უცხოურსა“ და „შინაურ“ გავლენებს.


გავლენას თავს ვერავინ დაადწევს და ეს აშბავი შემოქმედების გარეგანზე ჩვეულებრივი მოვლენაა. გავლენას პლაგიატთან ნუ გავიფიქვებთ.

ახალგაზრდა პოეტების ლექსებში საკმაოდანასხვისიანი განწყობილებები, ნასხვისიანი ფრაზეოლოგია. ჩემი აზრით, ეს ფაქტი ლაფსუსის რანგში უნდა განვიხილოთ, მაგრამ ლაფსუსი მკითხველამდე არ უნდა აღწევდეს, ვერ უნდა გააღწიოს ავტორის, წიგნის შემდგენლისა თუ რედაქტორის „კარანტინში“.

ლაფსუსი ლაფსუსია, მაგრამ როცა აშკარად მიმბაძველობასთან გვაქვს საქმე, უკვე აღარ ივარგებს ლოიალური წაყრუება და დუმილი.

ჯარჯი ფხოველი

„მთლად მე მესაუბრის ჰვეყანა“



ნაღვლიანად წერს გ. აღმაშენებელი მიმბაველთა არმიას, რომელთა ხელში ყოველი სი-ახლე უმაღლესად იქცევა ხოლმე.

თავი და თავი ისაა, რომ პლაგიატური ლექსი არ უნდა დაისტამბოს, მკითხველამდე არ უნდა მიაღწიოს. ამ საქმის გადაწყვეტა კი მხოლოდ და მხოლოდ რედაქციების პროფესიონალ მუშაკებს შეუძლიათ. აქ კრიტიკის ნაგვანევი რე-აქცია ველარაფერს შეეცვლის. მას მხოლოდ მხილება შეუძლია...

როგორც მთლიან ქართულ პოეზიას, ისევე ახალგაზრდულ პოეზიასაც აქვს მკითხველის პაროლემბა.

სამწუხაროა, რომ ჩვენი მკითხველი, თვით უაღრესად პროფესიული მკითხველიც კი, ლექსში აზრს დაეძებს. ხშირად გაიგონებთ, ვერ გავიგე, აზრი ვერ გავოცტანეო...

აღბათ, ამგვარი მკითხველის სიმრავლეა იმის მიზეზი, ახალგაზრდული პოეზია უაღრესად რაციონალური რომაა, მედიტაციური ნაკადი რომ მძლავრობს მასში. პოეტი აზრის გადმოცემასა ლამობს, ხოლო ემოციის, გრძნობის ანარქიული თვალსა და ხელს შუა ქრება. აქედანვე იღებს სათავეს ლექსის მრავალსიტყვაობა, შეტაფორული შაბლონი და ა. შ.

ქართულ მწერლობაში იგრძნობა ტექნოკრატიზმისადმი, ტექნოლოგიური დროის მანკიერებებისადმი დაპირისპირების ტენდენცია. სამწუხაროდ, ზოგიერთმა ვინმემ ეს ამბავი ქალაქისადმი დაპირისპირებად აღიქვა. ეს რომ არაა სწორი, მართებულად აღინიშნა კიდევაც დისკუსიის მონაწილეთა წერილებში.

ჩემი აზრით, ზოგიერთი პოეტის პასტორალურ ნოსტალგიას არაფერი საერთო არა აქვს ამ ტენდენციასთან, რადგან ის, ვინც ტექნოლოგიური ცივილიზაციის უკუღმართობებს უღრმავდება და უპირისპირდება, უდავოდ იმასაც ხედავს, რომ ამ მანკიერებების კვალი მარტო ქალაქის ურბანისტულ ყოფას არა სდევს. ეს მოვლენა გლობალური და ყოვლისმომცველია; მის იერიშს, სამწუხაროდ, ვერც სოფელი გადაურჩა.

პოეტების ერთი ნაწილის ილუზიური მცდელობა ქალაქიდან გაქცევისა სრულიადაც არაა ახალი სიტუაციის შესაბამისი რეაქცია. ეს ამბავი, როგორც ვთქვი, ძველისძველი ნოსტალგიის გამოძახილია და თავისი კამერულობის გამო კნინია.

სახაცილოა ნოსტალგიური გაშმაგება ქალაქში მცხოვრები პოეტისა გარეუბანში მდებარე სახლის გამო. ეს მხოლოდ მიუღწევლობის ილუზიაა, ყალბი ცრემლის ღვრაა და მეთი არაფერი...

ახალგაზრდა პოეტი, როცა უფროსი კოლე-

გების მხარდაჭერას, მათ თბილ დაჭოყილებულებას არა გრძნობს, ხშირად გულგატეხილობის მსხვერპლი ხდება, გაურბის მთელს რედაქციონალს, ნაცად გზას ადგება, რითაც თითქმის კოლეგებს აღარ აღიზიანებს, მაგრამ მკითხველს უდავოდ იმედგაცრუებულსა ტოვებს.

აღნიშვნის ღირსია ის ამბავი, რომ მიხეილ ქურდიანის ექსპერიმენტული ლექსების წიგნის „ქრონიკას“ რედაქტორობის მსვლელობის დროს გრიგოლ აბაშიძემ ამგვარი მხარდაჭერა არ ღირსებიათ წინა თაობის პოეტებს... მათ ხომ ძირითადად ებრძოდნენ უფროსი თაობის კოლეგები პრესაში, ლიტერატურის კულისებში და ა. შ.

მიხეილ ქურდიანის პირველ წიგნს ატყვია შეუენელებელი ძიების კვალი. იგრძნობა ორი უკიდურესობა: ზოგიერთ ლექსში პოეტი რითმისა და რიტმის უნაგლიორობით აღწევს ეფექტს, ხოლო ზოგიერთ ლექსში — პროზასთან მიახლოებული ფორმით. ერთიცა და მეორეც თავისთავად საინტერესოა, რადგან ემჩნევა, რომ ისინი ინტენსიური ძიების პროცესში დაიბადნენ. საილუსტრაციოდ მოვიტან ორ ნაწყვეტს:

ჩემი ტანი
 ებრძვის რუტინას...
 თეატრის კარებს
 მღუმარ პარტურს
 ტრომბონებს
 არფებს
 კენტავრი ამტვრევს
 ძველ რიტმებში ის ვერ ეტყევა...


და კიდევ:
 ერთდღიანი პეპლები
 ბუნების გაზეთებია
 მეორე დღისთვის კარგავენ მნიშვნელობას
 დააქვთ ჭრელ-ჭრელი ამბები
 სენსაციები
 და შეხებინას

სტამბის ფერადი საღებავი გრჩება თითებზე...

უნდა ითქვას, რომ შიდა რითმებით მუსიკალური ეფექტის შექმნის ცდა ახალი არაა. ამ ხერხის მოშველიებით ბევრი ლექსია შექმნილი ჩვენს პოეზიაში... მიხეილ ქურდიანმა უნდა დასძლიოს ეს გატაცება და რაც მალე დასძლევს მით უკეთესი იქნება...

დისკუსიის მსვლელობისას არაფერი თქმულა კონსტანტინე ამირიძის პირველ წიგნზე. ამ წიგნს ნიჭიერი ავტორის გულმოდგინება და პროფესიონალიზმი ემჩნევა.

ნუ გეშინია, მე თუ ვერ მოვალ, მოვა ვილაცა ხვალ ან ახლავე, კვირთხს დაჰკრავს კლდეს და უიმედობას,



დააცვრიანებს მთებს და ნახნავებს.
 ნუ გეშინია, თუ არცინ მოვა —
 ცის პორიზონტი ჭერ კიდეც ლუის...
 ამდენი ტაში, ამდენი გლოვა,
 ერთი ტირის და ათასი ტუყის.
 იდექ, უყურე, ნუ გეშინია,
 ვერვინ დაადებს შენს მზერას ბოქლომს,
 ფეხქვეშ გიწევიარ, როგორც ფინია,
 რომ სიკვილიამდე ეს ჭაჭვი ვლოკო...

მზერა უტყუარი მოწმეა, გულისთვალს ბოქ-
 ლომს ვერავინ დაადებს და მოთმინებაც იმის
 გარანტიაა, რომ ლოკვით ბოლოსდაბოლოს გა-
 ილევა ჭაჭვი.

ბევრი რამ ილანდება და კამკამებს ახალგაზ-
 რდა პოეტების თვალსაწიერზე. ჭერჭერობით
 მათ მზერას, მათ სწრაფეებს, მართლაც, არ
 „ადევს ბოქლომი“.

მე მეჩვენება, რომ ზოგიერთი მათგანის შე-
 მოქმედება ტოვებს კამერულ ნაჭუჭს და უფ-
 რო დიდი, საყოველთაო ტკივილით იტვირთე-
 ბა. მოვიხმობ ნაილი ნეკერიშვილის ორ ლექსს,
 სულ ახლახანს რომ დაიბეჭდა ურნალ „ცის-
 კარში“.

ყველა ბრძენია, ბრძენობიანს თამაშობს
 სიტყვას და საქმეს საძრომელი გაუჩნდა
 ხერხელი,
 საოცრებათა ქვეყანაში გონია თავი,
 ამ კაცს კაცისგან
 თვით ეშმაკიც ვერ გამოარჩევს,
 ძნელდება ყოფა, მშვენიერი სიცოცხლე
 მიღის...

ანდა კიდეც:
 ჩუმად ვტირივარ სიყვარულზე,
 რომელიც ქალაქს გამოეცალა
 და საზეიმი ღიმილად იქცა,
 გაპქრა სიმშვიდე, თავმიდრეკა და მიტევება
 სიყოჩაღისგან და მეტისმეტი სიამაყისგან
 ლამის არის, ერთმანეთი კიდეც დაკვიბით
 ასე მცირე გადასარბენზე.
 მწარე სათქმელს ამბობს პოეტი ქალი, ნაღ-

ვლიან სურათსა ხატავს, გთავაზობს საუკუნის
 გრანდიოზული პანორამის დამახასიათებელ
 ფრაგმენტებს. რეალიზმის ერთგულნიცაა სამს-
 მოითხოვს. ეს ლექსები ახლებურად არ გვიც-
 ხადებენ სათქმელს, მაგრამ სიმართლის მძაფრი
 პათოსი კი ახლავთ და ეს ამბავი ცოტა არაა...

ამ დისკუსიას ნაკლიცა აქვს, რადგან ამომ-
 წურავად არ დახასიათებულა, არ შეფასებულა
 რომელიმე ახალგაზრდა პოეტის შემოქმედება,
 თუმცა მთავარი ტენდენცია ნათლად გამოიკ-
 ვეთა.

ის დროც დადგება, როცა ამ პოეტების
 ზრდისა და დაოსტატების კვალობაზე, კრიტიკა
 უფრო ამომწურავ სიტყვას იტყვის.

ერთი რამ ცხადია, რომ ასეთი ფართო, ხან-
 გრძლივი მსჭელომა ახალგაზრდობაზე ჩვენი
 ლიტერატურისთვის იშვიათი მოვლენაა. ვნა-
 ხობთ, სამომავლოდ ეს უურადლება და თანად-
 გომა როგორც კვალს დაჩნევს პირველი წიგნე-
 ბის ავტორებს, მათს შემოქმედებას.

ჩვენი უმცროსი კოლეგების მისამართით კი-
 დევ ერთი რამ უნდა ვთქვა: კრიტიკის ამ შეუ-
 ნელმებელმა უურადლებამ ისინი არ უნდა გაა-
 ყოყონოს, თავმოწონებაში არ უნდა ჩაძიროს.
 მათ ჭერ კიდეც ბევრი ოვლისღვრა და მტან-
 ჭველი წამის გადატანა სჭირდებათ საკუთარი
 გამორჩეული ხმის დასადგენად.

ყოველი ლიტერატურული წერილი პროფე-
 სიონალი მკითხველის აზრსა, რასაც უზიარებს
 თავის კოლეგებს — დანარჩენ მკითხველებს.
 ამიტომაც არაა გამორიცხული აზრთა სხვადა-
 სხვაობა. ახალგაზრდა პოეტი ამ ამბავში არ უნ-
 და დააბნოს. ლიტერატურის მიმდინარე პრო-
 ცესებს ხომ მრავალი გაუგებრობა, მრავალი
 ლექი და ქვიშა ახლავს.

დრო ყველაფერს დაქმენდს და დრო იმის
 მხარეს აღმოჩნდება, ვინც დროისა და მიწის
 ბუნებითი ხმის მოყურადე, ჩვენი წინაპრების
 მიერ დამკვიდრებული სიყვარულის უკვდავ
 პრინციპებს მისდევს და ერთგულად ემსახურება.

დავით მჭედლოური

„სამყაროს აღწერს, ვინც თავის თავს აღწერს სრულყოფით“

ჩვენ საუბარი წამოვიწყეთ კონკრეტული
 თაობის შემოქმედებით პრინციპებზე, მათსადა-
 მე ვგულისხმობთ, რომ საქმე გვაქვს ლიტერა-
 ტურულ ფაქტთან, რომელიც დისკუსიის წე-
 სით განიჯა-განხილვას საჭიროებს.

გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი.
 არის ერთგვარი ვნებათაღელვა.
 რაღაც გაირკვა.
 რაღაც თავის ადგილზე დადგა.
 იქნებ ამ წერილებს შეცდომებიც ახლდეს,



მაგრამ ამან არ უნდა გაგვაკვიროს, მით უფრო, არ უნდა აღგვაშფოთოს, კრიტიკა პირველშეკვეთების როლშია, დახლართული და უჯალი გზით მიდის ახალ სამყაროსაკენ, სადაც ჭერ კიდევ აქტიური წარმოქმნის პროცესები მიმდინარეობს, თვალსაწიერი სწრაფად იცვლება.

ვფიქრობ, მართებულიად მოიქცა თეიმურაზ დოიაშვილი, როცა პოზიციების დადგენა სცადა და ორიენტაცია აიღო რამდენიმე ძირითად პრობლემაზე, რომლებიც უფრო გამოკვეთილად იგრობა ახალთაობის შემოქმედებაში.

პოზიციაში კონკრეტული აზრი დევს, ამ შემთხვევაში იმ გზის მონახაზი იგულისხმება, რომელიც ახალგაზრდა შემოქმედმა მომავალში უნდა გაიაროს.

დისკუსიის ერთ-ერთი მთავარი მიზანიც ხომ ეს არის: „გზის დასაწყისშივე შეისწავლოს მათი შემოქმედება, ის სიახლეები, რაც მოაქვს ახალგაზრდას, ინტერესები, რაც მათ ნაწარმოებებში გამოსვკვივის, პრობლემები რაც მათ აღელვებს“.

თუ კი ეს უვლავფრო ბელშესახებია, მაშინ ნაადრევი არ უნდა იყოს პოზიციებზე მსჯელობა, თუმცა პირველი წიგნებისა და პირველი ნაბიჯების მიხედვით, ვფიქრობ, მხოლოდ ზოგად, საერთო პოზიციებზე მსჯელობა იქნება მიზანშეწონილი.

პოეზია სამყაროსადმი პოეტის ინდივიდუალური მიმართებაა. სამყარო ნახში, მის პიროვნულ „მე“-ში არსებობს და „საზომად მხოლოდ თავისი თავი აქვს“. როგორც ბესიკ ხარანაული ამბობს ერთ ლექსში.

პოეტისეული სამყარო დიფერენცირებულია საგნებად, ადამიანებად, სოციალურ გარემოდ, სახელმწიფოდ, დედამწიად, კოსმოსად... თითოეულ ამ ცნებაში უზარმაზარი შინაარსია, რომლის ამოკითხვისათვის შრომაში მიდის პოეტის მთელი სიცოცხლე.

ჩვენი პოეზია იმ დროითაა განსაზღვრული, რომელშიც ვცხოვრობთ.

რა პრობლემები აძლევენ ტონს ჩვენს დროს? რით განისაზღვრება საუკუნის უკანასკნელი ოცწლეულის ხასიათი?

როგორ იჭრება დროის სახე და ხასიათი ახალგაზრდა ქართველი პოეტების შემოქმედებაში?

მოკლედ და ზოგადად ამაზე შექნება საუბარი.

80-იანი წლების ლიტერატურულ თაობას ბედმა არგუნა „ნოვაციების“ ხანიდან არც თუ ისე შორს მოგხინჯა ნიადაგი, სადაც უველა მტკაველი თითქმის უკვე ბარდაკრული და შესწავლილია.

დღეს სიახლას რევოლუციური გზით შემოქრავ არ არის მოხალოდენლი; მარტოდენ ხან-

გრძლივი მტკამორფოზით თუ გამოიკვეთება ახალი და საყურადღებო რამ, ნოლო ეკოლოციის პროცესს უველა წარმატებით ვეგაგვივლის, მომავალი თასწლეულის ზღურბლს მხოლოდ რამდენიმე პოეტი გადააბიჯებს თამამად, სხვები ეპიგონების უსახურ ლაშქარს შეერთვიან. ბუნებამ ეს უღმობელი პროცესი თავისი გაჩენის პირველი დღიდანვე დააკანონა და მას მეციხერები ბუნებრივ შერჩევას უწოდებენ.

ახალგაზრდაობის შემოქმედებაში ალბათ ის მძლავრი ტენდენციები უნდა ვეძებოთ და გავარკვიოთ, რომლებიც უკავშირდებიან ზოგად ლიტერატურულ კანონზომიერებებს, თორემ უამისოდ, ცალკეულ სტრიქონებზე მსჯელობას რა აზრი უნდა ჰქონდეს.


არსებობს ლიტერატურის ერთი დიდი, დიგისტრალური გზა, რომელიც კაცობრიობის სოციალური და ეკონომიური განვითარების, მისი ისტორიისა და თანამედროვეობის, მისი კულტურის უღრმეს ფენებში გაივლის და ამ ფენების მხატვრულ სახეებს ადამიანთა გრძნობისმიერ სამსჯავროზე გამოიტანს. ამ გზაზე გარდუვალა ძიება და ექსპერიმენტები, ხელმოცარვა და გამარჯვებაც გვერდივერდ სახლობენ, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყუდეს, რომ ყოველივე ამის უკან ჩვენი „საგვარეულო სახლია“ სადაც ოდესმე აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ, და პატივი მივაგოთ იმას, ვინც ოდესღაც სამყაროში გვა დაგვილოცა, ამიტომ თვითმზინური ხეტიალი ეგებ ზოგჯერ საბედისწეროც გამოდგეს, დედის წინ მოსბენალი კვიცისა არ იყოს. ტექნიკური ექსპერიმენტები ლაბორატორიაში ტარდება და ხშირად — ძალზე საიდუმლოდ, კარგი იქნებოდა ეს მეთოდი პოეზიაშიც დაგვერგა. ამას ჩვენი ახალგაზრდა ავტორების ზოგი ლექსი მავფიქრბუნებს.

ჩვენ მხოლოდ წინა თაობის მიერ დაგროვილი გამოცდილების შესწავლა-ათვისებით, ტრადიციისადმი პოზიტიური მიდგომით და სიახლის იმ ტენდენციების განვითარებით შეგვიძლია ვიფიქროთ მომავალზე, 80-იან წლებში რომ გამოიკვეთა.

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს: ჩვენზე დიდ გავლენას გალატიონი უფრო ახდენს, ვიდრე მომდევნო თაობის რომელიმე პოეტი, სხვა საკითხია, რომ ამ თაობის საუკეთესო პოეტების ესთეტიკური და ნოვატორული პრინციპები მისაღებია.

XX საუკუნის 80-იან წლებს თავისი სახე და ხასიათი აქვს, ამას შეიძლება პირობითად ვუწოდოთ სტრესგენიზმი — საყოველთაო დაძაბულობა და ამ ნიშნების სიჭარბე ადამიანთა ფსიქიკაში, მათს სულიერ წყობაში.

და ვინც უკეთესად ასახავს ყოველივე ამას, მომავალში უკეთეს პოეტად, ცხადია, მას ჩათვლიან. ეს კაცი კი შეიძლება სულ ჩუმად მუ-



შეკობდეს, არც ფორმისეული ექსპერიმენტებით გამოირჩეოდეს, არც ახირებულ მანიფესტებს წერდეს, რადგან ექსპერიმენტი ჯერ კიდევ არ არის ღირებული, ხოლო მანიფესტიდან საქმემდე დიდი მანძილი დევს.

სიურმე-სიკაბუკის წმინება ყოველ ადამიანს მოუცილებლად დაჰყვება თან. პოეტები სხვათაგან განსხვავებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, მათ შეუძლიათ საჭაროდ გამოიტანონ ეს გრძნობა და ამისათვის ნუ გავციხავთ, თუ კი სხვა სატიკვარიც აწუხებთ.

საკვლისბოძა თ. დოიაშვილის შენიშვნა:
„ვისაც ამ პრობლემის დამუშავება სურს, დიალექტიკურად უნდა აღიქვას წინააღმდეგობა ბუნებასა და ტექნიკურ პროგრესს შორის და ამ უკანასკნელის როგორც აუცილებლობის, ღრმა შეგნებამდე მივიღო“.

ქეშმარიტად! ქალაქთან დანახისხლად გადამტერება რა საკადრისია, მაგრამ არსებობს ნეორე მხარეც — წინააღმდეგობა სწორედ იმ აუცილებლობაშია, რომელიც თანამედროვე ქალაქს, ანუ ცხოვრების ურბანიზებულ წესს ახლავს.

ქალაქური ცხოვრების წესი ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებითაა წარმოქმნილი, ამრიგად იგი გარკვეული აუცილებლობა და ამ აუცილებლობის მკაცრი კანონით არის მოწესრიგებული ქალაქის მკვიდრთა ცხოვრება და ამ აუცილებლობას ვერ ურიგდება პოეზია თავისი თავისუფლებისმოყვარე ბუნების გამო.

სოფელი ადამიანთა ბუნებრივი ერთიანობის ფორმაა, რომელიც ემყარება მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას, ტრადიციებს, ადამიანურ ურთიერთობათა ნაცად საშუალებებს, აქ ადამიანი უფრო ახლოსაა ცხოვრების იმ წესთან, როგორცაც მრავალი ათასწლეულის განმავლობაში ცხოვრობდა.

ლიტერატურის წარსული და თანამედროვე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც კი რამ ღირებული შექმნილა, უმეტესობა მშობლიური გარემოს, სიურმისა და სიკაბუკის შთაბეჭდილებებით არის გასხვავდებული.

აქ მთავარია მოვლენების წვდომა. არიან პოეტები, რომლებიც ამას დიდებულად ახერხებენ; ბევრი კარგად წერს, კიდევ უფრო მეტი — საშუალოდ, ხოლო უმრავლესობა — მომბეზრებლად, თუმცა ყველას ერთი კეთილი სურვილი გვაქვია — გვინდა კარგი ლექსები ვწეროთ.

პოეზია, სხვა ათას რამესთან ერთად, ალბათ, საზოგადოების ფსიქიკის განჭვრეტაცაა ეპოქათა ტრადიცი. ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ იმაზე, რა იქნება მომავალში. პარადოქსია, მაგრამ ადამიანთა შეგნება დღეს თითქოს კრიზისის განიცდის. უცხო და საშიში მეტასტაზები კატასტრო-

ფისაყენ მიჰქროლებენ დედამისის მკვიდრთა და ამ მეტასტაზებისაგან განთავისუფლება იქნება ძალზე ნტიკვენიულიც იყო, ღირსდ შენატი ათასწლეულში ეს ყველაფერი, უნდა ყველაფერი, ასე აღარ იქნება, მათსადამე შეიცვლება ადამიანთა ფსიქიკა, მათი წნეობა და ესთეტიკა. იმ თაობის ადამიანებმა ჩვენგან შემკვიდრებით რამე სულიერი ფაქეულობა უნდა მიიღონ.

პოეტმა ამაზეც უნდა იფიქროს.

თავს ვერ ვიღებ პასუხისმგებლობას, რომელიმე ჩემი თანატოლის ლიტერატურული მომავალი განვსაზღვრო, მაგრამ მინდა თანამედროვე მოვლენების ანარეკლი დავებნო ახალგაზრდა პოეტების ლექსებში, მაგრამ ნურავინ იფიქრებს თითქოს ამას წინასწარაკვიატებულნი დოდეკის მისხედვით ვაკეთებდი, პირიქით, რაც შემთხვევით ვთქვი, ამ ლექსების გააზრება შეუძლებელია.

საქმი კი არც ისე საგანგაშოა, როგორც რომ ჰგონია, პოეტების ახალთაობას იგივე ნაკლებ აქვთ, რაც წინა თაობებს ჰქონდა, აქაც რამდენიმე კაცი მიღის სწორი გზით, იცის რას აკეთებს, კატომ აკეთებს და როგორ უნდა აკეთოს, სხვანი ხელისციცეებით დაიარებიან, და შემთხვევით ხელში მოხვედრილი სტრქონითა თუ მეტაფორით ცდილობენ ფონს გასვლას. კანონზომიერება არ დარღვეულა, ეჭვი არ მეპარება, იგივე ხდებოდა რუსთაველის დროსაც და ის შემთხვევითი ხალხი მაშინაც არ სჭერდებოდა მაინცა და მაინც უკანა სკამზე ჯდომას. სხვათაგან რამ უფილიყო, გენიოსის ღვთაებრივ ბაგებს არ დასცდებოდა:

განაღა თქვას ერთი ორი, უმსგავსო და
შორი-შორი,
მაინც იტყვის ჩემი სჯობსო, უცილობლობს
ვითა ჯორი.

მე სულაც არ მაშინებს ის, რომ ვიღაც ცუდ ლექსებს წერს, უფრო საშიში მგონია ის ტენდენცია, რომ ახალგაზრდადული პოეზია მასიურად მოსწედა საზოგადოებრივ ცხოვრებას, გაწედა ის ძაფები რომლითაც პოეზია ტრადიციულად იყო დაკავშირებული ხალხთან და პოეტი თითქოს აბრეშუმის პარკში აღმოჩნდა გამოკეტილი. ეს პარკი ემოციას მოკლებული ინტელექტუალიზმით, განუცდელი და გაუაზრებელი პეიზაჟებით, უცხოური მოდელებითა და ანტიკური ფილოსოფოსების ნააზრევთა პერიფრაზებით არის შექერილი.

აი, ერთი ახალგაზრდა კაცის მეტაფორა,
„ისე იწყოდა სვეტიცხოველი, როგორც ხბოს

დავით მხედველი
„სამსარკის ალწირს მინც თაჰისთაჰს
ალწირს სრულყოფით“



ტუაწე ბზოს შუბლის ძვალი“ (რ. ამონაშვილი).

მეორე, ჩემი აზრით ნიჭიერი და განათლებული ლიტერატორი ამგვარად წერს:

წყნარი ქარი დაჰქრის,
დახრის ატამს,
ატანს სურნელს
განუკურნელ სევდას
ხელავ დახრის
დალილ სხეულს,
მოგაწონებს,
მოგაწოდებს
მარჯნად რხეულ ატამს,
ნელა დღეავს
ოულა.

ელავს შინდი
ბინდი ტყეში
სიჩუმეში ჩასთვლემს და სხვა.
(მ. ქურდიანი)

ზოგი რამ მომეწონა ბათუ დანდიას ლექსში „დილა“, მაგრამ არ მომეწონა პოეტის პოეზია, დადგრემილ მოქალაქეებს რომ მოუწოდებს გამხიარულდითო. რბილად რომ ვთქვათ, ძალზე უბერხულია მოქალაქეებს შენიშვნა მივცეთ: — რა თავპირი ჩამოგტირითო. თანამედროვე ადამიანს ათასი საფიქრალი აქვს და ეს უკვლავადრე პოეტმა უნდა იგრძნოს, არა და, ავტორი ფრიალ უკადრის სიტყვებს აფრქვევს: „თქვე კაი ხალხო სად იხედებოთ“, „თვის აწვევა რად გეზარებათ“, „ნაცნობს არ უნდა მიესალმოთ“, ეს დანისლული სიფათები ვინ მოგაშავათ“, „თქვენ რა გგონიათ, მე წუხების ტკბილად მეძინა“. ნაფიცო მეგობრის მომედურებასაც აღარ უნდა მტო, არა და პოეტი მთელ ქალაქს ელაპარაკება.

ექსპერიმენტებმა „შინაგანი აფეთქების“ საფრთხე შექმნის. იმას როდეს ვქადაგებ, რომ პრიმიტიულ ხაწუხებს მივუბრუნდეთ, ან პოეტის განვითარება ერთ დონეზე გავყინოთ, მაგრამ უფველგვარი ნოვატორული ძიების აზრი განა ის არ არის, რომ ლიტერატურამ კიდევ უფრო ცხოველმყოფელი გავლენა იქონიოს ადამიანებზე. ლიტერატურული ექსპერიმენტი განა უკვე მიღწეულის განვითარების ცდას არ გულისხმობს, ჩვენთან კი რა ხდება? — ექსპერიმენტს გვთავაზობს პოეტი, რომელსაც ორი სტრიქონის გარითმვა არ ენარჩვევა წესიერად, ქართული ლექსის ვერსიფიკაციული საგანძურის მიტირეღენი ნაწილიც არ შეუთვისებია და პირდაპირ ვერლიბრის ურთულეს ფორმას მიმართავს, ეს ხომ იმას ჰგავს, კაცი ხის მოსაჭრელად წავიდეს და ცული თან არ წაიღოს, წინა თაობების გამოცდილება უტუპური იარაღია და მხოლოდ და მხოლოდ ამით შეიძლება წინ გზის გაყოფა. ხოლო სადაც ეს კანონზომიერება ირღვევა, იწყება ფსევდოპოეზია — გზა „აბრეშუმის პარკისავენ“.

მეორე უკიდურესობაც არსებობს — ჩვენი

კოლექციის ერთი ჯგუფი, რომელსაც მთავარ პეოტორი ედერადობის ნაწარმები შედგენს. მათგან უზარადად, იმგვარ უსუსურ დითორამბებს წერს, თითქოს ვლადიმერ მაიაკოვსკი საერთოდ არ ყოფილიყოს ამქვეყნად.

დროისიერი მოვლენების მტივირული აღქმით შემერთალი და გულგატეხილი ადამიანია ვახტანგ ხარჩილავას ამ ლექსის ლირიკული გმირი, რომელსაც არ შეუძლია რაიმე შესცვალოს და გადაასხვადფეროს, ამიტომ მან პასიური მჭვრეტელის პოზიციაზე გადაინაცვლა, დაკარგა საზოგადოებრივი, სოციალური ფუნქცია:

მე განზე გავდემ და გულგრილად შევკურებ
ჩემს თავს

და ჩემს ცხოვრებას,
მე არაფერში არ ვერევი.
ზე მჭვრეტელი ვარ.

საითაც უნდა იქით იცუროს,
რომელ ნაპირზეც მოუნდება იქ
გადმოვიდეს,
მე ჩემთვისა ვარ და გალავანს ვიშენებ
ირგვლავ.

ხოლო იმავე პოეტის მეორე ლექსში ლირიკული გმირი თავის კალბე პოზიციის მოჩვენებითი კეთილდღეობის წინააღმდეგაა ამხედრებული, რადგან თავად ტიკვილებით სავსე და კირის მალვა ტრაგედიალ ჰქცევა:

გაშრა ქეყანა, იქნებ იწვიმოს
კრემლებად, დარღმა შენ რომ ითმინე,
ამათვის სანამ უნდა იცინო
როდესაც გული ჩუმაღ ქვითინებს.

შეუცნობელი მომავლის შიშითაა აღბეჭდილი ეს სტრიქონები.

უცხო ზმანებანი, ცივი ზმანებანი
ჩამიდგა სულში
და ჩემი ძველი, მხნე სიმღერის
სანაცვლოდ შემრჩა.

(ნ. ნეკერიშვილი)

მთებზე კი აკლდამების ნაცვლად
რალიკული აკლამები ჰყვავიან

(ქ. არაბული)

ღრუბლებში შეკურდა საღამო და ვგრძნობ
ჩემი სული ფეხება შიშით, როგორც ნესტიანი
სარდაფი წყლით, ჩვეულებრივი დღეების ხმაური
მიედინება ხერხემალში როკავს ნერვებზე,
წვეტიანი და ბასრი ქუსლებით ვით შემოილი
გლადიატორი.

(თ. ბაძაღვა)

ადამიანის სულიერი დეფორმაცია, რომელიც თითქოს თავის თავს აღარ ეკუთვნის და რაღაც უცხო ნებას ემორჩილება, ხშირად იკითხება ახალგაზრდა პოეტების ლექსებში. ვახტანგ ხარჩილავა პირდაპირ ამბობს. „ის დრო არაა, რაც იყო წინათ“.

მე დამასახლეს ქარიან დროში და ამომივსეს
თვალეში ქვიშით, შორს იღწება ტყეების



ჩონჩხი ხერხემალი და ნეკნები ფიჩხის, ნუ
მელოდები ამ კვირას, ამ თვეს, ის დრო არაა,
რაც იყო წინათ...

...წვევართ მძინარნი, ზოგჯერ ავ სიზმრებს
ვხედავთ

და ფერმიხდილი ვიღვიძებთ,
მღვიძართ თავისი უმწეობა გვაშფოთებს
და გული გვტყევა.

(კ. არაბული)

„შენ ჭალათებსაც კი უყვარდი“ ეუბნება
სამშობლოს ვაჟა ხორნაული, ხოლო კობა არა-
ბული უფრო სახიერად აცხადებს:

მე ნისი ძმა ვარ, მუხრანის ველზე რომ
ბებერი ხეა

და ეს ტრამალი ქართლისა ყვითელი
ფიქრია ჩემი.

სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ახალთა-
ობის პოეტი დღესაც გულწრფელად იმეორებს
„სამყართა ყველა სმებისაგან გამორჩევით
მესმის შენი ხმა“ (ნ. ნეკერიშვილი).

პოეტის ბსოვნას ასევე მტკიცეულად შე-
მორჩება სიყრმის ზმანებანი, რომელიც ყოვე-
ლივე იმის ფონზე, რაც მის გარშემო ხდება,
ძალზე ახლოა იდეალურთან, თუმცა აღარას-
დროს მობრუნდება, იგი უკვე შორეული ნავსა-
ყუდელია, რომელიც ჩვენმა ცხოვრებამ საშუ-
ღამოდ დატოვა:

რომელ მხარეში, რომელ აღმართზე
ან რომელი ოკეანის სანაპიროზე,
რომელ ქანს მიაქვს ჩემი ბავშვობა
სამოთხის ველზე შეკონილი თაიგულივით.

(ვ. ხორნაული)

იქნებ მარტოდენ ჩემი ბავშვობის
სარკოფაგი ვარ,
უსასღვრო ჭმუნვით შემოღრღნილი და
გამობრული,
ან კოცონი ვარ

ზარადილ ზემისთვის რომ ავიზივს
და უცაბედლად კოკისპირული
ტრემლისღერის მსხვერპლი ვიქცევი
(ი. ჭახუა)

მომზობილი ციტატები უმცირესი და მხო-
ლოდ საორიენტაციო ნაწილია იმისა, რაც ნე-
კერი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში
მოიპოვება, რაც მტკიცეულად ეხმიანება ჩვენს
დროს, ჩვენი დროის პრობლემებს და, მათსა-
ღამე, ჩვენი დროის ადამიანის სულიერ განწყო-
ბილებებს.

სიტყვის შემოკლება მმართველს და იძულებ-
ბული ვარ მხოლოდდა დავახსნელო ის პოეტე-
ბი, ვისთანაც ამგვარი სტრიქონები და განწყო-
ბილებები უზვად მეგულდება: ბალათერ არაბუ-
ლი, მანანა ჩიტეშვილი, დალილა ბედიანიძე,
ზაურ მოლაშხია, გიგი სულაყაური, პაატა ნაც-
ვლიშვილი, ნუგზარ კობერიძე, ბორენა ჭაჭ-
ვლიანი, ბათუ დანელია... ამ სიის გაგრძელება
კიდევ შეიძლება.

მომავალს იმედიანად უნდა ვუთხურობდეთ.
დღეს საქართველოში არიან ნიქიერი ახალგაზ-
რდა პოეტები და რამდენად მნიშვნელოვანი
იქნება მათი შემოქმედება მშობლიური მწერ-
ლობისათვის, ეს მხოლოდ მათზეა დამოკიდე-
ბული, რადგან ბუნებით ნაბოძები ნიქი დიდი
შენობის მარტოდენ მყარი საძირკველია, ხოლო
თავად შენობა მოთმინებით, ოფლის ღვრით,
უძილო ღამეებით და სულიერი ტანჯვა-წამე-
ბით იგება, თანაც ამ შენობას თანამედროვე
ფასადი სჭირდება, თუ გვინდა რომ მის წინ
მომავლის მოქალაქენი წუთით მაინც შეჩერ-
დნენ.

ჩვენს ნაღვაწს მძიმე გამოცდა ელის — მას
თავისი ღირსებების წარმოჩენა ორი ათასწლე-
ულის შესაყართან მოუწევს.

ემენ დაგითაძე

ჩვენს თქვენთან პართ...

ლიტერატურაში ახალი სახელის გამოჩენა ყო-
ველთვის იწვევს აზრთა და შეხედულებათა
ხსენადახვარებას. ახალგაზრდა შემოქმედთ ლი-
ტერატურაში მოხვლისთანავე ერთი საერთო
თვისება ახასიათებთ: მხოლოდ ის გზა ჰგონიათ
ჭეშმარიტი და ერთადერთი, რომელსაც თვითონ
აღვანან. საკუთარი ძალების შეფასებისას თვით-
დაქრებულობა სჭარბობს ობიექტურობას, პი-

რველი წარმატებით გამოწვეული თავბრუდახ-
ვევა ჩრდილავს საკუთარი ნაწარმოებების კრი-
ტიკულად შეფასების უნარს, რაც ხშირად უნა-
ყოფო გარჯის გზაზე აყენებს მათ. სწორედ ამი-
ტომ, დროული და საჭიროა „ნიქის“ მიერ
შემოთავაზებული დისკუსია ოთხმოციანი წლე-
ბის ქართულ პოეზიაში მოსულ ახალ სახელთა
ირგვლივ. ბევრი საყურადღებო აზრია გამოთქ-

მული თ. დოიაშვილის წერილში „აგვისოთ რაც ხარვეზია“ („სიბყარა“ № 1), რომლითაც დისკუსია დაიწყო.

ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის გვარში გაიღვდა დისკუსიის მონაწილეთა წერილებში, მაგრამ მათ შორის ნაკლებად ჩანდნენ პერიფერიის მცხოვრები ახალგაზრდა ავტორები. კაცმა რომ თქვას, არცაა გასაკვირი, დისკუსია იმიტომაც არის დისკუსია, რომ მონაწილეებმა ერთმანეთის აზრი შეავსონ. ამიტომ სათქმელი ააღბათ იმათ დაუტოვეს, ვინც ისევ პერიფერიის ტოვებოდა.

დედაქალაქს მოშორებული ყველა შემოქმედის ბედი ცოტა სხვანაირია, ამიტომ კალმის გაქცევაღ და ნუ ჩამოვთვლება, თუ ჩემი მსჭელობა დისკუსიის თემას ოდნავ დაშორდება. პერიფერიის მწერლებს აკლიათ ყურადღება, აკლიათ ყურადღება ახალგაზრდაებსაც. ჩვენი დედაქალაქელი კრიტიკოსები ნაკლებად იხილავენ მათ პირველ წიგნებს, ნაკლებად ეხმარებიან გზის გაკვლევაში. ქართული ლიტერატურის ავ. კარგზე რომ მსჭელობენ, ნებისთ თუ უნებლიედ ყურადღების გარეშე ტოვებენ პერიფერიის მცხოვრებ ბევრ ნიჭიერ მწერალს. ამას მარტო ჩვენი დისკუსიის მისამართით არ ვამბობ, საერთოდ ფეხმოკიდებულ ჩვევაზე შევინანავ... კრიტიკოსები არ მოიხსენებენ მათს ნაწარმოებებს, თითქოს ისინი ამქვეყნად არც არსებობდნენ. არა და, ბევრი მათგანი უთუოდ იმსახურებს ყურადღებას. ქუთაისში, გორში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში მცხოვრებ მწერლებზე მოგახსენებთ. ყურადღება და ზრუნვა აუღიათ როგორც უფროსი, ისე საშუალო და, მით უფრო, უმცროსი თაობის შემოქმედებს. რესპუბლიკური გამომცემლობები, უფროსად-გაზეთები, ტელევიზია, რადიო ჰერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პერიფერიის მცხოვრებ მწერლებს. ამიტომ ისინი ე. წ. „პერიფერიის მწერლებად“ იწოდებიან.

არც პერიფერიის მცხოვრებთ მართებთ გულხელდაკრეფა და სხვისი შემყურება და ეს უპირველესად ახალგაზრდა მწერლებზე ითქმის. მათი მწერლური მომავალი მოითხოვს თვითონვე ხვეწმდნენ და სრულყოფდნენ თავიანთ ოსტატობას, იმთავითვე, კალმის ხელში ადების-თანავე უყენებდნენ თავის თავს სიახლის აუცილებლობას, ურომლისოდაც ლიტერატურაში ფეხის მოკიდება შეუძლებელია. უფრო კრიტიკულნი იყვნენ საკუთარი და სხვისი ნაწარმოებების მიმართ, იკრიბებოდნენ და მსჭელობდნენ თავიანთ ახალი ნაწარმოებების ავ. კარგზე, აქვეყნებდნენ თავიანთ აზრს თანამოკალმეთა წიგნებზე, ყოველივე ამით კი ეხმარებოდნენ და მხარს უმაგრებდნენ ერთმანეთს.

უფრო მეტ ზრუნვასა და ყურადღებას მოვითხოვთ პერიფერიის მცხოვრები უფროსი თაობის მწერლებისაგან თავიანთი უმცროსი

თანამოკალმეების მიმართ. თავის დროზე მათაც ხომ იგემეს ამ უყურადღებობის მწერლებს, ამიტომაც უნდა ცდილობდნენ, იგემე, ხვეწმე ააცილონ იმათ, ვინც მათ კვალს მსჭელებენ, ვინც ხვალ თვითონ უნდა ჩაიხაროს მათი ნაღვაწინა-ჭაფარი, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესებული გადასცეს მომავალს.

გვხვდება მეორე უკიდურესობაც, რაც არანაკლებ ზიანს აყენებს საერთო ხალიტერატურა ინტერესებს. ესაა ზოგიერთ გზის დალოცვაში, ეგროფორებულ „ხელდასმელთა“ მეტიმეტი გულუხვობა ახალგაზრდა ავტორთა მიმართ. სწორად შეინანავს თ. დოიაშვილი თავის წერილში („სიბყარა“ № 1). „ჩვენში აგრეთვე გავრცელებულ გზის დალოცვაში ხშირად „დღერაჟინის კომპლექსს“ ვხვდავ: დერაჟინის მსურველი ბევრია, ჰუშკინი კი არ ჩანს“-ო. გადაჭარბებული, ზოგჯერ დაუმსახურებელი, ავანსად ნათქვამი ქება, რასაც ზოგი გულკეთილობად უთვლის თავისთავს, ხვალ შეიძლება დათვურ სამსახურად გადაგვექცეს, რადგან, არც თუ ისე იშვიათია, როცა ახალგაზრდა ავტორები შემდეგ ლიტერატურაში თავის თავსა და ადგილს ვერ პოულობენ, საერთო მდინარებას ფეხს ვერ უწყობენ, აქეთ-იქით აწყდებიან, ატალახებენ გამომცემლობებისა და რედაქციების კარებს, თვითონაც წვალაობენ და სხვასაც აწვალაობენ. ამიტომ მზრუნველ, მაგრამ ამავე დროს მეცარ მომთხოვნელობას იმთავითვე უნდა შევარჩიოთ ახალგაზრდა ავტორი. იგი იმთავითვე უნდა ვაზიაროთ იმ ქეშმარიტებას, რომ მწერლობაში შედგათები არ არსებობს.


ახალგაზრდა პოეტი ლიტერატურაში კარს რომ შემოაღებს, მის წინაშე ლურჯ სივრცესად იშლება შემოქმედებითი მომავალი. დღეოდის სარცხში მყოფი ყველაფრის თავისებურად აღქმას, ყველაფრის გათავისებება ცდილობს.

დავით თედორაძემ იმ ახალგაზრდა პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც თავიდანვე დაუხასა თავისთავს მიზნად ეს რთული ამოცანა. „ხეწვის ხიდი“ უწოდა მან თავის პირველ წიგნს და ამით პოეზიისადმი დამოკიდებულებაც თავისებურად გამოხატა.

მინდა სულის აწყვეტა, ქარბორბალს ძალა,
იმ დალოცვილ მიწაზე მინდა არვის
გვავედ...

პოეტის პირველ ლექსებში ტრადიციული თემის, — სამშობლოს, მამულის სიყვარულის, ერთგულებისა და პატრიოტიზმის გრძნობის გააზრებისაკენ სწრაფვაა. უპირველესად ეს გრძნობა წინაპართა სულის თავისებურ გამოხატვაში მჟღავნდება:

სული ჩამიდგი წინაპრების
და ქულზე კაცი დამიძიხე...
დ. თედორაძისათვის არც ყოველდღიური



ცხოვრების კონტრასტებზე დაფიქრებაა უცხო და იქ, სადაც ყველაფერი წამიერი გაეღვებოთ საცნაური ხდება, მოხდენილი პარაფელის გავლებით გვიწევს ჩვენი პოზიციის განახლდენებლად:

მესაფლავის და კეზოს მთელის საქმეც საქმეა, აკენის მთელზე ხომ არაფერს ვიტყვი...

დ. თედორაძის ლექსებში გამოკეთილად ჩანს სამშობლოს გრძნობა. შეიძლება ითქვას, იგი მისი პოეტური დებიუტის ყველაზე დამახასიათებელი შტრიხია. ალბათ ამიტომაცაა, რომ პოეტი იქ ჩანს ძლიერი, სადაც სათქმელს კლასიკური ლექსით ამბობს. პოეტის მეორე კრებულში („ორდანი უკრავს“ — 1980) შეხულია ლექსების ვრცელი რკალი „ლაზიკა“. ესაა ჩვენი საკუთრი სიმაღლიდან ახალგაზრდა აკაცის თვალით დანახული ისტორიული ლაზეთის მძამე ხვედრის პოეტური ინტერპრეტაცია. გასაგებია პოეტის პოზიცია, იგი გვერდს ვერ უფლის შუაგაყოფილი სართვის სატკივარს; თავისთავად ეს თემა ძვილია, მაგრამ ამა მოსაწყენი, რადგან იგი ამ თემას თავისებურად უყურებს:

ძუძუმწოვარა ბავშვის სუნივით მიზიდავს სარფი, გაეცდი კვარიათს, მთა მალაღია, როგორც დუმლი და ვგრძნობ ამ მიწის დიდი ვალი მაქვს, ორი ხამყაროს ხანაზავად დღეში ცხრაჯერ მოსული ტურისტები გაღმა მხარეზე იტყვის — „თათრეთი“... არადა ისიც დევნილია, ქართულია და არ შეიძლება არ ერწმუნო სიტყვებს: მე გუშინ ძმებო სარფში ვიყავი და სოფელივით დავპატარავდი.

პოეტის ხვალენდელი ოსტატობის იმედს იძლევა ცალკეული ლექსები და სტრიქონები, რომელსაც შეხედებით სადებიუტო კრებულში. ზურაბ ფირცხალაიშვილის ლექსებისათვის დამახასიათებელია პოეტური აზროვნების სიღრმე, დაფიქრებულობა, სიღინჯე. მის ლექსში პოეტური განსჯა ჭარბობს ადტაცებას. ყოველი ლექსი თავისებური პოეტური მსჯელობაა, რომელშიც ოსტატურად შედავდებდა ავტორისეული პოზიცია. ეს ერთი მხრივ განპირობებულია არჩეული თემატიკითაც.

ადამიანი მიწის შვილია, სწორედ ამიტომ „მიზის ამოსვლისას მიწას ვცემთ თავყანს...“, ამ მოტივს ეძღვნება ლექსები „ვაშლი“, „დიოგენე“ და „ჰოპერნიკი“, „მთა ვინც ვუღო დაქარგა“. სიკეთის ნიჭი ყოველგვარ ადამიანურ ნიჭთაგან ერთ-ერთი უმთავრესია, ამიტომ ძნელი არ არის ორგანული კავშირი დავინახოთ ამ ლექსებსა და შვილისადმი მიძღვნილ ლექსს შორის, სადაც ანდერძითი გაისმის შეგონება:

შენ უნდა გქონდეს უმთავრეს ყოვლის სიყვარულის და სიკეთის ნიჭი...

წარსულის გამზომობა რომ მხოლოდ თანამედროვეობასთან სისხლბორცეული კავშირის ნა-

თელსაყოფად სჭირდება, ეს დროისადმი მამარულ სიტყვებშიც ჩანს:

მე შენი ფესვის შტო ვარ მტკუნო, ძარღვებში შენი სისხლი ხმაურობს...

ზოგიერთი ადამიანი ერთგვარ გულგრილობას მოუცავს და სიკეთის გრძნობაც განელებია. ამგვარი ადამიანის პორტრეტი დახატული მეთად შთამბეჭდავ ლექსში „ქვივის ქალაქი“.

ზ. ფირცხალაიშვილს შეუძლია მრავალჯერ გადამღერებული თემა ორიგინალურ პოეტურ ხამოსელში მოაქციოს და თავისებური გადაწყვეტა მოუწიოს. ამის დასტურია ლექსები: „ძველი ურმულის ავტორს“, „მეფე ერეკლეს სიკვდილი“, „არაგვისპირ იჭდა ვაფა“. თვით ისეთ ცნობილ თემასაც კი, როგორცაა რევოლუცია, მან თავისი რაკურსი მოუწია. ეს ლექსი ერთ-ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია ახალგაზრდა პოეტის სადებიუტო ლექსებში.

ახალგაზრდა პოეტი სიყვარულის მარადიულ თემასაც ეხება. ლაკონურია პოეტის აზრი მარადიულ გრძნობაზე და მოკლებულია ყავდადახულ სატრფიალო ტირადებს:


სულში სიხალ შეშოდის მკაცრი, შემოდგომის მზე არიგებს ფერებს. ყველაფერს გვიან ეღება ფასი, სიყვარულს — მისი დაკარგვის მერე...

ზ. ფირცხალაიშვილის პირველი ლექსები კეთილი იმედს მომცემია, ხვალ უთუოდ მათი ავტორის წინსვლის მოწმედი უნდა გავხდეთ, ამის იმედს იძლევა თვით პოეტისავე სიტყვები: მიხსლოვდება ფეხარეული ოქროს სიმწიფე ჩემი ასაკის...

მუშუნან ხაჭიშვილის ლექსები („ფოთლების ქობი“ — 1981) გრძნობის უშუალოდობით, პოეტური ნააზრების სიმბოლიკური გამოცემითა და ლირიკულობით გამოირჩევა, მიუხედავად ინტიმური ხასიათისა, მათთვის უცხოა სულის დამამძიმებელი, ხელაღწერი განცდები, რაც ხშირად ლექსს პოზიორულ ხასიათს აძლევს. ლირიკული გმირის სულიერი გრძნობა განწყობილება წმინდაა და დამაჩრებელი, სათქმელის დამაჩრებლად გადმოცემაში პოეტს ეხმარება პოეტური სურათის ხატვის უნარი. თავისებურია სალექსო თემატიკისადმი მიდგომა. იგი, განსხვავებით ბევრი ახალგაზრდა ავტორისაგან, გვერდს უფლის ისტორიისმადმი ხარკის მოხდას, ყოფნა-არყოფნის, სიკვდილისციცხლის თუ სხვა მსჯელობითი ხასიათის თემებს და გარემამყაროსთან ურთიერთობას პირდაპირ, შინაგანი განცდების ლირიკული-ინტიმური გადმოცემით იწყებს.

ქარო და ქარო, გასაოცარო, შენ რომ უმეცარ ღვეებს პატრონობ, —

მემა დაპითამე ჩვენი თმპითამე ვართ...



მე თუ ციკქნა ვარ
და უსახლკარო.

ვინ შიპატრონებს, ჩემო ბატონო...

შინაგანი განწყობილების გადმოსაცემად გარეგანსაპაროს მოშველიება, პოეტური გაპიროვნების, გასულიერების ხერხი ახალი არ არის, მიუხედავად ამისა შას წარმატებით იყენებს ავტორი საკუთარი პოეტური ხილვების წარმოსახვისას. სახიფათოდაც უახლოვდება პოეზიაში უკვე დამკვიდრებულ და სხვათა „კოთხნილდება“ კვირულ სახეებს, მაგრამ ახერხებს საკუთარი გადაწყვეტა მოუნახოს მას:

ნუ მეფერები ალვა, ნუ,
ნუ დამისვლებ ცრემლებით გზას...

ეს საუბარი თვითმიწნურით არ არის. ოცნება შენი სხვაგვარად თრთის... მაინც და მაინც მიწერი ხარ, სული კი ჩემი ცისაა, ცის...

სხალთის წინდა ტაძართან ნათქვამ ავბედითი წარსულის აღსარებაშიც ერთი სიტყვა „ქათობი“ გაიღვებს და მთელ სტროფს ერთბაშად აცოცხლებს:

ეს მე ვარ — ვანენ,
ეს მე ვარ — ვანენ...
ველარ მიცანი, ძვირფასო, ალბათ.
შემჭრეს დალალი კიხარის ველზე,
დამიწვეს ჩემი ქათობი-კაბა...

პოეტის შემოქმედებაში ამა თუ იმ სიმბოლიკის მოკარება შემთხვევითი ფაქტი არ არის. იგი თვით პოეტის სულიერი განწყობილების, მისი ნათქვამ-ნააზრების ცხოვრებისეულ თანამგზავრად გვევლინება. სიმბოლიკა ე. წ. ხაყიშვილის ლექსებში ხატვის, პოეტური სახის ძერწვის საშუალებააა გამოყენებული და იგი არ არის უბრალო ამოჩემება:

ზეცას სილურჯის დასალიერთან
ატმის ყვავილი ესხა დიღებად...
მფეთქავ ტოტებში,
ცვრიან ფოთლებზე
ოქროს სხივები ეწყო მივიებად...

განხილული ლექსები საფუძველს გვაძლევს ვერწმუნოთ პოეტი ქალის გულწრფელობას: „იმ პატარა ნერგს არ მოვაწყურებ, უნებურად რომ ჩამარგვევინ ერთ მუჟა გულში“. გვწამს დაპირებებსა და ჩვენ აღარ გვეძნელება იმედინად გავყვეთ მის გულწრფელ ჩურჩულს: „მომეცი შენი სათუთი ხელი და ჩემი სულის სიჩუმეს ენდე...“

პახტანგ ლლონტის ლექსებისათვის უმთავრესად დამახასიათებელია გრძნობის სიმძაფრე, განცდის სიღრმე, აღაშინის სიხარულისა თუ ტკივილის პოეტური ანალიზი. ახალგაზრდა ავტორი ძირითადად ტრადიციული კლასიკური ლექსის ერთგულია. არც თემათა დაძლევის დროს გააჩნია ორიგინალურობის პრეტენზია ამ ლექსებს და ერთი შეხედვით კონსერვატულა-

ბის ექვსაც ბადებს. მაგრამ ეს ერთი შეხედვით... მას რით იმსახურებს იგი — უკარგულუბანს როგორც უკვე აღვნიშნეთ. გრძნობის სიმძაფრით. ჩანს, ახალგაზრდა ავტორს არ ეშინია ერთხელ კიდევ შეეძლოს ნაცნობ თემებს ნაცნობი პოეტური საშუალებებით, ხოლო წარმატების იმედად იქონიოს ამ თემების არა ახლებური ინტერპრეტაცია, არამედ განცდის სუბიექტური, მიხედული, ახალი სიღრმე, გრძნობის უფრო მძაფრად გამჟღავნების შესაძლებლობა. უნდა ითქვას, რომ ბევრ ლექსში აღწევს კიდევ ამას.

ავტორი სრულყოფილად ფლობს რითმის, რიტმის, ლექსთწყობის ელემენტებს. ვ. ლლონტის ზოგიერთი ლექსი ერთი შეხედვით გადაქარბებული სითამამის შთაბეჭდილებასაც ტოვებს.


ახალგაზრდა პოეტის ლექსებს ეტუობა ვერსიფიკაციული ცდები, რაც ისევ და ისევ ძიების პროცესზე მიგვანიშნებს. იგი ზოგიერთ ლექსს ტავტოლოგია-ბგერწერის ხერხით აგებს, არც თუ წარუმატებლად:

ყვავილნარში ყვავილები ყვავილობენ
კვლავაც,
მზე სამზევს ამზეურებს უმზეობით
დალილის.
აღარ დევნის მადევიარი დენნილს
მოსაკლავად,
და ტალღებშიც ტალღა ტალღას
ტალღასაც არ ახლის.
უნაპირო ნაპირებთან განაპირა ვდგავარ,
მარტოსული მარტოობას მარტოობით
ვებრძვი.
სიყვარულო, შემეყვარე ვინც მიყვარდა
კვლავაც,
სიძულელიო, შემიმძულე მძულვარების
მსხვერპლი...

როგორც ვხედავთ, ვერსიფიკაციული სინჯი აქაც უმთავრესად აზრის სიმძაფრითაა გამაგრებული. მის ლექსებში ტრადიციული გამოხსახველობითი საშუალებების, ვერსიფიკაციული ცდების სხვა გაბედული ნიმუშებიც გვხვდება. რამდენადაც ერთგულია ვ. ლლონტის ტრადიციული თემებისადმი და ტრადიციული რითმიანი ლექსისადმი, იმდენად მაძიებელია იგი აზრის, გრძნობის გადმოცემის სიმძაფრესა და ვერსიფიკაციულ საშუალებებში.

რეწო თეზისის პირველ წიგნში („ხნულში ჩამდგარი მზე“ — 1979) უპირველესად მიწანთან სიხლოვე, მასთან სულიერი და ხორციელი განუყოფლობა იგრძნობა.

მახლობლის თვლით უმწერს პოეტი სოფლის ყოფის სურათებს, „მხრებზე კოკაშემოდგამულ ქალებს, თვითვე რომ ჰგვანან საკუთარ კოცებს...“



გაზაფხულის სურათს ასე ხატავს იგი:
 ნიაღვარივით ჩამობეული ყანის

გულისპირი

იამ ამოკემსა, იამ ამოლაშობა...

ხვდავან გაზაფხულის მშვენიერებას ორიოდ
 სტრიქონით გვაგაძნობინებს:

აპრილს, თექვსმეტი წლის გოგოს
 თეთრი ნისლის შვენის ფატა...

სახეობრივია სტრიქონები:

ჩაიკისკისებს და წვიმა ცელქი
 მხრებზე ბავშვივით შემასკუბდება...

სოსო ბაბაშვილის პირველი ლექსები („გაა-
 დეთ კარი“ 1982) ცხოვრებაზე დაფიქრებული
 ახალგაზრდა კაცის პოეტური ნააზრევია. აქ ვერ
 შეხვდებით მარტივ, ყოველდღიურობიდან აღე-
 ბნულ თემებს, იგი თითქოს საგულდაგულოდ ც
 არჩევს სალექსო საგანს. სოსო აბაშიძე უფრო
 განსჯის, ფიქრის პოეტია.

პოეტი ინტუიტურად პოულობს კითხვებზე
 პასუხს, რაც ამვეყენიური არსებობის მიწნად
 მამულის სამსახურს გაულისხმობს:

სულ ადვილია ჩემი სიკოცხლე,
 ოღონდ მამული იყოს კეთილად...

ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედება-
 ში თუ გარე სამყაროს ზეგავლენით აღმოცენებუ-
 ლი ლექსები უარობს (გარეგანიდან შინაგანი-
 სკენ), სოსო აბაშიძესთან შინაგანი ფიქრებისა
 და განცდების გადმოცემისაკენ მიდრეკილება
 იგრძნობა უპირატესად.

პოეტური სიტყვის ამგვარად ძერწვის ხელო-
 ვნებას საქმალადა ნაზიარები სოსო აბაშიძე,
 იმედისმომცემი ხმა შემოგვეხმის ლექსებიდან:
 „გაადეთ კარი“, „წყალგაღმა“, „მამას“, „წუხი-
 ლ“. სოსო აბაშიძე უფრო თავისუფალი ლექ-
 სის მიმდევარია. ნაადრევია იმის თქმა, რომ
 იგი ჭირ კიდევ სრულყოფილად ფლობდეს ამგ-
 ვარი ლექსის წერის რთულ ხელოვნებას, მაგ-
 რამ იგრძნობა თამაში ძიება, ავტორის გამარჯ-
 ვებამდე მიიყვანს ალბათ.

საინტერესო, იმედისმომცემი პირველი პოე-
 ტური კრებულები გამოსცეს ამირან ხაბაშვი-
 დავით ტაკიძემ, ბადრი თევზაძემ. მათ წიგნებში
 ბევრი სამ ჭრჭერობით ნედლი და დაუხვეწა-
 ვია, მაგრამ წლებთან ერთად ოსტატობაც გაიწ-
 რდება. ძიებისა და ოსტატობისაკენ სწრაფვა
 გრძელდება.

განხილულ პოეტთა დებიუტის ჩვენებისას
 ბევრი ვილაპარაკე დადებითზე, და ცოტა
 დამარჩა რეგლამენტი ნაკლზე საუბრისთვის...
 არა და უამისობაც არ იქნება. ჩემს შენიშვნებს
 განხილულ ლექსებზე უმეტესად საილუსტრა-
 ციო მასალის გარეშე გამოვთქვამ. ვფიქრობ
 ახალგაზრდა ავტორები ეტყვს არ შეიტანენ ჩემს
 გულწრფელობაში და ნაკლზე ნათქვამსაც იმ
 გულით ნათქვამად ჩამითვლიან, როგორც ღირ-
 სებაზე ვმსჯელობდი.

დაპიტი თედორაძემ დიდ დროს უთმობს
 თი და იგივე თემებს, ხშირად ისინი ერთიმე-
 რის გამეორებასავით გაისმის. იგი უნდა ერი-
 დოს მოძველებულ მოტივებს. დღეს არაფერს
 იძლევა ახალს: „წყნეთზე ბიჭივით გავაღვიძებ
 რიფრაფზე ქალაქს,“ ანდა, „და იქნებ სწუხდ
 ვით ბეატრიჩე,“ უბრალო მსჯელობამდე დაშ-
 ვებული სტრიქონები: „იმ მსუსხავ დროჟამს
 გაპულოდეს ჩამორჩენილი“. რადგან იგი
 ტრადიციული ლექსის მიმდევარია, მეტი წრუ-
 ნვა იქნება საჭირო სათქმელის უფრო ორიგინა-
 ლურად გადმოცემაზე.

ნაცნობი მოტივებისადმი უფრო ფხიზელი და-
 მოკიდებულებაა საჭირო ზ. ფირცხალაიშ-
 ვილის ლექსებში. „იმ ყვავილს გაუმარჯოს,
 იმ ნატიფ ღიღილოს“, — გალაკტიონის — „იმ
 ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილეს“ —
 ქარგაა. ასევე გალაკტიონის — „ღეღაო მიწავ,
 მზეო მარიამ“-ის იმიტაციაა სტრიქონები:
 „ცაო მაღლო, ღეღაო მიწავ...“ ან და „ღეღაო
 მიწავ, ცაო მაღლო...“ რომელიც ზ. ფირცხა-
 ლაიშვილთან ყოველგვარი პოეტური მედიტა-
 ცის გარეშე გვხვდება. თ. დოიაშვილის ერთი შე-
 ნიშნა, რომ ახალგაზრდა ავტორები უფრო მო-
 კრძალბულნი უნდა იყვნენ წმინდა საგანებისა
 თუ ძვირფას წინაპართა სახელების „შეწუხე-
 ბისას“, ზ. ფირცხალაიშვილსაც ეხება. შეხვედ-
 რით მის ლექსებში დავითის, სოლომონ ლიონი-
 ძის, ერეკლეს, ცოტნეს, პაატას სახელების. მათი
 ხსენება აკრძალული არავისა აქვს, მაგრამ მ-
 მულისადმი საკუთარი ერთგულების დამტკიცე-
 ბა უფრო ორიგინალურად უნდა შეძლოს ნიჭი-
 ერმა შემოქმედმა.

შ. ხაჭიუშვილის ლექსების კითხვისას გიჩნ-
 დება სურვილი, რომ ავტორმა უფრო მეტი
 დრო მონაღმოსოს სიტყვაზე მუშაობას. ლირი-
 კულ ლექსებში ყურს უხეშად ხვდება ისეთი ჩა-
 ვარდნა, როგორცაა „გეტყვი რომ ჩემი გუ-
 ლი ბარე მიგაქვს“, ანდა ისეთი გამოთქ-
 მა, როგორცაა „ახლა ფანტელი გაცვივა
 ხარბად“. უფრო ახლებურად და არა ასე ზა-
 ნალურად უნდა გადმოიციეს სატრფილო გრძნო-
 ბები: „მე კი ძვირფასო, მე კი ძვირფასო, ნუთუ
 შენც ჩემი ასე გჯეროდა?“ ეს ერთგულების და-
 მტკიცების გადვილი ფაზაა ქართული პოეზი-
 ისათვის. ახალგაზრდა პოეტი ქალის დამოკი-
 დებულება საიხლისადმი უფრო მიზანსწრაფუ-
 ლი უნდა გახდეს, მით უმეტეს, რომ სიმბოლი-
 კის ელემენტი ქართული პოეზიისათვის ახალი
 არ არის და ამ გზაზე კლასიკამდე ამაღლებული
 არაერთი ნიმუში გვაგაჩნია.

3. ლლონტთან სახეების სიღარიბე იგრძნობა,
 არა და ტრადიციული პოეზია, რომელსაც
 ვ. ლლონტი ადგას, სახეებით, აზროვნებით უნდა

ემენ დაპიტიამ
 ჩვენც თქვენთან ვართ...



ხასიათდებოდა. მარტოაღენ აზრის, შინაარსის სიმპატიო ფონს ვახვლა გაჭირდება. ეს სიმწე-
ლი შემდეგ და შემდეგ უფრო იჩენს თავს. ორსაღვეტრ მიმართავს შედარება-გაპირკონების ხერხს და მაშინაც წარუმატებლად. „მთის ფერ-
დობიდან დაძრული ნახლი წარმაც გლენივით ჩამოღის ბარად...“, „თოვლის ფიჭვებმა საგულ-
დაგულად გზებზე დაფინეს თეთრი ქალაქი“. დამეთანხმებით, ვერაფერი შედარებაა. ხულ სხვაა, როცა კითხულობ: დუმს როიალი, — გა-
ლია — ციხე, ფერად-ფერადი ნახი ჩიტების, კი არ უკრავდა, — მგალობელ ჩიტებს კარებს უღებდნენ მისი თითები“. პოეტურობისაგან შორს დგას გამოთქმები, როგორცა: „მოხუცი სახტკად ჯიუტობს“. „ახალგაზრდა პოეტმა უნ-
და მოიხსნას „ნაღვლიანი კაცის“ მანტია. ის რაც უხდებოდა გრანელს, არ ეპატებოდა დღევან-
დელ პოეტს. სასურველია, ბნელმა ფერებმა ნა-
თელს, უფრო იმედთან ფერებს დაუთმონ ადგი-
ლი მომავალში.

პოეტური კულტურის შემდგომ ამაღლებაზე ზრუნვა მოუწევს რ. თე ბ ი ძ ე ს. აზრის ჩამო-
ქნის უფრო ორიგინალური გზების ძიება მომავ-
ლის ამოცანად რჩება. არაფერს იძლევა ისეთი მარტივი, მსკვლელობითი სტრიქონები, როგორცა მაგალითად: „სამაგიეროდ, შენ რომ მოგე-
წონოს ისეთი რა უნდა გაგაქეთო“, მასაც მოუ-
წევს ალბათ თემატიკის გაჯართობაზე ზრუნვა.
ს. ბაბაშვილისძის ჯერ კიდევ მთლიანად არ არის მიღწეული ლექსის „ორგანული მთლიანო-
ბა“. ზოგჯერ დარღვეულია ლოგიკურობა, რასაც განსჯითი ხასიათის ლექსში გადამწყვეტი მნიშ-
ვნელობა ენიჭება. „შენ ეს მითხარი, კვლავ ნე-
ბიერად იძინებ განა, როდესაც გძინავს...“ თუ უკვე ძინავს, როგორღა იძინებს... ზოგჯერ ვერც ისე მარტვე გამოღის შედარება: „ძვირფასო, გიგონებ და შენი მკერდი ისე მალაღია, ვით მამაუფალი...“ სიტყვა მამაუფალი აშკარად იმი-
სათვისაა მომხმობილი, რომ წინა „უბარი“-ს

შეერთო. მეტი სიფხიზლის გამოყენებას ვერ-
რველი ცალკეულ პოეტურ ნაწარმში შეიძლება
თორემ ორიგინალობას მოკლებულია მაგალი-
თად თოვლის ფიჭვების ქალწულთან შედარება:
„ეშვება ფრთხილად და თეთრი ფთილა, ვით
უნაზრის ქალწული მოვა“ — გვახსოვს გალაკ-
ტიონის „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულნივით ხიდიდან ფენა...“ ლექსში „მე-
გობრის დატირება“ გვხვდება: „თანაც ცრემ-
ლის ბურთით უელში...“, გვახსენდება ბ. ლება-
ნიძის „მშრალი ბურთები გასჩრიათ უელში...“
ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, უნებურია და
პოეტური გამოუცდელობითაა გამოწვეული.

ლექსის „ორგანული მთლიანობაზე“, სახეებით
აზროვნებაზე, ლექსების თემატიკის შერჩევას
უფრო მეტ სიახლესა და გემოვნებაზე უნდა იზ-
რუნო ა. ხაბაშვილი და ბ. თევზაძე. მრავ-
ალგზის გამოუცდელად და ისეთ წამგებიან თე-
მებზე, როგორცაა პოეზიის დანიშნულება,
ეგრეთ წოდებული „ლექსები ლექსებზე“, პოე-
ტის დანიშნულება და სხვა, ნაკლები ენერჯია
უნდა ხარჯოს დ. ტაკიძემ. ამაზე მსკვლეობა
ახალს არაფერს მოგვცემს, ლიტერატურაში
ახლად მოსულ კაცს სხვა უფრო ახალი და მი-
სეული სათქმელი უცდის.

ახალგაზრდა პოეტთა ლექსების ანალიზმა და-
მარწმუნა თ. დოიაშვილის ერთ სერიოზულ შე-
ნიშვნაში: ახალგაზრდა პოეტებს ჯერ კიდევ ნა-
კლები მომზოვნელობა ეტყობათ საკუთარი
თავისადმი, იგრძნობა ლექსზე ნაკლები მუშაო-
ბა. პოეზიაში მომადლებულ ნიჭს კი დიდი
შრომისმოყვარეობა თუ არ შეეშველა, ლელოს
გატანა გაჭირდება.

წარმოდგენილ ახალგაზრდა პოეტთა ლექსე-
ბის ავ-კარგის გარჩევა გაადვილდება, თუ სხვე-
ბიც გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას მათზე.
მე კი ჩემის მხრით დავასკვნი, რომ ახალგაზრდა
პოეტთა განხილული პირველი წიგნები იმედიან-
ი ხეებითაა აღსავსე.

რენე კალანდია


„გათვალისწინება“ თუ ... პოეზია?

პატივი ეცით, საკუთარივით გაყვარდეთ ყოველივე ჩემი, თუ
გინდათ, იყოთ ჩემი მსაჭული.

მარინა ცვიტაბავა

გურამ პეტრიაშვილის პირველ წერილს
„მშვიდობა თქვენსა მოსვლასა“ ქვესათაურიც
აქვს: „ლექსი — ორბანული პოეტური
მთლიანობა“ (ხაზგასმა ჩემია — რ. კ.), რა-
ზედაც მოგვიანებით ვისაუბრებთ.

გ. პეტრიაშვილი საუბარს არარსებული
პრობლემის დასმით იწყებს: „ჩვენს ლიტერა-
ტურულ წრეებში ხშირად გაიგონებთ, რომ
ლიტერატურაში ერთადერთი რამ წუვეტს
ყველაფერს — ნიჭი. ეს კი სწორი არ გახ-



ლავთ. ნიჭი აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არაა. რა არის პოეტური ნიჭი? რადგან ახლა შემოქმედების ფსიქოლოგიაში ჩასადრმავებ- ლად დრო და ადგილი არა გვაქვს, ამიტომ ზოგადად ვთქვათ, რომ პოეტური ნიჭი არის უნარი სამყაროსთან პოეტური მი- მართებისა და ამ მიმართების სიტყვებზე ჩა- მოუადიბებისა. მაგრამ პოეტი წერს სხვისთვის — მკითხველისთვის. და მისი საბოლოო მიზანი ისაა, რომ მკითხველს გადასცეს თავისი გულის დეღვა („გულის დეღვა“ — მალაფარდოვნებისათვის არ დავწერე, ჩემთვის მხოლოდ ასე გამოიქმნის ის, რისთვისაც არსებობს პოეზია)“.

გ. პეტრიაშვილისეული „პოეტური ნიჭის“ შესახებ გვი აღხაწიშვილმა ისაუბრა („ცის- კარი“, № 8) და არ გვაგარქმელებ, ხოლო რაც შეეხება: „შემოქმედების ფსიქოლოგიაში ჩა- სადრმავებლად დრო და ადგილი არა გვაქვს...“ ვფიქრობ, არადამაქერებლად უდერს, რადგან გ. პეტრიაშვილი ახალგაზრდა პოეტების ერთი „ჩივარდნილი“ სტრიქონის გარჩევას და პაროდირებას „ძალზე“ ზმირად დიდ დროსა და ადგილს ანდომებს.

გ. პეტრიაშვილი ამტკიცებს, პოეტის „სა- ბოლოო მიზანი ისაა, რომ მკითხველს გადა- სცეს თავისი გულის დეღვა...“

ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ „რო- გორც არ არსებობს ნაწარმოები „საერთოდ“, არამედ გვხვდება თავისი თვისებებით მხოლოდ სხვადასხვაგვარი ნაწარმოები — თვისობრივად განსხვავებული ალქმის პოტენციალით, ისე არ არსებობს „საერთოდ“ მკითხველიც: ის, რაც ნიშნავს ცნებას „მკითხველი“, სინამდვი- ლეში წარმოადგენს კონკრეტულ-ისტორიულ პიროვნებათა რაღაც ერთობლიობას, განუშე- ორებელ ინდივიდუალობებს: და სწორედ, ამ პიროვნებათა განმასხვავებელი თვისებების გა- მოერთი და იგივე ნაწარმოების ალქმის პო- ტენციალი ხანდახან სხვადასხვანაირი სახით ხორციელდება.“ (მანურედ ნაუშანი).

შემოქმედებითი პროცესი გაცილებით რთუ- ლია, ვინმე ფიქრი „მკითხველისათვის თავისი გულის დეღვის გადაცემა“-ზე.

არსებობს „გულის დეღვის გადაცემის“ სხვადასხვაგვარი ხერხი. ერთ-ერთი ფრიალ „მდელვარე“ რუსი პოეტი აღ. ბეზიმენსკი მას თავის მკითხველს ასე „გადასცემდა“:

«У сердца подгни штаны».

არ ვიცი, გ. პეტრიაშვილს მოეწონება თუ არა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ, ამ სტრიქონებ- შიც „მკითხველისათვის გულის დეღვის გა- დაცემის“ პრეტენზია და ქუის სწავლების ტონი იგრძნობა.

შემდეგ სტატიის ავტორი წერს: „აქ კი შე- მოლის ობიექტური ფაქტორი: აღმინის მი- ერ სიტყვიერი სახეების ალქმის უნარი. პო-

ეტმა სწორედ ისე უნდა განაღაგოს სიტ- ყვები, რომ გოვალისწინებულ ექნის ალქმის ობიექტური კანონები“.

„აღმინის მიერ სიტყვიერი სხვეების ალ- ქმის უნარისა და „ალქმის ობიექტურ კანონებ“-თან დაკავშირებით გ. პეტრიაშვილს თავისივე წერილიდან („კრიტიკა“, № 8, 1978) ერთ ადგილს შევახსენებდი: „ხომ კარგი პო- ეტური რამაა ცა. მაგრამ როცა ცაზე ვლაპა- რაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ შეიძლება ვინმესთვის ამა თუ იმ ვითარებაში, ამა თუ იმ წამს სულაც არ იყოს ცა ძვირფასი. სულ ცოტა ხნის წინათ ცა ალბათ არ უყვარდათ ვიეტნამელებს, რადგან ცა მათთვის იყო სივრ- ცე, საიდანაც ბომბები ცვიოდა და შეიძლება კიდევ დიდხანს ცა არ გახდეს მათთვის ლამა- ზი სიტყვა (როგორც ჩანს, არც „საერ- თოდ ცა“ არსებობს)“.

მე, როგორც მკითხველმა, გავიგე, რომ ვიეტნამელებისთვის და ამერიკელებისათვის ცის „ალქმის ობიექტური კანონები“ სხვადას- ხვაგვარი უყოფილა: ამერიკელები ციდან ბო- მბებს ყრიდნენ, ვიეტნამელები კი იმავე ცი- დან ჩამოცვივნილი ბომბებიდან თავს იცავდ- ნენ.

გ. პეტრიაშვილი წერს: „გათვალისწი- ნებულ იქნას...“

ვთქვათ და „აღადგენილების“ ტონს ვერ გა- ვიგეთ... ლიტერატურის ისტორიაში უამრავი მაგალითი არსებობს გაუთვალისწინე- ბელობისა.

თომას მანი წერდა: „სინამდვილეში ხელოვ- ნება საკუთარ ინდივიდუალობათა შექმნა-გა- მოკლენისას ყველაფერს თავიდან იწყებს ხო- ლმე და შიამიბად, შეუცნობლად, თუ გაუცნობიერებლად, ან უფრო ზუსტად, საკუთარი თავის უცნო- ბლად ალაღბებდნენ თუ შეიჭრება ცხოვრებაში“.

გ. პეტრიაშვილი ამტკიცებს: „...რაც უფრო მეტად იქნება დექსში გათვალის- წინებულნი აღნიშნული კანონები (სად და როდის აღნიშნა? — რ. კ.) მით უფრო მეტად აადრელებს დექსი მკითხველს (და სხვათა შორის ამით უფრო გამუდვანდება ნიჭიერებაც). ხოლო ალქმის კანონების გაუთვალის- წინებლად დაწერილი დექსი, რაც არ უნდა ნიჭიერი კაცის იყოს, მკითხ- ველს ქვერ აადრელებს“.

ძნელია იმის გაგება, თუ როგორი მკითხ- ველის „აღრელებზე“ ფიქრობს გ. პეტრიაშ- ვილი.

„ალქმის ობიექტური კანონების“ გაუთ-

რენე ბალანდი
„ბათვალისწინება“ თუ... კომიკა?



ვალისწინებდა წერდნენ ა. ბერტრა-
ნი, ლოტრეამონი, პ. ვერლენი, ა. რემბო, ს.
ნოლანტი, შ. ბოდლერი, ნ. ბარათაშვილი, პ.
ვალერი, ა. ვიდი, პ. კლოდელი, ვ. მაიაკოვს-
კი, ვ. ხლდენიკოვი, ვ. ბრიუსოვი, გ. ტაბიფე,
ტ. ტრანელი, ტ. ტაბიფე და სხვ.

ნაშრომელი პოეტებისა და მკითხველის
„აღქმის ობიექტური კანონები“ სხვადასხვაწა-
ნისი უყო, სწორედ იმითმ. რომ ამ პოეტებს
ახალი აღქმა შემოჰქონდათ, რაც აბსოლუტურ-
ად უცნობი იყო მათი თანამედროვე მკითხ-
ველსათვის; მათმა აზროვნებამ დროს გაუხ-
წოთა (ლიტერატურა დროს თუნდაც ხუთი
წუთით უნდა უსწრებდეს — მაიაკოვსკი) და
სწორედ ამიტომ მოხალღეს ისინი ზედმეტად
„აღმდგენულმა“ მკითხველებმა „უცნაურ“,
„სუნდვან“ და „გაუგებარ“ პოეტებად.

„კანონების გათვალისწინებით“ შესაძლოა
მთავარი, სიცოცხლეში ფრიალ პოზუტარული
და ტაშისებრია პოეტის სახელი, მაგრამ ეს
ზომ უპირველესად თავის მოტყუებაა და სხვა
არაფერი. ფიზიკური გარდაცვალების დღიდა-
წვე ასეთა „პოეტის“ „ჩრეულებს“ ავგვის თა-
ვლა ელვადება.

შემდეგ გ. პეტრიაშვილი აცხადებს: „ახლა
ისღა დაგვჩა დავაძალოთ, რომ აღქმის
ობიექტური კანონების გათვალ-
ისწინებით წერას ეს ტაბუა მკვია“.

სეკონდარულში გაუთვალისწინებელის მაგა-
ლითობა:

პოეზიაში: „მშვენიერი ხარ, წამო, შერკრ-
დი“ (ვოლოკ).

პროზაში: ანა კარენინას სიკვდილი.

მუსიკაში: „ეს ჩემში არ არის, ეს მალლი-
დანაა“ (შაიდნი).

მხატვრობაში: პიკასოს ერენბურგის პორტ-
რეტი.

გ. პეტრიაშვილი წერილის შესავალ ნაწილში
თიქოსდა სხვათა შორის, მაგრამ დაბეჭითე-
ბით ამბობს: „ის ამბავი, რომ უამრავ ჩვენს
ნაცად პოეტს ერთი სიტყვა არ დასცდენია
თავის კოლეგებზე, არც უფროსებზე და არც
უმცროსებზე, ვერა ჩვენი ლიტერატურული
ცხოვრებას სამაჟო ფაქტი“.

არ მისმის, რომელი ფაქტის შესახებ
ლაპარაკობს გ. პეტრიაშვილი...

ფაქტი კი, აი, რას გვეუბნება:

ა) რაშინ ამონაშვილის წიგნის გამოსცემის
საქმეში ორმა ცნობილმა პართველმა მწერალ-
მა და ერთმა, ასევე აღიარებულმა მხატვარმა
თავიანთი წვლილი შეიტანეს.

ბ) დავით მჭედლურსა და ნაილი ნეკერიშ-
ვილს გზა პოეზიაში ჭანსუდ ჩარკვიანმა და-
ულმოცა.

ვ) ნინო ქუთათელაძეს — შორის დაცხინ-
ვილმა.

დ) ბათე დანელიას — გივი მჭედლადემ.

ე) გიგა სულაიაურს — ემზარ კვიციანი-
ვილმა.

ვ) იმედო ჭახუას — ცაგუ მენსურაშვილმა.

ზ) გურამ გიორგობიანს — გივი მჭედლადემ.

თ) აიმაზ ხაძაღუს — თედო ბეჭიშვილმა.

ი) ნიჟინილაშვილი „შენსებვეთ“ გამორჩენილ
კობა არასულს — გივი ალხაწიშვილმა.

ახე რომ „ერთი სიტყვა არ დასცდენიათ“
— უსაფუძვლო ბრალდებაა. ახალგაზრდებს
პოეტურ კრებულებში დაბეჭდილი წინასიტ-
უვალიდან ჩანს, რომ ნათ, ესე იგი, ახალ-
გაზრდებს „ნაცად“ პოეტების ყურადღება
და თანადგომა არ დაუღებიათ.

შეიტრა კქნაო?

კარგ ლექსებს“ ხომ არ დაუწერდნენ?
ახალგაზრდა ავტორებს ვისოც, სწორად გა-
მგონ. გ. პეტრიაშვილი წერს: „ამ კრებუ-
ლებში ნიჭი ბლომადაა, კარგი ლექსები კი
გაცილებით ნაკლებია“-ო. ჩემი აზრით,
კარგი ლექსებიც ბლომადაა. მათი დანახვა
და აღქმა საჭირო და არა იგნორირება.

სხვაგან გ. პეტრიაშვილი ამბობს: „...უნდა
ეთქვა, რომ ეს შეტელოები არაა მხოლოდ
ახალგაზრდული პოეზიის კუთვნილება. ისინი
საერთოა მთელი ჩვენი პოეზიისათვის“.

ფაქტებით უნდა ვისაუბროთ. საქარსა, ავგი-
სხნას თუ რას გულისხმობს „ჩვენს პოეზიაში“.
„კრიტიკოსის როლში მოკვლენად პოეტს არ
უნდა ავიწყდებოდეს, რომ „პოეზია“ უმაღ-
ლესის ცნებაა და იმ სიმაღლეში ადვილი არა
აქვს სტრაფებად დაწყობილ სტრაქონებს,
რომელთა პოეზიასთან კავშირი მოჩვენები-
თია.

გ. პეტრიაშვილს ამ შემთხვევაში უნდა
ეთქვა „ჩვენს ლიტერატურაში“ და არა „ჩვენს
პოეზიაში“. მაშინ გასაგება იქნებოდა.

წერილის „მშვიდობა თქვენსა მოსვლასა“-ს
ავტორი პართული პოეზიისთვის წაყენებული
ბრალდების პათოს უფრო აძლიერებს და
აცხადებს: „ასეთი „შიშის ქარები“ ან მისი
მსგავსი „შიშის ნიავი“ თუ „შიშის ქარიშხა-
ლი“ ადვილი მოსალოდნელია სხვა პოეტებ-
თანაც შეგვხვდეს, შემდეგ ასეთ რამეებზე
ხაგანგებოდ შევჩერდები, ახლა კი ვიტყვი, რომ
ეს ბოლო ოც დანახუთი წლის ქარ-
თული პოეზიის ერთ-ერთი შაბლო-
ნი...“

იძულებული ვართ, გ. პეტრიაშვილს შევას-
ხნოთ ვერნერ ჰაიზენბერგის სიტყვები: „ყო-
ველგვარ ნიჟინისტურ მიმართულებას ახსნი-
ათებს მტკიცე, საყოველთაო საფუძვლის
უქონლობა, იმ საფუძვლის უქონლობა, რომე-
ლსაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა
წარმართა პირიყენების მოქმედება. მაგრამ
ახლა ადამიანი უნებურად ჰპარავს ავისა და



ქარგის, მოჩვენებითისა და რეალურის ინსტიტუტურ გარმონახს, ხალხთა ცხოვრებაში ამას მიუყვართ უცნაურ მოვლენამდე, როცა გარკვეული მიზნის მისაღწევად დაუჩინებელი უნარმანარი ძალეები მოულოდნელად იცვლიან მიმართულებას და თავისი დამანგრეველი მოქმედებით იმ შედეგამდე მიდიან, რომელიც დასახული მიზნის სავსებით საწინააღმდეგოა...“

გ. პეტრიაშვილისეული უტრირების მეთოდზე შევიცდებით უფრო ჭკემათ ვისაუბრო, ამჟამად კი მინდა შევეკვირებო: წარმოადგენს თუ არა „ბოლო ოცდახუთი წლის ქართული პოეზია“ ორგანულ მთლიანობას?

თუ „ბოლო ოცდახუთი წლის ქართული პოეზია“ ორგანული მთლიანობაა, მაშინ ამ ორგანულ მთლიანობაში შედის პოეტი გურამ პეტრიაშვილიც...

გ. პეტრიაშვილი თავის „ბოლო ოცდახუთი წლის ქართული პოეზიის ერთ-ერთი შაბლონი“-თ ისე „შორს წავიდა“, რომ დაავიწყდა: ამ ოცდახუთი წლის მონაკვეთში ცოცხლები იყვნენ და ქართულ პოეზიაში იღვწოდნენ გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი...

ახალი საინტერესო წიგნები დაწერეს „ნაცვალმა“ პოეტებმა.

მოვიდა „ცისკრელების“ თაობა. შემდეგ „ვერლიბრისტები“ და ა. შ.

გ. პეტრიაშვილის ბრალდებას „ბოლო ოცდახუთი წლის ქართული პოეზიის შაბლონი“-ს შესახებ, მიუხედავად ა. ბლოკისეული:

«Прямая обязанность художника — показывать, а не доказывать».

ორივე სწირდება: ჩვენებაც და დამტკიცებაც. „შვიდობა თქვენსა მოსვლასა“-ში ვკითხულობთ: „არ მინდა არასწორად გამოგოს ვინმემ და ჩათვალოს, რომ მე ერთ პოეტს მეორეზე წინ ვაყენებ. პოეტების გაჭიბრება საერთოდაც ვერაა ჭკვიანური რამ და მით უმეტეს პირველი კრებულების ავტორებისა...“

საიდან ასეთი სიფრთხილე?

პირველი: რამდენადაც ვიცი, გ. პეტრიაშვილის მიერ განხილული პოეტებიდან დავით მჭედლურს სამი პოეტური კრებული აქვს გამოცემული, ნაილი ნეკერიშვილს — ორი, ნუგზარ კობერიძეს — ორი, ვჟა ზორნაულს — ორი, გურამ ოდიშარიას — ორი...

მეორე: ვერ გავიგე თუ რატომ არ სურს მას „ერთი პოეტის მეორეზე წინ დაყენება“?

კითხვამ არაა საჭირო?

გ. პეტრიაშვილს არ უნდა „ერთი პოეტის

მეორეზე წინ დაყენება“. მაშინ ერთ-ერთი ვიგოთ მის მიერ ახალგაზრდა პოეტების წინააღმდეგოდ თუ „საწყისი პოსივიზიათის“ მოყვანილი აკაკის, ვჟას, გალაკტიონის სტრიქონები... როგორ გავიგოთ „შხოლოდ იმას ვიტყვი, რომ „პოეტისაგან“ განსხვავებით შოთა რუსთაველი სხვაგვარად უცქერის ამ ცნებას“.

გამოდის, რომ გ. პეტრიაშვილი ნებისთ თუ უნებლიეთ „ერთ პოეტს მეორეზე წინ აყენებს“, სხვაგვარად არც შეიძლებაოდა: ვილაცა წინ იქნება, ვილაცა უკან და ა. შ.

„—დიდი და პატარაობა სად არის? — სთქვა ლუარსაბმა, —, თუნდ თითებზე დაიხედ: ერთი დიდა, მეორე პატარა. რისთვის? ამისთვის, რომ დმეროს აგრე გაუჩინია, დიდი და პატარაობა უველგან უნდა იყოს. აბა, დაიხედო!“

უ. ფოლკნერი წერდა: „იგი (მწერალი) არა-სდროს ინტერესდება იმით, თუ ვინ არის მის უკან ან ახლოს, არამედ ის აღელვებს, ვინც წინაა.“

კრიტიკოსის ძირითადი ამოცანა ლიტერატურული ნაწარმოების შეფასება კი არა, პირველ რიგში მისი ინტერპრეტაცია და ანალიზია. ლიტერატურული ნაწარმოების ვთქვათ ლექსის კითხვისას, მან მოხნად ის კი არ უნდა დაისახოს, რომ უპასუხოს კითხვას: „კარგია ლექსი თუ ცუდი? არამედ მას უნდა ამოძრავებდეს შისწრაფება — გახსნას ლექსის სტრუქტურისა და სტილის თავისებურებანი, შინაარსის სიღრმე და მკითხველის სულზე მოქმედების ძალა“. — ამბობს მალკოლმ კაული.

გ. პეტრიაშვილი წერს: „კრიტიკოსის (?) ამოცანა ის კი არაა, ჩინ-მენდლები და ჭინჭილები ჩამოარიგოს, არამედ ის, რომ შეძლებისდაგვარად დაეხმაროს ავტორებს მათი ნიჭის თავისებურებების უკეთ შეცნობაში და ამ ნიჭის უკეთ გამოვლენაში“.

ვნახოთ, დაარიგა თუ არა გ. პეტრიაშვილმა „ჩინ-მენდლები და ჭინჭილები“.

რადგან შედალს ორი მხარე აქვს (ავერსი და რევერსი) გ. პეტრიაშვილის მიერ განხილული პოეტების შესახებ დაწერილ პირველ და ბოლო აზრებს ამოვიწერ, სადაც წერილის ავტორი ცდილობდა გამოეთქვა მთავარი აზრი და დაეხასიათებინა ესა თუ ის პოეტი, ამოეცნო თითოეული მათგანის შემოქმედებითი კრედი და ა. შ.

რენე კალანდრი
„ბათპალისწინება“ თუ... კოეზია?

ამონაწერების მიხედვით ახალგაზრდა პოეტებისათვის ჩამორიგებულ შედეგებს ასეთი სახის წარწერები ექნებათ:

ა) რ. ამონაშვილს — ავერსზე: „...ჩემი აზრით არის თანაგრძნობისთვის მუდმივი მწაფოუნა“, რვეერსზე: „...ლაპარაკი მინდა დავასრულო კიდევ ერთი კარგი სტრიქონით“.

ბ) ნ. კობერიძეს: „მთავარია პასუხისმგებლობის გრძნობა“; „მკაფიოდ გარკვეული პოეზია ჩემთვის... უძვირფასესია ძვირფასთვისებებს შორის“.

გ) დ. მჭედლოუს: „მკაფიოდა აქვს გარკვეული პოეზია“; „მე დამჩა აზრი, რომ მისი ოსტატობა იზრდება, ესე იგი, უფრო და უფრო უახლოვდება მკითხველის გულს“.

დ) ნ. ნეკერიშვილს: „აშკარაა ოსტატობის ზრდა“; „მინდა ვუსურვო პოეტს...“

ე) გ. ოღონაძეს: „ბუნებრივი მოულოდნელობა“; „ასე კარგად შესძლო... აეფორიაქებიან ჩვენი ფიქრები. მას მე ვუსურვებ...“

ვ) გ. სულაიაურს: „მე დავარქმევდი ასეთ სახელს — ახალი მოგზაური“; „მე ვეცდები პოეტის ახალ მოგზაურობას. მე მჭერა მისი“.

ზ) მ. ჩიტოშვილს: „უცნაურადაა. შერწყმული სინაზე და ენერგია“; „უოვლად ნაღი პოეტი“.

თ) ვ. ხარჩილავას: „დრამატული განწყობილების პოეტი“; „მე კვლავაც დაუმშვიდებლობას ვუსურვებ“.

ი) ვ. ზორნაულს: „სიუვარტლის ნათელი მწერა“; „დარწმუნებული ვარ, ვაუა ზორნაულის შემდეგი წიგნების კითხვაც სასიხარულო იქნება“.

კ) შ. ჭიკაბას: „შეფასებაში მე მთლიანად დავეთანხმეთ. დოიაშვილს. მეც მომეწონა...“; „მსგავსი პოეტიც უნდა მოსულყო“.

შედეგების ჩამორიგება დამთავრდა.

გ. პეტრიაშვილმა ნინო ქუთათელაძის მსტრიქონიანი ლექსიდან („მეტროში იღვა ფერმკრთალი ქალი...“) სამი სტრიქონის ამოღება მოითხოვა. და ერთი ახლის შემოტანა: „პოეტს რომ ეთქვა, შვილის დახეულ ფეხსაძეგლებზე ფიქრობს (მე მგონი ეს უფრო მოუხდებოდა ლექსს)“.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ „ბოლო ოცდახუთი წლის ქართული პოეზიის შაბლონის“ წინააღმდეგ მებრძოლი გ. პეტრიაშვილი, რომელიც „შემდეგ ასეთ რამეებზე საგანგებოდ“ შეჩერებას გვპირდება, ჭერჭერობით ახალგაზრდა პოეტს ნინო ქუთათელაძეს საკუთარ შაბლონს — „შვილის დახეული ფეხსაძეგლები“ — სთავაზობს.

გ. პეტრიაშვილი ამ მეთოდს ხშირად მიმართავს. მაგალითად წერილის მეორე ნაწილში (გვ. 118). იგი წერს: „იმედი ჩახუას პოეტური ხედავა აქვს, მაგრამ „პოეტურუბის“ მთქმელი ბული ინერცია მას უბიძგებს“.

მოვიტან მაგალითს:

შენ არ გინახავს
სითეთრეში როგორ ანთია
ბედნიერებით დახუნძლული ასკილის
ბუჩქი.

კარგადაა დახატული თოვლში მღვარი ასკილის ბუჩქი, მაგრამ სურათის სრულყოფას ხელს უშლის აბსტრაქტული (ამ სიტყვას გ. პეტრიაშვილი ისე ხშირად ხმარობს, რომ ეტყობა — ბრალდების ერთ-ერთ მთავარ პუნქტად მიაჩნია. — რ. კ.) სიტყვა „ბედნიერება“. ვაუგებარია, რას ნიშნავს ბედნიერებით დახუნძვლა ან რითაა ბედნიერი ასკილის ბუჩქი? ეს საკითხები (?) საზღვრ ასკილის ბუჩქის კარგად დახატულ სურათს. საკმარისია მოვაცილოთ სიტყვა „ბედნიერებით“ და მის ნაცვლად ჩავსვათ რაიმე სიტყვა, რომელიც კარგად წარმოაჩენს ასკილის ნაყოფის წითელ ფერს და ჩვენ მივიღებთ მშვენიერ სურათს: თუ როგორ დგას თეთრ თოვლში წითელი ასკილი“.

არ ვიცი, მკითხველი მიიღებს თუ არა „გულის ღეღვი“ — „თეთრ თოვლზე წითელ ასკილს“. მე კი ვიტყვი: ესაა ველისიბედის გამოგონება ანუ „არ ახალია, ძველია“.

„თოვლზე წითელი ასკილის“ დანახვას განსაკუთრებულად პოეტური ნიჭიერება არ სჭირდება:

დავით მჭედლოუსის ლექსის „გარჩევის“ დროს გ. პეტრიაშვილი წერს:

ა) „ფიქრობ, რომ ლექსში უნდა დარჩეს მხოლოდ თოკი, სარეცხი და ჩიტები“.

ბ) „ლექსი უნდა გადაიწეროს, ეს უნდა იყოს თოკის მონოლოგი“.

ცოტა უხერხული ხომ არ არის სამი პოეტური კრებულის ავტორთან ამგვარი ტონით საუბარი?

ნაილი ნეკერიშვილის ლექსების „განხილვის“ დროს გ. პეტრიაშვილი წერს: „ისინი (ლექსების დასაწყისი — რ. კ.) იმდენად ბუნებრივია, ისე ნათელი, რომ ისიც კი ვიფიქრე, იქნებ ასეთი ერთ სტრიქონიანი ლექსები უნდა იწერებოდეს-მეთქი“.

ერთსტრიქონიანი ლექსი, ეს რაღაც „ახალია“ ქართულ პოეზიაში.

ნ. ნეკერიშვილის ერთი ლექსის („გატყდა ლარნაკი...“) გარჩევა-განქიქებას გ. პეტრიაშვილი რამდენიმე გვერდს ანდომებს: „შეიძლება მხოლოდ ვინმე ობივტულმა თქვას, უოჩაღ, რომ არ სცემა სტუმრებს, მე, ძმაო, მაგას ვერ მოვითმენდი“.

შემდეგ „გულწრფელობისათვის“ და „სიმა-



როლისათვის“ ხმალშემართული გ. პეტრიაშვილი გვეუბნება: „ახლა რომ გადავიკითხე, რაც ამ ლექსზე დავწერე, ვნახე, რომ მთელი წერლის მანძილზე პირველად გავბრახე ბულივარ“.

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, მაგრამ მე რატომღაც მგონია, რომ გ. პეტრიაშვილი ამ შემთხვევაში არაგულწრფელია.

გ. პეტრიაშვილის „გულწრფელობის“ ნიმუშად მიმაჩნია თამაზ ბაძაღუას „მესამე ზარი“-ს განხილვა.

კრებულში შესული 16 ლექსიდან გ. პეტრიაშვილიმა ერთ-ერთს („როგორ გაძელი...“) აკაკის, ვუას და გალაკტიონის ლექსები დაუპირისპირა. დასანანია, რომ გ. პეტრიაშვილიმა ვუა-ფშაველის ციტირებისას წაკითხულს მოსმენილი (ე. ი. სიმღერის ტექსტი — რ. კ.) ამჭობინა. თ. ბაძაღუას ზემოაღნიშნული ლექსის ერთ-ერთი პასუხის გამო ვკითხულობთ: „პირველ კითხვას: რას ნიშნავს „იღუმალი შიში“? დემიბატა მეორე: რას ნიშნავს „წამება“? (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არაწესტია აქ დახატული სურათიც: თუ ვინმეს ხერხემალი გადაუმტერიეს, ის ველარავისკენ ვერ წავა)“.

აი, ის გ. პეტრიაშვილისეული უტრირების მეთოდი, რომელზეც საუბარს ვაპირებდი, აქ მან აპოგეას მიაღწია.

1. გ. პეტრიაშვილს გვინდა შევახსენოთ პოლ ვალერიის სიტყვები: „მეცნიერება იწონება სიზუსტეზე, ხელოვნება — მახლოებითზე“.

2. ბლუზ სანდარას აქვს ლექსი. „პორტრეტი“, რომელიც მარკ შაგალის პორტრეტს წარმოადგენს. ლექსი ასე იწყება:

მას სძინავს,
იღვიძებს უცებ.
ხატვას იწყებს.
ძროხას აიღებს — და ძროხით ხატავს.
საყდარს აიღებს — და იმით ხატავს.
ქაშაყით ხატავს,
დანებით, ხელებით, მათრახით...
ახლა, რა ვქნათ?..

გ. პეტრიაშვილიმა რომ გვკითხოს: განა მარკ შაგალი ისე ღონიერი იყო, რომ ძროხას ხელში აიუყვანდა და საღებავიან კასრში თავს ან კულს ჩააყოფინებდა, რომ შემდეგ სურათი დაეხატა? — არც ვიცი, რა ვუპასუხოთ... ან რომ გვითხრას: შე კაცო, ხელში საყდარი როგორ ეკავო, — რა უნდა ვქნათ?

გ. პეტრიაშვილიმა თ. ბაძაღუას წიგნიდან მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი მოიწონა. წერილის იმ ნაწილს, რომელშიაც თ. ბაძაღუას ლექსებს არჩევდა „იღუმალების“ პოეზია“ და არქვა და ერთი „ორგანულად მთლიანი“ ლექსი ვერ მონახა:

რა ჰქვია ასეთ „განხილვას“? პეტრიაშვილიმა ახალგაზრდა კრეატის წიგნში ლექსი ვერ მოძებნა, ლოცმანის მისიას ვიკისრებ და თ. ბაძაღუას კარგ ლექსებს ჩამოვუთვლი:

1. „ზღვის ქვეყნებში“ (გვ. 14).
 2. „ორი სიცარიელე“ (გვ. 17).
 3. „როცა გაბრუნებს შთვარის სხივი, ვით ძველი ღვინო...“ (გვ. 18).
 4. „გაიხსენე, შემოდგომის გვიან საღამოს...“ (გვ. 19).
 5. „მზეო, ამოდი“ (გვ. 22).
 6. „სიუვარულის არქეოლოგი“ (გვ. 24).
 7. „ფსალმური“ (გვ. 29). და ა. შ.
- გურამ პეტრიაშვილის მიერ თამაზ ბაძაღუას პოეტური კრებულის „გარჩევა“ ტენდენციურია.

ტენდენციურად მიმაჩნია ბ. დანელიას ლექსის („მატარებელზე ვაცილებ დედას“) განხილვა.


გ. პეტრიაშვილს, რომელიც ზშირად ამბობს: „მთლიანად ვეთანხმები თ. ლოიაშვილს“-ო ავიწყდება №1 „ციკლის“ 109-ე გვერდი, სადაც თეიმურაზ ლოიაშვილი წერდა: „...ეს თემა ბათუ დანელიამ მოსინჯა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ახალგაზრდა პოეტი ცდილობს ასცდეს გატკეპნილ გზას, რაღურა სულიერი განცდა აქციოს განსჯის საგნად, ნამდვილი პოეზია ცქეღიან იწყება“.

გ. პეტრიაშვილი წერილის შესავალში ამბობდა: „ოსტატობაზე ფიქრი სხვაზე ფიქრია. მამასადამე, ოსტატობა ზნეობრივი ცნებაა“.

ამ დებულების ავტორს მინდა შევახსენო, რომ „ჩინს ქვასა ზედა სწერია“: ქართველი ლიტერატორები დედაზე დაწერილ ლექსზე თუ მოთხრობაზე ცინიკურად არ საუბრობდნენ...

ხოლო, გ. პეტრიაშვილის განცხადება: „...ქალს, რომელიც იწყევლება, ძნელია თანაუგრძნოს მკითხველმა“, — არაა მართალი. დასავლეთ საქართველოში (კერძოდ სამეგრელოში) დედას ბავშვი შარვალ-ხალათის დავსრის თუ დახვეის გამოც დაუწყევლია, და ეს ყველა იცის, ვისაც კი სიღარიბე გამოუცლია. გ. პეტრიაშვილს რატომღაც ავიწყდება, რომ ოთარაანთ ჯვრივს ლოცვა-კურთხევასთან ერთად წყევლა-კრულვაც ეხერხებოდა. გარდა ამისა, არსებობს ქართული ანდაზა დედის წყევლასთან დაკავშირებით და ა. შ.

რენე კალანდია
„ბატუკალისწინაა“ თუ... კოპენი?



როდესაც „მშვიდობა თქვენსა მოსვლასა“-ს ავტორი ვაჟა ხორნაულს ა. ჩხვოვის სიტყვებით ესაუბრება („თუ ხედავთ რომ წვიმს და გინდათ ეს აღწეროთ, თქვით უბრალოდ — წვიმის“), რატომ ავიწყდება, რომ იმავე ანტონ ჩხვოვის ერთ-ერთ ტომში (ტ. მე-17. გვ. 180) წერია:

«Боже, не позволяй мне осуждать или говорить о том, чего я не знаю и не понимаю».

კიდევ ერთი რამ: გ. პეტრიაშვილს ეტყობა არ ახსოვს პოეტის გზის გოეთესუელი განსაზღვრება: „თავდაპირველად კოპიტი წმინდის უბრალოდ და ცუდად. მომდევნო ეტაპი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, არის აბრეშვილი, ცუდად და ბოლოს, კოპიტის მშვენიერად, რომელიც ჩვენ ვხედავთ უბრალოდ და კარგად“.

მეორე წერილში (გვ. 130) ლიტერატურულ მოდასთან ბრძოლით დაღლილი გ. პეტრიაშვილი გვკითხვს: „რამ უნდა გვიშველოს?“ თვითონვე გვაპასუხობს: „გვიშველის ლიტერატურული გემოვნება: ჭერ ერთი მას შეუძლია გამოიცნოს სიუალები. მეორე — ის გვაკარნახობს, რომ შეუძლებელია და არცაა საჭირო ვჩინდეთ იმაზე უკეთესი, ვიდრე ვართ...“

აქ უნდა შევჩერდეთ. კი მაგრამ, მაშინ რა საჭირო იყო: „... ამიტომაც უნდა მივეხალხოთ ურუნალ „ციცქარის“ სურვილს, რომ გაჩაღდეს დისკუსია...“

ჩემი აზრით „გულწრფელობისკენ“ და „ბუნებრივისკენ“ მოწოდებამ გ. პეტრიაშვილი ისე შორს გაიტაცა, რომ ხელოვნების დანიშნულებაც კი დაავიწყდა: მშვენიერის დანახვა, აღქმა, შექმნა და ა. შ.

მისივე სიტყვებით: „დასკვნის სახით უნდა ვთქვა, რომ ავტორს სურდა სიმპათიით განეწეწათ თავისი გმირისადმი, მიადრწია კი საწინააღმდეგოს და ამაში ბრალი მიუძღვის „ფილოსოფოსობას...“ „ფილოსოფოსობა“ იმითაა სახიფათო, რომ მაცდურია.“ („ციცქარი“, № 4, 1988, გვ. 124).

შემდეგ გ. პეტრიაშვილი გვიხსნის: „გემოვნება ნიჭის შემადგენელი ნაწილია და ის დაბადებით დაპყვება ხოლმე ავტორს. მაგრამ ეს სწორედ ის ნაწილია ნიჭისა, რომლის გარკვეულად განვითარება და დახვეწა შესაძლებელია.“

— რა არის ლიტერატურული გემოვნება? ის ჩვენი შინაგანი მკითხველია. და მისი გარდა, რომ უნდა იცოდეს თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი, მას მოეთხოვება შექმნის ისევე, ობიექტურად წაიკითხოს ჩვენი ნაწარმოები. როგორც კითხულობს სხვისას რაც უფრო კარგად გრძნობს შინაგანი მკით-

ხველი ლიტერატურას და რაც უფრო ობიექტურად შეუძლია შეხედოს ჩვენს ნაწარმოებს, მით უფრო ვერ შემოგვრდება „ლიტერატურული კოფის ბაცილა“.

გ. პეტრიაშვილს ვკითხვით: თუ „გემოვნება ნიჭის შემადგენელი ნაწილია“, რომელიც „დაბადებით დაპყვება ხოლმე ავტორს“, თუ „ობიექტური ოსტატობის ერთ-ერთი ნიშანი მომჭირნობაცაა“ (წერილი პირველი, გვ. 124), უფიქროს თუ არა ნიჭი „გადამწყვეტი“?..

სტატიის ავტორი წერს: „ბოლოს და ბოლოს, ჩემი ორივე წერილის მთავარი აზრი ისაა, რომ ლიტერატურული ოსტატობის არსი მაღალ ლიტერატურულ გემოვნებაშია. სწორედ ლიტერატურული გემოვნებაა ის იარაღი, რომლის კონტროლითაც ავითარებს ავტორი პირველად ჩანაფიქრს, არ უშვებს ლექსში არაფერს უცხოს და ზედმეტს და თანდათან აუმჯობესებს ნაწარმოებს“.

გ. პეტრიაშვილისეულ მოსაზრებებს ლიტერატურული გემოვნების შესახებ უხერხულ მდგომარეობაში აუყენებენ მის მიერ „კარგია, კარგია!“-ს ბეჭდით მკითხველისათვის შემოთავაზებული სტრიქონები, სტროფები, ლექსები და სხვ.

მოვიყვან მაგალითებს:

1. რ. ამონაშვილთან ციტირებულია ორი სტრიქონი:

წვიმა, თოვლია, მზეა თუ ჩრდილია
სულ მუდამ, სულ მუდამ ქოლგანიია.

გ. პეტრიაშვილი ამბობს: „განსაკუთრებით კარგია ორჭერ გამოარბული „სულ მუდამ“.

მაქვს შეკითხვა: ავტორის ციტირებულ გამოარბულ ეგ „სულ მუდამ“ ლექსი „მკითხველს თავის გულის დღევას“ ვერ გადასცემდა თუ პირიქით: მოიგებდა რამეს?

2. „რამინ ამონაშვილის წიგნზე ლაპარაკი მინდა დავასრულო კიდევ ერთი კარგი სტრიქონით, რომლის გახსენება შემდეგშიც მოგვიწევს:

ჰველაფერი იცვლება, მხოლოდ რჩება
ამქვეყნად სიყვარული უცვლელი.
გვაპატიოს ლექსის „კარგი სტრიქონის“ ავტორმა, მაგრამ გ. პეტრიაშვილის აღფრთოვანებას ვერ გავიზარებთ. მიზეზად დავასახელებდი გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს „უხიშვარულოდ“ და „მესაფლავე“.

3. გ. პეტრიაშვილი წერს: „მეც მომეწონა თ. დოიაშვილის მიერ ციტირებული ლექსი:

სხვა არაფერი
მიმარჩნია
მულმოცურის ღირსად
მხოლოდ და მხოლოდ
თავისუფლება.

ამ ლექსს შემდეგაც დავუბრუნდებით, რადგან აქ ძვირფასი ცნების „თავისუფლების“



შინაარსი ძალიან კარგადაა გადმოცემული.

გ. პეტრიაშვილი „ამ ლექსს შემდეგაც“ არ დაბრუნებია.

რატომ?
ალბათ იმიტომ, რომ პოლ ელუარის ცნობილი ლექსი „თავისუფლება“ გაახსენდა, რომელიც 1942 წელს დაიწერა; არსებობს პ. ელუარის ლექსის სამი რუსული (პ. ანტოკოლსკი, ზ. გუკოვსკაია, მ. ვაკსმენერი) და თუ არ ვცდები, ერთი ქართული (გრ. აბაშიძე) თარგმანი.

ჟ. გურამ პეტრიაშვილს ციტირებული აქვს მ. ჩიტიშვილის სტრიქონები:

ეძინა ქუჩას
უპატრონო ლოთივით გარეთ
და სველ გუბებზე
თვალბეზით ახამხამებდა.
და შემდეგ ლექსის ავტორს ეკითხება:
„თუ ეძინა, თვალბებს როგორღა ახამხამებდა“-ო?

ა) სწორი შენიშვნაა.

ბ) გ. პეტრიაშვილს ახალგაზრდა პოეტისათვის უნდა შეეხსენებინა, რომ შედარება სხვისია: „თქვენი თვალბების გუბები...“ („ყოფილ ლაფორგო“).

ნ. გ. პეტრიაშვილი წერს: „რაც შეეხება სიტყვის (?) ნიჭს, ის ხშირად იგრძნობა...“

დავბოროილობ ამ ჭაგანარებში
ველებზე რჩება
დაფლეთილი ხორცის ფიფქები
ეს სტრიქონები იმ ანგელოზის ნაჩუქარია, იშვიათად რომ გამოიფრენს ხოლმე“.

გ. პეტრიაშვილის „ლიტერატურული გემოვნების“ მაგალითები საქმარისად მიმანჩია.

დასკვნა ასეთი სახისა იქნება: ლიტერატურულ გემოვნებაზე საუბარი არ გამოიცხადებს საკუთარ ლიტერატურულ გემოვნებას.

გ. პეტრიაშვილი წერილის პირველ ნაწილში (გვ. 122) წერდა: „ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი, რომელიც მე ამ წერილის წერის დროს წავიკითხე, არის მანანა ჩიტიშვილის „კალიები“.

ქიანურებს ვიწრო მხრებზე გაიდებენ,
კა მათთვის სიმაღლე და გალიები...
გულში მტრობას არავისას გაივლებენ
გრძელკანჭება, გულკეთილი კალიები.
სატრფოს სარკმელს სერენადებს უმღერებენ,
მზით ივსება ფაცხები და ნალიები
და საყრავებს გრძელ ქამანებს უღერებენ
მზის ბადავით გადამოვრალი კალიები
შუაღდის მზეს აფიცებენ გამეტებით,
თვალს ნაბავენ ტინით მდღე-ხვალეობი...
აწყვეტილ წელს კიდევ უფრო აიწყვეტენ
კალიები.

ალბათ მეთანხმებით, რომ მართლაც აბრ-

ბი ლპსნიბ. რიტმი, სიტყვა, განწყობა, სურათები, ყველაფერი კარგია და ორგანულად შერწყმული ერთმანეთს... ამ ლექსს რომ ვკითხულობ, თანდათან, როგორღაც მეცოდებიან ეს გულკეთილი კალიები, სერენადებს რომ მღერიან და მზით დამთვრალან. მათში არის რაღაცა ტრაგიკული. და ლექსის რიტმს რომ მივყვები, მიჩვენება, ყველაფერი უნდა დამთავრდეს საბედისწეროდ, ლექსის ბოლოში საშინლად უნდა დაგვანაღვლიანოს ამ კალიების ამბავმა ან სატრფოს სარკმლის ქვეშ უნდა უსკდეთ გული ან მათ ქიანურებს ციცილი წაკეილოს მზისგან. ან რა ვიცი რა დაემართოს. ავტორი უკეთ იგრძნობს რა ქნას, თუკი დაეთანხმება ჩემს აზრს“.

გ. პეტრიაშვილის აზრით „კალიები“ კარგი ლექსია და „ორგანულად შერწყმული“-ს ნიშუშია. ახალგაზრდა ავტორებს ისლა დარჩენიათ, რომ ამ ლექსის მიხედვით ისწავლანთ თუ როგორ შეიძლება „ორგანული მთლიანობის“ მიღწევა და ა. შ.

წინასწარ უნდა განვაცხადო: თუ გურამ პეტრიაშვილმა სერიოზულად დაწერა ის სიტყვები, რომლებიც ჩვენ აქ ლექსთან დაკავშირებით წავიკითხეთ, მაშინ მის ლიტერატურულ გემოვნებას მე ვერ გავიზიარებ.

რატომ?
თუ ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაში „კალიები“ „ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია“, მაშინ ჩვენს დისკუსიას აზრი არა აქვს.

შევიცდები დავასაბუთო, რომ „კალიები“ სუსტი ლექსია.

გ. პეტრიაშვილი წერს: „რიტმი, სიტყვა, განწყობილება, სურათები, ყველაფერი კარგია...“

რიტმიდან დავიწყეთ:

ა) რიტმი სხვისია; (იხ. ალექო შენგელია, ერთობეული, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1969, გვ. 7).

ლექსს ჰქვია „ანდერძი“.
მოვიყვან ერთ სტროფს:
თუ დაეცე, —ნუ მითრებთ დანანებით,
ნაღველს გულში არასოდეს გაივლებდი,
საქართველოს ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ თქვენი ფერის ყვეალები.
ამ ლექსის მიხედვით შექმნილ სიმღერას ხშირად გადმოსციმს საქართველოს რადიო.

ბ) მ. ჩიტიშვილის ლექსში სიტყვას დაკარგული აქვს ფუნქცია: „გულში მტრობას არავისას გაივლებენ გრძელკანჭება, გულკეთილი კალიები“.

როცა ავტორმა გვითხრა: „გულში მტრობას არავისას გაივლებენ...“ ჩვენ უკვე გავიგეთ, რომ კალიები „გულკეთილი“ არიან და არა „გულბოროტნი“.

რენე პალანდია
„ბათგალისწინება“ თუ... კოიზიზა

გ) განწყობილება ხელოვნურია: „თვალს ნაბავენ უინით მელდე-ხვალეობი“.

1. გ. პეტრიაშვილია კარგად იცის, რომ სიტყვა „რეკვიზიტს“ მრ. რიცხვი არა აქვს, მაგრამ რატომღაც ავიწყდება, რომ სიტყვა „თვალს მრავლობითი რიცხვიც გააჩნია. საქირო იყო თუ არა „თვალებს ნაბავენ“ თუ იმ კალიებში მართო ერთი იყო თვალხილული. და ისიც ცალთვალა?

2. გაუგებარია „უინით მელდე-ხვალეობი“.

ა) რატომ დეფისით?

ბ) „მედღეხვალეი (მედღეხვალისა) საუბ. ვისაც ჩვევად აქვს საქმის სახვალეოდ გადაღება,— ზარმაცი. (ქართ. ენის განმარტ. ლექსიკონი)

გამოდის უინით ზარმაცი კალიები?..

ესაა გ. პეტრიაშვილის „უველაფერი კარგია“?

სად ხედავს იგი „აღქმის ობიექტური კანონების გათვალისწინებით განლაგებულ“ სიტყვებს?

რაც შეეხება გ. პეტრიაშვილის: „სხვათა შორის ის, რომ ლექსი როგორღაც განსაკუთრებულ ფუნქციას მოითხოვს გეტორს თვითონაც კარგად აქვს ნაგრძნობი: ამიტომაცაა რომ ბოლო სტრიქონში ერთი სიტყვა დატოვა: „კალიები“. ანით მას სურდა ჟღერებინა ლექსის სწრაფი ქროლვა და ამით მოეცა ფინალისთვის დრამატიზმი. ეს მართლაც კარგად მოახერხა“.

გ. პეტრიაშვილს დაავიწყდა საკუთარი სიტყვები: „მთავარია პასუხისმგებლობის გრძნობა“ და ახალგაზრდა პოეტის ერთ-ერთ სუსტ ლექსზე ის წერს, როგორც შექსპირის რომელიმე ტრაგედიაზე.

3. მხედველობიდან გამორჩა, რომ „ბოლო სტრიქონში ერთი სიტყვა „კალიები“ დატოვებულია არა იმისათვის, რომ „ამით მას სურდა უცებ შეეჩერებინა ლექსის სწრაფი ქროლვა“, არამედ პოეტების ენაზე ამ სიტყვას „რეფრენი“ ჰქვია, ხოლო სიმღერების ტექსტების ავტორები და კომპოზიტორები მას „მისამღერს“ უწოდებენ...“

4. მ. ჩიტაშვილის „კალიები“ კომპოზიტორებისათვის არის გათვალისწინებული. ეს საიდუმლო არაა. ამ ლექსში შემოიპარა მელოდია და ავტორმა ლექსი ისე დაწერა, რომ მას „ერთ-ერთი საუკეთესო ლექსის“ დაწერის პრეტენზია არც კი ჰქონია.

ერთ თანამედროვე ფრანგ მწერალს აქვს რომანი („ავადმყოფობა —მელოდია“).

„ავადმყოფობა —მელოდია“ პოეტების ხშირი სტუმარია.

ახლა კი, ლექსის შინაარსობრივი მხარეც განვიხილოთ:

1. კალიების „სერენადებთან“ დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ ი. აკიმუშინის: „ჩის გამხმარ ტანსა და ტოტზე ნისკარტით აკაჟუნე-

ბენ სარქანდებს კომალეში მეგობრის დასატკობად. უველა კოდალას, აკუნს, სპაჟ, მარნი რიტმი აქვს. ურტუამს ნისკარტს და ხსს რხევაც ამ დარტყმა-სისხმარს ღიხსხსონს შეეხებაშება. დარტყმათა შორის შუალედთა ვარიაციებით, გაბმული აკუნით და ამ „მუსიკის“ ნაირგვარი „ორკესტრირებით“ კოდალებს შეუძლიათ ბევრი რამ აცნობონ მეგობარსა თუ მეტოქეს თავიანთ ზრახვათა შესახებ“.

2. სატოფოს სარკმელს სერენადებს

უმღერებენ,

მზით ივსება ფაცხები და ნალიები...

გადავფურცლოთ ლექსიკონი:

ა) „ფაცხა (ფაცხისა) „წნული სახლი“ (სახა), —უჭერო და უიატაკო ქიხი ისლით, ჩალით, და მისთ. დახურული“.

ბ) „ნალია (ნალიისა) ძვი: „სალომე ხახლი, ფაცხა, (სახა) კუთხ. (იმერ. გურ.) იგივეა, რაც სასიმინდე“.

მინდა ვკითხოთ: როდის მერე გაუნდა მეგრულ ფაცხებსა და იმერულ-გურულ ნალიებს სარკმელი?.. ვინ მიახსენებს: ლექსის ავტორი თუ ინტერპრეტატორი?..

პირადად მე ფაცხებისა და ნალიების სარკმელი არ მინახავს. მესხიარებას ვერ ვენდო და წიგნშიც ჩავიხადე: „მასალები საქართველოს შინამრეწველობის და ხელოვნობის ისტორიისათვის“, (გამ. „მეცნიერება“, 1976, ტ. I) იქ, სადაც ფაცხებზე და ნალიებზეა (გვ. 385-413) საუბარი, ვერავინ წაიკითხავს, რომ ფაცხას და ნალიას აქვს სარკმელი.

3. ეჭვი გამიჩნდა, რომ ლექსის ავტორს და გ. პეტრიაშვილს არასწორად ესმით სიტყვა „სერენადას“ მნიშვნელობა.

რადგან სტატიის ავტორი წერს: „მწერლის შრომით იარაღებში ფურცელთან და კალმისტართან ერთად აუცილებლად შედის ლექსიკონები და ცნობარები“-ო მეც დავუჭერე და „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“ მივმართე, მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონიც“ გადავშალე... ორივე ლექსიკონმა მითხრა: „სერენადა“ ფრანგული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „კონცერტს“ (სიმღერას), რომელსაც მუსიკალურ საკრავზე ასრულებენ ღამით და ცის ქვეშ, მისი სარკმლის ქვეშ, ვისღამი პათივისცემის გამოხატვა სურთ: (ენციკლოპედიური ლექსიკონი „დღი ლარუსი“, პარიზი, 1970 წ., ტ. IX, გვ. 783).

მაქვს შეკითხვა: რატომ მღერიან „შუადღის მზეზე“ სერენადებს ახალგაზრდა პოეტის კალიები?

იციან თუ არა მ. ჩიტაშვილია და გ. პეტრიაშვილია, რომ „შუადღის მზის“ ეამს „სერენადის“ ქვეყნებში სიესტა?

ასე რომ, „გრძელკანჭება, გულკეთილი კალიები“ ამაოდ დაშვრნენ.



აღბათ გახსოვთ, მკითხველო, რომ გ. პეტრიაშვილის წერილის ქვესათაურის („ლექსი—ორგანული პოეტური მთლიანობა“) შესახებ ლაპარაკს ვაპირებდი. წერილი ისედაც გამიგრძელდა და სიმართლე რომ ვთქვა, ამ საუბრისათვის გვერდის ავლაც კი ვიფიქრე, მაგრამ არ გამოვიდა... დაპირება მოითხოვდა, რომ მეტყვა.

გ. პეტრიაშვილის პირველ წერილში (გვ. 119) ვკითხულობთ: „ახლა ჩემს კოლეგებს მთლიანობათ და შენიშვნებზე უნდა გადავიდეთ“.

მეორე აბზაცი: „...ეს ლექსები, როგორც ვთქვი, ორგანულ მთლიანობებს წარმოადგენენ“.

მეოთხე: „...მაგრამ ის კი მოეთხოვება პოეტს, რომ ყოველი ლექსი თავისთავადი მთლიანობა იყოს“.

მეხუთე: „...ლექსების დიდი ნაწილი არ წარმოადგენს ორგანულ პოეტურ მთლიანობებს... ვის კრებულშიც ლექსების უმრავლესობა მთლიანობებია“.

მეექვსე: „ჩვენი“ გული, გრძნობა და გონება“ ისეა მოწყობილი, რომ ყველაზედ უკეთ ორგანული მთლიანობა ახდენს ჩვენზე შთაბეჭდილებას...“

მეშვიდე: „ამიტომაც ყოველ ლექსში უნდა ვეცადოთ ორგანული მთლიანობის მიღწევას“.

მე მხოლოდ იმ რამდენიმე „ორგანული მთლიანობის“ ციტირება გადავწყვიტე, რომლებიც შეზობლად იმყოფებოდა.

საჭირო იყო თუ არა გ. პეტრიაშვილს „ობიექტური კანონების გათვალისწინებით“ აღნიშნა თომას მანის რუსული ათომეული მე-10 ტომის 78-ე გვერდი, სადაც წერია:

«Ибо какие принципы определяют существо поэта, писателя? Мысль и

форма — то и другое сразу, временно. Свообразие здесь состоит в том, что обе они составляют для него ОРГАНИЧЕСКОЕ ЕДИНСТВО, в котором одно обуславливает, подразумевает, утверждает другое. Это единство для него интеллект, красота, свобода, все».

ერთხელ მაინც ხომ უნდა ეთქვა, რომ გამოთქმა „ორგანული მთლიანობა“ თომას მანს ეკუთვნის?..

გ. პეტრიაშვილი წერს: „რაც შეეხება ანგელოზს, მცდარად ჰგონიათ, რომ ის მოდის და თავიდან ბოლომდე ჰკარნახობს ლექსს პოეტს. ის გამოიფრენს და ერთ-ორ სიტყვას გადმოუგდებს ავტორს, ან რაღაც მოტივს წაუშლერებს, ან რაღაც სურათს დაუყენებს თვალწინ და ახლა სხვასთან გაფრინდება. დანარჩენი პოეტის ვაჟკაცობაა“ („ციცკარი“, № 2, 1983, გვ. 124).

პოლ ვალერი წერდა: „მოწყალე ღმერთი (მუჟა) მუქთად გვთავაზობს ხოლმე ერთ სტრიქონს, მეორე კი ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ, რომელიც არა მარტო უნდა ერთმეზობლად პირველს, არამედ ამ თავისი ზებუნებრივი ძმის ღირსიც უნდა იყოს. საჭიროა ჩვენი სულის ყველა უნარი, მთელი ჩვენი გამოცდილება, რათა ერთმანეთს დავაშავავსოთ ისინი...“ (პ. ვალერი, „რვეულებიდან“, „საუნჯე“, № 1, 1982, გვ. 289).

ჩემი აზრით, კობა არაბული ის პოეტია, რომლის „შემთხვევით გამორჩენა“ წერილის ავტორს არ ეპატიება.

დასასრულ, გ. პეტრიაშვილს ფ. ფელინის ერთ საინტერესო წინადადებას შევთავაზებდით: „ნეორეალიზმი ჩემთვის — ესაა რეალობასთან პატიოსანი მიდგომა, ყოველგვარ რეალობასთან“.

ვაჟა ხორნაული

მათი გზა პრაქსის იქნება აღვილი

გულახდილად უნდა ითქვას, რომ დისკუსიის მონაწილენი (თეიმურაზ დოიაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, გივი აღმაშვილი) ძალზე რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ; ეს სირთულე კი შემდეგში მდგომარეობას: ლიტერა-

ტურული პროცესის განუწყვეტელი, საინტერესო მიზეზებითა და მიგნებებით აღბეჭდილ ატმოსფეროს თან ახლავს ახალი სახელების მომრავლება; ყოველ წელიწადს გამოდის ოცი (ზოგჯერ უფრო მეტიც) პირველი წიგნი, რო-



მელთაგან ძალიან ბევრი, მათ შორის საინტერესონი, შეუფასებელი რჩება; ამ მრავალი წიგნიდან ზოგიერთი იმდენად სუსტია, რომ მათი სამწიფო გამოჩენა, არც მეტი და არც ნაკლები, გულსატკენ კუროსად უნდა ჩაითვალოს. ყოველ წელიწადს ოცი წიგნი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქმის სადღაც, ჩვენს სიახლოვეს, არსებობს ახალგაზრდა მწერალთა ინკუბატორი, სადაც ნებისმიერ წელიწადს ოცი-ოცდახუთი დამწეები ავტორი იჩიკება, ხოლო ამის მიერ გამოღებული გზებით ეგონება მკითხველთა საზოგადოების, რომელიც ასეთი წინასწარ გაანგარიშებული სიმრავლის გამო ერთდროულად დაბნეულიცაა, გაოცებულიც და სამართლიანად აღშფოთებულიც!

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ერთი უბრალო და მარადიული ჭეშმარიტება: პოეტებად („პოეტებს“ ამიტომ ვამბობ, რომ ღისკუსის საგანია ამჯერად პოეზია გახსნავთ) იხადებიან და ძნელია, იწინასწარმეტყველო, თუ რამდენი ახალგაზრდა მწერალი მოგვევლინება ამა თუ იმ წელს; ე. ი. თუ ეს ფაქტი იქნება გათვალისწინებული და მასზე დაუკრძნობით მხოლოდ ის წიგნები გამოიცემა, რომლებიც ამას იმსახურებენ, მაშინ ასეთი კანონზომიერი პროცესის მოწმენი გავხდებით: დაკანონებული რიცხვი „ოცი“ ერთ წელს „ხუთით“ შეიცვლება, მეორე წელს — „სამით“, მესამე წელს — „შვიდით“, ზოგჯერ — „ნულითაც“... ნებისმიერი გამომცემლობა მხოლოდ ამ პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრინციპი ხშირად ირღვევა და ჩვენს მიერ ნახსენები რთული პრობლემის სათავეც აქაა საძიებელი...

ღისკუსიაში მონაწილეთა წინაშე მდგარი რთული პრობლემის გადაწყვეტა დიდ სიფრთხილსა და, რაც მთავარია, დიდ შრომას მოითხოვდა...

მკითხველთა მრავალათასიანმა აუდიტორიამ კიდევ ერთხელ იგონა, რომ ახალგაზრდა პერსპექტიული პოეტები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც პოეტური ოსტატობით, ასევე სამყაროსთან დამოკიდებულებით, ხოლო თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ავტორები ჯერ კიდევ საკუთარი სტილის ძიებისა და დამკვიდრების პროცესში იმყოფებიან, მაშინ ესეც უნდა ვივარაუდოთ: მომავალში, მათი ხელწერა უფრო ორიგინალური იქნება...

ახალგაზრდა მწერლისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ისეთ კრიტიკას, რომლის ერთადერთ პრინციპსაც მხოლოდ სიმართლის (თუნდაც მწარე სიმართლის) თქმა წარმოადგენს; ჩვენ ხშირად გვხვდება, რომ პოეტი-

სათვის ყველა ლექსი ზვილივით ძვირფასია; ამიტომაც კრიტიკის ვალია, ვინც იმდენად ტარს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მწიფე მითითობს და ამით ხელი შეუწყობს მისი შემოქმედებითი გზის განვითარებას; ალბათ, ყოველივე ამას ითვისებდნენდა თემურაზ დოიაშვილი, როდესაც წერდა: „კეთილგანწყობილების ნაწინა, უმცირესი ღირსებების გამოძენა და მათს გარშემო სიტყვიერი არაბეჭების მოქარგვა სიკეთეს არ მოგვიტანს. კრიტიკოსის გულის სიბოზ და მხარდაჭერა არ უშველის ახალგაზრდა ავტორს, თუ აქტუალური თემა ტრაფარეტულად არის დამუშავებული...“ მეც სწორედ ამ აქტუალურ თემასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა... ზოგჯერ ჩვენი თანამედროვე მწერლები, მათ შორის ახალგაზრდები, ამ თემას ზერემდე, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან და ამით იმ ჭეშმარიტ პოეზიას ღალატობენ, რომელსაც ბრძენმა წინაპარმა ჭოჭოხეთურ პირობებშიაც კი უერთგულა; არა მარტო მშობლიური, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაც გვახსოვს, რომ ყველაზე დიდი, აქტუალური თემა აღაშინა; მისი შინაგანი სამყარო, ასე რთული და ამოუწურავი, უნდა იყოს მწერლის საფიქრალი; ასეთ აღაშინა კი ხად არ შეხვდებით: მთაში თუ ხარში, ხარაჩოზე თუ საქეთთან, ავადმყოფის სარეცელთან თუ ტაძართან...

სამწუხაროდ, ხშირია ფაქტები, როდესაც აქტუალური თემის ზედპირულად დამუშავებელ ავტორებს მწვანე შუქს უნთებენ, მათ მიერ სახელდახელოდ გართომული სადღერძებლოები თუ ლოზუნგები ხშირად ისმის, როგორც რადიოდან და ცისფერი ეკრანიდან, ასევე ლიტერატურული (თუ არალიტერატურული) ორგანოების ფურცლებიდან...

წარმოები, რომელიც ჭეშმარიტი პოეზიის მადლითაა გასხივოსნებული, უკვე აქტუალურია, ვინაიდან მისი წაკითხვის შემდეგ აღაშინის სულიერი სამყარო უფრო მდიდარი და ნათელი ხდება, ხოლო თუ ამ უბრალო და ძველისძველ ჭეშმარიტებას გავითვალისწინებთ, მაშინ ჩემთვის, შავლითად, მანანა ჩიტიშვილის ეს სტრიქონები:

ჩაებებთან დუელში მთები,
გადაპლობენ ელვის რაპირებს...
მზე ამომღერე, თუ შეგიძლია,
ამ სალამურებს რისთვის ატირებ...

უფრო აქტუალურია, ვიდრე თემურაზ დოიაშვილის წერილში მოხმობილი ზოია ვაჟაიძის სიტყვები:

არა, ქოლგას არ დავიჭერ ხელში, —
მსურს ლაქვარდი წამწამებზე მეფინოს
და ვიწვოდე საქართველოს მზეში.



დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას პატრი-
ოტულ თემთან დაკავშირებით; მე, როგორც
მკითხველს, არაფერა მჭერა იმ პოეტისა, რომელ-
მაც სამშობლოს ბრძანება (ლამას ვიკლითაც
კი), მთელი ქვეყნის განსჯამად უფიცვას სთუ-
ვარულს. ძალიან ადვილია, ტრანზიონდან დაძა-
ბო უკვე შეხდონად ქვეყლი ფიცი („ჩემო სა-
მშობლოც, მე შენ მიყვარხარ“!), მაგრამ ბევრად
უფრო ძნელია, ღაწერო ასეთი სტრიქონები
(რომლებშიც მშობლიური მიწის სიყვარული
ტიკვილამდე განცდილია):

როგორც ვილინოს სიმი,
მიდიოდა სხივი ხსულზე
და ნიავის შეხებაზე
მამულის ხმებს ვამოსცემდა...

(ბესიკ ხარაიული)

თეიმურაზ დოიაშვილის წერილში მრავალი
საუბრადღესა მოსაზრებია გამოთქმული, მაგ-
რამ ერთი წერილი, რომელშიც დაახლოებით
ოცამდე ავტორზეა ლაპარაკი. შეუძლებელია,
ხარვეზებისაგან დასდევული იყოს; მე, შეიძ-
ლება ვცდებოდე, მაგრამ მიმაჩნია, რომ მან
შედამტო სემპირე ვამოიწინა, იმედი ჭახუხა
და გურამ ვიოგობიანის მიმართ...

თეიმურაზ დოიაშვილისა და გურამ პეტრია-
შვილის წერილები ერთმანეთს ავსებენ, მათ
ხევის შეხების წერტილია აქვთ. უფრო პეტრია-
შვილი, რომელიც ხშირად დაკონიურად, ხელ-
რამდენიმე სტრიქონში ახერხებს ავტორის დახა-
სიათებას, გრძობს, რომ შეეცდომებისაგან არა-
ვანა დასდევული და გულწრფელად აცხადებს:
„შეიძლება ვინმე არ დამეანხმოს ლექსების
შეფასებაში და მათზე მსჯელობაში. ეს მე არც
გამიკვირდება და არც მეწყინება. დისკუსია
იმისა, რომ გამოვთქვათ ჩვენი აზრები და,
თუ საჭირო იქნება, ვიკამათოთ კიდევ“.

წერილში „საიმედო ხმები“ გურამ პეტრია-
შვილს რამდენიმე ხადავო საკითხთან დაკავში-
რებით ეკამათება გვი აღმაზიშვილი; მე, რო-
გორც მკითხველს, მომწონს მისი კამათის ტონი,
მისი გულიხსნიერი დამოკიდებულება, როგორც
კოლეგის, ისე იმ ახალგაზრდა პოეტებისადმი,
რომელთა შემოქმედებასაც იგი განიხილავს;
იგრძნობა, რომ გვი აღმაზიშვილია გათვალის-
ხინა თეიმურაზ დოიაშვილისა და გურამ პეტ-
რიაშვილის წერილების დადებითი და სუსტი
მხარეები. ამიტომაცაა, რომ მის წერილში, დასკე-
ნის სახით, გამოთქმულია უთუოდ საინტერესო
მოსაზრება, რომელიც ნათლად წარმოგვისახავს
ახალგაზრდული პოეზიის საერთო დონეს; კერ-
ძოდ, იგი წერს: „ახალგაზრდა პოეტების შე-
მოქმედება მრავალმხრივია და საინტერესო.

მიუხედავად იმისა, რომ განხილულ პოეტებს
ხევის რამ აქვთ საერთო, ძირითადი მხარე
დასხვავდებიან ერთმანეთისაგან. იგრძნობს
რომ, რაც მათ წინგებში შეიმჩნევა, წინა თა-
ვის პოეტთა მხატვრულ გამოცდილებათა დამე-
ვიდრებასა და განვითარებისას იგრძნობს. სტე-
რა, რომ ბევრი მათგანი ამ ცდუნებას თანდათან
დააღწევს თავს და საკუთარ გზას უკეთ ვამოყ-
ვეთს. ჩემი აზრით, ზოგიერთი ახალგაზრდა პო-
ეტის ვერლიბრში კარბობს გაუმართლებელი,
თვითმიზნური ფილოსოფიურობა, უღოვაციო
მსჯელობა, მრავალხიტუვაობა, რაც თავისთავად
ანულებს პოეტურ განცდას და აღუნებს ლექსას
მთლიან დინამიკას. ვერლიბრში, აღბრა, ახალი
გზებია საძებნი, რათა ახალგაზრდა პოეტებმა
დაძლიონ სტერეოტიპი, რომელიც, კარგა ხანა,
შეიქმნა...”

გვი აღმაზიშვილის ამ აზრს მე ორიოდ
სიტყვით გავაყრდელიებ: არა მართო ვერლიბრ-
ში, არამედ რითმინი ლექსის ხფეროშიც ახალი
გზებია საძებნი; აქაც მრავალი სტერეოტიპუ-
ლი მოდელი არსებობს, რომელთა დაძლევა და
გადალახვა ისევ და ისევ ახალგაზრდული პოე-
ზიის ნიჭიერმა წარმომადგენლებმა უნდა ვან-
ხორციელონ ამ მხრივ საინტერესო მიგნებები
შეამჩნევა მანა ჩიტეშვილისა და ვახტანგ ხა-
რჩილავას პირველ პოეტურ კრებულებში...

თორა კილაძე ერთგან ამბობს:

და ერთად შეკრულ ცრემლსა და ღიმილს
აღამიანის ცხოვრება ჰქვია.

სწორედ ამ ერთად შეკრული ცრემლისა და
ღიმილის“ იღუშალ სილამაზეს გვაგრძნობინებენ
საკუთარი სიმაღლის მქონე მწერლები; ახალგა-
ზრდა ავტორებმაც აღამიანის სულიერ სამე-
როში უნდა ეძებონ ახალ-ახალი ნაპირები და
კუნძულები; ამ ძიებას, დიდ სიხარულთან ერ-
თად, ლამაზი შემოქმედებითი ტანჯაც ახლავს.
რომლის გარეშეც ლიტერატურა წარმოუდგე-
ნელია.

ურნალ „იციკის“ ფურცლებზე გამართულ-
მა დისკუსიამ მე კიდევ ერთხელ დამარწმუნა:
ახალგაზრდული მწერლობის ნიჭიერმა წარმო-
მადგენლებმა იციან კემპარტიო სიტყვის ფასი;
იციან, რომ მათი კუთვნილი გზა არასოდეს იქ-
ნება ადვილი... მათთვის ერთადერთი მომგები-
ნი თემა აღამიანის სიყვარულია, რაც სამეაროს
სიყვარულსაც გულისხმობს; თავიანთ უფროს
კოლეგებთან ერთად, ისინიც მოკრძალებულ
წვილის შეიტანენ იმ უღამაზესი ტაძრის მშე-
ნებლობაში, რომელსაც მშობლიური ლიტერა-
ტურა ჰქვია...



წერილი რედაქციას

მინდა რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვა გვიც ალბაზიშვილის წერილის („ცისკარი“, № 3) ბოლო კვითაზე, სადაც იგი გურამ პეტრიაშვილის სტატიას აკრიტიკებს. გ. პეტრიაშვილის ეს სადისკუსიო სტატია „ცისკარში“ ერთი ნოზრით ადრე გამოქვეყნდა და, სხვათა შორის, იგი ჭრბ დამთავრებული არ იყო, რასაც გვაუწყებდა სათაურის ქვეშ მინაწერი „წერილი პირველი“.

გ. ალბაზიშვილი ბოლო აბზაცში აღნიშნავს: „მე იმის თქმა არ მინდა, რომ არ გავარჩიოთ ავი და კარგი. უნდა გავარჩიოთ, მაგრამ როგორ? ალბათ უნდა გავანალიზოთ და წარმოვანიშნოთ პოეტური ნაწარმოების თავისებურებანი, მხატვრული ტენდენციები. მხოლოდ იმის შტაკიცება, რომ „არ მომწონს,“ „ცუდია,“ „ძალიან კარგია“ არაფერს მოგვცემს“.

აქედან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: გ. ალბაზიშვილის აზრით, გ. პეტრიაშვილი უყოველგვარი ანალიზის გარეშე აფასებს განსახილვე ნაწარმოებებს. გ. პეტრიაშვილის წერელი კი სწორედ კონკრეტული და ღრმა ანალიზით გამოირჩევა. თვითონ გ. ალბაზიშვილიც ცოტა ზემოთ სრულიად გარკვევით აღნიშნავს ამას. კერძოდ იგი წერს:

გ. პეტრიაშვილი „ვრცლად მიმოიხილავს რამდენიმე ახალგაზრდა ავტორის წიგნს, დაწვრილებით ანალიზებს უყოველ ნიუანსს, უყოველ სტრიქონს და რჩევა-დარიგებას აძლევს ავტორებს“.

კი მაგრამ, როგორ შევუთანხმოთ ერთმანეთს ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება?

როგორც ჩანს, გ. ალბაზიშვილი უკმაყოფილოა ზოგიერთი კრებული შეფასებით. ამას გვაფიქრებინებს ფრაზა, რომელიც უშუალოდ მოსდევს ზემოთ ციტირებულ სტრიქონებს: „იგი (გ. პეტრიაშვილი) ზოგიერთი წიგნის განხილვისას ჩქარაობს და მხოლოდ ერთი ან ორი სიტყვით შემოიფარგლება: „კარგია,“ „ეს ცუდია“, „კარგია კრებულის მშვიდი სტრიქონები,“ „მეც მომეწონა“.

გ. ალბაზიშვილი არ ასახელებს, რომელი წიგნის თუ ლექსის ანალიზი ან შეფასება არ აკმაყოფილებს მას, მაგრამ ზოგიერთი მათგანის გამოცნობა ძნელი არ არის. კერძოდ, ფრაზა — „კარგია კრებულის მშვიდი სტრიქონები“ — გ. პეტრიაშვილს იქ უწერია, სადაც იგი რამინ ამონაშვილის წიგნზე საუბრობს. მაშასადამე, გ. ალბაზიშვილის აზრით, გ. პეტრიაშვილი „აჩქარებულა“ რ. ამონაშვილის წიგნის განხილვისას და „მხოლოდ ერთი-ორი სიტყვით შემოფარგლულა“, რაც არ შეეფერება სინამდვილეს: რ. ამონაშვილის ლექსების გარჩევას გ. პეტრიაშვილის წერილში უურნალის ერთი გვერდი ეძღვნება (პეტიტიო აწყობილი) და ანალიზი აქაც უადრეხად კონკრეტულია.

„მეც მომეწონა“ — ამ სიტყვებს გ. პეტრიაშვილის წერილში ორჯერ ვხვდებით. პირველად — ნუგზარ კობერძის წიგნზე საუბრისას: „მეც მომეწონა თ. დოიაშვილის მიერ ციტირებული ლექსი,“ — წერს გ. პეტრიაშვილი. ესე იგი, აქ ის ეთანხმება თ. დოიაშვილის ანალიზს, ამიტომ „აჩქარებულა“ და „მხოლოდ ერთი ან ორი სიტყვით შემოფარგლულა“ ლაპარაკი, ამ შემთხვევაში, ვაუგებარია. რას ნიშნავს ან ვის ეხება იგი? გ. პეტრიაშვილს თუ თ. დოიაშვილს, რომელიც იმ ლექსს, გ. პეტრიაშვილსაც რომ მოსწონებოდა, ჩემი აზრით, დამაჭრებლად ანალიზებს. გარდა ამისა, გ. პეტრიაშვილი აქვე გვპირდება ამ ლექსს შემდეგშიც დავუბრუნდებითო (გვ. 112). ამიტომ იყო საჭირო, დავლოდებოდით ამ წერილის სრულად დაბეჭდვას და, თუ მაინცდამაინც, შემდეგ გვეკამათა.

„მეც მომეწონა“ — ამ სიტყვებს გ. პეტრიაშვილი მეორედ შუკო ჭიჭიას ლექსებზე საუბრისას ამზობს (გვ. 113). აქაც ანალიზატორი ვითარებაა, გ. პეტრიაშვილი ისევ თ. დოიაშვილის იმომებს და წერს: „შუკო ჭიჭიას კრებულის შეფასებაში მე შელანანად დავეთანხმე თ. დოიაშვილს. მეც მომეწონა ალყაშორატყმულთა შეძახილი ერთი ლექსიდან...“ და ა. შ.

იქვე გ. პეტრიაშვილი დაწვრილებით, კონკრეტულად და ღრმად ანალიზებს შუკო ჭიჭიას ერთ მებტად სიანტირესო ლექსს, რომელიც „ცისკარში“ დაბეჭდა რამდენიმე თვის წინ. მარტო ამ ლექსის გულდინჯ ანალიზს უურნალის ნახევარი გვერდიზე მეტი უჭირავს (შ. ჭიჭიას ლექსებს გ. პეტრიაშვილის წერილში თითქმის სამი ხვეტი ეძღვნება), ამიტომ „ნაჩქარევ“ დასკვნებსა და „მხოლოდ ერთი-ორი სიტყვით შემოფარგლულა“ საუბარი ამ შემთხვევაში უმართებულა.

ხველას უჭირვდება არ დაეთანხმოს გ. პეტრიაშვილის ანალიზსა და შეფასებებს (პირადად მე ისინი დამაჭრებლად მიმაჩნია), მაგრამ კონკრეტულ ანალიზს ისევ კონკრეტული ანალიზი უნდა დაუპირისპირდეს. გ. ალბაზიშვილი კი ახე არ იქცევა. მას არც კი უცდია გ.



პეტრიაშვილის რომელიმე კონკრეტული ანალიზის განხილვა და გაბათილება. სამაგიეროდ იგი თითქმის სიტყვა-სიტყვით არჩევს რამდენიმე წოგად დებულებას, რომლებიც გ. პეტრიაშვილის წერილის შესავალ ნაწილში გვხვდება და სადაც, ჩემი აზრით, არაფერია საკამათო, რადგან საქმე გვაქვს საყოველთაოდ ცნობილ, გაზიარებულ და აღიარებულ მოსაზრებებთან. გ. პეტრიაშვილი წერილის დასაწყისში ერთხელ კიდევ შეგვახსენა ისინი, რათა ნათლად მიენიშნებინა, რა პოზიციიდან აპირებდა იგი ახალგაზრდა პოეტთა შემოქმედების განხილვას. ძირითადი აზრი გ. პეტრიაშვილის წერილის შესავალისა (საიდანაც ვრცელი ამონაწერი მოაქვს გ. ალხაიშვილს) ის არის, რომ მაღალმხატვრული პოეტური ნაწარმოებების შესაქმნელად მარტო ბუნებრივი ნიჭი არ არის საკმარისი, საჭიროა დაუღალავი მუშაობა პოეტური ოსტატობის დასაუფლებლად. იმის ნათელსაყოფად, რომ გ. ალხაიშვილის კამათი თვითმიწიურია. მოვიტან ორიოდ ნიმუშს.

გ. პეტრიაშვილი წერს: „რადგან ახლა შემოქმედების ფსიქოლოგიაში ჩასაღრმავებლად დრო და ადგილი არა გვაქვს, ამიტომ ზოგადად ვთქვათ, რომ პოეტური ნიჭი არის უნარი სამყაროსთან პოეტური მიმართებისა...“

„რას ნიშნავს „სამყაროსთან პოეტური მიმართება“? — კითხულობს გ. ალხაიშვილი და განაგრძობს: „იდემალისკენ სწრაფვას? შეუცნობელის შეცნობის გამაფრებულ სურვილს, ენით უთქმელი განცდების პოეტურ ენაზე ამეტყველებას? მრავალი რამ შეიძლება ჩამოვთვალოთ, მაგრამ გარკვეულ, დაზუსტებულ პასუხს ვერავინ იტყვის“.

სამყაროსთან პოეტური მიმართება ნიშნავს... სამყაროსთან პოეტურ მიმართებას; ისევე როგორც სამყაროსთან მეცნიერული მიმართება, სხვა არაფერია, თუ არა სამყაროსთან მეცნიერული მიმართება, ან, როგორც სამყაროსთან მერკანტილური მიმართება სხვა არაფერია, თუ არა სამყაროსთან მერკანტილური მიმართება. სამყაროსადმი პოეტური მიმართება გამორიცხავს როგორც მეცნიერულ, ასევე მერკანტილურ მიმართებასაც. ვისაც ზოგადად მაინც ემის მნიშვნელობა სიტყვებისა — „პოეტური“, „მეცნიერული“, „მერკანტილური“, მისთვის გ. პეტრიაშვილის განცხადებაში გაუგებარი არაფერი იქნება. „სამყაროსთან

პოეტური მიმართება“ არის ის, რასაც ისტორიკოსი შეისწავლის.

ან განა შეიძლება საკამათოდ ვაქციოთ გ. პეტრიაშვილის მიერ გამოთქმული ასეთი უწყინარი აზრი: „მაგრამ პოეტი წერს სხვისთვის — მკითხველისთვის. და მისი საბოლოო მიზანი ისაა, რომ მკითხველს გადასცეს თავისი გულის ღელვა“.

გ. ალხაიშვილი წერს: „მთელ ამ ვრცელ ამონაწერში, რომელიც გავანალიზე, ერთმა სიტყვამ მომპრა კური, რომელსაც გ. პეტრიაშვილი მრავალჯერ იმეორებს: გათვალისწინებული იქნას აღქმის ობიექტური კანონები“. „გათვალისწინება“ თვითმიწიურად არ უნდა იქცეს, თორემ პოეტი დაკარგავს იმ თავისუფლებას, რომელიც შემოქმედებით პროცესს ახაზრდობს“.

აქ პოეტური თავისუფლების, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალიან თავისებურ გაგებასთან გვაქვს საქმე. ყველაფრისაგან შეიძლება იყოს თავისუფალი პოეტი, მაგრამ იგი თავისუფალი ვერ იქნება თავისი საქმისადმი კეთილსინდისიერი და მოკიდებულებისაგან. ამის ბატონის ნიშნებს მოიხივებს გ. პეტრიაშვილი. ამიტომ წერს იგი: „...აღქმის ობიექტური კანონების გათვალისწინებით წერას ოსტატობა ჰქვია... ოსტატობაზე ზრუნვა პოეტისა და მკითხველის გულების ზნაშეწყობილ ფეთქავზე ზრუნვაა. ოსტატობაზე ფიქრი სხვაზე ფიქრია. მაშასადამე ოსტატობა ზნეობრივი ცნებაა. და ამრიგად, ყველა ლიტერატორის ზნეობრივი მოვალეობაა იზრუნოს საკუთარი ოსტატობის ზრდაზე...“

რა შეიძლება ვინმეს ჰქონდეს იმის საწინააღმდეგო, რაც ახლა აქ გ. პეტრიაშვილი თქვა! მაგრამ გ. ალხაიშვილი აქაც ახერხებს კამათის გაშლას. იგი წერს: „ვერც იმაში დავეთანხმები გ. პეტრიაშვილს, რომ „ოსტატობა ზნეობრივი ცნებაა“ და სხვა არაფერი (ჭერ ერთი, გ. პეტრიაშვილს არ უთქვამს ოსტატობა სხვა არაფერია — ლ. ბ.) რადგან მრავლად არსებობს ოსტატურად დაწერილი უწინეობანი. თუ ოსტატურად შეიძლება აისახოს უწინეობა, ოსტატობა ზნეობრივი ცნება აღარ იქნება“.

კი მაგრამ როგორ მოვიქცეთ? რაკი „არსებობს ოსტატურად დაწერილი უწინეობანი“, აღარ ვიზრუნოთ ოსტატობის ამღელვებზე? აღარ მივიჩნიოთ ოსტატობის ზრდაზე ზრუნვა ლიტერატორთა ზნეობრივ მოვალეობად?

მოკლე განმარტება

„ცისკრის“ მიერ წამოწყებული დისკუსია ახალგაზრდულ პოეზიაზე — ფაქტიურად პირველი ცდა იყო, რომელიც მიზნად ისახავდა მიმოხილვა „ახალწვეულთა“ შემოქმედება, წარმოეჩინა მათი შემოქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეები, უურადღებდა გაემხვილებინა იმ ლიტერატურულ პროცესებზე, რომლებიც მანამდე ფართო მსჯელობის საგანი არასოდეს უოფილა. ის თითო-ორი წერილი, დისკუსიამდე რომ გამოქვეყნდა ახალგაზრდა პოეტების ზოგიერთ წიგნზე, ცხადია, ისეთ ვნებათაღელვას ვერ გამოიწვევდა, როგორც ჩვენს უურნალში გამართულმა დისკუსიამ გამოიწვია.

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ამ დისკუსიაში მეც მივიღე მონაწილეობა და წლები-ვანდელი „ცისკრის“ მესამე ნომერში გამოქვეყნებულ წერილი სათაურით „საიმედო ხმები“. ჩემი წერილის „ბოლო ქვეთავში“ არ გავიზიარე გ. პეტრიაშვილის პირველ წერილში („მშვიდობა თქვენსა მოსვლასა“. „ცისკარი“ № 2) გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება.

„ცისკრის“ ამ ნომერში იბეჭდება ლევან ბრეგაძის წერილი „წერილი რედაქციას“, რომლითაც იგი შეეცადა დაეცვა გ. პეტრიაშვილის დებულებანი. იგი წერს: „გ. პეტრიაშვილის ეს სადისკუსიო სტატია (იგულისხმება გ. პეტრიაშვილის „მშვიდობა თქვენსა მოსვლასა“, წერილი პირველი) „ცისკარში“ ერთი ნომერი ადრე გამოქვეყნდა და, სხვათა შორის, იგი ჭერ დამთავრებული არ იყო, რასაც გვაუწყებდა სათაურის ქვეშ მინაწერი — „წერილი პირველი“.

ლევან ბრეგაძის ეს შენიშვნა ნაწილობრივ მართებულია, ალბათ სჭობდა წერილის დამთავრების მერე შევკამათებოდი გ. პეტრიაშვილს. მაგრამ აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ ეს გარემოება არაფერს შეცვლიდა, რადგან გ. პეტრიაშვილის პირველი წერილი, ფაქტიურად, დამოუკიდებელი ხასიათის იყო. ჩემი წერილის ბოლო ქვეთავი კი ეხებოდა გ. პეტრიაშვილის პირველ წერილის შესავალს, მის თეორიულ ნაწილს.

ლევან ბრეგაძეს ჩემი წერილიდან მოაქვს ორი ციტატი.

1. „მე იმის თქმა არ მინდა, რომ არ გავარჩიოთ ავი და კარგი. უნდა გავარჩიოთ, მაგრამ როგორ? ალბათ უნდა გავაანალიზოთ და წარმოვჩინოთ პოეტური ნაწარმოების თავისებურებანი, მხატვრული ტენდენციები. მხოლოდ

იმის მტკიცება, რომ „არ მომწონს“, „ცუდია“, „ძალიან კარგია“ ვერაფერს მოგვცემს“.


2. გ. პეტრიაშვილი „ვრცლად მიმოხილავს რამდენიმე ახალგაზრდა ავტორის წიგნს, დაწერილებით აანალიზებს ყოველ ნიუანსს, ყოველ სტრიქონს და რჩევა-დარიგებას აძლევს ავტორებს“.

ამ ორი ციტატის წაკითხვის მერე ლევან ბრეგაძეს ებადება ბუნებრივი კითხვა: „კი მაგრამ, როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება?“

„ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი“ მოსაზრება ჩემი წერილის სხვადასხვა კონტექსტიდანაა ამოღებული, ხოლო თუ მათი შეთანხმება საჭირო, ლევან ბრეგაძეს მოვახსენებ, რომ: თავის წერილში — „მშვიდობა თქვენსა მოსვლასა“, ცვრამ პეტრიაშვილს — კრიტიკოსს ზოგჯერ უვლის გურამ პეტრიაშვილი — მორალისტი ე. ი. ის ხან „დაწვრილებით აანალიზებს ყოველ ნიუანსს, ყოველ სტრიქონს და რჩევა-დარიგებას აძლევს ავტორებს“ — ხან ავიწყდება კრიტიკოსის, ლიტერატურის კრიტიკოსის დანიშნულება და მხატვრულ ნაწარმოებს მიმოხილავს როგორც მორალისტი, პედაგოგი (და ა. შ.) და არა როგორც ლიტერატორი. მისი წერილის სწორედ ამ მხარეს ეხებოდა ჩემი სტრიქონები: „მე იმის თქმა არ მინდა, რომ არ გავარჩიოთ ავი და კარგი. უნდა გავარჩიოთ, მაგრამ როგორ?“

რადგან ლევან ბრეგაძეს კონკრეტული საუბარი უყვარს და აღნიშნავს კიდეც, რომ უნდა დაგვეცლია გ. პეტრიაშვილისთვის მეორე წერილის გამოქვეყნება, მოგვიანებით, მაგრამ საილუსტრაციოდ გავიხსენებ რამდენიმე აბზაცს მისი წერილის მეორე ნაწილიდან.

გ. პეტრიაშვილი მიმოხილავს თ. ბაძაღუას „ერთ უსათაურო“ ლექსს — „როგორ გასძელი, გეკითხები, როგორ გასძელი“; იგი წერს: „ამ სტრიქონების აზრი ვასაგებია. ვილადის მიმართავენ, ალბათ, იმიტომ, რომ რაღაც ძნელს გაუძლო იმან. ვნახოთ თუ რას გაუძლო“. მერე კვლავ ლექსია ციტირებული. ანალიზი გრძელდება: „ვაჭლის ღრიანცელში ჩაქარგული ძახილი“ გვეუბნება, რომ აქ განშორებაზეა ლაპარაკი. ლირიკული გმირი საღლაც მიემგზავრება და ვილაც (ალბათ, სატრფო) დარჩა. შემდეგ ნახსენებ „სემფორებიც“ ამასვე აღასტურებს: რკინიგზის სადგურზე განშორება სურს დაგვანახოს ავტორმა. მაგრამ რა შუაშია



მწუხრის სიმღერები? ვინ მღერის? ვინ ლოცულობს? ან ვისი ცრემლები დაფინა გზაზე „თხილის ფოთლებივით“? „იღუმალი შიში“ — კვითხულობთ ლექსში. რა სფეროს განეკუთვნება ეს შიში? ფსიქოლოგიურია, სოციალური, ბიოლოგიური, კოსმიური თუ როგორი? გ. პეტრიაშვილი ერთ გვერდზე მეტს უთმობს ამ ლექსის შინაარსის ვარკვევას და ბლოს დაასკვნის: „პირველ კითხვას: რას ნიშნავს „იღუმალი შიში“? დაემატა მეორე: რას ნიშნავს „წამება“? (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არაწესბამად აქ დახატული სურათიც: თუ ვინმეს ხერხემალი გადაუტყვიეს, ის ვეღარავისკენ ვერ წავა).“

კითხრებული მაგალითებიდან ნათლად ჩანს: გ. პეტრიაშვილი ისე გაიტაცა ლექსის შინაარსის ანალიზმა, რომ მისი მსჯელობა გასცდა ლიტერატურის ფარგლებს და მცირე მოცულობის დეტატივს დაემგვანა.

რაც შეეხება გ. პეტრიაშვილის მოსაზრებას, რომ „თუ ვინმეს ხერხემალი გადაუტყვიეს, ის ვეღარავისკენ ვერ წავა“ — მცდარია, რადგან თამაზ ბაძაღუას უსათაურო ლექსის სტრიქონი „თითქოს გაწამეს, ხერხემალი გადავიტყვიე, თვლი აგერებს და ბრმასავით წამოხედე ჩემკენ...“ ჩვეულებრივი მიპერბოლია და სხვა არაფერი. გ. პეტრიაშვილმა ეს სტრიქონი პირდაპირ გაიგო: ხელხემალგადამტყრელი ვეღარავისკენ ვერ წავა. ამ სტრიქონის დასაწყისში პირველი სიტყვა „თითქოს“ — გაწამეს... აუკრალ მიუთითებს „წამების“ პირობითობაზე და „ხერხემლის გადავიტყვიე“ მიპერბოლურობაზე. ისე კი, პოეზიაში „ხერხემალგადამტყრელმა“ შეიძლება იაროს ფიქრით, წარმოსახვით და ა. შ. არ შეიძლება პოეზიაში ყველაფრის პირდაპირ გაგება, შეუძლებელია ყველა კითხვაზე მათემატიკურად ზუსტი პასუხის გაცემა, ზოგი რამ ალბათ უნდა შევიგონოთ. თუ ამგვარი ანალიზის მსგავს მეოთხედს მივუპარჯებთ რომელიმე დიდ პოეტს, შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დავაყენოთ. ასევე შეიძლება ვიკითხოთ: რას ნიშნავს „თოვლითა დაფნაში“, გაუგებარია რატომ „ააშრაილებს ფოთლებს ბნელბმიანს“? რას ნიშნავს „ქაღარა გულის ზმანება ავი“, როცა ცამეტი წლის ბავშვზეა საუბარი?

თ. ბაძაღუას ამ ლექსის განხილვისას გ. პეტრიაშვილი ეყრდნობა თავის პირველ წერილში შემუშავებულ თეორიულ მოდელს — „აღქმის ობიექტურ კანონს“ და მისი ანალიზი ამიტომ გამოვიდა სწორანაზოვანი.

კიდევ ორი მაგალითი გ. პეტრიაშვილის წერილიდან „მშვიდობა თქვენსა მოსვლასა“. იგი განხილავს ბათუ დაწერილას — „მატარებელზე ვაცილებ დედას“ და დასძენს: „ამ ლექსში მოთხრობილია თუ როგორ აცილებს ლექსის ლირიკული გმირი სოფლიდან ჩამოსულ დედას. ლექსის იმპულსი ნამდვილი და ბუნებრივი

გრძნობიდან მოდის...“ შემდეგ კრიტიკოსი დაწვრილებით გვიამბობს ლექსის შინაარსს ედავება ავტორს — რატომ დასკვნის „ტრამვიანი“ („შენც ჭაღლაგო, ტრამვიანი...“), რომელიც „უამრავი მცხოვრებისათვის დაკავშირებულია ათას მოგონებათა...“

გ. პეტრიაშვილი ბ. დანელიას ლექსის შემდეგ სტრიქონებს: „გადასასვლელზე რისი წესი — მე ასე უფრო მეხერხება... (მე ვიცი უფრო დიდ წესს არღვევენ და მომჩივანი არ ჰყავთ არავინ). დაე მაგინონ ამ შოფრებმა... მათ რა იციან, რომ დედა გავაცილე მატარებელზე და ახლაც რომ იმას ვეცილებ...“ — ასე განიხილავს: „ის ამბავი, რომ ვილაღებო „უფრო დიდ წესს არღვევენ“, ჩვენ არ გვათვისებულვებს მოვალეობისაგან, რომ დავიცვათ წესები. ყველა საკუთარ საქციელზე აგებს პასუხს. საერთოდ მცდარია აზრი, თითქოს საყოფაცხოვრებო წესების დარღვევაში იყოს რაიმე პოეტური... ქუჩაში სიარულის, სისუფთავის, მისაღმების თუ მაგიდასთან ჭდომის წესები, საყოველთაოა და ყველამ უნდა დაიცვას... ამას ისიც უნდა დაუშვაროთ, რომ გადასასვლელზე უწესოდ გადასვლა არც ისე პატარა დანაშაულია, როგორც ავტორს ჰგონია. როგორც არაერთმა შემთხვევამ დაადასტურა, ამ დროს ხიფათში ვაგდებთ სხვათა სიცოცხლესაც.“

მე არ შევიცდები გავიხსენო „წესრიგის დამრღვევი“ პოეტები ფრანსუა ვიონი და „ძმანი მისნი“, რადგან გურამ პეტრიაშვილსაც და ლევან ბრეგაძესაც კარგად მოეხსენებათ. მე ერთ რამეს ვიკითხავ მხოლოდ: შეიძლება ლექსის ასე განალიზება?

კრიტიკოსმა გვერდი აუარა ლექსს, როგორც მხატვრულ მთლიანობას, მის ემოციურ ქსოვილს. და ქუჩაში სიარულის წესებზე დაიწყო საუბარი.

ვახტანგ ხარჩილავას ლექსის — „ზღვისპირეთი. ზაფხული“ — განხილვისას გ. პეტრიაშვილი შეეცადა გადმოეცა ლექსის შინაარსის საკუთარი ინტერპრეტაცია. მისი დასკვნები ასეთია:

„წესიერი კაცი პლაჟზეც წესიერია, უწესო კი დედაქალაქის პროსპექტზე უწესოდ იქცევა. მთავარმა შეცდომამ რამდენიმე შეცდომა გამოიწვია...“

ა) რომ ზღვისპირეთში ჩვენ ვკარგავთ სირცხვილს და მოკრძალებას.

ბ) რომ აქ ისეთები ვართ, როგორებიც ვართ სინამდვილეში.

დასკვნა: ჩვენ სინამდვილეში ყველანი უსირცხვილოები ვყოფილვართ.

მეორე: თურმე აქეთ იმიტომ მოვისწრაფით,

ბიძგი პლანტიშვილი
მრეკლე განმარტება

რომ გამოვეცქერეთ მორალურ და ეთიკურ კოდექსებს.

წერილის ამ მონაკვეთში გ. პეტრიაშვილი გვევლინება როგორც მორალისტი, წნეობის დამცველი და არა როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი.

გავიხსენოთ ძველი პოეტები და მათი მორალური კოდექსები? გავიხსენოთ სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც წნეობრივ კოდექსებზე მაღლა დგანან? გავიხსენოთ ძველევგვიპტური, შუამდინარული, ძველბერძნული პოეზია? გავიხსენოთ ქართული ხალხური პოეზიის მრავალი ნიმუში? გავიხსენოთ გურამიშვილის „ქაცვია მწუემსი“? ალბათ არ ღირს, რადგან წერილი გავეგვიკმეღღებდა. ბ. დანელიასა და ვ. ხარჩილავას ამ ორი ლექსის განხილვისას გ. პეტრიაშვილს ამ ლექსების მხატვრულობაზე, მათ მხატვრულ ნაკლებზე უნდა გავმსხვილებინა უფრადღება და არა წნეობის საკითხებზე.

აი, რას ვგულისხმობდი ჩემს წერილში, როცა ვწერდი: „მე იმის თქმა არ მინდა, რომ არ გავარჩიოთ ავი და კარგი, უნდა გავარჩიოთ, მარამ როგორ? ალბათ უნდა გავანალოვოთ და წარმოვარჩიოთ პოეტური ნაწარმოების თავისებურებანი, მხატვრული ტენდენციები“.

გ. პეტრიაშვილს მიაჩნია, რომ „პოეზია წნეობის ღვიძლი ძმია“, ხოლო ლევან ბრეგვაძე თავის წერილში აღნიშნავს: „უველას აქვს უფლება არ დაეთანხმოს გ. პეტრიაშვილის ანალიზსა და შეფასებებს (პირადად მე ისინი დამაჭერებლად მიმაჩნია)“. ამ წინადადებიდან ნათლად ჩანს, რომ ლ. ბრეგვაძე მთლიანად იზიარებს გ. პეტრიაშვილის მოსაზრებებს.

მინდა ლ. ბრეგვაძეს გავახსენო მისთვის კარგად ცნობილი წიგნი — არისტოტელის „პოეტიკა“. შესავალ წერილში ს. დანელია ეხება

რა არისტოტელის „მეტაფიზიკის“ მეტაფორა წიგნს, გადმოგვცემს არისტოტელის მოსაზრებას: „ის, რაც სიკეთეს ეწინააღმდეგება და მორალისტს აღაშფოთებდა, ხელს უწყობს მისი ნებისმიერი მოქმედების თუ მოვლადეობის შესაძლებელია სასიამოვნო შეიქმნეს“. იქვე სქოლიოში ვკითხულობთ:

«Поэзия выше нравственности, или по крайней мере совсем иное дело... Какое дело Поэту до добродетели и порока» (Пушкин). Русские писатели о литературе» 1. 109.

Прекрасно то, что нравится независимо от смысла. (კანტი).

მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ: გ. პეტრიაშვილმა გასწია დიდი და დასაფასებელი შრომა, როცა დღემდე შეუწევია, უზარმაზარ ლიტერატურულ მასალას თავი მოეღებინა. ვერცდილი წერილი მიუძღვნა. შეუმცდარი არავინაა. გ. პეტრიაშვილის წერილში დაშვებული ზოგიერთი შეცდომა მისმა იმ თეორიულმა მსჯელობამ განაპირობა, რომელიც მე საბჭოვლად შეჩვენა და გამოვთქვი კიდევ ჩემი აზრი ამ საკითხზე. საერთოდ კი, როგორც არისტოტელე გვასწავლის: „ზოგიერთი კრიტიკოსები გამოდიან რა წინასწარ მიღებული შეხედულებებიდან, იმ რწმენით, თითქმის პოეტს ეთქვას ის, რაც მათ ეჩვენებათ, იწუებენ კაცებს, თუ ეს ნათქვამი ეწინააღმდეგება მათ შეხედულებას“.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩემს მიერ ხსენებული არცერთი პოეტის დასაცავად არ დამიწერია ეს წერილი, მე შევეცადე მეჩვენებინა ის შეცდომები, რომლებმაც ნებისთუ უნებლიეთ იჩინეს თავი გ. პეტრიაშვილის წერილში „მშვიდობა თქვენსა მოხვლასა“ და რომლის „მოწვევით აღიარებდა“ მოითხოვს კრიტიკოსი ლევან ბრეგვაძე „ციცკის“ ამავნომერში გამოვეყენებულ წერილში „წერილი რედაქციას“.

თეიმურაზ დოიაშვილი

პოვნა თავისი თავისა

გ. პეტრიაშვილმა თავის წერილებში („ციცკარი“, 1988 № 2, 4) განსაკუთრებული უფრადღება მიაქცია ოსტატობის, პოეტური ხელოვნების საკითხს. უდავოა, აქსიომურ დებულებაში, რომ პოეტს ნებთან ერთად ოსტატობაც სჭირდება, დისკუსიის ზოგიერთმა მონაწილემ პოეზიის, საერთოდ შემოქმედების, ხელოვნება დაინახა, ხელობის დაუფლებისკენ მოწოდება ხე-

ლოსობისაკენ მოწოდებად აღიქვა. შემოქმედებით პროცესში პოეტის მიერ აღქმის ობიექტური კანონების ცნობიერი თუ არაცნობიერი გათვალისწინებაც ერესად იქნა მიჩნეული.

რა დაუპირისპირეს მოკამათებმა გ. პეტრიაშვილის მიერ გამოკრებულ, საყოველთაოდ ცნობილ აზრს? უპირველესად ის, რომ კამათი ხვდა — შემოქმედებითი ფსიქოლოგიის — სფერო-



როში იქნა გადატანილი. ჯანა გ. პეტრიაშვილი პოეტის ფსიქოლოგიურ ტიპებზე ლაპარაკობს, ან „შეპერობილებს“ აცინებს „შემოქმედთა“ სასარგებლოდ? არც მისეული სიტყვა „გათვალისწინება“ პოეზიის წინააღმდეგ მიმართული, რამდენადაც იგი თავისუფლების შეზღუდვას კი არ გულისხმობს, არამედ, პირიქით — ოსტატობის დაუფლების გზით ქემშარიტი შემოქმედებითი თავისუფლების მიღწევას.

ერთიც უნდა ითქვას: როდესაც ახალგაზრდულ პოეზიაზე ვსაუბრობთ, მსგავსი საკითხების განხილვისას განსაკუთრებული საფრთხილუ გვმართებს. „ახალწვეულნი“ ისედაც „მშუის-მიერ წესთავაგონებას“ ენდობიან, ნაკლებს ზრუნავენ ოსტატობაზე. როცა სეროიშულად ვუპირისპირდებით იმ აზრს, რომ პოეტს მიზნის მისაღწევად შეუპოვარი შრომაც სჭირდება, ახალგაზრდებს, ჩვენდა უნებურად, სწორ გუნს ვაცდენთ — ვტოვებთ ნიჭის ამარა, რომლის რეალიზება მაღალ მხატვრულ ხარისხში ხართუა.

ჩემი დეკვირვებით, ახალგაზრდა პოეტთა ლექსების უღიმღამობის მიზეზი იმდენად ნიჭის უქმარობა არაა, რამდენადაც ნაკლები მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. ეს იგრძნობა არამარტო აზროვნების ინერტულობაში, არამედ იმ არასასურველ ხარვეზებშიც, რაც ოსტატობის, პოეტური კულტურის ცნებას უკავშირდება. ყველაზე შემამოფოთებელი სიმპტომი „ახალწვეულთა“ შემოქმედებისა, როგორც მართებულად აღნიშნეს დისკუსიის მონაწილეებმა, პოეტშიშების მოზღვაგებაა. პოეტშიშის ბატონობა პოეზიის აზრობრივ-ემოციური შენაარხის სიღარიბის, ინდივიდუალური განცდის ვამისაზნავე უარისთქმის უტყუარი მაცნაა.

დ. მუგელური ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „თ. დოიაშვილმა მართებულად მიანიშნა „ინფორმაციის პოეტისერების“ ტენდენციაზე, მაგრამ შეიძლება გავარჩიოთ ინფორმაციის პოეტისერების სხვადასხვა დონე და აღქმის სიმძაფრე“.

ინფორმაციის რომ პოეტური დამუშავება სჭირდება, მხატვრული ტრანსფორმაციის დონე რომ განსაზღვრავს ლექსის ღირსებას, სადავო არ არის. მაგრამ ერთია „ინფორმაციის პოეტისერება“, რაც მუხ ინფორმაციის განპოეტურებაში გამოხატება, და სრულიად სხვა — მისი შემოქმედებითი ტრანსფორმაცია.

XX საუკუნის ქართულ პოეზიაში თვისებრივად შეიცვალა ლირიკული გრძნობისადმი დამოკიდებულება. თანამედროვე ლირიკამ თსრობის ნაცვლად უშუალოდ სცადა პირველადი გან-

ცდის ფიქსირება, მისი უმცირესი ნიუანსების გამოხატვა. საამისოდ მას გამოხატვის არაერთი საშუალება აქვს. ასეთ ვითარებაში „ინფორმაციის პოეტისერება“ მის ნებისმიერ დონეზე აბსოლუტურად უარსაყოფია.

ქემშარიტი პოეზიაში ტროპი ე. წ. მხატვრული ხერხი კი არაა, არამედ სათქმელის გამოხატვის ერთადერთი ფორმა, რომელიც შენაგანი აუცილებლობით ჩნდება იქ, სადაც სათქმელი სხვაგვარად ვერ გადმოიცემა. „ინფორმაციის პოეტისერებისას“ კი ტროპი, არსებითად, „პოეტურად“ თქმის საშუალებაა.

ვათა-ფშაველა წერდა: „წინდაწინვე განსაზღვრა ფორმისა ნამდვილი პოეტისათვის უკვლად შეუძლებელია, ფორმა უნდა მოჰყვეთ თვით ნაგრძნობსა და ნააზრებს“. სამწუხაროდ, ახალგაზრდულ პოეზიაში სწორედ საპირისპირო რამხდება: რომელიმე აზრი, იდეა მუხ ფორმით განპოეტურდება. ალბათ ესეცაა მიზეზი, რომ არერთი ლექსი რაციონალიზმით სცოდავს, განსჯის იმტაცია ვერ ფარავს ემოციის ნაკლებობს.

რაცე მიგვანიშნებს პოეტშიშების ხმგრავლე „ახალწვეულთა“ ლექსებში? თუ „მწერდის სტილი ზუსტი ტვიფრია მისი შენასამუაროსი“, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პოეტების შენასამუარო ან არაპიროვნული, უციდურესად „ტიპურია“, ან ინდივიდუალური საწყისი მათი ლექსებში გაუსახურებელია მუხ ფორმით. პირველტაის „შემოქმედთ“ არაფერი აქვთ საერთო პოეზიასთან, მეორე შემთხვევა კი ოსტატობის აშკარა ხარვეზებზე მიუთითებს.

მოდ ვადგინის განმარტებით, „პოეზია არის დანაწევრებული მტყუელების მეშვეობით ამ მდგომარეობის წარმოდგენისა თუ აღდგენის ცდა, რომლის გამოხატვასაც ბუნდოვანად ცდილობს ყვაროლი, ცრემლი, აღერისი, კოცნა, ღიმილი, ოხვრა...“

ემოციის არასიტყუერი, ფიციური გამოხატვა დამახასიათებელი იყო მტყუელებამდელი არსებისათვის. ახალგაზრდული პოეზია ერთგვარად „ცივილიზებული ველურის“ მდგომარეობაშია — ზოგადი ცნება — სიტყუები კი ისწავლა, მაგრამ კონკრეტულ, დანაწევრებულ მტყუელებას ვერ მიჩვია. ამიტომაა აქ ამდენი არაპიროვნული ცრემლი, ღიმილი, ოხვრა... მაგრამ იშვიათია „დანაწევრებული“, ანუ მხატვრულად ღირებული განცდა. ასეთ სიტუაციაში გან-

დენიშურბუ დოიაშვილი
პოვნა თაპისი თაპისა

საკუთრებულ მხარდაჭერის ღირსია ზოგიერთი ახალგაზრდა ავტორის ცდა, „ენა გაიტეხოს“, ე. ი. გამოსახვის ობიექტად აქციოს კონკრეტული.

„პოეტშიშების პოეტიკა“ ასაზრდოებს ე. წ. „ეფემერულ ლექსებს“, რომელთა რაოდენობა ახალგაზრდულ პოეზიაში საკმაოდ ბევრია. ეს ვარდნულად „რესპექტაბელური“ ლექსებია, მაგრამ მეტრულ-რიტმული კარკასისა და „ლამაზი“ თქმების მიღმა „მოწონიშემ სიცარიელე“ (რ. თვარაძე) ზეიმობს. ჩვენს წინაშე ფსევდო-ლექსია. გოეთეს ცნობილი სიტყვების პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, ეს ისაა, რაც არსებითად არაფერს წარმოადგენს, მაგრამ იხე წარმოგიდგება, თითქოს იყოს რაღაც.

ეფემერულ ლექსებს არამარტო პოეტის მის ნაყოფი მოტრფიალენი წერენ, არამედ ნიჟიერი პოეტებიც. ნაილი ნაბრძნვილიც ორსავე წიგნში კარგ ლექსებთან ერთად გაცილებით მეტი „უიეთო ლექსია“. შე თანაგრძნობით ვეკიდები ავტორის წინაშე პოეტიკის: „იღვე უბრალოდ, მსხვილარე ვაშლის ხეხავით და განურჩევლად განიკითხავდე“, — მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, რომ უბრალოება მისი ესთეტიკური პოეტიკის დამახასიათებელი ნიშანიც გახდეს. ასეთი მხატვრული შესაძლებლობისა და საინტერესო ხედვის პოეტისათვის მიუტყვებელია ფსევდომეტაფორული, „ლამაზი“ ფრაზები: „სებტა თვალეში უნდა ჩახლდეს უსპეტაკესი შენ შენი სულის სამოსელი“, „მარჯნის საყურე ჩამოკიდო ქალწულ სიკეთეს“... რას ეუბნება მკითხველს ეს „თვალეში ჩადებული სულის სამოსელი“, ან „ქალწული სიკეთე“? ნუთუ ასეთი პათეტითა და პოეტისშეობით სიკეთის დამკვიდრებას შევუწყობთ ხელს?

ფაქტობ, პოეტმა უნდა გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება სიტუციასადმი, ერთ მის ლექსში ამგვარად რომ არის გაცხადებული: „სად მოვძებნო სიტყვა ფერადი და სამკაული ურიცხვი“. შე ძალიან მენამუშა „სიტუაციის“ გვერდით „სამკაულის“ ხსენება. „სიტყვა-სამკაული“ იგივე პოეტშია, მის გამოდევნებას კი ამ ტიპის ლექსამდე მიჰყავს ნიჟიერი პოეტი ქალი:

„მომაქვს სიცილით სავსე უბე და დიდი ტვირთი, მწიფე მტევნები, ლხინის პური და ლოცვის ციცილი. ვარ ძველი ჩანგი, ტირიფონზე გათლილი სტვირი და რავინდარა ნატურის ცრემლის ჩუმი სიმწარე. განახლებულა გაზაფხულის თბილი წვიმებით ჩემი წითელი საპერანგე და სიყმაწვილე“.

„დიდი ტვირთი“, „ლოცვის ციცილი“, „ნატურის ცრემლის ჩუმი სიმწარე“, „თბილი წვიმებით განახლებული სიყმაწვილე“ რიოში ხამკაულებია.

განსაკუთრებით გულსატკენია, როცა ინტრიქისადმი მორჩილების გამო, სტილური ეკლექ-

ტიკის გამო პოეტნიკურად კარგი ნაწარმოები მაინცდება:

„მამლარი ძროხა სავსე ტურითადაა წინა ცხონით მოპყვება შარას და გზაზე მსვლენა, როგორც სული ამ შემოდგომის, ფერღებასილი და ზაფხულის თაკარა შვისგან ბალანდამწვარი. დასრულებითი ტანი ატმებსაც და ქარვისფერი გულაბი მსხალი ჩამოღვენთილა, როგორც წვეთი თაფლის ხანთლისა, ბუტბუტებს ქვევარი და სიცოცხლის სიმღერას მღერის ქვედურთბეთლი დედამიწა“.

ლექსში, რომელსაც „შემოდგომის სურათი“ ჰქვია, კარგი დეტალებია მოქმენილი (ზაფხულის მზით ბალანდამწვარი ძროხა, ტანსაცხე ატამი, თაფლის ხანთელით ჩამოღვენთილი გულაბი...), მაგრამ ნაწარმოებმა აშკარად აფუტებს პოეტშიშების: „სული შემოდგომისა“ და „ქვედურთბეთლი დედამიწა“, რომელიც „სიცოცხლის სიმღერას მღერის“.

შე სხეციალურად მივმართე ნიჟიერი პოეტი ქალის შემოქმედებას, რათა მიჩვენებინა, რამდენად შეუთავსებელია ერთმანეთთან ბუნებრივი ნიჟიერება და ინტრიქისადმი კომპრომისი. ამასთან, მინდა ნათქვამი კერძობითი მნიშვნელობის ფაქტად არ აღვიქვათ. ეს ტიპური ნეგატიური ტენდენციაა, განხილული მის უკეთეს (i) გამოვლინებაში.

ეფემერული ლექსის დამახასიათებელი ნიშანი ისიცაა, რომ აქ ახალი პოეტური ჰუმპარიტების ძიებას ბანალური ჰუმპარიტების ვარიანება ენაცვლება. სიტუციური შაბლონები თუ სახეობრივი სტერეოტიპები ქმნიან მოჩვენებით მნიშვნელობას, მაგრამ აზრისა და გრძნობის ნულოვანი ძაბვის გამო ვერ ზორციელდება პოეზიის ხასწავლი. ასეთი ბუკეტების „კეთების“ ტექნიკა მარტივია: მორალური ჰუმპარიტება ვადმოცემულია პირობითი ენით.

ეს ტენდენცია ყველაზე უფრო მკვეთრად გამოვლავდა მახტანტ ხარჩილბაშვილში „ალტერნატივა“, სადაც რიგანი ლექსებთან ერთად (ისინი დასახელებულია მეთაურ წერილში) ბევრი ეფემერული, ზოგადი მნიშვნელობის ლექსია შესული. ცხადია, ამ შემთხვევაშიც კერძობითი ფაქტი საინტერესოა, როგორც ტიპური გამოვლენა ახალგაზრდული პოეზიისთვის დამახასიათებელი ტენდენციისა.

კრებულში „ალტერნატივა“ ასეთი სტრუქტურით იხსენება:

„ნაირები ვართ ჩვენ ყველანი ერთმანეთისთვის, მუდამ მოცურავს ჩვენკენ ვიღაც ზღვის წყვილიადიდან, რომ მყარ მიწაზე მოითქვას სული. შექურები ვართ ჩვენ ყველანი ერთმანეთისთვის, მოეშურება გამუდმებით ჩვენი ნათლისკენ ვიღაც ყარბი გზაბნეული...“

ციტირებულ მონაკვეთში გარეგნულად ყველაფერი რიგზეა, მაგრამ არსებითად ეს არც მხატვრული აზროვნება და არც პოეზია. ლექს



სახეუფლად უდევს მოარული აზრი, რომ ადამიანი ადამიანის მეგობარია, მოკავშირეა, იმედია. ამ თემაზე არაერთი კარგი ლექსი დაწერილა და ალბათ კიდევ დაიწერება. არსებია ის არის, როგორც, რა საშუალებებით ხსნის ამ აზრს, იდეას ავტორი. დავაკვირდეთ მტკაფორი-ზებულ სიტყვებს: ნაპირი, ზღვის წყვდიადი. მყარი მიწა, შუქურა, ნათელი, გზააბნეული უარბი... ვისთვისაც პოეტური ენის ისტორია ოდნავ ცნობილია, ის უმაღლესი შეაჩნევს ობის სიმწვანეს ამ სახეების გარემოში. შედეგი? — მოარული აზრი სახეობრივ კომიქსებში. ცხადია, ეს არც ტრადიციაა, არც კავშირი კლასიკურ მეკვიდრეობასთან. ეს, უბრალოდ, ფსევდოლექსია.

მსგავსი ვითარებაა ლექსში „დამავიანდა“... „დამავიანდა, თუმცა ძლიერ დამავიანდა, მაგრამ ხომ მაინც გამოვრდეთ უდაბურ ტუიდან და დავადექი მტვრიან შარავჯას, რომელიც თქვენა სახლისკენ მოდის...“ ავტორის სტილისტიკა აშკარაა — ზოგადი აზრი კვლავაც მოქცეულია პირობით სახეებში. მართო „ტუისა“ და „გზის“ ეპითეტებიც — „უდაბური“, „მტვრიანი“ — საკმარისია ლექსის მხატვრული დონის შესაფასებლად. ავტორის კონკრეტული სათქმელი არა აქვს, ამიტომ იგი გავრცელებული თემის აზრობრივ-მხატვრულ ვარიაციას სთავაზობს მკითხველს. ექსპოზიციას შეგონება-აფორიზმების კასკადი მოსდევს: 1. „ცხოვრების დაწყება არა ხოდენ არ არის გვიან“, 2. „მთელი ცხოვრება შეიძლება იცხოვრო ერთ დღეს“, 3. „მთელი სიცოცხლე შეიძლება ერთ სიმღერაში რომ დამდგრო“, 4. „და შეუვარება, შეუვარება, თვით შეუვარებაც თუნდაც სიკვდილის წინადღესაც არ არის გვიან“. არავითარი ზრუნვა განსჯისა და ემოციის ერთიანობაზე, თემის მხატვრულ დამუშავებაზე: მოარული თემი, გაცვეთილი სახეები. შიშველი „სიბრძნე“.

პოეტიზმისაგან თავის დაღწევის უკუდასწრებად რეალური გზა გარეგანიმდვილისა თუ სულიერი ცხოვრების კონკრეტული გამოხატვაა. არაერთი დიდი ლირიკოსი აღიარებდა, რომ მათი ლექსები ცხოვრების მონახებია, დაწერილია „შემთხვევის გამო“. ეს ლექსები, „ქერში განტვრეტილი“ ლექსებისაგან განსხვავებით, ადამიანური განცდის სისავსით გამოირჩევა და ამდენად, ფასეულია.

ალექსანდრ ბლოკის თქმით, პოეტის შემოქმედების ცხრა მეთოდი გარემოს, ეპოქის კუთვნილებაა, ერთი მეთოდი კი პოეტს ეკუთვნის. როდესაც ახალგაზრდა ავტორი სინამდვილის უშუალო აღქმიდან კი არ ამოდის, არამედ სხვათა გამოცდილებით, მზა ფორმებით სარგებლობს, იკარგება ის ერთი მეთოდიც, რამაც იგი სხვათაგან უნდა გამოარჩიოს. პიროვნული, ინდივიდუალური ფერმკრთალდება. მიმბაძველს

ცხოვრების ბოლომდე მიმუხება ინფანტილიზმის დალი.

ახალგაზრდულ პოეზიაში, ცხადია, აღნიშნული რეალური ლექსებიც, სადაც ავტორები თავის თავს ეძებენ, ნახულისა და განცდილის კონკრეტულ გამოხატვას ცდილობენ. შესაძლოა ამ ლექსებს აკლდეს მხატვრული სრულყოფა, განცდის განზოგადების უნარი, მაგრამ გზა სწორად არის მონიშნული. იგი პოეტს ქვეშეობით სიხარულს მოუტანს, იმ სიხარულს, რომელიც შემოქმედებას ახლავს.

„ახალწვეულთა“ წინ ბევრი სიმძიმე ელით. მინდა მათ შესანიშნავი რუსია პოეტის სამუდამარშავის სიტყვები შევახსენო:

„იმისთვის, რომ წარმატებით ებრძოლო ბანალობას, ჩამოსცილდე რუტინას და ტრაფარტს, უნდა ისწავლო აზროვნება, გრძნობა, უურადლებით დააკვირდე სამყაროს, ზუსტად გამოხატო შენი აზრი“.

გავრცელებულია შეხედულება, რომ ქართული ლექსის ვერსიფიკაციული დონე უჩვეულოდ ამაღლდა, დაიხვეწა პოეტური კულტურა. რომ „დღეს ძალიან ბევრი ვინმე წერს კარგად“. ცვლილება, მართლაც, მოხდა, მაგრამ ამაღლდა და დაიხვეწა მკითხველის გემოვნებაც. სტერეოტიპებისაგან გათავისუფლებასთან ერთად ახალგაზრდულ პოეზიას დღესდღეობით ისე არაფერი სჭირდება, როგორც ლექსის ტექნოლოგიისათვისება.

ნაკლავანებანი უკვე საწყის, ელემენტარულ დონეზე იჩენს თავს. განა შესაწყნარებელია ასეთი აზრობრივი ლაფსუსები: „ეჩვევა მარსებს (?) კვლავ ოცნების დიად ზეიმში“, ანდა: „მილიონ წლის წინათ, მილიარდ (?) წლის წინათ ერთხელ დავიბადეთ და ვკვდებით მრავალჯერ“, „მილიონ წლობით (?) ნასწავლ სირცხვილს და მოკრძალებას“... „მარსები“ უაზრობაა, ხოლო კაცობრიობის ისტორია რამდენიმე მილიონ, მით უფრო მილიარდ წელს რომ არ ითვლის, ესეც უკვლასთვის ცნობილია.

აზრობრივ ლაფსუსებს თან სდევს მარტივი ტექნიკური წუნცი: „ძირს კი ვეება ლოდების შუა შმაგი მდინარე მიზხუის დაბლა“, „თითქოს ეძებდეს დედა შვილს და ხანბამწმუშვებში ხმობდეს შამშიამ“. ძირს და დაბლა, ხანგამოშვებით და ვამივამ სინონიმებია და ცხადია, რომ ლექსში ერთი სიტყვათაგანი ზედმეტია.

დისკუსიაში რატომღაც გვერდით ავუარეთ ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორცაა „ახალწვეულთა“ დამოკიდებულება ენის ფერმენისადმი. არადა, იგი, თავისი მნიშვნელობისა

თეიმურაზ დლიავილი
კოხნა თაპისი თაპისა



და შექმნილი ვითარების გამო, შეიძლება სპეციალური მსჯელობის საგანი გახდეს.

პასუხისმგებლობა იმ არასასურველი ენობრივი ერისის გამო, რაც ახალგაზრდა პოეტთა ლექსებში შეინიშნება, გარკვეულწილად კრიტიკასაც ეკისრება, იმდენად იშვიათად ვაქცევთ განხილვის სფეროში ამ საკითხს.

მე მომეწონა გ. პეტრიაშვილისეული ანალიზი შ. ჭიჭიას ლექსისა „ჭერ სიარულს უკლო“, მაგრამ მენიშნა, რომ მან არაფერი თქვა არქაიზმების უფუნქციო გამოყენებაზე ამ ნაწარმოებში. „თვალები ციხენ ავალისა“, „ფურცლები განუზნია“, „ერთხანს წინაუკუშო ატრიალა“ — ეს გამოთქმები, ჩემი აზრით, ამოვარდნილია ლექსის ენობრივი ქსოვილიდან და ავტორის მეთვლეობას მანერულობის ელფერს აძლევს. გ. პეტრიაშვილი აქ იმიტომ ვახსენებ, რომ დასახელებული ნაწარმოები მან სურუპულურად გააანალიზა. წარმოვიდგინოთ, რა ვითარებაა მაშინ, როცა ლექსს ასე დეტალურად კი არ ვხედავთ, არამედ, ტრადიციისამებრ, „ვარჩევთ“.

„ჩვენ არ ვვუცხოვებთ, რომ „სრბოლა მუხლს კიდა“, „ოვალზე საუბარი ხომ მზის ამოსვლას ნიშნავს და ჭერ მისი ჩინება დანახვისზე ჭერ რა დანახოსა“, „ჩვენ ტრამვაიაში ჩავყვირთ მერც ერთი მარშრუტით ზურგშექცეული“, „და სიუვარული ჩემი ისე ნაზია თქვენ“... — როდესაც მსგავს და სხვა ასეთ არაერთ ფრაზას წაიკითხავ, რწმუნდები, რაოდენ აუცილებელია ენის საკითხებზე სერიოზული საუბრის წამოწყება.

ენაზე ძალდატანება და „ახალწვეულთა“ ტექნიკის ხარვეზები აშკარა ისეთ ასპექტში, რომელსაც პირობითად „ენა და ლექსი“ შეიძლება დავარჯვათ. სიტუვა არ ჯდება ლექსის მეტრში, ამიტომაც არაბუნებრივად იკვეცება, მაზიგდება: „მოიწვეს ხველვა-ხველვა ეს შემოღობამაც ხმელი“, „და დროს შენც ეპურობი უსრბლად“, „როცა ვუუტრებ ჩემი მიწით აფრენილ აკვებს“, „მეკრდი თამამად ბაშვიშვლად დედას ბროლისა“... ხაზგასმული სიტყვები სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი (ხველებ-ხველებით, უჩაღივით, მიწიდან, გაეშვივლებინა), მაგრამ მეტრის მოთხოვნით ისინი „მოკლდება“, ამათან, იქმნება უხერხული სიტუვათშეერთებანი: „ეპურობი უჩადა“, „მიწით აფრენილი“.

XI საუკუნის ერთ გამოჩენილ პოეტს აქვს მცირე ჩანაწერი, რომელსაც „პოეზია“ ჰქვია. „მე ვიძებ სიტუვას, — წერს იგი, — რომელიც იქნება მდებრობითი სქესის, შეიცავს P ან F ბგერას, მთავრდება ყრულ, აღნიშნავს „ნაუსარს“, ამასთან, არც მეცნიერულია და არც იშვიათი. სულ ცოტა — ექვსი პირობა“.

პოეზიაში სიტუვის შერჩევა მოითხოვს გრამატიკული, მეტრული, ფონეტიკური და სემანტიკური მომენტების, ლექსიკური შეფერილობის გათვალისწინებას. მხოლოდ ამგვარად შერჩე-

ული ერთადერთი სიტუვის ნამდვილ პოეზიას.

ახალგაზრდა პოეტთა ლექსებში ნახვანას ისეთ სტრაქონს წააწყდები, რომ სიტუვის მრავალგანზომილებიანობის გათვალისწინება კი არა, ეკვი გიჩნდება, იცის თუ არა ავტორმა სიტუვის მნიშვნელობა, აქვს თუ არა კონტექსტის გრძობა. „ღამის მწუხრი“, „ღლის მწუხრი“ „ცხენის ბუნაგი“, „სისხლით დამეფურილი“... უფროეს შემთხვევაში, დაუდევრობათა რიგს შეიძლება მივკეთოთ; მაგრამ რაღაც ვწერთ: „უოფნა-არუოფნის წაშლელ ზღვარი, სემანი დადე“, ან: „თუ განზე გავდგე, საფეთქელზე ქვა დავიშინო“, ეტუობა, „გამოგვრჩა“, რომ სამანი და ზღვარი სინონიმებია, ხოლო „დავიშინო“ ელემენტარულად გაუმართლებელია დამოწმებულ კონტექსტში.


უფრო დამაფიქრებელია ახალგაზრდა პოეტთა დამოკიდებულება ენის არქაული ფორმებისადმი. ჩვენს პოეზიაში საოცარი განურჩევლობით ხდება ძველი ქართული ენის ექსპლაცატია. არსებობს ზოგადი წარმოდგენა, რომ არქაულ ფორმებს თავისთავადი პოეტური ხიბლი აქვს, შესაბამისად, მათი შეტანა ლექსში მხატვრულ ეფექტს გააძლიერებს. არქაიზმების სტილისტურ ფუნქციას არავინ უარყოფს, მაგრამ საუბარია არა ფუნქციურ, არამედ უაზრო, გაუმართლებელ, უფუნქციო გამოყენებაზე.

ახალგაზრდული პოეზიის ენობრივ ქსოვილში ჩართული ძველი ფორმები ხშირად უმოწონოდ გავლანფლეს საუენჭეს მოგვაგონებს. მე არ მესმის რატომ უნდა ლაპარაკობდეს თანამედროვე პოეტი საკუთარ ტკივილზე ასეთი ენით: „დაბრუნდა, გვედრი... მარქვი, ვისი ნება განაგებს სიცოცხლეს ჩემსას, გადასილულს მღვრიე დილუბით“. აღბათ უხერხულია, ერთი მხრივ, „მარქვი“ და „გვედრი“, მეორე მხრივ — „გალაქტონისში“: „გადასილული“.

მხოლოდ რამოდენიმე ნიმუში არქაული ფორმების გამოყენებისა სტილისტური მიზნის გარეშე: „მიწაზე ორ ცალ ხეს და-ცა-რგავ“, „თორემ დარდმა დაცამლეწა“, „ხევ, მსხმოარევე, კეთილ ჰავაი ნაყოფი ესე“, „წუგეშინის ცემა შენებრ უნუგეშოთა მიმართ, ანდა სიბრალული ამპარტავანთა და ქედმალათა ზედან“.

არქაიზმებით გატაცება ზოგჯერ კომიკურ ელფერს იღებს. რ. ამონაშვილი მომავლის ადამიანებს რატომღაც არქაიზმებით დამომიბუღი ენით ესაუბრება (ლექსი „წერილი მეგობრებს“). ნ. გოგუაძესთან ერთად გურთი ძველქართული მეთვლეობის: „მიკვირს ასრე მოშიშარი, როგორ მიმატოვა მრევლმა“. ბ. არაბული ვაჟას ლექსა ბაჩღლეს ათქმევენებს: „ვისა საკურნად მინდა მინც სასუმელ ესე“. ნიშნადობლივია ლ. ჭაფარაშვილის ასეთი სტრიქონიც: „ასფალტის ქვეშე ოხრავს და კვენის“...

ქართულ სინამდვილეში იშვიათი ფაქტის წი-



ნაშე აღმოვჩნდი — გამოიცა ე. თათარაძის თუშურ დიალექტზე შექმნილი ტექსტების წიგნი „იმედის გვირაბი“. შეუძლებელია არ მოგზნებოთ ავტორის აზროვნების ხატოვანებაში, არ იგრძნოთ მისი გამორჩეული ინტონაცია: „დე, მომიკითხი დღის უვადოდ, ფიჭვისიდ არუის ლამაზ გრილოვ... დე, მომიკითხი გამოწერის მთვარე, მოქელვარეს რო დადგების თავზე. დე, მომიკითხი დიკლოს შავ ღრუბელ, ცრემლებ მოსწმიდ დტირალა თვალზე...“ სწორედ იმის გამო, რომ საქმე გვაქვს ნიჟიერ პოეტთან, დაფიქრებას მოითხოვს მისი ენობრივი პოეზია. რა თვისებებითაც არ უნდა იყოს გამოჩნეული დიალექტი, კარგი ლექსები რომ დაიწეროს ამ კილოზე, დიალექტზე შექმნილ პოეზიას გაუჭირდება საერთო მნიშვნელობის ლიტერატურულ ფაქტად იქცეს. მართებულად წერს ჯ. ფხოველი: „თეთრ თათარაძის ლექსს თუშურ ფარდაგებზე და ჩითებზე გამოხატული ორნამენტის ფერსა და სიბთოს ანიჭებს თუშური კლო, თუმცაღა ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი ენობრივი პოეზია მკითხველს ხშირად აღიზიანებს ხოლმე“.

ზემოთ ნახსენები გაღიზიანება რეალური გრძნობა და მკითხველს აღბათ არც გამეტყუენება, როცა ქართული ლექსის გახაგბად დიალექტური ლექსიკონის მოხველიება უხდება. პოეტს ფართო მკითხველი სჭირდება და არა მხოლოდ „ენის ეგზოტიკურ ხვეულებში ჩახედვის მოწადინე მკითხველი“ (ჯ. ფხოველი). ამ კონტექსტში აღბათ არც აკაკის სიტყვებია დასავიწყებელი, თვით-ვაჟა-ფშაველას რომ უთხრას: „ენას გიწუნებ, ფშაველო, მგოსანო მალალ მისისაო“.

ენისადმი დამოკიდებულება მრავალმხრივ ახასიათებს და წარმოაჩენს პოეტს. როდესაც ლექსიდან უშწროლ შემოგქერთან მნიშვნელობაწართმეული თუ მნიშვნელობაშეცვლილი სიტყვები, უდაგილო არქაიზმები და უხერხული ნეოლოგიზმები, ირღვევა ენობრივი ნორმები, — ჩნდება უნდაზლობა პოეტისადმი. მშობლიური ენის პატივისცემა მწერლის წნეობრივი მოვალეობაა. ენის ბუნებასთან ისე მჭიდროდ ხომ არფერია დაკავშირებული, როგორც ლექსი.

●
თუ პოეტის ნიჟიერება რაიმეში გამოკვეთილად ჩანს, ეს, უპირველესად, მხატვრულ აზროვნებაში. ორიგინალური, მოულოდნელი სახეები უტყუარი ნიშანია ხედვის განსაკუთრებულობისა, სამყაროს ახლებური ხილვისა. აღბათ ამასაც უკავშირდება ახალგაზრდა პოეტთა ლტოლვა, თქვან თავისებურად, გამორჩეულად. მაგრამ საამისოდ მხოლოდ სურვილი საკმარისი არ არის. „ახალწვეულთა“ თქმის ხელოვნება თვისებრივ გაუმჭობებს მკითხველს.

ნაკლის სათავე ისაა, რომ ტროპული მტკვარებია ლამაზად თქმის საშუალებაა მკითხველს წეული. მოქმენილია „სიტყვა-სამეცნიერო“ შენება მტკაფორის ილუზია, მაგრამ კონკრეტული შინაარსის უქონლობის გამო სასე არ ფუნქციონირებს.

„თეთრ სხეულს ქართი ივარცხენია იანვრის თოვლი“ — წერს შ. არაბული. „სხეულს ივარცხენია“ ფორმალურად მტკაფორაა, მაგრამ რას ეუბნება იგი მკითხველს? ავტორს აღბათ მქონდა რაღაც კონკრეტული ხილვა, მაგრამ ვერ მიახერხა სასურველი ფორმის მიგნება, ვერ მიიტანა იგი მკითხველამდე. ამის ნაცვლად ალოგიკური „სახე“ შექმნა, რომელსაც ვერავითარი მტკაფორისმი ვერ იხსნის. „ვარცხენა“ ზმნის არასწორმა გამოყენებამ კიდევ ერთი პოეტი „მისხვეტალა“. ბ. არაბული წერს: „ამოდი, მშეაქ შენი თბილი, ნათელი თმები გადაივარცხენ უღრანების“. ტიპური სიტუაცია: ტროპი მნიშვნელებული სურათი პოეტის მიერ კონკრეტულად არ არის დანახული, წარმოსახული. მკითხველისთვის აღბათ უფრო გასაგები იქნებოდა, მზის სხივები რომ ვარცხნიდეს უღრანი თმებს. ავტორისეული ხილვა კი — უღრანი უვარცხნის მზეს თმებს — უფრო იმაზე მგავანიშნებს, რომ ბ. არაბული ლამაზად თქმის ცდუნებას აშუა, ცრუმტკაფორა შემოგვთავაზა.


საერთოდ, ზოგადი მტკაფორული თქმები უამრავია. აი, როგორ არის განპოეტურებული სიტყვა „ცა“: „ქუს მერსზე მიღვს დაღლილი შებლილი“ (ნ. ქუთათაძე); „ჩამოყრდნობილი ტარნობის ქვეზე გრძლად და უშწიკლოდ ვინაც იარა“ (ი. ციგროშვილი), „გადასრუტული ზეცის დაბლობზე დაიხეტება მგზავრი ეულად“ (ვ. ხარჩილავა), ხაზგასმული „სახეების“ მნიშვნელობა ჩემთვის გაუგებარია.

„ცასთან“ დაკავშირებით კიდევ ერთი სახე მინდა დავიმოწო: „და მთვარის ნალით დაჭედო ზეცას თოვლიან მთებზე ეწყო მუხლები“ (ბ. არაბული). თავისთავად ძნელი წარმოსადგენია, რას ნიშნავს „ზეცის მუხლები“, ხოლო როდესაც ამას „მთვარის ნალით დაჭედვაც“ ემატება, დაუსახელებლად მტკაფორულ „ზეცის ფუბებსაც“ რომ გულისხმობს, იბადება კითხვა — რა რაჟურსით აღქვა ავტორმა სურათი, რომ ერთდროულად ზეცის დაჭედოლი ფიხიც დაინახა და მუხლებიც?

თუ მტკაფორაში, საგნისა და სახის ერთი ნიშნის ქვეშ მოქცევის გამო, ფსევდომხატვრობა რამდენადმე შეფარულია, შედარებაში, სადაც საგანი და სახე განცალკევებულია, უფრო აშკარა შემადგენელი ელემენტების უკონტაქტობა, სახეთა ილუზორულობა.

ნ. ქუთათაძე წერს: „და სიმალდე, რო-

თამიშოპოზ ღოიამვილი
პოვნა თამისი თამისა



გორც რწმენა, ფეხისგულეებს მიკაწრავდა“. ავტორი თითქოს შედარებას გვთავაზობს, მაგრამ ეს აზრსმოკლებული სტრიქონებია. „ფეხისგულეების კაწვრა“ ისეა მოწოდებული, თითქოს ის „რწმენის“ დამახასიათებელი ნიშანი იყოს, შემდეგ კი შედარების გზით „სიმალღესაც“ მიეწერება.

ცრუშედარების ტიპური ნიშანი ისაა, რომ სახის კომპონენტები არც რეალურ და არც წარმოსახვით პლანში ერთმანეთს არ უკავშირდება, ავტორის ნებით კი ისინი წარმოდგენილია, როგორც „მსგავსნი“. მაგალითად: „და კამკამებდა. ფტოქავდა წუთი, ვით წმინდანისგან ჩამოქნული კენდაპტრის ალი“. (ვ. ზორნაული), „როგორც თინი სიცოცხლისა და სიმალღის, იწვა სინათლე მარადისი და სიჭაბუკე“ (ნ. ნეკერიშვილი); „და ხალხმრავალ ტროტუარებზე, როგორც ბოშები, ვადანერხილი ჭადრები დგანან“ (ი. ჭახუა)... კავშირი „საგანსა“ და „სახეს“ შორის იმდენად პირობითია, რომ „სახე“, რომელიც „საგანს“ განმარტავს, შეიძლება, სურვილის მიხედვით შეცვალოს. შედარება ამით არაფერს „წყავებს“. შეგვიძლია, მაგალითად, ვთქვათ: ვადანერხილი ჭადრები დგანან, როგორც კაცური.

მატყურევი სახე თავის ესთეტიკურ ეფექტს სრულყოფილად მხოლოდ კონტექსტში ავლენს. ტროპი თავისთავად შეიძლება კარგიც იყოს, მაგრამ თუ იგი უცხოა პოეტური სიტუაციისათვის, ამოვარდნილია კონტექსტიდან. შემთხვევითი ელემენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. ლექსი, როგორც ორგანული მთლიანობა, ირღვევა.

ა. გუგუციძე წერს: „მე ისე ვგრძნობდა შენს თმებს და ტურებს, როგორც მოსავლის აღების სურვილს“. ლექსში ზამთრის სურათი და განწყობილება აღწერილი და გადმოცემული. შედარება, ჩემი აზრით, ამოვარდნილია მთლიანი კონტექსტიდან თუნდაც იმ ემოციური შეფერილობის გამო, რაც ზამთრის პეიზაჟში „მოსავლის აღებას“ შეაქვს.

ვ. ხარჩილავას ერთ პატარა ლექსში ნაღი ხაზგასმული ყოფითი დეტალებით არის აღწერილი. ამ ფონზე სრულიად მოულოდნელია სტრიქონები: „მე კი ხმამალა ვკითხულობ „ჰამლეტს“, მისმენე სოფლის დარცხვნილი ოფელიები“. ერთი, რომ არაბუნებრივია, გამორჩეულობის პოზის შემცველია „ჰამლეტის“ კითხვა იმ დროს, როცა ნაღი შრომობს და ჭორაობს; ამასთან, შემთხვევითი და გაუმართლებელია სახე „სოფლის ოფელიები“. „ოფელია“ ღრმა სემანტიკური სახეა, ამიტომ მისი გამოყენება, როგორც „ქალიშვილის“ აღმნიშვნელი უბრალო სინონიმისა, არასწორია. ავტორს უბრალოდ სურს თქვას, რომ სოფლის გოგონები უსმენენ, მაგრამ რა არის საერთო ამ გოგონებსა და შეჭსპირის პერსონაჟს შორის?

შ. არაბული მამულს ასეთი სიტყვებით მი-

მართავს: „მზე ვერ გიცხოველ და ქარიშხალი კარს ვერ დაგები ერთგულ ძალით“. უნდა აღინიშნოს, რომ ლექსის მთლიანობაში ეს შედარება კითხვა: ვთქვათ მისთვის, სურვილის შესრულება, რაში სჭირდება მამულს კართან დაბმული ქარიშხალი?

პოეტური სახისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სიზუსტეს, სიზუსტე კი იმ შემთხვევაში მიიღწევა, როცა კონკრეტული სიტყვით აქვს წარმოდგენილი პოეტს, რის გამოხატვაც სურს, ამის გაჩენე მხატვრული სხვათა მიხედვით გამოვს.


გურამ პეტრიაშვილი თავის წერილში იწონებს მ. ჩიტაშვილის ასეთ შედარებას: „ისე აყვავდა გზისპირ ტყემალი, ისე უცებ და ისე მალულად, თითქოს ამდგარა თეთრი ქალწული და ქორწილიდან გამოპარულა“. „ეს აყვავებული ტყემალი — წერს იგი — ნაზიკაა და, როგორც ეტყობა, ბევრ გასაქირსაც არ შეუშინდება“.

ჩემი აზრით შედარება, რომელიც გარეგნულ ეფექტს მოკლებული არაა, მთლად ზუსტი ვერაა. ყვავილის და ქალწულის შედარება არახალია, მასხადამე, პოეტის ხედვა, მისი ინდივიდუალობა შედარების შინაარსში, ანუ მსგავსების საფუძველში უნდა გამოჩნდეს. ყვავილის მოსვლა სამზეოში, გაზაფხული სიცოცხლის ზეიშა, დადებით ემოციას აღძრავს, მაშინ, როდესაც, ქალწულის ქორწილიდან გამოპარვა, რაღაც არასასურველს, ემოციურად უარყოფითს უკავსადგება. მასხადამე, შედარება შინაგანად წინააღმდეგობრივია, სიზუსტეს მოკლებულია.

მოულოდნელობის გამო შეუძლებელია ყურადღება არ მიიქციოს ა. გუგუციძის შედარებაში: „და დედამიწის პატარა რუქა ეცოდა, როგორც ველისიპედი“. ერთი შეხედვით, თითქოს ფორმალური შედარება გვაქვს, მაგრამ ამის მიზეზი მსგავსების არარსებობა კი არაა, არამედ ავტორის დაუღვევრობა: მან არ მინიშნა მკითხველს, რომ რუკა ნახევარსფეროებისა; სამაგიეროდ, ტექსტში ჩასმულია სრულიად უფუნქციო განსაზღვრება „პატარა“. პოეტმა სახეს ვერ მისცა დასრულებული ფორმა, ტექნიკური წინი დაუშვა.

გ. პეტრიაშვილმა სახეებით მართებულად დაიწუნა ვ. ზორნაულის ერთი სახე: „და იცინიან ზეაწვდილი ჩემი ხელები, ვით აყვავებულ ვაშლის ფესვები“. იგი წერს: „რადგან ხელები ზეაწვდილია, მათი შედარება სჭობია ტოტებთან, თორემ გამოდის, რომ ფესვებიც ზეაწვდილია“.

წარმოსახვა, რაც ამ სახეს უღვევს საფუძვლად, საქმაოდ საინტერესოა. ყვავილი, პოეტის წარმოდგენით, ფესვის ღიმილია. ერთგან წერს კიდევ: „როგორც ტოტებზე ღიმილი ფესვთა“. დაწინებულ სახეშიც იგი შინაგანად რატორე გაშლად ყვავილედ გულისხმობს, ე. ი. ხელებს ტოტებს ადარებს. მაგრამ ის, რაც შინაგანად



იგულისხმება. ვ. ხორნაულმა ვერ მიიტანა მკითხველამდე. პოეტური ხილვა ოსტატობის უმარაობის მსხვერპლი გახდა.

შემოქმედებითი თავისუფლების მოპოვების ერთი ძირითადი პირობა, როგორც ვთქვით, ოსტატობის ამაღლებაზე ზრუნვაა. კონტრაპუნქტის შესწავლაზე შემომწერალ ვაგნერს მასწავლებელმა უჩივია: შეიძლება ფუტა მომავალში არასადროს დაწერო, მაგრამ ისწავლე თუნდაც ერთი ფუგის შეთხზვა, ამით დამოუკიდებლობას შეიძენო. ახალგაზრდა პოეტები, რომლებიც ხშირად პირდაპირ ვერლიბრით იწყებენ, განზე ტოვებენ კლასიკური კონვენციური ლექსის დიდ სკოლას, რომელიც შინაგან დისციპლინას, ოსტატობის ჩვევებს უშუაშავებს შემოქმედს. მხოლოდ პოეტური ტექნიკის ათვისების შემდეგ შეიძლება დაწეროს პოეტმა ისეთი ლექსი, «где словам тесно, а мыслям просторно».

მინდა ერთ საკითხსაც მივაქციო უურადლებაც; ეს არის „ახალწვეულთა“ მიმართება ეროვნულ და არაეროვნულ ტრადიციებთან. ცნობილია, რომ ტრადიცია მწამწარეული სახით არავის ეძლევა. მას ათვისება სჭირდება. უცხოური ტრადიციის პროფანაცია ისევე ავდილია, როგორც ეროვნული ტრადიციისა, თუმცა პირველ შემთხვევაში რამდენადმე განსხვავებული ვითარება — იმპორტულ თემებს და ფორმებს გადმოტანილს სხვა ნიადაგზე, ხშირად ნოვაციის პრეტენზია აქვს, მაშინ, როცა მიბაძვა ეროვნული ტრადიციის ფარგლებში უმაღლესად უნდა გასაგებობს მიზეზების გამო. ეროვნული ტრადიციის გათავისება უფრო ბუნებრივად ხდება, ვიდრე ასიმულირება უცხოურისა — მასთან კონტაქტი, არცთუ იშვიათად, ნოვატორის დროებითი რეპუტაციის მოპოვებით შემოიფარგლება.

ახალგაზრდა ქართველ პოეტთა მსოფლგანცდა ორ პოლუსს შორისაა მოქცეული. ტრადიციულად, პიროვნება აქ მოიაზრება, როგორც სრულფასოვანი, ღირებულებების მქონე, თავისუფალი ნების ინდივიდი:

„გაიცრიცება საღამოს ბინდი, ვიცი, ამ დღით უნდა მოთოვოს, ვიცი, ჩემი გზა საითაც მიდის, შენ საით წახვალ. ხმელო ფოთოლო! ამოვარდნილა ქარი ძლიერი, ო, როგორ ცდილობს, რომ ამართოლოს და შენზე ამით ვარ ბედნიერი, რომ ქარს არა ვლევ, ხმელო ფოთოლო“ (ტ. ხარხელაური).

საპირისპირო თვალსაზრისი პიროვნებას წარმოადგენს უცხო, იზოლირებულ, გარეშე ძალას დაქვემდებარებულ არსებად, რომელიც მოკლებულია მოქმედების თავისუფლებას: „ქარი რომ ძლიერ დაუბერავს და გადევნის ჭადრის ფოთოლს, რომელიც ბრმად შირბის ტროტუარზე,

— ისე ვარ ახლა“ (ბ. დანელია). ეს რაკეტმა სტიქიონების ავტორისათვის წარმავალი განცდაა, არაერთი ახალგაზრდა პოეტის ლექსებში არსებითი კოწიკია.

ორივე კონცეფცია ახალგაზრდულმა პოეზიამ შემკვიდრებულად მიიღო. პირველი უფრო ეროვნულ ტრადიციას ემყარება, მეორე უცხოური გზით არის შემოსული.

ეროვნულ ძირებთან კავშირის საინტერესო გამოვლინებაა ტბრიმელ ხარხელაურის წიგნი „წუალი საკალმახე“. ახალგაზრდულ პოეზიაში გაბატონებული ჩუმი ინტონირების საპირისპიროდ. მისი ლირია ზეაწეულობით და ომანიანობით იქცევა ურადლებას, გიხილავს უშუალობით, ბუნებრივობით [და, რაც მთავარია, გაბედულებით. გაბედულება შინაგან რწმენას ემყარება: ის, რაც რეალურად აღეშვება, უყვარს, სძულს, განიცდის, არ შეიძლება სხვისთვის განურჩეველი და უინტერესო იყოს. პოეტი თავის სათქმელს მიჰყვება, არას დაგიდევს მსხლოდენელ ბრალდებას პრიმიტიულობასა თუ არაესთეტიკურობასაში.

ახალგაზრდული ლირიკის განსჯისადმი მიდრეკილბის, მედიტაციით გატაცების ფონზე ტ. ხარხელაურის ლექსები ცოცხალ შთაბეჭდილებას და კონკრეტულ აღქმას წამოსწევს წინ. ემოციებს პოეტი დაბრკოლებას არ უქმნის, არც არასრულფასოვნების კომპლექსი სტანკავს. ბუნება აირეკლება მასში და ისიც ბუნებასავით ალალი და პირდაპირია:

„ტიტირებულ გვირილებს, მობუბუნე ჭალას — მოურჩენელ ტივილებს, მოურჩეველ ძალას — ვერა, თქვენი ჭირიმე, ვერ დავუწყებ მალვას. ვიტყვი, რასაც ვუყურებ, და რაც მელანდება; როცა ია სლუკუნებს, მე რა მევარდება...“ თანამედროვე პოეზიაში მთის თემბტიკის ერთგვარი „დეკორატივობა“ და „დეკორატივობა“ მოხდა. ტ. ხარხელაური ვაჟას მთას უბრუნდება, მისი პოეზიის გასულიერებულ სამყაროში ცხოვრობს. ეს წინაპრის გამეორება არაა. ახალგაზრდა პოეტი მისეულ სურათებს ხატავს, მისეულ ფერებს პოულობს:

ღამეშტვარა ფრთები უღონო, სხეული დაბლა ეშვება, და ჩაშვებულ კლდეებზე მიმინოსფერად შემრება.

ეროვნული მსოფლგანცდა, პოეტური ტრადიცია ტ. ხარხელაურის ლექსებში შეუმღვრეველად არის გადმოსული და თავისებური ნიუანსებით გაახლებული.

ახლოდუტრად სხვა წყობის პოეტია მამბზ ბპძღლშა. რომლის ლექსებში საგრძნობია არაეროვნულ ტრადიციასთან კონტაქტის დამყარე-

თარგმარს დოიუშვილი
კოკხა თავისი თავისა



ბის ცდა. მისი ძირითადი თემა ადამიანის მარტოობის ტრაგედიაა გარემოცვეულ სამყაროში. პირადი მარტოობას თემა შესაძლებელია შეამზებდებოდ და მთავრად გადმოვიტეს, როდესაც მას ასაზრდოვებს შემოქმედის რეალური გარცდა, გამოწვეული გარემოსთან დაპირისპირებით. ასეთ შემთხვევაში ნაწარმოებში ჩაქსოვილია გარკვეული განწყობილება, ემოცია. თ. ბაძალას ლექსებში, რომელსაც, როგორც ვთქვით, გარკვეული ლიტერატურული ტრადიციის ასაზრდოვებს, არ ჩანს, თუ რას და რატომ ეთმობება, გაურბის ლირიკული გმირი. რადგან აქ დაპირისპირება გადმოცემული ან მინიშნებული არ არის, ამიტომ არც მარტოობის განცდა აღიქმება, როგორც ლექსების ემოციური ქვეტექსტი.

განცდისა და კონკრეტული შინაარსისაგან დაკლების შედეგად თ. ბაძალას ლექსების თემად გვევლინება მარტოობა — ცნება, რაც გამოუსადეგარია მხატვრული ხორცშესხისათვის. მისი ნაწარმოებები მარტოობის ტრაგედიას შესაძლებლობენ უკმარისად წარმოადგინავენ აგებულ, ხვლი მარტოობის ატრიბუტები — „სიამაყუნეი წვიმები“, „სიმარტოვის ტუავი“, „სიმარტოვის წვეტიანი ქვები“, სული — გამოქვაბული, საიდანაც „სისხლის უვითელი ნაკადული მოეწივას“... უფუნქციო სახეები.

რეალურია სამყაროც, როგორც ლირიკული გმირის მარტოობის განმაპირობებელი, რამაც ბაძალას ლექსებში რამე ნიშნის მიხედვით არ ხასიათდება, მხოლოდ ცნების სახით წარმოჩნდება — პოეტი ინდიფერენტულია ამ სამყაროსთან დამოკიდებულებაში. ყოველზე წემოაღნიშნულის შედეგად მისი ლექსები უხაგრო, ათემატური ნაწარმოებებია.

ყურადღების იქცევს ლექსის სტრუქტურაც, ყოველი ფრაზა მასზე მეტაფორულია, მაგრამ მეტაფორის დანიშნულება, უფუნქცია ემოციის შექმნისა, ვერ ხორციელდება: ნაწარმოების ქვეტექსტია მარტოობა — ცნება და არა მარტოობა — განცდა. მეორე მხრივ, ამ ფრაზებს, რომლებიც განყენებული შინაარსის აღსანიშნავადა მოხმობილი, საგანთა სამყაროსთან მმართვება დაკარგული აქვს. მაშასადამე, სიტყვას არა აქვს არც პოეტური, არც პარველდი უფუნქცია, ამის გამო აზრი ბუნდოვანდება და თითოეული ფრაზა აღიქმება, როგორც ალოგიკური და არამხატვრული კონსტრუქცია, რომელიც გაგრძელებას არ მოითხოვს — ამას არ განაპირობებს არც განცდა, არც აზრი. ყოველი წინადადება დასრულებული ცრუმეტაფორული მნიშვნელობისა და ერთმანეთთან არც ასოციაციური და არც ლოგიკური კავშირი არა აქვს.

თ. ბაძალას ლექსების ნაყოფანებები იმით ახსნება, რომ მარტოობის თემა პოეტისათვის ორგანული არაა თუნდაც ცხოვრებისეული გამოცდილების შეწოდულობის გამო. მას შინა-

განად გაუთავისებელი უცხო ლიტერატურული ტრადიცია ჰქვებავს.

თ. ბაძალას ლექსების პირველი „მესამე წარი“ ყურადღება მიიქცია ადამიანის შინაგანსაზრის წვდომის სურვილმა. ცალკეულმა ირიგინალურმა სახეებმა. მის ახალ ლექსებში, რომლებიც გავიქანო, უფრო გამოიკვთა ის არსებითი ნაყოფ, რაც, გარკვეული მოხაზრებით, ადრე არ აღვნიშნე. თ. ბაძალას ჭერქრობით ვერ მოუგნია საყოფარო თემებისათვის, რაც ხელს შეუშლის ნიჭიერ ახალგაზრდას, ჩამოყალიბდეს, როგორც თირგინალური პოეტი. ისე არავე გამოვს, თითქმის მე არავითარულ ტრადიციასთან კავშირის ხარგებლიანობას უარყოფდეთ. ცუდი როდია. თუ ახალგაზრდა კაცი დაინტერესებულია მხოლოდ პოეზიის გამოცდილებით: ოღონდ გაცნობამ მიმბაძელობის სახე არ უნდა მიიღოს. რაც არაიშვიათად ხდება ჩვენში.

ოვიმყოფადობის მოპოვების შედარებით ტრადიციულ გზას ადგას რამინ ამონაშემილი. „თანაგრძობისათვის მუდმივი მზადყოფნა“ (გ. პეტრიაშვილი) „მონოლოგების“ ავტორისათვის, მარტოვე, ერთი ძირითადი თვისებაა. ლექსში „აღსარება“ პოეტი უცნაურ ამბავს გვიამბობს, თუ როგორ მიატოვა გულმა მეკრდი და როგორ დადის ქალაქში გულის თვალებით მომზირალი „გული მქებნელი“. მხოლოდ მას შეუძლია შეამჩნიოს ზაჭვარდინაზე მდგომი, მანქანებით შემკრთალი მოხუცი, უმწეოდ რომ უღიმის ხელიდან გავარდნილ ჭობს; ანდა: კედელზე გაიკრული ბელის ტყავის დანახვისას სადღაც ნათქვამი „ვიამე, დედა“ გაიგონოს. დეტალების შემჩნევასთან ერთად რ. ამონაშვილს განზოგადებაც შეუძლია. იდეი ერთგულნი ტრადიცი, თბილისის აოხრება ქალაქიანის მიერ, მას ასეთი ტყავი მხატვრული სახით აქვს გადმოცემული: „საარაკო იყო მათი ამბავი, გარბოდნენ, ცეცმოდნენ და ისევ გარბოდნენ... საარაკო იყო მათი ამბავი, რადგან ისინი მხოლოდ და მხოლოდ მოზარე ქალაქში მიმავალი, სისხლით შეფერილი მდინარის ტალღები იყვნენ“.

„მონოლოგებში“ არაერთი საინტერესო მხატვრული სახე გვხვდება: „ირგვლივ მიდამო წაქცეული ტახვით ბინდებოდა“, „ფერადი ფანქრებით ავტობუსის გაჩერებასთან ადამიანები ირგონდენ და ლოდინს ხატავდნენ“, „და მვიდოდი... გვირგვინის საფლავის ქვეშედა ქვედა ქალაქში“... ასეთი სახეების კვებით ძნელად საგუებელია ინერციით შემორჩენილი: „გალაზულ ძაღლივით კვხსოდა იმედი“ და მისთანა.

წიგნში რამდენიმე საინტერესო ლექსია. მთლიანდელი ფინალით იქცევს ყურადღებას „ერთხელ მაიხის წვიმიან სადამოს“ და „დაბადების დღე“, სევდანარევი ირონიით — „ერთხელ,

როდესაც... დასანანი მხოლოდ ისაა, რომ რა-
ოდენოა იმ ნაწარმოებებისა, სადაც ავტორის
ინდივიდუალობა ჩანს, მცირერიცხოვანია.

გ. პეტრიაშვილმა „მონოლოგების“ განხილ-
ვისას გამოარჩია ლექსი „ქოლგა“ და განსა-
კუთრებით მოიწონა სტრიქონები: „წვიმაა, თოვ-
ლია, მზეა თუ ჩრდილია, სულ მუდამ, სულ მუდამ
ქოლგანია“. ეს ადგილი არამარტო ამოვარდნილია
ნაწარმოების რიტმიდან, არამედ ცნობილი სტრი-
ქონების ასოციაციასაც იწვევს: „უინვა... თო-
ვა... წვიმა... ღამეა — ხეები ქუჩაში დგანან
და დგანან“ (მ. მაკავარიანი). რადღაც სიტყვამ
მოიტანა, აქვე ვიტყვი, რომ ასევე ვერ დავე-
თანხმები გ. პეტრიაშვილს მ. ჩიტაშვილის ლექს-
ის — „კალიბის“ — შეფასებაში. როგორც
ე. კალანდიაშვილს აღნიშნა, ამ ლექსში „აშკარაა
ა. შენგელიას „ანდერძის“ გავლენა რიტმულ-
ინტონაციურ და ლექსიკურ დონეზე.

ხაერთოდ, ამა თუ იმ სახის ორიგინალურო-
ბაზე მსჯელობისას დიდი სიფრთხილე გვმარ-
თებს, რათა დაუშვახურებელი პათევი არავის
მივაგოთ. მაგალითად, გ. პეტრიაშვილი, რომელ-
მაც უამრავი სახე გაანალიზა, იწონებს ბორენა
ჭაჭელიანის სტრიქონს: „აღმოხდა შუქი და ქარ-
თლის ველზე გადაიარა შვის ათინთა“. მას
მოსწონს აგრეთვე ცირა შალაშვილის სახეც:
„დავობრილობ ამ ჭაჭარებში, ველზეზე რჩე-
ბა დაფლეთილი ხორცის ფიფქები“. პირველ
შემთხვევაში აშკარაა „ვეფხისტყაოსნის“ ანა-
რქელი: „ტაიფი მიუქს მერანსა, მიფინების მზე
ველად“, მეორე შემთხვევაში — „შუშანიკის
წამებასთან“ სიახლოვე: „ბორცნი წულილ წუ-
ლილად დაეძარნეს ძქძუსა მას“. ასევე არა-
ორიგინალურია გ. აღმაშვილის მიერ ციტი-
რებული თ; ბაძალას სტრიქონები: „არ ჩანს
იღბა, ჩემი საუყარელი და ერთგული ძმე“.
მრავალი ვარიაციიდან შეიძლება გავიხსენოთ
გალაკტიონისეული „მე ესღაც ვამჩნევ ერთგულ
იუღას“. მსგავსი შემთხვევა მეთაურ წერილშიც
გაიპარა — მოგვიანებით შევინშნე, რომ ბ. და-
ნელიას სტრიქონი „სადა მაქვს გული, ის პა-
წაწინა ბალიშია, ნემსებისათვის დაკიდული
მკერდის კედელზე“ ბ. ხარანაულიდან მოდის:
„რა სჯობია, ქვის გული თუ ისეთი გული, ნემ-
სის ჩასარჭობ ბალიშით დიბილი რომ არის“.
შეცდომისგან არავინ ვართ დაზღვეული, მაგ-
რამ შეფასებისას მაინც ასკერ უნდა გავზო-
მთ...

დავუბრუნდეთ რ. ამონაშვილის წიგნს. პოეტის
ლექსებში აქა-იქ შეგორდობის კვალი შეიმჩნევა,
კრებულში გვერდი-გვერდ თანაარსებობს რამ-
დენიმე ნაცნობი სტილური პლასტი, რომელთა
შორისაც გზას მოიკლევს ავტორისეული გან-
სხვავებული ხელწერა. ერთ ლექსში რ. ამონა-
შვილი ითხოვს: „მაცალეთ მიწაზე დამღობა,
თქვე დალოცვილნო, მაცალეთ ფიქრი!“ დავე-
ლოდოთ, რას მოგვიტანს მომავალი.

თვითდამკვიდრების გზაზე ექსპერიმენტისად-
მი მიღრევილება გამოჩნდა მ. ქურდიანის უა-
ნასქელე ხანს გამოცემულ წიგნში „ქრონიკა“
(„მერანი“, 1988).

„პარადოქსია, მაგრამ მიხილ ქურდიანის
პირველი წიგნის მიხედვით უფრო პოეტის წარ-
სულზე შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა, ვიდ-
რე აწმუყო: „ქრონიკაში“ შეხული ყველაზე
გვიანდელი ლექსი 1977 წლითაა დათარიღებუ-
ლი, აღრინდელი — 1970 წლით. ეს კრებული
თითქოს პროტესტია იმის წინააღმდეგ, რაც ხში-
რად წინ ეღობება პირველი წიგნის გამოცემას.
აქ ერთგვარი რწმენა, გინდა თავდაჭერებაც ჩანს
საკუთარი შემოქმედების ღირსებაში.

„ქრონიკას“ რაღაც განსხვავებულის, გამორ-
ჩეულის შექმნის სურვილი, ფორმისმიერი ექ-
სპერიმენტებისაკენ ლტოლვა ახასიათებს. ეს
განსაკუთრებით ჩანს ლექსის ბგერითი ორგა-
ნაციის აქცენტურებაში. ვერ ვიტყვი, რომ ეს
ცდები ქართული პოეზიისათვის რაიმე სიახლეს
შეიცავდეს. იგი უფრო ავტორის შემოქმედები-
თი ცხოვრების დამახასიათებელი კერძობითი
ფაქტია, მისი ლიტერატურული პოზიციის გამ-
ყვანებაა, ვიდრე მხატვრული ღირებულების
მოვლენა. მ. ქურდიანმა კარგად იცის, სად იღ-
ებს სათავეს მისი ბგერწერული ექსპერიმენტ-
ები და თუ იგი მაინც მიმართავს მას, აქ რაღაც
მეტე უნდა დავიხაზოთ, ვიდრე უბრალო გამე-
ორება. მე შინაგანად მოვკნე, რომ პოეტის
ცდები უკვალოდ არ ჩაივლის, სამომავლოდ
მისი შემოქმედების რომელიმე ასპექტში პოზი-
ტიურად გაშვლავნდება.

„ქრონიკის“ ავტორმა იცის, რომ თანამედრო-
ვე პოეტი ძველ რიტმებსში ვერ ჩაეტყვა, რომ
ხელმოვანს არსებობის უცვლელი კანონი ძიებაა.
თემის საინტერესო დამუშავებით იქცევის უუ-
რადღებას ლექსები „ხოზვისთვის შობილს“,
„ერთდღიანი პეალები“. კარგია აგრეთვე „აუნაზ-
ღაურებელი დანაკლისი“ და „ქვრივი“. მავილ-
გონივრულად აღწევს პოეტი მეოთხეულის გა-
აქტიურებას, მის გადაქცევაში აღმქმელიდან თა-
ნამშემოქმედად „ჩემს ლექსებში“.

პოეტის ერთი კარგი თვისება ლაკონურო-
ბაცაა. „სულს რომანტიკულს სურს რომ ანტი-
ურ საზომში მპოვოს თავშესაფარი“ — ვინც
დელვიკის შემოქმედებას იცნობს, დამეთანხმე-
ბა, რომ ამ მშვენიერი ფორმის ორტაბელში
(დააკვირდით: სულს რომანტიკულს — სურს
რომ ანტიურ. მიგნებულა ორიგინალური და
ბუნებრივი თანხმობა) ზუსტი და ლაკონუ-
რი დახასიათებაა მისი პოეზიისა.

„ქრონიკა“ არაორდინარული კრებულთა,
ხოლო თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ აქ დას-
ტამებული ბოლო ლექსები ექვსი წლის წინაა

თანიშურაზ დოიაშვილი
კოვნა თავისი თავისა

დაწერილი, მისი ავტორისაგან ახლო მომავალ-ში ახალ წიგნს უნდა ველოდოთ...

ზოგადი მნიშვნელობის პრობლემების გარდა დისკუსიამ არაერთი კონსტრუქციული თუ ლოკალური მნიშვნელობის საკითხი წამოჭრა.

ე. ღვეთიაძე მართებულად აღნიშნავს დისკუსიის ერთ ნაკლოვან მხარეს — გამოქვეყნებულ წერილებში „ნაკლებად ჩანდნენ პერიფერიაში მცხოვრები ახალგაზრდა ავტორები“. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არალიტერატურული, წმინდა უყოფითი ფაქტორები, რაც პერიფერიულ გამოცემებს დედაქალაქისაკენ გზას უკეტავს, უნდა დავეთანხმოთ ავტორს, რომ „საერთო საქმის შემფასებლის საპატოო მისიას თუ ვიტყვირთავთ, კეთილი ვინებოთ და უფრო მეტადაც გავისარგოთ“. კრიტიკას, ცხადია, მეთი უურაღდება მართებს განაპირა რეგიონების მწერლების მიმართ, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ მწერლებმაც თავ-გამოდებით უნდა იზარუნონ მხატვრული დონის ასამაღლებლად, რათა გეოგრაფიულმა პერიფერიამ ლიტერატურული პერიფერიის გაგება არ შეითავსოს.

ახალგაზრდული პოეზიის პრობლემებზე გამართულმა დისკუსიამ, პოზიტიურ მხარეებთან ერთად, თვით ჩვენი კამათის კულტურის ხარვეზებიც გამოავლინა. დისკუსია უბრალო შინაური დავა არ არის, არამედ სხპარწი პაექრობაა. არც მოაქურცა გლადიატორი, რომელიც ან უნდა მოკვდეს, ან ნებისმიერი საშუალებით გაიმარჯვოს. პოლემიკის ნორმების დაზღვევა, წვრილმანი პათიმოკვარების დაკმაყოფილება ქეშმარიტების საზიაროდ წინაშის ცნებასთან შეუთავსებელია. სამწუხაროდ, არც ჩვენი დისკუსია იყო დაზღვეული ზოგადი, შიშველი განცხადებებისაგან, სხვისი აზრის ხელუფლისაგან, დაბოლოს, აშკარა ინსინუაციისაგან.


ვევალაზე დამახასიათებელი მაინც დაუსახუთებელი, „ვერ დავეთანხმები“ დონეზე გაკეთებული განცხადებები აღმოჩნდა. მაგალითად, დ. მჭედლური წერს: „ვერ დავეთანხმები თ. დოიაშვილს ვახტანგ ხარჩილავას შემოქმედების შეფასებაში მისი პირველი წიგნის მიხედვით. ეს წიგნი რამდენიმე წლის წინ გამოვიდა და მას შემდეგ ამ ნიჭიერმა პოეტმა არსებითი ნაბიჯები გადადგა წინ. ასევე საინტერესო პოეტია ბადათერ არაბული, რომლის ადგილი ვერ არის სათანადოდ მონიშნული...“

როგორც ვხედავთ, დ. მჭედლურიც ვეძებდა, არ მეთანხმება ორი პოეტის შეფასებაში არაფერს სახუთებს, ამიტომაც მისი უკვე დავეთანხმები“ მხოლოდ სუბიექტური შეხედულებაა, რომელიც დისკუსიას არაფერს მატებს. საქმის ინტერესებისთვის ალბათ ჯობდა, რომ ავტორს არგუმენტირებულად ეჩვენებინა, რაში გამოიხატა ერთი პოეტის პროგრესი, ან რითია მეორე პოეტი „სათანადო ადგილის“ ღირსი. კონკრეტული დასახუთების გარეშე ასეთი გამოსარჩლება მხოლოდ რვეერანსის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ახლა არსებითის გამო ვ. ხარჩილავასთან დაკავშირებული ფრანკ ორანოვიანი, ამიტომ ჩემთვის გაუგებარია, რაში არ მეთანხმება დ. მჭედლური: ავტორის პირველი წიგნის შეფასებაში, თუ იმაში, რომ შემდგომი პერიოდის ლექსებიც უნდა გამეთავალისწინებინა? თუ იგი წიგნის შეფასების გამო შეკამათება, მაშინ ჩემი მოსაზრების საპირისპიროდ უნდა დემიტაციებინა, რომ ვ. ხარჩილავას მსჯელობანი უყოფიერების ზოგად საკითხებზე არ ატარებს „ცნობილი ქეშმარიტებების ხელმეორედ აღმოჩენის“ ხასიათს და „პირადი მნიშვნელობის ფაქტიდან“ „პოეზიისა და მკითხველის კუთვნილებად“ იქცევა. დ. მჭედლურმა ეს არ გააკეთა. მან არც ის განმარტა, რაში გამოვლინდა შემდგომ ხანებში „არსებითი ნაბიჯები წინ“, რასაც მე ვერ გავიზარებ.

დ. მჭედლურს, ცხადია, უფლება აქვს თავისი აზრი ჰქონდეს ნებისმიერ პოეტზე, მათ შორის ბ. არაბულზეც, მაგრამ „ადგილის მონიშვნა“ ძალიან ნაადრევია მგონია. ბ. არაბულის ლექსებს აქვია უშთაქვსი რამ — ადამიანთა და მოვლენათა არაორდინარული ხილვა. მას ხშირად უჭირს თემის დამოუკიდებელი გააზრება, რის გამოც პოპულარულ თემებს და მზა სახეებს მიმართავს. ინდივიდუალური საწყისი ნიველირებულია, საშაგიეროდ უზვადაა ემოციისაგან დაცლილი ფრაზები: „დროა ყველაზე დიდი მსაჭული“, პოეტის სული მოქცეულია ბელტებში, ბალახში, ყანაში, ღრუბლებში; თანამედროვე თაობა შედარებულია წვიმასთან, მინდვრებთან, ბალახთან, მწესთან; დრო „სისხლის წვიმებით“ იწვიმებს, ირაკლი ოჩიურის სახელოსნოში „სიმღერა უბრძანებს ლითონს“; კრწანისი, წესისამებრ, სევდას აღუძრავს, დიდგორის ომის შემდეგ დარჩა „მხოლოდ მინდორი თვალუწვლენელი“, მესხეთს კრილობასავით სტიკია ტაო“ და ა. შ.

ბ. არაბულს, ჩემი აზრით, დიდი მუშაობა სჭირდება, რათა წინ წამოსწიოს ის შინაგანი



და მისეული, რაც ამ ავტორის ლექსებში ნიჭის მინიშნებად გამოკრთის. ეს გახდის მას გამოჩენის ღირსად და „ადგილის მონიშვნაზეც“ მაშინ შეიძლება საუბარი.

დაუსაბუთებელი და არგუმენტაციას მოკლებულია აგრეთვე დ. მჭედლურის დაპირისპირება მეთაური წერილის დებულებასთან: „ახალგაზრდული პოეზია იფიქრებს თავის სოციალურ ფუნქციას, მტკივნეული პრობლემების დამუშავების ნაცვლად გვთავაზობს უღიმღამო სურობატებს, რომლებშიც შიშველი ალტაცების გარდა არაფერია ჩადებული“.

ცალკე უნდა გამოყოფ ვახტანგ ხარჩილავას წერილი „ნაჩქარები დასკვნები“ („ცისკარი“, № 5), რომლის ავტორი, ნაცვლად იმისა, რომ იკამათოს ძირითად საკითხზე — ახალგაზრდული პოეზიის ავ-კარგზე, მის ტენდენციებზე — უცნაურ ამოცანას ისახავს: განიხილოს მეთაური წერილი და აჩვენოს, თითქოს თ. დოიაშვილი ტენდენციურად წარმოგვიდგენს ახალგაზრდული პოეზიის პანორამას, ახალგაზრდა ავტორთა მიმართ ამჟღავნებს პირად სიმპათიანტიპათიას და ა. შ.

ვ. ხარჩილავა თავგამოდებით ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ: 1. თ. დოიაშვილის წერილი შეესებას საჭიროებს; 2. მისი მოსაზრებები მცდარია. რა არის ასეთ შემთხვევაში საჭირო? საქმით დაინტერესებული კაცი ხარვეზებს შეავსებდა, გაგვაცნობდა ახალ სახელებს, მათს შესახებ სერიოზულ საუბარს წამოიწყებდა, საკუთარ, განსხვავებულ მოსაზრებებს არგუმენტაციით გაამარტებდა. ვ. ხარჩილავას წერილში კი ვერ ნახავთ თუნდ ერთ ახალ დებულებას დისკუსიის საგანზე, რომ აღარაფერი ვთქვათ აზრის დასაბუთებაც. არგუმენტირება მისი პაექრობის სტილისთვის უცხოა, მისი იარაღია უცილობელი ტონი და „ჩემი ჯობსო“.

ვ. ხარჩილავა თავიდანვე აცხადებს: „წერილის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ავტორმა, სამწუხაროდ, ბევრი შეცდომა დაუშვა“ (გვ. 138). მაინც რა ამისთანა შეცდომები, და თანაც ბევრი, დაუშვა თ. დოიაშვილმა, რაც რედაქციამ ვერ შეამჩნია, ვ. ხარჩილავას მოდარაჟე თვალს კი არ გამოეპარა?

„ჩამთავრე მ კითხველი წერილს და მისთვის მაინც გაუგებარი რჩება ავტორის პოზიცია, რადგან მან ვერ შეძლო ამომწურავი ინფორმაციის მოწოდება, ვერ დახატა ნათელი სურათი, რომელიც სწორ წარმოდგენას შეგვიქმნიდა ამ ახალგაზრდობაზე“ — წერს იგი (გვ. 138).


ვ. ხარჩილავას ისე სურს წარმოდგინოს საქმე, თითქოს „გაუგებარი რჩება ავტორის პოზიცია“. მაშ რას ებრძვის ის სურათი? რა დებოთ, რას უარყოფს? ნუთუ იმას, რაც მისთვის გაუგებარი დაჩა? იქნებ „გაუგებარი პოზიცია“ ისაა, რომ მე არ დავხატე მოაქტირისათვის სასურველი, „ნათელი სურათი“, მაგრამ ეს ხომ სწორედ ვ. ხარჩილავას მიერ დაგმოილი „შავის თეთრად გასაღების ტენდენცია“ იქნებოდა? ან რა ამომწურავი ინფორმაციის მოწოდებაზე ლაპარაკობს იგი? ინფორმაციისათვის არსებობს ცნობარები და ენციკლოპედიები. როდის, სად, ვის მიერ დაწერილა სადისკუსიო წერილი „ამომწურავი ინფორმაციის მოწოდების“ მიზნით?

ვ. ხარჩილავას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს კრიტიკული უარების სპეციფიკაზე. ამიტომ, რომ იგი სადისკუსიოდ გამოიწუნებდნენ მეთაურ წერს ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებს უყენებს. ზემოთ მან „ამომწურავი ინფორმაციის“ უქონლობა მისაყვედურა, შერე, როცა კამათმა „მოითხოვა“ და წაცდა, თ. დოიაშვილი ოცდახუთი ახალგაზრდა ავტორის წიგნს განიხილავსო, უმალ რამდენიმე პოეტის ლექსების ანალიზი მიჩნია (გვ. 141). რა ვქნათ ახლა, რომელს დავუჭიროთ: ყოფილა ჩემს წერილში „ამომწურავი ინფორმაცია“, თუ ოცდახუთი ავტორი ცოტაა? რამდენიმე ავტორის განხილვა თუ ჯობდა, „ამომწურავ ინფორმაციას“ რატომღა მოვითხოვთ?

ასეთი წინააღმდეგობანი და ულოგოკობა ვ. ხარჩილავას წერილში ცოტა არაა. აი, ერთი დამახასიათებელი ნიმუშიც ვ. ხარჩილავას პოლემიკური „ორსახვნებისა“. იგი გვეკითხება: ნუთუ კრიტიკოსი „ვერ ხედებოდა, რომ მცირე მოცულობის წერილში ოცდახუთი პოეტის საფუძვლიანი შეფასება შეუძლებელი იყო?“ (გვ. 141), ამავე გვერდზე, ცოტა ზემოთ კი მისაყვედურებდა: „იგი ვერ ახერხებს სრული ანალიზი მოგვეცეს ისეთი პოეტების შემოქმედებისა, როგორცაა მ. ჩიტოვილი, დ. მჭედლური, ვ. ხორაულა, კ. არაბული...“ „დაზარალებულთა“ სიას პოლემისტი სხვა ადგილას (გვ. 146) უფრო განავრცობს, ჩამოთვლის წ. მოლაშხიას, ე. ნიჟარაძეს, ი. ციგროშვილ ქუთათელაძეს.

ახლა დავაკვირდეთ. ვ. ხარჩილავა ამბობს, „მცირე მოცულობის წერილში“ ამდენი ავტო-

თენიშურაზ დოიაშვილი
პოვნა თაჰვისი თაჰვისა



რის „საფუძვლიანი შეფასება“ შეუძლებელია, მაგრამ ავიწყდება, რომ თვითონ, ამავე „მცირე მოცულობის წერილში“, სულ ცოტა, რვა პოეტის შემოქმედების „სრული ანალიზი“ მომთხოვია. თუ კონკრეტული წერილის ფარგლებში ბევრი ავტორის „საფუძვლიანი შეფასება“ შეუძლებელია, „სრული ანალიზის“ მოთხოვნა რას ნიშნავს?

ვინც რამდენადმე ერკვევა კრიტიკული ფანტების სპეციფიკაში, მისთვის აშკარაა, რომ ისეთი დანიშნულების წერილში, როგორც მეთაური წერილია, წარმოდგენილია ვინმე პოეტთა მთელი ჯგუფის შემოქმედების საფუძვლიანი თუ სრული ანალიზი დაიხაზოს მიზნად. მთავარი ამოცანა აქ დიდძალი მასალის განვლვაა, საერთო ტენდენციების წარმოჩენა და არა ცალკეულ პოეტთა წიგნების „სრული ანალიზი“, როგორც ამას ვ. ხარჩილავა მოითხოვს. ვ. ხარჩილავა, რომელიც თურმე კრიტიკოსიც უყოფია, ალბათ უნდა ერკვეოდეს ამ დარგის ანაბანაში.

სურათი, რომელიც დახატულია მეთაურ წერილში, მაინცდამაინც დამამშვიდებელი არ არის. ვ. ხარჩილავას ეს არ მოსწონს, ამიტომაც თავისი მიზნის მისაღწევად უკველგვარ საშუალებას მიმართავს: ფაქტების გაუალებებას, აზრის დამაინტეხებას... ამასთან, იქნეს შეუწყნარებელ უტაქტობას როგორც უფროსი თაობის, ისე ახალგაზრდა თანამოკალმეების ერთი ნაწილის მიმართ.

ვ. ხარჩილავა ეძებს „ბევრი შეცდომის“ პირველმოიზეს და მკითხველს აუწყებს: „რაში გამოიხატება მისი პირველი შეცდომა, რომელსაც მერე თავისდაუნებურად მოუვა შეცდომების გაჭვივ? პირველყოფლისა იმასი, რომ კრიტიკოსმა გადაწყვიტა თაობის სახე განესაზღვრა პირველი წიგნების მიხედვით, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, მან ერთ თაობად მონათლა ისინი, ვისი წიგნებიც დროის თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში გამოიცა“ (გვ. 139).

ჭერ თავად ტერმინზე „თაობა“. ეს ცნება შემოქმედებითი პოზიციის ერთიანობას გულისხმობს, დამწყებ ავტორთა გამაერთიანებელ ნიშანზე ლაპარაკი კი მხოლოდ მკითხველს შეუძლია. „თაობის ზოგად პროფილზე საუბარი ნაადრევიც მგონია და გაუმართლებელიც“ — ვწერდა მე. ხარჩილავა მეთანხმება: „სწორად მიმართა თ. დოიაშვილის განცხადებამ“ და თავის მხრივაც დასძენს, რომ თაობაზე ლაპარაკი, ჭერჭერობით მაინც, მიზანშეუწონელია (გვ. 140).

რა გამოვიდა? თ. დოიაშვილი უარყოფს თაობის არსებობას, ვ. ხარჩილავა ეთანხმება მას, მერე კი მეთაური წერილის ავტორს უსაყვედურებს, „გადაწყვიტა თაობის სახე განესაზღვრა პირველი წიგნების მიხედვით“. თუ თაობა არ არსებობს და ამას ვამბობ მე, როგორღა გადავწყვიტე თაობის სახის განსაზღვრა?

დავუბრუნდეთ „პირველ შეცდომას“. თ. დოიაშვილმა არ გაითვალისწინა პირველი წიგნის გამოცემის ხიზნელი, რის მიხედვითაც... გვ. 25 და 45 წლის პოეტის პირველი წიგნები ერთდროულად გამოდის და ისინი „ერთ თაობად (?) მონათლა“. მან თურმე „უკველდღიური ლიტერატურული ცხოვრების არასრული ცოდნისა“ და „სარეცენზიო წიგნების ავტორთა შესახებ ბუნდოვანი ცნობების“ გამო ერთმანეთის გვერდით მოახვედრა და ბედნიანად და ვ. წერეთელი, თ. ბაძაღვა და გ. გიორგობიანი, გ. სულაქაური და ზ. ვაშაქიძე. „ამ პოეტებს შორის ასაკობრივი განსხვავება 15-20 წელია (ზოგჯერ მეტიც)“ — ეფექტისთვის ციფრებსაც იშველიებს ვ. ხარჩილავა (გვ. 139).

ვინ არიან ეს „ახაკვადაცილებლები“? მოკამათე სამ ავტორს ასახელებს: ზ. ვაშაქიძე, ვ. წერეთელი, გ. გიორგობიანი. დავუშვათ, მართლაც ვამბარა შეცდომა, ეს სამი ავტორი 25 (!) ავტორს შორის ჩავრთე. ნუთუ ამას შეეძლო ქეშმარიტების გზილან ავცილინენ?! მოყვრის თვალს, თუ ეს მაინცდამაინც საჭირო იყო, აღნიშნავდა ამ უწყუტობას, შემდეგ კი არსებით საციობზე იმსჯელებდა, მაგრამ...

ვ. ხარჩილავას კრიტიკული სვლა ძალიან შორს არის გამოწეული: „თემიურაზ დოიაშვილი ახალგაზრდულ პოეზიაზე იმ ავტორების შემოქმედებაზე დაყრდნობით მსჯელობს, რომელიც არ ეკუთვნიან ახალგაზრდა თაობას. მათ ნაკლავებებს ხელოვნურად მიაწერს ამ თაობას და მშვილად აკეთებს დასკვნას, რომ ახალგაზრდული პოეზია სუსტია და უღიმღამო“ (გვ. 141).

აი, თურმე რისთვის წამოიწყო მოპაქერემ საუბარი „სხვა თაობის“ პოეტებზე! თურმე ახალგაზრდული პოეზიის უკვეა ნაკლი, რაზეც ჩემს წერილშია საუბარი, ამ სამეულზე მოდის!

ნათქვამს რომ მეტი დამაჭერებლობა მისცეს, ვ. ხარჩილავა არაერთგზის იმეორებს მის მიერვე შეთხოვულ დებულებას. „ამ თემითან (იგულისხმება ჩემს წერილში გამოყოფილი თემები — თ. დ.) ახალგაზრდა პოეტების მიმართების ჩვენებისას იგი უფრო აღრმავებს იმ შეცდომებს, რაც თაობის წარმომადგენელთა დასახელებისას დაუშვა. მას, უმეტეს შემთხვევაში, თავისი მოსაზრებების სახელსტრაციოდ ადგილები იმ პოეტების ლექსებიდან მოჰყავს, რომლებიც, როგორც ვთქვით, არ მიეკუთვნებიან ამ თაობას“ — წერს იგი.

მკითხველი ალბათ ელის, რომ ასეთ სერიოზულ ბრალდებას მოპაქერე ფაქტებით დამტკიცებს. იგი ამას არ აკეთებს. რას იზამს „ობიექტურობის მოსურნე“ პოლემისტი, ვინმემ რომ ვალაათელიეროს „ცისკრის“ პირველი ნომრის ის გვერდები (გვ. 103-112), სადაც მის მიერ მინიშნულ თემებზეა საუბარი? ზომ



გამოაშვარაღებდა, რომ ათ გვერდზე, ანუ წი-
რილის ე. წ. ზოგად ნაწილში, მხოლოდ ორი
პატარა ფრაგმენტია ზ. ვაშაქიძისა (გვ. 105,
110) და ორად ორი სტრიქონი ვ. წერეთლისა
(გვ. 110), მათთან ერთად კი — უამრავი ცი-
ტატა იმ ახალგაზრდებისა, რომელთაც ვ. ხარ-
ჩილავა თავისი თაობის წარმომადგენლად
თვლის? სად არის ეს „უსეტეს შემთხვევაში“,
ან „იმ პოეტების ლექსები“, რომლებიც „ამ
თაობას“ აღარ ეყუთენიან? რა ჰქვია ამას პო-
ლიემიკაში, მკითხველმა განსაჯოს.

ვ. ხარჩილავამ კარგად იცის, რომ ზოგადი
განცხადების ეფექტი საქმაოდ სუსტია, ამიტომ
კონკრეტული მსჯელობის ილუზიასაც ქნის.
იგი იმეორებს ჩემი წერალების ერთ ადგილს, სა-
დაც ახალგაზრდული პოეზიის სოციალურ ინ-
დიფერენტობაზეა საუბარი და დამოწმებულია
ზ. ვაშაქიძის ლექსიც. ამას მოსდევს ვ. ხარჩი-
ლავას კომენტარი: „ვეთანხმები კრიტიკოსს,
რომ ეს სტრიქონები მართლაც არაფერს მი-
გვანიშნებს ჩვენს დროზე. სწორია ეს, მაგრამ
იქვე ჩნდება კითხვა: რა შუაშია აქ მთლიანად
ახალგაზრდული პოეზია? ავტორის, რომელიც
ამ თაობას არ ეყუთენის, ერთ ლექსს რატომ
გადავაყოლით მთელი ახალგაზრდული პოე-
ზია?“ (გვ. 140).

განა ზ. ვაშაქიძისთან ერთად, აღნიშნულ სა-
კითხვე მსჯელობისას, იქვე არ არის დამოწ-
მებული გ. მინდიაკაურის, ფ. ფხაკაძის, ი. ცი-
გროშვილის, დ. ბედლიანის ლექსები?

გასაოცარია, ფაქტების ამგვარი წინასწარგა-
წინააღმდეგობის შემდეგ, როგორი მო-
უხერხებლობით კითხულობს ვ. ხარჩილავა: „რა-
ტომ წამოაჰკიდა ზურგზე სხვისი ცოდვები, რა-
ტომ შეუერთა ეს ხალხი კრიტიკოსმა ასე ხე-
ლოვნურად ამ ახალგაზრდებს, ჩემთვის მაინც
გაუგებარაა. მარტო ფაქტების უცოდინრო-
ბის გამო მოხდა ეს?“ (გვ. 140).

მომიწევს კითხვა შეეუბრუნო: მართლაც,
„რატომ წამოაჰკიდა ზურგზე სხვისი ცოდვები“
ვ. ხარჩილავამ ორ უღანაშაულე მანდილოსანს,
თუ „თაობის“ პრესტიჟის დასაცავად ფაქტების
შეგნებული გაყალბება იბიექტურობისა და
მადლი წენობის გამოვლენა ჰგონია?!

ვ. ხარჩილავას კამათის სტილი, პოლიემიკუ-
რი ხერხები და, რაც მთავარია, პოლიემიკის მი-
ზანი კიდევ ერთხელ ცნაურდება ქართული
სოფლის ბედის, მიგრაციის საკითხზე მსჯელო-
ბისას. ის აღიარებს, რომ ჩემი „ბევრი შენიშ-
ვნა სწორია და მართებული“ (გვ. 148), მაგრამ
აქაც იწყებს შორსგამიზნულ კამათს:

„როდესაც ამ საკითხზე ვმსჯელობდით, აუ-
ცილებლად უნდა გავვეთხო პარალელი წინა
თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის პოეზიას-
თან, რადგან, ჩემი აზრით, სწორედ მათ შე-
მოქმედებაში იქნა აღებული თავდაპირველად
ყალბი ნოტი და ახალგაზრდები უფრო მიმ-
ტირებლების, მოზანეების როლში აღმოჩნდნენ.

ახალგაზრდულ პოეზიაში თემისადმი მიმართუ-
ლებული მიდგომა ინერციით განსაზღვრულ
წინამავალთა ლირიკიდან და როგორც თ. დოია-
შვილი წერს, სწორედ ზოგიერთმა ახალწვეულ-
ელმა სცადა შეკამათებოდა და წინაღობა მოე-
და მას: „შორიდან მოთქმა, რომ მიატოვებს. რა
ქვია, თუ სიყალბედ მეჩვენება“ — ამბობს მ.
ჩიტოშვილი და ახალგაზრდულ პოეზიასთან გა-
ცნობა გვარწმუნებს, რომ მისი თანატოლების
უმრავლესობაც ამავე აზრისაა. ასე რომ ახალ-
გაზრდობის ცოდვა არც ისე დიდია, თუმცა
ზოგიერთმა მათგანმა მაინც ვერ გაუძლო ცთუ-
ნებას“ (გვ. 144).

რაზე დავობს ვ. ხარჩილავა? იგი ისე წარმა-
რთავს მსჯელობას, თითქოს მართლა ჰქონდეს
რამე საკამათო; მეთაური წერილის დებულებ-
ებს, აქ გამოთქმულ კონკრეტულ აზრს ზოგა-
დი ფრაზებით, არარსებული არგუმენტებით
უპირისპირებდა.

ჩემი პოზიცია ასეთია: აღნიშნული საკითხის
დამუშავებისას ახალგაზრდა პოეტთა უმრავლეს-
ობა ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულ სტე-
რეოტიპს იმეორებს, ინერციას მისდევს. ვ. ხარ-
ჩილავა მგაჟამობა, „ყალბი ნოტი“ უფროსი
თაობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა აიღო,
ახალგაზრდები კი „მიმტირებლები“ და „მოზა-
ნები“ ვართო.

მეც მანდა ვარ! საოცარია, მაგრამ მოაუკერეს
ჰგონია, თითქოს რაღაც განსხვავებული თქვა-
სტერეოტიპის ჩამოყალიბება, ცხადია, უფროსი
თაობის მოღვაწეობას მოჰყვა. „ახალწვეულნი“
ქერ საქმაოდ სუსტნი არიან საიბისოდ, რომ ქა-
რთულ პოეზიას თავისი სტერეოტიპი მოახვი-
ონ თავს. ახალგაზრდებს სტერეოტიპის შემო-
ტანას კი არ ვსაუვედრობ, არამედ მის დაუს-
რულებელ გამეორებას, სხვაგვარად, „მოზანე-
ობას“. მაშასადამე, თ. დოიაშვილს სცოდნია,
რომ თემაც და სტერეოტიპიც წინა თაობის
კუთვნილებია, რომელსაც ახალგაზრდები დაუ-
ლობებლად ექსპლუატაციას უწყევნენ. განა ამასვე
არ იმეორებს პოლიემიკური ტონით ვ. ხარჩი-
ლავა, ოღონდ, ჩემგან განსხვავებით, დანაშაუ-
ლის მთელ სიმძიმეს („ყალბი ნოტი“) წინა
თაობის ზოგ წარმომადგენელს მიაწერს, თი-
თქონს სტერეოტიპის გაუთავებელ ვარიტებას
ისინი აძალდებენ ახალგაზრდებს. ნუთუ „ამ
თაობის“ გასათვრებლად საკუთარი უნიათო-
ბა „წინა თაობას“ უნდა გადავებრალოთ? რა
ღირებულება აქვს ამგვარად გადარჩენილ პრე-
სტიჟს?

ვ. ხარჩილავამ იგრძნო, რომ არათეიკურად
მოქცაა უფროსი თაობის თანამოკალმეების მი-
მართ, ამიტომ სასწრაფოდ სცადა მდგომარეო-
ბის გამოსწორება. „როცა ამ თემაზე ვსაუბ-
რობთ, — წერს იგი — არ შეიძლებოდა გვე-

თიემურაჲ დოიაშვილი
პრზნა თაზინი თაზინს

რდი აგვევლო წინა თაობის პოეტთა შემოქმედებისათვის თუნდაც იმიტომ, რომ მათ ერთერთმა პირველებმა სცადეს უარი ეთქვათ მოძველებული სქემისათვის, თემის პრიმიტიული გადაწყვეტიზათვის" (გვ. 144).

ასეთი ჩვენრანის მერვ ვ. ხარჩილავა კურიოზულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „თაობობანას“ თამაშის დროს მას გადავიწყდა „დაცვის ძირითადი ობიექტი“ და „ახალწვეულნი“ ახლოლუტური მიმბაძველობის როლში გამოიყენა. დაეაკირადეთ: ახალგაზრდები, მართალია, „მობანებები“ არიან, მაგრამ წინააღვალთა ლირიკიდან გადმოსულ შეწუღდვებს ებრძვიანო — ამბობდა ადრე. ახლა ამტკიცებს: მოძველებულ სქემებსაც ისევ და ისევ წინა თაობის პოეტები დაუპირისპირდნენო. დასკვნა: ახალგაზრდები „ყალბი ტონის“ მობანებეც არიან და სქემის დაძვევაშიც წინა თაობის გზას მიჰყვებიან.

ის, რაზეც ახლა გვქონდა საუბარი, ვ. ხარჩილავას უნებურად, ლოგიაკაში წაფორხილების გამო შეუთხვა, თაობათა კავშირზე საუბარი, „ი სულ სხვა მიზნით წამოიწყო. მოვესმინოთ: „რა იწვევს ამგვარ მცდარ დასკვნას თ. დლიაშვილის წერილში? ის, რომ იგი ახალგაზრდულ პოეზიას განიხილავს უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენელთა შემოქმედებისაგან იზოლირებულად“ (გვ. 144). რა იფარება ამ მოთხოვნის მიღმა, რომელიც არავის დაურვევია? ამით თურმე „ნაკლის სათვსეც იოლად მივაკლდედიო“! (გვ. 144). მაშასადამე ნბპლი წინა თაობის სინდონსმა, ახალი თაობა მხოლოდ მობანია. ვ. ხარჩილავას „დაცვის სტრატეგიაში“ ერთი რამ გამოჩნა: პოეზიაში კარგის მიბაძვაც კი არ ფასობს, ნაკლის „მობანების“ კი ინერციისადმი სრულ მორჩილებას ნიშნავს.

მას შემდეგ, რაც ვ. ხარჩილავამ ჩემი შენიშვნების ერთი ნაწილი „წინა თაობის ზოგიერთ წარმომადგენელს“ დაუკავშირა, რამდენიმე ახალგაზრდა პოეტის მსხვერპლშეწირვაც გადაწყვიტა უმაღლესი მიზნის მისაღწევად — საერთო პრესტიჟის გადასარჩენად. „ლექსების შეფასების დროს კრიტიკოსი მართალია... მაგრამ არიან კი ეს ავტორები ის პოეტები, რომელიც თელი ახალგაზრდული პოეზიის მრწამსს და სახეს გამოხატავენ?“ — წერს იგი ერთგან კონკრეტულ ავტორებთან დაკავშირებით (გვ. 140). მოაქერე დუინებით მოთხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას რამდენიმე პოეტიკადმი, „რომლებმაც მითხველი და ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება მიიქციეს“.

„ლიტერატურულ თაობას, როგორც წესი, რამდენიმე კაცისაგან შემდგარი ავანგარდული ჯგუფი ჰქრავს ხოლმე. — წერს ვ. ხარჩილავა, — მათ მოაქვთ რაღაც ახალი, ნოვატორული. თაობის სახეს ისინი ჰქმნიან. მათ გვერდით,

დროის იმავე პერიოდში შეიძლება კიდევ მრავალი პოეტი მოღვაწეობდეს, რომელთა შემოქმედების ხვედრითი წონა თაობის ლიტერატურული კრდოს ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოა. თაობის თე თანამგზავრები ავანგარდისტული ჯგუფის მიერ გაკავლულ გზას მიჰყვებიან და ფაქტურად არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ახლის დამკვიდრებაში“ (გვ. 142).


კი მაგრამ, სად არის ახალგაზრდულ ქართულ პოეზიაში ეს „ავანგარდისტული ჯგუფი“, რომელსაც თურმე რაღაც ახალი და ნოვატორული მოაქვს? ასეთი ჯგუფი არ არსებობს. ზოგად განცხადებას დასაბუთება სჭირდება. რატომ არ თქვა ვ. ხარჩილავამ, მაინც რა სიახლეები მოიტანეს ამ „ავანგარდისტებმა“. ახალგაზრდული პოეზიის უბედურება ხომ სწორედ ისაა, რომ სულტა ნოვატორისავე ღტოლვა, უკეთეს შემთხვევაში, ეს თითო-ორთა ავტორის გაუბედავი ცდაა.

„განა ვინმეს მოუვა აზრად, — წერს იქვე ვ. ხარჩილავა, — ოთარ კილაძის თაობას უნიკობა და პლაგიატობა შესწამოს იმის გამო, რომ ამ თაობის რომელიმე მეორეხარისხისაგან პოეტი სუსტ ლექსებს წერს?“

ოთარ კილაძე და მისი თაობა ნიჭმა და თავდადებულმა შრომამ გამოყო „წერასაძანილთაგან“ და არა ყალბმა წარმოდგენამ, რაკი ლიტერატურაში ახლები ვართ, სიახლაც მოგვაქვსო. ახალგაზრდულ პოეზიაში არიან მეტ-ნაკლებად ნიჭიერი პოეტები, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ჩანს თუნდაც ერთი პოეტი, რომელიც თელი თაობის „მრწამსს და სახეს გამოხატავს“. ლიდერის მისიურის ძიება ძალიან ნაადრევია, საზოგადოების ყურადღება კი გულუბვი ავანსია, რომელსაც თავდადებული შრომით უნდა ანაწლაურება.

ვ. ხარჩილავამ უველაფერი იღონა, რაც კი მოახერხა: ახალგაზრდული პოეზიის ნაკლი ჭერორ მანდილანს გადაბარა, შემდეგ ზოგიერთი ხარვეში წინა თაობას არგუნა, ბოლოს კი „ავანგარდული ჯგუფის“ სასარგებლოდ თანატოლების დიდი ნაწილი გაწირა — დარჩენილი ნაკლი „თაობის თანამგზავრებს“ მიაწერა. რა დამტკიცა ავტორმა? აბოლუტურად ვერაფერი.

ვ. ხარჩილავა სრულიად უდავოსაც კი სადავოდ ხდის და საშუალებებსაც არ დაგიღვეთ. „ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ლექსებში, იშვიათი გამოწკლისის გარდა, შაბლონის განუკითხვეი ბატონობა იგრძნობა“ — ვერა თე და მომაქვს საილუტრაციო მასალა. ვ. ხარჩილავა შენიშნავს: „კრიტიკოსი არ ასახელებს ამ მართლაც სუსტი სტიქონების ავტორებს, რადგან, მისი აზრით, ნებისმიერ ახალგაზრდა პოეტს დაუძენით ამ რეცეპტით შექმნილ არაერთ სიახლეს“ და აღედენა...“ აქ შევჩერდეთ. ის, რასაც ამის შემდეგ ვ. ხარჩილავა ბრჭყალებში სვამს, ე. ი. თითქოს ჩემია, მე არსად მიწერია —



„ფსევდოპოეტური სახეები ნიშანდობლივია მთელი თაობისათვის“ (გვ. 142). ესეც მოპაეკრის „მარტებული“ მსჯელობის კიდევ ერთი დასტური! უყოველივე ამის შემდეგ ვ. ხარჩილავა სხვას მშვიდად უპოინებებს: „კრიტიკოსი აქაც ხელოვნურად აწიძმებს და ამუქებს სიტუაციას. აქაც თითო-ორილა ავტორის ცოდვას მთელ თაობას მიაწერს“ (იხვევ).

მე თითო-ორილა ავტორის სტრიქონებს კი არ ვიშოწმებ, სახეობრის შაბლონის ტიპიური ნიმუშები მომაქვს, რაც მეტ-ნაკლებად უველა ახალგაზრდა პოეტის ლექსებში გვხვდება. პოეტის შემეხის დაუსრულებელი ციტირება უმადური საქმეა, ამიტომ მკითხველს თავს არ შევაწყენ. ვ. ხარჩილავას კი ვთხოვ, დააკვირდეს საკუთარ „სახეებს“: „ლამის უღრანი, ბეღლი ტალანდია“, „გადაბუგული დღეების ფერლი“, „ხსოვნა — დაღლილი ბერიკაცი“, „ოცნების დამწვარი ფრთები“, „საუყუნეთა მკენარი ველი“, „ლამის ჭბიბი“, „დროის ფანჯარა“, „ღილის ჭიშკარი“... ამავე ტიპისა ძველმოდური — „შენ მოველინე ჩემს გაპარცულ ხატს და სალოცავს“, „მივჩერებოვარ ნათელს მიღმიერს და შუბლზე მთვარის მეცხმა ცრემლი“, „და სავსე მთვარეს, ვით აზარფეშას, გვაწოდებს ლამის დაღლილი ხელი“...

ახლა ვკითხოთ ვ. ხარჩილავას, არის თუ არა ახალგაზრდულ პოეზიაში სახეობრივი შაბლონი?

ვ. ხარჩილავა აშკარა ინსინუაციაზეც მიდის, ოღონდ როგორმე შეანელოს მკითხველის ნდობა მეთაური წერილისა და მისი ავტორისადმი: „თ. დოიაშვილს ჰყავს თავისი რჩეული ავტორები, რომელთა შემოქმედებიდან ხშირად მოჰყავს ადგილები თავისი მოსაზრებების შესამტკიცებლად, მაგრამ იმდენად სუსტია მის მიერ მოტანილი ფრაგმენტები, რომ ეჭვი გეპარება კრიტიკოსის გემოვნებაში, იმდენად დაშორებულია და იმდენად არ ესადაგება არგუმენტისათვის მოტანილი მასალა კრიტიკოსისთვის“ (გვ. 143).

ნახეთ, რამდენი ბრალდება ერთბაშად: ტენდენციურობა, უგემოვნება, უფერულის რეკლამირება.

ვ. ხარჩილავა არ ასახელებს ჩემს „რჩეულ“ ავტორებს, მაგრამ მისი წერილი ერთ მინიშნებას შეიცავს. „თ. დოიაშვილი ამბობს: ფუჭმეოცნებეთა გამოსაფხიზლებელი ზარივით გაისმის... სტრიქონები“ (გვ. 143). სადაც ვ. ხარჩილავამ გაუგებარი მოწვევის გამო სამწერტილი ჩასვა, წერია — ლ. ჭაფარაშვილი, მაგრამ განა იგი ჩემს წერილში გამოჩნეულია? ვთბომ ვ. ხარჩილავამ ვერ შეამჩნია, რა წერია მეთაური წერილის 106-ე გვერდზე პოეტი ქალის ერთ ლექსის გამო: „ამ სტრიქონების ავტორს ალბათ, მართლაც, სჭერა ხვალისდელი დღისა, მაგრამ მე არ მჭერა მისი, რადგან მისი „არგუმენტები“ უაზროა, რადგან გაუგებარია, რა

არის ეს „ლამაზფრთიანი რწმენა“, რომელსაც „სულ სხვა კანდელი“ უნათობს? ეს არის გამორჩევა და რეკლამირება?

ლექსები, რომელთა გამო ვ. ხარჩილავა მოგნებას მიწუნებს, სამია — იმავე ლ. ჭაფარაშვილისა, ნ. გოგუაძისა და ფ. ფხაკაძისა. მოპაეკრე ისე წარმოადგენს საქმეს, თითქოს მე ისინი მისაბამ ნიმუშებად გამოვაცხადე. ვინც ჩახედავს მეთაურ წერილს და გაერკვევა, რა კონტექსტებშია დამოწმებული დასახელებული ავტორთა ლექსები (გვ. 106, 107), ის ნახავს, რომ იქ არავითარ ესთეტიკურ ფასეულობაზე არ არის საუბარი. ლ. ჭაფარაშვილისა და ნ. გოგუაძის ლექსებმა უურადლება მიიქცია პზრმობრივი შინაბარსით, როგორც ფუჭმეოცნებებიდან ცხოვრებისაყენ შემობრუნების მოწოდებამ, ფ. ფხაკაძის შედარებით „ადამიანური“ ლექსი კი გამოვყავი მისივე სხვა ნაწარმოების უაღი ინტონაციის ფონზე. ეს არის და ეს არც ერთი სიტუვა მატკრულ ღირსებაზე.

ვ. ხარჩილავას არც ჩემი წერილის „მენტიორული ტონი, უოვლისმეოდნის პოვა, გამაღიზიანებელი, ნიშნისმომგები კილო“ (გვ. 141) მოსწონს. საილუსტრაციოდ მოაქვს გ. მინდიკაურის ერთი ლექსის ჩემუთლი განხილვა და წერს: „ვეთანხმებ კრიტიკოსს — არ ვარგა ეს სტრიქონები, მაგრამ განა ეს უფლებას გვაძლევს, ცინიკურად ვესაუბროთ ახალგაზრდა დამწყებ პოეტს?“ ვ. ხარჩილავა მეთანხმება არსებითში — გ. მინდიკაურის ლექსი არ ვარგა. — მაგრამ არ მოსწონს ჩემი ტონი. მე გამიჭირდება ოდესმე ალერსიანად განვიხილო ასეთი უსუსური, აზრობრივად გაუმართავი სტრიქონები: „ბრქმეკაცთა მიერ გზებს გამოზომილს ბრძოლით გავივლით, არა ვედრებით, ჩვენ გვზურს პლანეტას ასცილდეს ომი, ჩვენ კომუნისში გვეკია მხედრები“. დღე, გ. ხარჩილავამ ილანარგოს მასზე შემეპარა ხმით. მე კი ასეთი სტრიქონების გამოქვეყნებაში მკითხველისადმი უპატივცემლობას ვხედავ და კვლავაც კატეგორიულად გამოვალ ასეთი „პოეზიის“ წინააღმდეგ. „რას მისცემს მას (პოეტს — თ. დ.) ამგვარი შენიშვნა, რას ასწავლის, რაში დაეხმარება?“ — კითხულობს ვ. ხარჩილავა. იმას, რაც საჭიროა: მეტ პასუხისმგებლობას და მომთხოვნელობას საკუთარი თავისადმი, მკითხველის პატივისცემას, თვითკრიტიკული დამოკიდებულების გამომუშავებას. განა ეს ცოტაა?!

ვ. ხარჩილავას წერილში არის მთელი რიგი პასუხები, რასაც თეორიული კამათის შეფერილობა ახლავს. ავტორი კვლავაც ნაცად ხერხებს მიმართავს: შიშველი უარყოფა, მოჩვენებითი პოლემიკურობა, მისამართს აცდენილი „შენიშვნები“, რასაც თან სდევს თეორიული

თეიმურაზ დოიაშვილი
კოვხა თავისი თავისა

განწავლულობის პრეტენზია. ავიღოთ, მაგალითად. მისი მსჯელობა საზოგადოებრივი ღირებულების თემებისადმი ახალგაზრდული პოეზიის დამოკიდებულებაზე.

მსგავსად ლ. მჭედლურისა, ვ. ხარჩილავაც არ იზიარებს ჩემს შეხედულებას საზოგადოებრივი თემებისადმი ახალგაზრდა ავტორთა დამოკიდებულების შესახებ და სრულიად მოულოდნელად კითხულობს: „მე პირადად არ მესმის, რას გულისხმობს კრიტიკოსი ტერმინში „საზოგადოებრივი თემები“. ლიტერატურა ზომ თავისი არსით საზოგადოებრივია“ (გვ. 142). ამას მოსდევს ვრცელი მსჯელობა შესახებ იმისა, რომ ჭეშმარიტ პოეზიაში ინდივიდუალურიც განზოგადებულია და ა. შ.

ვითომ მართლა ვერ ხვდება ვ. ხარჩილავა, რას გულისხმობს საზოგადოებრივი თემები? დავაკვირდეთ, რას წერს იგი ერთგან: „კრიტიკოსი საუვედურობს ახალგაზრდებს „საზოგადოებრივი თემებისადმი“ ინდიფერენტუზს. მისი აზრით, თანამედროვეობასთან შეხშიანების, სამოქალაქო ღირსიის სფეროში მუშაობის სურვილი ნაკლებად იგრძნობა ახალგაზრდების შემოქმედებაში“ (იქვე). განა აქედან აშკარა არაა, რომ „საზოგადოებრივი თემები“ სინონიმური ცნებაა „სამოქალაქო ღირსიისა“, რასაც ვ. ხარჩილავაც კარგად ხვდება. მაშ რატომ იბრუნდება იგი მიუხედავად რეალობის?

მოაქვთ კვლავაც გაურბის საკითხის არსზე კონკრეტულ მსჯელობას. ხელოვნურად ქმნის რა გაუგებრობის სიტუაციას, პოლემიკური ტონით ახლენს თავისი თეორიული ერთეულის დემონსტრირებას. აი, ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილი: „ლიტერატურა თავისი არსით ხომ საზოგადოებრივია“; „არ არსებობს ლიტერატურული თემა, რომელიც მხოლოდ ვიწრო პირადულ სფეროს განეუფვნება და საზოგადოებრივი დატვირთვა არ გააჩნია“; „ის ლიტერატურა, რომელიც საზოგადოებრივი თვალსაზრისით არ ამუშავებს თემას, არ აწვავს, არ ავრცობს და მხოლოდ პირადულ დამოკიდებულებას გამოხატავს, უბრალოდ რომ ვთქვათ, არ ვარგა...“ ვის ეკამათება, ვის რას უმტკივნებს ვ. ხარჩილავა? იქნებ თ. დღიანვილი აღმოჩნდა ისეთი მოკლელი, რომ ამტკიცებს: ლიტერატურას საზოგადოებრივი დავტვირთვა არ გააჩნია; კარგია ის ლიტერატურა, რომელიც არ აწვავს და ა. შ.? მოარული ჭეშმარიტების ისეთი აპლომბით გაშეორება, როგორც ამას ვ. ხარჩილავა აკეთებს, სხვა რომ არ იყოს, უხერხულია.

წერილში მე მახალაზე დაყრდნობით ვამტკიცებ, რომ ახალგაზრდულ პოეზიაში საზოგადოებრივი თემებისადმი ზედპირული დამოკიდებულება, ყალბი პათეტიკურობა იგრძნობა. ვ. ხარჩილავას თუ საპირისპიროს დამტკიცება სურდა, „თეორიული მსჯელობა“ კი არ უნდა წამოეწყო, კონკრეტულად უნდა დავსაბუთებინა,

ნა, რომ „ახალწვეულთა“ შემოქმედებაში მაღალმატარულად მუშავდება საზოგადოებრივი თემები, იქმნება სამოქალაქო ღირსიის ჭეშმარიტი ნიმუშები. მან ეს ვერ შეძლო, რადგან რეალური ვითარება არ იძლევა ამის საშუალებას.

ვ. ხარჩილავა გულისწეროშით ლაპარაკობს იმაზე, რომ მოქალაქეობრივი ღირსიის ნიღბით მხატვრულად გაუმართავი ნაწარმოებები იბეჭდება. მაგრამ განა თავადაც ზერეულედ და უგულისხმოდ არ ამუშავებს ამ თემას. აი, ერთი პასევი პუბლიცისტური პოეზიიდან „ჩემი ცისფერი დედა“: „ჩემო თანატოლო, ჩემო თანამედროვე, მედროშევ და მეაბჯრევ, მეტუკევ და მედღღევ. ეს დღეები ჩვენია, ჩვენი საპატრონო. ჩემო თანამედროვე, ჩემო თანატოლო. წინ, წინ, წინ, წინ იარე, გზაზე არსად შეუცვლდე, მეტუკევ ბუკს ჩაბჭერე, დოლს დაკაპრა, მედღღევ, დედა საქართველოს მეაბჯრევ და მელორრევ, ჩემო თანატოლო და ჩემო თანამედროვე. ვიცი, უკვადვებას მხარი რომ დაატოლო, სადაც მიხვად, სიყეთის კვადი უნდა დატოვო, ჩემო თანამედროვე, ჩემო თანატოლო“. სამოქალაქო ღირსიის ასეთი ნიმუშები გარკვეული მინიტი დაწერილი მგონია. სამწუხაროდ, როგორც ვ. ხარჩილავა ამბობს, „პეტუალური თემის ზედპირულად დამუშავებელ ავტორებს მწვანე შუქს უნთებენ“.

რადგან ვ. ხარჩილავა უძლურია, ჩემს დებულებას კონკრეტულად რამე დაუპირისპიროს. იგი კიდევ ერთხელ მიმართავს „თეორიული შეტყვის“ პრაქტიკას. ის მიხსნის, რომ თანამედროვეობასთან შეხმაურების ექო არ უნდა ვეძებოთ მხოლოდ შრომაზე, ხუთწლედზე, მშვიდობაზე დაწერილ ლექსებში, რადგან „მწერლობა შურნალობს ტყაარა, რომ პირდაპირ, ფაქტებით, ოპერატიულად გამოეხმაუროს მოვლენებს“ (გვ. 148). ამას ისე დინჯად განმიმართავს, თითქმის მისთვის უცნობი იყოს, რომ მეთაური წერილის პათოსის სწორედ სინამდვილის რთული მოვლენების ზედპირული ასახვის წინააღმდეგაა მიმართული.

ვ. ხარჩილავას სურს დამტკიცოს, რომ თანამედროვე პოეზია სინამდვილის რთულ მოვლენებს ასახავს. თანამედროვეობასთან დამოკიდებულებამ „შეიძლება გამოეწიოს ისეთ თემებში, სადაც იგი, ერთი შეხედვით, ნაკლებად მახალღენილია“ (გვ. 148). ვნახოთ ურავგენტი მისი ლექსისა „უცხო“: „დაეხებება ჩვენი უგრანობელ საუკუნეში ადამიანი და ამაოდ ეძებს მახლობელს, ჩაკეტულია ყველა თავის მუდროცინში“. გაუცხოების თემის გადამღერება ვ. ხარჩილავას თანამედროვეობის რთული მოვლენების ასახვა თუ მგონია! „გამოეწვის“ წესით იგი თანამედროვეობას ეხმარება, მაგრამ ვერ ამჩნევს, რომ სერიოზული პრობლემის ამ დონეზე დამუშავება პოეზია არ არის.

„ცდება, ვინც სამოქალაქო ღირიკას ღოწუწ გისა და პლაკატის ფურცეკვას უტოვებს მხოლოდ. ეს ტენდენცია დიდი ხანია უარყოფილი და დამტოვებული იქნა საბჭოთა ლიტერატურაში და მისი აღორძინების საჭიროება სულაც არ იგრძნობა“ (გვ. 142). — წერს ვ. ხარჩილაძე. პოლემისტი მოურიდებლად აუალებებს ჩემს პოეზიას, მიკვირებს იმას, რასაც ჩემი წერილი ებრძვის — შედაპირულობას, შიშველ აღტაცებას.

ვ. ხარჩილაძე კიდევ ერთ არარსებულ თეორიულ საკითხზე იწყებს კამათს, რისთვისაც მეთაური წერილი არავითარ საბაზს არ იძლევა. მოპაექრეკვლავაც ხელოვნურად ქმნის აზრთა სხვაობის ილუზიას, შემდეგ კი თავდაჭერებით იმეორებს მთარაულ დებულებებს.

ვ. ხარჩილაძესთვის „მედარი და მიუღებელია“ (გვ. 141) ჩემი დებულება: „ზროვნების დედუქციური წყობიდან სპონტანური ღირიკის რეალზე გადასვლამ უჩვეულოდ გართულა თანამედროვე პოეზიის გამომსახველობითი პალიტრა“. კონტექსტი, საიდანაც ეს ციტატა ამოღებული, ზოგად შტრიხებში ახასიათებს თანამედროვე ღირიკის ნიშნებს, სიახლეებს და ამ ფონზე გამოკვებს დახანან ფაქტს — შაბლონის ბატონობას ახალგაზრდულ ქართულ პოეზიაში.

ვ. ხარჩილაძე, თუ მას საქმე აინტერესებდა, ახალწვეულთა პოეზიას უნდა დაკვირვებოდა ამ თვალსაზრისით, შემდეგ კი მიეღო ან უარეყო გამოთქმული აზრი. ამის ნაცვლად მან უკვე ჩვევადაქცეული თეორიული ფრაზიორობის გზა აირჩია, წამოიწყო უადგილო, სქოლასტიკური კამათი ნოვატორობასა და ტრადიციასზე.

კამათი იწყება შენიშვნით: „კრიტიკოსის თქმით, ისე გამოდის, თითქოს პოეზია აქამდე დედუქციური ხასიათის იყო, და მხოლოდ პოლო ხანებში გახდა სპონტანური“. ამას მოსდევს თავდაჭერებული განცხადება: „უშუალოდ პოეზია მუდამ, ყოველთვის იყო და იქნება სპონტანური. მისი გამომსახველობითი პალიტრაც მუდამ რთული და მდიდარი გახლდათ“ (გვ. 141).

XI საუკუნის პოეზიის არსებითი ნიშანი რომ სპონტანურობაა, რომ მისი გამომსახველობითი საშუალებანი გართულებული და მრავალფეროვნია, ეს ჩენი ლიტერატურისმცოდნეობის საერთო აზრია. იგი თ. დოიაშვილს არ მოუგონია. ვ. ხარჩილაძე, რომელიც თურმე ასე კარგად იცნობს პოეზიის ისტორიას (დააკვირდით: „მუდამ, ყოველთვის იყო და იქნება“), ურიგო არ იქნება, თუ ზროვნების წყობისა და გამოსავლის ხერხთა ნაირობის თვალსაზრისით ერთმანეთს შეუდარებს თუნდაც გასული საუკუნის ქართული ღირიკის საუკეთესო ნიმუშებს და ვ. ხარჩილაძის დედუქციურობა და სპონტანურობა შეფასებითი ცნებები არ არის, იგი მხოლოდ ზროვნების წყობის თავისებურებებს ახასიათებს. არც თანამედროვე პოეზიის განვითარების სახვეულობითი პალიტრის სირთულეს, განსაკუთრებით ნიშნებს იმას, თითქოს წინარე პოეზიას მარტივი და ერთფეროვანი ხერხები ჰქონდა.

პოლემიკით გატაცებული მოპაექრე მარტივ სიტუაციაშიც კი წინააღმდეგობებში იხლართება. იგი ისევ მარტყება: „კრიტიკოსს უნდა შევხსენოთ, რომ არსი, სული პოეზიისა უცვლელი და მარადიულია, იცვლება გამომსახველობითი ხერხები და საშუალებანი. იმ ნიშნითვისებათა უმრავლესობა, რომელიც კრიტიკოსს თანამედროვე პოეზიის მონაპოვრად მიჩნია, არც მანამდე ყოფილა უცხო და უცნობი“ (გვ. 141).

პოლემისტი ისევ ჩვეული გაუალებებით იწყებს. სად, ჩემი წერილის რომელ გვერდზე ამოკითხა, რომ შეიცვალა არსი და სული პოეზიისა. მე ვწერ, რომ შეიცვალა პოეტური აზროვნების წყობა. ნუთუ ვ. ხარჩილაძე ვერ ხვდება, რომ ესენი სხვადასხვა რამაა?! შემდეგ: მოკამათე ისეთი თავგამოდებით ამტკიცებს, არსი პოეზიისა უცვლელია, მხოლოდ გამომსახველობითი საშუალებანი იცვლებაო, თითქოს ცოტა ზემოთ ცოცვად არ ჩამითვალა იმის თქმა, რომ თანამედროვე პოეზიის გამომსახველობითი პალიტრა გართულება, ე. ი. შეიცვალა.

ახლა უმთავრესის გამო, ვ. ხარჩილაძეს ჩემს მიერ ჩამოთვლილი ნიშნები თანამედროვე ღირიკისა ტრადიციული და ნაცნობი ჰგონია. „ის, რაც თ. დოიაშვილს თანამედროვე ლექსის მონაპოვრად მიჩნია მხოლოდ, ლექსის გაჩენის დღიდანვე არსებობს მასში. ჩვენთან საუკუნებით დაშორებულ ლექსებში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ „ემპირული კონკრეტულობისა და ინტელექტუალური აბსტრაქციების, საგანთა რეალისტური დეტალებისა და წარმოსახვის შეუღლებადი თავისუფლების თანაარსებობა, მხატვრული სახის მრავალმანიანობა და მეტაფორიზმი“. ეს „გლობალური სიახლეები“ სულაც არ გახლავთ ახალი“ (გვ. 145).

ამ სტრიქონების დამწერს ვთხოვ, მთლად „ლექსის გაჩენის დღეს“ ნუ შეაწუხებს, აგერ, ახლო საუკუნეებიდან დამისახელოს ზემოაღნიშნული თანაარსებობის ნიმუშები.

სახის მრავალმანიანობასა და მეტაფორიზმთან დაკავშირებით ვ. ხარჩილაძემ კიდევ ერთხელ მიმართა გაუალებებს. (მერამდენედ!) მან განწარბ დაამახინჯა ჩემი ციტატა და საქმე ისე წარმოადგინა, თითქოს მე თანამედროვე პოეზიის სიახლედ სახის მრავალმანიანობა და მეტაფორიზმობა მიმანდეს. მე ვწერ: „სირთულის ზღვარს მიაღწია მხატვრული სახის მრავალმანიანობამ, მეტაფორიზმმა“ (გვ. 103).

თეიმურაზ დოიაშვილი
კოვანა თაპინი თაპინა



ვ. ხარჩილავამ „გაქარო“ ფრაზა „სირთულის ზღვარს მიაღწია“, მერე კი მკითხველს აუწყა: ზედავთ, „ლექსის გაჩენის დღიდანვე“ არსებულნი მეტაფორა და სახის მრავალპლანიანობაც კი თ. დოიშვილს ნოვაცია ჰგონიაო. რას არ „დაამტკიცებს“ ასე მოხერხებული კაცი!

ჩემს მოწოდებას შაბლონისგან გათავისუფლებისაკენ ვ. ხარჩილავა რატომღაც ცრუნოვატორობისაკენ მოწოდებდა აღიქვამს: „დღეს ერთგულნი პოეზიის გულშემატკივარმა კაცმა კი არ უნდა დააბნიოს ისედაც შეუყოყმანებულა ახალგაზრდა თაობა, ცრუნოვატორობისაკენ კი არ უნდა უბიძგოს, არამედ ნათელი და სწორი გზა უნდა უჩვენოს“ (გვ. 143).

თანამედროვე ლირიკის იმ ნიშნების გამოყოფა, რომელიც მე ჩამოვთვალე, ლიტერატურის-მცოდნეთა მიერ ჩვენი დროის პირველხარის-სივანე ოსტატთა შემოქმედებითი გამოცდილუ-ბის შესწავლის შედეგია. რა უფლება გვაქვს, ამ გამოცდილებას ცრუნოვატორული ვუწოდოთ?! იგივე არ იყოს, ვ. ხარჩილავა, ბედის ირონიით, ისევე ეწინააღმდეგება საკუთარ თავს: აღრე ამტკიცებდა, ჩამოთვლილ ნიშანთა უმრავ-ლისობა „ლექსის გაჩენის დღიდან“ პოეზიის კუთვნილებათა, ახლა კი ისინი ცრუნოვატო-როზად მონათლა. რა გამოვიდა? იქნებ პოეზია გაჩენის დღიდან ცრუნოვატორული გზით მი-დის?

შექმნა რა სიტუაცია ცრუნოვატორობაზე საუბრისათვის, ვ. ხარჩილავა პირველდამოჩენი-ვით საუბრობს ნოვატორობასა და ცრუნოვატო-რობაზე, მაგრამ ვერ ამჩნევს, როგორი მწირია მისი თეორიული საფანელი. „ნოვატორობა — წერს იგი — არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალის-ტურ ძიებებს, ლექსის გარეგნული არქიტექტო-ნიკის შეცვლას. შეიძლება ლექსი იმეორებდეს ტრადიციულ ფორმებს, მაგრამ შინაარსით, სა-თქმელით, გამოსახვის ხერხებით სრულიად ახა-ლი და ნოვატორული იყოს და პირქით — ორიგინალურ ფორმაში გაცეთილი და ანბანუ-რი აზრი იდოს“ (გვ. 142).

ნოვატორობა მსგონედ კი არა, არასდროს არ ნიშნავს „ფორმალისტურ“ ძიებებს. მისი შემადგენელი ნაწილი ფორმალური ძიებაა. „გარეგნული არქიტექტონიკაც“ ახალი ცნებაა, თი-თქოს „შინაგანი“ არქიტექტონიკაც არსებობ-დეს?! აბსურდულია ასეთი მსგელობა: თურმე „ლექსი შეიძლება იმეორებდეს ტრადიციულ ფორმებს“ და, ამავე დროს, „გამოსახვის ხერხე-ბით სრულიად ახალი იყოს“! ლექსის ფორმა და გამოსახვის ხერხები აქამდე სინონიმები იყო, ვ. ხარჩილავას „ახალ ესთეტიკაში“ კი ესე-ნი სხვადასხვა რამაა.

მამხილა თუ არა ცრუნოვატორობის წაქე-ზებაში, ვ. ხარჩილავა მენტორის ტონით მარი-გებს: „ახალგაზრდებს ფსევდონოვატორობისკენ კი არ უნდა მოფუწოდოთ, არამედ ის გზა უნდა

ვაჩვენოთ, რომელიც ლიტერატურის კლასიკურ მონაპოვართა შესწავლა-შეჭერებს უწყობს და — რდნობით, მათი ათვისების გზით ქმნის რაღაც ახალს, თვისებრივად განსხვავებულს მისგან“ (გვ. 142).

საყოველთაოდ ცნობილი, სწორი დებულებაა, მაგრამ როგორ ახორციელებენ „ახალწვეულები“, თუნდაც თვითონ ვ. ხარჩილავა, მას შემოქმე-დებით პრაქტიკაში?

ვ. ხარჩილავა არ თაკილობს გაცვეთილი, მზა მეტაფორების გამოყენებას იმ გაქვავებული მინიშნელობით, რომლითაც იგი არაერთგვარის გა-მოუყენებიათ. პოეტს სურს თქვას, რომ გარინ-დების მერე ისევე გამოცოცხლდება და წერს: „შენ ისევე ნახავ ჩემს ამწვანებას, განდღვლებიან ხმელი ტოტები“. თუ საპირისპიროს გამოთქმა სურს, ე. ი. ჩემი გაცოცხლება შეუძლებელიაო, ამბობს: „ჩემს შემოდგომას შენ რას უშველი... დახუნძლულია ჩემი რტოები წლებით და წლე-ბით — ყვავთა გუნდებით“. აღამაინი — შე, სიცოცხლე — გაჯაფხული, სიბერე — შემოდ-გომა — იქნებ ეს არის კლასიკური პოეზიის ძველ ფორმებში ახალი შინაარსის ჩადება?! არც მისი ლექსების რიტმულ-ინტონაციური წყობაა ნოვატორული. კლასიკისადმი „ერთგულდება“ აქ ისე დიდია, რომ პირდაპირ კალიკრებაშიც გადა-დის: „გინახავთ ზამთრის დამე პარფის ცაზე“ ჩემი პორტიკა“ (შდრ. ვალაკტორის: „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? — ეს ჩემი სამშობლო მთებია“). კლასიკისთან ერთად, ვ. ხარჩილავა თანატოლი მეგობარი პოეტის ადრე გამოქვეყნებულ სტრიქონებსაც „ითავისებს“: „ჩვენ სხვის სახლებში ცვტოვრობთ ყველანი და შიშით ველით როდის მოვა სახლის პატ-რონი“ (შდრ. თ. ბაძალა: „ითოქოს სხვის ოთახში ვწევართ და გვეშინია, საცა კარს შე-მოაღებს ვინმე უცნობი და მკაცრი ხმით შეგვე-კითხება: „ითქვენ აქ რა გინდათ...“). არა მეო-ნია, ყოველივე ეს „კლასიკური მონაპოვრის შესწავლა-შეჭერების, მათზე დაყრდნობით, მათი ათვისების გზით რაღაც ახალის, თვისებრივად განსხვავებულის“ შექმნა იყოს.

წერილის დასასრულს ვ. ხარჩილავა რამდენი-მე კონკრეტულ შენიშვნასაც გამოთქვამს:

1. ჩემს შთაბეჭდილებას! პირველი კრებუ-ლის ქვეტორები ხშირად უბიოგრაფიო ხალხი მგონია-მეთქი, ვ. ხარჩილავა ასეთ კითხვას აგე-ბებებს: „შაინც რას გულისხმობს საკუთარი ცხოვ-რების მხატვრულ გამოსახვაში, არ უნდა მი-უთითოს, არ უნდა ასწავლოს ახალგაზრდა პო-ეტებს, როგორ გამოსახონ საკუთარი ცხოვრება ლექსებში?“ (გვ. 146).

უცნაურია, ადრე მას ჩემი „მენტორის ტონი და ყოვლისმცოდნის პოვა“ არ მოსწონდა, ახლა კი დამომდგრისაკენ მომიწოდებს!

2. ვ. ხარჩილავა იწუნებს ც. მელუას შედარე-ბას — „ქუთა, როდესაც უკანასკნელი ნაბიჯები



მიწოდება, საათივითაა, რომელიც არ მომართეს".
 „გამვლელთა ნაბიჯებმა შეიძლება საათის ხმა მოგვაგონოს, მაგრამ თვითონ ქუჩა (მთაშემეტეს დაცარიელებული) არაფრით არ ჰგავს საათს, არც მომართულს და არც მოუშართავს. პოეტსა და კრიტიკოსსაც გამორჩათ, რომ საათის მსგავსების ასოციაციას ქმნიდა ნაბიჯების ხმა და არა ქუჩა. ქუჩას, როდესაც იგი დაცარიელებულად წარმოვიდგინეთ, უკვე წავართვით ის თვისება, რითაც ემსგავსებოდა საათს. შედარება არ შედეგა“ (გვ. 146).

ვ. ხარჩილავა არ უარყოფს გამვლელთა ნაბიჯების ასოციაციის შესაძლებლობას სპათის ხმასთან, მაშასადამე, თვით შედარების შესაძლებლობასაც: ქუჩა — საათი, უფრო ზუსტად, გამვლელთა ნაბიჯები — მომართული საათი. აქედან მხოლოდ ნაბიჯი ე. წ. ნეგატიურ შედარებაში: დაცარიელებული ქუჩა — მოუშართავი საათი. შედარების შინაარსი ასეთია: ქუჩა საათს მოგვაგონებს, ხანამ ნაბიჯის ხმა ისმის, მიწოდება ხმა და გაჩერებული საათივითაა.
 „ხეირიანი შედარების გაკეთებას მაინცაღამინც დიდი პოეტური ტალანტი არ სჭირდება“ — შენიშნავს ვ. ხარჩილავა. არც ასეა საქმე. ვნახოთ მისი ერთი გარეგნულად ეფექტური მხატვრული სახე:

ასე ეგონათ: — სერელებად გაშლილ დღეებზე თიბავდნენ შებურვილს ნისლით.
 „სვრული“ არაფრით გვაგონებს „დღეს“ (გინდ დრუბლიანს და გინდ მზიანს). პოეტს გამორჩა, კრიტიკოსმა კი შეამჩნია, რომ „სვრულსა“ და „დღეს“ შორის არამცთუ რეალური, ასოციაციური კავშირიც კი არაა, ამიტომ „დღეების გათიბვა“, ცრუტროპია, პოეტიზმი. რატომ გამორჩა ეს ვ. ხარჩილავას? ალბათ, სხვის თვალში ბეწვის დანახვა უფრო ადვილია...

სწორია ვ. ხარჩილავა, როდესაც ამბობს, ლექსის ავტორთანაა მსჭელობა ცალკეული შედარებით არ შეიძლება. აქვე მხაყუდიშრობს ც. მელუას, გ. ოდიშარას, თ. ბაძალუას ლექსებზე ცალკეული სახეების მიხედვით მსჭელობა.

ლექსი, როგორც ორგანიული მთლიანობა, ახალგაზრდულ პოეზიაში, მათ შორის ჩამოთვლილ ავტორთა წიგნებშიც, იშვიათია, რაც სამართლიანად აღნიშნა გ. პეტრიაშვილმა. ეს რომ ასეა, ელემენტარულ ფაქტს მოვიტან. თავის არცთუ ურიგო ლექსში „კორიდა“, რომელიც გააზრებულია, როგორც ხარის მონოლოგი, ვ. ხარჩილავა წერს: „ჩაქრნენ ჭაღები. ჩქერებდა დამდის, ჩქერებდა დამდის სისხლი ქედიდან“. რა არის „ჩაქრნენ ჭაღები“? ეს ან „პოეტური ამოვარდნა“, ან იმის არცოდნა, რომ კორიდა ჭაღებია დარბაზში არ იმართება. ლექსის მთლიანობა დაირღვა. სწორედ ორგანულად მთლიანი ლექსების იშვიათობის გამო წამოვიყვი მე წინ დასახლებულ ხამ ავტორთან მხატვრულ

ლი აზროვნების საკითხი, ე. ი. შესრულებული ინდივიდუალობის დანახვის შესაძლებლობა უნდა ლეოლა.

წ. ვ. ხარჩილავას კუპიურით მოაქვს ჩემი ციტატა:
 „ახალგაზრდა პოეტებს... (მკითხველს ვთხოვ ალადგინოს სამწერტილის შემდეგ გამოტოვებული სიტყვები: „რომელთაც ჭერ მკითხველსათვის დასამახსოვრებელი ორიოდე ლექსიც არ შეუქმნიათ“ — თ. დ.) მოკრალეზა და ზომიერების გრძნობა არ უნდა აძლევდეს ასეთი სტრიქონების დაწერის ნებას: „სამშობლოს ბედზე ფიქრით ნაწამებს ეს წინაპართა ცრემლი მგონია“ (ვ. წერეთელი)... აი, უფრო ზვიადუ განცხადება: „მე ჩვენი დროის სიმღერებს ვწერდი და შენს ზღუდემდე იხე მოვედი და ჩემი სისხლის უოველი წვეთი იყო მხედრის და იყო პოეტის“. მოკამათე აქ წყვეტს ჩემი წერილის ტექსტს და შეუვალი კატეგორიულობით წერს: „აქ ორი უხეში შედგომა დაშვებული: ჭერ ერთი — ახალგაზრდად მოვისხენიეთ პატივცემულ მანდილოსანი და მეორეც, წარბმუხრელად დავწამეთ ცილი ბალთერ არაბულს, რადგან ამ სტრიქონებს პოეტი თავის თავზე არ ამბობს, ამას ამბობს... პოემის ლირიული გმირი“ (გვ. 146).

კამათის ხარჩილავასეული მანერა აქ კიდევ ერთხელ და უფანახენლად ჩანს მთელი სიხავებით. ჭერ ერთი — მან საქორების გარეშე, საგანგებოდ მოიტანა ვ. წერეთლის ორი სტრიქონი, რათა კიდევ ერთხელ „ვემზიდებინე“, მეორეც, — ისე არხეინად გაამართლა ბ. არაბული, ამას პოეტი კი არა, ლირიული გმირი ამბობსო, თითქმის არავინ იცის, ვინ არის ეს „ლირიული გმირი“. გადავშალთ ლექსიკონი: „ლირიული გმირი არხეითად თვით ავტორია“ (ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 1966, გვ. 62). მესამე და მთავარი — ვ. ხარჩილავამ ოსტატურად დაუშლდა მკითხველს ჩემი კომენტარი, საიდანაც აშკარაა, განსაკუთრებით რას ვხაყუდიშრობ ბ. არაბულს: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაპოეტის“ — ამის თქმა საუკუნის პირველმა პოეტმა გაბედა და თუ ასეთი განცხადებით სურვილი მოაქვს, საამისოდ საკუთარი აზრი და სიტყვები შეიძლება უნდა ვიპოვოთ“. მაშასადამე, საქმე მარტო ზომიერებას კი არ ეხება, არამედ გალაკტიონის ქრესტომათიული სტრიქონის გადამღერებას. რა აზრი აქვს ასეთ დღემოკლე სიცრუეს?

თავის წერილს ვ. ხარჩილავა ასე ამთავრებს: „მადლობის მეტი რა გვეთქმის, დისკუსიის მონაწილე ყველა მწერლის და მათ შორის თ. დოიაშვილის მიმართ, რომელმაც მიუხედავად ზოგიერთი შეცდომებისა, მაინც ბევრი ხაყუდიშრობა

თამიშუბრას დროიანშილი
 კონსტანტინე თაყვისი

ღებო მოსაზრება გამოთქვა. მე სულაც არ ვი-
სახავდი მიზნად, დამემცირებინა მისი წერილის
ღირსება და მნიშვნელობა. წერილის წერის
დროს მხოლოდ ერთი სურვილი მამოძრავებდა
— მიმეთითებინა იმ ხარვეზებზე, რაც ამ წე-
რილს გაჩნდა, შემღებობისდაგვარად შესაუბრა
იმ ნიშნებზე, რაც კრიტიკოსს გამოჩნა“
(გვ. 147).

შვენიერი რვეერანსია წერილის დასაწყისის
„ბევრი შეცდომა დაუშვა“ დასასრულში „ზო-
გიერთ შეცდომა“ იქცა, წარმოიდგინეთ, „ბევ-
რი საუურადღებო მოსაზრება“ დაინახეს.
დ. კლდიაშვილის ერთი გამოცხადება არ იყოს, „ამა-
ზედაც გამაღობ, უფალო!“.

რას მიაღწია ვ. ხარჩილავამ თავისი წერი-
ლით? მისი „მიითვებანი ხარვეზებზე“, რო-
გორც მკითხველმა ნახა, არასებულები ხარვეზ-
ების ძიება აღმოჩნდა, ხოლო საუბარი „იმ ნიშ-
ნებზე, რომელიც კრიტიკოსს გამოჩნა“ — ლი-
ტონი განცხადებაა.

მკითხველმა შეუდგოს!

პოლემიკამ კარგა ხნით ჩამოგვაშორა ძირი-
თად პრობლემას.

დისკუსია დასრულდა. ბევრი რამ ითქვა, ზო-
გიც უთქმელი დარჩა. რაღაც გაირკვა, სხვას
მომავალი გაარკვევს. ნაკლზე, საზრუნავზე, გა-
დასაწყვეტ პრობლემებზე მეტი სჭაბაასი იყო,
ვიდრე უკვე მიღწეულზე — ჩანს პანეგირიზმი-
საგან ვთავისუფლებდით. სამომავლო ორიენ-

ტირიც მოიხაზა — დწვა საკუთარი უსიყუარო-
ბის შექმნისათვის, თვითდამკვიდრებისათვის.

ერთი ახალგაზრდა პოეტის ლირიკულ ტენდენ-
ციას რომელსაც უბრალო, მაგრამ კარგად
ღებულები აქვს, აშლაშინებენ, კრებენ, აპრაილებენ,
რათა სხვებს დაამსგავსონ. პირიქედნულად დაკარ-
გვის შიშმა გამოაფხიზლა ის: „ავტორგლი და
ავღრიადლი, ვაი, ჩემს თავს აღარ ვგავდი, ვი-
ტირე და ვგვავლახე, დილით ტანზე კორძი ვნა-
ხე, კორძი ვნახე სულ პაჭარა და ვიპოვე ჩემი
თავი“.

ვისაც პოეზიაში სურს პოვნა თავისი თავისა,
უნდა გაუფრთხილდეს ამ განმასხვავებელ, თუნ-
დაც პატარა „ინდივიდუალურ კორძს“. სწორედ
ინდივიდუალურის, კონკრეტულის გამოსახვით
უნდა დამკვიდროს პოეტმა ადგილი პოეზიაში.
„ხელოვნების არსს კონკრეტულის აღქმა და
გამოსახვა ქმნის...“

სანამ ზოგადს გამოვსახავთ, ყველას შეუძლია
მოგვბაძოს. კონკრეტულის გაუალებება შეუძ-
ლებელია. რატომ? იმიტომ რომ სხვებს არ
შქნით იგვიც განცდა.

ნუ შეგვეშინებდა, რომ კონკრეტული ინდი-
ვიდუალურია და გამოძახილს ვერ იპოვის. უო-
ველ ეპოქაში, როგორც გამოჩნეულიც არ უნდა
იყოს ის სხვებისაგან, ყოველ ობიექტში, რო-
მელიც უნდა გამოვსახოთ, კვიდან აღამაჩან-
დე, არის რაღაც საერთო, რადგან ყველაფერი
მეორდება და ქვეყნად არაფერია ისეთი, რაც
მხოლოდ ერთხელ არსებობდა“.

ეს ვაიმარელი ბრძენის სიტყვებია.

ვახტანგ ხარჩილავა

„კოვნა თავისი თავისა“ ანუ ახალი ნატილი ქველი შეხედობები

თ. დოიაშვილი თავის მეორე წერილში „კოვ-
ნა თავისი თავისა“ წერს: „ახალგაზრდული პოე-
ზიის პრობლემებზე გამართულმა დისკუსიამ,
პოზიტიურ მხარეებთან ერთად, თვით ჩვენი კა-
მათის კულტურის ხარვეზებიც გამოავლინა.
დისკუსია უბრალო შინაური დავა არ არის,
აჩამედ საჭარო პაექრობაა. არც მოპაექრეა
გლადიატორი, რომელიც ან უნდა მოკვდეს, ან
ნებისმიერი საშუალებით გაიმარჯვოს. პოლემი-
კის ნორმების დარღვევა, წვრილმანი პატივმო-

ყვარების დაქმყოფილება ქეშმარიტების სა-
ზიანოდ ზნეობის ცნებასთან შეუთავსებელია“.
ქეშმარიტად! დისკუსიის მსვლელობამ ზოგო-
ერთის კამათის კულტურის ხარვეზები ნამდვი-
ლად გამოავლინა. და გამოავლინა, უპირველეს
ყოვლისა, თვით შემოთმომყვანილი ციტატის ავ-
ტორის კამათის სტილი.

თ. დოიაშვილის რისხვის მთავარი ნაკალი მე
დამატყდა თავს — როგორ გავხედე და როგორ
მივეცი შენიშვნები თ. დოიაშვილს?

ჩემმა „გაუგონარმა“ საქციელმა ისე აღაშ-
ფოთა კრიტიკოსი, რომ დისკუსია თავისი „არა-

* იბეჭდება შემოკლებით.



ერთი კონსტრუქციული თუ ლოკალური მნიშვნელობის საკითხებით" ცინადამ მთლად გადაავიწყდა. თავის საპასუხო წერილის ნახევარი მან ჩემთან ანგარიშსწორებას მოანდომა.

ჩემს პირველ წერილში („ნაჩქარეო დასკვნები“ — „ცინკარი“ № 5, 1988) მე კრიტიკოსს მივუთითებდი, რომ მისი მსჭედილობა ამა თუ იმ ავტორზე ხშირად ზედამართული იყო. სუსტი სტრიქონების თვითმიზნურობამდე მისულ ძიებაში მას მრავალი ხაინტერესო ლექსი დარჩა შეუმჩნეველი. ბოლომდე გაუაზრებელი და ნაკლებად არგუმენტირებული იყო კრიტიკოსის მოსაზრებები ახალგაზრდული პოეზიის საერთო ტენდენციებზე. კრიტიკოსს ვუსაყვედურებდი, რომ მან ასაკით და ლიტერატურული სტაფით ერთმანეთისგან დაშორებული პოეტები გვერდ-გვერდ განიზილა. ვუსაყვედურებდი, რომ იგი ხშირად ჰეპათოლოგიურად გეაზრებოდა ჩამოთვლით, ორიოდ სტრიქონის ციტირებით და ზერეული, ნაჭქარვეი დასკვნებით. მან თითქმის ყველა ახალგაზრდა პოეტი ერთნაირი ნიჭისა და შესაძლებლობის პოეტად მონათლა, რაც ჩემის აზრით არასწორი იყო. მისი თეზა და ამ თეზის საილუსტრაციო მასალა ხშირად არ ეთანხმებოდა ერთმანეთს. აშკარად სუსტი სტრიქონები, სუსტი ლექსები ზოგჯერ კრიტიკოსის საქებაარ სიტყვას იმსახურებდა და ა. შ.

რა საბუთები მოიტანა თ. დოიაშვილმა ჩემი შენიშვნების უარსაყოფად? თითქმის ვერაფერი. არგუმენტების მოშველიებას მან ჩემთვის არაკომპეტენტურობის შეწამება ამჯობინა. შეეცადა მკითხველი დაერწმუნებინა, რომ მე განზრახ ვამახინჩებდი ფაქტებს, თორემ მის წერილში ყველაფერი რიგზე იყო.

მივყვეთ თანმიმდევრობით და ვნახოთ, მართლა ასეა თუ არა?

ჩემი პირველი შენიშვნა, რომ მან ასაკოვანი პოეტები ახალგაზრდებად მონათლა, თ. დოიაშვილმა ვერ უარყო. თუმცა ბოლომდე მაინც ვერ გაიმეტა თავი და შემარბილებელი „დავუშვაო“ მაინც დაუმტაცა: „დავუშვათ, მართლაც გამჭპარა შედეგია“ — შემწყნარებლურად ამბობს იგი, მაგრამ იქვე მსაყვედურობს, ეს შედეგია არ იყო მაინცდამაინც საგანგაშო და მასზე თვალის დაბუჭვავე შეიძლებოდა: „მოყვრის ოვალი, თუ ეს მაინცდამაინც საჭირო იყო, აღნიშნავდა ამ უზუსტობას, შემდეგ კი არსებით საკითხებზე იმსჯელებდა“. თ. დოიაშვილის აზრით შნ წლისა თუ ან წლის პოეტების ერთ თაობად შერაცხვა დღეი ცოდვა არ ყოფილა, და მასზე მოითხოვა სრულებითაც არ არის თურმე არსებითი.

„ცალკე თვად აქვს გამოყოფილი თ. დოიაშვილის თუ როგორ აიხსნება ქართული სოფლის ბედი, მიგრაციის საკითხი ახალგაზრდულ პოეზიაში. მის მიერ გამოთქმული ბევრი შენიშვნა სწორია და მართებული“; — ვწერდი ჩემს პირველ წერილში და იქვე გამოვტყავდი სურვილს,

რომ როცა ამ საკითხზე ვმსჯელობდი, ვაზრუნებოდა, პარალელი გავველო წინამორბედების შემოქმედებასთანაც...


კრიტიკოსმა განაცხა ატეხა: „ვ ხარჩილავა არაეთიკურად მოიქცა უფროსი თაობის თანამოკალმეების მიმართ“. რაში გამომუდავნდა მან ეს ჩემი არაეთიკური ქცევა? მოდიო, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ რა მიწერია პირველ წერილში: წინა თაობის ზომიერადი წარმომადგენლები. ბინდის პოეზიაში იქნა ადებული თავდაპირველად ყალბი ნოტი და ახალგაზრდები უფრო მიმტარებლების, მოხანებების როლში აღმოჩნდნენ-მეთქი. რა არის აქ არაეთიკური? მე მთელ წინა თაობაზე კი არა, მისი ზომიერადი წარმომადგენლის მიერ პრობლემის გამართიების და გაუბრალოების შესახებ ვლაპარაკობ. წინა და უფროსი თაობის წარმომადგენელთა დამიცობა რომ მდომებოდა, განა ასეთ რამეს დავწერდი იქვე, რამდენიმე წინადადების შემდეგ: „როცა ამ თემაზე ვსაუბრობდით, არ შეიძლებოდა გვერდი აგვედლო წინა თაობის პოეტთა შემოქმედებისათვის თუნდაც იმიტომ, რომ მათ ერთ-ერთმა პირველმა სცადეს უარი ეთქვათ მოძველებული სქემისათვის, თვის პრიმიტიული გადაწყვეტილებისათვის“. (გვ. 144). ცოტა ქვემოთ კი ვაგრძელებ: „მათ შემოქმედებაში სოფელთან აღმართის განშორება აღიქმება დღევანდელი აღმართის პირველ საწყისთან, სათავეებთან განშორების ტყაგვიდა“. (გვ. 144).

ესა არაეთიკური ქცევა? სად ჩანს აქ უპატივცემულობა უფროსი თაობის მიმართ?

კრიტიკოსს სურს ციტატების არგვ-დარევიოთ და ყალბი ინტერპრეტაციით შექმნას ილუზია, თითქოს მე ვაკრიტიკებ წინამავალთა შემოქმედებით მონაპოვრებს და ამით უთანხმოება ჩამოაგდოს ჩემსა და უფროს თაობას შორის: ხომ ზედათ, ვახტანგ ხარჩილავა არაეთიკურად მოგექცათ! აი, რას ითვალისწინებს მისი ტაქტიკა! რა ეწოდება ამგვარ საქციელს, დაე, მკითხველმა განსაჯოს თ. დოიაშვილის „კამათის სტილი“. პოლემიკური ხერხები და რაც მთავარია, პოლემიკის მიზანი კიდევ ერთხელ „ცნაურდება“ ამ დეტალთ.

უფროსი თაობისა და ახალგაზრდების დაპირისპირებისას იგი ამბობს: „ვ ხარჩილავა... ჩემბან ბანსხვამხვამით, დანაშაულის მთელ სიმძიმეს წინა თაობის ზოგ წარმომადგენელს მიაწერს“. დააკვირდით ამ ფრაზას „ჩემგან განსხვავებით“. მე კი არ გაკრიტიკებთ, მე თქვენს მხარეზე ვარ, ეს ვ. ხარჩილავა არაეთიკურ საქციელს რომ სჩადის და გაძაგებოთ — მამამებლურად დასძინს კრიტიკოსი. მაგრამ იქვე ავიწყდება თავისი კეთილშესურება უფროსი თა.

მსხტბან ხარჩილავა
„პოვნა მთავისი მთავისა“ ანუ ახალი
წერილი ძველი შეცდომიებით



ობის მიმართ და ასეთი რამ წამოსცდება: „სტერეოტიპის ჩამოყალიბება, ცხადია, უფროსი თაობის მოღვაწეობას მოჰყვება“. „თემაც და სტერეოტიპიც წინა თაობის კუთვნილებაა“. სწორედ ამაზეა ნათქვამი „ფიცო მწამს და ბოლო მაკვირვებს“.

ვინ ამტკიცებს „ნაკლი წინა თაობის სინდის-წეაო“ მე თუ დოიაშვილი? „ჩემგან განსხვავებით“, რომ ამბობდა, რა მოთქვამს ასეთი მისგან განსხვავებული.

უფროსი თაობის ხომ გადამიცა მტრად, დოიაშვილმა გადაწვიტა ახლა ჩემს თანატოლებთან წამაჩხუბოს. ვ. ხარჩილაძემ „რამდენიმე ახალგაზრდა პოეტის შესვრულწერივად გადაწვიტა უმაღლესი მიზნის მისაღწევად — საერთო პრესტიჟის გადასარჩენად“. „ავანგარდული ჯგუფის“ სასარგებლოდ თანატიოლების დიდი ნაწილი გაწირა — დარჩენილი ნაკლი „თაობის თანამგზავრებს“ მიაწერა“. ეს განცხადება, რა თქმა უნდა, უსაფუძვლოა. მე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: თ. დოიაშვილი სწავრები იმ ავტორების შემოქმედებაზე დაურდობით აკეთებს დასკვნებს, საერთოდ, ახალგაზრდული პოეზიის ავტორიანობაზე, რომელთა ლექსებიც ჭერჭერობით ვერ აკმაყოფილებენ მაღალმხატვრული ლიტერატურის მოთხოვნილებებს. მათ გარდა არიან უფრო ნიჭიერი, საინტერესო ახალგაზრდა პოეტები და ამიტომ სჭობდა აქცენტი მათ შემოქმედებაზე გადაგვეტანა, რამეთუ იქ უფრო კარგად ჩანს ახალგაზრდული პოეზიის ნაკლიც და ღირსებაც-მეთქი.

სად ჩანს აქ, რომ ვინმე გავწირე? მოეუსმინოთ თ. დოიაშვილს: „ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ლექსებში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, შაბლონის განუკითხავი ბატონობა იგრძნობა“ (გვ. 103). „ახალგაზრდა პოეტთა კრებულები გადატვირთულია ზოგადი, პირველადი განცდისაგან თავისუფალი, ეფემერული ლექსებით“ (გვ. 104). „ახალგაზრდულ პოეზიაში არა ერთი და ორი მაგალითი გვხვდება იმისა, როდესაც თემა გავრცელებული სტერეოტიპის მიზაფით მუშავდება“ (გვ. 104). „ახალგაზრდული პოეზია ივიწყებს თავის სოციალურ უწყქონლა, მტკივნეული პრობლემების დამუშავების ნაცვლად გვთავაზობს უღიმღამო სურუგატებს“ (გვ. 105). „თემისადმი ზერელე დამოკიდებულება და უაღბი პათეტიკა განსაკუთრებით იმ ნაწარმოებებში იგრძნობა, რომლებშიც ახალგაზრდა ავტორები თავისი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვას ცდილობენ“ (გვ. 105). „ახალგაზრდულ პოეზიაში იშვიათია ნაწარმოები, სადაც პირველდისა და საზოგადოებრივის განუყოფლობა მაღალმხატვრულად არის ნაჩვენები“ (გვ. 107). „ახალგაზრდა პოეტები, ეტყობა, დაქვევებული არიან საკუთარი განცდის ღირებულებაში“ (გვ. 109). კიდევ გავაგრძელო? მე მგონია, ჩამოთვლილი მაგალითებიც კმარა,

რომ მკითხველი მიხვდეს, თუ ვინ ვაიმედა ახალგაზრდები. არის კი ყოველივე ეს „ეთერული სურნე, გულშემატკივარი კაცის ტრემო-სასუსტად, დაუნდობლად, შეუბრალებლად უნდა მოვექცეთ ახალგაზრდებს, რომელთა უმრავლესობა პირველ ნაბიჯებს დგამს ლიტერატურაში, თუ მეთი თანაგრძნობით და სიფრთხილით მოვეკიდეთ? იმას კი არ ვამბობ, ნაკლი და შეცდომები მიგრძნობლო-მეთქი, მაგრამ ხომ შეიძლება ისინი იმგვარად ვამხილოთ, რომ ახალგაზრდა კაცს შეუურაცხყოფის გრძნობა არ დარჩეს. დავაკვირდეთ თ. დოიაშვილის მსჯელობას: „შაბლონის განუკითხავი ბატონობა“, „ეფემერული ლექსების“, „უღიმღამო სურუგატები“, „თემისადმი ზერელე დამოკიდებულება“, „უაღბი პათეტიკა“. ეს უფრო ლანძვავა, ვიდრე საქმიანი, პროფესიული ანალიზი და ამ ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნები.

კრიტიკოსი მიყიენებს: ვ. ხარჩილაძე ტერმინ „ავანგარდულ ჯგუფს“ ხმარობს, ავანგარდისტები კი ახალგაზრდულ ქართულ პოეზიაში არ ჩანანო. „რატომ არ თქვა ვ. ხარჩილაძემ მინც რა სახსლები მოიტანეს ამ „ავანგარდისტებმა?“ ვ. ხარჩილაძე ვერ იტყუოდა ამას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას ახალგაზრდულ პოეზიაში არავითარი ავანგარდული ჯგუფი არ გამოუყვია!

მე ზოგადად ვმსჯელობდი ლიტერატურული თაობის ცხოვრების ერთ კანონზომიერებაზე. კერძოდ იმაზე, რომ „ლიტერატურულ თაობას, როგორც წესი, რამდენიმე კაცისგან შემდგარი ავანგარდული ჯგუფი ჰქარავს ხოლმე“ (გვ. 142).

როგორც ხედავთ, აქ საერთოდ ლიტერატურული თაობის გაგებაზე იყო ლაპარაკი და არა კონკრეტულად ახალგაზრდულ პოეზიაზე.

„ავანგარდული ჯგუფის“ ხსენებისას მან ხიტყვა მაისურსზე გადაიკრა. „ლიდერის მაისურის ძიება ძალიან ნაადრევია“ — ამბობს იგი. თითქოს მე ვეძებდე ამ მაისურს.

თ. დოიაშვილის საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ ლიდერობანას და უჩინობანას თამაში სხვისიც არ მიუვარს, ხოლო იმ „ფრაქციების“ და წვრილ-წვრილი „ლიტერატურების“ მისამართი, თავიანთი ლიდერებითურთ, თ. დოიაშვილმა ჩემზე უფრო კარგად უნდა უწყალებს მგონი.

სწორია, თ. დოიაშვილი, როცა ამბობს, რომ „მე არსად მიწერია ფსევდონიმური სახეები ნიშანდობლივია მთელი თაობისათვის“. არც მე მიმიწერია იგი კრიტიკოსისთვის. ეს უბრალო კორექტურაა. მაგრამ ეს კორექტურაც რომ არ იქონი, მაინც არ იქნებოდა დიდი ცოდა, რამეთუ კრიტიკოსისთვის ისეთი არაფერი მიგვიწერია, რასაც შეიძლებოდა დემანხეჭბინა მისი მოსაზრებების სისტემა. იგი, უმნიშვნელო პერიფრაზებით უმშაღწეო იმეორებს იმავე არს. ნებისმიერ ახალგაზრდა პოეტს დაუძებნით ამ რეცეპტით შექმნილ არაერთ სახეს“ (პოეტიზმებს — ვ. ხ.). „რაზე მიგვანინებებს პოეტიზმ-



ბის სიმრავლედ „ახალწვეულთა“ ლექსებში?“
 „ყველაზე შემოწვითი თემატიკის სიმრავლეა“ „ახალ-
 წვეულთა“ შემოქმედებისა პოეტისთვის მოზღ-
 ვავებაა“. „პოეტისთვის პოეტია“ სასწაულო-
 ებს ე.წ. „ეფემერული ლექსებს“, რომელია რაოდ-
 ედნობა ახალგაზრდულ პოეზიაში საქადად ბევ-
 რიაა“. როგორც ვხედავთ, ჩვენი ციტატისგან
 განსხვავებული აზრი თ. დოიაშვილს არ ჰქონია,
 ეს მან თვითონაც მშვენივრად იცოდა, მაგრამ
 ხელიდან როგორ გაუშვებდა შემთხვევას ჩემო-
 ვის უკლებლივ სწავლა შეეწყალებინა.

ჩემს პირველ წერილში მე კრიტიკოსს ვუსაყ-
 ვედურე, რომ მისი ტერმინი „საზოგადოებრივი
 თემები“, ბუნდოვანი და არაფრისმთქმელია. დო-
 იაშვილს ჩემი რეპლიკა, ეტყობა, ენიშნა, მაგრამ
 არც აქ ეყო გამბედაობა ელიარებინა თავისი
 შეცდომა და იმის მტკიცება შეუდგა, რომ ტერ-
 მინი: „საზოგადოებრივი თემები“ „სამოქალა-
 ქო ლირიკას“ გულისხმობდა. ამაზე ნათქვამი
 „ამირან გულში მდებოდა“... რაღას გულისხ-
 მობდა, პირდაპირ „სამოქალაქო ლირიკა“ დაე-
 წერა. მეორეც, თუ მისი მსჯელობის ლოგიკას
 მივყევით, გამოდის რომ სამოქალაქო ლირიკა
 მხოლოდ და მხოლოდ „საზოგადოებრივი თემებს“
 ამუშავებს. კრიტიკოსმა ვერ მიასახა, თუ კონ-
 კრეტულად რა თემებია ის საზოგადოებრივი
 თემები. მას არც პირველ წერილში და არც მე-
 ორე წერილში არ განუმარტავს ამ ტერმინის
 მნიშვნელობა. დავუშვათ და არ განმარტა იმი-
 ტომ, რომ მართლაც სამოქალაქო ლირიკას „გუ-
 ლისხმობდა“. მაშინ ის უნდა ეთქვა, როგორც ეს
 მის მას „სამოქალაქო ლირიკა“, რაში გამოიხა-
 ტება ლიტერატურის მოქალაქეობრივი ფუნქცი-
 ები, რა სფეროებს მოიცავს სამოქალაქო ლირი-
 კა და ა. შ. როდესაც ამას დააუზღებდა, მერე
 უნდა ემსჯედა იმ მანერებზე, რის გამოც ახალ-
 გაზრდები, მისი აზრით, გაურბიან ამ სფეროში
 მუშაობას. კიდევ ვიმეორებ, რომ შეცდომაა ლი-
 ტერატურის დაუფა საზოგადოებრივი და არასა-
 ზოგადოებრივი თემებად. შეცდომაა უმართებუ-
 ლო ტერმინის „საზოგადოებრივი თემების“ სა-
 მოქალაქო ლირიკის სინონიმად გამოცხადება
 („საზოგადოებრივი თემები“ სინონიმური ცნე-
 ბა სამოქალაქო ლირიკისა“. — წერს თ. დოი-
 აშვილი) ასე რომ „გაუგებრობის სიტუაცია“ მე
 კი არ შევექმენი, თავად კრიტიკოსმა შექმნა.

თ. დოიაშვილს უადგილო ჰგონია ჩემი თეო-
 რიული მსჯელობანი იმის შესახებ, თუ რა ურ-
 თიერთკავშირშია ზოგადი და პირადული ლიტე-
 რატურაში, თუ რას ნიშნავს თანამედროვეობის
 ასახვა პოეზიაში, ჩემი მითითებანი სახეთა იმ
 მრავალგვარობაზე, რითაც თანამედროვეობა და
 რეალური სინამდვილე აირეკლება ლირიკაში.
 დოიაშვილის პირველმა და მეორე წერილმაც
 დამარწმუნა, რომ ამგვარი თეორიული მსჯელო-
 ბანი ზოგიერთისთვის ნამდვილად სასარგებლო
 და საჭიროა. ამიტომ ეს საკითხები სხვა დრო-

საც უნდა წამოვკრათ და უფრო ფართოდ
 რო ვრცლად უნდა მიმოვიხილოთ.

თ. დოიაშვილი ხშირად ამაყად წამოიხიბებს
 ხოლმე თავისი წერილის გამო — „მეთაური წე-
 რილი“. იგი აშკარად თხოულობს რაღაც პრივი-
 ლეგიებს, თითქოს „მეთაური წერილი“ ხელშე-
 უხებელი რამ იყოს. ჩემზე ნათქვამ მის სიტყვებს
 მასვე გავუმეორებ: „ვინც რამდენადმე ერკვევა
 კრიტიკული ჟანრების სპეციფიკაში“ მისთვის
 ცხადი უნდა იყოს, რომ სწორედ „მეთაური“
 წერილიმა უნდა წამოჭრას დისკუსიაში პრობლე-
 მები და ამდენად თავისთავად იგულისხმება, რომ
 მასში საკამათოც და სადავოც ბევრი რამ იქნე-
 ბა. თ. დოიაშვილს თავიდანვე უნდა სცოდნოდა,
 რომ შეეკამათებოდნენ (დისკუსია კამათის გა-
 რეზე რა დისკუსიაა). არ ვიცი, საიდან მოდის
 მისი ასეთი თავდაჭერებულობა, საკუთარი „მო-
 საზრებების“ უტყუარობის ილუზია. ცდებოდა სწო-
 რედ ის, ვისაც თავი შეუშეცდარი ჰგონია.

თ. დოიაშვილი თითქოს შემოდან დაპურებს
 თავისსავე თანატოლ ახალგაზრდა პოეტებს (მთა
 შორის მეც) და ცდილობს დაუმტკიცოს, რომ ის
 მათზე უფრო განათლებული, ნაკითხი და კვივი-
 ანია. ერთი ჩვენი ნიჭიერი მწერალისა არ იყოს
 „კრიტიკოსმა თავისი ინტელექტუალური უპირა-
 ტესობა კი არ უნდა დაუმტკიცოს მწერალს,
 არამედ ამ მწერლის ერთადერთობა უნდა აუხს-
 ნას და დაუმტკიცოს მკითხველს და... თვითონ
 მწერალსაც!“ კრიტიკოსი ანალიტიკოსია, ხიდის
 გამბედაობა მწერალსა და მკითხველს შორის. მისი
 მსჯელობის, მისი დასკვნებისა და მოსაზრებების
 მთავარი აქცენტი სწორედ მკითხველისკენ უნდა
 იყოს მიმართული მეტწილად, რომ მან აუხსნას,
 გარკვევის მკითხველი იმაში, რაც შეიძლება
 ნაწარმოებში. მისთვის მთლად ნათელი არაა. მკი-
 თხველისთვის ნაწარმოების გაშეფერა, მისი ნა-
 კისი და ღარსების მინიშნება, მკითხველის გე-
 მოვნების აღზრდა, ნაწარმოების დაფარული, კო-
 დირებული მხარის წარმოჩენა და გაშლა კრი-
 ტიკის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება.

თ. დოიაშვილს კრიტიკოსობა მხოლოდ რჩე-
 ულთა ხვედრად მიანჩნია, ამიტომაცაა, ასე ირო-
 ნიით რომ ამბობს ჩემზე „ვ. ხარჩლაძე, რომე-
 ნივ თურმე კრიტიკოსი უყოფილა“. ის ცნობა-
 რი, საიდანაც მან ეს ამოიკითხა, ჩემი შედეგნი-
 ლი რომ არ ვახლავთ, კრიტიკოსისთვის ცნობი-
 ლი უნდა იყოს. ხოლო შემდეგნელმა თუ რა
 ჩასწერა ჩემი გვარის გასწვრივ, ამაზე პასუხს მე
 ვერ ვაგებ. თ. დოიაშვილის გასაგონად და დასა-
 მშვიდებლად კი საჭაროდ ვაცხადებ: კრიტიკო-
 სობის პრეტენზია არც არასოდეს მქონია და არ-
 ცა მაქვს.

ისე თ. დოიაშვილს უნდა შევახსენო, რომ

შახტანბე ხარჩილასა
 „კომნან თაჰინი თაჰინსა“ ანუ ახალი
 წიგნილი ძველი შეცდომებით



კრიტიკოსობა მწერალთა და პოეტთათვის სულაც არაა მიუწვდომელი რამ. ლიტერატურის ისტორიას უამრავი მაგალითი ახსოვს, თუ რა მშვენიერ წერილებს, ესეებს, გამოკვლევებს წერდნენ პოეტები, მწერლები. „უველა დიდი ფრანგი მწერალი, იმავდროულად, დიდებული კრიტიკოსიც იყო — ესე იგი ყველას შეეძლო ხელობის ანალიზი“ — ამბობს პოლ ვალერი.

ხლო ედგარ პო ასეთ აზრს ავითარებს: „რაც ნაკლებ პოეტურია კრიტიკოსი, მით უფრო ზედპირულია ანალიზი და პირიქით“. ედგარ პოს აზრი მე ისე არ გამიგია, თითქოს აუცილებელია, კრიტიკოსი მაინცდამაინც პოეტი იყოს, მაგრამ იგი იმის მოთხოვნას ნამდვილად შეიცავს, რომ კრიტიკოსი შინაგანად შემოქმედი უნდა იყოს. მას უნდა შეეძლოს ჩასწვდომი, გაუღიან ახლოს მიიტანოს, საკუთარივე განიცადოს სხვისი ნაფიქრი და ნაღვაწი. წინა წერილშიც ვწერდი, რომ თ. დოიაშვილის მიერ თავისი მოსაზრების გასამტკიცებლად მოტანილი ფრაგმენტები ლექსებიდან იმდენად არ ესადაგება მის მიერვე წამოყვანულ თეზას, რომ შეიძლება ექვი შევეცაპაროს მის გემოვნებაში-მითქი. მე იქ კონკრეტული მაგალითები მოვიყვანე. თ. დოიაშვილმა იგრძნო, რომ მის მიერ სანიშნოდ დასახელებული ლექსები მაინცდამაინც ვერ ბრწყინავდნენ მხატვრულითა თვალსაზრისით და მეორე წერილში ასე შემოატრიალა სიტყვა: „იქ არავითარ ესეთი კრიტიკურ ფასულობაზე არ არის საუბარი. ლ. ჯაფარიშვილის და ნ. გოგუაძის ლექსებმა უკრადლება მიიქცია აზრობრივი შინაარსით. ... ფ. ფხაკაძის შედარებით „ადამიანური“ ლექსი კი გამოვყავი მისივე სხვა ნაწარმოების ყალბი ინტონაციის ფონზე. ეს არის და ეს. არც ერთი სიტყვა მხატვრულ ღირსებაზე“.

მაგრამ ვნახოთ პირველი წერილი: აი, რას წერს კრიტიკოსი: „ფუქიმოცნებთა ბამონსაზნინი. ზღაპარული ზარნივით გაისმის ლ. ჯაფარიშვილის სტრიქონები“... ფ. ფხაკაძის აქვს „უნარი სულ უბრალო მოკლენის პოეტური აღქმისა და გადმოცემისა“. თუ ვინმეს სტრიქონები ბამონსაზნინი ზღაპარული ზარნივით გუგუნებს, მას, ჩვენ გვინდა თუ არ გვინდა, ესთეტიკური ღირებულება გააჩნია და ასევე სულ უბრალო მონაღონის ორთქლად აღქმის და გადმოცემის უნარი თუ გამოჩნდა მესანი პოეტის სტრიქონებში, ეს სტრიქონებიც ესთეტიკური ღირებულების შემცველად უნდა ჩაითვალოს.

გემოვნების კატალიზატორი ხომ ისაა, თუ რა მოგვწონს და რა არ მოგვწონს. ვითომ კარგი გემოვნების მიმანიშნებელია, როდესაც ასეთი უბრალო სტრიქონები „საინტერესო მხატვრულ სახედ“, მოგვაჩინა: „ფერადი ფანქრებივით ავტობუსის გაჩერებასთან ადამიანები ირეოდნენ და ლოდინს ხატავდნენ“. (!) სწორედ ესაა თ. დოიაშვილის მიერ „აკვიტებული“ ფსევდოპოეტურობის კლასიკური მაგალითი. მისი აზრით,

ასევე საინტერესო მხატვრული მხატვრული მხატვრული... ვიკრიტიკების საფლავის ქალაქში“. „ასეთი სახეების გვერდით — გარძელებს იგი — ძნელად საგუებელია ინერციით შემოჩენილი — „გაღიჟულ ძაღლივით კენსოდა იმედი“. პირველი რაფერით სჭობია მეორეს ამგვარ სახეებზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი არაპოეტურია სწორედ ხაზგასმული პოეტურობისა და „სილამაზის“ გამო. ან რითაა გამართლებული ადამიანების შედარება ფერად ფანქრებთან, ან როგორ ხატავენ ეს ადამიანები ფანქრები ლოდინს.

ცოტა ზემოთ მან დაიწუნა ი. ჯახუას „და ხალხმრავალ ტროტუარებზე, როგორც ბოშები, გადახერხილი ჭადრები დგანან“, რატომ არ მოეწონა ნეტავ? — ადამიანი გინდ ფერადი ფანქრისთვის შეიძლებაა, გინდ გადახერხილი ჭადრისთვის. თუმცა პოეტი და მთავრად — რომ კრიტიკოსს უყვარს ისეთი შედარებები, როგორცაა: ცარიელი ქუჩა — მოუმართავი საათი, მიწის ბელტები — გალიაში დამწყვდეული ჩიტები, ახლა, აგერ, ადამიანები — ფერადი ფანქრები. კრიტიკოსი წერს: — „ლაკონული, აზრობრივად დატვირთულ სტრიქონებში ჩანს ორიგინალური აღქმა, საგნებს შორის მანამდე უჩინარი კავშირების აღმოჩენის უნარი: — „მტრები პატარა დილა“. ამ საოლუსტრაციო სახეში არავითარი მანამდე აღმოჩენილი კავშირების აღმოჩენა არაა! აბა, გავიხსენოთ ლორკას „ხელიცა — ნიანგის წვეთი“. მსგავსი კონსტრუქციისა კრიტიკოსის მიერ ორიგინალური აღქმის ნიმუშად შერაცხული იმავე პოეტის „მედღუა სიჭმრის ნაფლეთი“.

თ. დოიაშვილის აზრით „ნაცნობი თემის ახლებურად გააზრების“ ნიშა გამოვლენილი მის მიერ მოყვანილ ერთ ლექსში: „როცა თვალები ჭერს მისცდა და სული განეყო. მე აღარ მეყო ვაჟაკობა კარი გამეღო და გაზაფხული ჭირისუფლად შემომეყვანა“ („სიკვდილი გაზაფხულზე“) რა შუაშია აქ ვაჟაკობა? ცაცი ცვდება და ვაჟაკობა კი არა, ძალა არ ჰყოფნის, რომ წამოდგეს და კარი გააღოს. პირველი სტრიქონი სინტაქსურადაც და აზრობრივადაც აბსურდულია, როგორ გავიგოთ „თვალები ჭერს მისცდა და სული განეყო“. რას განეყო ეს სული? თვალებს? ჭერს? ან რა ქართულია „ჭერს მისცდა“. სად არის აქ ნაცნობი თემის ახლებურად გააზრებები?

იმედია, ამდენი არგუმენტების შემდეგ კრიტიკოსი არ იტყვის რომ მე არგუმენტების გარეშე ვმსჯელობ და ინსინუაციას ვეწევი.

სამივე პოეტი, რომელთა ლექსებიდანაც იყო მოტანილი ადგილები დოიაშვილის მიერ, მე ნიჭიერ და იმდენსომოცემ ახალგაზრდად მიმაჩნია. ორიოდ სუსტი სტრიქონი ვის არ ჰქონია, ეს კრიტიკოსმა გაუწია მათ ცუდი სამსახური და მათი ნიჭიერების დასტურად სუსტი სტრიქონები მოიყვანა.



თ. დოიაშვილის მეორე წერილი სავსეა პუბლიცისტის გამიზნული მახვილსიტყვაობებით. ის, რასაც ლარს იულენსტეინი მწერლებზე ამბობს, კრიტიკოსსეც ვრცელდება. ნამდვილი მწერალი „არ სცნობს პუბლიცისტის გამიზნულ თავმოსაწონ, თავპარიან ქველუცობას, ხრიკებსა და სისულელეების ჩმახვას“. ერთგან იგი ამბობს „აწროვნების დელუქციური წყობიდან სპონტანური ლირიკის რელსებზე გადასვლა“ ჩემი დებულებააო („ვ. ხარჩილავასთვის „მცდარი და მიუღებელია“ ჩემი დებულება“). ორიოდ წინადადების შემდეგ კი უარყოფს, ამას: „ეს ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობის, საერთო აზრია. იგი თ. დოიაშვილს არ მოუგონია“. თუ დოიაშვილს არ მოუგონია, როგორაა მისი დებულება.

თ. დოიაშვილი მედავება: „ვ. ხარჩილავას ჩემს მიერ ჩამოთვლილი ნიშნები თანამედროვე ლირიკისა ტრადიციული და ნაცნობი მგონია“. რა ნიშნები ჩამოთვალა მან ისეთი, რაც თურმე მანამდე არ ჰქონდა პოეზიას და მხოლოდ ბოლოსხანებში „სპონტანური ლირიკის“ რელსებზე გადასვლის“ შემდეგ შეიძინა? აი, ისინი: „საგანთა რეალისტური დეტალებისა და წარმოსახვის შეუზღუდავი თავისუფლების თანაარსებობა“. „მხატვრული სახის მრავალპლანიანობა, მეტაფორიზმი“, „შინაგანი მეტყველების რამდენიმე ნაკადის შერწყმა“ და ა. შ. სწორედ მათ უწოდა თ. დოიაშვილმა „გლობალური სიახლეები“.

მე ვწერდი და ახლაც ვიმორებ: ეს ნიშნოვნიებები მანამდეც არ იყო უცხო პოეზიისთვის. განა შეიძლება მეტაფორული სიღარიბე, წარმოსახვის შეზღუდულობა, მხატვრული სახეების ერთპლანიანობა დაწვანოთ იმ დიდ პოეტთა შემოქმედებას, რომლებსაც ჩვენს ეპოქამდე უცხოვრიათ. თ. დოიაშვილი აზროვნების წყობაზე კი არ ლაპარაკობდა მხოლოდ, მსჯელობდა საერთოდ ლექსზე. „ჩვენს თვალწინ ლექსი ფაქტების შესახებ ინფორმაციიდან თვითშემცნების საშუალებად იქცა“. ესე იგი, დოიაშვილის აზრით, ლექსი წინათ მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციის გვაწვდიდა და სულ აგერ, ახლაც კრიტიკოსის თვალწინ გამხდარა თვითშემცნების საშუალება. განა სწორედ ამგვარი „მსჯელობა“ თანათავიშვევ არ შეიცავს წინააღმდეგობას? განა ეს არაა გაუბრალოების ცდა იმ უმიდრესი მემკვიდრეობისა, მსოფლიო ლიტერატურის ხანგრძლივმა ისტორიამ რომ დაგვიტოვა.

მე ვწერდი, რომ თ. დოიაშვილის „რემეპტებმა“, რომლებსაც იგი პოეზიის გადახალისებისთვის ვეთავაზობდა, არ შეიძლება სარგებლობა მოუტანოს ახალგაზრდა პოეტებს, რადგან თვითონ მასაც ნათლად ვერ ჰქონდა ჩამოყალიბებული, თუ რას ნიშნავს ნოვატო-

რობა პოეზიაში და რა მიმართება აქვს ტრადიციასთან.


ტრადიციაზე დაყრდნობა არ ნიშნავს მის გამოერებას. ნოვატორობა ტრადიციულის უარყოფა არაა. სიახლე ლიტერატურაში ძალზე პირობითი მცნებაა, რადგან მას ყოველთვის მოეპოვება რაღაც წინამძღვრები ტრადიციულში. ხოლო ის „გლობალური სიახლეები“, რომლებმაც, თ. დოიაშვილის აზრით, ასე გაართულეს „თანამედროვე პოეზიის გამომსახველობითი“ პალიტრა, მანცდამანც „გლობალური“ სულაც არ გახლავთ. ტომას ელიოტი წერდა:

„თუ ტრადიციას აღვიკვამთ მხოლოდ როგორც უშუალო წინამორბედთა ბრმა და მოკრძალებულ ერთგულებას, მაშინ ჩვენ სავსებით უარვეფთ „ტრადიციას“. რალა თქმა უნდა, სიახლე სჭობს გამოერებას, მაგრამ „ტრადიცია“ გაცილებით მრავლისმომცველი და ფართო ცნებაა“. „ჩემს მოწოდებას შაბლონისგან განთავისუფლებისკენ ვ. ხარჩილავა რატომღაც ცრუნავოტორობისაკენ მოწოდებად მიიჩნევს“. მე იმითმ მივიჩნევდი კრიტიკოსის მოწოდებას ცრუნოვატორობის წახლისებად, რომ მართალია, თ. დოიაშვილი შაბლონისგან განთავისუფლებას კი მოითხოვდა, მაგრამ იქვე გვთავაზობდა შაბლონურ ლექსებს სიახლის ნიშნულად.

ჩემს საუვედურზე, ლექსის ავტარგაიანობაზე მსჯელობა ცალკეული შედარებების მიხედვით არ შეიძლება-მეთქი, კრიტიკოსი ასე გვპასუხობს: „ლექსი, როგორც ორგანული მთლიანობა, ახალგაზრდულ პოეზიაში, მათ შორის ჩამოთვლილ ავტორთა წიგნებშიც, იშვიათია“. ესე იგი, ახალგაზრდულ პოეზიაში ვერც ერთი კარგი ლექსი ვერ ვნახე და რა კენა, მხოლოდ შედარებებს დავჭრადიო. ნოთუ მართლა ასე უიმედოდა საქმე? ნოთუ აც ერთი ხეირიანი ლექსი, სადაც „ორგანული მთლიანობა“ იქნებოდა დაცული, არ დაუწერიათ ახალგაზრდებს? ნოთუ ასეთი დეგრადაციის გზით მიდის ქართული პოეზია და ხვალ თუ ზევ მას სიკვდილი მოელის?

თ. დოიაშვილი იქვე მიბოდიშებს: თქვენი არტუთ ურიგო ლექსი „კორიდა“ მინდოლ: მომეტანა კარგი ლექსის ნიშნულად, და მთლიანობაში განმეხილა, მაგრამ იქაც ერთი ამოვარდნილი ადგილი ვნახე და თავი შევიკავეო. „ჩაქრენს ჭაღები. ჩქერებად დაშლის, ჩქერებად დაშლის სისხლი ქედლანა“. რა არის „ჩაქრენს ჭაღები?“ ეს ან „პოეტური ამოვარდნა“ ან იმის არცოდნა, რომ კორიდა ჭაღებიან დარბაზში არ მიმდინარეობს. — კითხულობს

სახსნან ხარჩილავა
„კომნა თავისი თავისა“ ანუ ახალი
წერილი ძველი შეცდომებით



კრიტიკოსი; არც ერთია და არც მეორე. შიშისაგან, ტკივილებისგან ჭაღებივით ანთებული ხარის თვალები ნელ-ნელა ჭრება — ხარის კვდება. ესა და ეს.

თ. დოიაშვილი თავის პირველ წერილში განიხილავდა თ. ბაძალუას წიგნს და დადებით შეფასებას აძლევდა მას. მეორე წერილში კი, ხალაყ ხელმეორედ არჩევს თ. ბაძალუას ლექსებს, აბსოლუტურად უარყოფითი დასკვნებია გამოტანილი. პირველ წერილში კრიტიკოსი წერდა: „თ. ბაძალუას მხატვრული სახეები, უპირატესად, ახალია, მოულოდნელი, აზრობრივად და ემოციურად მდიდარი“. „ეს აღარ არის სიტყვებით თამაში, ეს რაღაც ახალი შეგონებების სახელდება“ (გვ. 113). ახლა მეორე წერილი ვნახოთ: „რეალური სამყაროც, როგორც ლირიკული გმირის მარტოობის განმაპირობებელი, თამაშ ბაძალუას ლექსებში რაიმე ნიშნის მიხედვით არ ხასიათდება, მხოლოდ ცნების სახით წარმოჩნდება — პოეტი ინდიფერენტულია ამ სამყაროსთან დამოკიდებულებაში. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად მისი ლექსები უსაგნო, ათემატური ნაწარმოებებია“. „...ყოველი წინადადება დასრულებული ცრუმეტაფორული მნიშვნელობისა და ერთმანეთთან არც ასოციაციური და არც ლოგიკური ვაჭმირი არა აქვს“.

რა მოხდა, როგორ იქცა ასე მოულოდნელად თ. ბაძალუას „ახალი, მოულოდნელი, აზრობრივად და ემოციურად მდიდარი“ ლექსები „ათემატურ“, „უსაგნო“ ნაწარმოებებად? რატომ შეიცვალა კრიტიკოსმა აზრი ასე უეცრად?

ჩემი წერილი დასასრულს უახლოვდება და აღბათ თ. დოიაშვილი შეცდუნებულია, რომ აქამდე არ დამიწვია ჩემი ლექსების დაცვა, კრიტიკოსმა რომ ასეთი გულმოდგინებით აქიპა თავის წერილში... კრიტიკოსის საწყუნედ და გასაოცებლად უნდა ვთქვა, რომ არც ვპარებ ამას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩემს ლექსებზე გამოთქმული მისი „აზრობა“ არ მიმართავს ობიექტური ოპონენტისგან გამოთქმულ შეფასებად. განა შეიძლება და მისი მოსაზრებები ობიექტური ყოფილიყო ჩემს მიმართ, როდესაც იგი ასე გაბრაზებულია ამ ლექსების ავტორზე, რომელიც ხაბედა და შენიშვნები მისცა. ნუთუ ვერ ხვდება კრიტიკოსი, რომ სამაგიეროს გადახდის ასეთი ტაქტიკა გვაქეპებს მის პირუთვნელობაში. რატომ დაავიწყდა, „შეფასების ობიექტური კრიტერიუმების“ მოტრფილად დოიაშვილს, რომ არ შეიძლება იყო ობიექტური და პირუთვნელი, როცა ვიღაცაზე გულმოსულად ხარ. იქნებ სხვა დროს მაინც უფრო იდოს კრიტიკოსმა ერთი დიდი მწერლის შეგონება: „სინდისიერი კრიტიკა და გრძნობისმიერი შეფასება ყოველთვის უნდა იღებდეს

ამოსავალ წერტილად არა პოეტს არამედ პოეტისა“.

...როცა თეიმურაზ დოიაშვილის წერილს გავეცანი პირველად, მე პათვისცემით განვიხილე კრიტიკოსის შრომისმოყვარეობისადმი, იმდენად დიდი მოცულობის სამუშაო ჩაუტარებია მას. ადვილი საქმე ხომ არ იყო ამდენი წიგნის წაკითხვა.

მაგრამ ჩავეცი წერილს და თანდათან დავრწმუნდი, რომ არც ისე იყო საქმე, როგორც თავიდან მეგონა. იგი ხშირად ციტირების გარეშე „ესესებდა“ ამა თუ იმ ავტორს. ასე, ყოველგვარი მითითების გარეშე მთელი რიგი ადგილები აქვს მოხმობილი ლ. ბრეგაძის წერილიდან („პოეტის პირველი წიგნი“—1978 წ.).

ჭერ ლ. ბრეგაძეს მოვუსმინოთ: „პოეტური აზროვნების სითამაშით და ორიგინალობით გვზიბლავს ეს უსათაურო ლექსი: „ფოთლოვან კაბით ფეხშიშველი რომ გამოსულხარ და მერცხლებიან ჰაერივით რომ გელიმება, სასწაული დაგემართება: ან ეგ ბილიკი შენს წვივებზე გაინასკვება, რომ ამ მინდვიდან ველარ წახვიდე: ან უვავილები ამფერლობებიდან მოგესვიან და ფერად ზვინს დაემსგავსები“ („პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს“. გვ. 77).

ახლა თ. დოიაშვილს დავუგდოთ ყური: „3. ხორხაულისთვის არც ასეთი თამაში და უცნაური წარმოსახვა უცხო: „ფოთლოვან კაბით ფეხშიშველი რომ გამოსულხარ და მერცხლებიან ჰაერივით რომ გელიმება, სასწაული დაგემართება: ან ეგ ბილიკი შენს წვივებზე გაინასკვება...“ მეტს აღარ ვავაგრძელებ, ლექსი თავიდან ბოლომდე განმეორებელი.

ლევან ბრეგაძესთან თეიმურაზ დოიაშვილის „თანამშრომლობა“ ამით არ ამოწურულა. ქვემოთმოყვანილ მაგალითში პერიფრაზირების განსხვავებული მეთოდია გამოყენებული: ლ. ბრეგაძის მიერ გამოთქმული აზრი უცვლილადაა გადმოტანილი, ოღონდ სხვა სიტყვებით!

ლ. ბრეგაძე: „ვუა ხორხაულის საუკეთესო ლექსები უფრო საინტერესოა არა თემატიკით და პრობლემატიკით, არამედ ტროპული მეტყველების ძალით...“ („პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს“. გვ. 78).

თ. დოიაშვილი: „ჩემი დავიკრებით, საინტერესო პოეტია ვუა ხორხაული, რომლის ნიჭი იმდენად ახალი მასალის შემოტანასა თუ ახალი თემების ძიებაში არ გამოიხატება, რამდენადაც მოვლენების თავისებურ აღქმაში. ამაზე მეტყველებს პოეტის თუნდაც ასეთი მხატვრული სახეები: „ცელები, ტარით მოთიბულში ჩარჭობილები, მოჩანან სივრცის ნაპრალებივით“.

მოვუსმინოთ ისევ ლ. ბრეგაძეს: „აი, ერთი მაგალითი იმის ნათელსაყოფად, რომ ვუა ხორხაულს უნარი აქვს ძალზე მკაფიოდ დაგვანახოს საგანი...“ ცელები, ტარით მოთიბულ-



ში ჩარჭობილები, მოჩანან ნივრცის ნაპრაღე-
ბივით“. კრიტიკოსმა უბრალოდ დაანაწერა
და თავისი წერილის სხვადასხვა ადგილებში
გაფანტა ფრანგმენტები ლ. ბრეგაძის რეცენ-
ზიიდან.

კრიტიკოსი, როცა თ. ბაძაღუს ლექსებზე
ლაპარაკობს. მთლიანად ეყრდნობა თ. ბექიშ-
ვილის წინასიტყვაობას და რატომღაც არსად
არ ახსენებს პირველწყაროს.

თ. ბექიშვილი: „თამაზ ბაძაღუს ლექსები
ძირითადად სიუვარულს ეხება, მაგრამ ეს არაა
სატრფილო ლირიკა ამ სიტყვის ტრადიციუ-
ლი გაგებით“.

თ. დოიაშვილი: „შესაძებ წარს“ თავიდან
ბოლომდე ერთი თემა გასდევს — თემა სი-
უვარულისა, რომელსაც ახალგაზრდა პოეტი
თავისებურად, თანამედროვე პოეზიის გამოც-
დილებს გათვალისწინებით ამუშავებს“.

თ. ბექიშვილი: „სატრფოს ლამაზი წარბ-
ღაწმამის ნაცვლად უახლესმა ქართულმა ლი-

რიკამ უფრო მედიტაციური ტონალობისკენ
აიღო გეზი“.

თ. დოიაშვილი: „აქ არ არის მთლიანად
ტანის ქება, არც სიუვარულის ისტორია... ავ-
ტორის ძალისხმევა კი მიმართულია იქით, რომ
აღბეჭდოს შეგრძნებათა, განცდათა, ფიქრთა
მრავალფეროვანი გამა“.

სწორედ ზემოთმოყვანილი ფაქტები (სხვა
უარგუმენტო და არასწორ მოსაზრებებთან ერ-
თად) მქონდა მხედველობაში, როდესაც თ.
დოიაშვილის წინა წერილის ნაჩქარვე დასკვ-
ნებზე ვლაპარაკობდი. კრიტიკოსმა, იმის გა-
მო, რომ კატეგორიულად უარყო მის მიმართ
გამოთქმული ყველა შენიშვნა (ჩემიც და
სხვისიც) თავისი მეორე წერილით უფრო
გააღრმავა ადრინდელი შეცდომები.

არადა, სჭობდა ვალიზიანების გარეშე მიგვე-
ლო ერთმანეთის შენიშვნები და საერთო დას-
კვნა მათი შეჭრების შედეგად გამოგვეტანა.
ამით საქმე ნამდვილად მოიგებდა!

რედაქციისგან: დისკუსიის შემავაზმებელ წერილს მკითხველი გაეცნობა
უახლოეს ნომერში.

შურნალ „სისკრის“ 1983 წლის ნომერების შინაარსი

მოთხრობები, რომანები, პიესები

- ახაშიძე მერაბ — ცეროდენა ანგელოზი. მოთ-
ხრობა, № 8, სიტყვაჲ ჭეშმარიტი, მოთხ-
რობა, № 11
- ავალიშვილი მანანა — ორი დამარცხება. მოთხ-
რობა, № 5
- აღუესიძე შიკა — მღუმარების მეჭლისი. მო-
თხრობა, № 10.
- ამირჩიანი მანანა — მოკალეობის ეჟის, ანუ
გარეთ რომ თოვდა და შინ თბილოდა.
მოთხრობა, № 9
- ანთაძე მიხეილ — პირობითი რეფლექსები.
მოთხრობა, № 9
- ასანიშვილი შოთა — მოთხრობები, № 11
- ბრეგვაძე ლალი — მოთხრობები, № 6
- გრძელიძე თეიმურაზ — იქ, ზემო იმერეთში.
მოთხრობა, № 2
- დოლიძე მამუკა — მოთხრობები, № 8
- იოსელიანი ოტია — საით გავიქეცი და სად
წავიქეცი. ავტობიოგრაფიული ნოველე-
ბი, № 4, № 11

- კალანდია ზაურ — ნისლი ეფინა კარავს...
მოთხრობა, № 5
- კაპანაძე გურამ — ნივთი საკურნებელი. მოთხ-
რობა, № 6
- კობახიძე ბეგლარ — მე და შენ. მოთხრო-
ბა, № 12
- კობაშვილი გულო — მოთხრობები, № 9
- ლორთქიფანიძე კონსტანტინე — ნატურის თეა-
ლი. რომანი. ნაწილი მეოთხე. № 12
- მალულარია გივი — ვილას შეფაროს მიწამ
თავი. მოთხრობა, № 8, 7
- მალაშონია ლევან — იღბალი. მოთხრობა, № 4
- მიშველაძე რევაზ — ნოველები, № 8
- მესხი ლილია — ოქრომჭედელი — „არს კვე-
თის ხურო“. მოთხრობა, № 1
- პაიჭაძე სოსო — სადღაც, გზის პირას. მოთხ-
რობა, № 2, 2
- რჩეულიშვილი გურამ — იულონი. პიესა, № 3
- სომერსეტ მოემი — ფრანი. ინგლისურიდან
თარგმნა ლუნაზი სვანშია, № 12



ტაბაქაძე კარლო — ქუჩა სკოლასთან მთავრ-
დება. მოთხრობა, № 11
ქარჩხაძე ჭემალ — ქარაიანი. რომანი. ნაწილი
მე-2, № 6, 7, 8, 9, 10
ჭირია ჭემალ — კუნძული. მოთხრობა, № 5
ქეთელაური სულხან — ნათლია. მოთხრობა,
№ 7
ყვარელაშვილი ლალი — ტელევიზორში ნანა-
ხი ფილმი, მოთხრობა, № 11
შატაძე ნუგზარ — ორი ნოველა, № 9
ჩალაური თენგიზ — მოთხრობები, № 12
ჩხაძე თენგიზ — პირველი მასწავლებელი.
ლირიკული ეტიუდი, № 3
ჩხეიძე ოთარ — უხსენებელი. მოთხრობა, № 4,
მოთხრობები, № 7
ჩოხელი გოდერძი — ადამიანთა სევდა. რო-
მანი, № 1
ჩხიკვაძე ვანო — მოთხრობები, № 10
ჭოხონელიძე ბადრი — ზამთრისპირა ჩანაწე-
რები, № 4
ჭეიშვილი რეზო — რასემონი. მოთხრობა,
№ 4
ხუნდაძე ნოდარ — მოსკოვში. მოთხრობა, № 10
ჭოლოყაძე ვლადიმერ — თამყონი და ალიასა.
მოთხრობა, № 5
ჭოხაძე მკვა — მკვდარ გუბეში ნასროლი კენ-
ჭები. მოთხრობა, № 2


ლექსები, პოეზია

აბულაძე თეიმურაზ — ლექსები, № 11
ადეიშვილი ნოდარ — ლექსები, № 3
აღმაზიშვილი გივი — ლექსები, № 1
ალიშონაია ლერი — ლექსები, № 4
არაბული ალუდა — ლექსები, № 7
არაბული ბალათერ — ლექსები, № 5
არაბული კობა — ლექსები, № 8
ამირიძე კონსტანტინე — ლექსები, № 11
ახობაძე ამირან — ლექსები, № 7
ბაჟაძე ირაკლი — ლექსები, № 12
ბატიაშვილი დარეჯან — ლექსები, № 4
ბეღიანიძე დალილა — ლექსები, № 5
ბექიშვილი თედო — ლექსი, № 8
ბოლქვაძე ზაურ — ლექსები, № 6
ბუაჩიძე ანდრო — ლექსები, № 4
გაგუა ხუტა — ლექსები, № 11
გოგოლაური ირაკლი — ლექსები, № 10
გონაშვილი მაყვალა — ლექსები, № 3
გიგინაშვილი რუსუდან — ლექსები, № 10
გუშლია გიორგი — ლექსები. აფხაზურდან
თარგმნა გივი ბერაიამ, № 5
დანელია ბათუ — ლექსები, № 5
დობოჯიანიძე ჭემალ — ლექსები, № 11
ებანოიძე ზაალ — ლექსები, № 11
თოდუა ლია — ლექსები, № 12
თოთაძე ლალი — ლექსები, № 2
თედორაძე დავით — ლექსები, № 2
ივარდვა დილარ — ლექსები, № 1

კალანდია გენო — ლექსები, № 1
კვარაცხელია რინოს — ლექსები, № 1
კილასონია ნაზი — ლექსები, № 5
კეშელაძე ბონდო — ლექსი, № 6
კობაძე მანანა — ლექსები, № 11
კუხიანიძე ზურაბ — ლექსები, № 12
მალარაძე დათო — ლექსები, № 8
მებურიშვილი ტაგუ — ლექსები, № 4
მოლაშხია ზაურ — ლექსები, № 8
ნადირაძე კოლაუ — ლექსი, № 4, № 9, № 12
ნიშნაიანიძე შოთა — ლექსი, № 4
ნიფარაძე ენვერ — ლექსები, № 11
ნეხიერიძე მურად — ლექსები, № 9
ნეკერიშვილი ნაილი — ლექსები, № 3
ნუცუბიძე ლილი — ლექსები, № 7
ორჯონიკიძე იზა — ლექსები, № 2
ოთარაშვილი ვაჟა — ლექსები, № 8
ყუყუა რაბი — ლექსები. თარგმნა მედეა კახი-
ძემ, № 6
სტურუა ლია — ლექსები, № 1
ფოცხიშვილი შორის — ლექსები, № 1, 11
ფორჩხიძე შალვა — ლექსები, № 12
ფხოველი ჭარჯი — ლექსები, № 3
ქვლივიძე მინეილ — ლექსები, № 8
შამანაძე შადიმან — ლექსები, № 9
შალვაშვილი ბელა — ლექსები, № 9
შენგელია არასა — ლექსი, № 7
ჩარკვიანი ჭანსუღ — ლექსები, № 7
ჩახვა ჭემალ — ლექსები, № 6
წიკლაური ზეთისო — ლექსები, № 3
ჭანატურია ტარიელ — ლექსები, № 6
ჭილაძე ოთარ — ლექსები, № 5
ჭიჭინაძე გივი — ლექსები, № 12
ჭუმბურაძე დოდო — ლექსები, № 2
ხეთაგური მზია — ლექსები, № 9
ხოდანელი შოთა — ლექსები, № 8
ჯავახიძე ვახტანგ — ლექსები, № 7
ჯანელიძე ჭანო — ლექსები, № 9
ჯაფარაშვილი ლალი — ლექსები, № 10
ჯახუა იმედი — ლექსები, № 12
ჯაჭვლიანი ბორენა — ლექსები, № 1
ჭულუხიძე გრიგოლ — ლექსები, № 2

ახალი თარგმანები

ბლემიკი ულიამ — ლექსები. თარგმნა თამარ
ერისთავმა, № 7
დიქტონიური ელმერ, ვალა კატრი, კაივა ვი-
ლიე, სედერგრანს ედიტ, შავიკო შა-
ვო — ფინურიდან თარგმნა ამირან კალა-
ძემ, № 8
დევი პოლ — როდის ჩავიდა პეტრე იბერი
იერუსალიმში. ფრანგულიდან თარგმნა
ლეილა კაკაბაძემ, № 3
ემერსონი უოლდო რალფ — ხასიათი. ინგლი-
სურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ
ჩხეიძეებმა, № 6
ელისონი რალფ — ის ყველგანაა, ყველგანაა
შეი. ინგლისურიდან თარგმნა თამარ ცინ-



ცაქემ, № 7
 თაგორი რაბინდრანათ — პოეზია და რიტმი.
 თარგმნა ჭონდი ქილარჭიანმა, № 6
 პეტრარკა ფრანჩესკა — ლექსები. თარგმნა თა-
 მაშ ბაძალაშ, № 12

ასფურცელა

გელუტაშვილი მაია, მეგრელიშვილი ავთანდილ,
 კვიციანიშვილი ეშვარ, ჩხეთიანი შოია —
 ლექსები, № 6
 კახიძე ზედეა — ლექსები, № 9
 კატაშვილი ვალენტინა — მოთხრობები, № 6

პრინციპა, კუპალიცისტიკა, კუპალიკატიკა

ალხაზიშვილი გივი — საიმედო ხმები, № 3.
 მოკლე განმარტება, № 12
 ავალიანი გიორგი — სვანეთი — პოეტური
 შთაგონების წყარო, № 11
 ავალიშვილი მანანა — ჩემი სოფლის დღე, № 2
 არაღაშვილი ციალა — ქეთევანი, № 4
 არაბული ავთანდილ — ხელოვანი, დიდები და
 პატარები, № 11
 ბრეგვაძე ზაჩანა — ნიკოლო მაკიაველი,
 № 9, 10

ბრეგვაძე ლევან — ბინდისფერი ხეობის სურა-
 თები, № 2. წერილი რედაქციას, № 12
 ბუენიშვილი როსტომ — მზით სავსე ოქროს
 მტევანი, № 4

გაჩეჩილაძე გიორგი — ონტოლოგიური ში-
 შის რაინდი, № 9

გაბელაია ალექო — სიცოცხლის პაროდია, № 6
 გელაშვილი ნაირა — აფრედერიკი და განა-
 ბულ ჯადოქრიანი საკრავი, № 7
 გელაშვილი მანანა — კოლორიის შემოქმედე-
 ბით პრინციპთა ზოგიერთი თავისებურე-
 ბა, № 9

გოლიაძე ვახტანგ — ნაშრომი ვახტანგ გორ-
 გასლის ეპოქაზე, № 8

გოჯია ზაზა — ლირიკული პროზის გმირი, № 1
 გომართელი ამირან — კარმენი ანუ თავისუფ-
 ლების სიყვარული, № 3
 დავითაძე ემენ — ჩვენც თქვენთანა ვართ...
 № 12

დოიაშვილი თეიმურაზ — „აგვესთ — რაც
 ხარვეზია“, № 1, პოვნა თავისი თავისა, № 12

თვარაძე რევაზ — სოფელი და ზესთასოფე-
 ლი, № 1, 2, 3
 თავდოშვილი მურმან — სევდით განათებული,
 № 11

თვდორაძე ვუა — გაქცევა მომავალში, № 7
 კალანდია რენე — „გათელისწინება“ თუ... პო-
 ეზოზე, № 12

კახიუ ალბერ — ელენეს გადასახლება. ფრან-
 გულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილ-
 მა, № 7

კვაპანტირაძე მანანა — „რატომღაც მინდა,
 უფრო მომწყურდეს“..., № 11

კოპალიშვილი მიხეილ — სიკეთის გზით მი-
 მავალი აღამიანები, № 7

კოლუა ე., ჭანუყვაძე გ. — აქტიური
 მოგრაფიული პრობლემები და ქართული
 სინამდვილე, № 8

კრიტიკის დიდი პასუხისმგებლობა — № 1
 კვიციანიშვილი ეშვარ — „მე მარტოხელა ვიყა-
 ვი კაცი“, № 4

ლომიძე თამარ — ძნელი გზა ლეგენდისაკენ,
 № 9

მათიაშვილი აკ., ჭაჭია შ., სახლთხუციშვილი უ.
 — ერთი რუსთველოლოგიური ნაშრომის
 შესახებ, № 8

მინდიაშვილი აკაკი — ყოველდღიურობის მიღ-
 მა... № 7, „სულს სამშობლოს“ ძიება-
 ში, № 11

მჭედლური დავით — კრიტიკოსის პირველი
 წიგნი, № 6. „სამყაროს აღწერს, ვინც თა-
 ვისთვის აღწერს სრულყოფილთ“, № 12

ნათელი ორიენტარი — № 8

ოგენეი ვლადიმერ — დაჭრილი წერო... თარგ-
 მნა დოდო სანიკიძემ, № 4

ოწეროვი ლევ — შოთა ნიშნინაძე და მისი
 პოეზია. თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ, № 11

პეტრიაშვილი გურამ — მშვიდობა თქვენსა მოს-
 ვლასა, წერილი I, № 2. წერილი II, № 4

ჟორდანიას სულხან — ოთარ ჭილაძე — მხატ-
 ვარი და მოაზროვნე, № 5

რევიშვილი შოთა — პერდერი ქართველებისა
 და ბასკების შესახებ, № 9

რობაქიძე ამირან — „გადაიხედე ჩემი გული-
 დან“, № 4

სიგუა სოსო — ერთი სამყაროს მრავალი სა-
 ხე, № 4


ურუშაძე აკაკი — ერთი წერილის გამო, № 1
 ფხოველი ჭარჭი — „მთლად მე მეკუთვნის ქვე-
 ყანა“, № 12

ღვინჯილია ჭანსუღ — ჩვენი ღუმლის პასუ-
 ხად... № 9

შარაშიძე ჭემალ — შემოქმედებითი პერსპექ-
 ტივისათვის, № 2

შავგულიძე ნუგზარ — დროისა და სივრცის
 გარეშე, № 6

ჩხეიძე პაატა — კიდევ რამდენია გასაგლე-
 ლი, № 2
 ჩხეიძე როსტომ — ზნეობრივი მაგალითი, № 11
 ცერცვაძე ლალი — სამეცნიერო-ტექნიკური
 რევოლუცია და ხელოვნება, № 11
 წოწონავა თენგიზ — სინათლე მზის ამოსვლის
 წინ, № 5. მარადიული მგზავრი, № 8
 ხარჩილაძე ვახტანგ — ნაჩქარევი დასკვნები,
 № 5. „პოვნა თავისი თავისა“ ანუ ახალი
 წერილი ძველი შეცდომებით, № 12
 ხორნაული ძე — „ორი ცა“, № 9. მათი გზა
 არასოდეს იქნება ადვილი... № 12
 ჭაფარიძე რევაზ — „აქრძალული იღვთებისა“
 და სხვათა და სხვათა გამო, № 5



ქოხადე მაკა — „შენთან ყოფნიდან უშენობამდე“, № 1
 ჭილაური ლილი — ალბერ კამიუს აბსურდის ფილოსოფიისათვის, № 5

ნარკვევები

ბექაშვილი თედო — სახლო, სალხინოდ ნაგებო... № 2
 მებრიშვილი ჭეშალ — დიდი ზეინაბი, № 1
 ჩხიკვაძე ვანო — „გრძელი ვენახი ვისია“, № 3
 ჭოხონელიძე ბადრი — გზის აელისას, № 8

ახალგაზრდა მაცნეირი „ცისპარში“

ლომიძე თამარ — „მან ცათა მარის, მანცა თამარის...“, № 1
 რჩეულიშვილი ნანა — „ქეშმარიტის მეტყველება არს...“, № 10
 ქაჩია ნინო — „შენი სიბერე, სიახლე ორბის“, № 11

ხალკვება

ქადაგიძე კობა — ტრადიციის საზღვრებს მიღმა, № 2
 ხუბაშვილი გიორგი — „ოტელოს“ ვნებათღელვანი, № 6
 ხესინი ბორის — ვინ თქვა, დონ კიხოტი მკვდარიაო? თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ, № 8

საერთაშორისო ცხომება

წელი 82, № 2

გემორბივისის ტრაქტატი — 200

ანდრე ბელი — ჩანაწერები ანდრე ბელის დღიურიდან. თარგმნა ლია თევზაძემ, № 5

ანდრე ბელისა და ტიცინ ტაბიქის მიმოწერა. წერილები. თარგმნა ლია თევზაძემ, № 7

ალექსანდრ პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი, ალექსანდრ ბლოკი, ანდრე ბელი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, სერგეი ესენინი, ალექსანდრ მეთიროვი, ევგენი ვინოკუროვი, ევგენი ევტუშენკო, ვიქტორ პოფიადევი — ლექსები.

ანტონ ჩეხოვი — ვალდარ. მო სრობა თარგმნა ქეთი ნიუარაძემ, № 10
 მეგობრობის ზეიმი — № 10

მაისურაძე გურამ — ამერიკაეკსპის ხალხები და გეორგიევსკის ტრაქტატი, № 10

ნიკოლოზ ზაბოლოცი — მეგობრული მიმოწერები. თარგმნა ცისანა კვინტრაძემ, № 10
 სიღამონიძე ვახტანგ — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, № 10
 თორღია კუჭუჩი — ლევ ტოლსტოი და სამცხე-ჯავახეთი, № 1 დეკაბრისტები და გრიბოედოვი ახალციხის განთავისუფლების მოწაწილენი, № 8

ტარტარაშვილი ვალერიან — საქართველო რუსეთის „აღმოსავლეთის პოლიტიკაში“, № 10
 ტუხაშვილი ლოვარდ — ეროვნული ხსნის გზასაყართან, № 9

შველიძე დიმიტრი — „სანქტ-პეტერბურგის უწყებანი“ ერეკლე II შესახებ, № 2, 3
 ხოსიტაშვილი სერგო — ქართველი და რუსი ხალხების პირველი საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, № 10

სკორტი

რუხია გრიგოლ — ეს იყო სვერდლოვსკში, № 1.
 შორდნია აპოლონ — შეხვედრა რედაქტორთან და ლეგენდა № 6, № 9



ჩვენი მისამართი: თბილისი, 880007, დღაიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 88-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, ქასუხისაგებელი მდივანი — 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პაროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 12.10.83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.11.83 წ., ქალაღის ზომა 70x108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, საღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეეკ. № 2.390 უე 08382 ტირაჟი 56.700.

საქართველოს კ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
 Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

523673



3560 60 353.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ